ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი
Quarterly Refereed and Reviewed International Scientific Journal

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

2024 / 4

ჟურნალი გამოდის 2024 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ
The magazine has been published four times a year since 2024









საქართველო, თბილისი 2024
GEORGIA, TBILISI 2024

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

მთავარი რედაქტორი: ვალერი მოსიაშვილი
სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: ნინო სამჭკუაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: მედეა ჭელიძე
ტექნიკური რედაქტორი: დიმიტრი მასხარაშვილი
ლუკა კიკვიძე

სარედაქციო კოლეგია:

აბრალავა ა. (საქართველო), ალადაშვილი მ. (საქართველო), ანთაძე ლ. (საქართველო), ბერიძე თ. (საქართველო),ბიელსკა ტ. (უკრაინა), ბიენ ტანგ (აშშ), ბურდიაშვილი რ. (საქართველო), გრიგოლაია ნ. (საქართველო), დუდაური თ. (საქართველო), ყურგაზოვ ზ. (ყაზახეთი), (უზბეკეთი), მასხარაშვილი დ. (საქართველო), მოსიაშვილი ვ. (საქართველო), რუსაძე ნ. (საქართველო), სამჭკუაშვილი ნ. (საქართველო), სუჰაილი მ. (ლიეტუვა), ფარეშიშვილი გ. (საქართველო), ქოქიაური ლ., (საქართველო), ქუთათელაძე რ. (საქართველო), ყურაშვილი გ. (საქართველო), ცაავა გ. (საქართველო), ციმინტია კ. (საქართველო), ჭელიძე მ. (საქართველო), ხოხობაშვილი დ. (აშშ).

Editor-in-Chief: Valeri Mosiashvili
Head of the editorial board: Nino Samchkuashvili
Deputy Editor-in-Chief: Medea Chelidze
Technical Editor: Dimitri Maskharashvili
Luka Kikvidze

Editorial Board:

Abralava A. (Georgia), Aladashvili M. (Georgia), Antadze L. (Georgia), Bielska T. (Ukraine), Biyan Tang (USA), Beridze T. (Georgia), Burdiashvili R. (Georgia), Grigolaia N. (Georgia), Dudauri T. (Georgia), Kuryazov Z. (Uzbekistan), Maskharashvili D. (Georgia), Mosiashvili V. (Georgia), Rusadze N. (Georgia), Samchkuashvili N. (Georgia), Sohail M. (Lietuva), Pareshishvili G. (Georgia), Qoqiauri L. (Georgia), (Kutateladze R. (Georgia), Kurashvili G. (Georgia), Chelidze M. (Georgia), Tsimintia K. (Georgia), Tsaava G. (Georgia), Khokhobashvili D. (USA).

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.
The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article.

https://doi.org/10.52340/scai
https://doi.org/10.52340/sai
E - ISSN –2449-2779 (Online)
UDC (უაკ) 001+001.895
მ-621

© მეცნიერება და ინოვაცია

https://issmsai.wordpress.com
გამომცემლობა: „მ&ი“
metsnierebainovacia@gmail.com

სარჩევი

გიორგი ფარეშიშვილი, გიორგი მხეიძე - კონსტანტინოპოლის - ახალი რომის მთავარეპისკოპოსის და მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსის სამშვიდობო პოლიტიკა 9
გიორგი ჯინჭარაძე - დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განვითარების განსხვავებული პოლიტიკური ვექტორები და დელიმიტაცია-დემარკაციის პრობლემები 15
გიორგი ფარეშიშვილი - ისლამური რადიკალიზმი, როგორც მსოფლიო პოლიტიკური პროცესების დესტაბილიზაციის ფაქტორი 23
Natia Bibilashvili - THE IMPACT OF CUSTOMER'S ESG PERCEPTIONS AND SELF-IDENTIFICATION ON COMMERCIAL BANKS' PERCEIVED PROFITABILITY. A CASE OF BALTICS 28
Akbar Ghafouri - Six Reading Strategies for Teaching Reading Skills 36
Omid Kardan - Best Practices for Dealing with Difficult Parents 37
Seyed Reza Abedi - Using Artificial Intelligence in English Language Teaching: A Qualitative Exploration 40
Ahmadreza Youneszadeh - From Stage to Classroom: Integrating Dramatic Arts for Effective English Language Learning 40
David Aslanishvili - An Implementation of an Economic Reforms in Georgia in 90's and the Shock Therapy (1991 – 1998) 43
Kristine Omadze - Georgia - Starting point of Economic Independence and economic Collapse of 1992 52
Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili, Elaheh Pouretesam - The Role of Social Media Influencers on consumer behavior in Asian countries 58
Seyed Reza Molaee - Educational Psychology 63
Nikoloz Darchiashvili - Corporate Culture as an Element of Organizational Development and Effectiveness 65
Davit Chakhavshvili - WORKING STRATEGIES FOR STAFFING WITH EXAMPLES 75
Eka Abesadze, Eka Rusieshvili - Artificial Intelligence Tools in Education 83
Zurab Kopaleishvili - Increasing the flight safety of rescue drones and helicopters with a device to prevent birds from getting into the engines 86
Givi Duchidze - The impact of communication on the process of improving management 88
Eter Mamatsashvili - Blockchain's Impact on Trade Finance: Shaping Global Commerce 94
ზურაბ ხონელიძე - კონფლიქტის დარეგილირების ინოვაციური მიდგომა 99
გიორგი მხეიძე - ნეოლიბერალური იდეოლოგიის კრიზისი დასავლეთ ევროპაში 102
ნინო სამჭკუაშვილი, თამარ დუდაური - ინოვაციების როლი ბიზნესის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში 109
რუსუდან ქუთათელაძე, თენგიზ ბახტაძე, ანა კობიაშვილი, ელზა ვეკუა - ტექნოლოგიების შერჩევა ვებპროექტისთვის 118
გუგული ყურაშვილი, თამარი ბერიძე, მედეა ჭელიძე, მზევინარ ნოზაძე - საქართველოს განათლების სისტემის არსებითი გამოწვევები 123
მანანა მჭედლიშვილი - აზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების წინაშე წარმოშობილი საფრთხეები და დამცავი ზომები 131

ქეთევან შენგელია - ხელოვნური ინტელექტის როლი მენეჯმენტის სფეროში 137
თამარ ლაზარიაშვილი - ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში (საქართველოში) 140
მარიამ მარღია - ქართული რეგიონული მედიის ჩამოყალიბება და თანამედროვე გამოწვევები 144
ნაირა ღვედაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობა 149
ლია ანთაძე - სწავლების ინოვაციური მეთოდები 21-ე საუკუნის საკლასო ოთახში 157
ნინო დამენია, ლევან ქისტაური - საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სპეციფიკა და რისკები 161
თენგიზ ლაჭყეპიანი, მაია კილაძე, მაია ლომიშვილი, მთვარისა თანანაშვილი - ინოვაციური ტექნოლოგიები აგროტურიზმში 169
შორენა ცაავა, ნანა ცაავა - ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები მარტვილის მუნიციპალიტეტში 174
თამარი კვინიკაძე, მეგი გოგნიაშვილი - ბიზნეს სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი 180
ქეთევან ტაბუცაძე - ინტელექტუალურ-კომუნიკაციური ფუნქციის ფორმირება სამეცნიერო-ლინგვისტურ ტექსტებში 186
ნინო დიდიშვილი, ნინელი თევდორაშვილი - ფსიქოსოციალური დინამიკა ორგანიზაციაში 189
ანა კურტანიძე, ნინო დარსაველიძე, ლელა ბოჭოიძე - ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა ავიასაწარმოებში 193
ლია პიტიურიშვილი, ნელი სესაძე - გლობალური კატასტროფების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე 198
ხათუნა ბარბაქაძე - ფინანსური ლევერიჯი, როგორც კომპანიების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი 204
თამარ კბილაძე - ხელოვნური ინტელექტის გავლენა ფინანსურ სექტორზე საქართველოში 207
ნატო კაკაშვილი - დამატებული ღირებულების გადასახადის თავისებურებები საქართველოში 213
ნათია კახნიაშვილი - ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების თანმდევი რისკების შეფასების მოდელები 217
ეკატერინე ჭალაგანიძე - სოციალური რეკლამის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებისთვის (აქტუალური პრობლემები და ზემოქმედების ხერხები) 224
დავით დოლიძე - ტრანსნაციონალური მედიაკორპორაციების სტრუქტურირებული მოდელების გარდაქმნის ტენდენციები ციფრულ ეპოქაში 233
ცირა მიქატაძე, ელენე გარდავა - მდგრადი განვითარების გამოწვევები და სოციალური მეწარმეობა 239
თამარ ლაგვილავა, მაია სირაძე, ვალერი კატუკია - ციფრული ტრანსფორმაცია და მისი გავლენა ორგანიზაციულ მენეჯმენტზე 249
მადონა კანტიძე - გლობალიზაციის ფაქტორების გავლენა სოციალური ინოვაციების განვითარებაზე 253
თამარ ჩხაიძე - სწავლების ინტერაქციული მეთოდი კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებისთვის 258
ირინა კობახიძე - ინოვაციური მიდგომები სწავლების პროცესში 259
შორენა გვენეტაძე - მცირე და საშუალო ბიზნესი და საგადასახადო პოლიტიკა 261

გულნარა ჯანელიძე, ბადრი მეფარიშვილი, ნინო ბერიძე - მონაცემთა ტბები და Hadoop ტექნოლოგია დიდი მონაცემების განაწილებული დამუშავებისთვის 266
ლია ოტიაშვილი, ნანა საგინაშვილი - საბანკო-საფინანსო სექტორის გამოწვევები თუ საზოგადოების ფსიქოლოგიური ტერორი 273
ლარისა დოლიკაშვილი - ოვერტურიზმის გამოწვევები საერთაშორისო და შიდა ტურიზმში 278
ანი ბიბილური - მენეჯერული უნარების გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე 287
ლია ზამბახიძე - დოკუმენტალიტიკა, როგორც აუდიტორიაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი (საბჭოთა და ავტორიტარული მედიამოდელები) 292
სოსო გაზდელიანი - სოციალური რეკლამა მედიათეორიების კონტექსტში 298
დავით კობრავა - არასაკმარისი მონაცემების გამოწვევები და მათი გავლენა ბიზნეს გადაწყვეტილებებზე 306
ლევან ლევერაშვილი - სამუშაოს მომავალი - დისტანციური და ჰიბრიდული სამუშაო მოდელები 319
ქეთევან მდინარაძე - „მწვანე“ სამშენებლო სტანდარტების განვითარება გლობალური ESG ტრანსფორმაციის კონტექსტში 329
ვალერი მოსიაშვილი, ანა ბერიაშვილი - „მწვანე ეკონომიკა“ - რეალური საჭიროება თუ პოპულისტური ტენდენცია 336
დიმიტრი ცანავა - მტკიცებულებათა სტანდარტის ანალიზი სექსუალური შევიწროებისას 338
გიორგი მურადოვი - სემანტიკური მოთხოვნების დამუშავების ინოვაციური მეთოდები მონაცემთა ტბის ეფექტური მართვისთვის 346
გიორგი ცაავა, გოჩა აბუთიძე - საქართველოს ეროვნულ (სახელმწიფო) ბანკსა და საზედამხედველო კომერციულ ბანკებსა და სხვა სუბიექტებს შორის სანიმუშო საქმიანი ურთიერთობები საბაზრო ეკონომიკის პირობებში 352
ბექარ კილასონია - ფიცრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი განათლებაში 372
ლალი ოქროცვარიძე - საქართველო და მთის ტურიზმი 376
აკაკი ცერცვაძე - დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენის და აღკვეთის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები 380
თათია ბილისეიშვილი - ადამიანური კაპიტალის თეორიული ასპექტები 387
გიორგი გოგოხია - საარჩევნო გამოცდილება საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე მაგალითზე 392
ასმათ წერეთელი - ესეს ჟანრული ფორმა და მისი ადგილი სახელოვნებო და ლიტერატურულ პერიოდიკაში (საქართველოსა და ამერიკის მაგალითზე) 397
მაია ალადაშვილი - ცირკულარული ეკონომიკის პროექტების დაფინანსების თანმხლები რისკები და შესაძლო ფინანსური შედეგები 402
ნინო გრიგოლაია, ნინო გრიგალაშვილი - რეალობის პარადოქსი GIC ეკონომიკაში: შესაძლებლობები, გამოწვევები და დაძლევის გზები 405
თამარ ზუბიტაშვილი - გასტრონომიული ტურიზმის მნიშვნელოვანი ასპექტები საქართველოში 412
ლიანა ყანჩაველი, ანა ბოკუჩავა - ლოგისტიკური პროცესების ეფეტური მართვის ტენდენციები 414
ეკატერინე უკლება, სალომე გიორგაძე - გლობალიზაცია და საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები 421
ლევან კიკილაშვილი თენგიზ ლაჭყეპიანი - სამეცნიერო, სიტუაციური და როლური თამაშები და ინოვაციური სწავლების მეთოდები: უნარ-ჩვევების გაძლიერება XXI საუკუნეში 424
ხათუნა ელიაშვილი - სიბრძნის ფილოსოფია - შენს მაღალ "მე"-ში 433
ნანიკო ხარძიანი - სტუმარ მასპინძელი ვაჟა ფშაველას შემოქმედებაში 442
სამეცნიერო სტატიები
Tamar Gvadzabia - Digital Economy Development Trends 445

შალვა კუტუბიძე, ქეთევან ბერიაშვილი - რა არის ეკოტურიზმი? ეკოტურიზმის თანამედროვე კონცეფცია ……...……...… 447

CONTENTS

Giorgi Pareshishvili, Giorgi Mkheidze - Peace Policy of the Archbishop of Constantinople - New Rome and Ecumenical Patriarch Bartholomew 9
George Jintcharadze - Different political vectors of development in South Caucasian countries after independence and problems of delimitation and demarcation 15
Giorgi Pareshishvili - Islamic Radicalism as World Political Factor of destabilization of processes 23
Natia Bibilashvili - THE IMPACT OF CUSTOMER'S ESG PERCEPTIONS AND SELF-IDENTIFICATION ON COMMERCIAL BANKS' PERCEIVED PROFITABILITY. A CASE OF BALTICS 28
Akbar Ghafouri - Six Reading Strategies for Teaching Reading Skills 36
Omid Kardan - Best Practices for Dealing with Difficult Parents 37
Seyed Reza Abedi - Using Artificial Intelligence in English Language Teaching: A Qualitative Exploration 40
Ahmadreza Youneszadeh - From Stage to Classroom: Integrating Dramatic Arts for Effective English Language Learning 40
David Aslanishvili - An Implementation of an Economic Reforms in Georgia in 90's and the Shock Therapy (1991 – 1998) 43
Kristine Omadze - Georgia - Starting point of Economic Independence and economic Collapse of 1992 52
Nino Rukhaia-Mosemgvdlishvili, Elaheh Pouretesam - The Role of Social Media Influencers on consumer behavior in Asian countries 58
Seyed Reza Molaee - Educational Psychology 63
Nikoloz Darchiashvili - Corporate Culture as an Element of Organizational Development and Effectiveness 65
Davit Chakhavshvili - WORKING STRATEGIES FOR STAFFING WITH EXAMPLES 75
Eka Abesadze, Eka Rusieshvili - Artificial Intelligence Tools in Education 83
Zurab Kopaleishvili - Increasing the flight safety of rescue drones and helicopters with a device to prevent birds from getting into the engines 86
Givi Duchidze - The impact of communication on the process of improving management 88
Eter Mamatsashvili - Blockchain's Impact on Trade Finance: Shaping Global Commerce 94
Zurab Khonelidze - Innovative approach to conflict resolution 99
Giorgi Mkheidze - The crisis of neoliberal ideology in Western Europe 102
Nino Samchkuashvili, Tamar Dudauri - The role of Innovation in Ensuring Sustainable Business Development 109

Rusudan Kutateladze, Tengiz Bakhtadze, Ana Kobiashvili, Elza Vekua - Selection of Technologies for a Web Project 118
Guguli Kurashvili, Tamari Beridze, Medea Chelidze, Mzevinar Nozadze - Essential Challenges of the Educational System of Georgia 123
Manana Mchedlishvili - Threats and safeguards facing professional accountants in public practice 131
Ketevan Shengelia - Role of Artificial Intelligence in Management Field 137
Tamar Lazariashvili - Applications of innovations and new technologies in agriculture (Georgia) 140
Mariam Marghia - Formation of Georgian regional media and modern challenges 144
Naira Gvedashvili - Efficiency of Human Resources Management 149
Lia Antadze - An Innovative teaching method for 21st century classrooms 157
Nino Damenia, Levan Kistauri - The specifics and risks of the Georgian insurance market 161
Tengiz Lachkepiani, Maya Kiladze, Maia Lomishvili, Mtvarisa Tananashvil - Innovative Technologies in Agrotourism 169
Shorena Tsaava, Nana Tsaava - Development trends of tourism industry in Martvil municipality 174
Tamari Kvinikadze, Megi Gogniashvili – An analysis of the pros and cons of using artificial intelligence in the business sector 180
Ketevan Tabutsadze - The Formation of Intellectual and Communication Function in Scientific and Linguistic Texts 186
Nino Didishvili, **Nineli Tevdorashvili** - Psychosocial dynamics in the organization 189
Anna Kurtanidze, Nino Darsavelidze, Lela Bochoidze - Importance of human capital in aviation enterprises 193
Lia Pitiurishvili, Neli Sesadze - The impact of global disasters on the world economy 198
Khatuna Barbakadze - Financial leverage as a mechanism of providing companies with financial resources 204
Tamar Kbiladze - The impact of artificial intelligence on the financial sector in Georgia 207
Nato Kakashvili - Peculiarities of value added tax in Georgia 213
Natia Kakhniashvili - Risk Assessment Models Resulted by the Innovative Financial Instruments 217
Ekaterina Chalaganidze - The importance of Social Advertising in Modern Society: Current Issues and Methods of Influence 224
Davit Dolidze - Trends in the transformation of structured models of transnational media corporations in the digital age 233
Tsira Mikatadze, **Elene Gardava** - Challenges of Sustainable Development and Social Entrepreneurship 239
Tamar Lagvilava, Maia Siradze, **Valeri katukia** - Digital transformation and its impact on organizational management 249
Madona Kantidze - The Influence of Globalization Factors on the Development of Social Innovations 253
Tamar Chkhaidze - Interactive Teaching Method for the Development of Communicative Competence 258
Irina Kobakhidze - Innovative Approaches in the Teaching Process 259
Shorena Gvenetadze - Small and Medium-sized Enterprises and Tax Policy 261
Gulnara Janelidze, Badri Meparishvili, Nino Beridze - Data lakes and Hadoop technology for distributed processing of big data 266
Lia Otiashvili Nana Saginashvili - Challenges of banking and financial sector or psychological terror of society 273

Larisa Dolikashvili - Challenges of overtourism in international and domestic tourism 278
Ani Bibiluri - The Influence of Managerial Skills on the Organization's Activities 287
Lia Zambakhidze - Documentary film making as an instrument affecting on the audience (Soviet and autocratic media models) 292
Soso Gazdeliani - Social advertisement in the context of media theories 298
Davit Kobrava - Challenges of Insufficient Data and Their Impact on Business Decision-Making …….. 306
Levan Leverashvili - The Future of Work - Remote and Hybrid Work Models …… 319
Ketevan Mdinaradze - Development of "green" building standards in the context of global ESG transformation …….. 329
Valeri Mosiashvili, Ana Beriashvili - "Green economy" - a real need or a populist trend …… 336
Dimitri Tsanava - Analysis of the standard of proof in sexual harassment 338
Giorgi Muradovi - Innovative Semantic Query Processing Methods for Efficient Data Lake Management 346
Giorgi Tsaava, **Gocha Abutidze** - Model Business Relations Between the National Bank of Georgia and Supervised Commercial Banks and Other Entities in a Market Economy 352
Bekar kilasonia - Final Technologies and Artificial Intelligence in Education 372
Lali Okrotsvaridze - Georgia and mountain tourism 376
Akaki Tsertsvadze - Legal and practical aspects of detection and prevention of abuse of dominant position …… 380
Tatia Biliseishvili - Theoritical aspects of human capital …..…… 387
Giorgi Gogokhia - Media and electoral systems, on the example of Georgia and the world …… 392
Asmat Tsereteli - The genre form of the essay and its place in artistic and literary periodicals (on the example of Georgia and America) ……...……. 397
Maia Aladashvili - Expected Financial Effects and Risks Associated with Circular Economy Financing …… 402
Nino Grigolaia, Nino Grigalashvili - The Gig Economy's reality paradox: opportunities, challenges and solutions 405
Tamar Zubitashvili - Important aspects of gastronomic tourism in Georgia …….. 412
Liana Kanchaveli, Ana Bokuchava - Trends in Effective Management of Logistics Processes ……..….. 414
Ekaterine Ukleba Salome Giorgadze - Globalization and contemporary problems of international business …… 421
Levani Kikilashvili, Tengiz Lachkepiani - Scientific, Situational, and Role-Playing Games and Innovative Teaching Methods: Enhancing Skills in the 21st Century …… 424
Khatuna Eliashvili - The philosophy of wisdom - your high in "I" ……..…… 433
Naniko Khardziani - Guest host in the works of Vazha Pshavela ……..…… 442
Scientific articles
Tamar Gvadzabia - Digital Economy Development Trends 445
Shalva Kutubidze, Ketevan Beriashvili - What is ecotourism? The modern concept of ecotourism ……. 447

კონსტანტინოპოლის - ახალი რომის მთავარეპისკოპოსის და მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსის სამშვიდობო პოლიტიკა

Peace Policy of the Archbishop of Constantinople - New Rome and Ecumenical Patriarch Bartholomew

გიორგი ფარეშიშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი
გიორგი მხეიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი
Giorgi Pareshishvili - Caucasus International University
Doctoral student of political science
Giorgi Mkheidze - Caucasus International University
Doctoral student of political science

ანოტაცია. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I-ის სამშვიდობო პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე მსოფლიოში რელიგიათშორისი დიალოგისა და მშვიდობის ხელშეწყობაში. მოცემული კვლევა მიმოიხილავს მსოფლიო პატრიარქის ძირითად ინიციატივებს და მიდგომებს კონფლიქტების მოგვარების, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით. განხილულია მისი როლი სხვადასხვა რელიგიურ ლიდერებთან დიალოგის წარმოებაში, ასევე მისი ჩართულობა გარემოს დაცვის საკითხებში და ძალისხმევა მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის ერთიანობის შესანარჩუნებლად. გაანალიზებულია ბართლომეოსის სამშვიდობო პოლიტიკის გავლენა და მისი მნიშვნელობა გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობისთვის. ამასთან ერთად, მსოფლიოს პატრიარქის როლი გლობალური გარემო დაცვის ინიციატივებში. წარმოჩენილია არა ერთი ლიდერი პოლიტიკოსის შეხედულება, რომელიც ემსახურება მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსის მნიშვნელობას საერთაშორისო პოლიტიკური დღის წესრიგის სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

საკვანძო სიტყვები: მსოფლიო პატრიარქი, კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლური ეკლესია, რელიგიათაშორისი დიალოგი, ეკოლოგია.

Annotation. The peace policy of Ecumenical Patriarch Bartholomew I plays an important role in promoting interreligious dialogue and peace in the modern world. This study reviews the main initiatives and approaches of the Ecumenical Patriarch in the direction of conflict resolution and strengthening of international cooperation. His role in dialogue with various religious leaders is discussed, as well as his involvement in environmental issues and efforts to maintain unity among Orthodox churches. The impact of Bartholomew's peace policy and its importance for global peace and stability are analyzed. Along with this, the role of the Ecumenical patriarch in global environmental protection initiatives. The view of more than one leading politician is presented, serving the importance of Ecumenical Patriarch Bartholomew in ensuring the stability of the international political agenda.

Keywords: Ecumenical Patriarch, Orthodox Church of Constantinople, interreligious dialogue, ecology.

21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ლიდერი პოლიტიკოსების საკითხი, რომლებსაც მაღალი დონის პოლიტიკური კლასი და ნდობა უნდა გააჩნდეთ საერთაშორისო დონეზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კრიზისია პოლიტიკურ არენაზე. ამგვარი რეალობიდან გამომდინარე, საკუთარი ღვაწლისა და ავტორიტეტის გათვალისწინებით უდიდესი ფუნქცია გააჩნია კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარს, ბართლომეოსს. მისი სამშვიდობო პოლიტიკა დიდ როლს თამაშობს გლობალური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. მსოფლიო პატრიარქის სამშვიდობო პოლიტიკა შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე კონკრეტულ მიმართულებად:

1. საერაშორისო კონფლიქტების მოგვარება;
2. რელიგიათშორისი დიალოგის წარმოება;
3. გარემოს დაცვის პოლიტიკა;
4. სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა.

დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად და ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება სახელმწიფოებს შორის შეიარაღებული კონფლიქტები, დაპირისპირებები. ამგვარ მოცემულობაში უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია დიპლომატიას, მხარეებს შორის მოლაპარაკებებს. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი ჯერ კიდევ 90-იან წლებში, იუგოსლავიის დაშლის შემდგომ გაღვივებულ კონფლიქტებში ცდილობდა შეესრულებინა შუამავლის როლი სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ბალკანეთის რეგიონში. ამასთან ერთად, ცნობილია რომ დღესდღეობით საკმაოდ მძიმეა პოლიტიკური ურთიერთობაა თურქეთსა და საბერძენთს შორის, მას როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქს, არა ერთი მცდელობა ჰქონდა დიალოგის ხელშეწყობისა დაპირისპირებულ მხარეებს შორის. გარდა ზემოხსენებული დაპირსპირების კერებისა, მსოფლიო პატრიარქი[1] დაძაბულობის განმუხტვას ცდილობდა სხვადასხვა რეგიონებში - მაგალითად: ახლო აღმოსავლეთი, უკრაინა, სომხეთ-აზერბაიჯანი, საქართველო, ტაჯიკეთი და ა.შ. საყურადღებოა, რომ ბართლომეოსი არ იცავდა მხოლოდ ქრისტიანების ინტერესებს კონფლიქტურ ზონებში, იგი ასევე მხარს უჭერდა საკუთარი ყველა რესურსით მუსლიმებს, ებრაელებს, ბუდისტებს და სხვადასხვა რეგლიგიურ უმცრისებობს, ამის ნათელი გამოვლინება შეგვიძლია თურქეთის მაგალითზე გავიხსენოთ.

აღსანიშნავია მსოფლიო პატრიარქის ჩართულობა მართლმადიდებლური ეკლესიების შიდა საეკლესიო კონფლიქტებში. უკრაინის შიდა საეკლესიო კონფლიქტში, ბართლომეოსმა[2] გადამწყვეტი ფუნქცია იქონია. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭება განაპირობა უკრაინაში გრძელვადიანმა საეკლესიო განხეთქილებამ. 2019 წელს ყოვლადუწმინდესმა ბართლომეოსმა უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურს, ეპიფანეს ოფიციალურად გადასცა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ტომოსი - საეკლესიო დოკუმენტი. ტომოსს, საჯაროდ მოაწერა ხელი კონსტანტინოპოლის პატრიარქმა. გარდა წმინდა წყლის რელიგიური აქტისა, აღნიშნულ გადაწყვეტილებას მსოფლიო პატრიარქის მხრიდან უდიდესი დატვირთვა ჰქონდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან წლების მანძილზე, სსრკ-ის დაშლის შემდგომ, უკრაინას არა ერთი მცდელობა ჰქონდა, რომ მოსკოვისგან, მისი ეკლესიისგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მას შემდეგ რაც 2022 წელს რუსეთის ფედერაციამ სამხედრო ინტერვენცია განახორციელ უკრაინის

[1] იოანე ხრისავგისი, ბართლომეოსი - მოციქული და წინასწარმხედველი, *გამომცემლობა ინტელექტი,* თბილისი, 2023. გვ.56.

[2] მსოფლიო პატრიარქმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს ავტოკეფალიის ტომოსი გადასცა, 06.01.2019, https://1tv.ge/news/msoflio-patriarqma-ukrainis-martlmadidebeli-eklesiis-metaurs-avtokefaliis-tomosi-gadasca/

ტერიტორიაზე, ყოვლადუწმინდესმა ბართლომეოსმა[3] საჯაროდ განცხადებით გააკრიტიკა რუსეთის ფედერაცია და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია უკრაინის ტერიტორიაზე შეჭრის გამო. მსოფლიო პატრიარქმა, რუსეთის ეს ქმედება შეაფასა, როგორც დანაშაული და დასძინა, რომ ამგვარი რეალობა უდიდეს ტანჯვას იწვევს, როგორც უკრაინელ, ის რუსულ საზოგადოებაში.

გარდა უკრაინული ეკლესიის შიდა კონფლიქტისა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მეთაური აქტიურად იყო ჩართული ჩრდილოეთ მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში. 2022 წელს[4], კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დაასრულა სქიზმა ჩრდილოეთ მაკედონიის ეკლესიასთან და მაკედონიის მართლმადიდებლური ეკლესია (ოჰრიდის მართლმადიდებლობა) ოფიციალურად აღიარა ჩრდილოთ მაკედონიის კანონიკურ იურისდიქციად. ეს არ ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ მაკედონიის ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია, თუმცა ამგვარი საეკლესიო ავტონომიის მინიჭება იზოლაციის შემდგომ უდიდეს წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ჩრდილოეთ მაკედონიის ეკლესიისთვის. ცნობილი ფაქტია, რომ მაკედონიის მართლმადიდებლური ეკლესია დაშორდა სერბეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას 1960-იან წლებში, თუმცა მის საკლესიო დამოუკიდებლობას და ავტონომიურობას არავინ აღიარებდა მართლმადიდებლურ სამყაროში. ამგვარ მოცემულობას წერილი დაუსვა მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინდომა, ბართლომე I-ის თავმჯდომარეობით. აღსანიშნავი ფაქტია, რომ მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი 90-იან წლებშიც აქტიურად მონაწილეობდა ესტონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციასთან დაკავშირებული დავის მოგვარებაში. აქედან გამომდინარე, უკრაინისა და მაკედონიის საკითხი ახალი პრეცენდენტი არ გახლავთ, მსოფლიო პატრიარქი ყოველთვის საკუთარ ფუნქციას ახორციელებდა სხვადასხვა სახის შიდა საეკლესიო დავების მოგვარების პროცესში, რომლის არა ერთი მაგალითი მოიძებნება.

მსოფლიო პატრიარქს, სხვადასხვა სახის წერილში თუ საჯარო გამოსვლაში არა ერთხელ გაუმახვილებია ყურადღება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე, ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემაზე. პერიოდულად აქტიურდება საუბარი მოსკოვის მხრიდან აფხაზეთის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხზე, რასთან მიმართებაში მსოფლიო პატრიარქს მკაფიო პოზიცია გააჩნია. ამ თემასთან დაკავშირებით, 2021 წელს[5] მან განაცხადა, რომ რუსეთს არ აქვს უფლება ევტოკეფალია მიანიჭოს არც აფხაზეთს და არც არავის. მსოფლიოს პატრიარქის განცხადებით, ამის უფლება მხოლოდ და მხოლოდ ექსკლუზიურად კონსტანტინოპოლის ეკლესიას გააჩნია, რაც დადასტურებულია კანონიკურ დონეზე. ბართლომეოსი თვლის, რომ ანტიკანონიკურია რუსეთის ეკლესიის ჩარევა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთისა ეკლესიების საკითხებში, ვინაიდან ისინი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას შემადგენელი ნაწილი არიან. ყოვლადუწმინდესი მღვდელმთავრისთვის ყოვლად დაუშვებელია რუსეთის ეკლესიის ჩარევა საქართველოს შიდა საქმეებში და იგი თვლის, რომ რუსეთის ეკლესიამ, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ინტერვენცია, საქართველოს რეგიონებში ბოროტად გამოიყენა. მეტად მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი ფაქტია, რომ 2022 წლის

[3] Alya Shandra, Russian Orthodox Church shares responsibility for Russia's aggression – Ecumenical Patriarch, 23.03.2023, https://euromaidanpress.com/2023/03/23/russian-orthodox-church-shares-responsibility-for-russias-aggression-ecumenical-patriarch/

[4] Constantinople Ends Schism with North Macedonia Church, May 10, 2022, https://balkaninsight.com/2022/05/10/constantinople-ends-schism-with-north-macedonia-church/

[5] მსოფლიო პატრიარქი: რუსეთს არ შეუძლია ავტოკეფალია მიანიჭოს არც აფხაზეთს და არც არავის, 2 მაი, 2021, https://tabula.ge/ge/news/666708-msoplio-patriarki-rusets-ar-sheudzlia-avtokepalia

23 ნოემბერს[6] კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური, საქართველოს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა. 2022 წლის 18 ივლისს, სსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით „მსოფლიოში მშვიდობისა და ქრისტიანობის განმტკიცების, ეკოლოგიის, საეკლესიო სამართლის სამეცნიერო დარგების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, რელიგიათა და ცივილიზაციათა დიალოგის მხარდაჭერის, ლტოლვილთა, დევნილთა და ომებით დაზარალებულთა თანადგომის, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მთლიანობისა და ერთიანობის დაცვისათვის, საპატრიარქო მოღვაწეობის 30-ე საიუბილეო წელთან დაკავშირებით, უახლესი ისტორიის აღიარებულ თეოლოგსა და მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელს – სასულიერო ლიდერს, საზოგადო მოღვაწეს, კონსტანტინოპოლის-ახლისა რომის მთავარეპისკოპოსსა და მსოფლიო პატრიარქს, მის ყოვლადუწმინდესობა ბართლომე I-ს“ მიენიჭა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსის სახელს უკავშირდება ინტერრელიგიური დიალოგებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზება. მისი ინიციატივით და მხარდაჭერით არა ერთი მნიშვნელოვანი რელიგიათაშორისი კონფერენცია განხორციელდა. შეგვიძლია ამის მაგალითზე კონკრეტული მეტად მნიშვნელოვანი კონფერენციები გავიხსენოთ. მაგალითად, საერთაშორისო კონფერენცია[7] მშვიდობასა და შემწყნარებლობაზე, 1994 წელს. ეს გახლდათ პირველი საერთაშორისო კონფერენცია შემწყნარებლობაზე. მიღებული იქნა „ბოსფორის დეკლარაცია“, რომლის მიზანი იყო დაგმობლიყო ყველა ეთნიკური კონფლიქტი, როგორც ისლამის, იუდაიზმისა და ქრისტიანული რელიგიების ღირებულებებთან სრულიად შეუთავსებელი. ასევე განსაკუთრებული მოვლენა იყო ბრიუსელის დაკლარიაცია, რომელიც 2001 წელს საერთაშორისო კონფერენციაზე იქნა მიღებული. კონფერენციის თემატიკა მშვიდობიან თანარსებობას ეხებოდა, რასაც სამი თვის წინ თან სდევდა 11 სექტემბრის უდიდესი მასშტაბის ტერორისტული აქტი აშშ-ში. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ ზემოხსენებული რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები. ასევე მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ბაჰრეინის დეკლარაცია - საერთაშორისო კონფერენცია: რელიგიის როლი მშვიდობიან თანაარსებობაში, 2002 წელს. მსოფლიო პატრიარქის ეს და შემდგომში განხორციელებული სამშვიდობო აქტივობები ყოველთვის ატარებდა ძალადობის საწინააღმდეგო ხასიათს. ბუნებრივია რომ ეს ყოველივე საკუთარი შინაარსით მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო პოლიტიკას ემსახურებოდა.

უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია მსოფლიო პატრიარქის აქტივობებს რელიგათაშორისი დიალოგის მიმართულებით. იგი ყოველთის აქტიურად უჭერდა მხარს და დღესაც უჭერს სხვადასხვა რელიგიებს შორის ინტერრელიგიურ დიალოგს, განსაკუთრებით ისლამსა და ქრისტიანობას შორის, რაც მიზნად ისახავს სხვადასხვა სახის რელიგიური კონფლიქტების პრევენციას. ბართლომეოსმა[8], მისი წინამორბედების, ათინაგორასა და დიმიტრიოსის მსგავსად განაგრძო შეხვედრები რომის პაპებთან, ეკლესიებს შორის ურთიერთობის მეტად დასაახლოებლად. პირველად, ბართლომეოსის შეხვედრა შედგა რომის პაპ იოანე პავლე

[6] მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა, 23.11.2022, https://www.newsite.sou.edu.ge/en/content/1659/1851/msoflio-patriarqi-barTlomeos-I-soxumis-saxelmwifo-universitetis-sapatio-doqtori-gaxda

[7] იოანე ხრისავგისი, ბართლომეოსი - მოციქული და წინასწარმხედველი, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2023. გვ.57-61.

[8] Bartholomew I, Last Updated: Sep 9, 2024, https://www.britannica.com/biography/Bartholomew-I

მეორესთან 1995 წელს. ცნობილი ფაქტია, რომ 2004 წელს რომში გამართულ შეხვედრაზე, იოანე პავლე მეორემ გადასცა ბართლომეოსს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა და წმინდა იოანე ოქროპირის კუთვნილი სიწმინდეები. შემდგომში, ასევე გაგრძელდა მსოფლიო პატრიარქის მჭიდრო კავშირის პაპ ბენედიქტ XVI-თან. ამ პერიოდში, მსოფლიო პატრიარქი ბართლომესი მონაწილეობდა ვატიკანის ხელმძღვანელობით რელიგიათაშორის სამშვიდობო სამიტებში. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ დიდი სქიზმის შემდეგ, ფაქტობრივად ბართლომეოსია პირველი კონსტანტინოპოლის მეთაური, რომელიც ესწრებოდა 2019 წელს ახალი რომის პაპის, ფრანცისკეს ინტრონიზაციას. ბართლომეოსმა თავისი აღსაყრდების პირველი დღიდან მოყოლებული დიდი რესურსი დახარჯა, რომ აღდგენილ დიალოგებს რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შედეგი გამოეღო. ფაქტია, რომ მრავალ წლიანი დისტანციის შემდეგ, განხორციელებულმა2 დიალოგებმა და ვიზიტებმა შედეგი გამოიღო.

ბართლომეოსი[9] ასევე მრავალრიცხოვან პროტესტანტულ ჯგუფებთანაც აწარმოებდა დიალოგს. მან გააცანო პროტესტანტებს საკუთარი ხედვა ქრისტიანული ერთობის შესახებ. ამის ნათელი დადასტურება იყო 1995 წლის დეკემბერში უესტმინსტერის სააბტოში მსოფლიო პატრიარქის გამოსვლა, მოხსენებაში მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი ქრისტიანული ერთობის კონტურები. მსოფლიო პატრიარქი, ქრისტიანულ ხილულ ერთობას ხედავს თეოლოგიურ, ბიბლიურ და სულიერ ჭრილში. მშვიდობიანი თანარსებობისა და სტაბილურობის პერსპექტივის მოტივიდან გამომდინარე ახორციელებს ბართლომეოსი აქტიურ დიალოგს რომის კათოლიკე ეკლესიასთან და ანგლიკანურ ერთობასთან, ასევე სხვადასხვა კონფესიებთან.

მსოფლიო პატრიარქმა საკუთარი სოციალური პოლიტიკის განუყოფელ და მთავარ ნაწილად აქცია გარემოსადმი ზრუნვა, გარემოს დაცვა. აქედან გამომდინარე, მას დღესდღეობით „მწვანე პატრიარქს“ უწოდებენ. 1993 წელს[10], ბართლომეოსმა დაარსა რელიგიური და სამეცნიერო კომიტეტი, რაც საფუძველი იყო შემდგომში „რელიგია, მეცნიერება და გარემოსი“. ეს ყოველივე ემსახურებოდა, თეოლოგიას, მეცნიერებას და მთავარი საზრუნავი ეკოლოგიური კრიზისის შედეგები იყო. ამ ყოველივეს მოჰყვა არა ერთი გზის თეამტური სიმპოზიუმების ორგანიზება, რომელიც ეკოლოგიასა და გარემოს დაცვის თემებს ეხებოდა. ჯამში, რელიგიის, მეცნიერებისა და გარემოს დაცვის კომიტეტმა რვა საერთაშორისო ინტერდისციპლინური და რელიგიათშორისი სიმპოზიუმი განახორციელა. ერთ-ერთი გარდამტეხი მომენტი[11], გახლდათ 1997 წელი, როცა მსოფლიო პატრიარქმა საჯაროდ დააფიქსირა ეკოლოგიური ცოდვის იდეა, რომელიც დაკავშირებულია: ადამიანების მიერ ღვთის ქმნილებების გადანგურებასთან, ადამიანების ქცევებით კლიმატის ცვლილებების ხელშეწყობასთან, მწვანე სივრცეების გადანგურებასთან, დაბინძურება წყლების, ჰაერის და მიწის სხვადასხვა მომწამვლელი ნივთიერებებით. ეს ყოველივე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ბართლომეოსმა ცოდვასთან დააკავშირა. 2012 წლიდან მოყოლებული დღემდე, მსოფლიო პატრიარქის მიერ ინიცირებული რელიგიათაშორისი დიალოგიების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა გარემოს დაცვის მიმართულება.

მსოფლიო პატრიარქის შეხედულებით, ეკოლოგიასთან ადამიანის არა ჯანსაღი დამოკიდებულება მისი ეგოცენტრულობით, ეგოიზმით, არასწორი ღირებულებებით და არა სათნოებით არის განპირობებული. ყოვლადუწმინდესი ბართლომეოსი, ამ ყოველივეს აკავშირებს დღევანდელი თანამედროვე რეალობის გადაჭარბებულ დამოკიდებულებაზე

---

[9] იოანე ხრისავგისი, ბართლომეოსი - მოციქული და წინასწარმხედველი, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2023. გვ.120-123.

[10] იქვე, 252-256.

[11] Dr. Chris Durante, The Green Patriarch and Ecological Sin, September 3, 2021, https://publicorthodoxy.org/2021/09/03/green-patriarch-and-ecological-sin/

ეკონომიკურ კეთილდღეობასთან მიმართებაში, სადაც ადამიანის მისწრაფებები მიმართულია მატერიალური და ფინანსური ზრდისკენ, ეთიკური და ფსიქო-სულიერი მდგომარეობის ხარჯზე. მსოფლიო პატრიარქი ასაბუთებს, რომ ეს ყოველივე აცდენილია ქრისტიანულ ეთიკასთან, აქ იკვეთება სიხარბის მანკიერება, მომხვეჭელობა, გამდიდრებისკენ და მაქსიმალური მოხმარებისკენ სწრაფვა. ასეთი მოცემულობიდან გამომდინარე, ბართლომეოსი აკრიტიკებს ნეოლიბერალურ ეკონომიკურ მოდელს, ვინაიდან ამ ეკონომიკურმა პოლიტიკამ 1970-1980-იან წლებში ფესვი გაიდგა და დომინანტური პარადიგმა გახდა საერთაშორისო დონეზე. იგი თვლის, რომ ნეოლიბერალური ეკონომიკური მოცემულობის შედეგად, ადამიანში იმდენად დამკვიდრდა ეკონომიკური ღირებულები, რომ მისი სოციალური დღის წესირიგი სრულიად მატერიამ და მატერიალურმა კეთილდღეობამ განსაზღვრა, ამის ფონზე კი, დაითრგუნა ქრისტიანული ტრადიციის ფასეულობები. მსოფლიო პატრიარქი აუცილებლად თვლის რომ ადამიანებმა უნდა გააცნობიერონ ეკონომიკური სისტემა, რომელშიც დღესდღეობით კაცობირობა ცხოვრობს, რომ იგი სრულიად სიხარბეზეა დაფუძნებული. მისი ეკონომიკური მოდელი და სისტემა კი, ეკო სისტემას ეკონომიკური განვითარების სახელით ანადგურებს. მსოფლიო პატრიარქის მოწოდებები ეკოლოგიასთან მიმართებაში ეფუძნება გულწრფელ გრძნობას, რომ ადამიანთა აზროვნება, ორიენტირი გასცდეს სოციალურ-ეკონომიკურ მისწრაფებებს და სწორი ღირებულებათა სისტემა იქნას ადამიანებში მათი აზროვნების მთავარი განმსაზღვრელი. მსოფლიო პატრიარქისთვის მეტად პრიორიტეტულია სოციალური სამართლიანობა. ბართლომეოსი ხაზს უსვამს სოციალური სამართლიანობის მნიშვნელობას და მხარს უჭერს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს სიღარიბისა და უთანასწორობის წინააღმდეგ.

საყურადღებოა რომ მსოფლიო პატრიარქის მწვანე პოლიტიკას დადებითად აფასებენ პოლიტიკური პარტიები, ლიდერები და სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები. რომის პაპმა ფრანცისკემ[12], 2015 წელს თავის გარემოსდაცვით ენციკლიკაში აციტირა ბართლომეოსის მოწოდება, როგორც ნათელი მაგალითი, სადაც ჩანს ეკოლოგიის განუსაზღვრელი მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები დღევანდელ რეალობაში. რომის პაპი იზიარებს მსოფლიო პატრირქის პათოსს ადამიანის ცოდვისა პლანეტისა და გარემოს წინაშე.

ფაქტი ერთია, რომ კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის ქმედებები არა ერთი მიმართულებით ემსახურება მშვიდობის უზრუნველყოფას, როგორც ეკლესიურ, ისე საერო დონეზე. ბართლომეოსის როლი და ჩართულობა თანამედროვე მსოფლიოს მშვიდობიანი განვითარებისთვის განუზომლად დიდია, რომელიც დასტურდება მისი საქმიანობით და კონკრეტული ქმედებებით კონკრეტულ კრიზისულ მოცემულობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იოანე ხრისავგისი, ბართლომეოსი - მოციქული და წინასწარმხედველი, *გამომცემლობა ინტელექტი,* თბილისი, 2023;
2. მსოფლიო პატრიარქმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს ავტოკეფალიის ტომოსი გადასცა, 06.01.2019, https://1tv.ge/news/msoflio-patriarqma-ukrainis-martlmadidebeli-eklesiis-metaurs-avtokefaliis-tomosi-gadasca/ ;

[12] იოანე ხრისავგისი, ბართლომეოსი - მოციქული და წინასწარმხედველი, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2023. გვ.241-245.

3. მსოფლიო პატრიარქი: რუსეთს არ შეუძლია ავტოკეფალია მიანიჭოს არც აფხაზეთს და არც არავის, 2 მაი, 2021, https://tabula.ge/ge/news/666708-msoplio-patriarki-rusets-ar-sheudzlia-avtokepalia

4. მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა, 23.11.2022, https://www.newsite.sou.edu.ge/en/content/1659/1851/msoflio-patriarqi-barTlomeos-I-soxumis-saxelmwifo-universitetis-sapatio-doqtori-gaxda ;

5. Alya Shandra, Russian Orthodox Church shares responsibility for Russia's aggression – Ecumenical Patriarch, 23.03.2023, https://euromaidanpress.com/2023/03/23/russian-orthodox-church-shares-responsibility-for-russias-aggression-ecumenical-patriarch/ ;

6. Constantinople Ends Schism with North Macedonia Church, May 10, 2022, https://balkaninsight.com/2022/05/10/constantinople-ends-schism-with-north-macedonia-church/ ;

7. Bartholomew I, Last Updated: Sep 9, 2024, https://www.britannica.com/biography/Bartholomew-I ;

8. Dr. Chris Durante, The Green Patriarch and Ecological Sin, September 3, 2021, https://publicorthodoxy.org/2021/09/03/green-patriarch-and-ecological-sin/

დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების განვითარების განსხვავებული პოლიტიკური ვექტორები და დელიმიტაცია-დემარკაციის პრობლემები

Different political vectors of development in South Caucasian countries after independence and problems of delimitation and demarcation

გიორგი ჯინჭარაძე - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

George Jintcharadze - First Deputy Minister of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia
Caucasus International University

აბსტრაქტი. გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიის რეგიონი მუდმივად წარმოადგენდა საერთაშორისო დომინანტი მოთამაშეთა ინტერესის არეალს. ისტორიული გამოცდილებამ აჩვენა, რომ საუკუნეების მანძილზე გარე აქტორების ინტერესები განაპირობებდა რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ კურსსა და ვექტორს. მას შემდეგ, რაც საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მათ მიერ განსაზღვრულმა, ერთმანეთისგან განსხვავებულმა საგარეო-პოლიტიკურმა ვექტორებმა განაპირობეს მათი პოლიტიკური განვითარების პრობლემები. კვლევაში დეტალურად არის განხილული, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების მიერ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საგარეო პოლიტიკური ვექტორების ჩამოყალიბების საფუძვლები, საერთაშორისო დომინანტი აქტორების ინტერესების კვეთის შედეგად წარმოქმნილი განსხვავებული პოლიტიკური განვითარება და დელიმიტაცია/დემარკაციის საკითხებში არსებული პრობლემატიკა.

პოსტ-ბიპოლარული მსოფლიოში, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოავლინეს როგორც რეგიონალურმა (რუსეთი, თურქეთი, ირანი), ასევე

არარეგიონალურმა (აშშ, ევროკავშირი, ნატო, ჩინეთი) აქტორებმა. შესაბამისად, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნები დადგნენ საგარეო კურსის არჩევის წინაშე, რასაც წინ უძღოდა რეგიონში არსებული ეთნიკური კონფლიქტები. საქართველომ კონსტიტუციურად განსაზღვრა მისი მისწრაფება გახდეს ევრო-ატლანტიკური სივრცის ნაწილი, შესაბამისად, მან დაამყარა სტრატეგიული დონის ურთიერთობები დასავლეთთან (აშშ და ევროკავშირი). თავის მხრივ, სომხეთმა შეინარჩუნა ურთიერთობები რუსეთთან და გარკვეული ეკონომიკური სარგებელისა და უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ არჩევანი გააკეთა მოსკოვთან დაახლოებაზე და რფ-ის ევრაზიული ეკონომიკურ კავშირშის სტრუქტურებში ინტეგრაციაზე. ხოლო პოსტ-საბჭოთა მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, აზერბაიჯანმა არჩევანი გააკეთა ნეიტრალიტეტზე, პარალელურად კი დაამყარა და განავითარა სტრატეგიული ურთიერთობები თურქეთთან. განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორების ჩამოყალიბებითა და რეგიონში გარე აქტორების ინტერესების შეუთავსებლობით, პოლიტიკური განვითარების პრობლემებმა იჩინა თავი, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია რეგიონის დესტაბილიზაციასა და უსაფრთხოებაზე.

კვლევაში ასევე განხილულია, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს შორის, გარე აქტორების ინტერესების შეუსაბამობითა და განსხვავებული საგარეო პოლიტიკური ვექტორებით წარმოქმნილი დელიმიტაცია/დემარკაციის პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასიის რეგიონი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, საერთაშორისო პოლიტიკა, საზღვრის დელიმიტაცია/დემარკაცია, მრავალ ვექტორული საგარეო პოლიტიკა (Multi-Vector Foreign Policy).

Abstract. The South Caucasus region has always been an area of interest of the Dominant International actors due to its geopolitical and strategic location. The historic experience has shown, that for centuries, the interests of the external powers have always determined the foreign policy course of the countries represented in the above mentioned region. After Azerbaijan, Georgia and Armenia gained independence as the result of the collapse of the Soviet Union, the determination of their different foreign political vectors have faced problems in their political development. The research provides details regarding the evolvement of the foreign political vectors of the South Caucasus countries, after the fall of the USSR, also, the different political developments caused by the intersection of the interests of international dominant actors and problematic issues regarding delimitation/demarcation.

In the post-bipolar world, after the collapse of the Soviet Union, both regional (Russia, Turkey, Iran) and non-regional (USA, EU, NATO, China) powers have showed special interest towards The South Caucasus region. Accordingly, after gaining independence, the countries of the region were faced with choosing a foreign policy course, which were preceded by ethnic conflicts in the region. Georgia has defined its aspiration to become a part of the Euro-Atlantic space on the constitutional level, therefore, it has established strategic level relations with the West (USA and EU). On the other hand, Armenia maintained relations with Russia and in exchange for certain economic benefits and security guarantees, chose to deepen ties with Moscow and integrate the country into the structures of the Eurasian Economic Union initiated by the Russian Federation. Unlike the post-Soviet neighboring countries, Azerbaijan chose neutrality, and at the same time, established and developed strategic relations with Turkey. Due to the preference of different foreign political vectors and incapability of interests of the external powers in the region, the South Caucasus has been facing security issues and destabilization.

The study also discusses the delimitation/demarcation problems between the countries of the South Caucasus region, caused by the inconsistency of the interests of external actors and different foreign political vectors.

Keywords: South Caucasus region, Azerbaijan, Georgia, Armenia, international politics, border delimitation/demarcation, Multi-Vector Foreign Policy.

ცნება სამხრეთ კავკასია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩნდება და მოიაზრებს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გეოპოლიტიკურ სივრცეს. მანამდე, რუსეთის იმპერიის პერიოდში ჩამოყალიბდა ტერმინი კავკასიის სივრცე, რომელიც მოიაზრებდა კავკასიონის მთავარ ქედს და მის ირგვლივ გეოგრაფიულ არეალს. თუმცა, მოგვიანებით როგორც მეფის რუსეთის, ასევე საბჭოთა კავშირის პერიოდში გაჩნდა ტერმინი ე.წ. „Закавказье" - სამხრეთ კავკასიის აღმნიშვნელი ტერმინი, ანუ კავკასიონის ქედს გადაღმა, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის დღევანდელი გეოგრაფიული არეალი. აღნიშნული პირდაპირ გულისხმობდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს. სახმრეთ კავკასიის

ქვეყნების დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ტერმინი ამიერკავკასია აღარ იხმარება და პოლიტიკურ ლექსიკონში ჩნდება ტერმინი სამხრეთ კავკასია.[13]

1990 წელს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, ბიპოლარული მსოფლიო გადანაწილება დასრულდა და უზარმაზარი სივრცის აქტორი საბჭოთა კავშირი დაიშალა. შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ახალი პოლიტიკური გამოწვევისა და არჩევანის წინაშე დადგნენ. ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოებისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში საგარეო ვექტორები ჩამოეყალიბებინათ და პოლიტიკური განვითარებისთვის სათანადო მყარი ფუნდამენტი შეექმნათ. ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არა მხოლოდ რუსეთმა, არამედ სხვა ძლიერმა აქტორებმა - აშშ-მ, თურქეთმა, ევროკავშირმა და ა.შ. შესაბამისად, გარე აქტორებისთვის სამხრეთ კავკასია გადაიქცა საკუთარი გავლენების განმტკიცებისა და ნდობის მოპოვებისთვის საჭირო სცენარების გათამაშების არეალად. აღნიშნულ რთულ პროცესში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული საგარეო ვექტორები აირჩიეს, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა რეგიონის დესტაბილიზაცია და წარმოშვა კონფლიქტები, რომელიც დღემდე გადაუჭრელი და მოუგვარებელია.[14]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა საკუთარი საგარეო ვექტორების ჩამოყალიბებით, საფუძველი დაუდეს ისეთ კონფლიქტებს, როგორიცაა საქართველოსთვის - აფხაზეთის კონფლიქტი, აზერბაიჯანისა და სომხეთისთვის კი - მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. სუვერენიტეტის განმტკიცებისა და უსაფრთხოების სტაბილურობის მიზნით, საქართველომ საკუთარი საგარეო ვექტორი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთს დაუკავშირა, რადგან აფხაზეთის კონფლიქტმა ცხადყო რუსეთის მიზნები საქართველოს მიმართ. თავის მხრივ, აზერბაიჯანმა აქცენტი „ერთი ერი - ორი სახელმწიფოს“ პრინციპით თურქეთის სახელმწიფოს მოარგო. სომხეთი კი რუსეთის სატელიტად ჩამოყალიბდა.

ბიპოლარული სამყაროს გადანაწილება, „ცივი ომის“ შემდეგ დასასრულს მიუახლოვდა და 1990 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა. შესაბამისად, პოლიტიკური თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-მ და მისმა დემოკრატიამ კომუნიზმის წინააღმდეგ უპირობო გამარჯვება მოიპოვა. მაშასადამე, დასავლეთისთვის სამხრეთ კავკასია ახალ პოლიტიკურ სივრცედ აღმოცენდა, სადაც საკუთარი დემოკრატიის განვითარებისთვის მყარი ფუნდამენტის დაშენება შეეძლო. თუმცა, რუსეთმა რეგიონის სტრატეგიული მდებარეობის და მნიშვნელობიდან გამომდინარე, დასავლეთს არ მისცა საშუალება საფუძვლიანად ფეხის მოკიდების და საპირწონედ, რეგიონში დესტაბილიზაციის მიზნით, კონფლიქტების ესკალაცია მოახდინა (აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი). აშშ-მ სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკუთარი გავლენის განმტკიცების ზონად საქართველო შეარჩია და სტრატეგიულ პარტნიორობას ჩაუყარა საფუძველი.[15]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი საკუთარი სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას განსხვავებული პოლიტიკური ვექტორების ჩამოყალიბებით შეეცადნენ. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რუსეთი სამხრეთ კავკასიას მაინც საკუთარი გავლენის ქვეშ მყოფ რეგიონად მიიჩნევდა და დასავლეთის

[13] Gachechiladze, R. 2010. "Geopolitics in the South Caucasus: Local and External Players." Geopolitics.

[14] პიპინაშვილი, დავით. 2009. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

[15] Cohen, Stephen F. n.d. Failed Crusade: America and the Tragedy of Post-Communist Russia. 2001: W. W. Norton & Company.

მიერ განხორციელებული პოლიტიკური სვლების მიუხედავად, რეგიონში საკუთარი პოლიტიკური კლიმატის გავრცელებას ცდილობდა. თუმცა, წლების მანძილზე სამხრეთ კავკასიაში აშშ, როგორც პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე კაპიტალდაბანდებითა და სამხედრო მხარდაჭერით რუსეთი უკან ჩამოიტოვა და პოლიტიკურ ავანსცენაზე ლიდერად მოგვევლინა.

1990-იან წლებში აშკარა გახდა აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირისპირება. სამხრეთ კავკასიის რეგიონში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ კი - საქართველოსთვის აფხაზეთის კონფლიქტმა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მთიან ყარაბაღში დაპირისპირებამ, ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ვექტორები. აზერბაიჯანიც, საქართველოც და სომხეთიც მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, ეძებდნენ მოკავშირე, საერთაშორისო პოლიტიკის ძლიერ აქტორებს, რომელთა საშუალებითაც მოახერხებდნენ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, სუვერენიტეტის განტკიცებასა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.

საქართველო დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ აღმოჩნდა პოლიტიკურად რთულ სიტუაციაში, რადგან რეგიონში სხვადასხვა გარე აქტორების პოლიტიკური საბრძოლო არეალი შეიქმნა. ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საკუთარი გავლენის განმტკიცების მცდელობა და შედეგად, მოახდინა აფხაზეთის კონფლიქტის ესკალაცია, რის შემდეგაც საქართველომ მკაფიოდ დაუკავშირა საკუთარი პოლიტიკური კურსი აშშ-სა და დასავლეთს. ოფიციალური ვაშინგტონისა და თბილისის სტრატეგიულმა პარტნიორობამ დიდი როლი ითამაშა 1999 წელს ბათუმი-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების პროექტების განხორციელებაში. შესაბამისად, საქართველო რეგიონში ჩამოყალიბდა როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი დერეფანი. 1999 წლის ეუთო-სტამბოლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, ვაზიანისა და გუდაუთის ბაზების გაუქმების შესახებ, კი ასევე აშშ-ს მიზანმიმართული ძალისხმევით განხორციელდა.[16]

წლების მანძილზე ორ ქვეყანას შორის წარმატებით ვითარდებოდა, როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე სამხედრო და ეკონომიკური ურთიერთობები. აღსანიშნავია, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, საქართველო რეგიონში გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც ყველაზე აქტიურად ჩაერთო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და აშშ-სა და ნატოს ეგიდით, ავღანეთსა და ერაყში რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე დიდი კონტიგენტი გააგზავნა.

შედეგად, საქართველო რეგიონში ჩამოყალიბდა როგორც აშშ-ს სატელიტი ქვეყანა და დღემდე ინარჩუნებს სტრატეგიულ პარტნიორობას.

Annotation. Trade financing facilitates global commerce but involves antiquated systems reliant on manual paperwork, limited transparency between parties, and financing constrained to assets already held by major institutions. Blockchain delivers a Trade Finance Automation opportunity to transform trade finance through cryptographic trust mechanisms, transparent documentation via distributed ledgers, tokenization of assets into tradable crypto instruments, automation by smart contracts, and decentralized financing capacity. The result is needless friction through every cross-border transaction - limited transparency leads to delays in validating documentation or assets, financing remains restricted to major players, and settlement limps along a web of intermediaries. These inefficiencies impose billions in costs through delayed transactions, financing fees, and revenue losses.

Blockchain in Trade Finance Blockchain Trade finance technology offers the opportunity to completely transform global trade finance through attributes like supply chain transparency unlocked by cryptographic trust mechanisms, transparent documentation via distributed ledgers accessible to all allowed parties, tokenization of assets like invoices and goods into tradable crypto instruments, automation of financing and settlement via smart contracts, and decentralized financing capacity unlocking trillions of historically unproductive capital. Attributes of Blockchain Trade Finance Supply Chain Transparency Blockchain enables all parties in a supply chain to share an immutable, distributed ledger that tracks goods and documentation in real-time as transactions occur. This provides end-to-end visibility rather than separate systems and paper trails. By increasing supply chain transparency, trade financiers can more accurately assess risk profiles and ensure alignment across trade activities. This drives efficiency in trade finance through faster documentation validation, improved fraud prevention, and increased trust between new trading partners. Digital Identity Verification Reliably verifying identities is crucial in trade finance to prevent fraud, comply with know your customer regulations, and validate the credentials of involved entities. This has traditionally been difficult across borders. Blockchain authentication utilizes unique digital identifiers like public/private cryptographic keys that act as portable, validated identity credentials for people or organizations. This enables efficient verification disintermediated from traditional identity silos. Trade Settlement Efficiency Traditional trade settlement mechanisms involve time-intensive paperwork, separate messaging systems, and cumbersome bank-intermediated capital flows. This delays access to funds from commercial transactions.

Keywords: Trade finance, Tokenization, Business world.

Blockchain automation through smart contacts and integrated wallets/payments settlement happens instantaneously once trade conditions encoded on the blockchain are fulfilled. This delivers efficiency and availability of capital. Tokenization of Assets Tokenization refers to representing real-world assets like invoices, goods, or contracts as digital tokens on a blockchain network. This enables new ownership, trading, and financing options by increasing liquidity. In trade finance, parties can tokenize invoices, receivables, or shipping assets to use as collateral for accessible capital from a broader pool of financiers on blockchain ecosystems instead of traditional restrictive sources. New value can be unleashed. Financial Inclusion in Trade Small and medium enterprises and developing regions often struggle to access affordable trade financing through traditional providers, hampering their participation in global commerce. Integrating layered blockchain protocols like decentralized finance and asset tokenization into trade ecosystems enables fair and broad access to capital by expanding the financier pool while better-assessing credit risk profiles. Trade Finance Security Trade finance transactions involve exchanging sensitive commercial data, legally binding contracts, and asset ownership transfers between multiple entities. Ensuring security is paramount. Blockchain platforms provide inherent trade finance security advantages through encryption, immutable recording of all interactions, public/private keys for access

control, and decentralized infrastructure without centralized weak points vulnerable to hacking. Blockchain Integration While blockchain brings immense efficiency opportunities to trade finance, trillions in legacy systems and processes underpin existing trade ecosystems. Seamlessly integrating legacy frameworks with blockchain maximizes adoption. Hybrid blockchain integrations leverage application programming interfaces (APIs) and intermediary integration layers to provide interoperability (Mosiashvili v., 2019). This allows parties to maintain existing systems they rely upon while tapping into the benefits of shared ledgers, smart contracts, and decentralized capabilities blockchain offers. Trade Finance Automation Trade financing remains reliant on manual paperwork, disjointed messaging systems, and siloed databases forcing repetitive validations and reconciliation efforts. This wastes billions of work hours in aggregate for global commerce. Blockchain delivers automation of these outdated manual processes via smart contracts that programmatically execute rules encoded for trade agreements and settlements. Documentation also moves natively to shared immutable ledgers while payments integrate directly. . Global Trade Revolution The inefficiencies imposed by current trade finance practices severely hamper international commerce and access to affordable capital - especially in emerging markets. This dampens global economic progress. As an automated trust mechanism for identity, contracts, documentation, and settlement, blockchain eradicates current frictions to enable seamless global trade. Distributed Ledger Technology Blockchains establish distributed ledger technology - an innovative approach to record-keeping and transactions. Rather than siloed databases or ledgers vulnerable to manipulation or errors, DLT enables networked participants to jointly manage a shared, immutable ledger according to robust consensus mechanisms ensuring alignments of records. These shared tamper-proof ledgers record transactions like trade agreements or ownership transfers permanently across decentralized infrastructure, aligning information flows and establishing a common record of truth. Trade Finance Innovation The transaction lifecycle in trade financing - from buyer-supplier agreements through documentation, shipment, insurance, and finally payment settlement - currently moves through siloed analog systems requiring intense manual supervision, validation and reconciliation efforts across the separate entities involved. This imposes immense inertia and costs up to 15% of the actual trade transaction value by some estimates. However, blockchain delivers automation at each stage of the cycle via integrated smart contracts, cryptocurrency payments, and transparent documentation flow to all permissioned parties in real time. Conclusion Trade financing remains constrained by antiquated frameworks reliant upon siloed systems, paper-based processes, and restrictive access to capital - unable to match the dynamism of the global economy. This imposes severe drag through unnecessary costs, delays, fraud risks, and barriers to universal participation. However, Trade finance with blockchain represents a seismic shift into the digital era for global trade by delivering attributes tailor-made to transform these outdated trade financing frameworks. As explored, blockchain radically improves efficiency, transparency, automation, settlements, and financial inclusion when applied to trade ecosystems - unlocking trillions in value. It eradicates the shortcomings of previous decades while integrating the digitization and networking capabilities that now exist worldwide. Any player in banking, logistics, commerce, or government can leverage blockchain to contribute to and access these next-generation trade finance service (Valeri, 2021)s.

The future impact of blockchain in the business world. When it comes to the future of blockchain technology, it has unmatched potential to bring novel and innovative ideas and concepts while integrating existing ones. For example, blockchain development companies are transforming the real estate industry by enabling stakeholders to conduct transactions securely and eliminating the need for intermediaries. Blockchain's characteristic that it can create a trustworthy, unfiltered, and decentralized repository of data

and information that will be accessible globally will drive the development of the third generation of the internet. And this is why blockchain is the future.

Several predictions have already been made about its potential: By the end of 2024, annual global data spending on blockchain solutions will reach $19 billion, according to a prediction made by IDC. According to Gartner, blockchain technology will generate an annual business value of around USD 3.1 trillion by 2030. This clearly shows that blockchain-based systems will govern 10%-20% of the global economic infrastructure by the same year. According to Statista, blockchain technology revenues will skyrocket in the coming years, surpassing USD 39 billion by 2025.

According to a report by MARKETSANDMARKETS, blockchain is expected to emerge as the 'Blockchain of Things". The high adoption of blockchain-based Internet of Things (IoT) is projected to surge demand and generate a market of USD 2,409 million by 2026. Building trust of Blockchain encourages trust between entities where trust is either lacking or unproven. As a result, these entities are willing to engage in business transactions or data sharing that they would not have done otherwise or that would have required the involvement of an intermediary.

The facilitation of trust is one of blockchain's most frequently mentioned benefits. Early blockchain use cases demonstrated its value by facilitating transactions between entities that did not have direct relationships but needed to share data or payments. Bitcoin and cryptocurrencies, in general, are iconic examples of how blockchain builds trust (Mosiashvili v., 2019).

Improving security and privacy of blockchain technology .One of the most significant benefits of Blockchain technology is its high level of security. It is almost impossible to hack. The increased security provided by blockchain stems from the technology's operation: end-to-end encryption creates an immutable record of transactions, preventing fraud and unauthorized activity. Furthermore, because blockchain data is distributed across a network of computers, hacking is nearly impossible (unlike conventional computer systems that store data together on servers). Moreover, blockchain can manage privacy issues better than traditional systems by anonymizing data and requiring permissions to limit access.

Reducing costs with Blockchain technology can also help organizations save money. It increases the efficiency of transaction processing. It also reduces manual tasks such as data collection and editing, as well as reporting and auditing. The ability of blockchain to streamline clearing and settlement directly translates into cost savings in the process. As a result, blockchain development firms can assist businesses in saving money by removing the middlemen (vendors and third-party providers) who have traditionally provided the processing that blockchain can do.

Improving speed and efficiency of Blockchain technology automates time-consuming processes to maximize efficiency. It also eliminates human-made errors through automation. Blockchain can handle transactions in some cases in seconds or less. Walmart, for example, used a food traceability system based on Hyperledger Fabric to trace the origin of mangoes sold in the U.S. stored in 2.2 seconds, a process that previously took seven days.

Bringing innovation to executives from various industries are investigating and implementing blockchain-based systems to solve complex problems and improve long-standing inefficient practices. The use of blockchain to verify the information on job applicants' resumes is one example of such innovation.

According to studies, a significant number of people falsify their resumes, requiring hiring managers to verify the information manually. However, pilot programs allow participating universities to

store data about their graduates and their degrees on the blockchain, which authorized hiring managers can access. This ultimately resolves two issues: getting to the truth and doing it quickly and efficiently.

Streamlining supply chain management, When it comes to the role of blockchain in the supply chain, the technology allows companies to track their products/services throughout the process, right from manufacturing to transportation and consumer delivery. It introduces the power of transparency and immutability into the process, allowing businesses to combat counterfeiting and product delivery delays, and establish robust security in the process.

Walmart, for example, has integrated blockchain technology into its food chain supply to increase transparency in the decentralized food supply ecosystem. Following the implementation of blockchain, the company is now able to track the provenance and condition of its pork items imported from China. It can also now track any issues in batches from a specific location (Mosiashvili V., 2019).

Finanancial processes in Blockchain is an immutable and decentralized ledger that makes it easier to record transactions. Due to this, the trustworthiness, security, transparency, and traceability of financial processes across a business network can be significantly improved.

This will enable the users to transfer the currency with confidence that the transaction is secure and reliable.Creating smart contracts are the most prominent blockchain application for business transformation. As the name implies, it is a self-executing contract in which all of the terms and conditions from both parties are written in the form of codes. These codes are then immutably stored on a decentralized blockchain network.

As a result, the associated codes are executed whenever the conditions are fulfilled. If one of the parties violates the terms, the services/products are returned to the other party. The use of smart contracts encourages businesses to carry out actions without the need for regulating authorities, government officials, or other fee-charging middlemen to settle disputes.

Implementing transparent payment processes is one of the obvious applications of decentralized blockchain networks is the collaboration of blockchain and digital payments. Blockchain has also improved cash flow in startups and establishments by eliminating the involvement of third parties, bringing transparency, and associated documents such as billing declarations and invoices.

Bringing customer engagement, that Blockchain improves customer engagement by bringing access, transparency, simplification, and trust to business processes. The combination of blockchain and customer engagement creates numerous opportunities and benefits. These benefits can be obtained by selecting the best blockchain development companies. The benefits include giving users control over their personal information, incorporating the power of transparency into the business model, fostering quick transactions, and identifying loyal customers (Mosiashvili v., 2019).

Our conclusion, Blockchain provides a distributed ledger approach that helps improve the media supply chain and reduce copyright infringements through security, data analysis, and control. Blockchain technology can help various types of businesses, including healthcare, logistics, manufacturing, and information technology, solve real-time problems. Blockchain, along with other disruptive technologies such as AI, Big Data, and Cloud, can prove to be a game changer in a variety of business verticals.

If your organization also wants to be part of this blockchain revolution, you need to hire talented developers who can build your assets and help you become a game changer in your business vertical. But hiring high-quality developers is not an easy nut to crack these days. Almost every business is competing to hire the best developers. To solve this problem, Turing is here to provide Silicon Valley-caliber remote developers in 4 days.

Turing is an industry-leading platform that helps you hire the best blockchain developers in the global market. Our planetary reach, world-class & robust vetting engine, and high levels of expertise ensure you get access to the best talent as quickly as possible. Sign up now and let our vertically-integrated, AI-powered software Intelligent Talent Cloud source, vet, match, and manage developers for your development requirements.

References

1. https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139
2. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95
3. https://journals.4science.ge/index.php/IDW/article/view/2089
4. https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publication/354249108_2021_CEO_Proceedings_Book_Ready_to_Publish/links/612e579438818c2eaf72d485/2021-CEO-Proceedings-Book-Ready-to-Publish.pdf#page=179
5. https://ijsser.org/2024files/ijsser_09__68.pdf
6. https://ijsser.org/more2024.php?id=68

კონფლიქტის დარეგილირების ინოვაციური მიდგომა
Innovative approach to conflict resolution

ზურაბ ხონელიძე - *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის* რექტორი, *პროფესორი*

Zurab Khonelidze - Rector of Sokhumi State University, Professor

პოლიტიკურ მეცნიერებებში კონფლიქტების სამშვიდობო დარეგულირების არაერთი მოდელი შემოუთავაზებიათ, რომლებიც ძირითადად სამთავრობო და არასამთავრობო რესურსებს ეყრდნობა და არასდროს არ არის გამოყენებული ისეთი მძლავრი სტრატეგიული რესურსი როგორიცაა განათლების სისტემა და ამ სისტემაში არსებული ელიტური კერა - უნივერსიტეტი. სამწუხაროდ, სამთავრობო და არასამთავრობო რესურსი არ ჰყოფნის კონფლიქტების დარეგულირების პროცესს, რასაც თანამედროვე პოლიტიკური პროცესებიც გვიჩვენებენ. საჭიროა ახალი, არაპოლიტიზირებული ძალა, რომელიც პოლიტიკის ველიდან გაიტანს კონფლიქტების დარეგულირების სტრატეგიას და დაპირისპირებულ მხარეებს შორის ურთიერთობების საჭიროებას გააჩენს.

უკანასკნელ ხანს შემოთავაზებული სამეცნიერო დიპლომატია კონფლიქტების დარეგულირებისათვის ახალ ფართო გასაღებს იძლევა, რათა კონსტრუქციული საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად ხალხთა შორის არსებული სამეცნიერო თანამშრომლობა გამოიყენონ. სამეცნიერო დიპლომატიის ფარგლებში არსებული რესურსი საუნივერსიტეტო განათლების ერთ აუცილებელ სეგმენტს - მეცნიერებას მოიცავს. და რადგან საუნივერსიტეტო ცხოვრება ორი ძირითადი პარადიგმის სწავლისა და კვლევის, სწავლებისა და მეცნიერების ერთიანობაა, სამეცნიერო დიპლომატია კონფლიქტების დარეგულირების პროცესში თამაშ გარე მდგომარეობაში ტოვებს ისეთ უმნიშვნელოვანეს რესურსს როგორიცაა სასწავლო პროცესი და მისი ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტი სტუდენტი.

საკითხისადმი ჰოლისტური მიდგომა და სისტემური ანალიზი გვაფიქრებინებს, რადგან განათლების ელიტური კერის - უნივერსიტეტის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე სახის წარმატების მიღწევა და საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივა. ამდენად, დიდია უნივერსიტეტის, როგორც ისტორიულად დამკვიდრებული ინსტიტუციური ერთეულის მიმართ საზოგადოების ნდობა და მოლოდინები. სხვა შესაძლებლობებთან ერთად იგი საფუძველია: განათლების, ინფორმაციის მიღების, ახალი ცოდნის წარმოქმნა-გავრცელების, ინდივიდუალური უნარების გამოვლენის და მათი განხორციელების, კრიტიკული, შემოქმედებითი, სტრატეგიული, ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი აზროვნების; სწორი, ცოდნაზე დაფუძნებული- დროის გამოწვევის შესაბამისი ხედვების ფორმირების და სხვ. ამასთან ერთად, უნივერსიტეტი, არის პროგრესისა და უწყვეტობის საფუძველი: იგი ქმნის საშუალო კლასს და ელიტას, აყალიბებს კულტურას- ფასეულობებს და ღირებულებათა სისტემას ხალხში, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდებში, ანუ თაობაში, რომელიც, სწორედ უნივერსიტეტებში გადის სოციალიზაციის პირველ ეტაპებს;

აქედან გამომდინარე, სამეცნიერო დიპლომატიის პლატფორმაზე დაყრდნობით, კონფლიქტების მოგვარების ახალი სისტემური პარადიგმა - საუნივერსიტეტო დიპლომატია უნდა იყოს უფრო ფართო, მასშტაბური და ეფექტური სტრატეგია, რომელიც სამეცნიერო ურთოერთობების გარდა მოიცავს სწავლების საკრალური მეთოდური პროცესისა და ახალგაზრდების - სტუდენტების ჩართულობას პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების სამშვიდობო პროცესში.

„საუნივერსიტეტო დიპლომატია“ თავის თავში მოიცავს ისეთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიებს, როგორიცაა ,,უნივერსიტეტი“ და ,,დიპლომატია“. მათი ორგანული შერწყმითა და პარიტეტული ერთიანობით ყალიბდება სრულიად ახალი ფენომენი. ,,საუნივერსიტეტო დიპლომატია“ მოიცავს პრობლემათა გადაჭრისა და თვითრეგულირების დღემდე ჯერ კიდევ გამოუყენებელ, აუმოქმედებელ უნიკალურ შესაძლებლობებს. ეს არის დაინტერესებულ სუბიექტებს შორის კომუნიკაციის ინოვაციური ფორმა, კონკრეტულად კი დიპლომატიისა და სამშვიდობო განათლების ახალი ორერთიანი სახეობა, რომელლიც გულისხმობს არსებული, თუმცა დღემდე გამოუყენებელი რესურსის- აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი (საუნივერსიტეტო) პოტენციალის ამოქმედებას. აჩენს შესაძლებლობას საუნივერსიტეტო სივრცეში შეიქმნას მშვიდობის მშენებლობის თვისობრივად ისეთი ახალი ფორმატი, რომელიც უალტერნატივო - სამშვიდობო ენითა და სამეცნიერო დიალოგის საფუძველზე ხელს შეუწყობს:

- ✓ რეალური ნდობის აღდგენას, მოუგვარებელი კონფლიქტებით გაჭიანირებული მდგომარეობის - „არც მშვიდობა, არც ომის“ სისტემურ მეცნიერულ აღქმა-გაცნობიერების საფუძველზე;

- ✓ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების არსის გარკვევას, მათში მონაწილე და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესწავლას, ანალიზს, შეფასებას, მათ შორის თანხვედრის პოვნას;
- ✓ სამშვიდობო პროცესის დემოკრატიზაციას, ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოყენების გამორიცხვას;
- ✓ პოზიტიური, კონსტრუქციული განწყობის შექმნას;
- ✓ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზებისა და მათში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესწავლას;
- ✓ მაქსიმალურ კონსენსუსზე, ე.წ. „საერთო ნიადაგის“ პრინციპზე, დაფუძნებული ისეთი კონცეფციის გენერირებას, რომელმაც შემდგომში უნდა განსაზღვროს საერთო თანხმობის დოკუმენტის ფორმა და შინაარსი.
- ✓ უნივერსიტეტის და დიპლომატიის ფუნქციების არსობრივი გააზრებითა და შეთანაწყობით უნდა შეიქმნას მოდელი (ალგორითმი), რომელიც უზრუნველყოფს და გააჩენს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მტკიცე პერსპექტივას.
- ✓ უნივერსიტეტი ინტელექტუალური დამოუკიდებლობის ის კერაა, რომელშიც აზროვნება აკადემიურ სრულყოფილბას, სისტემურობისათვის ესტაფეტას გადასცემს დიპლომატიას. ,,აზროვნება“ და ,,არსებობა“, ანუ უნივერსიტეტი და დიპლომატია, მათი კავშირის შექმნა, ძალის ,,სესხების“, ძალის ,,დამატების“ და ურთიერთკოოპერაციის საშუალებით ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ. ამდენად აკადემიურ-კვლევითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის შერწყმით, „საუნივერსიტეტო დიპლომატია“ უნდა ვაქციოთ სამშვიდობო პროცესის უნიკალურ მეთოდად და კონფლიქტთან გამკვლავების ისეთ საშუალებად, რომელიც კონფრონტაციიდან, ჩიხური მდგომარეობიდან მშვიდობიან კალაპოტში გადაიყვანს ყველა ტიპის დაპირისპირებას.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტები, ახალი სტრატეგია, სამეცნიერო დიპლომატია, საუნივერსიტეტო დიპლომატია.

In political sciences, a number of models of peaceful settlement of conflicts have been proposed, which are mainly based on governmental and non-governmental resources, and such a powerful strategic resource as the education system and this has never been used. The elite hub in the system is the university. Unfortunately, governmental and non-governmental resources do not separate the process of settlement of conflicts, which modern political processes also show us. A new, non-politicized force is needed, which will remove the conflict settlement strategy from the field of politics and will create the need for negotiations between the opposing parties.

Recently proposed science diplomacy provides a new broad key to conflict resolution, to use scientific cooperation between peoples to build constructive international partnership relations. The existing resource within the scope of scientific diplomacy includes one essential segment of university education - science. And since university life is a unity of two main paradigms of learning and research, teaching and science, scientific diplomacy leaves such an important resource as the educational process and its most important subject, the student, out of play in the process of conflict resolution.

A holistic approach to the issue and a systematic analysis make us think, because without the elite center of education - the university, it is impossible to achieve any kind of success and the prospect of public development. Thus, public trust and expectations towards the university as a historically established institutional entity are high. Among other possibilities, it is the basis for: education, receiving information,

generation and dissemination of new knowledge, identification of individual skills and their implementation, critical, creative, strategic, true state thinking; Correct, based on knowledge - the formation of visions relevant to the challenge of time, etc. At the same time, the university is the basis of progress and continuity: it creates the middle class and the elite, forms the culture-values and the value system among the people, including, first of all, the youth, that is, the generation that goes through the first stages of socialization in the universities;

Therefore, based on the platform of scientific diplomacy, a new systematic paradigm of conflict resolution - university diplomacy should be a broader, large-scale and effective strategy, which, in addition to scientific relations, includes the sacred methodical process of teaching and the involvement of young people - students in the peaceful process of establishing partnership relations.

"University Diplomacy" includes such important categories as "University" and "Diplomacy". With their organic fusion and parity unity, a completely new phenomenon is formed. "University diplomacy" includes unique possibilities of problem solving and self-regulation that have not yet been used and are not implemented. This is an innovative form of communication between interested subjects, specifically a new dual type of diplomacy and peace education, which implies the activation of the existing, but still unused resource - academic and scientific-research (university) potential. It creates an opportunity to create a qualitatively new format of peace building in the university space, which will contribute to the non-alternative - peaceful language and scientific dialogue:

- ✓ Restoration of real trust, based on the systematic scientific perception-understanding of the situation prolonged by unresolved conflicts - "neither peace nor war";
- ✓ To find out the essence of the causes of conflicts, to study, analyze and evaluate the interests of the participants and other interested parties, including finding a consensus among them;
- ✓ Democratization of the peace process, exclusion of the use of violence in any form;
- ✓ To create a positive, constructive mood;
- ✓ To study the causes of conflicts and the interests of interested parties participating in them;
- ✓ On the maximum consensus, the so-called To generate a concept based on the principle of "common ground", which should further determine the form and content of the document of common consent.
- ✓ A model (algorithm) should be created by understanding and harmonizing the functions of the university and diplomacy, which will provide and create a strong perspective for the peaceful resolution of the conflict.
- ✓ The university is the center of intellectual independence, in which thinking passes the baton to diplomacy for academic perfection, for systematicity. "Thinking" and "existence", i.e. university and diplomacy, create their connection, complement and condition each other by means of force "borrowing", force "addition" and mutual cooperation. Thus, by combining academic-research and public-political activity, we should turn "university diplomacy" into a unique method of the peace process and a means of dealing with conflict, which will transform all types of confrontations from confrontation, deadlock to a peaceful bed.

Key words: conflicts, new strategy, scientific diplomacy, university diplomacy.

ნეოლიბერალური იდეოლოგიის კრიზისი დასავლეთ ევროპაში
The crisis of neoliberal ideology in Western Europe

გიორგი მხეიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი
Giorgi Mkheidze - Caucasus International University
Political Science Doctoral Educational Program (PhD)

აბსტრაქტი. კვლევა მოიცავს და აანალიზებს ნეოლიბერალური იდეოლოგიის მზარდ კრიზისს დასავლეთ ევროპაში. წარმოაჩენს იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს და უკმაყოფილების მიზეზებს, რომლებმაც განაპირობა ნეოლიბერალური იდეოლოგიის დაღმავალი ციკლი დასავლეთ ევროპის სივრცეში. კვლევა ასევე განიხილავს ნეოლიბერალიზმის კრიზისის ფონზე წინა პლანზე წამოწეულ ალტერნატიულ იდეოლოგიას, ულტრამემარჯვენე კონსერვატიზმის სახით, რომელიც ნეოლიბერალური სისტემის საპირწონედ მეტად მოთხოვნადი ხდება ევროპულ საზოგადოებაში. შესაბამისად იზრდება მათი რაოდენობა პარტიულ დონეზე. ამის მაგალითზე წარმოჩენილია კონკრეტული მაგალითები დასავლეთ ევროპაში წარმატებული ულტრამემარჯვენე პარტიების სახით და შესაბამისად გაანალიზებულია მათი იდეოლოგიის მთავარი პოსტულატები. იდეოლოგიური ბაზისი, თუ რა მიმართულებით და საკითხებით უპირსპირდებიან ნეოლიბერალურ იდეოლოგიურ ხედვებს. გაანალიზებულია ულტრამემარჯვენე პარტიების მხარდაჭერის მაჩვენებლები სხვადასხვა არჩევნებში. შეჯამების სახით წარმოდგენილია მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს დასავლეთ ევროპის პოლიტიკური და იდეოლოგიური ლანდშაფტი ნეოლიბერალური კრიზისის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: ნეოლიბერალიზმი, ნეოლიბერალური ეკონომიკა, იდეოლოგია, დასავლეთ ევროპა, ულტრამემარჯვენე პარტიები, რადიკალური კონსერვატიზმი, იმიგრაცია.

Abstract. The study covers and analyzes the growing crisis of neoliberal ideology in Western Europe. Presents the most important factors and causes of dissatisfaction that led to the downward cycle of neoliberal ideology in the Western European space. The study also examines the alternative ideology brought to the fore in the background of the crisis of neoliberalism, in the form of far-right conservatism, which is becoming increasingly popular in European society as a counterweight to the neoliberal system. Accordingly, their number at the party level is increasing. As an example, specific examples of successful far-right parties in Western Europe are presented, and the main postulates of their ideology are analyzed accordingly. Ideological basis, in which direction and issues they confront neoliberal ideological visions. The indicators of support of far-right parties in various elections are analyzed. In the form of a summary, an opinion is presented about how the political and ideological landscape of Western Europe can develop in the conditions of the neoliberal crisis.

Key words: neoliberalism, neoliberal economy, ideology, Western Europe, far-right parties, radical conservatism, immigration.

ნეოლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური ფილოსოფია და იდეოლოგია მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში აღმოცენდა და განვითარდა. იგი თავისი შინაარსით უმთავრესად დაკავშირებულია ეკონომიკურ ლიბერალიზმთან და თავისუფალი საბაზრო პოლიტიკის ძირეულ პრინციპებთან. ნეოლიბერალური პოლიტიკური იდეოლოგია მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა როგორც დომინანტი პოლიტიკური დისკურსი. ნეოლიბერალიზმმა ჯერ თავად ლიბერალურ იდეურ მიმდინარეობებში მოიპოვა უპირატესობა, ხოლო შემდგომ გლობალურ დონეზე გაიზარდა მისი როლი პოლიტიკურ-ეკონომიკური აზრის მიმართულებით. ცივი ომის დასრულებით დამთავრდა ხანგრძლივი მოდერნის ეპოქა. მოდერნის შემდგომ დამკვიდრებულ რეალობას პოსტმოდერნის ეპოქას უწოდებენ. პოსტმოდერნიზმი საკუთარი სოციალურ-კულტურული გაგებით სრულიად დაპირსპირებულია მოდერნის ეპოქის მიდგომებთან. ანალოგიურად შეგვიძლია ვთქვათ ნეოლიბერალურ იდეოლოგიაზე, რომლსაც მრავალი განსხვავება გააჩნია კლასიკურ ლიბერალიზმისგან. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რომ ნეოლიბერალიზმი პოსტმოდერნის პროდუქტია. ცივ ომში აშშ-ს გამარჯვების შედეგად აქტიურად დაიწყო ლიბერალური დემორკატიის ექსპორტი გლობალურ დონეზე. თავის მხრივ

აუცილებელია ავღნიშნოთ, რომ თანამედროვე ტიპის ლიბერალური დემოკრატია საკუთარი მახასიათებლებით ნეოლიბერალურ იდეოლოგიასთან არის დაკავშირებული. როდესაც ნეოლიბერალურ იდეაზე, მის უპირატესობებზე და აღმავლობაზე ვსაუბრობთ, ვერ ავუვლით გვერდს რონალდ რეიგანისა და მარგარეტ ტეტჩერის პოლიტიკას, 80-იან წლებს. მათი მმართველობის პერიოდი ნეოლიბერალიზმის აღმავლობას საწყისთან არის დაკავშირებული. ზემოხსენებული პერსონების პოლიტიკური და ეკონომიკური მიდგომები სრულიად თავსებადია ნეოლიბერალურ იდეოლოგიასთან. აქედან გამომდინარე, 1980-იანი წლები ხასიათდება, როგორც ნეოლიბერალური ტალღის უმთავრესი და საწყისი პერიოდი. ამ პერიოდიდან ცალსახად გამოიკვეთა ნეოლიბერალური იდეისა და მიმდინარეობის დომინანტობა. 1979 წელს[44], დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში მარგარეტ ტეტჩერის მოსვლის შემდგომ განხორციელებულ პოლიტიკას არა ერთი მეცნიერი და მკვლევარი უწოდებს ნეოლიბერალურ რევოლუციას. ტეტჩერის დოქტრინა და პოლიტიკა სრულიად დაფუძნებული იყო სოციალურ დარვინიზმზე და მძლავრ კონკურენციაზე. შეგვიძლია ვთქვათ რომ მასობრივი პრივატიზაციის ტენდენცია დიდ ბრიტანეთში დაიწყო ნეოლიბერალური ტალღის პერიოდში და შემდგომ ჰპოვა განვითარება სხვადასხვა მასშტაბებით საერთაშორისო პოლიტიკაში. მარგარეტ ტეტჩერის მმართველობის პერიოდში[45] განხორციელდა მასობრივი დერეგულაცია, გადასახადების შემცირება და პრივატიზაცია - ეს ყოველივე ნეოლიბერალური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია. ამასთან ერთად, ნეოლიბერალური დღის წესრიგის განუყოფელია სახელმწიფოს ჩარევის მაქსიმალური შემცირება კერძო სექტორში. იდენტურად რონალდ რეიგანის[46] ნეოლიბერალური პოლიტიკის ნათელი მაჩვენებლები იყო გადასახადების შემცირება აშშ-ში, ფინანსური დერეგულაცია, სავაჭრო დეფიციტის გაფართოება. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, აშშ როგორც გამარჯვებულმა პოლიტიკური მხარემ, გლობალურ დონეზე უმთავრეს უკონკურენტო პოლიტიკურ აქტორად გამოიკვეთა. ბუნებრივია რომ ლიბერალური-დემოკრატიის ექსპორტის პარალალურად გაიზარდა ნეოლიბერალური იდეოლოგიის გავლენები მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნული ტენდენცია აშშ-ს შემდგომ გავრცელდა დასავლეთ ევროპაში. ნეოლიბერალურმა ტალღამ მოიცვა ასევე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. აღსანიშნავია ნეოლიბერალური იდეოლოგიის გავლენების ზრდა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში, სადაც ნაციონალურ მოტივებთან და კულტურულ კონსერვატიზმთთან ერთად, ნეოლიბერალური ეკონომიკა მთავარ ალტერნატივად ჩამოყალიბდა სოციალისტური ეკონომიკური სისტემის საპირწონედ.

დროთა განმავლობაში გამოიკვეთა ნეოლიბერალური იდეოლოგიის კრიზისის ნიშნები, რამაც თავისთავად მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა დომინანტურ იდეოლოგიას. აღნიშნული იდეოლოგიური მიმართულების კრიზისის ნიშნები დროის სვლასთან ერთად გაიზრდა დასავლეთ ევროპაში. ნეოლიბერალური იდეოლოგიის კრიტიკა განპირობებულია სხვადასხვა საკითხებით, რასთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიები, დარგის მეცნიერები, მკვლევარები და ფართო საზოგადოება აქტიურად ალაპარაკდა. ნეოლიბერალიზმის კრიზისის რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი შეგვიძლია გამოვყოთ:

1. ეკონომიკური უთანასწორობის ზრდა - ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ გააღრმავა ეკონომიკური უთანასწორობა არა ერთ სახელმწიფოში. კაპიტალის მცირე ელიტის ხელში მოექცა,

[44] Susan George, A Short History of Neoliberalism, 24 March 1999. https://www.tni.org/en/article/a-short-history-of-neoliberalism

[45] Manfred B. Steger, Ravi K. Roy, Neoliberalism: A Very Short Introduction. *Oxford University,* 2010, P.50–51.

[46] Nikolaos Karagiannis, Zagros Madjd-Sadjadi, Swapan Sen, The US Economy and Neoliberalism: Alternative Strategies and Policies, 2013, P. 58.

გაიზარდა სოციალურ ფენებს შორის სხვაობა, რამაც საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია.

2. ფინანსური კრიზისები[47] - 2007-2008 წლებში გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ნათლად გამოავლინა შექმნილი დერეგულირებული ფინანსური სისტემის სისუსტეები.

3. სახელმწიოს სოციალური დაცვის შემცირება - სახელმწიფო პროგრამების შემცირებამ გაზარდა ეკონომიკური არასტაბილურობა მეტად მოწყვლადი ჯგუფებისთვის.

4. გლობალიზაციის უარყოფითი ეფექტები - სამუშაო ადგილების გადინებამ და კულტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია უკმაყოფილება საზოგადოებაში.

ნეოლიბერალური იდეოლოგიის პოლიტიკით უკმაყოფილებამ, როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ დონეზე გამოიწვია ანტერნატიული სისტემისა და იდეის მოთხოვნა საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, წინა პლანზე წამოვიდნენ სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელი პარტიები, რომლებიც აკრიტიკებდნენ ნეოლიბერალურ სისტემას, თანამედროვე ლიბერალურ დემოკრატიას. აღსანიშნავია რომ ყველაზე მძლავრი ოპონირება ნეოლიბერალიზმის წინააღმდეგ ულტრამემარჯვენე კონსერვატიზმმა განახორციელა. პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგის განსაზღვრა რადიკალური კონსერვატირული პოლიტიკით განაპირობა ნეოლიბერალიზმის მთელმა რიგმა ნაკლოვანებებმა. რადიკალური მემარჯვენე პარტიების განვითარების ტენდენცია ევროკავშირის წიაღში 2010 წლიდან შეინიშნებოდა. ამასთან ერთად, ეკონომიკური კრიტიკის კუთხით გაძლიერდნენ მემარცხენე, სოციალისტური შინაარსის მოძრაობები, თუმცა პარტიულ დონეზე შედეგებით მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ულტრამემარჯვენე კონსერვატიზმის მატარებელი პარტიები გაცილებით წარმატებებულები აღმოჩნდნენ დასავლეთ ევროპაში, ვიდრე სოციალისტები.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი პერიოდად 2016 წელი, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში[48] დონალდ ტრამპის გამარჯვებაა. თანამედროვე ლიბერალური წესრიგის კრიზისის ნათელი გამოვლინება გახლდათ დონალდ ტრამპის გამარჯვება აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. ფართო საზოგადოებისთვის მეტად გაუგებარი, ნაკლებად საინტერესო და არა პრიორიტეტული აღმოჩნდა თანამედროვე ლიბერალური პოლიტიკის კულტურული და სოციალური საკითხები, რაზეც მეტ წილად დაფუძნებული იყო აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო კამპანია. ამის ფონზე, დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო პროგრამა და შემდგომი პოლიტიკა კლასიკური ულტრამემარჯვენე კონსერვატიზმის ნათელი გამოვლინება გახლდათ. ტრამპის პოლიტიკის პოზიციონირება და იდეოლოგია მოიცავდა: ნაციონალურ კონსერვატიზმს, ქრისტიანობაზე აპელირებას, იზოლაციონიზმს (საგარეო პოლიტიკა)[49], ნეიტივიზმს, ანტი-მიგრანტულ პოლიტიკას, პროტექციონიზმს, ანტიფემინიზმს, უმცირესობების ჯგუფების მიმართ ნაკლებ ყურადღებას და ა.შ. აშშ-ს პოლიტიკურ წიაღში ტრამპიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა და იდეოლოგია სრულიად ახალ ფენომენად ჩამოყალიბდა, რაც ცალკე განხილვის თემაა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რადიკალური კონსერვატიული შინაარსის მატარებელი რიტორიკა ტრამპის გამარჯვების შემდგომ, კიდევ უფრო გაძლიერდა დასავლეთ ევროპის წიაღში. დღესდღეობით ამის ნათელი მაგალითი გახლავთ საფრანგეთში: მარინ ლე პენის „ეროვნული გაერთიანება“, გერმანიაში „ალტერნატივა გერმანიისთვის”, იტალიაში „იტალიები

[47] The Great Recession and Its Aftermath, November 22, 2013. https://www.federalreservehistory.org/essays/great-recession-and-its-aftermath

[48] David C. Beckwith, United States Presidential Election of 2016, Last Updated: Sep 26, 2024. https://www.britannica.com/topic/United-States-presidential-election-of-2016

[49] Jason Lange, Trump's rise sparks isolationist worries abroad, but voters unfazed, January 18, 2024. https://www.reuters.com/world/us/trumps-rise-sparks-isolationist-worries-among-us-allies-americans-focus-home-2024-01-17/

ძმები“, ნიდერლანდებში „თავისუფლების პარტია“ და ა.შ. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ზემოხსენებული ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური ბაზისი, რათა გავიგოთ მათი იდეური დაპირისპირება ნეოლიბერალურ იდეოლოგიასთან. აღსანიშნავია რომ დასავლეთ ევროპაში მსგავსი პოლიტიკური პარტიები, თუ საზოგადოებრივი მოძრაობები ანტი ისტაბლიშმენტურ ჯგუფებს განეკუთვნებიან. თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელია პოლიტიკური პოპულიზმი.

საფრანგეთში, ლე პენის ლიდერობით არსებული პოლიტიკური პარტია „ეროვნული გაერთიანება“[50] იდეოლოგიურად პოზიციონიორებს როგორც ფრანგული ნაციონალიზმის, ნაციონალური კონსერვატიზმის მატარებელი. „ეროვნული გაერთიანება“ კლასიკური სახის ულტრამემარჯვენე კონსერვატიული პარტიაა, რომლის მოწოდებები და მიდგომები მემარჯვენე პოპულისტურ ხასიათის მიეკუთვნება. ლე პენის პარტია ევროსკეპტიკურად არის განწყობილი, ეწინააღმდეგება ევროკავშირის პოლიტიკასა და ნატოს, მის სამხედრო აქტივობებს. „ეროვნული გაერთიანების“ პოლიტიკურ დღის წესრიგში გამოკვეთილია ანტი-მიგრანტული განწყობები, ასევე ანტი-ისლამური რიტორიკა. აღსანიშნავია, რომ ეს პოლიტიკური ძალა ყოველთვის მოუწოდებდა საფრანგეთის სახელმწიფოს, რომ შემცირებულიყო იმიგრაცია, მიგრანტების მიღება. ეკონომიკური მიმართულებით ემხრობიან პროტექციონიზმს. აუცილებელია ყურადღება გავამხვილოთ ბოლო წლებში საფრანგეთში ჩატარებულ არჩევნებზე. მარინ ლე პენი საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში 2017 და 2022 წელს მეორე ტურში გავიდა და მეორე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება საფრანგეთის 2024 წლის[51] საპარლამენტო არჩევნებს, პირველ ტურში „ეროვნულმა გაერთიანებამ“ პირველი ადგილი დაიკავა.

კიდევ ერთი წარმატებული ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიაა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (აბრევიატურია AfD). აღნიშნული პარტია გერმანიის პოლიტიკურ ასპარეზზე 2013 წელს გამოჩნდა. თანამედროვე რეალობაში, გერმანული შიდა პოლიტიკისთვის შეგვიძლია ახალ მოვლენად ჩავთვალოთ მსგავსი სუბიექტის თავის დამკვიდრება. როგორც პოლიტიკურ[52], ისე სოციალურ-კულტურულ დონეზე „ალტერნატივა გერმანიისთვის“ წარმოადგენს ეროვნულ-კონსერვატიული იდეის მატარებელ ძალას. აღსანიშნავია რომ დროის სვლასთან ერთად, პოლიტიკური პარტია უფრო და უფრო მეტად გადაიხარა ულტრამემარჯვენე პოზიციებისკენ. პარტიის იდეოლოგიური ბაზა დაფუძნებულია გერმანულ იდენტობაზე, სუვერენიტეტზე, ეროვნულ სახელმწიფოზე. ამასთან ერთად, ფრანგი ულტრამემარჯვენეების მსგავსად, „ალტერნატივა გერმანიისთვის“[53] ასევე პოზიციონირებს როგორც ევროსკეპტიკოსი და იმიგრაციის სასტიკი მოწინააღმდეგე. AfD-ის წევრები, გერმანული იდენტობისთვის[54] უდიდეს საფრთხედ მიიჩნევენ იმიგრანტებისა და ლტოლვილების შემოდინებას მათ სახელმწიფოში. პოლიტიკურ პარტიას ხშირად მოიხსენიებენ როგორც ისლამოფობიური განწყობების მატარებელს, ვინაიდან მათ წინასაარჩევნო კამპანიებში შეიმჩნეოდა ანტიისლამური რიტორიკა. „ალტერნატივა გერმანიისთვის“ კატეგორიულად ეწინააღმდეგება ისლამის გავრცელებას გერმანულ საზოგადოებაში, ზემოხსენებული მიდგომებიდან გამომდონარე, AfD-ს ხშირად მოიხსენიებენ როგორც ულტრამემარჯვენე პოპულისტებს და ასევე ნეონაცისტებსაც კი უწოდებენ. ყურადსაღები ფაქტია მათი მზარდი რეიტინგი - გერმანიის ფედერალურ არჩევნებში

[50] Michael Ray, National Rally, Last Updated: Sep 30, 2024. https://www.britannica.com/topic/National-Rally-France

[51] How France voted: Charts and maps. https://www.politico.eu/europe-poll-of-polls/france/

[52]Mut zu Deutschland. Freie Bürger, keine Untertanen. https://www.afd.de/partei/

[53] Ralf Havertz, Radical Right Populism in Germany: AfD, Pegida, and the Identitarian Movement, 2021.

[54] Andrew Brown, The myth of Eurabia: how a far-right conspiracy theory went mainstream, August 2019. https://www.theguardian.com/world/2019/aug/16/the-myth-of-eurabia-how-a-far-right-conspiracy-theory-went-mainstream

2021 წელს „ალტერნატივა გერმანიისთვის“ 10%-ზე მეტი მიიღო, 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში კი მათმა შედეგმა 15%-ს გადააჭარბა. ცოტა ხნის წინ, თიურინგის მხარეში, ადგილობრივ არჩევნებში 32.8% მხარდაჭერა მიიღეს. AfD-ს მხარდაჭერა საკმაოდ სოლიდურია აღმოსავლეთ გერმანიის ნაწილში, რაც ცალსახად აჩვენა თიურინგის შედეგებმა.

„იტალიელი ძმები“[55] შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთ ევროპაში ყველაზე წარმატებული ულტრამემარჯვენე და ანტილიბერალური პოლიტიკური ძალაა. 2022 წლის საპარლამენტო არჩევნებში მათ გამარჯვება მოპოვეს და იტალიის პრემიერ-მინისტრი მათი ლიდერი ჯორჯია მელონი გახდა. „იტალიელი ძმები“ კლასიკური სახის ულტრამემარჯვენე პოპულისტური პარტიაა. მათი იდეოლოგია დაკავშირებულია ნაციონალურ კონსევატიზმთან, ასევე სოციალურ კონსერვატიზმთან. მათი მიდგომებიდან და იტალიის პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე, ხშირად ახასიათებენ როგორც ნეოფაშისტებს. პარტია მკვეთრად უპირისპირდება იმიგრაციის საკითხს. ანტიმიგრანტული განწყობები ერთ-ერთი მთავარი ნიშაა ამ პოლიტიკური პარტიისთვის. [56]

ასევე აღსანიშნავი ფაქტია, რომ 2023 წელს ნიდერლანდების საპარლამენტო არჩევნებში ხეერტ ვილდერსის[57] ლიდერობით ულტრამემარჯვენე პარტიამ გაიმარჯვა, რომელიც ანტიისლამურ და ანტიმიგრანტულ რიტორიკას ატარებს. ასევე 2024 წლის 9 ივნისს[58], ბელგიის ფედერალურ არჩევნებში პირველი და მეორე ადგილი ულტრამემარჯვენე პარტიებმა დაიკავეს. რამდენიმე დღის წინ კი, 29 სექტემბერს ავსტრიის საპარლამენტო არჩევნებში[59] წარმატებული აღმოჩნდა ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი „თავისუფლების პარტია“, რომელმაც ამომრჩეველთა თითქმის 29% მხარდაჭერა მიიღო და პირველ ადგილზე გავიდა. ბოლო პერიოდში წარმატებული ულტრამემარჯვენე პარტიების პოლიტიკური შეხედულებები უმეტეს შემთხვევაში იდენტურია ზემოთ განხილული გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის ულტრამემარჯვენე პარტიების იდეებთან. ეს ყოველივე ცხადყოფს და ადასტურებს დასავლეთ ევროპაში ნეოლიბერალური იდეოლოგიისა და პოლიტიკის კრიზისს.

მნიშვნელოვანი და აუცილებელია დასავლეთ ევროპაში ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის გამტარი პარტიების მიდგომები დავაკავშიროთ იმ პრობლემურ საკითხებთან, რომლებმაც გამოიწვია ამგვარი პარტიების მოთხოვნილება საზოგადოებაში. ნეოლიბერალური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა დასავლეთ ევროპაში, რომელიც გამოკვეთილი იქნა, არის ეკონომიკური უთანასწორობა ფართო საზოგადოებაში, რაც ნეოლიბერალური ეკონომიკის შედეგებთან არის დაკავშირებული. ლიბერალური იდეის მატარებელი პარტიების უმრავლესობა კვლავ სახელმწიფოს ნაკლებ ჩარევაზე აკეთებს აცენტს ეკონომიკაში. ამის სანაცვლოდ კი, ჩვენ ვხედავთ რომ მეინსტრიმული ულტრამემარჯვენე პარტიების აბსოლუტური უმრავლესობა არ უარყოფს კაპიტალიზმს, თუმცა ამასთან ერთად, წინა პლანზე მათ დღის წესრიგში წამოწეულია პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკა. ასევე ყურადღებას ამახვილებენ სოციალურ თანასწორობაზე, რამაც პერსექტივაში დაბალი სოციალური ფენის ეკონომიკური აღმავლობა უნდა გამოიწვიოს. ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად შემცირდა სოციალური პაკეტები, რაც სერიოზული ეკონომიკური პრობლემების სათავე გახდა მეტად

[55] Michael Ray, Brothers of Italy. https://www.britannica.com/topic/Brothers-of-Italy

[56] Brothers of Italy, the far-right party on the cusp of power, 24.07.2022. https://www.france24.com/en/europe/20220724-brothers-of-italy-the-far-right-party-on-the-cusp-of-power

[57] ნიდერლანდების საპარლამენტო არჩევნებში ულტრამემარჯვენე ხეერტ ვილდერსის პარტია ლიდერობს, 23 ნოემბერი, 2023. https://euronewsgeorgia.com/2023/11/23/niderlandebshi-archevnebshi-ultramemarjvene-xeert-vildersis-partia-liderosb/

[58] Belgium — 2024 general election. https://www.politico.eu/europe-poll-of-polls/belgium/

[59] Far right in Austria 'opens new era' with election victory, 30.09.2024. https://www.bbc.com/news/articles/c8rdygy5888o

მოწყვალდი ჯგუფებისთვის. აუცილებელია ავღნიშნოთ რომ ყველა ულტრამემარჯვენე პარტია არ იზიარებს ამ მიდგომებს. მაგალითად „ალტერნატივა გერმანიისთვის“ შეგვიძლია ვთქვათ რომ დღესდღეობით ემხრობა ნეოლიბერალურ ეკონომიკას. ულტრამემარჯვენე პარტიები, ყურადღებას ამახვილებენ 2008 წლის ფინანსურ კრიზისზე, რაშიც მთავარ პრობლემად ნეოლიბერალურ ეკონომიკას მიიჩნევენ. გარდა ეკონომიკურია ასპექტებისა, გვერდს ვერ ავუვლით სოციალურ-კულტურულ საკითხებს, რომელიც დასავლეთში ნეოლიბერალური იდეოლოგიის კრიზისის მთავარ ფუძედ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რითაც სარგებლობენ რადიკალი კონსერვატორები. გლობალიზაციის უარყოფითი შედეგია სამუშაო ადგილებზე მზარდი კონკურენცია, იმიგრაცია, რომელიც უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს ადგილობრივებში. ადგილობრივი საზოგადოების სოლიდური ნაწილისთვის მიუღებელია მასობრივი იმიგრაცია, რომელიც ულტრამემარჯვენე პარტიების იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსირების საკითხი გახდა. ამასთან ერთად, კულტურული მრავალფეროვნება, გენდერის საკითხები და უმცირესობები წარმოადგენს იმ თემებს, რომლებსაც იდეოლოგიური დისკურსით უპირსპირდებიან ულტრამემარჯვენე პარტიები.

ფაქტი ერთია, რომ დასავლეთ ევროპაში ნეოლიბერალური იდეოლოგიის კრიზისი რეალურია, რაც ნათლად გამოიხატება დღევანდელ პოლიტიკურ მოცემულობაში. ულტრამემარჯვენე პარტიების გაძლიერების მზარდი ტენდენცია და წარმატება ბოლო წლებში ამის დასტურია. რადიკალური კონსერვატიული იდეოლოგიის გაძლიერება პოლიტიკურ დღის წესრგიში ცალკე პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს, რაც სერიოზული დაფიქრებას, პოლიტიკური მიდგომების ცვლილებებს საჭიროებს დასავლეთი ევროპაში. რადიკალიზმი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ევროპული პოლიტიკის სტაბილურობისთვის. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია რომ ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ისეთი სოციალური პოლიტიკა, რომელიც დააკმაყოფილებს ფართო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნილებებს, რაც პერსპექტივაში პოპულიზმის და რადიკალიზმის სივრცის მაქსიმალურ შემცირებას გულისხმობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Manfred B. Steger, Ravi K. Roy, „Neoliberalism: A Very Short Introduction“, *Oxford University*, 2010.
2. Nikolaos Karagiannis, Zagros Madjd-Sadjadi, Swapan Sen, „The US Economy and Neoliberalism: Alternative Strategies and Policies“, 2013.
3. Ralf Havertz, „Radical Right Populism in Germany: AfD, Pegida, and the Identitarian Movement“, 2021.
4. Susan George, „A Short History of Neoliberalism“, 24 March, 1999. https://www.tni.org/en/article/a-short-history-of-neoliberalism ;
5. „The Great Recession and Its Aftermath“, November 22, 2013. https://www.federalreservehistory.org/essays/great-recession-and-its-aftermath ;
6. David C. Beckwith, „United States Presidential Election of 2016“, Last Updated: Sep 26, 2024. https://www.britannica.com/topic/United-States-presidential-election-of-2016;

7. Jason Lange, „Trump's rise sparks isolationist worries abroad, but voters unfazed“, January 18, 2024. https://www.reuters.com/world/us/trumps-rise-sparks-isolationist-worries-among-us-allies-americans-focus-home-2024-01-17

8. Michael Ray, National Rally, Last Updated: Sep 30, 2024. https://www.britannica.com/topic/National-Rally-France

9. How France voted: Charts and maps. https://www.politico.eu/europe-poll-of-polls/france/

10. „Mut zu Deutschland. Freie Bürger, keine Untertanen“. https://www.afd.de/partei/

11. Andrew Brown, „The myth of Eurabia: how a far-right conspiracy theory went mainstream“, August 2019. https://www.theguardian.com/world/2019/aug/16/the-myth-of-eurabia-how-a-far-right-conspiracy-theory-went-mainstream

12. Michael Ray, Brothers of Italy. https://www.britannica.com/topic/Brothers-of-Italy

13. „Brothers of Italy, the far-right party on the cusp of power“, 24.07.2022. https://www.france24.com/en/europe/20220724-brothers-of-italy-the-far-right-party-on-the-cusp-of-power

14. Belgium — 2024 general election. https://www.politico.eu/europe-poll-of-polls/belgium/

15. „Far right in Austria 'opens new era' with election victory“, 30.09.2024. https://www.bbc.com/news/articles/c8rdygy5888o

16. „ნიდერლანდების საპარლამენტო არჩევნებში ულტრამემარჯვენე ხეერტ ვილდერსის პარტია ლიდერობს“, 23 ნოემბერი, 2023. https://euronewsgeorgia.com/2023/11/23/niderlandebshi-archevnebshi-ultramemarjvene-xeert-vildersis-partia-liderosb/

ინოვაციების როლი ბიზნესის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში
The role of Innovation in Ensuring Sustainable Business Development

ნინო სამჭკუაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუ ასოცირებული პროფესორი.
თამარ დუდაური - ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი
Nino Samchkuashvili- Doctor of Economics, Georgian National University SEU Associate Professor
Tamar Dudauri- Doctor of economics, Caucasus International University, Associate Professor

ანოტაცია. თანამედროვე ეტაპზე საქართველომ მნიშვნელოვან პროგრეს მიაღწია რეფორმების განხორციელების გზაზე, რომლებიც მიზნად ისახავს ეკონომიკის გახსნას ვაჭრობისა და ინვესტიციებისთვის, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას მდგრადი განვითარებისთვის მიზნით. ინოვაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ძალისხმევაში, რადგან აუცილებელია კონკურენტუნარიანი ეკონომიკის აშენება და თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება ისეთებთან, როგორიცაა ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა, უმუშევრობის შემცირება და სიღარიბის დაძლევა. მნიშვნელოვანია ინოვაციების სფეროში ექსპერიმენტებისა და თანამშრომლობის წახალისება, ისევე როგორც ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების ათვისების ხელშეწყობა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, კონკურენტუნარიანობა, ინოვაციური განვითარება, ინოვაციური ტექნოლოგიები, სამეწარმეო სუბიექტები, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი.

Annotation. At the current stage, Georgia has made significant progress in implementing reforms aimed at opening the economy to trade and investment, stimulating economic growth and strengthening competitiveness for sustainable development. Innovation plays an important role in this effort, as it is necessary to build a competitive economy and to deal with modern challenges such as ensuring environmental sustainability, reducing unemployment and overcoming poverty. It is important to encourage experimentation and collaboration in the field of innovation, as well as to facilitate the uptake of new knowledge and technologies.

Keywords: Innovations, competitiveness, innovative development, innovative technologies, entrepreneurial entities, scientific and technical progress.

შესავალი

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკის ინოვაციური განვითარების საკითხებს. რაც განპირობებულია ახალი ტექნოლოგიური პარადიგმის ფორმირებით, რომლის მიხედვითაც ეროვნული კომპანიების ეფექტიანი განვითარება შეუძლებელია წარმოებაში პროგრესული ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მართვის მეთოდების გამოყენების გარეშე. სწორედ ორგანიზაციების ინოვაციური განვითარება საშუალებას იძლევა გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე და შეიქმნას საქართველოსათვის აუცილებელი პირობები რათა იგი შეუერთდეს მსოფლიოს უძლიერეს ეკონომიკებს.

მსოფლიო გლობალიზაციიდან გამომდინარე შექმნილ პირობებში, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე ეკონომიკური საქმიანობის ფორმების დინამიური ტრანსფორმაციის, ინტელექტუალური რესურსებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებისთვის ბრძოლის გამკაცრების პირობებში, ინოვაცია გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოადგენს ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვან წყაროს. პრაქტიული განვითარების ზოგადი ტრენდის დაწესებით, ისინი შესაძლებელს ხდიან კრიზისების დაძლევაში პრობლემების გადაჭრას და ხელს უწყობენ სტრატეგიულ ცვლილებებს მეურნეობრიობის სხვადასხვა დონეზე როგორებიცაა: სახელმწიფო, დარგი, დიდი და მცირე კომპანიები.

ქვეყანაში ინოვაციური განვითარების სისტემური კრიზისის პირობებში ქართული კომპანიებისათვის განსაკუთებით მნიშვნელოვანია, რომ ინოვაციებმა მოიცვან საქმიანობის სხვადასხვა სფერო, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციურ ციკლებთან, აერთიანებდეს კვლევის მეთოდებს, ტექნოლოგიებს და კომპანიის მართვის სისტემას. სამეწარმეო კომპანიებში ინოვაციების დანერგვის უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული ქართულ პირობებშიც, როგორც ეკონომიკის დამოუკიდებელი სუბიექტების, ასევე ფაქტორებისა და კომპანიების მხრიდან ინოვაციური პროცესის მამოძრავებელი ძალების მიმართ.

თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებულ ქართულ ეკონომიკაში, რომელიც ეფუძნება განვითარების ინოვაციურ გზას, სამეურნეო სუბიექტების ეფექტიანი ფუნქციონირება განპირობებულია მათი უნარით განახორციელონ პროგრესული ცვლილებები სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების საფუძველზე და მეურნეობრიობისა და მართვის საბაზრო მეთოდებზე დაყრდნობით. ამასთან კონკურენტული უპირატესობები მიიღწევა ცოდნის, ინფორმაციისა და ინოვაციების ხარჯზე. ინოვაციების შემუშავება და დანერგვა სულ უფრო ხშირად განიხილება, როგორც წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობის გაზრდის, განვითარებისა და მომგებიანობის მაღალი ტემპის შენარჩუნების ერთადერთი გზა. განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლა გულისხმობს, როგორც რეგიონული ეკონომიკის

ტრადიციული სექტორების მოდერნიზაციას და განვითარებას ასევე, პირველ რიგში, მათი ინოვაციური შემადგენლის ზრდას.

ჩვენს დროში ინოვაციური საქმიანობის სტრატეგიის ფორმირება, წარმოადგენს ნებისმიერი კომპანიის კონკრეტულ მიზანს, რომელის საწყისი მახასიათებლები და კონკრეტული მიზნები წინასწარ არის დადგენილი, რაც ეფუძნება მესაკუთრის განკარგულებაში არსებული რესურსების მოცულობებს. აქედან გამომდინარეობს ინოვაციური საქმიანობის განვითარების სტრატეგიის ფორმირების არსი. ამრიგად, კომპანიის განვითარების ინოვაციური სტრატეგია წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების კომპლექს, რომელიც მიმართულია, საბოლოო და კონკრეტული მიზნების მიღწევაზე, შეზღუდული დროის, ბიუჯეტისა და რესურსების პირობებში.

1. მსოფლიოს წამყვან კომპანიებში ინოვაციური საქმიანობის განვითარების თავისებურებები

საერთაშორისო კომპანიებში ინოვაციური სტრატეგიების შემუშავებას მძლავრი იმპულსი მისცა ინოვაციური ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ინფორმატიკისა და კომუნიკაციების სფეროებში. აღნიშნული პროგრესის შედეგი გახდა ახალი პოსტინდუსტრიული ტიპის ეკონომიკის ჩამოყალიბება. აღნიშნულ სფეროებში ახალმა ინოვაციურმა ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადეს ყველა სახის ინფორმაციის გადაცემა ნებისმიერ მანძილზე და შეიქმნა ერთიანი საინფორმაციო სივრცე.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ტემპი. მისი მიღწევების შეღწევა ახლ ინდუსტრიულ ქვეყნებში აძლევს იმპულსს ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვას, რაც ხორციელდება ბიზნესში ინვესტიციების ზრდის საფუძველზე. ასეთი პროცესების შედეგად იზრდება ინოვაციური და ტექნოლოგიურად ტევადი პროდუქციის გამოშვება, ვინაიდან ინოვაციური საქმიანობის განხორციელება უკვე შეუძლებელი ხდება ახალი ტექნოლოგიების ათვისების გარეშე, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ინოვაციური და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგს. გარდა ამისა, ხდება შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავება და ტექნოლოგიების მოძველებული თაობების ჩანაცვლება ახლით, რომელთაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ, როგორც ადამიანური და მატერიალურ, ასევე ფინანსური რესურსების დაზოგვა.

დღესდღეობით ინოვაციურ გამოგონებებზე, ნოუ-ჰაუსა და შემუშავებებზე პატენტებისა და ლიცენზიების 80%-მდე, ეკუთვნის საერთაშორისო კომპანიებს. აღნიშნული ფაქტი წარმოადენს გლობალურ ინოვაციურ პროგრესში საერთაშორისო კომპანიების როლის დასაბუთებას. აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე ინოვაციურ და მეცნიერებად ტევად დარგებში დაფიქსირებულია კაპიტალის კონცენტრაციის უმაღლესი დონე. რომლის საილუსტრაციოდაც შეგვიძლია განვიხილოთ ნახევარგამტარების ბაზარი, როლის დიდი ნაწილი თითქმის 73% დაპყრობილი აქვთ ხუთ საერთაშორისო კომპანიას, მათ შორის წამყვანი პოზიციაზე იმყოფება ტაივანის კომპანია TSMC, რომელსაც ამ მიმართებით ბაზრის 40%-ზე ოდნავ მეტი უკავია.[60]

აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო კომპანიებმა კორპორაციული დანახარჯების მნიშვნელოვანი მოცულობები მიმართეს სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებებზე. რის დამადასტურებელიცაა ის კვლევით

[60] Sumit Markad, "Top 10 Semiconductor Companies Dominating the Tech Sphere," *Verified Market Reports® | Get Market Analysis and Research Reports*, May 21, 2024, https://www.verifiedmarketreports.com/blog/top-10-companies-in-semiconductor/

სამუშაოზე გაწეული ხარჯები, რომელიც ხორციელდება მსოფლიოს წამყვან კომპანიებში. დიაგრამაზე მოყვანილია ტოპ-10 საერთაშორისო კომპანია ამ მიმართებით (იხ. დიაგრამა 1).

როგორც დიაგრამიდან ჩანს კომპანიების ტოპ 10-ში, რომლებმაც მეცნიერულ კვლევით სამუშაოებზე დახარჯეს ყველაზე მეტი ფინანსური რესურსი, 7 აშშ-ის კომპანიაა. ხოლო 2500 კომპანიამ, რომელთა სათაო ოფისები განთავსებულნი არიან მსოფლიოს 46 ქვეყანაში კვლევით სამუშაოებზე დახარჯა 736.4 მილიარდი დოლარი, რაც შეადგენს ამ მიმართებით მსოფლიოში გაწეული ხარჯების 90%-ს. მათ შორის არის 778 ამერიკული და 577 ევროპული კომპანია, ხოლო დანარჩენი განაწილდა 339 იაპონურ, 438 ჩინურ და 368 სხვა ქვეყნების კომპანიებზე.[61]



დიაგრამა 1. კომპანიების ტოპ-10-ული სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული ხარჯების მიხედვით 2022 წელს (მილიარდ აშშ დოლარებში)[62]

ამრიგად, პრაქტიკამ აჩვენა, რომ სტრატეგიული ალიანსები წარმოადგენენ ინოვაციური პოლიტიკის განხორციელებისათვის ყველაზე ეფექტიან სტრუქტურას. მათი დადებითი მხარეებია: მობილობის მაღალი დონე, მოქნილობა კორპორაციათა შორის სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას, სამეცნიერო-ტექნოლოგიური გაცვლის ფორმების რეალიზაციის სიჩქარე, სუბიექტებისთვის ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის უზრუნველყოფა, რისკის შემცირება, აგრეთვე ყველა შესაძლო რესურსის კორპორაციებს შორისი გაცვლა, კერძოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტელექტუალური რესურსების გაცვლა. ამას გარდა, ალიანსებში შეინიშნება ახალი პროდუქტის საწარმოო ციკლის შემცირება 14-დან 20 თვემდე, ამავდროულად მცირდება მისი ღირებულებაც 50-70%-ით, ამასთან ერთად კი იზრდება პროდუქტის ხარისხი 93-99 პროცენტის დონეზე. აღნიშნული სტრუქტურის ეფექტიანობის კიდევ ერთ დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისას ყოველწლიურად საერთაშორისო კომპანიების მიერ ჩამოყალიბებული ალიანსების მთლიანი რაოდენობის 80%-ი, აწარმოებს 40 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციასა და მომსახურებას.[63]

2. ინოვაციების განვითარების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

[61] Hernandez Guevara Hector et al., "The 2019 EU Industrial R&D Investment Scoreboard," *RePEc: Research Papers in Economics*, January 1, 2019, https://doi.org/10.2760/04570

[62] Statista. "Companies With Highest R&D Spending Worldwide 2022 | Statista," July 4, 2024. https://www.statista.com/statistics/265645/ranking-of-the-20-companies-with-the-highest-spending-on-research-and-development/#:~:text=Amazon%20spent%20the%20most%20on,highest%20R%26D%20spending%20that%20year

[63] Shivam Yadav, "Strategic Alliances: A Key to Success in Today's Globalized Economy," September 17, 2023, https://www.linkedin.com/pulse/strategic-alliances-key-success-todays-globalized-economy-yadav

დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ინოვაცია და ინოვაციური პროდუქტის დანერგვა ბაზარზე, რადგან სწორედ ინოვაცია წარმოადგენს ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მთავარ გზას. დღევანდელ მსოფლიო საბაზრო გარემოში გაბატონებულმა კონკურენციამ იძულებული გახადა მწარმოებლები გაეტანათ ბაზარზე პროდუქტი, რომელიც ხასიათდებოდა დაბალი ფასითა და ნაკლები დანახარჯებით, რომელიც დააკმაყოფილებდა ბაზრის მოთხოვნებს შესაბამისად მეწარმეები ქმნიდნენ უახლესი ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით ინოვაციურ პროდუქტს.[64]

საბოლოო ჯამში ინოვაციები წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის მატერიალიზებულ შედეგს, რომელიც უზრუნველყოფილია კაპიტალის დაბანდებით აღმოჩენაში, გამოგონებაში, საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და მართვის მეთოდებში. იმისათვის, რომ კომპანიამ განახორციელოს ინოვაციური საქმიანობა მას ესაჭიროება შესაბამისი სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, არა მხოლოდ სიახლეთა ორგანიზაციულ-ეკონომიკურ საკითხების შესახებ, არამედ ფლობენ კვლევებისა და შემუშავებების მართვის მეთოდებს, უნარი შესწევთ გამოიყენონ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდები და სხვა.[65]

ნათელია ის ფაქტი რომ ქვეყნის ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ინოვაციური აქტივობა წარმოადგეს. რადგან ეკონომიკის მდგრადი და უწყვეტი განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე, სწორედ ამიტომ მსოფლიოს ქვეყნები მიიღტვიან ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებისკენ და ინოვაციური საქმიანობის მუდმივ სტიმულირებისკენ. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ საქართველოც. ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება ყოველთვის აქტიური იყო საქართველოს ეკონომიკისთვის, რადგან ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ჩაბმა და განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლა.

ამრიგად, საქართველოში, მომავალში საინოვაციო საქმიანობის გაუმჯობესებისა და მნიშვნელოვანი სასარგებლო შედეგების მისაღებად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ძირითადი მაჩვენებლების განვითარების ტენდენციები, რომლებიც აყალიბებს მისი რესურსულ საფუძველს, ასევე ის რაც ხელს უწყობს ინოვაციურად აქტიური ორგანიზაციების მაღალ კონკურენტუნარიანობის დონეს: მათი დაფინანსების მოცულობა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა ახალი ინოვაციური სისტემებით, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა და ორგანიზაციული მხარდაჭერა. საქართველოში ინოვაციურად აქტიური ორგანიზაციების მახასიათებლების მდგომარეობის შესწავლა და პერსპექტივაში მათი განვითარების ანალიზი არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყნის ინოვაციური განვითარების ტემპის ამაღლების საქმეში.[66]

ქვეყნის მაკროდონის ინოვაციური ეკოსისტემა განსაზღვრავს მის ინოვაციურ პოტენციალს. მისი ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია, ინოვაციური საქმიანობის და მასთან დაკავშირებული პროცესების მართვის ეფექტიანობაზე სახელმწიფოს მხრიდან, რომელთა შედეგიანობის განსაზღვრა შესაძლებელია სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების საშუალებით. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემს წარმოადგენს გლობალური

[64] Ventures, Hux. "Embracing Innovation: The Key to Economic Growth and Prosperity," July 19, 2023. https://www.linkedin.com/pulse/embracing-innovation-key-economic-growth-prosperity-huxventures

[65] Ivana Janjić, and Tamara Rađenović. "The Importance of Managing Innovation in Modern Enterprises." *Ekonomika* 65, no. 3 (January 1, 2019): 45–54. https://doi.org/10.5937/ekonomika1903045j

[66] Paid Placement, "Georgia – the Country of Innovations," Forbes Georgia, May 18, 2023, https://forbes.ge/en/georgia-the-country-of-innovations/

ინოვაციური ინდექსი, რომელიც დგება ყოველწლიურად და ასახავს ქვეყნებში ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის დონეს. მის შედგენაში გამოიყენება მრავალი კომპონენტი. აღნიშნული რეიტინგის შედგენასა და გამოქვეყნებას ახდენს საერთაშორისო ბიზნეს სკოლა (2007 წლიდან). მისი გაანგარიშება ხდება მონაცემთა ორი ჯგუფის მიხედვით. პირველთა შორის არიან რესურსები და პირობები, რომლებიც აუცილებელია მათ შესამუშავებლად, დასანერგად და გასავითარებლად. ხოლო მეორეთა შემადგენლობაში შედიან მიღწეული პრაქტიკული შედეგები. ე.ი. ამ კვლევის შედეგი არის ინოვაციებისა და მასზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობა. დიაგრამაზე მოყვანილია აღნიშნული რეიტინგის ტოპ-10-ლისა და საქართველოს მონაცემები 2024 წლის რეიტინგში (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. გლობალური ინოვაციური ინდექსის ტოპ-10-ული და საქართველო 2024 წელი[67]

აღნიშნულ ინდექსში საქართველოს უკავია 74-ე ადგილი და ჩამორჩება ჩვენი რეგიონის ქვეყნებს, მათ შორის ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანას, უკრაინას მოლდავეთს და თურქეთს და უსწრებს მხოლოდ სომხეთსა და აზერბაიჯანს რაც დამეთანხმებით საკმაოდ დამაფიქრებელი ფაქტორია. ამ რეიტინგში ჩვენი ქვეყანა წლების განმავლობაში სხვადასხვა პოზიციას იკავებდა, მაგალითად საუკეთესო შედეგი ბოლო შვიდი წლის განმავლობაში იყო 2019 წელს, როდესაც იკავებდა 48 ადგილს, ხოლო ყველაზე ცუდი პოზიცია კი ჰქონდა 2022 და 2024 წლებში 74 ადგილი (იხ. დიაგრამა 3).

[67] "Global Innovation Index by Country 2024," n.d. https://worldpopulationreview.com/country-rankings/global-innovation-index-by-country



დიაგრამა 3. საქართველოს ადგილი გლობალურ ინოვაციების რეიტინგში 2018-2024 წლების მიხედვით.[68]

საქსტატის 2022 წელს მონაცემებით, ჩატარებული კვლევების მიხედვით ქართული კომპანიების ინოვაციური აქტიურობა შემდეგნაირად გამოიყურება, კერძოდ:[69]

- პროდუქციაში ინოვაციური აქტიურობა განახორციელეს კომპანიათა 6.9%-მა;
- მომსახურებაში ინოვაციური აქტიურობა 6.0%-მა;
- ხოლო საწარმოთა წილმა ვინც ინოვაცია საწარმოში ადგილზე შეიმუშავა შეადგინა 75%, ხოლო მომსახურების შემთხვევაში კი 83.4%;
- იმ საწარმოთა წილმა, რომლებმაც შეიძინეს ახალი ტექნოლოგია, რომელიც საწარმოში ადრე არ იყო გამოყენებული (მოწყობილობები, პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ) შეადგინა 33.9%;
- პერსონალის გადამზადების წილმა, რომელიც უკავშირდებოდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვას შეადგინა 14.3%;
- წარმოებული პროდუქციის დიზაინის გაუმჯობესება განახორციელო საწარმოთა 18%.

ამრიგად, ნებისმიერი ახალი ტექნოლოგია ან ინოვაციური პროცესი არ არის საიდუმლო ფორმულა. ეს არის კომპეტენტური მართვა და კომპანიის ზრდის სტრატეგიის სწორი არჩევანის გაკეთების უნარი, კითხვების ზუსტად დასმა და სწორი პასუხების გაცემა.

საქართველოში ინოვაციური პოლიტიკის და ქვეყანაში ამ მიმართებით სახელმწიფო მხარდაჭერისა და წახალისების მდგომარეობის შესაფასებლად განვიხილოთ OECD-ის მიერ გაკეთებული კვლევის შედეგები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანათა ჭრილში (იხ. დიაგრამა 4).

[68] "Georgia Global Innovation Index, 2013-2023 - knoema.com," Knoema, September 25, 2023, https://knoema.com/atlas/Georgia/topics/World-Rankings/World-Rankings/Global-innovation-index

[69] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საწარმოების ინოვაციური აქტივობა. თბ. 2023. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba



	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	ბელორუსი	მოლდოვა	უკრაინა
მწვანე ეკონომიკის პოლიტიკა	3.05	2.4	2.31	3.41	2.92	2.54
ინოვაციების პოლიტიკა	3.27	2.96	2.83	3.21	2.99	2.28
ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებული სერვისები	4.39	4	3.27	3.11	3.47	2.9

დიაგრამა 4. OECD-ის მიერ გაკეთებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანათა ჭრილში[70]

როგორც დიაგრამიდან ჩანს მოყვანილ ქვეყნებს შორის საქართველო უპირობოდ ლიდერობს თითქმის ყველა სფეროს მაჩვენებლების მიხედვით. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის სფერო, სადაც წამყვანი პოზიცია ბელორუს უკავია, ხოლო საქართველო მეორე ადგილზეა. როგორც თვითონ კვლევაშია მითითებული ინოვაციების მიმართულებით მართალია საქართველო ჯამური მაჩვენებლით ლიდერობს, მაგრამ ჩამორჩება ბელორუს და მოლდოვას ინოვაციური პოლიტიკის სფეროში, ხოლო სასომხეთს კი არატექნოლოგიური ინოვაციების სფეროში. რასაც ქვეყნის ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს და გააძლიეროს ძალისხმევა ამ მიმართებით.

განვიხილოთ ქართული საწარმოების აქტივობა ინოვაციების ჭრილში 2022 წლისათვის (იხ. დიაგრამა 5).



დიაგრამა 5. საქართველოში მოღვაწე საწარმოთა სრულ რაოდენობაში, ინოვაციური ბიზნეს პროცესების მქონე საწარმოთა წილი მიმართულებების მიხედვით 2022 წელს (%-ში)[71]

[70] OECD, European Union, European Training Foundation, and European Bank for Reconstruction And Development. SME Policy Index: Eastern Partner Countries 2020 Assessing the Implementation of the Small Business Act for Europe: Assessing the Implementation of the Small Business Act for Europe. OECD Publishing, n.d. https://www.oecd.org/publications/sme-policy-index-eastern-partner-countries-2020-8b45614b-en.htm (გადამოწმებულია 09.05.24).

[71] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საწარმოების ინოვაციური აქტივობა. თბ. 2023. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba

დიაგრამაზე მოყვანილია იმ საწარმოთა წილი მთლიან მოცულობაში, რომლებმაც დანერგეს ინოვაციები, ნაჩვენებია ის მეთოდები, რომელთა საშუალებიც მოხდა მათი დანერგვა. საქსტატის მონაცემებით 2022 წელს დანერგილი ინოვაციების 41.7% მოდიოდა ბაზრისათვის ახალი პროდუქციის შეტანაზე, ხოლო 58.3% კი საწარმოში ახალი ინოვაციის დანერგვაზე.[72]

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის კომპანიები, რომლებსაც ცდილობენ საქართველოში შექმნილ ინოვაციებს გაუკეთონ პოპულარიზაცია და ბიზნეს პროცესებს მართავენ საქართველოდან. ამ მიმართებით განვიხილოთ თიბისი ბანკის მაგალითი. მან შეიმუშავა და დანერგა რეგიონში პირველი ციფრული ბანკი და საქართველოდან მართავს ორ რეგიონს საქართველოსა და უზბეკეთს. რითაც იგი ხელს უწყობს უცხოეთიდან კაპიტალის შემოდინებასა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას. ყოველივე ეს კი მიუთითებს თიბისი ბანკის ინოვაციურ მიდგომაზე.

მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გათვალისწინებული ინოვაციების განვითარებისათვის 2023-2026 წლების სახელმწიფო პროგრამაში. ნახაზზე მოყვანილია ამ ღონისძიებების ჩამონათვალი (იხ. ნახ. 1)



ნახ. 1. 2023-2026 წლების სახელმწიფო პროგრამაში ღონისძიებების ჩამონათვალი[73]

დასკვნა

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სხვადასხვა სექტორში ინოვაციების ხელშეწყობის კუთხით, აქვე უნდა აღინიშნოს რომ ჯერ კიდევ არის ადგილი ზრდისა და განვითარებისათვის. ინოვაციების დანერგვა საქართველოში შეიძლება იყოს მომგებიანი სხვადასხვა სექტორში, ქვეყნის ეკონომიკური ლანდშაფტის, არსებული ინფრასტრუქტურისა და ზრდის პოტენციური სფეროების გათვალისწინებით.

ამრიგად, შესწავლილი მასალისა და კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართულო კომპანიების განვითარებისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისიო ბაზრებზე მნიშვნელოვანია, მათ საქმიანობაში ინოვაციების შემუშავება და დანერგვა, რაშიც ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი სახელმწიფოსაც მიუძღვის, რათა დაეხმაროს ინოვაციურ კომპანიებს და წაახალისოს მათი საქმიანობა.

[72] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ინოვაციები. თბ. 2023, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba

[73] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის. თბ. 2022. https://www.mof.ge/5539

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2023-2026 წლებისათვის. თბ. 2022. https://www.mof.ge/5539 (გადამოწმებული 09.05.24).

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საწარმოების ინოვაციური აქტივობა. თბ. 2023. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba (გადამოწმებულია 11.09.24).

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ინოვაციები. თბ. 2023, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba (გადამოწმებულია 11.09.24).

4. Diatlova, Valentyna, Yuliia Diatlova, Iryna Petryk, Yuliia Hutareva, Tetyana Zubro, and Olena Tyshchenko. "Innovative Development: Model and Evaluation Method in the Context of Integration Processes." *Management Theory and Studies for Rural Business and Infrastructure Development* 43, no. 1 (June 16, 2021): 161–71. https://doi.org/10.15544/mts.2021.14 (გადამოწმებულია 11.09.24).

5. "Georgia Global Innovation Index, 2013-2023 - knoema.com," Knoema, September 25, 2023, https://knoema.com/atlas/Georgia/topics/World-Rankings/World-Rankings/Global-innovation-index (გადამოწმებულია 11.09.24).

6. "Global Innovation Index by Country 2024," n.d. https://worldpopulationreview.com/country-rankings/global-innovation-index-by-country (გადამოწმებულია 11.09.24).

7. Hector, Hernandez Guevara, Grassano Nicola, Tuebke Alexander, Amoroso Sara, Csefalvay Zoltan, and Gkotsis Petros. "The 2019 EU Industrial R&D Investment Scoreboard." *RePEc: Research Papers in Economics*, January 1, 2019. https://doi.org/10.2760/04570

8. Janjić, Ivana, and Tamara Rađenović. "The Importance of Managing Innovation in Modern Enterprises." *Ekonomika* 65, no. 3 (January 1, 2019): 45–54. https://doi.org/10.5937/ekonomika1903045j (გადამოწმებულია 11.09.24).

9. Placement, Paid. "Georgia – the Country of Innovations." Forbes Georgia, May 18, 2023. https://forbes.ge/en/georgia-the-country-of-innovations/ (გადამოწმებულია 11.09.24).

10. Statista. "Companies With Highest R&D Spending Worldwide 2022 | Statista," July 4, 2024. https://www.statista.com/statistics/265645/ranking-of-the-20-companies-with-the-highest-spending-on-research-and-development/#:~:text=Amazon%20spent%20the%20most%20on,highest%20R%26D%20spending%20that%20year (გადამოწმებულია 11.09.24).

11. Sumit Markad, "Top 10 Semiconductor Companies Dominating the Tech Sphere," *Verified Market Reports® | Get Market Analysis and Research Reports*, May 21, 2024, https://www.verifiedmarketreports.com/blog/top-10-companies-in-semiconductor/ (გადამოწმებულია 11.09.24).

12. Ventures, Hux. "Embracing Innovation: The Key to Economic Growth and Prosperity," July 19, 2023. https://www.linkedin.com/pulse/embracing-innovation-key-economic-growth-prosperity-huxventures (გადამოწმებულია 11.09.24).

13. Yadav, Shivam. "Strategic Alliances: A Key to Success in Today's Globalized Economy," September 17, 2023. https://www.linkedin.com/pulse/strategic-alliances-key-success-todays-globalized-economy-yadav (გადამოწმებულია 11.09.24).

ტექნოლოგიების შერჩევა ვებპროექტისთვის
Selection of Technologies for a Web Project

რუსუდან ქუთათელაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
თენგიზ ბახტაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ანა კობიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
ელზა ვეკუა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
Rusudan Kutateladze
professor at Georgian Technical University
Tengiz Bakhtadze
professor at Georgian Technical University
Ana Kobiashvili
professor at Georgian Technical University
Elza Vekua
PhD in Business Administration, Invited lecturer of Georgian Technical University

აბსტრაქტი. უკანასკნელი წლების განმავლობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტების წინაშე გამუდმებით წამოიჭრება კონკრეტული ვებპროექტისათვის შესაბამისი ტექნოლოგიის შერჩევის ამოცანა. პრობლემა ისაა, რომ ადამიანების უმეტესობა ამა თუ იმ ტექნოლოგიას ირჩევს სუბიექტური მიზეზების გამო და ისინი არგუმენტირებულად ვერ ახდენენ მის შერჩევას. სწორი ტექნოლოგიის არჩევისთვის აუცილებელია პროექტის სპეციფიკის გაგება, სხვათა გამოცდილებისა და უკვე განხორციელებული მსგავსი პროექტების ცოდნა.

სტატიაში განხილულია ვებგვერდების აგების არსებული ტექნოლოგიების სამი დონის ზოგადი ანალიზი, მოყვანილია თითოეული დონის რეალიზების მაგალითები, აღწერილია მათი გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები, მოცემულია ტექნოლოგიის შერჩევისას გასათვალისწინებელი პარამეტრებისა და მახასიათებლების აღწერა. ასევე წარმოდგენილია ვებგვერდების აგების ტექნოლოგიების ტიპები და მათი გამოყენების თავისებურებები, გაკეთებულია ვებგვერდების აგებისათვის სხვადასხვა ენების გამოყენების ანალიზი და ნაჩვენებია ანალიზის შედეგების პროცენტული მაჩვენებლები, განხილულია ვებგვერდების შექმნისათვის გამოყენებული ყველაზე პოპულარული ენები, ფრეიმვორკები და კონტენტის მენეჯმენტის სისტემები.

სტატიაში მოყვანილია გამოკითხვის შედეგების ანალიზი დიდ ვებპროექტებში დაპროგრამების ენების გამოყენების სტატისტიკის დასადგენად, ნაჩვენებია დაპროგრა-მების ენების პოპულარობის ინდექსები მოცემული წლისთვის, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საკვანძო სიტყვები: ვებპროექტი, ვებგვერდი, ფრეიმვორკი, კონტენტის მენეჯმენტის სისტემა.

Summary. During the last years, the task of selecting the appropriate technology for a specific web project is constantly being faced by information technology specialists. The problem is that most people choose this or that technology for subjective reasons, and they can't make an argument for their choice. To choose the right technology, it is necessary to understand the specifics of the project, to know the experience of others and similar projects that have already been implemented.

The article discusses the general analysis of three levels of existing technologies for building websites, gives examples of the implementation of each level, describes the pros and cons of their use, and gives the parameters and characteristics to be considered when choosing a technology. The types of technologies for building websites and the features of their use are also presented, the analysis of the use of different languages for the construction of websites is made and the percentages of the results of the analysis are shown, the most popular languages, frameworks and content management systems used for the creation of websites are discussed.

The article analyzes the results of a survey to determine the statistics of the use of programming languages in large web projects, shows the popularity indices of programming languages for a given year, and makes relevant conclusions.

Keywords: web project, website, framework, content management system.

ძირითადი ტექსტი

დღესდღეობით ვებგვერდის ასაგებად ბევრი ირჩევს ტექნოლოგიას სუბიექტურად, კერძოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მოსწონთ ესა თუ ის ტექნოლოგია, ურჩიეს მეგობრებმა, წაიკითხეს ინტერნეტში ან ამ ტექნოლოგიით დამზადებული ანალოგიური ვებგვერდი ნახეს [1]. ტექნოლოგიის შერჩევის ვერცერთი ეს მეთოდი ვერ აკმაყოფილებს ობიექტურობის კრიტერიუმებს. ასეთი კრიტერიუმები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა პროექტის ზომა და ტიპი, პროექტის სირთულე, მისი შესრულებისათვის გამოყოფილი დრო, სპეციალისტების ხელმისაწვდომობა და მათი ანაზღაურების ოდენობა, დამუშავების შესაძლო ინსტრუმენტები, მზა გადაწყვეტის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტის მოქნილობა, გადაწყვეტის ხარვეზებისადმი ტოლერანტობა, დეტალების დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა, მხარდაჭერის ღირებულება, პროექტის განვითარების ტენდენცია, უსაფრთხოების მოთხოვნები, კროს-პლატფორმის არსებობა, სხვა გადაწყვეტებთან ინტეგრაციის შესაძლებლობა. მხოლოდ ამ კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული ტექნოლოგია მოგვცემს ეფექტიან ვებგვერდს და დავზოგავთ დროსა და ფულს.

ტექნოლოგიის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ განსახორციელებელი პროექტის ტიპი. თუ ეს მარტივი პროექტია, როგორიცაა სავიზიტო ბარათები, მარტივი ონლაინ მაღაზიების გვერდები და სხვა მსგავსი მარტივი აპლიკაციები, მათი გადაწყვეტები, როგორც წესი, მზადდება თემატური კონტენტის მენეჯმენტის სისტემების ან შაბლონების გამოყენებით. თუ ეს საშუალო სირთულის პროექტებია, როგორიცაა კომპლექსური ონლაინ მაღაზიები, სხვადასხვა პორტალები და სერვისები, მათი გადაწყვეტისათვის გამოიყენება სპეციალური ფრეიმვორკები. თუ პროექტი კომპლექსურია, როგორიცაა დიდი ზომის პორტალები, სოციალური ქსელები, ინოვაციური და არასტანდარტული გადაწყვეტები, მათი დაპროექტებისთვის გამოიყენება დაპროგრამება.

ტექნოლოგიებში გამოყოფენ სამ დონეს [2]:

1. სუფთა ენაზე დაპროგრამება. ამ გზით შესაძლებელია გაკეთდეს ნებისმიერი სირთულის ვებგვერდი. ამ გზითაა შექმნილი Instagram, YouTube, Pinterest, Tumblr, Dropbox, Twitter, Facebook, Amazon, Digg, LinkedIn და სხვ.
2. ფრეიმვორკი. ესაა ერთგვარი განვითარების გარემო პროგრამისტისათვის მზა წესებითა და ინსტრუმენტებით. ის აჩქარებს ვებგვერდის შექმნის პროცესს და მას გარკვეულ შეზღუდვებსაც უწესებს.
3. კონტენტის მენეჯმენტის სისტემა. ესაა მზა გადაწყვეტა, კონსტრუქტორი, რომელშიც ნაწილ-ნაწილ ვაწყობთ საჭირო პროდუქტს. მასში არ ხდება დაპროგრამება, ხდება კონფიგურირება.

ხშირად აბსტრაქციის ერთი დონე ეფუძნება მეორეს. მაგალითად, ფრეიმვორკები იქმნება სუფთა ენაზე, ხოლო კონტენტის მენეჯმენტის სისტემები – ფრეიმვორკებში.

რაც უფრო დიდია პროექტი, მით მეტი ტექნოლოგიური საშუალებებია საჭირო მის შესაქმნელად. ასეთი პროექტები ხშირად იმდენად დიდია, რომ მათი ნაწილები მუშაობს სხვადასხვა სერვერზე, სხვადასხვა დომენებით და სხვადასხვა ტექნოლოგიებით. სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენება ხშირად უკავშირდება თავსებადობის პრობლემას. მაგალითად, Google-ის სხვადასხვა ნაწილები დაწერილია C/C++, Java, Python, JS და სხვა ენებზე. უფრო მეტიც, Google აქტიურად ქმნის ახალ ტექნოლოგიებს, როგორიცაა ამჟამად პოპულარული AngularJS.

პოპულარული ენები, რომლებიც ვებგვერდების შესაქმნელად გამოიყენება, არის PHP (მასზე დაწერილია Facebook, VKontakte), რომელიც მარტივი და საშუალო ზომის პრო-

ექტებისთვის გამოიყენება, Python (მასზე დაწერილია Instagram, Pinterest), რომელიც საშუალო და დიდი პროექტებისთვის გამოიყენება და არის სწრაფი და ხარისხიანი, Ruby (მასზე დაწერილია 500 Pixel, Groupon), რომელიც თანამედროვე საკმაოდ სწრაფი ენაა და გამოიყენება მარტივი და საშუალო პროექტებისთვის, Java (მასზე დაწერილია Ebay, Amazon, Alibaba), რომელიც ერთ-ერთი უძვირესი ენაა და იყენებენ კონკრეტული მოთხოვნების მქონე მსხვილ პროექტებზე, C# (მასზე დაწერილია Guru, Bank of America) Java-ს ანალოგია და გამოიყენება დიდი პროექტებისთვის, JS (მასზე დაწერილია LinkedIn, Walmart, PayPal) კი ბოლო წლების ტენდენციაა, გამოიყენება საშუალო და დიდ პროექტებში, ხოლო მისი სპეციალისტები რთული მოსაძებნი და ყველაზე ძვირია.

ფრეიმვორკები (Symphony, Django, Laravel, Spring, .NET, AngularJS) ნახევრად მზა პროდუქტებია [3], დაწერილია სხვადასხვა ენაზე, თუმცა უმეტესობა PHP-ზეა შექმნილი, და შეიძლება იყოს ზოგადი ან სპეციალიზებული, როგორიცაა Symphony-ზე დაფუძნებული Sylius, შექმნილი სპეციალურად ელექტრონული კომერციისთვის. ფრეიმვორკების გამოყენება ბევრად სწრაფი და იაფია, ვიდრე დაპროგრამების ენებისა, არის საკმაოდ ეფექტური, იძლევა საკმაოდ რთული პროექტების შესრულების და სამუშაო დატვირთვის ოპტიმიზაციის საშუალებას.

კონტენტის მენეჯმენტის სისტემებიც (კმს) PHP ენაზეა დაწერილი. მათ შორის ყველაზე პოპულარულია WordPress, რომელიც თავდაპირველად ბლოგების დასაწერად შეიქმნა, ახლა კი გამოიყენება სხვადასხვა საინფორმაციო საიტებისა და ხშირად მონახულებადი საიტების დასამზადებლად. Joomla არის ზოგადი დანიშნულების კმს, იხმარება მცირე ზომის ვებგვერდების დასამზადებლად და არის უფასო. Drupal არის კმს, რომელიც საკმაოდ ძლიერი პლატფორმაა. მასზე დამზადებულია ისეთი ცნობილი საიტი, როგორიცაა თეთრი სახლის ოფიციალური ვებგვერდი. Magento და PrestaShop მსოფლიოში ყველაზე პოპულარული კმს-ებია ონლაინ მაღაზიებისთვის.

უკანასკნელ წლებში ასევე განვითარდა შაბლონები, რომლებიც კმს-ზე ერთი საფეხურით მაღლა დგას. თუ კმს არის დიზაინერი და საჭიროებს მორგებას, შაბლონი არის მზა გადაწყვეტა ტიპური შემთხვევებისთვის. მაგალითად, ყველა ქალაქს აქვს რესტორნები, კლინიკები, ტაქსი და ა.შ. ყველა ამ ტიპის ბიზნესი მოითხოვს მსგავს გვერდებს. ამიტომ შესაძლებელია მზა თემატური შაბლონის არჩევა და მასში ფერებისა და შინაარსის შეცვლა. ეს გზა ძალიან იაფია და მყისიერად სრულდება. არსებობს სპეციალური შაბლონების დირექტორიები: TemplateMonster, ThemeForest და ონლაინ კონსტრუქტორები: Wix, PageCloud.

ცხადია, არსებობს სპეციალური მობილური აპლიკაციებისთვის განკუთვნილი ტექნოლოგიებიც ენებზე Swift და Java.

სხვადასხვა კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მკაფიო ზრდის ლიდერებია: JS (ვერსია ES6 და უფრო მაღალი) და მრავალპარადიგმული დაპროგრამების ენები, კერძოდ, Scala [4]. სხვათა შორის, Scala ითვლება Java ენის მემკვიდრედ და მას ჰგავს მრავალი თვალსაზრისით; საკმაოდ აქტუალურია Python-ც.

ანტიტენდენციებს ინარჩუნებს დაპროგრამების მრავალი ძველი ენა და PHP. 2023 წელს გამოვიდა PHP-ის 8.2.6 ვერსია, რომელშიც მრავალი სერიოზული ხარვეზი გამოსწორდა. ასე რომ, სავარაუდოდ მალე ვიხილავთ PHP განვითარების ახალ რაუნდს.

საზოგადოდ, დაპროგრამების სხვადასხვა ენების გამოყენების პროცენტული მაჩვენებლები 2024 წლისათვის წარმოდგენილია ნახ.1-ზე.

- JavaScript: 35%
- Python: 20%

- HTML/CSS: 15%
- PHP: 10%
- Java: 5%
- Ruby: 3%
- TypeScript: 3%
- C#: 3%
- Swift: 2%
- Go: 2%



ნახ.1. დაპროგრამების ენების გამოყენებადობის პროცენტული თანაფარდობები

ტექნოლოგიის არჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმია მხარდაჭერის ღირებულება. მნიშვნელოვანია რამდენიმე პარამეტრი: ღირებულება 1 საათში, საათების რაოდენობა, ოფიციალური ტექნოლოგიური მხარდაჭერა, სპეციალისტების ხელმისაწვდომობა, განვითარების სწორი მიდგომა და სხვ.

ერთი საათის ღირებულება დამოკიდებულია სპეციალისტების ხელფასზე, მაგრამ საათების რაოდენობა დამოკიდებულია თავად ტექნოლოგიაზე და კოდის ჩაწერის ხარისხზე. შესაძლებელია დავზოგოთ ფული პროექტის პირველი ვერსიის შემუშავებისას, მაგრამ პროექტი მაინც ძალიან გაძვირდეს მისი მუდმივი დახვეწის პროცესში.

ასევე მნიშვნელოვანია ენის ვერსია, ფრეიმვორკი, კმს. სასურველია ყოველთვის უახლესი სტაბილური ვერსიის გამოყენება, რათა ის მანამდე არ მოძველდეს, სანამ პროექტი წარმოებაში შევა. როდესაც ახალი ვერსია გაჩნდება, დაუყოვნებლივ უნდა გავითვალისწინოთ პროექტის ახალ ვერსიაში გადატანის შესაძლებლობა, რადგან თუ გამოვტოვებთ რამდენიმე ვერსიას, მაშინ გაგვიჭირდება სწრაფი განახლება.

ამრიგად, ვასკვნით, რომ მარტივი ვებგვერდებისათვის ხშირად შესანიშნავი საუკეთესო გადაწყვეტაა შაბლონები. რთული ვებსაიტები მზადდება მხოლოდ ფრეიმვორკებით ან თუნდაც სუფთა დაპროგრამების ენებით. ამის გაკეთება შესაძლებელია ძალიან განსხვავებულ ენებზე და ენის შერჩევა ხდება კონკრეტული პროექტისთვის. მარტივი მობილური აპლიკაციების დამზადება შესაძლებელია კროს-პლატფორმული ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო

კომპლექსური ვებგვერდებისა – ჩვეულებრივ, ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებით. ამრიგად, პლატფორმის არჩევისას ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ ობიექტური კრიტერიუმებით.

ცხრილ 1-ში მოყვანილია გამოკითხვა დიდი პროექტისთვის სასურველი დაპროგრამების ენის გამოყენების შესახებ. ესაა პროექტები 100 მილიონი ან მეტი მომხმარებლის ტრაფიკით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა მომხმარებელმა.

ცხრილი 1. სასურველი ენა დიდი პროექტისთვის

ენა	ხმების რაოდენობა	პროცენტული რაოდენობა
Python	239	22.55%
Ruby	43	4.06%
Java	191	18.02%
C#	120	11.32%
PHP	256	24.15%
JS	124	11.7%
Scala	23	2.17%
სხვა	64	6.04%



ნახ.2. დაპროგრამების ენების პოპულარობის ინდექსები 2024 წლისთვის

საერთაშორისო პროგრამული საზოგადოების ინდექსის TIOBE-ს მიხედვით, რომელიც არის დაპროგრამების ენების პოპულარობის საზომი, 2024 წლის შემოდგომისთვის ენების პოპულარობის მაჩვენებლები წარმოდგენილია ნახ.2-ზე [5].

დასკვნა

ტექნოლოგიის არჩევისას უნდა გავითვალისწინოთ სამომავლო ტენდენციები, მით უმეტეს, თუ ვსაუბრობთ დიდ პროექტზე. ყველა ტექნოლოგია ძალიან სწრაფად ვითარდება და სულ უფრო მეტი ახალი ვერსია იქმნება. ენები ძალიან იცვლება ყოველ 5-7 წელიწადში ერთხელ, ფრეიმვორკები ყოველ 2-3 წელიწადში და კმს-ები ყოველ 1-2 წელიწადში ერთხელ. დღეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კარგი ტექნოლოგიის არჩევა, არამედ განვითარების ტენდენციების პროგნოზირება, რათა რამდენიმე წლის შემდეგაც აქტუალური იყოს არჩეული ტექნოლოგია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბოლოო ჯამში, საჭიროა პროექტის გადაწერა, რაც ყოველთვის ძალიან პრობლემურია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.valuecoders.com/blog/technology-and-apps/how-to-choose-right-web-development-technology-for-your-project/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა –24.09.2024.
2. https://www.opensourcecms.com/content-management-systems-vs-frameworks/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 24.09.2024.
3. რ.ქუთათელაძე, თ.ბახტაძე, ა.კობიაშვილი. თანამედროვე პარალელური და განაწილებული სისტემების პარადიგმის შედარებითი ანალიზი. XVII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ხელისუფლება და საზოგადოება – 2023“. შრომების კრებული. თბილისი, 2023, გვ. 291-298.
4. https://docs.scala-lang.org/tour/tour-of-scala.html#:~:text=Scala%20is%20a%20modern%20multi,object%2Doriented%20and%20functional%20languages. უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 24.09.2024.
5. https://www.tiobe.com/tiobe-index/ უკანასკნელად გადამოწმებულ იქნა – 24.09.2024.

საქართველოს განათლების სისტემის არსებითი გამოწვევები
Essential Challenges of the Educational System of Georgia

გუგული ყურაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
თამარი ბერიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
მედეა ჭელიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
მზევინარ ნოზაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფესორი
Guguli Kurashvili - Georgian Technical University
Academic Doctor of Economics, Professor
Tamari Beridze - Georgian Technical University
Candidate of Technical Sciences, Professor
Medea Chelidze - Georgian Technical University
Doctor of Economics, Professor
Mzevinar Nozadze - Georgian Technical University
Academic Doctor of Economics, Assoc. Professor

აბსტრაქტი. ევროპული სტანდარტების მიხედვით უმაღლესი განათლების რესტრუქტურიზაციამ მნიშვნელოვნად აამაღლა განათლების ხარისხი, გაზარდა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მასშტაბები და აქცენტი STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) განათლებაზე, ციფრულ ცოდნასა და ინოვაციებზე. თუმცა, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები საჭიროებს გაგრძელებას, რადგან სახეზეა მნიშვნელოვანი აქტუალური პრობლემები: პედაგოგთა სიმცირე, ცოდნის მიწოდების მხრივ უთანასწორობა სოფელსა და ქალაქს შორის, უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემების შეზღუდული დაფინანსება და სხვა. ვფიქრობთ, ამ არსებითი გამოწვევების დაძლევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. ამასთან, საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მათი გადაჭრა აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ჩვენს მიერ განხორციელებული გარემოს PESTLE ანალიზით შესაძლებელია იმ გარე ფაქტორების შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენენ განათლების სექტორზე, როგორიცაა პოლიტიკური (საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეფორმები, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური სტაბილურობა), ეკონომიკური (სექტორის ბიუჯეტი, შრომის ანაზღაურება, შრომის ბაზრის გამოწვევები), სოციალური (ღირებულებები, ენობრივი ბარიერი, დემოგრაფიული მდგომარეობა, უთანასწორობა სოფლად და ქალაქად), ტექნოლოგიური (ციფრული ინფრასტრუქტურა, ელექტრონული სწავლების პლატფორმები, STEM განათლება), სამართლებრივი (ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესები, საკანონმდებლო ჩარჩოები, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა) და გარემოსდაცვითი ფაქტორები (გამოწვევები სოფლად, გარემოსდაცვითი საკითხებზე ცნობიერების ამაღლება).

PESTLE ანალიზი ხაზს უსვამს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად უწყვეტი ინვესტიციების, ტექნოლოგიური განახლებისა და სამართლებრივი რეფორმების მნიშვნელობას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის უზრუნველყოფაში.

საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ციფრული ინსტრუმენტების ინტეგრაციისა და სტუდენტებისათვის სწავლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიმართულებით საქართველოში განხორციელდა პროექტების ფართო სპექტრი. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, მნიშვნელოვნად გვესახება ძალისხმევის მუდმივი მიმართვა რეფორმების გასაგრძელებლად.

იმისათვის, რომ საქართველო იყოს კონკურენტუნარიანი ცოდნაზე დაფუძნებულ ინდუსტრიებში, საჭიროა მეტი აქცენტი გაკეთდეს კვლევების დაფინანსებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გასაძლიერებლად. სამწუხაროდ, საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას ამახვილებენ კვლევების გზით ინოვაციურ წინსვლაზე.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო სისტემა, საერთაშორისო სტანდარტები, არსებითი გამოწვევები, მოდერნიზაცია, ტექნოლოგიური ცვლილებები.

Abstract. Restructuring higher education in line with European standards has significantly improved the quality of education, increased cooperation with universities and the focus on STEM (science, technology, engineering and mathematics) education, digital knowledge and innovation. However, the reforms that have been carried out and are being carried out in the Georgian education system must be continued, as there are important problems: a shortage of teachers, inequality between villages and cities in terms of knowledge provision, limited funding for higher and vocational education systems, and others. We believe that overcoming these critical problems is crucial for the development of the country. In addition, their solution is a prerequisite for ensuring the improvement of the education system and compliance with international standards.

PESTLE analysis helps us assess external factors that influence the education sector, such as political (reforms in line with international standards, international relations, political stability), economic (industry budget, wages, labour market challenges), social (values, language barrier, demographic situation, rural-urban inequality), technological (digital infrastructure, e-learning platforms, STEM education), legal (authorisation and accreditation processes, legislative framework, promotion of inclusive education) and environmental factors (problems in rural areas, raising awareness of environmental issues).

The PESTLE analysis highlights the importance of continuous investment, technological upgrades and legal reforms in ensuring that Georgia's education system meets modern requirements.

Georgia has implemented a wide range of projects to modernize the education system, improve infrastructure, integrate digital tools, and ensure equal learning opportunities for students. While significant progress has been made, it is important to continue focusing efforts on continuing reforms.

For Georgia to be competitive in knowledge-intensive industries, more attention needs to be paid to funding research and strengthening international cooperation. Unfortunately, higher education institutions in Georgia still pay less attention to innovative development through research.

Key words: educational system, international standards, essential challenges, modernization, technological changes.

შესავალი. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საგანმანათლებლო სექტორმა მნიშვნელოვანი რეფორმები განიცადა, რომლებიც მიზნად ისახავდა განათლების მოდერნიზებას და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ყველა დონეზე, სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც ძირითადად

განპირობებული იყო ევროპულ და დასავლურ ინსტიტუტებთან ინტეგრაციისკენ სწრაფვით და ადამიანური კაპიტალისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების სურვილით.

განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს შორის ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებასა და სრულყოფაზე, კურიკულუმების დახვეწასა და შესაბამისობაზე განვითარებული ქვეყნების სასწავლო პროგრამებთან, ხარისხიანი განათლების წვდომის ბარიერების აღმოფხვრაზე ქალაქად თუ სოფლად, ციფრული განათლების უზრუნველსაყოფად შესაბამისი პლატფორმების შემუშავებასა და მთლიანად საგანმანათლებლო სისტემის დიგიტალიზაციისათვის ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობაზე. ასევე, ეთნიკური უმცირესობების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ბილინგვური განათლების მოდელების დანერგვაზე, პედაგოგთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგ-კურსების აუცილებლობაზე, სტუდენტებისთვის შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მთელ რიგ სფეროებში (IT, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ინჟინერია).

საქართველოში უნივერსიტეტებს გააჩნიათ ავტონომიის მაღალი ხარისხი, პრიორიტეტია ყურადღების გამახვილება კვლევით საქმიანობაზე, აკადემიურ თავისუფლებასა და საერთაშორისო თანამშრომლობაზე. ქართული უნივერსიტეტები თანამშრომლობენ საზღვარგარეთის ქვეყნების პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად მუშავდება და ინერგება ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, იზრდება სტუდენტების ჩართულობა გაცვლით პროგრამებში.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა, მთლიანობაში, წარმოადგენს მიმდინარე რეფორმების ნაზავს, რომელიც მიმართულია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. ქვეყნის სწრაფვამ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საგანმანათლებლო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და მიუხედავად იმისა, რომ პროგრესი აშკარაა, იკვეთება რამდენიმე გამოწვევა.

ძირითადი ნაწილი. საქართველოში საუნივერსიტეტო განათლების მთავარი მიზანია ახალგაზრდების მომზადება პროფესიული კარიერისთვის. განათლების სისტემა სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ისეთი კრიტიკული უნარების განვითარებას, როგორიცაა პრობლემების გადაჭრა, გუნდური მუშაობა, ლიდერობა და კომუნიკაცია, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია თანამედროვე სამუშაო ძალის პროფესიონალიზმისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამები მიზნად ისახავს სტუდენტების აღჭურვას ეკონომიკაში მოთხოვნადი სპეციფიკური უნარებით. ტექნიკურ უნარებთან ერთად გასათვალისწინებელია ეთიკური სტანდარტებიც. სამოქალაქო პასუხისმგებლობას დიდი ყურადღება ექცევა საუნივერსიტეტო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულების პოზიტიური წვლილის უზრუნველყოფას საზოგადოების განვითარებაში.

პროფესიონალები მოტივირებულნი არიან მხარი დაუჭირონ ადგილობრივ ინდუსტრიებს. ინიციატივები ძირითადად გამიზნულია ნიჭიერი ახალაზრდების შენარჩუნების და წახალისების, ტვინების გადინების პრევენციისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ახალგაზრდებს შენარჩუნებული აქვთ ეროვნული სიამაყის გრძნობა, იციან და უფრთხილდებიან ქვეყნის ღირებულებებს, კულტურას და მემკვიდრეობას.

გამოვლენილი გამოწვევების შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ შესაბამისი მეთოდით (ექსპერტული კვლევა) განხორციელდა **თვისებრივი კვლევა** და შეჯამდა მიღებული შედეგები.

დარგის სპეციალისტების, მეცნიერთა და განათლების ექსპერტთა მოსაზრებები საქართველოს საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ ასახავს როგორც დადებით დამოკიდებულებას რეფორმების მიმართ, ასევე გარკვეულ კითხვებს მიმდინარე გამოწვევებთან დაკავშირებით. სიღრმისეული ინტერვიუ იყო არასტრუქტურირებული ანკეტა-კითხვარის შესაბამისი და ეხებოდა განხორციელებულ რეფორმებს, არსებით გამოწვევებს, უნივერსიტეტების ავტონომიას, კვლევითი საქმიანობების წახალისებას უმაღლეს სასწავლებლებში, ენობრივ ბარიერებს, ტექნოლოგიების ინტეგრაციას. კვლევაში ჩართული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის 10 აკადემიური პერსონალი და ექსპერტი. კვლევა განხორციელდა მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში.

რესპოდენტები აღნიშნავენ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ბოლონიის პროცესთან შესაბამისობას, როგორც პოზიტიურ ნაბიჯს. საგანმანათლებლო პროგრამების უმაღლესი განათლების ევროპული სტანდარტების მიხედვით რესტრუქტურიზაციამ ხელი შეუწყო სტუდენტების მობილობას და საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის გააუმჯობესას. მკვლევარები დადებითად აფასებენ ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობისა და აკადემიურ გაცვლის მნიშვნელობას.

რესპოდენტები ხაზს უსვამენ, რომ აქცენტი STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) განათლებაზე, ციფრულ ცოდნასა და ინოვაციებზე რეალურად შეესაბამება თანამედროვე ეკონომიკის საჭიროებებს. ის ასახავს გლობალურ ტენდენციებს, რომლებიც სტუდენტებს წარმატებისკენ მოუწოდებს მზარდ ციფრულ და ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში.

მკვლევარები ხაზს უსვამენ სერიოზულ პრობლემას - საჯარო სკოლების შეუსაბამო ინფრასტრუქტურას სოფლად, კვალიფიციური პედაგოგების სიმცირეს და თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომის სიმწირეს რეგიონებში. ისინი ამტკიცებენ, რომ რეგიონებში უფრო მეტი ინვესტიციაა გასათვალისწინებელი - თანაბარი წვდომისათვის მაღალხარისხიან განათლებაზე.

რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდებისთვის პედაგოგობა არ არის სასურველი პროფესია და ამტკიცებენ, რომ საგანმანათლებლო სისტემაში ახალგაზრდების მოსაზიდად გარკვეული ნაბიჯებია გადასადგმელი, მათ შორის, დაინტერესება ანაზღაურებით, შესაბამისი სამუშაო პირობების შეთავაზებით და სოციალური პროგრამების მხარდაჭერით. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საჭიროა მეტი ინვესტიციის განხორციელება შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისად.

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ საქართველოს პროფესიული განათლების პროგრამები ჯერ კიდევ დასახვეწი და არასაკმარისია ეკონომიკის სექტორების მოთხოვნების მიმართულებით (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და IT) და ვარაუდობენ, რომ საჭიროა უფრო მჭიდრო კავშირი ბიზნესსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის, რათა კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ საჭირო უნარები სწრაფად ცვალებად გარემოში საქმიანობისათვის.

მეცნიერთა უმეტესობა აკრიტიკებს უნივერსიტეტების დონეზე სამეცნიერო კვლევების შეზღუდულ ინვესტიციებს. საქართველოს უნივერსიტეტებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნამდვილად არიან ევროპული სტანდარტების შეესაბამისი, ხშირად არ გააჩნიათ საკმარისი დაფინანსება და ინფრასტრუქტურა მაღალი დონის კვლევების განსახორციელებლად.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ იმისათვის, რომ საქართველო იყოს კონკურენტუნარიანი ცოდნაზე დაფუძნებულ ინდუსტრიებში, მეტი აქცენტი უნდა კეთდებოდეს კვლევების დაფინანსებაზე და საერთაშორისო თანამშრომლობაზე. სამწუხაროდ, უნივერსიტეტები ძირითადად რჩებიან სასწავლო დაწესებულებებად და მცირე ყურადღება აქვთ გამახვილებული კვლევების გზით ინოვაციურ წინსვლაზე.

რესპოდენტები თანხმდებიან, რომ ქართული ენის ცოდნის ხელშეწყობა აუცილებელია ეროვნული ერთიანობისთვის. თუმცა, მეცნიერთა მხრიდან არსებობს კითხვები ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორიცაა ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, სადაც ცხოვრობენ სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი თემები. ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ ორენოვანი განათლების მოდელი და ენობრივი ინტეგრაციის პროგრამები საჭიროებს დახვეწას და უფრო მეტ ხელშეწყობას.

ექსპერტები, ზოგადად, მხარს უჭერენ ხელისუფლების ძალისხმევას ციფრული ინფრასტრუქტურის მოდერნიზებისაკენ და აღნიშნავენ, რომ ეს არის მომავლის გასაღები. თუმცა, ისინი ასევე ხაზს უსვამენ ციფრული წიგნიერების აუცილებლობას ტექნოლოგიების უპირატესობების სრულად რეალიზებისათვის. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ უფრო მიზანმიმართული პოლიტიკაა საჭირო ტექნოლოგიებზე თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის ქვეყნის ყველა ნაწილში.

საერთო ჯამში, გამოკითხულები დადებითად აფასებენ ხელისუფლების ნაბიჯებს მოდერნიზაციის, ანტიკორუფციული ღონისძიებებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით. თუმცა, გამოიკვეთა ის არსებითი გამოწვევები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს (მაგ.: პედაგოგთა განსხვავებული განაწილება რეგიონების მიხედვით, პროფესიული პროგრამების არასაკმარისი დაფინანსება, შეზღუდული ინვესტიციები საუნივერსიტეტო კვლევებისათვის). ვთვლით, რომ ამ გამოწვევების გადაწყვეტა გააძლიერებს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ საინტერესოდ იქნა მიჩნეული იმ პროექტებისა და ინიციატივების შესწავლა, რომლებიც საქართველოში განათლების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ბოლო წლებში განხორციელდა. ეს პროექტები მიზნად ისახავდა ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას, სასწავლო გეგმების მოდერნიზებას, დიგიტალიზაციის ხელშეწყობას და თანასწორობის უზრუნველყოფას რეგიონებში. შესაბამისად, **თვისებრივი კვლევის** განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა შესაბამისი კვლევის მეთოდი - დოკუმეტების ანალიზი.

ათასწლეულის გამოწვევის ანგარიში - საქართველო (MCA) - STEM Improvement Project: ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული ერთ-ერთი უდიდესი საგანმანათლებლო პროექტია და ორიენტირებულია მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) განათლების გაუმჯობესებაზე. პროგრამა მიზნად ისახავდა სასწავლო გეგმის მოდერნიზაციას, პედაგოგთა გადამზადებას და ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. სწორედ ამ პროექტის საფუძველზე განხორციელდა მნიშვნელოვანი ინვესტიციები საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი განათლების პროექტი (GEP) - მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით GEP ორიენტირებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე.

პროექტის ძირითადი კომპონენტები მოიცავს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სასწავლო გეგმების რეფორმას, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას.

პროფესიული განათლებისა და სწავლების (VET) გაძლიერება - სხვადასხვა პროექტები, მათ შორის GIZ-ის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობა) და ევროკავშირის მხარდაჭერით, მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების გაძლიერებას და სამუშაო ბაზრისთვის მის რელევანტურობას.

ციფრული განათლების პროექტები - ხელისუფლებამ წამოიწყო რამდენიმე პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ციფრული განათლებისა და ელექტრონული სწავლების რესურსებზე სწრაფ წვდომას (გამოწვეული COVID-19 პანდემით).

ეროვნული ციფრული ბიბლიოთეკა - პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ციფრული ბიბლიოთეკის შექმნას ღია წვდომობისათვის.

ტექნოლოგია განათლებაში - საერთაშორისო კომპანიებთან, როგორიცაა Microsoft და Google, პარტნიორობამ ხელი შეუწყო ციფრული ხელსაწყოების დარგვას საკლასო ოთახებში დისტანციური და ჰიბრიდული სწავლის მოდელების გასამარტივებლად.

ინკლუზიური განათლების პროგრამები - მრავალი პროექტი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ინტეგრირებას განათლებაში. UNICEF, Open Society Georgia Foundation და Save the Children ორგანიზაციების მხარდაჭერით ეს პროექტები ფოკუსირებულია მასწავლებელთა შესაბამის ტრენინგებზე, დამხმარე ტექნოლოგიების დანერგვაზე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ILPs) შემუშავებაზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამები - საერთაშორისო დონორებისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი რამდენიმე მიმდინარე პროექტი მიზნად ისახავდა მასწავლებელთა ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას, მათ შორის პედაგოგთა სასერთიფიკატო პროგრამებს, ინოვაციური სწავლების მეთოდებს (მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, კრიტიკულ აზროვნებას, ციფრულ წიგნიერებას), ინიციატივას - ასწავლე საქართველოსთვის - სოფლად და დაუცველ რაიონებში სამუშაოს მაღალი ხელფასის შეთავაზებით.

როგორც დოკუმენტების ანალიზით ვნახეთ, საქართველოში საკმაოდ ბევრი პროექტია მიმდინარე და უკვე განხორციელებული საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზაციის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ციფრული ინსტრუმენტების ინტეგრაციისა და ყველა სტუდენტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ეს ინიციატივები ასახავს მთავრობის ძალისხმევას განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის, ადგილობრივი გამოწვევების გადაჭრის მიმართულებით.

უფრო მეტი თვალსაჩინოების მიზნით, საჭიროდ მივიჩნიეთ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის **PESTLE ანალიზი.** PESTLE (political, economic, social, technological, legal and environmental - პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი და გარემოსდაცვითი) ანალიზი, ზოგადად, აფასებს გარე ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტულ სექტორზე ან პოლიტიკაზე.

პოლიტიკური ფაქტორები - განათლება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, რომელიც მიზნად ისახავს ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში. ქვეყანა ღებულობს მხარდაჭერას საერთაშორისო ორგანიზაციებისგან (მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი და იუნესკო) და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პოლიტიკას ფინანსური დახმარებისა და შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

ასევე, ჩვენი ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტაბილურობა განათლების სექტორში რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის.

ეკონომიკური ფაქტორები - სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი განათლებას ეთმობა. თუმცა, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, პედაგოგთა შრომის ანაზღაურება და თანამედროვე ტექნოლოგიები განსხვავდება ქალაქად და სოფლად. ასევე, საგანმანათლებლო პოლიტიკა ფოკუსირებული გახდა პროფესიულ და ტექნიკურ მომზადებაზე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, განსაკუთრებით ტექნოლოგიების, ბიზნესისა და მომსახურების სფეროებში. ქვეყნის მასშტაბით, კერძო სკოლებმა და უნივერსიტეტებმა გაზარდეს კონკურენცია, თუმცა გამოკვეთა მათზე წვდომის სხვადასხვა შესაძლებლობები ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

სოციალური ფაქტორები - დემოგრაფიული მდგომარეობა გავლენას ახდენს საგანმანათლებლო სერვისების მოთხოვნაზე, მაგრამ ასევე ქმნის გამოწვევებს საგანმანათლებლო სისტემაში სამუშაო ძალის შენარჩუნებასა და განახლებაში.

განათლება ოდითგანვე ძალზედ ფასეული იყო ქართული საზოგადოებისათვის, პედაგოგების, აკადემიური გარემოს, სწავლისადმი დამოკიდებულება ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით გამოირჩეოდა. თუმცა, გარკვეული დაძაბულობა იკვეთება ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნებასა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს შორის.

აქვე უნდა ითქვას, რომ რესურსებზე უკეთესი წვდომა საზოგადოებას აქვს დედაქალაქში, რეგიონებში შეიმჩნევა ჩამორჩენა ინფრასტრუქტურის და კვალიფიციური პედაგოგების რაოდენობის ჭრილში.

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა და ენობრივი ბარიერი შესაძლებელია არსებობდეს იმ რეგიონებში, რომლის ძირითადი მოსახლეობისთვის ქართული ენა არ არის მშობლიური. შესაბამისად, ორენოვანი განათლების პოლიტიკა მეტად სასრგებლოა ინტეგრაციისა და სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად.

ტექნოლოგიური ფაქტორები - განათლებაში დიგიტალიზაციისკენ სწრაფვა მნიშვნელოვანი ტენდენციაა საჯარო სკოლების კომპიუტერებითა და ინტერნეტით წვდომის უზრუნველყოფის ჩათვლით. თუმცა, რეგიონების ნაწილში კვლავ არის გარკვეული გამოწვევები ამ მიმართულებით.

COVID-19 პანდემიამ ელექტრონული სწავლების პლატფორმების გამოყენება დააჩქარა, ხელისუფლებამ შეიმუშავა შესაბამისი ციფრული განათლების სტრატეგიები. მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიებზე (კომპიუტერები, ინტერნეტი) არათანაბარი წვდომა მაინც კრიტიკულ საკითხს წარმოადგენს.

მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით ყურადღების გამახვილებამ განათლების გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით განაპირობა ციფრული წიგნიერებისა და ტექნიკური უნარების გაძლიერებისკენ სწრაფვა.

სამართლებრივი ფაქტორები - საქართველოს საგანმანათლებლო სისტემას არეგულირებს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო შესაბამისი კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით. თუმცა ძალზედ მნიშვნელოვანს წარმოადგენს განხორციელებული რეფორმების საფუძველზე დანერგილი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნივერსიტეტების ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესები.

აღსანიშნავია, რომ შემუშავდა საკანონმდებლო ჩარჩო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის სწავლაზე ხელმისაწვდომობის

გასაუმჯობესებლად, მათ შორის ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და პრაქტიკის დანერგვის მიზნით.

გარემოსდაცვითი ფაქტორები - საქართველოში სულ უფრო მეტად ხდება ყურადღების გამახვილება გარემოსდაცვით ღონისძიებებსა და შესაბამის განათლებაზე, აგრეთვე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად ამ მიმართულებით.

საქართველოს განათლების სისტემა ადაპტირდება კლიმატის ცვლილების რეალობასთან, განსაკუთრებით სოფლად და მთიან რეგიონებში, სადაც ამინდის პირობებმა და თანმდევმა ფაქტორებმა შესაძლებელია გავლენა იქონიოს სასკოლო დაწესებულების ფუნქციონირებაზე.

როგორც ვხედავთ, PESTLE ანალიზი ხაზს უსვამს უწყვეტი ინვესტიციების, ტექნოლოგიური განახლებისა და სამართლებრივი რეფორმების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს XXI საუკუნის მოთხოვნების შესაბამისი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა.

დასკვნა. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ფუნქციონირებს და ყალიბდება როგორც ქვეყნის შიდა რეფორმების, ასევე საერთაშორისო გავლენების ნაზავით. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მიერ გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროპული სტანდარტების შესაბამისად, როგორც ჩვენს მიერ განხორციელებულმა კვლევებმა გვიჩვენა, განათლების სისტემის განვითარების და სრულყოფის კუთხით იკვეთება არსებითი გამოწვევები, მათ შორის ქვეყნის მასშტაბით სწავლების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის, ტექნოლოგიური ინტეგრაციის, მეცნიერული კვლევების დაფინანსებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით. სამწუხაროდ, საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კვლევების გზით ინოვაციურ წინსვლასა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო https://mes.gov.ge
2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი https://eqe.ge/ka
3. პროფესიული განათლება https://vet.ge/ge
4. STEM სასწავლო ცენტრი https://www.stem.org.uk/
5. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო (MCA) - https://mcageorgia.ge/
6. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი http://tr.tpdc.ge/
7. ინკლუზიური განათლება http://inclusion.ge/geo/static/5
8. Bielska, T., Kurashvili, G., Beridze, T., & Chelidze, M. (2024). Challenges of Artificial Intelligence in the Educational Process. Quarterly Refereed and Reviewed International Scientific Journal „Science and Innovation“. №3, Tbilisi, Georgia, 6-12. https://doi.org/10.52340/sai
9. Kurashvili, G., Beridze , T., Chelidze, M., Gelitashvili, G., & Beridze, S. (2019). Integration of State Universities - to expand educational mobility and research. Scientific Magazine «Authority and Society (History, Theory, Practice)». Publishing House „Technical University“, 175-180.
10. Kurashvili, G., Beridze, T., & Chelidze, M. (November, 2019). Innovative Technologies – to Ensure the Quality of Education. IV International Scientific Conference «Challenges of Globalization in Economics and Business» (pp. 429-432). Tbilisi, Georgia: Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Economics and Business Faculty.

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების წინაშე წარმოშობილი საფრთხეები და დამცავი ზომები.

Threats and safeguards facing professional accountants in public practice

მანანა მჭედლიშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
Manana Mchedlishvili
Caucasus International Univers
Academic Doctor of Economics, Associate Professor

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრების წინაშე წარმოშობილი საფრთხეები და დამცავი ზომები. დასახულია გზები და ჩამოყალიბებულია დასკვნები თანამედროვე პირობებში პრაქტიკოსი ბუღალტრების საქმიანობებზე, რომელნიც ხელს შეუწყობენ კომპანიებში ეთიკაზე დაფუძნებული კულტურის დამკვიდრებას. საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი არის ნებისმიერი პროფესიონალი ბუღალტერი, ის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიუხედავად ფირმაში პროფესიულ მომსახურებას ეწევა.

პრაქტიკოსმა ბუღალტერმა უნდა გამოავლინოს საფრთხეები, შეაფასოს საფრთხეები და დამცავი ზომები გამოიყენოს საჭიროების შემთხვევაში. შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ყველა სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის მას. შეიძლება განსხვავებული იყოს დავალებებისა და სამუშაოს ბუნებაც და, შესაბამისად, შეიძლება სხვადასხვანაირი საფრთხე შეიქმნას და განსხვავებული დამცავი ზომების გატარება იყოს აუცილებელი.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის დამცავი ზომები, რაც შეიძლება გამოვიყენოთ საფრთხის მისაღებ დონემდე შესამცირებლად. დამცავი ზომები არის პროფესიონალი ბუღალტრის მიერ ინდივიდუალურად ან კომბინირებულად განხორციელებული ქმედებები, რომლებიც, ფაქტობრივად, მისაღებ დონემდე ამცირებს ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილ საფრთხეებს. ქმედებები წარმოადგენს დამცავ ზომებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ეფექტურია საფრთხის მისაღებ დონემდე შესამცირებლად იმდენად, რომ პრაქტიკოსი მოახერხებს დაიცვას ძირითად პრინციპებთან შესაბამისობა. პრაქტიკოსმა უნდა გამოიყენოს პროფესიული განსჯა, რათა გადაწყვიტოს რომელიმე ქმედება არის თუ არა დამცავი ზომა.

პროფესიონალი ბუღალტერი შეიძლება ისეთ სიტუაციებს წააწყდეს, როდესაც შეუძლებელია გამოვლენილი საფრთხეების აღმოფხვრა ან მისაღებ დონემდე შემცირება იმის გამო, რომ საფრთხე ძალიან მნიშვნელოვანია, ან იმიტომ, რომ არ არსებობს შესაფერისი დამცავი ზომები, ან შეუძლებელია დამცავი ზომების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში, პროფესიონალმა ბუღალტერმა უარი უნდა თქვას ან შეწყვიტოს შესაბამისი პროფესიული საქმიანობა, ან მომსახურების გაწევა, ან, აუცილებლობის შემთხვევაში, უარი თქვას მოცემულ გარიგებაზე. თუ პროფესიონალი ბუღალტერი აღმოჩნდება ისეთ უჩვეულო სიტუაციაში, როდესაც კოდექსის ამა თუ იმ კონკრეტული მოთხოვნის გამოყენება გამოიწვევს არაადეკვატურ შედეგს, ან ისეთ შედეგს, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს, რეკომენდებულია, რომ პროფესიონალმა ბუღალტერმა კონსულტაციისთვის მიმართოს ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას, ან სათანადო მარეგულირებელ ორგანოს.

ამრიგად, პრაქტიკოსის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კომპანიებში განხორციელებული ოპერაციების კანონიერების, სიზუსტის, სისრულისა და ანგარიშგებაში სათანადოდ ასახვის, გაწეული ხარჯების ეფექტიანობის და მოქმედი სისტემების გამართული ფუნქციონირების შეფასება. თუ აღნიშნული პროცესი ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების გამოსწორებით განხორციელდება იგი დააჩქარებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული ეთიკა, საფრთხეები, დამცავი ზომები, პრაქტიკოსი ბუღალტრები, ხარისხის კონტროლი.

Annotation. Threats and protective measures faced by professional accountants engaged in public practice are discussed in the paper. Ways are set and conclusions are drawn on the activities of practicing accountants in modern conditions, which will contribute to the establishment of a culture based on ethics in companies. A professional accountant in public practice is any professional accountant, he or she provides professional services to the firm regardless of functional classification. A professional accountant must identify threats, assess threats and apply

protective measures when necessary. It is impossible to accurately define all situations that threaten it. The nature of tasks and work may also be different and, consequently, different threats may arise and different protective measures may be necessary. It is important to know the protective measures that can be used to reduce the risk to an acceptable level. Safeguards are actions taken individually or in combination by a professional accountant, which, in fact, reduce to an acceptable level the threats to the protection of the basic principles. Actions are protective measures only if they are effective in reducing the hazard to an acceptable level. So much so that the practitioner accountant will manage to maintain compliance with the basic principles. The practitioner accountant must use professional judgment to decide whether any action is a protective measure. A professional accountant may encounter situations where it is impossible to eliminate identified threats or reduce them to an acceptable level. Because the danger is too great, or because there are no suitable protective measures, or it is impossible to use protective measures. In such a case, the professional accountant should refuse or stop the relevant professional activity, or rendering of services, Or, if necessary, refuse the given transaction.

If a professional accountant finds himself in an unusual situation where the application of a particular requirement of the code would lead to an inadequate result, or an outcome contrary to the public interest, it is recommended that a professional accountant consult a BSF member organization, or the appropriate regulatory authority.

Thus, the main task of the practitioner accountant is to ensure the legality, accuracy, completeness of operations carried out in companies and Assessment of the proper reflection in the reporting, the effectiveness of the incurred expenses and the proper functioning of the operating systems. If the mentioned process is carried out by correcting the shortcomings listed above, it will accelerate the economic growth of the country.

Keywords: professional ethics, dangers, protective measures, practicing accountants, quality control.

შესავალი-ბიზნესის წარმატებით წარმართვისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოს მიერ საკუთარი ფინანსური საქმიანობის ანალიზს, რაც ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებას გულისხმობს. 2016 წლამდე (24 ივნისამდე) ბუღალტრის პროფესია თვითრეგულირებადი პროფესია. თავდაპირველად ბუღალტრები არავის წინაშე არ იყვნენ ანგარიშვალდებულნი გაესაჯაროებინათ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. 2016 წლის 24 ივნისს ძალაში შევიდა **კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.** რეფორმის შემდეგ პროფესია მოექცა სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ და დაექვემდებარა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) რეგულაციებს/მოთხოვნებს.

პირის კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული სერტიფიცირების შესაბამისად. პროფესიულ სერტიფიცირებას ახორციელებენ პროფესიული ორგანიზაციები. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში არსებობს ორი პროფესიონალური ორგანიზაცია:

1. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია-ბაფ;

2.საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაცია

სერთიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი არის ფიზიკური პირი, რომელიც **სერტიფიცირებულია ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის მიერ , რომელიც სერტიფიცირების შემდეგ თავის კვალიფიკაციას განგრძობითი განათლების სტანდარტის შესაბამისად ადასტურებს;**[74] **განგრძობითი განათლების მიზანია-** ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასება/მართვაზე ინფორმაციის მიწოდება, შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვისთვის საჭირო კომპეტენციის შეძენა/განვითარება და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის საკითხებზე არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა/გაანალიზება. პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის

[74] წყარო: www.saras.gov.ge

მიხედვით **საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი არის პირი-ნებისმიერი პროფესიონალი ბუღალტერი,** ის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიუხედავად (მაგ., აუდიტი, გადასახადები ან კონსულტაციები) ფირმაში პროფესიულ მომსახურებას ეწევა. პრაქტიკოსებმა ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა გამოიყენონ ეთიკის კოდექსი, დაიცვან ეთიკის ძირითადი პრინციპები. რა თქმა უნდა ყველა ბუღალტერი არ არის არაკეთილსინდისიერი მაგრამ, როდესაც ეთიკა ირღვევა, ამან შეიძლება კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს კომპანიებში. **ACCA-ის პროფესიონალ ორგანიზაციებს უფლება აქვთ დისციპლინარული ზომები გაატარონ იმ წევრების მიმართ, რომლებიც ეთიკის კოდექსს არ იცავენ, რასაც შეიძლება მოყვეს ჯარიმები, წევრობის შეჩერება, წევრობიდან გარიცხვა.**

ძირითადი ნაწილი-პრაქტიკოსი ბუღალტრის მთავარი ეთიკური სირთულე არის **გარკვეული საფრთხე, რომელშიც პროფესიონალი ბუღალტერი ეწევა საქმიანობას**.

პრაქტიკოსმა ბუღალტერმა უნდა გამოავლინოს საფრთხეები, შეაფასოს საფრთხეები და დამცავი ზომები გამოიყენოს საჭიროების შემთხვევაში. შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ყველა სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის მას. შეიძლება განსხვავებული იყოს დავალებებისა და სამუშაოს ბუნებაც და, შესაბამისად, შეიძლება სხვადასხვანაირი საფრთხე შეიქმნას და განსხვავებული დამცავი ზომების გატარება იყოს აუცილებელი. ამიტომ ბუღალტრული ეთიკის კოდექსი ეხმარება პროფესიონალ ბუღალტრებს ეთიკური ნორმების დაცვასა და თავიანთი პასუხისმგებლობის შესრულებაში - იმოქმედონ საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ. ე.ი. ბუღალტერს უნდა გააჩნდეს გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევები, იყოს ქცევის პრინციპებისა და ფასეულობების ერთგული, გაცნობიერებული ჰქონდეს საკუთარი მოვალეობა არა მხოლოდ კონკრეტული კომპანიის მიმართ, არამედ მთლიანად საზოგადოების წინაშე.

მუშაობის პროცესში, პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა შეაფასოს ნებისმიერი საფრთხის მნიშვნელობა საფრთხის მნიშვნელობის შეფასებისას, პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა გაითვალისწინოს როგორც თვისებრივი (ხარისხობრივი), ასევე რაოდენობრივი ფაქტორები. პრაქტიკოსმა აგრეთვე უნდა გაითვალისწინოს რამოდენიმე საფრთხის კომბინირებული ეფექტი, სადაც შესაფერისია.

განვიხილოთ საფრთხეები, რომლებსაც პრაქტიკოსი აწყდება მუშაობის პროცესში:

1.ანგარების საფრთხე- პირდაპირი ფინანსური ინტერესი კლიენტში, მათ შორის გაცემული სესხები ან სხვა მნიშვნელოვანი ბიზნეს-ურთიერთობები, ან მარწმუნებელ გარიგებაში პირობით ანაზღაურებაზე შეთანხმება; კლიენტთან ახლო საქმიანი ურთიერთობები; ისეთ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომა, რომელიც პირადი სარგებლისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული, კლიენტისგან მისაღებ ანაზღაურებაზე დამოკიდებულება ან მნიშვნელოვანი კლიენტის დაკარგვის შიში; დადგენილ ზღვარზე მეტი ღირებულების საჩუქრების მიღება კლიენტისაგან; საკუთარი ფირმის მიერ წინა პერიოდში შესრულებულ სამუშაოში მნიშვნელოვანი შეცდომის აღმოჩენა.

2.თვითშეფასების საფრთხე -სისტემის დანერგვის შემდეგ ამავე სისტემის ეფექტურობაზე მარწმუნებელი დასკვნის გაცემა; მარწმუნებელი მომსახურების კლიენტისთვის ისეთი მომსახურების გაწევა, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მარწმუნებელ გარიგებაში განსახილველ საკითხზე; ისეთი გარიგების აღება, რომლის განსახილველი საკითხიც თვითონ ფირმის მიერ არის მომზადებული.

3.ადვოკატირების საფრთხე -კოტირებულ კომპანიაში აქციების მარკეტინგი, როდესაც ეს კომპანია ამავე დროს ფირმის აუდიტის კლიენტია; მარწმუნებელი გარიგების კლიენტის ინტერესების დაცვა მესამე მხარეებთან დავაში ან სასამართლოში;

4.ფამილარული ურთიერთობის საფრთხე -ახლო ოჯახური ურთიერთობები კლიენტის დირექტორთან ან სხვა თანამშრომელთან, რომელსაც გავლენის მოხდენა შეუძლია გარიგების განსახილველ საკითხზე (ეხება გარიგების გუნდის ყველა წევრს);

ფირმის ყოფილი გარიგების პარტნიორის ყოფნა კლიენტის დირექტორად ან ისეთ პოზიციაზე, რომელსაც გავლენის მოხდენა შეუძლია მარწმუნებელი გარიგების განსახილველ საკითხზე;

5.შანტაჟის საფრთხე -პროფესიულ საკითხზე უთანხმოების გამო გარიგების შეწყვეტით ან აუდიტორის გამოცვლის მუქარით დაშინება; კლიენტის მიერ სასამართლოში ჩივილით მუქარა; წნეხის განცდა რომელიმე საკითხზე მსჯელობისას კლიენტის პოზიციაზე დათანხმებისთვის, რადგან კლიენტის პერსონალს ამ საკითხში უფრო მეტი ექსპერტიზა და ცოდნა აქვს;

დამცავი ზომების გამოყენებაში იგულისხმება ან საფრთხის აღმოფხვრა ან საფრთხის მისაღებ დონემდე შემცირება. ეთიკის კოდექსის მიხედვით დამცავი ზომები ორ ჯგუფადაა დაყოფილი:

1)პროფესიის, კანონმდებლობის ან რეგულირების მიერ შექმნილი დამცავი ზომები: რაც მოიცავს შემდეგს: მოთხოვნები პროფესიაში შესასვლელად, უწყვეტი პროფესიული ზრდა, პროფესიული სტანდარტები, მონიტორინგი.

2)სამუშაო გარემოში შექმნილი დამცავი ზომები- რაც მოიცავს შემდეგს: გარიგების გუნდის სათანადო თანამშრომლების როტაცია/ჩამოშორება, ხარისხის კონტროლის დამოუკიდებელი მიმოხილვები, განცალკევებული ჯგუფის გამოყენება. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის დამცავი ზომები, რაც შეიძლება გამოვიყენოთ საფრთხის მისაღებ დონემდე შესამცირებლად. დამცავი ზომები არის პროფესიონალი ბუღალტრის მიერ ინდივიდუალურად ან კომბინირებულად განხორციელებული ქმედებები, რომლებიც, ფაქტობრივად, მისაღებ დონემდე ამცირებს ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილ საფრთხეებს. ქმედებები წარმოადგენს დამცავ ზომებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ეფექტურია საფრთხის მისაღებ დონემდე შესამცირებლად იმდენად, რომ პრაქტიკოსი მოახერხებს დაიცვას ძირითად პრინციპებთან შესაბამისობა. პრაქტიკოსმა უნდა გამოიყენოს პროფესიული განსჯა, რათა გადაწყვიტოს რომელიმე ქმედება არის თუ არა დამცავი ზომა.

დამცავი ზომები განსხვავებული იქნება კონკრეტული გარემოებებისდა მიხედვით. მაგალითად, გარკვეულ გარემოებებში შემდეგი ქმედებები შესაძლოა გამოდგეს დამცავ ზომებად საფრთხეებზე რეაგირებისთვის:

-გარიგებაზე დათანხმების შემდეგ, დამატებითი დროისა და კვალიფიციური პერსონალის გამოყოფამ მოთხოვნილი დავალებების შესასრულებლად, შესაძლოა მისაღებ დონემდე შეამციროს ანგარების საფრთხე;

-არამარწმუნებელი გარიგების ფარგლებში შესრულებული სამუშაოს განსახილველად, პროფესიონალი ბუღალტრის გამოყენებამ, რომელიც არ იყო არამარწმუნებელი გარიგების გუნდის წევრი, შესაძლოა მისაღებ დონემდე შეამციროს ანგარების საფრთხე;

- შესრულებული სამუშაოს განსახილველად, ან, აუცილებლობის შემთხვევაში, რჩევის მისაღებად სათანადო მიმომხილველის გამოყენებამ, რომელიც არ იყო გარიგების გუნდის წევრი, შესაძლოა მისაღებ დონემდე შეამციროს ანგარების საფრთხე;

-მარწმუნებელი გარიგების დამკვეთისთვის არამარწმუნებელი მომსახურების შესრულების დროს სხვა პარტნიორებისა და განსხვავებული საანგარიშგებო დაქვემდებარების გარიგების გუნდების გამოყენებამ შესაძლოა მისაღებ დონემდე შეამციროს თვითშეფასების, ადვოკატირების ან ფამილიარული ურთიერთობის საფრთხეები;

-კონფიდენციალურ საკითხებზე მუშაობისას გარიგების გუნდების ფიზიკურად განცალკევებამ შესაძლოა მისაღებ დონემდე შეამციროს ანგარების საფრთხე.

-კლიენტის მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების ინფორმირებამ გაწეული მომსახურების ბუნების და მომსახურების საზღაურის შესახებ, შესაძლოა მისაღებ დონემდე შეამციროს ანგარების საფრთხე;

- სხვა ფირმის ჩართვამ გარიგების ნაწილის შესრულებაში ან ხელახლა შესრულებაში შესაძლოა მისაღებ დონემდე შეამციროს ანგარების, თვითშეფასების, ადვოკატირების, ფამილიარული ურთიერთობის ან შანტაჟის საფრთხეები;

ამრიგად, პროფესიონალი ბუღალტერი შეიძლება ისეთ სიტუაციებს წააწყდეს, როდესაც შეუძლებელია გამოვლენილი საფრთხეების აღმოფხვრა ან მისაღებ დონემდე შემცირება იმის გამო, რომ საფრთხე ძალიან მნიშვნელოვანია, ან იმიტომ, რომ არ არსებობს შესაფერისი დამცავი ზომები, ან შეუძლებელია დამცავი ზომების გამოყენება. ასეთ შემთხვევაში, პროფესიონალმა ბუღალტერმა უარი უნდა თქვას ან შეწყვიტოს შესაბამისი პროფესიული საქმიანობა, ან მომსახურების გაწევა, ან, აუცილებლობის შემთხვევაში, უარი თქვას მოცემულ გარიგებაზე. თუ პროფესიონალი ბუღალტერი აღმოჩნდება ისეთ უჩვეულო სიტუაციაში, როდესაც კოდექსის ამა თუ იმ კონკრეტული მოთხოვნის გამოყენება გამოიწვევს არაადეკვატურ შედეგს, ან ისეთ შედეგს, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს, რეკომენდებულია, რომ პროფესიონალმა ბუღალტერმა კონსულტაციისთვის მიმართოს ბსფ-ის წევრ ორგანიზაციას, ან სათანადო მარეგულირებელ ორგანოს.

დასკვნა-უდიდესი როლი საქართველოში პრაქტიკოსი ბუღალტრის განვითარებაში ითამაშა პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსმა. ეს კოდექსი არის ეთიკური მოთხოვნების საფუძველი, რომლებიც წარედგინება პროფესიონალ ბუღალტრებს ყველა ქვეყანაში. თუმცა საბუღალტრო პროფესიის წარმომადგენლები მთელ მსოფლიოში მუშაობენ გარემოში, რომელშიც არსებობს განსხვავებული კულტურული ტრადიციები და ნორმატიული მოთხოვნები, ისინი ვალდებულნი არიან ყოველთვის დაიცვან კოდექსის ძირითადი პრინციპები. ამავე დროს კოდექსში აღიარებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ეროვნული მოთხოვნა ეწინააღმდეგება კოდექსის რომელიმე დებულებას, უნდა შესრულდეს ეროვნული მოთხოვნა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, მიგვაჩნია რომ პრაქტიკოსი ბუღალტრები უნდა იცავდნენ მორალურ წესებს და ზნეობრივ ნორმებს, თავიანთ მოქმედებებში და გადაწყვეტილებებში, იმუშაონ საბუღალტრო ანგარიშგების ყველა მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით. ისინი ვალდებული არიან უარი განაცხადონ იმ ინტერესების დაცვაზე, რომელიც წარმოიქმნა კანონის ან სამართლიანობის დარღვევით. რაიმე ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც კანონით ეკრძალებათ პრაქტიკოსებს განიხილება შეუთავსებელი ქმედებები, რომლითაც ირღვევა კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები.

ის პრაქტიკოსები, რომელნიც უეცრად ტოვებენ კომპანიას არღვევენ პროფესიულ ეთიკას და გარკვეული ზიანი მოაქვთ კომპანიისთვის. სხვა კომპანიაში გადასული სპეციალისტები ვალდებულნი არიან წინა ხელმძღვანელების და კოლეგების განსჯისგან და შექებისგან თავი შეიკავონ. არ უნდა გაამჟღავნონ წინა კომპანიაში მუშაობის მეთოდები, კონფედენციალური ინფორმაცია და დოკუმენტები.

მიგვაჩნია რომ, ხარისხის შემოწმებით უნდა განისაზღვროს, რამდენად იცავენ პრაქტიკოსები საქართველოს კანონმდებლობის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნებს. საჭიროების შემთხვევებში, რეკომენდაციები უნდა მიეცეთ იმ პრაქტიკოსებს, რომლებიც

საჭიროებენ დახმარებას მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების განსაზღვრასა და განხორციელებაში, აგრეთვე სხვა გამაუმჯობესებელი ღონისძიებების დანერგვაში. თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებელია დისციპლინარული ზომების გატარება.

სასურველია ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად მოხდეს საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და სრულყოფა, რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ საკანონმდებლო ხარვეზები წარმოადგენს აუდიტის არაეფექტურად ჩატარების მიზეზს;

ჩვენი აზრით, აუცილებელია ეფექტიანობის ინდიკატორების შემუშავება, რომლებიც სწორი შეფასების გაკეთების საშუალებას მისცემს პრაქტიკოსებს. ეფექტიანობის კრიტერიუმად შეიძლება განისაზღვროს როგორც ანალოგიური საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოების საუკეთესო პრაქტიკა, ასევე უცხოური გამოცდილება.

ამრიგად, პრაქტიკოსის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კომპანიებში განხორციელებული ოპერაციების კანონიერების, სიზუსტის, სისრულისა და ანგარიშგებაში სათანადოდ ასახვის, გაწეული ხარჯების ეფექტიანობის და მოქმედი სისტემების გამართული ფუნქციონირების შეფასება. თუ აღნიშნული პროცესი ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების გამოსწორებით განხორციელდება იგი დააჩქარებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

14.საბაური ლ.კვატაშიძე ნ. (2023) შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში, გამომცემლობა შპს „ფორმა“

15.ბერიძე თ, „საქართველოს საჯარო სექტორის შიდა აუდიტის ხარისხის კონტროლი“, ბუღალტრული აღრიცხვა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, 2017.

16.ღვალაძე ნ.(2023) განგრძობითი სწავლება. ეთიკის კოდექსის პრაქტიკაზე დაფუძნებული სემინარი

17.ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის, IFAC, (2022) ბაფ, თბილისი.

18.ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. (2022). https:// saras.gov.ge. Retrieved from https://saras.gov.ge/Content/ files/SARAS%20AR22-2.pdf.

19.ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2023-2026 წლების სტრატეგია. (2023, August 30). saras.gov.ge. Retrieved from saras.gov.ge.

20.https://www.auditboard.com/ 205.

21.https://matsne.gov.ge/ka 202.

22. https://saras.gov.ge/ 2

23.https://www.technologyreview.com/2021/10/26/1038643/ai-reinforcement-learning-digital-twins-can-solve-supply-chain-shortages-and-save-christmas/

24.https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/mindsets-professional-accountants

25. https://www.cpacanada.ca/en/foresight-initiative/trust-and-ethics/complexity-guidance-ethical-decision-making

Role of Artificial Intelligence in Management Field

ქეთევან შენგელია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Ketevan Shengelia
Technical University of Georgia
Associate Professor at the Faculty of Business Technologies

აბსტრაქტი. ნაშრომში აღნიშნულია, რომ AI-ს რესურსი განუსაზღვრელია. ის თანდათან ინტეგრირდება მრავალ სფეროში. განსაკუთრებით ჯანდაცვაში, წარმოებაში, ტურიზმში, მენეჯმენტში, მარკეტინგში და ა.შ. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უახლესი ტექნოლოგიური ტრენდია და ის წარმატებით დაგვეხმარება სამეწარმეო საქმიანობის ფორმულირებაში.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლებელი გახდა მენეჯერების დაძაბული მუშაობის შემსუბუქება, როგორიცაა გუნდის წევრების მონაცემთა ბაზების მართვა; რეკრუტირების პროცესები; სამუშაოს შესრულების შეფასება; მიკერძოების გარეშე ნიჭიერ სპეციალისტთა გამოვლენა; ანაზღაურების და წახალისების სისტემების ადმინისტრირება; ახალი წევრების ადაპტაცია; AI-ზე მომუშავე ჩეთბოტებს შეუძლიათ ახალი გუნდის წევრების მართვა; საჭირო კითხვებზე პასუხის გაცემა; შეხსენებების და შეტყობინებების გაგზავნა და სხვა. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა შემცირდეს შრომატევადი სამუშაოები. უმჯობესდება სამუშაოთი კმაყოფილება და შესრულების ხარისხი. ამგვარად ხელოვნური ინტელექტი გახდება სასარგებლო რესურსი კომპანიის მენეჯერებისთვის, თუ მისი გამოყენება მოხდება შესაბამისი ფორმით და პასუხისმგებლობით, გათვალისწინებული იქნება არსებული საფრთხეები.

ასევე გაანალიზებულია ბიზნესის და მენეჯმენტის განათლების როლი, რომლის საბოლოო მიზანი არის გაუმჯობესდეს მენეჯერის უნარი გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები ბიზნესის პრობლემების გადასაჭრელად.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, მენეჯმენტი, განათლება.

Abstract. The study paper notes that the resource of AI is indefinite. It is gradually integrated into many fields. Especially in healthcare, production, tourism, management, marketing, etc. The use of artificial intelligence is the latest technological trend and it will successfully help us formulate entrepreneurial activities.

The article argues that artificial intelligence can ease the stressful tasks of managers, including: managing team member databases, recruitment processes, performance assessments, unbiased identification of talented specialists, administration of compensation and incentive systems, and onboarding new members. Chatbots which work based on AL are capable of managing new members of the team, giving detailed answers to questions, sending notifications or massages etc. All this pave us way toward reducing hard working processes. The level of satisfaction with performed jobs and performance quality is improved. Therefore, artificial intelligence has become beneficial resource for company manages, if the usage of AI proceeds with an appropriate form and responsibilities, existing dangers would be considered.

The role of business and management education is analyzed, the ultimate goal of which is to improve the manager's ability to use modern technologies inn order to solve problems in business.

key Words: Artificial intelligence, management, education.

ხელოვნური ინტელექტი ოცდამეერთე საუკუნეში ახალ ეპოქას ქმნის. მონაცემთა ანალიზი, კომპიუტერული სისტემები, ავტომატიზებული წარმოება ერთიანდება, რაც შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანების დროის დაზოგვის და მაღალი შედეგების მისაღწევად. თუ ხელოვნურ ინტელექტს ოპტიმალურად გამოვიყენებთ, შევძლებთ ორგანიზაციის რესურსების უდანაკარგოდ, ეფექტიანად და ეფექტურად მართვას. უნდა ითქვას, რომ ჯერ მხოლოდ დასაწყისია იმ ცვლილებებისა, რაც შეიძლება განხორციელდეს ორგანიზაციის მართვაში.

ჩვენ დავამუშავეთ და განვიხილეთ უცხოელ მეცნიერთა კვლევები ხელოვნური ინტელექტის შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია ბრიტანელი და ამერიკელი პროფესორების ნაშრომები: Alshare, K., & Sewailem, M. F., Brown, B., Chui, M., & Manyika, Bughin, J., Seong, J., Bunch, K. J. Cappelli, P., Cardenas-Navia, I., & Fitzgerald, Chamorro-Premuzic, T., & Frankiewiez, B., Clayton, P. R., & Clopton, J., Fleming, M., და სხვები. ისინი აღიარებენ, რომ ხელოვნურ ინტელექტს აქვს უსაღვრო შესაძლებლობები ბიზნესის და მართვის სფეროში.

დღეისთვის საქართველოში კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული ხელოვნური ინტელექტის ზუსტი განმარტება, არც AI-ს შემცველი პროგრამული სერვისების გამოყენების მარეგულირებელი კანონმდებლობაა შემუშავებული. მხოლოდ საქართველოს კონსტიტუცია ადგენს გარკვეულ ნორმებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დასარეგულირებლად. ამის გამო მოსახლეობა არ ვართ დაცული მოსალოდნელი საფრთხეებისგან, რასაც იწვევს ხოლმე ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონირება.

მაგრამ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მაღალი პოტენციალი იმდენად შთამბეჭდავია, მასზე უარს ვერ ვიტყვით. იგი საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ რუტინული სამუშაოების ავტომატიზირება, გამოვათავისუფლოთ დრო მნიშვნელოვანი ამოცანებისთვის, ავამაღლოთ გლობალური კონკურენტუნარიანობა გარკვეულ სფეროებში.

აშშ და ჩინეთი ლიდერობენ ხელოვნური ინტელექტის სრულყოფაში. ბრიტანეთი და კანადაც დიდ ინვესტიციებს დებენ ამ სფეროში. კომპანიების სულ უფრო მეტი რაოდენობა იყენებს დღეისთვის ხელოვნური ინტელექტის სისტემებს. მაკკინსის გლობალური ინსტიტუტის კვლევების მიხედვით მსოფლიო წარმოება გაიზრდება 1,2%-ით, რაც 13 ტრილიონი დოლარის ღირებულებას შექმნის. ეს ძირითადად განხორციელდება ადამიანის შრომის ავტომატიზაციით და ინოვაციურობით.

ცხადია მოხდება სტრუქტურული ცვლილებები შრომის ბაზარზე. რობოტები ანაცვლებენ ადამიანებს, რომლებიც ასრულებენ რუტინულ, განმეორებად სამუშაოებს, თუმცა ადამიანის მაღალი ინტელექტი ჯერ ისევ განუმეორებელია ხელოვნურ ინტელექტთან კონკურენციაში. დიახ, ჩვენ ნამდვილად გვიწევს ხელოვნურ ინტელექტთან კონკურენცია, რომელსაც აქვს განუზომელი მეხსიერება, ის არ იღლება და არც რთული ემოციების გადატანა უწევს, არც ძილი ჭირდება და არც დასვენება... თუმცა ადამიანი მაინც თავის მოწოდების სიმაღლეზეა ანალიზის უნარით, აზროვნებით, განჭვრეტით, სამშობლოს და ახლობლების სიყვარულით.

საქართველოში ხელოვნური ინტელექტის სისტემები ფართოდ ინერგება კერძო ბიზნესში. წარმატებით განხორციელდა ვერიფიკაციის სისტემები, დოკუმენტების ავტომატური იდენტიფიკაციის სისტემები, კომუნიკაციის პროგრამები და მრავალი სხვა რუტინული სამუშაოები. ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით შესაძლებელი ხდება შეუმსუბუქდეს მენეჯერებს დაძაბული მუშაობა შემდეგი მიმართულებით: გუნდის წევრების მონაცემთა ბაზების მართვა; რეკრუტირების პროცესები; სამუშაოს შესრულების შეფასება; ნიჭიერ სპეციალისტთა გამოვლენა მიკერძოების გარეშე; ანაზღაურების და წახალისების სისტემების ადმინისტრირება; ახალი წევრების ადაპტაცია; AI-ზე მომუშავე ჩეთბოტებს შეუძლიათ ახალი გუნდის წევრების მართვა; კითხვებზე პასუხის გაცემა; შეხსენებების და შეტყობინებების გაგზავნა და სხვა. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა შემცირდეს შრომატევადი სამუშაოები. უმჯობესდება სამუშაოთი კმაყოფილება და შესრულების ხარისხი. ამგვარად ხელოვნური ინტელექტი გახდება სასარგებლო რესურსი კომპანიებისთვის, თუ მისი გამოყენება მოხდება შესაბამისი ფორმით და პასუხისმგებლობით.

შესაბამისად, ბიზნესის და მენეჯმენტის სპეციალობის სტუდენტებს უნდა ქონდეთ ისეთი უნარები, როგორიცაა: საჭირო ინფორმაციის მოპოვება, არსებული პრობლემის გაანალიზება, ლოგიკური ანალიზი და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. სამწუხაროდ განათლების სფეროში გაიზარდა გარკვეული პრობლემები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც. ამაზე მიუთითებენ სწორედ ჩვენს მიერ განხილული ავტორები. შეინიშნება მათემატიკური კომპეტენციის დაბალი დონე, წიგნიერების დაუფასებლობა, ასევე შეუსაბამობა სწავლებას, კვლევას და პრაქტიკულ სამუშაოებს შორის. მოზღვავებულმა

მონაცემებმა კომპანიები აიძულა დაიქირაონ ისეთი სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ უზარმაზარი მონაცემთა ნაკადების მართვა ეფექტიანად და ეფექტურად. შრომის ბაზარზეც სწორედ ამგვარ სპეციალისტებზეა მოთხოვნა.

McKinsey Health Institute-ს გამოკითხვის მიხედვით აშშ-ს შეექმნება მნიშვნელოვანი დეფიციტი ანალიტიკური უნარების მქონე ადამიანებისა, იგივე პრობლემაა ევროპაში, საქართველოშიც. მცირდება გამოცდილი სპეციალისტები, რომლებმაც იციან როგორ გაანალიზონ მონაცემთა დიდი ნაკადები და მიიღონ ადეკვატური გადაწყვეტილებები. ეს გარემოება მოითხოვს გამოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებელთა მეტად დაფასებას, მათ კრიტიკულ საჭიროებას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარებას თან ახლავს გაუთვალისწინებელი რისკები, რეალური მოვლენების ფეიკებისგან განსხვავება თითქმის შეუძლებელი ხდება; ასევე შეიცვლება ტრადიციული ტიპის სამუშაოები და ამ გამოწვევებს მომზადებული უნდა შევხვდეთ; რთული ხდება თანამშრომელთა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა; პრობლემური ხდება კიბერუსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი მგრძნობიარეა ჰაკერების მიმართ, მით უფრო სასწავლო პროცესებში, სადაც იქმნება ML ალგორითმები. მონაცემთა დავირუსებით დიდი ზიანი მიადგება კომპანიის ქსელს. მენეჯერებმა უნდა იმუშაონ საინფორმაციო ტექნოლოგიების ოპერაციული ცენტრების სპეციალისტებთან ერთად, რათა დაცული იყოს მათი პროექტები ჰაკერების შემოტევებისაგან.

შესაბამისად, განათლებას და მით უფრო ბიზნეს განათლებას უდიდესი როლი ეკისრება სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლებაში. საჭიროა სასწავლო პროგრამების ფოკუსირება მომავლის ტექნოლოგიების გამოყენებაზე მენეჯმენტის და ბიზნესის სფეროში. საჭიროა სტუდენტებს ჩამოვუყალიბოთ მართვის უნარები ცვალებადი პრობლემების გასაანალიზებლად და გადასაჭრელად, რადგანაც მათ ჰიპერკონკურენტულ გარემოში მოუწევთ მუშაობა. ჩვენი კურსდამთავრებულები უნდა ჩამოყალიბდნენ ლიდერებად, რომლებიც განივითარებენ საჭირო უნარებს და გამოიყენებენ მათ ინოვაციური სისტემების წარმატებულად გამოყენებისთვის.

როგორც ბრიტანელი მეცნიერები Brown, B., Chui, M., & Manyika, Bughin [**2,3**] აღნიშნავენ, ჩვენ შეიძლება დავუბრუნდეთ „კლასიკურ სწავლებას“, რაც გულისხმობს კრიტიკული აზროვნების და ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბებას, პრობლემის გადაჭრის უნარს. მათ გარეშე ხელოვნური ინტელექტი მალე გახდება ადამიანის ინტელექტის კონკურენტი.

კვლევები ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტები წარმატებით იყენებენ ხელოვნური ინტელექტის საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს. სწავლების პროცესი ბევრად უფრო პერსონალიზებული და საინტერესო ხდება. პროფესორ-მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა გააძლიერონ ღირებული შეხედულებები და ინსტრუმენტები სტუდენტთა წარმატების მხარდასაჭერად.

გამოყენებული ლიტერატურა / References

1. ქეთევან შენგელია, „ხელოვნური ინტელექტის როლი მომავლის ბიზნეს განათლების სფეროში.“ 2024; ჟურნალი ეკონომიკა, ტომი 106, №1-2, 22-29. DOI:10.36962/ECS106/1-2/2024-22;

2. Brown, B., Chui, M., & Manyika, J. (2011). Are you ready for the era of 'big data. McKinsey Quarterly, 4(1), 24–35.

3. Clayton, P. R., & Clopton, J. (2019). Business curriculum redesign: Integrating data analytics. The Journal of Education for Business, 94(1), 57–63.

4. Bughin, J., Seong, J., Manyika, J., Chui, M., & Joshi, R. (2018). Notes from the AI frontier: Modeling the impact of AI on the world economy (Vol. 4). McKinsey Global Institute.

5. Fleming, M. (2020). AI is changing work—and leaders need to adapt. Harvard Business Review. https://Hbr.Org/2020/03/Ai-is-Changing-Work-and-Leaders-Needto-Adapt.

ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში (საქართველოში)

Applications of innovations and new technologies in agriculture (Georgia)

თამარ ლაზარიაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
Tamar Lazariashvili - Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Doctor of Economics, Assistant Professor

აბსტრაქტი. მსოფლიო მოსახლობის ზრდის პარალელურად, იზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის სუფთა და ჯანსაღ პროდუქციაზე. აღნიშნულის დაკმაყოფილება კი სოფლის მეურნეობის ტრადიციული მეთოდებით სულ უფრო ძნელდება. საჭირო ხდება სოფლის მეურნეობაში ინოვაციური მეთოდების შემუშავება და განვითარება. საქართველოს სოფლის მეურნეობას გააჩნია მნიშვნელოვანი სამეწარმეო და ინოვაციური პოტენციალი. მიზანშეწონილია, ამ პოტენციალის ათვისება ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების პროცესში.

ნაშრომში განხილულია სოფლის მეურნეობაში ინოვაციების გამოყენების მნიშვნელობა, ნაჩვენებია სოფლის მეურნეობის წარმოების თავისებურების კავშირი ამ დარგში ინოვაციების გამოყენების მაღალი დონის რისკთან. გაანალიზებულია ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები სოფლის მეურნეობაში; დასაბუთებულია ვერტიკალური სოფლის მეურნეობის ინოვაციური მიმართულების აუცილებლობა, რომელიც იძლევა საშუალებას, დახურულ სივრცეში, შენობების სახურავზე და კედლებზეც კი მოვიყვანოთ ხორბლის, სიმინდის, ბოსტნეულის და მემცენარეობის სხვა კულტურების მეტი მოსავალი სასუქების, წყლის და შრომის ნაკლები დანახარჯებით.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნები ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის მიზანშეწონილობაზე სოფლის მეურნეობაში და მოცემულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, ციფრული ეკონომიკა, ციფრული ტექნოლოგიები, ინოვაციური განვითარება, ჭკვიანი აპლიკაცია.

Abstract. As the world population grows, the demand for clean and healthy agricultural products also increases. It is becoming more and more difficult to meet the above requirements using traditional methods of farming. It is necessary to develop and further develop innovative methods in agriculture. Georgian agriculture has significant entrepreneurial and innovative potential. It is appropriate to use this potential in the process of economic and technological development of the country.

The article discusses the importance of using innovations in agriculture and reveals the connection between the specifics of agricultural production and the high risk of using innovations in this area. The possibilities of effective use of innovations and new technologies in agriculture are analyzed; the need for an innovative direction of vertical farming is justified, which allows growing more wheat, corn, vegetables and other vegetable crops indoors, on roofs and walls of buildings, and at lower costs for fertilizers, water and labor.

At the end of the article, conclusions on the feasibility of introducing digital technologies in agriculture are presented and recommendations are given.

Keywords: agriculture, digital economy, digital technologies, innovative development, intelligent application.

სოფლის მეურნეობას თავისი როლითა და მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში, ვინაიდან მისი რამდენიმე პროდუქტი სტრატეგიული მნიშვნელობისაა (მაგ: ხორბალი, ზეთი და სხვა). აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების ეფექტიანი დანერგვა-გამოყენება. ციფრულ ტექნოლოგიებს აქვს პოტენციალი, მოახდინოს რევოლუცია სურსათისა და სოფლის მეურნეობის სისტემებზე გლობალურად. ზუსტი სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს მეურნეობის რესურსების ეფექტიანობა და პროდუქტიულობა (Lazariashvili, 2024).

დღეისათვის მეცნიერების სხვადასხვა დარგში შექმნილი ახალი ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს აგროქიმიკოსებს აამაღლონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მინიმუმამდე დაიყვანონ ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი. ტრადიციული მეურნეობები ვერ იქნება კომერციულად გამართლებული ტექნოლოგიების გარეშე. ახალი მიდგომები საგრძნობლად ზრდის სასოფლო-სამეურნეო სექტორის წარმადობას, იწვევს რესურსების დაზოგვას და მზარდი მსოფლიო მოსახლეობის საკვებით დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად (Agro Solutions, 2022). ინოვაციების დანერგვა სოფლის მეურნეობაში უდიდეს გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკაზე: გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ ბაზას, შეიქმნება თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები, მოხდება არსებულთა გადამზადება, კვალიფიციური ამაღლება, გაუმჯობესდება მართვის სისტემები და სხვა (Lazariashvili, 2021). ტექნოლოგიური მიღწევები იძლევა საშუალებას კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, ფერმერებმა მოიყვანონ ხარისხიანი მოსავალი და აწარმოონ უხვმოსავლიანი კულტურები და ეს ყველაფერი მოახერხონ ნაკლები დანახარჯით, როგორც პრეპარატებზე, ასევე სხვადასხვა აგრო ოპერაციებზე. ტექნოლოგიური განვითარება სოფლის მეურნეობაში, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ბაზარზე გაჩნდა ახალი ტიპის მომხმარებელი-ციფრული მომხმარებელი, რომლის მოთხოვნები განსხვავებულია სტანდარტული მომხმარებლისგან. იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მეურნეობა განვითარდება ინტენსიურად, ინოვაციური განვითარება შესაძლებელია არა მხოლოდ თანამედროვე აღჭურვილობის ტექნიკის გამოყენებით, არამედ ინოვაციური ტექნოლოგიების შესაბამისი დონის პერსონალით (ლაზარიაშვილი, 2024).

ციფრული ტექნოლოგია ფერმერებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ნაკლები პესტიციდები თავიანთ ნათესებზე. ნიადაგისა და ამინდის მონიტორინგი ამცირებს წყლის ნარჩენებს და ფერმერებს საშუალებას აძლევს მიიღონ მაქსიმალური პროდუქცია თავიანთი მიწიდან. ციფრული მდგრადი სოფლის მეურნეობა, ასევე, საშუალებას აძლევს ინდივიდუალურ ფერმერებს იმუშაონ ერთობლივად, შეაგროვონ და გაუზიარონ მონაცემები ტექნოლოგიის გამოყენებით და იმედია, რომ ახალგაზრდებს სურთ გახდნენ ციფრული ფერმერები. საქართველოში აგრობიზნესის მდგრად განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ზოგადად ციფრიზაციის პროცესი, მათ შორის ერთ-ერთი პრიორიტეტია საჯარო შეყიდვების ციფრული ტრანსფორმაცია (Kharaishvili, & Atanelishvili, 2022).

საქართველოს კიდევ ძალიან რთული გზა აქვს გასავლელი და მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ფინანსური ინვესტიციების განხორციელებაა საჭირო, რომ ქვეყანამ შეძლოს, ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მმართველობის მხრივ, დასავლეთის სტანდარტებთან მიახლოვება და მათი სრული დანერგვა. აუცილებელია დარგში ინოვაციური პროდუქტების წილის ზრდა; შრომის პროდუქტიულობის ამაღლება; სასოფლო-სამეურნეო

სექტორის განვითარებისთვის აუცილებელი ახალი ორგანიზაციული და სამართლებრივი ინსტიტუტების და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება.

საქართველოს მთავრობის მხრიდან გაზრდილმა ყურადღებამ, დონორების მხარდაჭერამ და კერძო ინვესტიციებმა ფერმერებს შესაძლებლობა მისცა გაეზარდათ მოსავლიანობა, შეექმნათ სამეწარმეო შესაძლებლობები და გაეუმჯობესებინათ ცხოვრების სტანდარტები სოფლად. საქართველოს მთავრობასთან და კერძო სექტორთან პარტნიორობით, USAID-ის მხარდაჭერით, განხორციელდა სოფლის მეურნეობის ინოვაციების საგრანტო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი იდეების გამოვლენას, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის საქართველოს სოფლის მეურნეობას (USAID, 2021).

სურსათის წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის გაუმჯობესებამ კი კერძო სექტორს სოფლად ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა მისცა. ახალი წარმატება მოუტანა ადგილობრივ ფერმერებს, ინოვაციური გზების მოძიებაში, ისეთის, როგორიც არის მობაილ აპლიკაცია „აგრონავტი“, ხილის ჩირის მწარმოებელი კომპანია შპს „გემუანი“ ზუგდიდში, შპს „ფონა“ ლაგოდეხის რაიონში, შპს „სამყურა“ დაბა წნორში და სხვა. მნიშვნელოვან ინოვაციურ მიმართულებას წარმოადგენს ბლოკჩეინის გამოყენება სოფლის მეურნეობაში. ამ პერსპექტიული ტექნოლოგიით ხდება საწარმოებსა და ინდივიდებს შორის ტრანზაქციების განხორციელება. იგი ციფრულად დაშიფრული ტრანზაქციების „ჰიპერ-რეესტრია“, რომელსაც ამ პროცესში ჩართული მხარეები ნებაყოფლობით აზიარებენ ჯაჭვის მეშვეობით.

მსოფლიოს რიგი ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში, აქტიურად მიმდინარეობს რობოტიზაციის პროცესი, რომლის ბაზარი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდება. აგრორობოტებს წარმოადგენს: თვითმავალი ტრაქტორები, ბალახის საკრეჭი რობოტი მანქანები და დრონების გამოყენება, რომელიც ზრდის მოსავლიანობას და ეფექტიანობას. დრონები აღჭურვილია სპეციალური რეზერვუარებითა და საშხეფი სისტემებით, რაც ქიმიკატების ზუსტ და თანაბარ გავრცელებას უზრუნველყოფს. ეს მეთოდი უფრო სწრაფი და ეფექტურია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ ტექნოლოგიის პოპულარიზაცია და ფერმერების მხარდაჭერა ამ რესურსის ასათვისებლად (აგროსფერო, 2024).

ასევე, მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მართვის პარალელური სისტემების (ნავიგაციის) გამოყენება სოფლის მეურნეობაში, რომლიც ემყარება GPS/GLONASS სატელიტური სიგნალების მიღებას. აღნიშნული სისტემა გამოიყენება ნიადაგის დასამუშავებლად: მარცვლეულის მწკრივადი თესვის, მწკრივის შემდგომი კულტივირების, ნიადაგში სასუქების შეტანისა და დაძაბული სამუშაოს დროს მანქანის ზუსტად ორიენტირების მიზნით. ნავიგატორი დამონტაჟებულია ტრაქტორზე და მონაცემებს იღებს თანამგზავრიდან, ასევე საბაზო სადგურებიდან, რაც საშუალებას აძლევს მანქანას გადაადგილდეს წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით. ხდება თესლის, საწვავისა და საცხები მასალის დაზოგვა, ტექნიკის გადაადგილების ოპტიმიზაცია და იზრდება აღჭურვილობის დატვირთვა დაახლოებით 3-ჯერ, რაც ფულად-მატერიალური საშუალებების ეკონომიას იწვევს.

მნიშვნელოვანია მართვის ავტომატური სისტემა (ავტოპილოტი) ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად. სასათბურე მეურნეობაში ტრადიციული ენერგიის წყაროების გამოყენების ჩანაცვლება ხდება განახლებადი ენერგიის საშუალებებით: ქარი, მზე და გეოთერმული წყლებით. ბუნებრივი ენერგიის გამოყენების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ აგროსაწარმოებს, მსხვილ ფერმერულ და კოოპერაციულ მეურნეობებს. საქართველოში მზის ენერგიის გამოყენება სასათბურე მეურნეობებში მოგვცემდა საადრეო და საგვიანო ბოსტნეულის

მოყვანის საშუალებას შედარებით დაბალი თვითღირებულებით. მზის ენერგია შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის ჩირის, ასევე საკვებდანამატებისა და მშრალი პროდუქტების (ასკილი, ტყის მოცვი და სხვა) საწარმოებლად. გორში ექსპლუატაციაში შევიდა ქართლის კომერციული ქარის ელექტროსაგური ექვსი ტურბინით, რომელიც პირველია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში. იგი სტაბილურად აწარმოებს ელექტროენერგიას. შერჩეულია ქარის ელექტროსადგურების განთავსების საუკეთესო ადგილები, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს (აბესაძე, 2018).

მნიშვნელოვანია, რომ განვითარების პროცესი გაგრძელდეს და შემდგომ სტრატეგიულ პერიოდში უპირატესობა მიენიჭოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით პროგრამების განხორციელებას, უზრუნველყოფილ იქნას ხარისხიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების გამოყენება სურსათის წარმოებისთვის, მეტი ყურადღება გამახვილდეს მდგრად განვითარებაზე და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2020).

საინტერესო და საყურადღებოა სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების ინოვაციური ინტერნეტ გადამცემების მასიური დანერგვა. ამ მეთოდით, ხელოვნური ინტელექტი აგროვებს მრავალ მონაცემს, აანალიზებს მათ, რის შედეგადაც ქმნის კომპლექსურ სისტემებს და ამის საფუძველზე აკეთებს დამოუკიდებელ დასკვნებს. სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიების სარგებლის მიღება მოითხოვს ფერმერების, მკვლევარების, კერძო სექტორის, არაკომერციული ორგანიზაციების და მთავრობის მონაწილეობას და თანამშრომლობას (Lazariashvili, 2024). ბოლო პერიოდში გარემო პირობების მაღალი დაბინძურების გამო, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში გაჩნდა მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე. საბაზრო ეკონომიკა ხელს უწყობს მოთხოვნა-მიწოდების პროცესის გააქტიურებას, არის მოთხოვნა შესაბამისად, ხდება მიწოდებაც. ამ შემთხვევაშიც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ქმნიან ბიომეურნეობებს და ქიმიური საშუალებების გარეშე აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას. ერთ-ერთი მათგანია ბიომეურნეობა შპს „ფონა“, რომელიც 2014 წელს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფონაში ჩამოყალიბდა და მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა. მეურნეობაში აწარმოებენ ხილს, ყურძენს, ბოსტნეულსა და თაფლს, ასევე მუშაობს საშრობი საწარმო, სადაც ამზადებენ ჩირს, მცენარეულ ჩაის და აშრობენ ბოსტნეულს. აქ ასევე ამზადებენ თივას და კომბინირებულ საკვებს მეცხოველეობისთვის (დათუნაშვილი, 2020).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების, ისეთის, როგორიც არის რობოტიზაციის, ჭკვიანი აპლიკაციის, ბლოკჩეინის და სხვათა ეფექტიანი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა სოფლის მეურნეობაში მივიღოთ მაღალი მოსავალი, შევამციროთ თესლსა და სასუქებზე დანახარჯები და მინიმუმამდე დავიყვანოთ ეკოსისტემაზე მიყენებული ზიანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Agro Solutions (2022). *Technology integration and precision agriculture.* TBC Business. https://www.tbcbusiness.ge/en/business-support/blogs/agro-solutions

2. Kharaishvili, E., & Atanelishvili, T. (2022). Sustainable State Procurements and Business in Georgia. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 16, no. 3, ISSN - 0132 - 1447. http://science.org.ge/bnas/vol-16-3.html

3. Lazariashvili, T. (2024). The role of digital agriculture in the development of sustainable agriculture. <<STRATEGIC IMPERATIVES OF MODERN MANAGEMENT>> (SIMM-2024). Kiyev, Ukraine

4. Lazariashvili, T. (2021). Innovations and Agricultural Development Potential in Georgia. ICEBI 2021: 23rd International Conference on Economics and Business Innovation on October, 21-22, Athens, Greece

5. USAID (2021). *In Georgian Agriculture, Innovation will Drive Success.* *https://www.usaid.gov/georgia/news/georgian-agriculture-innovation-will-drive-success*

6. აბესაძე, რ. (2018). ალტერნატიული ენერგეტიკა. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული XI. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი

7. აგროსფერო (2024). *აგრო დრონი, როგორც ინოვაცია სოფლის მეურნეობაში.* *https://blog.agrosphere.ge/blogs/post/%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%9D-*

8. დათუნაშვილი, ლ. (2020). ინოვაციების გავრცელების პრობლემები საქართველოს სოფლის მეურნეობაში (მემცენარეობა). თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ტ. XIII, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 293-319, თბილისი 2020. ISSN 1987-6904

9. ლაზარიაშვილი, თ. (2024). „ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობები საქართველოს სოფლის მეურნეობაში“. საერთაშორისო მულტიდისციპლინური კონფერენციის „თანამედროვე გამოწვევები მეცნიერებასა და ინოვაციებში“ კრებული, 22-23 ივნისი

10.საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2020). *საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027.* https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395

ქართული რეგიონული მედიის ჩამოყალიბება და თანამედროვე გამოწვევები
Formation of Georgian regional media and modern challenges

მარიამ მარღია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
Mariam Marghia - Caucasus International University
PhD student of the Doctoral program of mass communication

აბსტაქტი. საქართველოში მრავალფეროვანი მედიაგარემოა. მისმა განვითარებამ განაპირობა ისიც, რომ დღეს ბაზარზე უამრავი ტელევიზია, საინფორმაციო სააგენტო, ინფორმაციული ბლოგები თუ რადიოსაშუალებებია. სამწუხაროდ, მათი სიმრავლე ყოველთვის მაღალ ხარისხს არ გულისხმობს. ისედაც, ცხადია, რომ დღეს ცენტრალურ (დედაქალაქის) მედიასაშუალებებს ცნობადობა, ტექნიკური და ფინანსური რესურსი საკმაოდ მაღალი აქვთ. ამ ფონზე ქართულ რეგიონულ მედიას უამრავი გამოწვევის წინაშე უწევს ყოფნა. იკლებს მისი პოპულარობა და რეკლამის დამკვეთთა რაოდენობა. აღნიშნული კი ლოკალური მედიის კონტენტის წარმოების შენელებას და მრავალფეროვანი თუ საავტორო მედიაპროდუქციის შექმნის შეუძლებლობას იწვევს.

ლოკალურ მედიას შეუძლია კონკრეტული რეგიონის ხმა იყოს და მისი საინფორმაციო ველი სრულად შეითვისოს. მას ისეთი თემატიკის გაშუქების „პრივილეგიაც“ აქვს, რაც სხვადასხვა

მარკეტინგული გათვლითა და დროის დეფიციტის გამო ცენტრალური მედიასაშუალებების დღის წესრიგში ვერ ხვდება. თუმცა, დღეს, ბევრი რეგიონული მედიასაშუალება სხვადასხვა მიზეზის გამო იძულებულია მექანიკური მაუწყებლობა შესთავაზოს აუდიტორიას. რაც ეთერში საარქივო მასალების განთავსებით, სხვა არხებიდან აღებული ინფორმაციის გაშვებითა და საკუთარი საავტორო პროდუქტის უქონლობით გამოიხატება. ქვეყნის უმეტეს რეგიონში თითქმის გამქრალია ადგილობრივი ბეჭდური მედია, ან ძალიან მცირე ტირაჟით გამოდის.

აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით საინტერესო და მნიშვნელოვანია ხშირად ვისაუბროთ ქართული რეგიონული მედიის პრობლემებზე და ვეძებოთ მისი გადაჭრის გზები. წინამდებარე ნაშრომი ქართულ ლოკალურ მედიაში არსებულ გამოწვევებს მიმოიხილავს. მისი მიზანია მკითხველს თემის აქტუალურობა და მნიშვნელობა გააცნოს. ასევე, შეძლოს მთავარ პრობლემათა იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია.

საკვანძო სიტყვები: ქართული მედია, რეგიონული, მედია, გამოწვევები, გაშუქება.

Abstract. Georgia has a diverse media environment. Its development has also led to the fact that today on the market are many TV channels, blogs and radio. Unfortunately, their abundance does not always mean high quality. today the central (capital) media have a fairly high visibility, technical and financial resources. Against this background, the Georgian regional media faces a lot of challenges. Its popularity and the number of advertisers are decreasing. This leads to a slowdown in the production of local media content and the impossibility of creating diverse and original media products.

Local media can be the voice of a specific region and completely absorb its information field. It also has the "privilege" of covering a topic that, due to various marketing calculations and lack of time, cannot be included in the agenda of the central media. However, today many regional media are forced to offer the audience mechanical broadcasting for various reasons. This is manifested in the placement of archival materials on the air, the transmission of information taken from other channels and the absence of their own author's product.

Based on the above-described circumstance, it is interesting and important to talk more often about the problems of Georgian regional media and to look for ways to solve them. This article examines the problems of local media in Georgia. Its goal is to convey to the reader the relevance and importance of the topic. Also to be able to identify and classify the main problems.

Keywords: Georgian media, region, media, problems, coverage.

ქართული მედიაგარემო საკმაოდ განვითარებულია. აქტიურად ფუნქციონირებს, როგორც ტრადიციული, ასევე ახალი მედია. თუმცა სხვადასხვა არასამთავრობო თუ კვლევითი ორგანიზაციის ანგარიშების მიხედვით დღეს ქვეყანაში პოლარიზებული მედიაგარემოა. საინფორმაციო ველი დაყოფილია პროსახელისუფლებო და ოპოზიციურ ნაწილებად. კონკრეტული პოლიტიკური ფიგურები მედიასაშუალებების მფლობელებად / თანამფლობელებად, დამფინანსებლებად გვევლინებიან. ბუნებრივია, მსგავს შემთხვევაში მიუკერძოებელი გაშუქება ეჭვქვეშ დგას. თუმცა, ობიექტურად განწყობილი აუდიტორიისთვის მარტივად გასარჩევია პოლიტიკური დატვირთვით გაშუქებული ამბავი. შინაარსით სრულიად აპოლიტიკურ ფაქტში პოლიტიკური აქტორების ხელოვნურად დაკავშირების მცდელობები და ა.შ.

პოლარიზება განსაკუთრებით მეინსტრიმულ მედიასაშუალებებში შეინიშნება და ნაკლებად თვალსაჩინოა რეგიონულ მაუწყებლებში. მიუხედავად იმისა, რომ იქაც გვხვდებიან პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი მედიასაშუალებები.[75] ქართულ რეგიონულ მედიას პოლარიზაციის გარდა კიდევ უამრავი გამოწვევის წინაშე უწევს ყოფნა. მათ შორის, დაბალი ბიუჯეტი, კადრების დეფიციტი, დაბალი ცნობადობა / რეიტინგი და ა.შ. აღნიშნული პრობლემა ნამდვილად თვალსაჩინო და ყურადსაღებია, თუმცა სამეცნიერო დონეზე მისი კვლევა და მნიშვნელოვანი დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაკლებობა მაინც იგრძნობა.

[75] ანდღულაძე, მ., საქართველოს მედიაგარემო, 2023, გვ.10

წარმოდგენილი კვლევის მიზანია გამოკვეთოს ქართული რეგიონული მედიის თანამედროვე გამოწვევები. მისი განვითარებისა და პრობლემების აღმოფხვრის გზების ძიების მნიშვნელობა. ნაშრომის ბოლოს კი შეძლოს მთავარ პრობლემათა იდენტიფიკაცია.

წარმოდგენილ ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის ორგვარი მეთოდი: მეორეული წყაროებისა და კონტენტანალიზის მეთოდები. მეორეულ წყაროებში მოიაზრება საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის, სხვადასხვაგვარი კვლევების, სამეცნიერო თუ ჟურნალისტური სტატიების ანალიზი. აღნიშნული მნიშვნელოვანია უკვე არსებული ცოდნისა და ინფორმაციის გასააზრებლად და პრობლემის შესწავლის მდგომარეობის გასაცნობად. კონტენტანალიზი უზრუნველყოფს კვლევის სიღრმის გააზრებას. წარმოაჩენს მიმდინარე მდგომარეობას და ამავე კვლევის ფარგლებში ავრცელებს ახალ ინფორმაციას. კონტენტანალიზისთვის შერჩეულია ქართული რეგიონული მედიის ინტერნეტ გვერდები. კვლევის ფარგლებში შესწავლილია ვებგვერდების დიზაინი, რუბრიკათა გადანაწილება, ინფორმაციების განთავსების ინტენსივობა, მასალების მარტივად გაცნობის შესაძლებლობა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ლოკალურ მაუწყებლებს ხელსაყრელი მდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვთ აუდიტორიას მუდმივ რეჟიმში მიაწოდონ რეგიონში მიმდინარე მოვლენები და თვითონ იყვნენ პირველწყარო, მათი დიდი ნაწილი მექანიკურად მაუწყებლობს. რაც საკუთარი მრავალფეროვანი საავტორო პროდუქტების არ ქონით, სხვა მედიასაშუალებებიდან აღებული და საარქივო მასალების ეთერში განთავსებით გამოიხატება.

რეგიონულ მაუწყებლებში სარეკლამო შემოსავალი არც ისე დიდია. ადგილობრივი ბიზნესი რეკლამისთვის მედიას იშვიათად მიმართავს, ხოლო მსხვილი ბიზნესი ცენტრალურ მედიასაშუალებებს ირჩევს. ამიტომაც ფინანსურად არამდგრადია, როგორც ტელევიზია, ასევე რადიო და ბეჭდური მედია. მათი შემოსავლის დიდი ნაწილი პირად შეტყობინებებზე, განცხადებებსა და ნეკროლოგებზეა დამოკიდებული.[76] ფინანსური რესურსის სიმცირე, ლოკალურ მედიაში სხვადასხვაგვარ პრობლემას წარმოქმნის: ჟურნალისტების ანაზღაურება არაკონკურენტულია, რაც ნაკლები მოტივაციაა პროფესიონალი ჟურნალისტისთვის. ზოგჯერ ჟურნალისტს, უწევს იყოს უნივერსალური, ანუ წეროს და ისაუბროს ბევრ განსხვავებულ საკითხზე, როგორებიცაა: კრიმინალი, ძალადობა, ბავშვთა საკითხები, ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკა, ოკუპაცია და ა.შ. საფიქრალია, გაშუქების კუთხით, რამდენად შეიძლება იყოს ერთი ან ორი ადამიანი ყველა სფეროში თანაბრად კომპეტენტური. მით უმეტეს, სპეციფიკური და სენსიტიური თემები განსაკუთრებული ყურადღებით გაშუქებას საჭიროებს.[77]

ლოკალურ მედიასაშუალებებში კადრების სიმცირე, პროფესიონალ ჟურნალისტთა გადინება და არასრული ტექნიკური ბაზა, ბუნებრივია ხარისხიანი და მრავალფეროვანი პროდუქციის შექმნის შესაძლებლობასაც ართულებს. ბოლო ათწლეულის ტენდენციის გათვალისწინებით რეგიონებში მნიშვნელოვანი ცვლილებები დადებითად მოქმედებს ადგილობრივი მედიის განვითარებაზე. მაგალითად, ქუთაისში პარლამენტის გადატანით იმერეთის რეგიონში ჟურნალისტური აქტივობა გაიზარდა. ლოკალური მაუწყებლების აქტიურობის გარდა ქალაქში ცენტრალური მედიასაშუალებების ადგილობრივი ბიუროები გაიხსნა. თუმცა პარლამენტის თბილისში დაბრუნების შემდეგ მდგომარეობა ისევ ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა.[78]

[76] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ვის ეკუთვნის ქართული მედია, 2014, გვ. 5 https://shorturl.at/ld0Nr

[77] მარღია, მ., სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“, 2023, გვ. 170

[78] კსუ მულტიმედია ცენტრი, რეგიონული მედია - პრობლემები და გამოწვევები, 2022, https://multimedia.ciu.edu.ge/news/index/Regional-Media-Problems-and-Challenges-1

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება რეგიონული მედიის ნაკლები პოპულარობაა. აღნიშნულის მიზეზად უნიკალური მედია პროდუქტის მნიშვნელოვანი დეფიციტის და მცირე ბიუჯეტის გარდა შეიძლება მაუწყებელთა პასიური ვებგვერდებიც განვიხილოთ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემებით ინტერნეტით უზრუნველყოფის შინამეურნეობის წილმა ქალაქში 93.1%, ხოლო სოფელში 83.4 პროცენტი შეადგინა.[79] ქართული რეგიონული მედიის ნაწილს, მათ შორის ტელევიზიებს, რადიოს, ჟურნალ-გაზეთებს ქვეყნის სრული ტერიტორიის მასშტაბით არ აქვს გავრცელების არეალი. ამიტომაც მნიშვნელოვანია აქტიური ვებგვერდები. მით უმეტეს, ინტერნეტის ამგვარი მასშტაბური პოპულარობის ფონზე მისი რესურსის ათვისება შემოსავლის, გავლენისა და ცნობადობის წყაროდ შეიძლება იქცეს ნებისმიერი მედიასაშუალებისთვის. ქართული ლოკალური მედიის დიდ ნაწილს არ აქვს აქტიური და გამართული ვებგვერდი. დღეს საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილისთვის ინფორმაციის გაცნობის ერთ-ერთი პოპულარული საშუალება ინტერნეტია. ამიტომაც თუ მაუწყებლები აქტიურად იმუშავებენ ინტერნეტ სივრცის განვითარებაზე შესაძლოა ეს ცნობადობაზე დადებითად აისახოს. მოსაზრების დასადასტურებლად ან უარსაყოფად შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული რამდენიმე ლოკალური მედიასაშუალების ვებგვერდი ვიკვლიეთ. მათი შერჩევის მთავარი კრიტერიუმი სხვადასხვა რეგიონი და მულტიმედიურობა იყო. შესაბამისად საკვლევ ობიექტებად რადიოს, ტელევიზიისა და გაზეთის ვებგვერდები შეირჩა.

ტელეკომპანია „თრიალეთი“ შიდა ქართლის რეგიონის, ქალაქ გორის მედიასაშუალებაა. მისი ვებგვერდი www.trialeti.ge, საკმაოდ მრავალფეროვანია. გვერდზე სხვადასხვა შინაარსის პანელებია განთავსებული: ახალი ამბები - რომელშიც სხვადასხვა სახის ქვემიმართულებებია ინტეგრირებული (ტენდერები და აუქციონები, დეკლარაციები, ეკონომიკა, გადაცემა „ეს ქვეყანა შენია“, საზოგადოება, ჯანდაცვა, განათლება, თვითმმართველობა, შოუბიზნესი, ჰოროსკოპი და სხვ.), გადაცემები, რეკლამა, პროგრამა და ა.შ.[80] ჩამონათვალი ერთი შეხედვით მრავალფეროვანია და საინტერესოდაც ჟღერს, თუმცა, სამწუხაროდ, უმეტესობა მათგანი ინფორმაციას არ შეიცავს და რუბრიკაზე გადასვლისას ცარიელია. ასეთია მაგალითად გადაცემების, ჰოროსკოპის, შოუბიზნესის, პროგრამების, თვითმმართველობის პანელები. რაც შეეხება სიახლეებს, ახალი ამბები გვერდზე მუდმივ რეჟიმში იტვირთება, თუმცა უნიკალურ მნახველთა რაოდენობა მცირეა, (საშუალოდ 50-70). აღსანიშნავია, რომ სიახლეები არა მხოლოდ ლოკალური არამედ მასშტაბურია, ეხება როგორც ქვეყანაში მიმდინარე ზოგად მოვლენებს ასევე მსოფლიოში განვითარებულ სიახლეებსაც.

რადიო „ათინათი“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მედიასაშუალებაა. ვებგვერდზე www.radioatinati.ge, შემდეგი შინაარსის რუბრიკებია განთავსებული: ახალი ამბები, სტატია, მთავარი, მულტიმედია, გადაცემები (ჩვენი თვითმმართველობა, დადიანების სასახლეთა საგანძური, ოდაბადეშ კინოხონი და სხვ.). ვებგვერდზე არის პანელი, რომლის საშუალებითაც რადიოს მოსმენა ლაივ რეჟიმშია შესაძლებელი.[81] უნდა აღინიშნოს, რომ „ათინათის“ შემთხვევაში თითქმის ყველა რუბრიკაში განთავსებულია მასალები. ზოგიერთ მათგანში ბოლო აქტივობა რამდენიმე კვირის ან დღის წინ ფიქსირდება. შეიძლება ითქვას, რომ გვერდი პასიური არ არის და სიახლეებიც ოპერატიულად იტვირთება. ვებგვერდზე მასალის უნიკალურ მკითხველთა რაოდენობა არ არის ხილვადი.

[79] საქსტატის ვებგვერდი - https://www.geostat.ge/ka
[80] ტვ. თრიალეთის ვებგვერდი - https://trialeti.ge/
[81] რადიო ათინათის ვებგვერდი - www.radioatinati.ge

გაზეთი „სპექტრი“ კახეთის რეგიონში გამოდის. მის ოფიციალურ ვებგვერდზე www.speqtri.ge სიახლეები ყოველდღიურად არ ქვეყნდება. ზოგიერთ რუბრიკაში ბოლო სიახლე გასული წლის მასალაა. მედიასაშუალების გვერდზე შემდეგი პანელებია: საზოგადოება (ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სპორტი, ხმა სოფლიდან, განცხადება, ბლოგი), პოლიტიკა, თვითმმართველობა, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, მულტიმედია და ა.შ.[82] დასახელებული რუბრიკები საინტერესოდ ჟღერს, თუმცა უმეტესობა მათგანში 2023 წლის მასალები იძებნება. გვერდზე საინტერესო რუბრიკაა გურჯაანის გიდი, სადაც ქალაქში არსებული სხვადასხვა დაწესებულების შესახებაა ინფორმაციები მოცემული, როგორიცაა მაღაზიები, სალონები, აფთიაქები, საავადმყოფოები და ა.შ. გვერდზე ყოველდღიური ამბები ოპერატიულად არ ახლდება. დღის სიახლეების წარწერით წარმოდგენილ ფანჯარაში ორი - სამი დღის წინ ატვირთული მასალებია განთავსებული. ბუნებრივია, აღნიშნული ახალი ამბების ე.წ „ნიუსების“ სპეციფიკას (ოპერატიულობას) ვერ აკმაყოფილებს. გვერდზე მასალის მკითხველთა რაოდენობა არ არის ხილვადი.

მედიასაშუალებების ვებგვერდების განხილვით რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება გამოიკვეთა: ვებგვერდებზე უმეტესად საარქივო მასალებია განთავსებული; ყოველდღიური სიახლეები ოპერატიულად იტვირთება „თრიალეთისა“ და „ათინათის“ ვებგვერდებზე, ხოლო „სპექტრი“ რუბრიკაში „დღის სიახლეები“ მასალებს ყოველდღე არ აახლებს; რუბრიკების მრავალფეროვანი ჩამონათვალის მიუხედავად უმეტესობა ცარიელია;

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ რეგიონულ მედიაში დღეს არსებული პრობლემების და გამოწვევების იდენტიფიცირება კიდევ ერთხელ ცხადყოფს თემის აქტუალურობასა და მნიშვნელობას. წარმოდგენილ მასალაში განხილული სხვადასხვა ანგარიშები, ინტერვიუები თუ კვლევები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ქართული ლოკალური მედიის განვითარებისა და აქტიურობის საჭიროება მაღალია. მასალის ანალიზის შემდეგ შეიძლება რამდენიმე მთავარი პრობლემის გამოკვეთა:

- რეგიონულ მედიაში დაფინანსების ნაკლებობაა, რაც მოქმედებს, როგორც მასში დასაქმებულ პროფესიონალ ჟურნალისტთა რაოდენობაზე, ასევე ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნის ინტენსივობაზე.
- მნიშვნელოვანია რეგიონული მედიასაშუალებების გაშუქების პრიორიტეტი ადგილობრივი ამბები იყოს. ეს კი უზრუნველყოფს მისი მუდმივი და ერთგული აუდიტორიის მოზიდვას.
- ლოკალური მედიასაშუალებების ნაწილს არ აქვს აქტიური ვებგვერდი, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში განათავსებს სიახლეებს და დააფიქსირებს აქტივობას. რაც შეიძლება უარყოფითად აისახოს მისი ცნობადობის ხარისხზე.
- რეკლამის დამკვეთთა სიმცირის გამო, ადგილობრივ მაუწყებელთა შემოსავლის ძირითადი წყარო პირადი შეტყობინებები, განცხადებები და ნეკროლოგებია.
- რეგიონული მედიის დიდ ნაწილს არასრული ტექნიკური ბაზა აქვს. ბუნებრივია, აღნიშნული პრობლემა მაღალი ხარისხის მედიაპროდუქტის შესაქმნელად მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის.

სამწუხაროდ, ქართულ რეგიონულ მედიაში არსებულ პრობლემათა იდენტიფიცირება ამ ჩამონათვალით არ სრულდება. ლოკალური მედიის განვითარება და აქტიურობა ნებისმიერი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია. ძლიერ, მრავალფეროვან და მიუკერძოებელ ლოკალურ

[82] გაზეთი სპექტრი ვებგვერდი - www.speqtri.ge

მედიას განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეუძლია როგორც ქვეყნის, ასევე საზოგადოებისა და კონკრეტული რეგიონის განვითარებაში.

ბიბლიოგრაფია:

1. ანდღულაძე მ., საქართველოს მედიაგარემო, თბ., 2023 https://www.hrc.ge/files/reports/307mediagaremo-geo.pdf (ბ.წ 09.08.2024)
2. გაზდელიანი ს., რეგიონული მედია - პრობლემები და გამოწვევები, კსუ მულტიმედია ცენტრი, 2022, https://multimedia.ciu.edu.ge/news/index/Regional-Media-Problems-and-Challenges-1 (ბ.წ 09.08.2024)
3. მარღია მ., ახალგაზრდული პერიოდული გამოცემები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და ლოკალური მედიის გამოწვევები, სეუ და მეცნიერება, N15, თბ., 2023 https://seu.edu.ge/uploads/files/bog/N15.pdf (ბ.წ 09.08.2024)
4. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს რეგიონული მედია - ადგილობრივი მეთვალყურე ზეწოლის ქვეშ, თბ., 2012 https://shorturl.at/gjH1l (ბ.წ 09.08.2024)
5. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ვის ეკუთვნის ქართული მედია, თბ., 2014 https://shorturl.at/ld0Nr (ბ.წ 09.08.2024)
6. ტვ. თრიალეთის ვებგვერდი - https://trialeti.ge/ (ბ.წ 09.08.2024)
7. რადიო ათინათის ვებგვერდი - www.radioatinati.ge (ბ.წ 09.08.2024)
8. გაზეთი სპექტრი ვებგვერდი - www.speqtri.ge (ბ.წ 09.08.2024)
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი - https://www.geostat.ge/ka (ბ.წ 09.08.2024)
10. „მედიაჩეკერი“ - გამქრალი გაზეთები, ადგილობრივი ამბების დეფიციტი და რეგიონული მედიის სხვა პრობლემები https://shorturl.at/sIvGO (ბ.წ 09.08.2024)

ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობა
Efficiency of Human Resources Management

ნაირა ღვედაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. ასოცირებული პროფესორი
Naira Gvedashvili - Georgian National University SEU Candidate of Economic Sciences, Associated Professor

აბსტრაქტი. ადამიანური რესურსებისადმი ყურადღების და ინტერესის გაზრდა არამარტო საქართველოში, არამედ დასავლეთშიც, განპირობებულია მატერიალური რესურსების ღირებულების კლების ტენდენციით და მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და დამაგრების ფასის წლიდან წლამდე ზრდით. ადამიანურ რესურსებს განიხილავენ როგორც ადამიანთა ბუნებრივი შესაძლებლობების, ცოდნის, უნარ-ჩვევების და გამოცდილების ურთიერთკავშირს ცალკეული პიროვნების, ორგანიზაციისა და საზოგადოების შემოსავლებთან შეფარდებით.

ამიტომ, ადამიანური რესურსის მართვის საკითხები ყოველთვის აქტუალურია კონკურენტუნარიანი, მომგებიანი და წარმატებული საქმიანობის მისაღწევად. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი საქმიანობაა, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლების შრომით პროცესებზე გავლენის მოსახდენად გარკვეული წესებისა და მეთოდების გამოყენებით, რათა მათში განავითაროს შრომითი პოტენციალის მაქსიმალურად გაზრდისთვის საჭირო და მისაღები უნარ-ჩვევები.

ადამიანური რესურსების მართვა ციკლური ხასიათისაა. ამ აქტივობის საფუძველია დროული და ობიექტური ინფორმაცია პერსონალის შემადგენლობისა და დინამიკის შესახებ, სამუშაოს აღწერა და

ანალიზი, კარიერის მართვა, მოტივაცია და ა. შ. პანდემიამ, სტრესმა, დაძაბულმა არასტაბილურმა გარემო პირობებმა და ბევრმა მოვლენამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია მომუშავეებზე. შეამცირა მათი მოტივაცია, შრომისუნარიანობა, დაიწყო პერსონალის მიგრაცია და სხვა, რაც მტკივნეულია როგორც ნებისმიერი ინდუსტრიისთვის, ასევე ქვეყნისთვისაც.

მეცნიერული კვლევები თუ პრაქტიკული ცხოვრება და გამოცდილება ადასტურებს, რომ ადამიანები მაშინ ავლენენ უნარ-ჩვევებს და შესაძლებლობებს მიზნების მისაღწევად, როცა მათ აქვთ შესაბამისი ხელფასი, არიან წახალისებულები როგორც მატერიალურად, ისე მორალურად.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის თეორიული და მეთოდოლოგიური პლატფორმის შესწავლა, მოითხოვს ინოვაციების დანერგვას, სოციალურ და შრომით ურთიერთობებში ინოვაციებზე დაფუძვნებული ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, ეფექტური გუნდის შექმნას, მოტივაციის სისტემის მოწესრიგებას, პერსონალის მიგრაციის შემცირების საკითხის შესწავლას. თანამშრომლების შენარჩუნების მიზნით შრომის უსაფრთხოების, დატვირთვის, ორგანიზაციული მენეჯმენტის, უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, ოჯახისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერას, თანამშრომლების ჯანმრთელად ყოფნას და მათ მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ატესტაციის და ტრენინგების უფრო ობიექტურად და უწყვეტად ჩატარების ეფექტიანი სისტემის დანერგვას, ორგანიზაციული კულტურისა და სოციალური პარტნიორობის საკითხების სათანადო დონეზე მოგვარებას.

საკვანძო სიტყვები: გლობალური გარემო, კვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი, საკადრო პოლიტიკის როლი, ქმედითი და ეფექტიანი სისტემის შექმნა, მიგრაციის შემცირების საკითხის შესწავლა.

Abstract. Rising of an interest and attention towards the human resources not only in Georgia, but in the western countries as well, is conditioned with the trend of decreasing of the value of material resources and gradual increasing of the cost of attraction and integration of the high qualified staff. Human resources are considered as a correlation of natural opportunities of human beings, their knowledge, skills and experience in coefficient with incomes of a concrete person, organization and community.

Accordingly, the issues of the human resources management are always actual for reaching of the competitive, beneficial and successful activity. Human Resources Management is a kind of activity which is focused on making of an impact on the labor processes of employees using specific rules and methods to develop the adoptable skills necessary for maximal increasing of their labor potential.

Human Resources Management has a cyclical character. Basis for this activity is a timely and objective information about the staff composition and dynamics, work description and analysis, career management, motivation and others. The pandemics, stress, intense non-stable environment and many events had a negative impact on the employees, decreased their motivation, capability; all this caused staff migration and other factors that is painful not for any industry, but for the country as well.

Scientific researches, and practical life and experience confirm that human beings reveal their skills and opportunities for reaching of targets when they have a relevant salary, are stimulated financially and morally.

Studying of the theoretical and methodological platform of the human resources management system requires implementation of innovations, improving of the human resources management system based on innovations in social and labor relations, formation of an efficient team, arrangement of the motivation system, reviewing of the issue of decreasing of the staff migration. For the purpose of keeping of employees the employer needs labor safety, loading and organizational management, constant supporting of education and professional development, supporting of a family and healthy life style, preserving of the employees' health and taking care over their mental health, implementation of the efficient system of objection and constant conducting of attestation and trainings, arranging of the issues of organized culture and social partnership on a relevant level.

Key words: global environment, qualified and experienced staff, a role of the cadre politics, creation of an efficient and effective system, studying of the issue of decreasing of migration.

თანამედროვე გლობალურ გარემოში ნებისმიერი სფეროს განვითარება და წარმატების მიღწევა წარმოუდგენელია მენეჯმენტის, მისი ძირითადი: ადამიანური, მატერიალური, ფინანსური თუ საინფორმაციო რესურსების სისტემატური გამოყენების გარეშე.

ყველა რესურსს თავისი მნიშვნელოვანი წილი უკავია ორგანიზაციის საქმიანობაში, მაგრამ მაინც ადამიანური რესურსი არის მთავარი და ძირითადი, რადგან ადამიანები ახორციელებან ყველა სხვა რესურსის მოქმედებაში და სისრულეში მოყვანას.

ადამიანური რესურსებისადმი ყურადღების და ინტერესის გაზრდა არამარტო საქართველოში, არამედ განსაკუთრებით დასავლეთშიც, განპირობებულია იმით, რომ მატერიალური რესურსების ღირებულების კლების ტენდენციის ფონზე, მაღალკვალიფიციური პერსონალის მოზიდვის და დამაგრების ფასი წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდება. ამიტომ, ადამიანურ რესურსებს განიხილავენ როგორც ადამიანთა ბუნებრივი შესაძლებლობების, ცოდნის, უნარ-ჩვევების და გამოცდილების ურთიერთკავშირს ცალკეული პიროვნების, ორგანიზაციისა და საზოგადოების შემოსავლებთან შეფარდებით. ინვესტიციებს კი, რომელიც უნდა ჩაიდოს ადამიანური კაპიტალის გასამყარებლად თანამედროვე მენეჯმენტში, ფაქტობრივად არ განარჩევენ იმ ინვესტიციებისაგან, რომელიც იდება სხვადასხვა ბიზნესში.

სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ადამიანური რესურსების მართვა და მისი პერმანენტული განვითარება სახელმწიფო მართვის საკმაოდ სუსტი რგოლია, რაც ქვეყნის როგორც სტრატეგიული, ისე ოპერატიული მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას, რადიკალურ ცვლილებას და უწყვეტ განვითარებას მოითხოვს.

დღეს ყველა სფეროს მენეჯერები ერთხმად აღიარებენ, რომ კვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი კომპანიის ძირითადი აქტივია. დასავლეთის ქვეყნებში მას უკვე განიხილავენ არა როგორც უბრალოდ კადრებს, ანუ მიზნების მიღწევის ერთ-ერთ კომპონენტს, არამედ როგორც ადამიანურ რესურსებს, ადამიანურ კაპიტალს, მიზნების მიღწევის მთავარ, განმსაზღვრელ ფაქტორს. თუმცა, ამის მიუხედავად, ზოგიერთ კომპანიაში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, გადამზადებას და განვითარებას ხშირ შემთხვევაში, არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას.

ნებისმიერი სფეროს ორგანიზაცია-დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ქმედითი და ეფექტიანი სისტემის დანერგვისათვის, უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ ორგანიზაციის გლობალური სტრატეგია და აქედან გამომდინარე, რა კონკრეტული სადღეისო თუ სამომავლო მიზნები და ამოცანებია გადასაწყვეტი ამ სფეროში. სწორედ, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი მისი დინამიური, რთული და უწყვეტი თვისებებიდან გამომდინარე, რომლის მიზანიც ძალების ოპტიმალური განლაგებაა, მუდმივად კვლევასა და შეფასებას საჭიროებს.

ყველა სფეროს, ცუდად ორგანიზებული მენეჯმენტი კი, გამოიხატება პრობლემების მთელი რიგი სიმპტომით: დაბალი მწარმოებლურობით, მათი არაპროფესიონალიზმით, არაკომპეტენტურობით, პერსონალის სტრუქტურის სისტემის საჭიროებებთან დისბალანსით და ა. შ.

წარმოების თუ მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე კი, ყველაზე დიდი წარმატება მიიღწევა ადამიანური რესურსების მართვის სფეროში გატარებული ისეთი ქმედებებით, როგორიცაა: პერსონალის მოზიდვა, დაგეგმვა, პერსონალზე მოთხოვნილების განსაზღვრა, კარიერის მართვა, ტრენინგი, ე. ი. პერსონალთან მუშაობის მთელი ტექნოლოგია.

ამიტომ, ადამიანური რესურსის მართვის საკითხები ყოველთვის აქტუალურია ნებისმიერ სფეროში ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი, მომგებიანი და წარმატებული საქმიანობის მისაღწევად. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი საქმიანობაა, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლების შრომით პროცესებზე გავლენის მოსახდენად გარკვეული წესებისა და

მეთოდების გამოყენებით, რათა მათში განავითაროს შრომითი პოტენციალის მაქსიმალურად გაზრდისთვის საჭირო და მისაღები უნარ-ჩვევები.

თავის მხრივ კი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი განიხილავს კოლეგებისთვის კომფორტულ სამუშაო გარემოს შექმნას, გუნდურ მუშაობას, კომპეტენტურ, მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, თვითგანვითარებაში დახმარების გაწევას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს თანამშრომლების შრომის მწარმოებლურობის მაქსიმალურ ამაღლებას, რადგან კომპეტენტურ ადამიანურ რესურსებზე, მათი ჩართულობის ხარისხზე პირდაპირ არის დამოკიდებული ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების პროცესი. ასევე, ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიაც უშუალო კავშირშია პერსონალის დაქირავებასთან, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანური რესურსების მიზანმიმართულ და რაციონალურ გამოყენებას კომპანიის საკეთილდღეოდ. საკადრო სამსახურის მუშაობაში კი დიდი ყურადღება ეთმობა, პერსონალის მართვის დეპარტამენტს, როგორც იდეებისა და ამოცანების გამტარებელს ადამიანური რესურსების ეფექტური მართვის საკითხში. დღეს შეიძლება გამოვყოთ ამ სამსახურის სამი ძირითადი მიმართულება:

- სტრატეგიული, რაც მდგომარეობს როგორც შიგა, ასევე გარე საკადრო სიტუაციის ანალიზში; ადამიანური რესურსების მართვის სისტემების განვითარებაში; პერსონალზე მოთხოვნილების განსაზღვრა ბიზნესის ამა თუ იმ სტრატეგიის რეალიზაციის გათვალისწინებით; ორგანიზაციული ცვლილებებისათვის პერსონალის მომზადებაში; პერსონალის შეფასების მეთოდების შემუშავებაში; პერსონალის განვითარებაში; მის მომზადება-გადამზადებაში; მათი რაციონალური ფორმების, ვადების, პერიოდულობის განსაზღვრაში და ა. შ.
- საშუალოვადიანი მიმართულება.
- პერსონალთან მუშაობა ხანმოკლე პერიოდში, რაც მოიცავს: საშტატო განრიგების, პერსონალის მოზიდვის, მიმდინარე გეგმების შექმნას, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას და ა. შ. პერსონალის შერჩევასა და განლაგებას, უახლესი საკადრო გადანაცვლებების დაგეგმვას, პერსონალის სამუშაოზე მოზიდვის ძირითადი მიზნების, როლის და მნიშვნელობის განსაზღვრას, ასევე შერჩევისა და რეკრუტირების ფაქტორების ძირითადი პრინციპებისა და კონცეფციების შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებას, პერსონალის შეფასების ტექნოლოგიას, საკადრო პოლიტიკის როლის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებას.

თავის მხრივ, საკადრო სამსახურის მუშაობის ხარისხი არაპირდაპირ(ირიბად) შეიძლება განვსაზღვროთ შრომის მწარმოებლურობით, პერსონალის დენადობით, გაცდენებით, უბედური შემთხვევების თუ, საჩივრების რაოდენობის, სხვა სამუშაოზე გადაყვანის შესახებ განაცხადებისა და ა. შ. ცვლილებების მიხედვით.

საკადრო სამსახურის მუშაობის ეფექტიანობას კი განაპირობებს მათი საქმიანობის შედეგად განვითარებული ეკონომია, რომელიც, კერძოდ, დაკავშირებულია ისეთ საინტერესო მომენტებთან, როგორებიცაა:

- სამუშაო დისციპლინის განმტკიცება და დროის დანაკარგების აღმოფხვრა;
- პერსონალზე ხარჯების ოპტიმიზაცია;
- სამუშაოს კეთილსასურველი პირობებისა და პერსონალის ჯანმრთელობის შენარჩუნება;
- სამსახურში საუკეთესო სპეციალიტების მიღება;
- მატერიალური და მორალური წახალისების პროგრესული სისტემის შემუშავება და ა. შ.

ყველა სამსახურის მუშაობის გათვალისწინებით, ადამიანურ რესურსებთან მუშაობა და მართვა საკმაოდ რთული პროცესია. თუმცა მათთან მუშაობა საჭიროა იმისთვის, რომ განისაზღვროს რა რაოდენობის პერსონალია საჭირო, საიდან მოვიზიდოთ კომპეტენტური პროფესიონალები, როგორ გამოვიყენოთ მათი უნარები, როგორ მივაღწიოთ მათ ეფექტურ მუშაობას და ა. შ.

სერვისის სფეროში პერსონალი თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, ახორციელებენ სერვისის სფეროს დაწესებულებების ფუნქციონირებას და ხელმძღვანელობას, მათი პროფესიული ცოდნიდან, უნარ-ჩვევებიდან და კომპეტენციიდან გამომდინარე.

შერჩეული და განაწილებული პერსონალი ადმინისტრაციის მიერ ყოველთვის შეფასდებიან მიღწეული შედეგებით, თავისი პოტენციალით და პერსპექტივით, საქმისადმი და კოლეგებისადმი მიდგომით და ა. შ. შეფასება კი ტარდება როგორც მიმდინარე(ყოველდღიური მუშაობის პროცესში), ასევე ეპიზოდური(პერსონალის სხვა უბანზე გადასვლის, წახალისების ან დასჯის მიზნით), და პერიოდული(ატესტაცია) შეფასება.

შეფასება აუცილებელია ადამიანური რესურსების ეფექტურად მართვისათვის. შეფასებას მივყავართ პერსონალის საქმიანობის ხარისხის ამაღლებისაკენ, სამუშაოთი კმაყოფილების დონის განსაზღვრისაკენ და ა. შ, რომელიც საბოლოოდ ორიენტირებულია წარმოების თუ სერვისის ძირითადი ამოცანის-შრომის მწარმოებლურობის გაზრდაზე და კონკურენტული გარემოს შექმნაზე.

ყველანაირი შეფასების უმთავრესი მაინც არის შეფასების საგნის დაზუსტება, მკვეთრი განსაზღვრა იმის, თუ რისი და ვისი შეფასებაა. შეფასება კი შეიძლება მიმართული იყოს პიროვნებაზე, მის პატიოსნებაზე, ერთგულებაზე, ინიციატივობაზე, ინტელექტუალობაზე და ა. შ. შეფასებ არის მუშაობის შედეგი: მისი ხარისხი, ეფექტურობა, რაოდენობა. მაგრამ შეიძლება მხოლოდ პერსონალის ქცევის შეფასება-თუ როგორ მუშაობს, როგორი დამოკიდებულება აქვს საქმისადმი და ა. შ. ამიტომ, შეფასების დაწყებამდე უნდა ვიცოდეთ რა გვაინტერესებს ამ პერსონალში თუ გუნდში.

თუმცა საჭიროა, გავაცნობიეროთ პერსონალის შესაბამისობა კომპანიის საქმიანობის მიზნების, ამოცანების, მისი ტრადიციებისა, გუნდის მიმართ, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს იგი, რამდენად მიზანშეწონილია მისი დატვირთვა ამ პოზიციაზე ან საჭიროებს თუ არა მისი გადაყვანა სხვა საფეხურზე და სხვ.

ასეთი მიდგომა კი საჭიროა არა მარტო დამსაქმებლისთის, მენეჯერისთვის, არამედ თვითონ დასაქმებულისთვის. რადგან ყველა ინდივიდისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს და შეიგრძნოს-დააფასეს თუ არა მისი ძალისხმევა და მიღწეული შედეგები, რათა შემდგომში იყოს უფრო მოტივირებული.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიზანიც სწორედ მოტივირებული პერსონალისთვის შრომის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზების მუდმივი ძიებაა. ეს მიზანი კი მიიღწევა შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვით და არსებული შრომითი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენებით, ინოვაციების დანერგვით, უახლესი მიღწევების გამოყენებით. თავის მხრივ კი, ეს უკანასკნელი გულისხმობს გარკვეული ეკონომიური ეფექტის მიღებას, რადგან ამ დროს ნაკლები მატერიალური რესურსი იხარჯება მიზნის მისაღწევად, მაგრამ იხარჯება მეტი ორგანიზაციული ძალისხმევა და მართვის უნარი.

ადამიანური რესურსების განვითარების ყველა ქმედება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კუთხით, უნდა შეესაბამებოდეს მის მიზანს, რადგან პერსონალთან მუშაობას, მომზადებას თუ გაუმჯობესებას აზრი არ ექნება მათი პრაქტიკული გამოყენების გარეშე.

ნებისმიერი მენეჯმენტის მსგავსად, ადამიანური რესურსების მართვაც ციკლური ხასიათისაა. ამ აქტივობის საფუძველია დროული და ობიექტური ინფორმაცია პერსონალის შემადგენლობისა და დინამიკის შესახებ, სამუშაოს აღწერა და ანალიზი, კარიერის მართვა, მოტივაცია და ა. შ.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის თეორიული და მეთოდოლოგიური პლატფორმის შესწავლა, მოითხოვს ინოვაციების დანერგვას, ინოვაციური მიზნების განხორციელებას წახალისების სისტემის გამოყენებით, სოციალურ და შრომით ურთიერთობებში ინოვაციებზე დაფუძვნებული ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებას, ეფექტური გუნდის შექმნას პერსონალის დაგეგმვის გზით, ასევე, რთული პრობლემების გადაწყვეტას ინდივიდუალური და კოლექტიური ქმედების პროცესში, სადაც შრომითი რესურსების და პროცესების დაგეგმვა უნდა ჩამოყალიბდეს კომპანიის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად.

ყველა ეს მნიშვნელოვანი ელემენტი ჩამოთვლილია თანმიმდევრულად, რაც მეტყველებს მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე. თუმცა ეს არ არის აბსოლუტური წესი: მხედველობაში უნდა იქნას მიღებილი თითოეული კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკა, ამა თუ იმ გზით მენეჯმენტის საქმიანობის შემადგენლობის კორექტირება. ადამიანური რესურსების მართვა ყველაზე ზუსტი ხდება, თუ განსაზღვრული პრინციპია მიღებული- გადაწყვეტილების ეკონომიკური ეფექტიანობა.

ეკონომიკური ეფექტიანობის დონე კი, თავის მხრივ განისაზღვრება ამ სფეროში მუდმივად მოქმედი და ურთიერთდაკავშირებული ბაზრებით. კერძოდ, სერვისის სფეროში მაგალითად, ჯანდაცვის თუ ტურიზმის ბაზარი, რომელიც ადგენს მომუშავე პერსონალის კატეგორიების რაოდენობას, იქნება სამედიცინო თუ ტურისტული ინდუსტრია, მათი ხელფასის და ბონუსების დონეს. ასევე, აღნიშნული ბაზრები გვთავაზობს თითოეული სპეციალობის კადრების კურსდამთავრებულთა რაოდენობას, სწავლის საფასურს, პერსონალის მიერ განხორციელებულ სამედიცინო თუ ტურისტულ-რეკრეაციული მომსახურების რაოდენობას, ხარისხს, მომსახურების დროულობას, მათზე ფასებს, მომხმარებლის კმაყოფილების დონეს და ა. შ. რაც იძლევა დასკვნას აღნიშნულ სფეროებში პერსონალის მიერ განხორციელებულ პროფესიულ საქმიანობაზე და მართვის მაღალ დონეზე. ადამიანური რესურსების მართვის პროცესის შესწავლაც სწორედ საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ ამ საქმიანობის კონცეპტუალური მოდელი, რომელიც მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ სისტემებს: ანაზღაურების სისტემა, თანამშრომლების აქტიურობის, ჩართულობის და გავლენის სისტემა ინდუსტრიაში, პერსონალის გადაადგილების და ორგანიზაციის სისტემა, საკადრო პოლიტიკის ჩარჩოს სრულყოფის სისტემებს და ა. შ.

თუმცა ორგანიზაციამ წარმატებას რომ მიაღწიოს საკმარისი არ არის ორგანიზაციული თუ რესურსული საკითხების მოგვარება, პროფესიონალი და კომპეტენტური პერსონალის დაქირავება. ყოველივე ამასთან ერთად აუცილებელია ისეთი ჯანსაღი გარემოს შექმნა, რომ ყველა ადამიანმა მაქსიმალური ძალისხმევა და ინტერესი გამოავლინოს დასახული მიზნის მისაღწევად და თავისი პოტენციალის გამოსავლენად, მოსალოდნელი ცვლილებების და გამოწვევებისათვის გასამკლავებად. პანდემიამ, სტრესმა, დაძაბულმა არასტაბილურმა გარემო პირობებმა და ბევრმა მოვლენამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია მომუშავეებზე. შეამცირა მათი მოტივაცია, შრომისუნარიანობა, დაიწყო პერსონალის მიგრაცია და სხვა, რაც მტკივნეულია როგორც ნებისმიერი ინდუსტრიისთვის, ასევე ქვეყნისთვისაც.

მეცნიერული კვლევები თუ პრაქტიკული ცხოვრება და გამოცდილება ადასტურებს, რომ ადამიანები მაშინ ავლენენ უნარ-ჩვევებს და შესაძლებლობებს მიზნების მისაღწევად, როცა მათ აქვთ შესაბამისი ხელფასი, არიან წახალისებულები მატერიალურად თუ მორალურად.

ხელფასი ყოველთვის გულისხმობს ფულად ანაზღაურებას, რომელსაც დამქირავებელი უხდის პერსონალს მითითებული სამუშაოს შესრულებისათვის. იგი პერსონალის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებაა და ამავე დროს, მაღალმწარმოებლური შრომის ერთ-ერთი ძირითადი მოტივია. ორგანიზაციას არ ძალუძს მოიზიდოს და მითუმეტეს დაამაგროს სამუშაო ძალა, თუ ვერ გადაუხდის კონკურენტუნარიან ხელფასს ან შრომის სტიმულირებისათვის არ გამოიყენებს ანაზღაურების დამატებით სისტემას.

თუმცა დამატებითი წახალისების ღონისძიებათა მიმართ ტრადიციული მიდგომა ითვალისწინებს, რომ ერთი პოზიციის თანამშრომლების წახალისება თანაბარი რაოდენობითა და ფორმით უნდა ეძლეოდეთ, შემსრულებელთა შორის არსებული განსხვავებანი კი მხედველობაში არ მიიღება. ცხადია, რომ გათანაბრების ასეთი პრინციპები ყველგან ვერ გამოდგება, რაც გამოიწვევს კონფლიქტს და დაპირისპირებას ორგანიზაციაში. ამიტომ მენეჯერის მოვალეობაა, გამოძებნოს დამატებითი ბერკეტების სახით პერსონალის წახალისების დამატებითი გზები უფრო კრეატიული და ინოვაციური იდეების მქონე ადამიანებისთვის, რაც აამაღლებს მათ მოტივაციას და საქმისადმი დამოკიდებულება უფრო პასუხისმგებლური იქნება.

პრაქტიკაში და ლიტერატურაში მყარად შევიდა ტრადიციული სტიმულირების განსაზღვრა. ერთის მხრივ, მატერიალური და მორალური, მეორეს მხრივ, წახალისებისა და დატუქსვის სტიმულირება. ამიტომ, ტრადიციულად განსაზღვრულია სტიმულირების შემდეგი სახეობა და მეთოდები: მატერიალური წახალისება: პრემია, გადაყვანა უფრო მაღალანაზღაურებად სამსახურში, ფულადი საჩუქარი და ა. შ. მატერიალური დასჯა: დეპრემირება, გადაყვანა დაბალანაზღაურებად სამსახურში, ხელფასიდან დაქვითვა, ჯარიმები და ა. შ. მორალური წახალისება: ზეპირი მადლობა, მადლობა ბრძანებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნება, წარდგენა ჯილდოზე და ა. შ. მორალური დასჯა: ზეპირი და წერილობითი საყვედური.

ეს მეთოდები დღესაც აქტუალურია.

ამიტომ, აქტუალური იქნება ანაზღაურების საკითხის მოწესრიგება, სამუშაო ძალის მოტივაცია, მათი კმაყოფილების, შენარჩუნების, სამართლიანი განაწილების ოპტიმალური გზების ძიება, რაც განიხილება გლობალურ სტრატეგიაში მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, რომელიც უნდა იყოს ადაპტირებული თითოეული ქვეყნისათვის.

თუმცა მოტივაციის სისტემის მოწესრიგებასთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე, პერსონალის მიგრაციის შემცირების საკითხის შესწავლა(მიგრაცია კი, განსაკუთრებით მაღალია ბოლო წლებში), რადგან პერსონალის გადინება(ნებისმიერ სფეროში) საკმაოდ პრობლემური საკითხია. ვფიქრობ, მთელი რიგი ღონისძიებების გატარებაა სჭირო. კერძოდ, სიახლეების დანერგვა, თანამშრომლების შენარჩუნების მიზნით შრომის უსაფრთხოების, დატვირთვის, ორგანიზაციული მენეჯმენტის, უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ოჯახისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა. ბევრი ორგანიზაცია უნდა ზრუნავდეს თანამშრომლების ჯანმრთელად ყოფნაზე და მათ მენტალურ ჯანმრთელობაზე. უახლოეს მომავალში თანამშრომლებს უნდა შესთავაზონ სხვადასხვა პროგრამები, რომელიც მათი ცხოვრების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

ასევე, სათანადოდ არ არის შესწავლილი და დასახვეწია ადამიანური რესურსების სტიმულირებისა და შრომის ანაზღაურების საკითხი, რომელიც თანამედროვე სტანდარტების

შესაბამისი უნდა იყოს. კრეატიული მიზნებისა და ინოვაციური ამოცანების მისაღწევად ადამიანური რესურსების დისციპლინისა და პასუხისმგებლობის დონის ამაღლებაა საჭირო, რაც თავის მხრივ მოითხოვს მომთხოვნელობის გაზრდის აუცილებლობას, ატესტაციის და ტრენინგების უფრო ობიექტურად და უწყვეტად ჩატარების ეფექტიანი სისტემის დანერგვას, სათანადო ყურადღების მიქცევას, ორგანიზაცია- დაწესებულებებში ადაპტაციის პროცესის შესაბამისი მექანიზმის დანერგვის კუთხით, არაეფექტიანი სიახლეების დანერგვის თავიდან აცილებას, ორგანიზაციული კულტურისა და სოციალური პარტნიორობის საკითხების სათანადო დონეზე მოგვარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Алешина, Е. А. Инновационные взгляды на управление человеческим ресурсами в сфере здравоохранения / Вестник Российского университета кооперации. 2017. №2
2. Г. Г. Вукович. Управление персоналом: теория и методика, Ж.,, Економика професя визнес.'' Кгу. 2019
3. Cainst., Malloch M., Fvansk.,O Connor B. N. (eds), The SAGE handbook of vorkplace learning.SAGE publications, 2010.
4. .Desler G., Human Resource Management., Florida., Pearson fducation., 2010.
5. Веснин В. Управление человеческими ресурсами. Теория и практика. Учебник. М., 2015.
6. Квагииидзе В. С. М. Н. Половская Н. Н. Чупейкина, Управление персоналом в современных условиях, Горный информационн-аналитический бюллетенъ (научно-технический журнал). 2011. Т. 3. №12
7. Куделина О. В. ,,Проблемы управления и развития кадровых ресурсов системы звравоохранения.'' Международны опыт. / Куделина, О. В. Е. Ю. Киллякова, ,,Екология человека.'' 2018.
8. Таланова А. В. Основные подходы к управлению персоналом организации. ж ,,Економика предпринимателъство и право.'' Т. 4. 2014. №1

სწავლების ინოვაციური მეთოდები 21-ე საუკუნის საკლასო ოთახში
An Innovative teaching method for 21st century classrooms

ლია ანთაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
სოციალური მეცნიერებების დოქტორი. ასისტენტ-პროფესორი
Lia Antadze - Georgian National University SEU
Doctor of Social Sciences. Assistant Professor

აბსტრაქტი. თანამედროვე საკლასო ოთახში სწავლების ინოვაციური მეთოდები ხაზს უსვამს ადაპტირებას, ინტერაქციულობას და კრიტიკულ აზროვნებას, რაც რეალურად 21-ე საუკუნის ციფრული და გლობალიზებული სამყაროს მოთხოვნებს წარმოადგენს.

სწავლების ინოვაციური მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, შემოქმედებითობას, თანამშრომლობას, ამზადებს მოზარდებს მომავალი გამოწვევებისთვის. ის მეთოდები მოიცავს სტრატეგიების ფართო სპექტრს, სადაც გამოიყენება ტექნოლოგიები და ხელს უწყობს აქტიურ სწავლებას. მიდგომები, როგორიცაა შებრუნებული საკლასო ოთახები, შერეული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მსგავსი გვთავაზობს მოსწავლეზე მორგებულ, მოქნილ და ინტერაქციულ სასწავლო გარემოს.

დღეს სწავლების პროცესმა განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, რადგან ტექნოლოგიური წინსვლა და გლობალური კავშირი ცვლის განათლების მიწოდებასა და გამოცდილებას. სწავლების ტრადიციული მეთოდები, რომლებიც ოდესღაც ხაზს უსვამდა ზეპირად სწავლას და ინფორმაციის პასიურ მიღებას, თანდათან შეიცვალა და გადაეწყო ინოვაციურ მიდგომებზე, რომლებიც პრიორიტეტულნი არიან მოსწავლეებისა, თუ სტუდენტების ჩართულობაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე, შემოქმედობითობაზე და მსგავსზე. დღეს, სადაც ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია, მასწავლებლის როლი გადადის ცოდნის უბრალო გადამცემიდან სწავლის გამოცდილების გაზიარებაზე, ფასილიტატორზე.

თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით მასწავლებლებს შეუძლია განათლება სტატიკური, ერთი ზომის ყველასთვის შესაფერისი სისტემიდან გარდაქმნას უფრო ადაპტირებულ, მიმზიდველ სასწავლო გარემოდ, რომელიც ხელს უწყობს უწყვეტი სწავლისა და რეალურ სამყაროში მზადყოფნას.

შესაბამისად, სტატიაში განხილულია ინოვაციური მეთოდების უპირატესობები საკლასო ოთახში და წარმოდგენილია თვისებრივი კვლევის შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, მეთოდები, საკლასო ოთახი, უნარები, მოსწავლე, მასწავლებელი.

Abstract. The innovative method of modern classroom teaching emphasizes adaptability, interactivity and critical thinking, which are actually the demands of the digital and globalized world of the 21st century.

Learning, using innovative tools, tools for creativity, collaboration, prepares adolescents for future challenges. Those tools include a wide range of strategies that utilize technology and facilitate active learning. Approaches such as flipped classrooms, blended learning, cooperative learning, project-based learning, and the like offer a student-centered, flexible, and interactive learning environment.

Today, the teaching process has undergone a significant transformation as technological advancements and global connectivity change delivery and output. Teaching and learning methods that once emphasized rote learning and general passive reception, rote learning and special passive reception, have moderated and shifted to innovative approaches that prioritize students' critical thinking, creativity, and the like. Today, with what information is available, the teacher's role is shifting from a mere transmitter of knowledge to a facilitator of sharing the learning experience.

Educators with modern approaches can transform education from a static, one-to-one-every-other system into a more adaptive, immersive learning environment that promotes lifelong learning and real-world readiness.

Accordingly, the article discusses the innovative practical advantages of classroom advice and the results discussed.

Keywords: innovation, methods, classroom, skills, student, teacher.

შესავალი

„მეთოდი“ სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას ატარებს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში იგი ნიშნავს მიზნის მიღწევის გზებსა და სტრატეგიებს. საგანმანათლებლო პროცესში სწავლების მეთოდი მასწავლებლის მიზანმიმართული ქმედებაა,

რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას. სწავლების მეთოდები უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლის მეთოდი გამოიყენება ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების ან ქცევების შეძენის გასაადვილებლად.

სწავლების მეთოდები სწორი გამოყენება მოსწავლეს უვითარებს სხვადასხვა ისეთ საჭირო უნარებს/კომპეტენციებს, რაც ადამიანს ახალ ეპოქაში ფუნქციონირებისათვის სჭირდება.

სწავლების ინოვაციური პედაგოგიკა ეხება სწავლებისა და სწავლის თანამედროვე და შემოქმედებით მიდგომებს, რომლებიც ცდება ტრადიციულ მეთოდებს. სწავლების ინოვაციური მეთოდები მიზნად ისახავს ახალი სწავლების სტრატეგიების გამოყენებას, რომლებიც უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეებზე. ინოვაციური საშუალებები მოუწოდებს მოსწავლეებს, ითანამშრომლონ და დაუკავშირდნენ მათ თანატოლებს, მასწავლებლებს საგაკვეთილო, თუ სალექციო პროცესის დროს.

სწავლების ეს ინოვაციური მეთოდები გარდაქმნის განათლებას უფრო დინამიკური და მიმზიდველი სასწავლო გარემოს შემუშავებით. ისინი პრიორიტეტულნი არიან 21-ე საუკუნის ისეთი უნარების განვითარებაზე, როგორიცაა *ციფრული წიგნიერება, ადაპტირება, კომუნიკაცია და კრიტიკული აზროვნება,* რაც უზრუნველყოფს მოსწავლის წარმატების. მასწავლებელზე ორიენტირებული ტრადიციული მიდგომებიდან უფრო მოქნილ, მოსწავლეზე ორიენტირებულ მეთოდებზე გადასვლა ასახავს განათლების ცვალებად ბუნებას ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სამყაროში.

სწავლების ინოვაციური მიდგომები ბევრს მოითვლის, მაგრამ ჩვენ რამდენიმეს განვიხილავთ **პროექტზე დაფუძნებული სწავლებას, შებრუნებული საკლასო ოთახს** და **შერეულ სწავლებას**, რომლებიც დღეს აქტუალურ მიდგომებებად განიხილება.

სწავლების ინოვაციური მეთოდები

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ინოვაციური სწავლების მიდგომები და მეთოდები მაქსიმალურად მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. *პროექტზე დაფუძნებული სწავლება* (PBL) ორიენტირებულია რეალურ სამყაროში არსებულ პრობლემებზე, მოითხოვს მოსწავლეების მუშაობას ფართო პროექტებზე, რომლებიც მოითხოვს კვლევას, თანამშრომლობას და კრეატიულობას. ეს მეთოდი ხელს უწყობს ისეთი კრიტიკული უნარების განვითარებას, როგორიცაა პრობლემის გადაჭრა, გუნდური მუშაობა და დროის მენეჯმენტი. აღნიშნული მეთოდის განსახორციელებლად საჭიროა მასწავლებელმა მკაფიოდ განსაზღვროს თემის სათაური, შემედეგ ჩამოწეროს გეგმა. ასევე, სასურველია გაიწეროს მიზნები და კითხვარი, თუ რას უნდა უპასუხონ და რა უნდა მოიკვლიონ მოსწავლეებმა. ტრადიციული განათლება ხშირად ფოკუსირებულია ფაქტების დამახსოვრებაზე, მაგრამ PBL-ი მოუწოდებს მოსწავლეებს იფიქრონ კრიტიკულად, დასვან კითხვები და განავითარონ გადაწყვეტილებები რეალურ სამყაროში არსებული პრობლემებისთვის. PBL-ი მოსწავლეს სთავაზობს შესაძლებლობას გამოიკვლიოს თავისი ინტერესები, იმუშაოს საკუთარ თავთან.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო სტრატეგია, არამედ ტრანსფორმაციული მიდგომაა, რომელიც ასახავს განათლებას 21-ე საუკუნის საჭიროებებთან.

ჩვენ, ასევე განვიხილავთ *შერეული სწავლება.* შერეული სწავლება გთავაზობს მოქნილობას და ინდივიდუალური სწავლის შესაძლებლობებს. ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებას. აუმჯობესებს საკლასო ოთახში სწავლას, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს ისწავლოს საკუთარი მოტივაციით. ონლაინ პლატფორმები საშუალებას აძლევს მოსწავლეს პროგრესი

გაუკეთოს მასალას საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ონლაინ სწავლის კომპონენტებით ისინი პასუხისმგებელნი არიან თავიანთი დროის მართვაზე და დავალებების შესრულებაზე. ბევრი ონლაინ სწავლის პლატფორმა მოიცავს საერთო თანამშრომლობის ინსტრუმენტებს, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ ერთად იმუშაონ, დასვან კითხვები და განიხილონ იდეები. თუნდაც ტრადიციულ საკლასო ოთახებში, დავალებების, ან ტესტების გამოხმაურებას შეიძლება დასჭირდეს დღეები ან კვირები, რამაც შეიძლება შეაფერხოს სწავლა.

კიდევ ერთი აქტუალური გახლავთ, შებრუნებული *საკლასო ოთახი, რომელიც* ცვლის ტრადიციულ სწავლის მოდელს. ამ მიდგომით, მოსწავლეები პირველად ეცნობიან ახალ შინაარსს კლასის გარეთ, როგორც წესი, ვიდეოების, კითხვის ან სხვა ციფრული რესურსების საშუალებით. საკლასო აუდიტორია გამოიყენება აქტიური სწავლისთვის, სადაც მოსწავლეები მონაწილეობენ დისკუსიებში, პრობლემის გადაჭრაში, ჯგუფურ მუშაობაში, ან სხვა პრაქტიკულ აქტივობებში, რათა გამოიყენონ მიღებული ცოდნა.

აღნიშნული პრაქტიკული მიდგომა ბლუმის ტაქსონომიის თანახმად ხელს უწყობს უფრო მაღალი დონის საზროვნო უნარების გაღმავებას, როგორიცაა ანალიზი, შეფასება და სინთეზი.

შებრუნებული საკლასო ოთახი გამოიყენება ჯგუფური მუშაობისთვის, თანატოლების სწავლებისთვის და ერთობლივი პროექტებისთვის. მოსწავლეებს შეუძლიათ იმსჯელონ იმაზე, რაც ისწავლეს, დაეხმარონ ერთმანეთს რთული ცნებების გაგებაში.

21-ე საუკუნე მოითხოვს, რომ მოსწავლეები ფლობდნენ ტექნოლოგიას, ხოლო ტრადიციული საკლასო ოთახები ყოველთვის არ გვთავაზობს საკმარის შესაძლებლობებს მოსწავლეებისთვის. თანამედროვე, ინოვაციური მიდგომები ქმნის უფრო დინამიურ და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს.

თვისებრივი კვლევის ანალიზი

ჩვენ ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა, მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე, თბილისის მაშტაბით 3 საჯარო და 2 კერძო სკოლაში, გამოვიკითხეთ 10 მდე პედაგოგი, ინოვაციური სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.

სკოლებში სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებაზე ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა სხვადასხვა მიგნება, რომელიც ხაზს უსვამს მათ ეფექტურობას და გავლენას მოსწავლეთა სწავლაზე, ჩართულობასა და საერთო საგანმანათლებლო შედეგებზე.

სწავლების ინოვაციური მეთოდები, როგორიც არის პროექტზე დაფუძნებული სწავლება, როგორც ჩანს ქართულ რეალობაშიც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას. კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი არიან. რომ სწავლების ინოვაციური მეთოდები იწვევს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას. მაგალითად, პროექტზე დაფუძნებული სწავლების ხშირი გამოყენებით მოსწავლეები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, განსაკუთრებით ტექნიკურ საგნებში.

ინოვაციური მეთოდები ხშირად ხაზს უსვამს უმაღლესი დონის საზროვნო უნარებს. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები რომლებიც ექვემდებარებიან კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას და თანამშრომლობით პროექტებს, უვითარდებათ უკეთესი კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრის უნარი. ასევე, აქტიური სწავლის ტექნიკა, მათ შორის შებრუნებული საკლასო ოთახები ხელს უწყობს ინფორმაციის უკეთ შენარჩუნებას. აღსანიშნია, რომ სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა ხშირად მოითხოვს პედაგოგების პროფესიულ განვითარებას. კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები, რომლებიც გადიან ტრენინგს ამ მეთოდებით, თავს უფრო თავდაჯერებულად და ეფექტურად გრძნობენ და ხშირად იყენებენ მსგავს მიდგომებს საკლასო ოთახში და მათი მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზეც უფრო მეტს გვესაუბრებიან.

ინოვაციური მეთოდების ხშირი გამოყენება მოსწავლეებს ეხმარება ჩართულობის გაძლიერებაში, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში, კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობასა და სოციალური უნარების განვითარებაში. სკოლები, პედაგოგები რომლებიც ითვალისწინებენ სწავლების ინოვაციურ სტრატეგიებს, არა მხოლოდ ამზადებენ მოსწავლეებს აკადემიური წარმატებისთვის, არამედ ეხმარებიან მათ თანამედროვე სამყაროს სირთულეების გადალახვაში.

დასკვნა

მოსწავლეების მოსამზადებლად სწავლების ინოვაციური მეთოდები აუცილებელია 21-ე საუკუნის სირთულეებისთვის, რამდენადაც საზოგადოება სულ უფრო მეტად ეყრდნობა ტექნოლოგიას და ხაზს უსვამს ისეთ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა და თანამშრომლობა.

დღევანდელ მრავალფეროვან საკლასო ოთახში არიან სხვადასხვა უნარისა და სწავლის საჭიროებების მქონე მოსწავლეები. სწავლის ეფექტური მეთოდები იძლევა დიფერენცირების საშუალებას, რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს მოერგოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობას, რადგან ზოგი შეიძლება იყოს ვიზუალური შემსწავლელი, ზოგი სმენითი, კინესთეტიკური და ა.შ.

თეორიული მასალისა და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ პედაგოგები, რომლებიც ეცნობიან და იყენებენ ინოვაციურ მეთოდებს, ისინი ქმნიან ენერგიულ და წარმატებული სასწავლო გარემოს. შესაბამისად დღეს გვერდს ვერ ავუვლით ისეთი მიდგომების გამოყენებას, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება, შებრუნებული საკლასო ოთახი, შერეულ სწავლება და მსგავსი ინოვაციური მიდგომები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე ლ. „მშობელთა ჩართულობა და სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე“, თბ. 2023
2. ბალიაშვილი მ. სოციალური ფსიქოლოგია. თბ; 2013
3. Bergmann, J., & Sams, A. (2012). *Flip your classroom: Reach every student in every class every day* International Society for Technology in Educatio
4. Slavin, R. E. (1995). *Cooperative learning: Theory, research, and practice* (2nd ed.)
5. Mehta, S., (2023) “Modern Teaching Methods – It’s Time For The Change”, The Ultimate Guide, March 30
6. Hoidn, S. (2017) Student-Centered Learning Environments in Higher Education Classrooms. Palgrave Macmillan.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სპეციფიკა და რისკები
The specifics and risks of the Georgian insurance market

ნინო დამენია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი,
ლევან ქისტაური - საქართველოს საპატრიარქოს
წმ.ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
პროფესორი
Nino Damenia
Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Levan Kistauri
Professor, St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

ანოტაცია. თანამედროვე ბაზრები გამოირჩევა კომპლექსურად მოქმედი სისტემებით. თითოეულ სისტემასა და მიმართულებას ახასიათებს ინდივიდუალური რისკები. დაზღვევა მსგავსი რისკების აღსაკვეთად ყველაზე გავრცელებული და მოსახერხებელი ინსტრუმენტია. როგორც ფიზიკური, ისე კომერციული საქმიანობის მქონე პირთათვის, რისკის საკუთარ თავზე სრულად აღება მეტად სახიფათოა. საჭიროა ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნების გარანტი. სწორედ ამ დროს ერთვება საქმეში სადაზღვევო კომპანია.

ოცდამეერთე საუკუნეში ეკონომიკური ურთიერთობები სადაზღვევო ინდუსტრიის გარეშე წარმოუდგენელია. განვითარებული სადაზღვევო ურთიერთობები უზრუნველყოფს ეკონომიკის გამართულ მუშაობას. იგი ერთ-ერთი ძირითადი დაფინანსების საშუალებაა რისკების დადგომის შემთხვევაში.

სტატიაში განხილული და შეფასებულია სადაზღვევო ბაზარი საქართველოში, უცხოური გამოცდილების გათვალისწინება, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის როლი და მნიშვნელობა ბაზრის სრულყოფაში. გაანალიზებულია მოზიდული პრემია წლების მიხედვით, სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობისთვის დაწესებული გადახდისუნარიანობის მარჟა, ხოლო ფინანსური შედეგების შეფასებისას გამოყენებული აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები. აღნიშნულია, რომ სადაზღვევო პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რისკის მართვის პრობლემებს, რადგან იგი წარმოადგენს სადაზღვევო ოპერაციების ფინანსურ საფუძველს. დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია სადაზღვევო ინდუსტრიის გამართული მუშაობისათვის საჭირო ღონისძიებები და სახელმწიფო ჩართულობის როლი.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, რისკი, სადაზღვევო პრემია, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

Annotation. Modern markets are characterized by complex functioning systems. Each system and direction is characterized by individual risks. Insurance is the most common and convenient tool to prevent such risks. For both individuals and those with commercial activities, taking on risk is very dangerous. A guarantor of maintaining financial condition is required. This is when the insurance company gets involved.

In the twenty-first century, economic relations without the insurance industry are unthinkable. Proper insurance relations ensure the successful development of the economy. It is one of the main means of financing in case of risks.

The article discusses and evaluates the insurance market in Georgia, taking into account foreign experience, the role and importance of the insurance supervision service in improving the market. The collected premium by years, the solvency margin established for the financial stability of insurance companies, and the absolute and relative indicators used in the evaluation of financial results are analyzed. It is noted that in insurance practice, the greatest importance is given to the problems of risk management, because it is the financial basis of insurance operations. The final part presents the necessary measures for the smooth operation of the insurance industry and the role of state involvement.

Keywords: Insurance, Risk, Insurance Premium, Insurance State Supervision Service

ქვეყნის ეკონომიკა გარკვეულწილად დამოკიდებულია სადაზღვევო პოლიტიკის ფორმირებასა და მართვაზე. დაზღვევა წლების მანძილზე ეხმარებოდა ეკონომიკას აღმოეფხვრა

მატერიალური ლაფსუსები. თუმცა, სადაზღვევო ბაზარზე, ისევე როგორც ყველგან, მოქმედებს სარგებლიანობის ორმხრივი ეფექტი. არსებობს მიმწოდებელი, მზღვევილი და არის მომხმარებელი, დამზღვევი. მათ ეკონომიკურ ურთიერთბას ამყარებს საბოლოო შედეგის დადგომის რისკი. პირველს სურს მიიღს პრემია რისკების საკუთარ თავზე აღებით, ხოლო მეორეს სურს მიაღწიოს სიმშვიდეს რისკის გადანაწილებით. პრემია განისაზღვრება რისკის დადგომის ალბათობით და ზარალის დადგომის შემთხვევაში მისი ოდენობით.

არსებობს სხვადასხვა სახის რისკები. შესაბამისად არსებობს განსხვავებული პოლისები. ასეთებია ჯანმრთელობის, უძრავი ქონების, ავტომობილის და სხვა. თუმცა ყველას არ აქვს მსგავსი ტიპის მომსახურების შეძენის საშუალება. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის. არსებობს პროდუქტი თუმცა, მათზე მოთხოვნა დაბალია, რადგან მისი ღრებულება მაღალია და პირს ურჩევნია რისკი მთლიანად საკუთარ თავზე აიღოს. მსგავსი სიტუაციაა დღეს საქართველოშიც. მოსახლეობის ძირითად ნაწილს არ აქვს დაზღვევა, თუმცა პოლისის ქონის სურვილი ყველას გააჩნია.

მსოფლიო პრაქტიკის თანახმად დაზღვევა საუკეთესო საშუალებაა რისკების მინიმიზაციისათვის. ქვეყანას ჭირდება ჯარი, პოლიცია, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის გამართული სისტემა, რათა მოსახლეობას შეუქმნას ჯანსაღი და სტაბილური გარემო. ანალოგიურ სურათს ვხედავთ ეკონომიკურ ბაზრებზეც. ეკონომიკურ სუბიექტებს წარმატებული და სტაბილური გარემოსთვის ესაჭიროებათ გამართული სადაზღვევო ბაზარი. რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და იხვეწებოდა. განვითარებულ ქვეყნებში დღეს სადაზღვევო ინდუსტია მოსახლეობას სთავაზობს თითქმის სრულყოფილ პროდუქტთა სპექტრს.

გასული საუკუნის მიწურულს საბჭოური რიალობის ნგრევამ და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებამ გამოაჩინა უამრავი ბზარი. სადაზღვევო ინდუსტრია, შეიძლება ითქვას, საქართველოში არ არსებობდა. იყო მხოლოდ მისი ჩანასახი. დაიწყო რეფორმები და დღეს საქართველოში უკვე ცხრამეტი კონკურენტული სადაზღვევო კომპანიაა. მზღვეველი მომხმარებელს არაერთ პოლისს სთავაზობს, თუმცა არაერთი ნიუანსი დღესაც დასახვეწია. სამ ათწლეულში სადაზღვევო ბაზარმა გაიარა ევოლუციის ყველა ეტაპი. განვითარების ტემპი დღესაც საკმაოდ მაღალია. ყოველწლიურად იზრდება კომპანიათა შემოსავლები. რაც ყველაზე მთავარია იზრდება შემოთავაზებულ პოლისთა ასორტიმენტი, ეს კი ინდუსტრიის განვითარებაზე მეტყველებს.

საქართველოში დაზღვევა, როგორც ფინანსური ორგანიზაცია, უკვე საბჭოთა დროიდან ყალიბდება, იმ დროისთვის წამყვანი სფეროები იყო სიცოცხლის დაგროვებადი დაზღვევა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ჩვენს ქვეყანაში უკვე გაჩნდა კერძო სადაზღვევო ბაზარი.

პირველი ქართული კერძო სადაზღვევო კომპანიებიდან აღსაღნიშნავია ალდაგის, გავაზის, კავკასიის, აგორასა და ასკო-თბილისის საქმიანობა. ამ კომპანიების მუშაობის სფეროს წარმოადგენდა ქონების დაზღვევა, უბედური შემთხვევისგან დაზღვევა და ტვირთების დაზღვევა. აღნიშნულ კომპანიებს შორის, აღსაღნიშნავია ,,ალდაგი“, რომელმაც 1999 წელს შეიერთა სადაზღვევო კომპანიები ,,ქართული დაზღვევა“ და ,, კრწანისი“. 1995 წელს დაფუძნდა სადაზღვევო კომპანია ,,იმედი L“. საუკუნის მიწურულს მისი ძირითადი წილი იყიდა ,,ESG RE“-მ . 2007 წელს EBRD-მა იყიდა კომპანიის 25%. 2011 წელს კი ,,იმედი L“ გადავიდა ალდაგი ბისიაის მფლობელობაში. 2012 წლიდან კი კვლავ დამოუკიდებლად განაგრძო ფუნქციონირება. საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის განხორციელებისათვის 2001 წელს დაფუძნდა ,,ჯიპიაი ჰოლდინგი“, მაგრამ მიმართულების დაბალი ზრდის ტემპის გამო კომპანია გადავიდა არასიცოცხლის დაზღვევის საქმიანობაზე.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს 1997 წლის საკანონმდებლო რეფორმები. კერძოდ, პარლამენტმა მიიღო კანონი დაზღვევის შესახებ, რომელიც ქვეყანაში საქმიანობის მარეგულირებელი აქტი იყო. ის განსაზღვრავდა სადაზღვევო საქმიანობისა და ზედამხედველობის ძირითად საკითხებს.

სადაზღვევო ბაზარი გამოირჩევა კომპლექსური ხასიათით. ის დიდი ჯაჭვის რამოდენიმე რგოლს წარმოადგენს. სადაზღვევო სისტემაში წარმოქმნილი პრობლემები მისი ხასიათიდან გამომდინარეობს. ხშირად საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა, კანონმდებლობის მორგება და სისტემის ხელახალი გამართვა. თუმცა პირველადი ეფექტი ძირითადად მტკივნეულია და კერძო სექტორის ნგრევას იწვევს.

თანამედროვე ტენდენციები ცხადყოფს, რომ ბაზარს ჭირდება გადახალისება. საჭიროა მუდმივად ახალი პროდუქტის შემოტანა და ძველის დახვეწა. ამის გაკეთება კი სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკანასკნელ პერიოდში სადაზღვევო ინდუსტრიის გააქტიურებამ გამოიწვია შემოსავლის მკვეთრი ზრდა და მოსახლეობის კმაყოფილების ამაღლება. ეს კი სწორედ ახალი პროდუქტების დამატების და ძველის განვითარების შედეგია.

ევროპის განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა თავისებურებებით გამოირჩევა. აქ დაზღვევის ზოგიერთი სახეობა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზღვევა საგრძნობლად განვითარებულია, ვიდრე დაზღვევის სხვა დანარჩენი პროდუქტები. საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ სადაზღვევო ბაზარი უფრო განვითარდეს, შედეგად კი საზოგადოებისთვის სადაზღვევო პროდუქტები ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცეს და ფუფუნების საგანს აღარ წარმოადგენდეს.

სადაზღვევო ორგანიზაციები საკუთარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით ახდენენ დამზღვევთა სადაზღვევო შესატანი თანხებით ფორმირებული მოსალოდნელი სადაზღვევო ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული დაზღვევის სარეზერვო სახსრების ინვესტირებას. მზღვეველთა გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა გარკვეულ სადაზღვევო რისკზე მაქსიმალური პასუხისმგებლობის ნორმატივის დაცვა. მზღვეველის გადახდისუნარიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი საინვესტიციო პოლიტიკა და აქტივების განთავსება. სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობა საბაზრო ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ დაზღვევას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკაში. დიდია მისი სოციალური მნიშვნელობა, როგორც კერძო, ისე მეწარმე დამზღვევთათვის, რადგან თუნდაც ერთი კომპანიის გაკოტრებამ შეიძლება გამოიწვიოს სხვა კომპანიებისადმი უნდობლობის სიმპტომი საზოგადოებაში, რაც საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს სადაზღვევო ბაზრის განვითარებაზე.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს თავისი მიზნებიდან, ამოცანებიდან, ფუნქციებიდან და უფლებამოსილებიდან გამომდინარე, წამყვანი როლი უჭირავს ქვეყნის სადაზღვევო ბაზრის განვითარება-სრულყოფაში. მისი აქტიური მუშაობის შედეგია წინა წლებთან შედარებით განვითარებული სადაზღვევო ბაზრის არსებობა და ნორმალური ფუნქციონირება.

2006 წლამდე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური გასცემდა ლიზენციებს ყოველი ცალკეული დაზღვევის სახეობის განსახორციელებლად. ხოლოდ 2006 წლიდან გაიცემა ლიცენზიები სიცოცხლის დაზღვევის, არასიცოხლის დაზღვევის და გადაზღვევის განსახორციელებლად. ყოველწლიურად ვითარდება და ემატება სხვადასხვა პროგრამები, მათ შრის აგროდაზღვევა, სასოფლო-სამეურნეო და ა.შ

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სადაზღვევო სისტემის ფორმირების და განვითარების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოიყოს სამი ძირითადი ეტაპი: პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 1998 წლამდე პერიოდს, მეორე ეტაპი 1998 წლიდან 2007 წლამდე პერიოდს, ხოლო მესამე ეტაპი 2007 წლიდან დღემდე.

სადაზღვევო სისტემის ფორმირების პირველ ეტაპზე ნაკლებად შეიმჩნეოდა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „დაზღვევის შესახებ“ კანონის მიღებას და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის შექმნას, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა. ესაა პერიოდი, როდესაც სწრაფი ტემპებით იქმნებოდა სადაზღვევო და საბროკერო კომპანიები. 1998 წელს საქართველოაში უკვე რეგისტრირებული იყო 36 სადაზღვევო კომპანია,

საქართველოში სადაზღვევო სისტემის ფორმირება-განვითარების მეორე ეტაპი სათავეს იღებს 1998 წლიდან. ამ ეტაპისთვის შედარებით ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემო შეიქმნა, რამაც დადებითი როლი შეასრულა სადაზღვევო სისტემის ტრანსფორმაციის საქმეში და შეიძლება ითქვას, რომ ახალი იმპულსი მისცა შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას.

დღეისათვის შესაძლებელია უცხოეთის გამოცდილების გათვალისწინებით საქართველოში ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სტანდარტების დონის სადაზღვევო პროდუქტის ბაზარი, რასაც აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოს სადაზღვევო კომპანიების პროფესიული დონის ზრდა. დღეს ეს კომპანიები მომხმარებლებს სთავაზობენ მომსახურებას დაზღვევის თითქმის ყველა სახეობაში.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 19 სადაზღვევო კომპანია, რომლებიც ფლობენ სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. თითოეული მათგანი მომხმარებელს თავაზობს თითქმის მსგავს სადაზღვევო პოლისთა ნუსხას, თუმცა საბაზრო წილი განსხვავებულია. 2024 წლის 6 თვის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 712 მილიონი ლარი. ამავე პერიოდის შედეგებით, მზღვეველების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 145 მილიონი ლარი, წმინდა მოგებამ კი 67 მილიონი ლარი. სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამური მოცულობა შეადგენს 1 564 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალი 431 მილიონ ლარს.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენცია წლიდან წლამდე თვალნათლივ იკვეთება. გაიზარდა სადაზღვევო ბაზრის მოცულობა. კერძო სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის თანახმად სადაზღვევო პროდუქტების ფასები თანდათან გათანაბრდა და მოსახლეობაშიც იგრძნობა სადაზრვევო კულტურის ამაღლების ტენდენციები. აღნიშნულს ხელი შეუწყო ქვეყანაში მიმდინარე სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ეფექტიანმა განხორციელებამ.

თუ მიმოვიხილავთ 2012-2023 წლებს, სადაც მოცემულია საქართველოს სადაზღვევო ბაზრზე მოზიდული პრემიები, შეიძლება ითქვას, რომ 2012-2014 წლები გამოირჩეოდა მოზიდულ პრემიათა სტაგნაციით. რისი ძირითადი მიზეზიც გახლდათ სახელმწიფოს მიერ საყოველთაო დაზღვევის დანერგვა. რა თქმა უნდა, კერძო სეგმენტს შეუმცირდა მოთხოვნა ყველაზე პოპულარულ პროდუქტზე. რამაც გამოიწვია კერძო კომპანიათა შემოსავლის მკვეთრი კლება. დიაგრამა 1-ზე ნათლად ჩანს 2014 წლიდან პრემიათა ზრდის ტემპი. ეს ყველაფერი განპირობებული იყო შემოთავაზებული პროდუქტების გადახალისებით. კერძო სექტორი კონკურენციაში შევიდა სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბებულ სადაზღვევო სუბიექტებთან. ამ ყველაფერმა კი საბოლოოდ დადებითი შედეგი გამოიღო. გარკვეული პერიოდის შემდგომ ბაზარმა იპოვა კალაპოტი, თითოელმა მიმართულებამ კი მომხმარებელთა

კონკრეტული სეგმენტი. მაგალითად აქტუალური გახდა ავტომობილის დაზღვევა. ბაზარზე გამოჩნდა აგრო კულტურის დაზღვევის პოლისი. ზემოთ ხსენებულმა კონკურენციამ გამოავლინა ბაზრის რიალური პოტენციალი. კერძო სეგმენტის მხრიდან სწორმა მარკეტინგულმა ანალიზმა და სამოქმედო გეგმამ მოიტანა შედეგი, დღეს ეკონომიკის ეს დარგი უფრო შემოსავლიანია ვიდრე ეს იყო 2012-2014 წლებში.

დიაგრამა 1



თანამედროვე პირობებში დაზღვევის ეკონომიკა მოიცავს იმ რისკებს, რომლებიც ეკონომიკის და სოციალური დაცვის საფუძველია. ამიტომ სადაზღვევო პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რისკის მართვის პრობლემებს. რისკის შესწავლას, როგორც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობას დიდი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო ორგანიზაციისთვის. რადგან იგი წარმოადგენს სადაზღვევო ოპერაციების ფინანსურ საფუძველს. რისკების ჯგუფდებადობა ყველაზე მნიშვნელოვანია სადაზღვევო საქმიანობაში. შეუძლებელია ყველანაირი რისკის დაზღვევა, აქედან გამომდინარე უნდა გამოიყოს მოთხოვნადი რისკები, ანუ ისეთი ზარალი რომლის დადგომის ალბათური ხასიათიც დაზღვევადია.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური შედეგების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნას აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები. აბსოლუტურ მაჩვენებლებს განეკუთვნება: დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა, დაზღვეული ობიექტის სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება, სადაზღვევო პრემიების მოცულობა, შემოსავლების და ხარჯების მოცულობა, სადაზღვევო რეზერვის მოცულობა. ხოლო ფარდობითს კი განეკუთვნება: მოგება, საკუთარი კაპიტალის შემოსავლიანობა, ინვესტიციების შემოსავლიანობა, ხარჯების მაჩვენებელი, მიმდინარე თანაფარდობა და სხვა.

სადაზღვევო კომპანიების საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისა და განსაზღვრისთვის გამოყენებულია ფინანსურ-კოეფიციენტური ანალიზი სადაზღვევო ბაზრის ფინანსური მაჩვენებლის, საბალანსო და მოგება ზარალის უწყისების საფუძველზე.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობისთვის დაწესებულია გადახდისუნარიანობის მარჟა. გადახდისუნარიანობის პრინციპის თანახმად სადაზღვევო მენეჯმენტის ძირითადი ამოცანაა, გადახდისუუნარობის რისკი იყოს კონტროლირებადი, რისი შესწავლის მიზნითაც ფინეთსა და შემდგომ დიდ ბრიტანეთში შეიქმნა სხვადასხვა ჯგუფები (Finnish Solvency Working Part და British Solvency Working Party), რომელთა ამოცანასაც წამმოადგენდა სადაზღვევო პროცესის მოდელების შექმნა და მეთოდიკის შესწავლა. აღნიშნული დირექტივების საფუძველზე შეიქმნა თანამედროვე ევროპული კანონმდებლობა, შემუშავდა

სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ახალი სტანდარტები, ხოლო 2001 წლიდან ევროკომისიამ დაიწყო პროექტის Solvency II-ის განხორციელება სადაზღვევო კომპანიებზე ზედამხედველობის ევროპული სისტემის გადახედვის მიზნით. იგი ძალაში 2016 წლის იანვარში შევიდა. Solvency II ადგენს მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს დაზღვეულის მფლობელებისა და ბენეფიციარების ადეკვატური დაცვა. Solvency II-ს აქვს რისკზე დაფუძნებული მიდგომა, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სადაზღვევო და გადაზღვევის საწარმოების „საერთო გადახდისუნარიანობა“ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზომების მეშვეობით.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით სადაზღვევო კომპანიები გრძელვადიან დაფინანსებას, ძირითადად კაპიტალის ბაზრის მეშვეობით ანხორციელებენ. ქართულ სადაზღვევო კომპანიებს შედარებით მცირე წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის ინვესტირებაში. საქართველოში სადაზღვევო კომპანიების რესურსები არ არის მიმართული კაპიტალის ბაზარზე და იმ პროდუქტებში რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის ინვესტირებას (თუმცა ეს ნაკლებად განვითარებული საფონდო ბაზრის მიზეზითაცაა გამოწვეული).

ნებისმიერი ტიპის დაზღვევის ფინანსური სტაბილურობა პირველ რიგში დამოკიდებულია ხელშეკრულებების რაოდენობასა და სატარიფო განაკვეთზე. მეტი სადაზღვევო კონტრაქტი ნიშნავს უფრო მაღალ ფინანსურ სტაბილურობას, მაგრამ მაღალი სატარიფო განაკვეთი მის ნაკლებ სტაბილურობას.

საქართველოს სადაზღვევო ურთიერთობების განვითარების ტემპი საშუალებას იძლევა დასავლეთის გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სტანდარტის მქონე სადაზღვევო პროდუქტების ბაზარი, რასაც აგრეთვე ხელს უწყობს საქართველოს სადაზღვევო კომპანიების კაპიტალიზაციის და პროფესიული დონის ზრდა.

სადაზღვევო კომპანიებისთვის გარკვეულ სავალდებულო პირობას წარმოადგენს ის, რომ ტექნიკური რეზერვის სრული თანხის არანაკლებ 5% განთავსებული უნდა იყოს ბანკში, ხოლო არანაკლებ 80%-ისა ინვესტირებული უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე. ეს პირობა ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ დადებით როლს ასრულებს. ის ასტიმულირებს ფინანსური რესურსების ადგილობრივ ბაზრებზე ინვესტირებას.

სადაზღვევო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სადაზღვევო ანაზღაურება, სადაზღვევო თანხების გადახდის წესი, სადაზღვევო გადასახდელთა შემოსულობა გარკვეულ აღრიცხვას და კონტროლს ექვემდებარება. სადაზღვევო საზოგადოებას უფლება აქვს დაადგინოს შეღავათები დაზღვეულთა ცალკეული კატეგორიებისათვის სადაზღვევო გადასახადებისა და ანარიცხების ხარჯზე. ზოგიერთ სხვა ქვეყანაში არსებობს სპეციალური ფონდი, რომელიც იქმნება სადაზღვევო კომპანიების ანარიცხების ხარჯზე და განკუთვნილია გაკოტრებული კომპანიების დაზღვეულთა საზღაურის ასანაზღაურებლად.

ზემოთ აღნიშნული ნორმატივების დაცვისა და შეღავათების გარდა, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება წარმატების სტრატეგიას კომპანიის საქმეში.

საქართველოში მოქმედი კომპანიები აღნიშნულ ნორმატივებს იყენებენ ძირითადი ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, თუმცა მას არც ისე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და ისიც თითქმის ფორმალურ ხასიათს ღებულოს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბაზრის ნორმალურ განვითარებაზე.

სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს უცხოელი ინვესტორების შემოსვლაც, რაც საქართველოში სადაზღვევო ბაზრის სტაბილური განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებელია. ჩვენს ქვეყანაში არსებულ უცხოურ ინვესტიციებს თან ახლავს უცხოელი ინვესტორების სავსებით დასაბუთებული სადაზღვევო მოთხოვნა. ქართველი მეწარმეებიც

მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დაზღვევა არის ბიზნესის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც საკმაოდ „იაფი“ ბერკეტია, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მომავალში შესაძლო ზარალი.

საქართველოში დაზღვევის განვითარებას და სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბებას, გარკვეულწილად, ხელი უნდა შეუწყოს ბანკების მხრიდან საბანკო კრედიტების დროს გირაოს და იპოთეკის დაზღვევის მოთხოვნამაც. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 7,2 მილიონ ლარს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა სადაზღვევო კულტურის ამაღლება საზოგადოებაში, მომხმარებლებმა უნდა გააანალიზონ დაზღვევის სიკეთეები და მეტი სითამამით შეიძინონ პროდუტი. ამავდროულად სადაზღვევო კომპანიებმა უნდა გაზარდონ ასორტიმენტი, გაიზარდოს ფოკუს ჯგუფთა რაოდენობა და ბაზრის მიმართ დაკვირვება. აქვე უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს როლი, შესაბამისად მისი ჩართულობა და სწორი რეფორმები აუცილებელია მომხმარებლის მხრიდან ინტერესის გაძლიერებისთვის.

სადაზღვევო ბაზრის გამართული ფუნქციონირება მთლიანად ცვლის ეკონომიკის საერთო სურათს. ის ძირითადი დამფინანსებელი საშუალებაა რისკის დადგომის შემთხვევაში. ეკონომიკურ სუბიექტებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ ზარალი და მინიმუმამდე დაიყვანონ უბედური შემთხვევის დროს დანაკარგთა რისკი. სადაზღვევო კომპანიები ასტიმულირებს ბაზრებს, მეწარმეებს უქრებათ შიშის სინდრომი და ხდებიან უფრო რისკიანები კომერციული საქმიანობის მიმართ.

ქართული სადაზღვევო ბაზარი შემდგარი ორგანიზმია. არსებობს პროდუქტზე მოთხოვნა, ასევე არსებობენ მიმწოდებლებიც. თუმცა საკითხავია რამდენად სრულყოფილია მისი დღევანდელი სახე. ქართული სადაზღვევო ინდუსტრია მოსახლეობასთან მიმართებაში საკმაოდ გაჯერებულია, მაგრამ მიწოდებულ პროდუქტთა ნუსხა შედარებით ერთფეროვანია, შეთავაზებულ პოლისთა ასორტიმენტი ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, იშვიათია ახალი პროდუქტის გამოჩენა, თითქოს სადაზღვევო კომპანიები უფრთხიან ახლის დანერგვას. დიდი დრო დასჭირდა აგროდაზღვევის შექმნასა და ამუშავებას. ისეთ აგრარულ ქვეყანაში როგორიც საქართველოა, დღესაც ფერმერთა ნაწილი აგროდაზღვევით ვერ სარგებლობს, მიუხედავად იმისა, რომ მათი შემოსავლის ძირითად წყაროს სწორედ მეურნეობები წარმოადგენს.

სადაზღვევო ინდუსტრიის გამართული მუშაობა ფინანსური რესურსების სტაბილურობასთან ასოცირდება. ბაზრისთვის კარგია ასორტიმენტის გაზრდა, მაგრამ ამასთანავე უნდა ამაღლდეს არსებული პოლისების მოხმარების ხარისხი, გაიზარდოს დაზღვეულთა რაოდენობა და გარკვეული დოზით სახელმწიფოს ჩართულობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ;
2. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ. თავი 2 სავალდებულო დაზღვევა;
3. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახი, სადაზღვევო ბაზრის მაჩვენებლები 2012-2024 წწ.;

4. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახი, სადაზღვევო ბაზრის მაჩვენებლები 2021-2023 წწ წლიური ანგარიშები;

5. რისკის გამოვლენის ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი აგრარულ სექტორში. დამენია ნ. „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ - VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 2022 წ.

6. კოჟორიძე ილია, რისკის პრემია და მოგება სადაზღვევო სისტემაში. 2019 წ.;

7. სადაზღვევო საქმე. რისკის კონცეფციის ზიანი. ცერცვაძე ა. ხანთაძე გ. ვეკუა დ. თბილისი, 2016 წ.;

8. სადაზღვევო საქმე. დაზღვევის წარმოშობა და განვითარება. ცერცვაძე ა. ხანთაძე გ, ვეკუა დ. თბილისი, 2016 წ.;

9. სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობის მექანიზმის გაუმჯობესების გზები. ნატო კაკაშვილი 2016 წ.;

10. აგრარული რისკები და დაზღვევა. დამენია ნ. აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები - საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული, ყოველკვარტალური რეფერირებული ჟურნალი #1 (26), 2015 წ.

11. სადაზღვევო საქმე. შათირიშვილი კაკაშვილი. 2012 წ.;

12. სადაზღვევო ბაზარი და აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები. თამარ ლაზარიაშვილი;

13. სოციალურიალური დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ვეკუა დ. თბილისი 1998.;

14. Internal Models: a reinsurance perspective, RAB, 2018

15. W. Vi, Data Protection, Insurance Europe, Annual Report 2018-2019

16. https://conferenceconomics.tsu.ge/

17. https://www.insurance.gov.ge/

18. https://ardi.ge/ge

19. https://aldagi.ge/ka/

20. https://tbcinsurance.ge/ka

21. https://www.geostat.ge/ka

22. https://www.usa.gov/statistics

23. http://www.insurance.org.ge/

24. https://matsne.gov.ge/ka/document/view/29884?publication=29

25. https://www.wns.com/

26. https://info.parliament.ge/

27. https://www.captive.com/

28. https://www.eiopa.europa.eu/browse/regulation-and-policy/solvency-ii_en

Innovative Technologies in Agrotourism

თენგიზ ლაჩყეპიანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
მაია კილაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
მაია ლომიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
მთვარისა თანანაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Tengiz Lachkepiani – Georgian Technical University
Professor, Academic Doctor of Economics
Maya Kiladze - Georgian Technical University
Professor, Academic Doctor of Engineering
Maia Lomishvili – Georgian Technical University
Assistant Professor, Academic Doctor of Agricultural Engineering
Mtvarisa Tananashvil - Georgian Technical University
Associate Professor, Academic Doctor of Engineering

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია აგროტურიზმში თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიები და არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების გადაწყვეტილებების როლი მდგრადი რეკრეაციული გარემოს განვითარებაში. აღნიშნულია, რომ აგროტურიზმის სისტემები არის ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადი წარმოების მიღწევას და ორგანული მეურნეობის განვითარებას. აგროტურიზმის მნიშვნელოვანი ელემენტია ტურისტებისათვის საგანმანათლებლო და გასართობი პროგრამები, როგორიცაა ადგილობრივი პროდუქციის წარმოების სემინარების გამართვა ფერმებში და ბაღებში, ტურები, აგრეთვე სოფლის კულტურის გამოფენისა და ფესტივალების ადგილები. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს აგროტურისტული ადგილების მიმზიდველობისა და ტურისტების ნაკადების გაზრდას. დასკვნაში მოცემულია, რომ აგროტურიზმში ინოვაციური ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდუსტრიის განვითარებასა და მდგრადობაში. ასევე აღნიშნულია, რომ ადგილობრივი საზოგადოების აქტიური ჩართულობა ხელს შეუწყობს უნიკალური და მიმზიდველი ქონების შექმნას, ტერიტორიების ეკონომიკურ ზრდას, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

საკვანძო სიტყვები: აგროტურიზმი, ინოვაციური ტექნოლოგიები, ტურიზმის განვითარება, არქიტექტურა, ურბანული დაგეგმარება, სოფლის მეურნეობა, აგროტურიზმის კომპლექსი.

Abstract. The article discusses modern innovative technologies in agrotourism and the role of architectural and urban planning decisions in the development of a sustainable recreational environment. It is noted that agrotourism systems are innovative technologies that help achieve sustainable production and develop organic farming. An important element of agritourism is educational and entertainment programs for tourists, such as holding local production workshops in farms and gardens, tours, as well as places for rural culture exhibitions and festivals. All this will help to increase the attractiveness of agrotourism places and the flow of tourists. The conclusion is that innovative technologies in agritourism play an important role in the development and sustainability of the industry. It is also noted that the active involvement of the local community will contribute to the creation of unique and attractive properties, the economic growth of the territories, and the raising of the standard of living of the local population.

Key words: agrotourism, innovative technologies, tourism development, architecture, urban planning, agriculture, agrotourism complex.

შინაარსი. ტურიზმი და სოფლის მეურნეობა გლობალური ეკონომიკის ორი სექტორია, რომელიც მუდმივად ფართოვდება და ხდება უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო მთელი მსოფლიოს მოსახლეობისთვის. ამჟამად მთელ მსოფლიოში იზრდება ინტერესი აგროტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მიმართ. ეს განპირობებულია მდგრადი განვითარების, ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების მზარდი მნიშვნელობით, ასევე მომხმარებლის პრიორიტეტების ცვლილებით. აგროტურიზმი არის სოფლის მეურნეობისა და

ტურიზმის სიმბიოზი, რომელიც აქტიურად ვითარდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ის არა მხოლოდ გთავაზობთ ხელუხლებელ გარე გამოცდილებას, არამედ იძლევა შესაძლებლობას გაეცნოთ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებსა და ხალხის ცხოვრების წესს. ტურიზმის ეს სფერო გულისხმობს არა მხოლოდ სოფლად ინფრასტრუქტურის განვითარებას, არამედ ისეთი ობიექტების შექმნას, რომლებიც მოიზიდავს ტურისტებს და შექმნის უნიკალურ ატმოსფეროს. ამ კონტექსტში არქიტექტურასა და ქალაქის დაგეგმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ახალი არქიტექტურული ობიექტების შექმნა, მათი რეკონსტრუქცია და კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის აღდგენა არის ტურისტების მოზიდვისა და რეგიონში განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნის გასაღები. ინოვაციური ტექნოლოგიებია აგროტურიზმში:

1. ჭკვიანი ფერმები და IoT ტექნოლოგიები. სმარტ ფერმები არის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც იყენებენ მოწინავე IoT (ინტერნეტ საგანთა) ტექნოლოგიებს წარმოების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად და მოსავლიანობის გაზრდის მიზნით. IoT ტექნოლოგიები მოიცავს სენსორების გამოყენებას, რომლებიც აგროვებენ და ამუშავებენ ინფორმაციას სხვადასხვა გარემო პარამეტრების შესახებ: ტემპერატურა, ტენიანობა, სინათლე, ნიადაგის შემადგენლობა და მრავალი სხვა. მიღებული მონაცემები გაანალიზებულია კომპიუტერული სისტემების გამოყენებით და ამის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილებები, თუ რა მოვლა სჭირდება მცენარეებსა და ცხოველებს. ასეთი ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს ტურისტებს დააკვირდნენ ფერმაში მიმდინარე პროცესებს, მონაწილეობა მიიღონ მოსავლის აღებაში ან მცენარეების გაშენების პროცესში, რაც მნახველებს უქმნის ინტერესს და მიმზიდველობას.

2. მწვანე და ენერგოეფექტიანი შენობები. მწვანე და ენერგოეფექტიანი შენობები არის ინოვაციური სამშენებლო გადაწყვეტა, რომელიც ეფუძნება ეკოლოგიურად მდგრად ტექნოლოგიებს და მიზნად ისახავს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას. მწვანე და ენერგოეფექტიანი შენობების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა არის ენერგიის ხარჯების შემცირება. ეს მიიღწევა მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით მონიტორინგისა და ენერგიის მართვის სფეროში. ასევე, მწვანე და ენერგოეფექტიანი შენობები აღჭურვილია ინოვაციური განათებით, ვენტილაციის, კონდიცირებისა და გათბობის სისტემებით, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს რესურსების ხარჯები. გარდა ამისა, მწვანე და ენერგოეფექტიანი შენობები აქტიურად იყენებენ განახლებადი ენერგიის წყაროებს, როგორიცაა მზის, გეოთერმული და ქარის ენერგია. ეს ხდის მათ არა მხოლოდ უფრო ეკოლოგიურად კეთილგანწყობილს, არამედ უფრო ეკონომიურს. აგროტურისტული ობიექტების მშენებლობაში მწვანე ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და ენერგოეფექტიანობის გაზრდას.

3. 3D მოდელირება. 3D მოდელირება არის ობიექტების სამგანზომილებიანი მოდელების შექმნის პროცესი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ვირტუალური ტურებისა და ინტერაქტიული აპლიკაციების შესაქმნელად, რომლებიც შექმნილია ტურისტების მოსაზიდად. აგროტურიზმში 3D მოდელირების მთავარი სარგებელი არის ინტერაქტიული აპლიკაციებისა და მოდელების შექმნის შესაძლებლობა, რაც საშუალებას აძლევს ტურისტებს ნახონ და გაიგონ, როგორ გამოიყურება ფერმაში ან რანჩოზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწა, სხვადასხვა მცენარეები და პირუტყვი. ამ ტექნოლოგიის წყალობით, ტურისტებს შეუძლიათ ისარგებლონ უნიკალური გამოცდილებით, უფრო დეტალურად შეისწავლონ ცხოვრების ყველა ასპექტი ფერმაში, არა მხოლოდ როგორც ტურისტებს, არამედ როგორც სოფლის მეურნეობის პროფესიონალებს. ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას საგანმანათლებლო მიზნებისთვის,

რათა დაეხმაროს სტუდენტებს მცენარეთა ზრდის, შინაური ცხოველების სასიცოცხლო ციკლის და სოფლის მეურნეობის სხვა ასპექტების გაგებაში.

აგროტურიზმის განვითარების პრობლემები მეტნაკლებად შესწავლილია ქართველი და უცხოელი მეცნიერ-მკვლევარების მიერ. ქართველთაგან აღსანიშნავია მ. ხარაიშვილის, მ. მეტრეველის, ლ. ყორღანაშვილის, ი.შალამბერიძისა და სხვათა ნაშრომები.

აგროტურიზმი, როგორც ტურიზმის ერთერთი მიმართულება ჩამოყალიბდა XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის დიდ ინდუსტრიულ ქალაქებში, სადაც მნიშვნელოვან ნაწილს სოფლიდან ჩამოსული მოსახლეობის მასაზე თაობა წარმოადგენდა. სოფლად დასვენების მსურველები არჩევდნენ მიმზიდველ რეგიონებს საზღვარგარეთ და იხდიდნენ ქირას,შესაბამისად მასპინძელ ოჯახებს შემოსავალი უჩნდებოდათ. სხვადასხვა ქვეყანაში აგროტურიზმს სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ: ნიდერლანდებსა და ზოგიერთ ინგლისურენოვან ქვეყნებში მას „სოფლის ტურიზმს“ უწოდებენ, გერმანულენოვან ქვეყნებში „გლეხის კარმიდამოში ტურიზმს“, რომანულოვანი ქვეყნები კი უპირატესობას „აგროტურიზმს“ ანიჭებენ,რომელიც ლათინური წარმომავლობისაა და მომდინარეობს სიტყვა“აგრო“დან და მისგანაა წარმოებული აგრარული (სასოფლო-სამერნეო).

საქართველოში აგროტურიზმის პერსპექტივისა და ზოგადად დარგის მდგომარეობის გასაანალიზებლად საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებს. საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი, 115 საკურორტო ზონა, 2400 მინერალური სამკურნალო წყალი, 1200 ისტორიული და არქიტექტორული ძეგლი, რომელთაგან 3 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა სიაში, ეროვნული პარკი, 41 ბუნებრივი ძეგლი, 2 დაცული ლანდშაფტი და ა.შ. აქედან გამომდინარე ჩვენს ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარება მეტად პერსპექტიული და მომგებიანია, რასაც სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან.

აგროტურიზმის სისტემები არის ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადი წარმოების მიღწევას და ორგანული მეურნეობების განვითარებას. ამ შემთხვევაში, „გამოყენების სრული ციკლის“ სისტემა გულისხმობს ყველა წარმოებული ნარჩენის გამოყენებას ახალი პროდუქტების წარმოებისთვის, რაც ხელს უწყობს ბუნებაში ცხოვრებას. ასეთი სისტემები შესაძლებელს ხდის სოფლის მეურნეობასა და ეკოტურიზმში გამოყენებული ყველა რესურსის უფრო სრულად გამოყენებას და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას. მაგალითად, ორგანული ნარჩენებისგან კომპოსტის წარმოება, შენობების სტრუქტურებში ეკოსისტემების შენარჩუნება, ჩამდინარე წყლების გადამუშავება და ტექნოლოგიების გამოყენებაც კი, რომლებიც ქმნიან ახალ საკვებს, საკვებ ნივთიერებებს მცენარეებისთვის და სხვა ცხოველებისთვის და საჭიროებს მინიმალურ სამუშაოს ნარჩენების განადგურებაზე. მცირე ტერიტორიების განვითარება აგროტურიზმის გზით, გზა მდგრადობისაკენ. აგროტურიზმი ხელს უწყობს სოფლის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას. ინოვაციური არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების გადაწყვეტილებები, როგორიცაა აგროტურისტული კომპლექსების შექმნა, არის ობიექტები, რომლებიც შექმნილია ისე, რომ ტურისტებს შეეძლოთ გაეცნონ სოფლის კულტურასა და ტრადიციებს თანამედროვე ცხოვრების კომფორტის დათმობის გარეშე. გარდა ამისა, აგროტურიზმი იწვევს ტერიტორიის ახალი არქიტექტურული და ქალაქგეგმარებითი კულტურის შექმნას. თანამედროვე აგროტურისტული კომპლექსები უკიდურესად მრავალფეროვანია და, შესაბამისად, ამ ტიპის ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ახალი არქიტექტურული ფორმების გაჩენას და პირობების შექმნას ახალი ადგილობრივი სტილის, ფორმებისა და მასშტაბების გაჩენისთვის.

აგროტურიზმი ასევე ხელს უწყობს ტერიტორიების სოციალურ-კულტურულ განვითარებას. ადგილობრივი ტრადიციების, კულტურისა და ისტორიის ამსახველი აგროტურისტული ობიექტების შექმნა შესაძლებელს ხდის ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და მომავალ თაობებს გადაცემას. ტურისტებს საშუალება აქვთ გაეცნონ ადგილობრივი კულტურას, ხელნაკეთობებს და სამზარეულოს, გააფართოონ თავიანთი კულტურული გამოცდილება . აგროტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ტურისტებისთვის კომფორტული ცხოვრებისა და დასვენების პირობების უზრუნველყოფა. თანამედროვე არქიტექტურულ დიზაინს შეუძლია შესთავაზოს განსახლების უნიკალური ფორმები, როგორიცაა გლამპინგები, ფერმის სახლები ან სოფლის კოტეჯები. ეს თვისებები კომფორტსა და ავთენტურობას უნდა აერთიანებდეს, სტუმრებს შესთავაზოს შესაძლებლობა ჩაეფლონ სოფლის ცხოვრებაში და დატკბნენ ბუნებით.

აგროტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტია ტურისტებისთვის საგანმანათლებლო და გასართობი პროგრამები, როგორიცაა ადგილობრივი პროდუქციის წარმოების სემინარების გამართვა, ფერმებში და ბაღებში ტურები, აგრეთვე სოფლის კულტურის გამოფენებისა და ფესტივალების ორგანიზების ადგილები. ეს ყველაფერი ხელს უწყობს აგროტურისტული ადგილების მიმზიდველობისა და ტურისტების ნაკადის გაზრდას. აგროტურიზმის წარმატებული განვითარებისთვის აუცილებელია ინფრასტრუქტურის განვითარების, დასვენებისა და აქტიური გატარებისთვის ადგილების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ურბანული დაგეგმარების გადაწყვეტილებები შესაძლებელს ხდის შექმნას მოსახერხებელი სასეირნო და ველოსიპედის მარშრუტები, მოეწყოს პარკები და ბაღები, ასევე შექმნას ადგილები სპორტული ღონისძიებებისთვის. ეს ხელს შეუწყობს ტურისტების აქტიურ ცხოვრების წესს და ჯანსაღ დასვენებას, ასევე შექმნის ხელსაყრელ ატმოსფეროს ბუნებასთან და გარემოსთან ურთიერთობისთვის. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებას და ამცირებს გარემოზე უარყოფით გავლენას. აგროტურიზმის მდგრადი განვითარება ასევე მოითხოვს ყურადღებას სოციალურ სამართლიანობაზე და ადგილობრივი საზოგადოების მონაწილეობაზე. ადგილობრივი მოსახლეობა უნდა იყოს ჩართული გადაწყვეტილების მიღებაში, ისარგებლოს აგროტურიზმის განვითარებით და ჰქონდეს შესაძლებლობა განავითაროს თავისი ბიზნესი და უნარები. მნიშვნელოვანია აგროტურიზმის საწარმოებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის პარტნიორობის შექმნა, რათა სტიმულირება მოახდინოთ ადგილობრივ დონეზე ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარებისთვის. აგროტურიზმის მდგრადობა ასევე დაკავშირებულია სოციალურ პასუხისმგებლობასთან და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობასთან. ინოვაციური არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებს. მნიშვნელოვანია აგროტურისტული ობიექტების შექმნა, რომელიც არა მარტო ტურისტებს მოიზიდავს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობას სარგებელს მოუტანს და ხელს შეუწყობს. ამის მიღწევა შესაძლებელია სამუშაო ადგილების შექმნით, ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ტრენინგებისა და უნარების განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სოციალურ პროგრამებში მონაწილეობით.

დასკვნა. ინოვაციური ტექნოლოგიები აგროტურიზმში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდუსტრიის განვითარებასა და მდგრადობაში. ჭკვიანი მეურნეობების, მწვანე და ენერგოეფექტიანი შენობების და სხვა ტექნოლოგიების გამოყენება, ასევე ადგილობრივი საზოგადოების აქტიური ჩართულობა ხელს უწყობს უნიკალური და მიმზიდველი ქონების

შექმნას. აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ტერიტორიების ეკონომიკურ ზრდას, ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მრეწველობის მდგრადობის, ბუნებრივი რესურსების კონსერვაციისა და სოციალური პასუხისმგებლობისკენ სწრაფვა. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, თანამედროვე არქიტექტურული და ურბანული დაგეგმარების გადაწყვეტილებები ძირითადი ფაქტორებია ამ მიზნების მისაღწევად და აგროტურიზმის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია ნაყოფიერი ურთიერთქმედების დამყარება არქიტექტორებს, ქალაქის დამგეგმარებლებს, სოფლის ბიზნესებსა და ადგილობრივ თემებს შორის. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ თითოეული რეგიონის სპეციფიკური საჭიროებები და მახასიათებლები, რათა შეიქმნას უნიკალური აგროტურისტული ობიექტები, რომლებიც ასახავს მის კულტურულ მემკვიდრეობას და ბუნებრივ სილამაზეს. აგროტურისტული ობიექტების პროექტირება და მშენებლობა უნდა ეფუძნებოდეს მდგრადობის, ენერგოეფექტიანობისა და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების პრინციპებს.

ლიტერატურა

1. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025. თბილისი. 2015წ.
2. ხ. ბერიშვილი - აგროტურიზმის განვითარების გზები და პერსპექტივები საქართველოში. 2022;
3. ლ. გალდავა, ნ. მოლაშვილი, ჯ. ცინცაბაძე - აგროტურიზმი საქართველოში. 2022;
4. ლ. დოლიკაშვილი, კ. არაბული - ტურიზმის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღვანელო). თბილისი 2021;
5. სტრატეგიული რჩევები საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის. 2000 წ.

შორენა ცაავა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
(აგრარული ეკონომიკის სპეციალობით)
ნანა ცაავა
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების
სპეციალობით ბიზნესის მართვის მაგისტრი
Shorena Tsaava
Doctor of Social Sciences
(Specialty in Agricultural Economics)
Nana Tsaava
International Economic Relations
Master of Business Administration

ანოტაცია. ტურიზმი რეგიონალური ეკონომიკის განვითარებაზე, კერძოდ: მოსახლეობის დასაქმებაზე, შემოსავლებზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდაზე დადებით და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ამასთან უარყოფითი ზეგავლენა რომ არ მოახდინოს მზარდმა დაუგეგმავმა ტურისტულმა მარშუტებმა საჭიროა გავუფრთხილდეთ გარემოს, განვახორციელოთ გარემოსდაცვითი ღონისძიებები. გავუფრთხილდეთ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. რეგიონი არის ტერიტორია, რომელიც სხვა ტერიტორიისგან შეიძლება განვასხვავოთ საკუთარი კულტურისა და სტრუქტურის მიხედვით. რეგიონის ტურისტი არის ტურისტი, რომელიც სტუმრობს რეგიონს, გარდა იმ შემთხვევისა, სადაც მას აქვს ნორმალური საცხოვრებელი, მაგრამ განსაზღვრული გეოგრაფიული რეგიონით, ტურისტი რეგიონში უნდა გადაადგილდეს კომფორტული ტრანსპორტით გადაადგილება უნდა იყოს სწრაფი და უსაფრთხო, ინფრასტრუქტურა გამართული, სანახაობრივად დატვირთული.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, ბუნების მრავალფეროვნება და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე ტურიზმის განვითარების კუთხით საინტერესოს და ხელსაყრელს ხდის მუნიციპალიტეტს. რაც დიდ როლს თამაშობს მარტვილში მცხოვრებთა სოციალურ/ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ბოლო, წლების განმავლობაში, ტურისტების რაოდენობა სამეგრელოში საკმაოდ დიდი ტემპებით იზრდება, ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, რამდენადაც დამატებითი შემოსავლის წყაროა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მეორე მხრივ გავლენას ახდენს ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე, რამდენადაც მოითხოვს შესაბამის ინვესტიციებს საგზაო და წყლის გაყვანილობის ინფრასტრუქტურასა და სხვა კომუნალურ საჭიროებებში. ასევე, კურორტ ლებარდის განვითარება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, მუნიციპალიტეტს კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ტურისტებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, მარტვილი, სოციალურ-ეკონომიკური

Annotation. Tourism has a positive and significant impact on the development of the regional economy, in particular: on the employment of the population, on incomes, on the growth of agricultural production. In addition, in order for the growing unplanned tourist routes not to have a negative impact, it is necessary to take care of the environment, to implement environmental measures. Let's take care of historical and cultural heritage monuments. A region is an area that can be distinguished from another area by its own culture and structure. A tourist of the region is a tourist who visits the region, except for the case where he has a normal residence, but with a defined geographical region, the tourist must travel in the region by comfortable transport, the movement must be fast and safe, the infrastructure is in order, it is spectacularly loaded.

The location of the municipality of Martvil, the diversity of nature and the abundance of historical and cultural monuments make the municipality interesting and favorable for the development of tourism. Which plays a big role in improving the social/economic conditions of Martvil residents.

In recent years, the number of tourists in Samegrelo has been growing at a fairly large pace, tourism contributes to the development of the local economy, as it is a source of additional income for the local population. On the other hand, it affects local infrastructure, as it requires appropriate investments in road and water infrastructure and other utility needs. Also, the development of the Lebard resort, the arrangement of infrastructure, will make the municipality even more attractive for tourists.

Keywords: tourism, Martvil, socio-economic

ტურიზმი არის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე, ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია რეგიონული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისთვის. მრავალი ქვეყნისთვის ტურიზმი განიხილება, როგორც რეგიონალური განვითარების მთავარი ინსტრუმენტი, რადგან ის ასტიმულირებს ახალ ეკონომიკურ საქმიანობას. ტურიზმი რეგიონალური ეკონომიკის განვითარებაზე, კერძოდ: მოსახლეობის დასაქმებაზე, შემოსავლებზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდაზე დადებით და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ამასთან უარყოფითი ზეგავლენა რომ არ მოახდინოს მზარდმა დაუგეგმავმა ტურისტულმა მარშუტებმა საჭიროა გავუფრთხილდეთ გარემოს, განვახორციელოთ გარემოსდაცვითი ღონისძიებები. გავუფრთხილდეთ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. რეგიონი არის ტერიტორია, რომელიც სხვა ტერიტორიისგან შეიძლება განვასხვავოთ საკუთარი კულტურისა და სტრუქტურის მიხედვით. რეგიონის ტურისტი არის ტურისტი, რომელიც სტუმრობს რეგიონს, გარდა იმ შემთხვევისა, სადაც მას აქვს ნორმალური საცხოვრებელი, მაგრამ განსაზღვრული გეოგრაფიული რეგიონით, ტურისტი რეგიონში უნდა გადაადგილდეს კომფორტული ტრანსპორტით გადაადგილება უნდა იყოს სწრაფი და უსაფრთხო, ინფრასტრუქტურა გამართული, სანახაობრივად დატვირთული.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, ბუნების მრავალფეროვნება და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე ტურიზმის განვითარების კუთხით საინტერესოს და ხელსაყრელს ხდის მუნიციპალიტეტს. რაც დიდ როლს თამაშობს მარტვილში მცხოვრებთა სოციალურ/ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით.

მარტვილი დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის კერაა. აქ უძველესი დროიდან ენთო განათლებისა და კულტურის ჩირაღდანი. მეათე საუკუნეში ჭყონდიდში მოღვაწეობდნენ დიდი ჰიმნოგრაფები იოანე მინჩხი და სტეფანე სანანოიძე. მარტვილში, იგივე ჭყონდიდში, იწერებოდა და ვრცელდებოდა, უნიკალური სასულიერო თუ საერო ნაწარმოებები. უეჭველია, რომ აქ აღიზარდა მწიგნობართუხუცესის, მოძღვართ-მოძღვარის გიორგი ჭყონდიდელის ზედამხედველობითა და მისივე იდეებით, საქართველოს უბრწყინვალესი სიუზერენი დავით აღმაშენებელი.

„სამეგრელოში მარტვილს ჰქონდა ისეთივე მნიშვნელობა, როგორც რომის ქალაქს ფრანგთა შორის დასავლეთის ეკლესიაში“ წერდა გაზეთი „ივერია“ 1878 წელს.



ტურისტმა მარტვილის მუნიციპალიტეტში შეუძლია მოინახულოს:

ქალაქ მარტვილში გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი,

ქალაქ მარტვილში და მასში შემავალი ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურული ძეგლები, ეკლესია-მონასტრები, ასევე, მარტვილის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 1600 მეტრზე. იგი ბალნეო-კლიმატური კურორტია, ზომიერად რბილი ზამთრითა და ზომიერად გრილი ზაფხულით. იანვრის საშუალო ტემპერატურაა -4,1°C, აგვისტოსი კი - 16°C. კურორტის ძირითადი სამკურნალო ფაქტორია საშუალო მთის კლიმატი და ნახშირმჟავა მინერალური წყალი. ლებარდე ულამაზესი ბუნებით გამოირჩევა, მთები, მინდვრები და გასაოცარი ხედები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მართალია კურორტი არ არის კეთილმოწყობილი, მაგრამ ტყისპირა პატარა კოტეჯები ძალიან მყუდრო გარემოს ქმნის დალაშქრობების მოსაწყობად შთამბეჭდავია. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ლებარდეს დიდი და პატარა ტბები. ალპური ტბები და უმშვენიერესი პანორამები, ველური ბუნება, ზღაპრული ბილიკები, კლდეები და მოლივლივე ტბები ნამდვილად ჯადოსნურია და მრავალ თავგადასავლების მოყვარულს იზიდავს.

ქალაქ მარტვილში გამორჩეულია არქიტექტურული ძეგლებით. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **მარტვილის სამონასტრო კომპლექსი,** რომელიც დაარსებულია VI-VII სს-თა მიჯნაზე. ბაგრატ IV-ის მეფობაში ჭყონდიდის ტაძარი უპირველესად იყო მიჩნეული. მარტვილის მონასტერი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. აქ მოღვაწობდნენ ცნობილი მწიგნობარნი: იოანე მინჩხი – ჰიმნოგრაფი (X ს.), სტეფანე სანანოისძე (X ს.), გიორგი ჭყონდიდელი (XI ს.), იოანე მთავარეპისკოპოსი (XI ს.), იოანე მესვეტე (XI ს.), წმ. მღვდელმთავარი ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელი (XVIII-XIX სს.), რომანოზ მესვეტე (XIX ს.), დავით ჭყონდიდელი (XIX ს.), გიორგი ჭყონდიდელი (XIX ს.) და სხვ.

ნახარებაოს წმ. გიორგის სახელობის ეკლესია XII ს- აშენებულია ანტონ ჭყონდიდელის მიერ, იქვე მდებარეობს მისი საფლავი.

ხუნწის ადმინისტრაციული ერთეული - ხუნწის ადმინისტრაციულ ერთეული გამოირჩევა უძველესი არქიტექტურული ძეგლის ნიმუშით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქუქითის გორაზე არსებული ციხის ნაშთები;

ტალერის ადმინისტრაციული ერთეული - ტალერში ფუნქციონირებს ტალერის მთავარანგელოზთა დასის ტაძარი, რომელიც თარიღდება XVII საუკუნით. ტალერი უკავშირდება კურორტ ლებარდეს, რომლის განვითარებაც სოფელს მიმზიდველს გახდის ტურისტებისთვის;

სერგიეთის ადმინისტრეციულ ერთეულში ფუნქციონირებს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია და ბობოთის მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია;

სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეული გამოირჩევა არქიტექტურული ძეგლებით და მრავალფეროვანი ბუნებით. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სალხინოს – დადიანების სასახლე. ორსართულიანი ქვის სასახლის მშენებლობა აქ არჩილ ბატონიშვილის რჩევით დაიწყო და საბოლოოდ სალომე მიურატის დროს დასრულდა. სასახლეში მოხვედრილ სტუმარს ხეების დიდი ხეივანი, გაშლილი მინდორი, მოსასვენებელი სკამებით სავსე პარკი და ეკლესია ხვდება. აღსანიშნავია ასევე ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია და ისტორიული მარანი, რომელიც ბოლო წლებში აღადგინეს. ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარეობს ასევე მდ. წაჩხურუს ხეობა, „ხიზნების მღვიმე“ (ისტორიული მღვიმე-ნამოსახლარი). წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია XVIII ს- გადმოცემის მიხედვით სამეგრელოდან სვანეთისკენ მიმავალ წმიდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულს ამ ადგილებზე გამოუვლია და ქვის ჯვარი აღუმართავს. ტაძარი, მოგვიანებით მე-7 საუკუნეში აუგიათ. ჩვენამდე მოღწეულია, განახლებული, მე-18

საუკუნეში აგებული დარბაზული ტიპის ეკლესია. ტაძარში მოსალოცად, უფრო მეტად, შვილოსნობის მთხოვნელი და თხოვნის შესრულების გამო მადლიერი ადამიანები მოდიან. „წაჩხურობას“ სპეციალური წირვა უშვილო წყვილებისთვის ტარდება. ყველა ამ ღირსშანიშნაობას უამრავი ტურისტი სტუმრობს;

ონოღიის ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია;

ნაჯახაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ფინქციონირებს ახალაშენებული წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესია. კულტურული მნიშვნელობის ძეგლს წარმოადგენს მთავარანგელოზის სახელობის XVII საუკუნის ეკელსია და წმინდა გიორგის სახელობის XVIII საუკუნის ეკლესია;

ნახუნაოს ადმინისტრაციული ერთეული გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნებით, აღსანიშნავია მდინაარეების, არჯანელის და ისკიას სათავეები თავისი მიმზიდველი ლანდშაფტებით;

ნაგვაზაოს ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს მაცხოვრის შობის ეკლესიის მშენებლობა;

ლეხაინდრაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს ახლადაშენებული წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია;

კურზუს ადმინისტაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარეობს ჯიხასა და წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევები, ოჩხამურის კანიონი, ჩანჩქერი და ტეხურის ხეობა ულამაზესი ბუნებით;

კიწიის ადმინისტრაციულ ერთეულს გააჩნია დიდი პოტენციალი ტურისტული სფეროს განსავითარებლად, რაშიც გამორჩეული არქიტექტურული ძეგლები უწყობს ხელს. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ნოღას ციხე“ (ნოღასჯიხა). ქვითკირის მყარად ნაგები ციხე 4 კოშკითაა აღჭურვილი და ელიფსური ფორმის ორმაგი გალავნით არის შემოზღუდული. კომპლექსის აღდგენის სამუშაოების პირველი ეტაპი 2015 წელს დაიწყო, რეაბილიტაცია ჩაუტარდა გარე გალავანს, გადაიხურა კოშკები. სარეაბილიტაციო სამუშაოების მეოთხე ეტაპი განახლდა 2019 წელს. კომპლექსს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. სოფელში ფუნქციონირებს XVIII საუკუნის ალერტის მამათა მონასტერი, რომლის აგება გადმოცემის მიხედვით დაკავშირებულია წითელ ხართან, რის შემდეგაც ხალხს ბეგარად დაედო ერთი ხარის შეწირვა ყოველ წელს;

ინჩხურის ადმინისტრაციულ ერთეული გამოირჩევა მრავალფეროვანი ბუნების ძეგლით. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მარტვილის კანიონი, რომლის სიგრძე 2400 მ-ია, ჩაჭრის სიღრმე 20-30 მ, ხოლო სიგანე 5-10 მ. კანიონში ორ ადგილას არის შენახული კირქვის ბუნებრივი ხიდები, რაც იმის მანიშნებელია, რომ აქ ოდესღაც კარსტული მღვიმე ჩამოიშალა. გარდა ამისა, კანიონის შუა წელში წარმოიშობა 12-15 მ სიმაღლის ვარდნის მცირე ჩანჩქერები. ერთი მონაკვეთი გამოირჩევა განსაკუთრებული სილამაზით. ეს არის ოფუცხოლე, რომელიც ცნობილია „დადიანების საბანაოს” სახელით. აქ ჩასასვლელად ბილიკი კირქვის დიდი კვადრებისგან აშენებული კიბეს ჩაუყვება. გადმოცემის თანახმად, სწორედ ამ კიბით დადიოდნენ გიორგი ჭყონდიდელი და დავით აღმაშენებელი. ასევე სოფელში ფუნქციონირებს წმინდა ამბროსი ხელაიას სახელობის ეკლესია;

ვედიდკარის ადმინისტრაციულ ერთეულში ფუქციონირებს ახალაშენებული მთავარანგელოზის და თეოდორე ტირიონის სახელობის ეკლესია, ასევე მუხურჩაში ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი;

დოშაყეს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს მღვიმე. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია მღვიმეში მოპოვებული არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალა, სადაც წარმოდგენილია პალეოლითი, ენეოლითი, ბრინჯაოს ხანა და შუა საუკუნეები. დოშაყეში ასევე მდებარეობს იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია;

დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, წმ. გიორგის ეკლესია (ლედგებე) და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (ნაფოსტარი);

გურძემის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მდებარეობს მთავარანგელოზის ეკლესია, ღვთისმშობლის და მისარონის ტაძრები;

ბანძის ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (ძეგელეს უბანი) და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია (ლეკოტიეს უბანი). XX საუკუნის დასაწყისში აგებული მაღალი არქიტექტურული სამლოცველო ნაგებობა — სინაგოგა. რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში ებრაელებმა დატოვეს. სინაგოგა დღემდე ხელშეუხებლად დგას ბანძაში.

აბედათის ადმინისტრაციულ ერთეულს გააჩნია დიდი პოტენციალი ტურისტული სფეროს განსავითარებლად, რაშიც გამორჩეული არქიტექტურული ძეგლები და მრავალფეროვანი ბუნება უწყობს ხელს. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **აბედათის ციხე,** რომლის ტერიტორიაზე გასულ საუკუნეში, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით, ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ნაშთები მრავლად იპოვეს. პარმენ ზაქარაია ვარაუდობდა, რომ ნოქალაქევის ,,საკონტროლო ზონაში" იყო აგებული აბედათის ძველი ციხე, და მას IV-VI საუკუნეებით ათარიღებდა, ხოლო აბედათის უკვე შუა საუკუნეებში აგებული ციხე-დარბაზსა და კოშკს დადიანების საგვარეულოს მიაკუთვნებენ. ციხე მდებარეობს ზღვის დონიდან 130 მეტრზე. ასევე ახლად აშენებული **წმიდა იოაკიმეს და ანას სახელობის სახელობის ტაძარი**, რომელიც მდებარეობს აბედათის ცენტრში;

თამაკონის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის მეურნეობა წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს. მიუხედავად იმისა, რომ აგროსექტორი მოსახლეობისათვის წარმოადგენს შიდა მოხმარების დარგს, მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დარგის განვითარების მასშტაბების გაძლიერების და წარმოების მოცულობის გაზრდას. თამაკონში და კერძოდ თარგამეულის უბანში ვაზის კულტურას, მის მყნობას საუკუნოვანი ტრადიცია აქვს, აქ მოჰყავთ თეთრი და წითელი ყურძნის ჯიშები. თამაკონი ოჯალეშის წარმოშობის ერთ-ერთ მიკროზონას წარმოადგენს. მდინარე ტეხური განსაკუთრებულ კლიმატს ქმნის, რის გამოც ოჯალეში აქ განსაკუთრებულ ღირებულებას ავლენს;

გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულს გააჩნია დიდი პოტენციალი ტურისტული სფეროს განსავითარებლად, რაშიც მრავალფეროვანი ბუნება უწყობს ხელს. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მოთენას მღვიმე, რომელიც მდინარეების ტეხურასა და აბაშის წყალგამყოფზე, სოფელ ბალდის მიდამოებში მდებარეობს. ადგილობრივთა გადმოცემით, შუა საუკუნეებში მღვიმეს სამხედრო-თავდაცვითი მიზნით იყენებდნენ. მოთენას მღვიმე ორი დარბაზისგან შედგება. მღვიმიდან გამომავალი წყლის ნაკადი მდინარე აბაშას უერთდება.

თვალსაჩინოა კაღუს ჩანჩქერი. ყურადღებას იპყრობს ბზის ტყე და მღვიმეები, რომელიც ძალზე იშვიათობაა მსოფლიოში. ხოლო ,,კაღუს" ჩანაჩქერს მნახველი აღფრთოვანებაში მოყავს, მისი უცნაური ფორმისა და უნიკალური სილამაზის გამო.

ონიორის ჩანჩქერისა და ტობის პირველი მღვიმის ბუნების ძეგლები – მღვიმე გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში. შესასვლელი (12X5 მ) ქარაფის გასწვრივ იხსნება. შესასვლელიდან 70 მეტრში 21 მ სიმაღლის მიწისქვეშა ჩანჩქერია, სადაც ჭერის სიმაღლე 30 მეტრზე მეტია. ცალკეულ ადგილას გვირაბის სიგანე 12-15 მ აღწევს. მღვიმიდან გამომავალი მიწიქვეშა მდინარე 15 მეტრში, 67 მ სიმაღლის ონიორეს ჩანჩქერს წარმოქნის.

ტობის ჩანჩქერისა და არსენ ოქროჯანაშვილის მღვიმის ბუნების ძეგლები – ბუნების ძეგლების კომპლექსი წარმოადგენს არსენ ოქროჯანაშვილის (ტობა II) მღვიმისა და მისგან გადმომავალი ტობას კასკადოვანი ჩანჩქერის ერთობლიობას, რომელიც იშვიათ და ულამაზეს სანახაობას ქმნის. მღვიმე ძნელად მისადგომია და სპეციალური აღჭურვილობის გარეშე იქ ასვლა არ არის რეკომენდებული. გამომუშავებულია ზედაცარცულ შრეებრივ კირქვებში. შესასვლელი (15X20 მ) ქარაფის გასწვრივ იხსნება. სამიარუსიანი, მრავალგანშტოებიან მღვიმეში რამდენიმე დარბაზია. მათ შორის გამოირჩევა: „ნონას დარბაზი“, „ნანას დარბაზი“, „სალონი“, „უნივერსიტეტი 50“, „ტბიანი“ და სხვა დარბაზები. ქიმიური ნალექები მრავალფეროვანი ფორმებით არის წარმოდგენილი. ერთ-ერთი სტალაგმიტის სიმარლე 7 მ აღწევს. მღვიმის ჯამური სიგრძით 1300 მ-ია. მღვიმიდან გამომავალი მდინარე, რომელიც მიწისქვეშ 4 ტბას აჩენს, წარმოქნის 234 მ სიმაღლის, (საქართველოში ყველაზე მაღალი) ტობის კასკადური ჩანჩქერს.

ბალდის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტერი, რომელსაც დაახლოებით ოთხასი წლის ისტორია აქვს. იგი ბუნების მშვენიერ ადგილას, მდინარე აბაშის მარცხენა სანაპიროზე, მოთენის, ისკიოდისა და ჯვრის მთების შესაყარში მდებარეობს. ეკლესიის მშენებლობა XVII საუკუნის დასაწყისში დაიწყო.

მარტვილის მუნიციპალიტეტს ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების შემუშავების მიზნით თანამშრომლობა ტურიზმის კუთხით აქვს შემდეგ უცხო ქვეყნების ქალაქებთან: არდეშენი-თურქეთი (2016 წლიდან), ბოიარკა-უკარინა (2019 წლიდან), ნესვიჟი-ბელორუსია (2019 წლიდან), ჩარნკოვი - პოლონეთი (2016 წლიდან), ოდოლანოვი - პოლონეთი (2017 წლიდან).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური რეესტრის მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით მარტვილის მუნიციპალიტეტში **2020 წლისათვის** რეგისტრირებული იყო რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობების მითითებით - **7** სუბიექტი; **2024 წლის** მდგომარეობით რეგისტრირებულია **44** სუბიექტი.

მარტვილის კანიონის ვიზიტორთა რაოდენობა წლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

2020 წელს 21,489 ვიზიტორი, მათ შორის უცხოელი ვიზიტორი 3,401;

2021 წელს 116,420 ვიზიტორი, მათ შორის უცხოელი ვიზიტორი 81,436;

2022 წელს - 172,194 ვიზიტორი, მათ შორის უცხოელი ვიზიტორი 118,391;

2023 წელს - 228,998 ვიზიტორი, მათ შორის უცხოელი ვიზიტორი - 147,252.

მარტვილის კანიონში საქართველოში დაცული ტერიტორიების ვიზიტორების რაოდენობამ

2020 წელს - 8.9% შეადგინა; მათ შორის უცხოელი ვიზიტორების 12.9%;

2021 წელს 19.8%, მათ შორის უცხოელი ვიზიტორი 26.2%;

2022 წელს - 19.1%, მათ შორის უცხოელი ვიზიტორი 24.2%;

2023 წელს - 21.2%, მათ შორის უცხოელი ვიზიტორი - 23.4%.

ბოლო, წლების განმავლობაში, ტურისტების რაოდენობა სამეგრელოში საკმაოდ დიდი ტემპებით იზრდება, ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, რამდენადაც დამატებითი შემოსავლის წყაროა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მეორე მხრივ გავლენას ახდენს ადგილობრივ ინფრასტრუქტურაზე, რამდენადაც მოითხოვს შესაბამის

ინვესტიციებს საგზაო და წყლის გაყვანილობის ინფრასტრუქტურასა და სხვა კომუნალურ საჭიროებებში.

ზემოაღნიშნული დინამიკიდან გამომდინარე მარტვილის ბუნების ძეგლების ადმინისტრაციიდან მიღებულმა შემოსავალმა ტურისტული სერვისებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლის 18,8 % შეადგენს.

მარტვილში ჩასული ტურისტისთვის ღამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქალაქ მარტვილში დარჩენა, სადაც, შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება, მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ტურისტის მოხიბლისთვის შესანიშნავი იქნებოდა მზიან ზაფხულში კანიონის მახლობლად საოჯახო სასტუმროების მოწყობა, რისთვისაც აუცილებელია ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა.

გამოყენებული ლიტერატურა

29. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 26 სექტემბრის № 216475 წერილი;

30. სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკაში (13 თებერვალი, 2018, ნინო კვინტრაძე, http://forbes.ge/news/

31. წყარო: https://gnta.ge/ge საქართველოს ტურიზმის სტატიტიკური მიმოხილვის ჟურნალები 2020, 2021, 2022 და 2023 წლების;

32. წყარო: https://martvili.gov.ge/?page_id=1835;

ბიზნეს სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი

An analysis of the pros and cons of using artificial intelligence in the business sector

თამარი კვინიკაძე
საბანკო საქმის მაგისტრი
მეგი გოგნიაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ადამიანური რესურსების მაგისტრი
Tamari Kvinikadze
Master of Banking
Megi Gogniashvili– Georgian National University SEU
Master of Human Resource Management

ანიტაცია. ჩვენი საკონფერენციო მოხსენების მიზანია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესწავლა ბიზნეს პროცესების მართვაში. გვსურს გავიგოთ, თუ როგორ ეხმარება ხელოვნური ინტელექტი ბიზნესს განვითარებაში და როგორ იყენებენ ამ ინოვაციურ ტექნოლოგიას საქართველოში მოქმედი ქართული და საერთაშორისო კომპანიები. კვლევა მოიცავს AI-ის გამოყენების სხვადასხვა ასპექტს ბიზნეს პროცესებში, მათ შორის ავტომატიზაციას, ოპერაციების გამარტივებას, მომხმარებელთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, თავდაცვის მექანიზმებს და მონაცემთა ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ როგორ ამარტივებს და აუმჯობესებს AI-ის დანერგვა ბიზნეს პროცესებს, ასევე რამდენად მომგებიანია ეს კომპანიებისთვის.

კვლევის შედეგად შესწავლილი და გაანალიზებული იქნა რამდენიმე ქართული და საერთაშორისო კომპანია, რომლებმაც დანერგილი აქვთ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები თავიანთ საქმიანობაში და წარმატებით იყენებენ ამ ტექნოლოგიას კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ AI-ის გამოყენება ბიზნესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუმცა სამწუხაროდ, ხელოვნური ინტელექტის კონცეფციას საქართველოში მოქმედი კომპანიების მხოლოდ მცირე ნაწილი იცნობს. ძირითადად, ეს არის უმსხვილესი ქართული კომპანიები საბანკო ინდუსტრიიდან და ასევე საქართველოში მოქმედი საერთაშორისო კომპანიები.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, წარმოების ეფექტიანობა, კონკურენცია, ინოვაცია, გლობალური ბიზნესი.

Annotation. The purpose of our conference report is to explore the use of artificial intelligence in business process management. We would like to understand how artificial intelligence helps business to develop and how Georgian and international companies operating in Georgia use this innovative technology. Research covers various aspects of using AI in business processes, including automation, streamlining operations, improving customer relationships, defense mechanisms and data analysis. Special attention is paid to how the implementation of AI simplifies and improves business processes, as well as how it is beneficial for companies.

As a result of the research, several Georgian and international companies have been studied and analyzed, which have implemented artificial intelligence technologies in their activities and are successfully using this technology to gain a competitive advantage.

The results of the research showed that the use of AI plays an important role in business, however, unfortunately, only a small part of the companies operating in Georgia are familiar with the concept of artificial intelligence. Basically, these are the largest Georgian companies from the banking industry, as well as international companies operating in Georgia.

Keywords: artificial intelligence, production efficiency, competition, innovation, global business.

ზოგადად თუ არსებულ კვლევებს დავეყრდნობით, ხელოვნური ინტელექტის შექმნის იდეა წარმოიშვა მაშინ როდესაც კაცობრიობას წარმოეშვა სურვილი გაეგო თუ როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი. მეცნიერები თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ შეუძლიათ ტვინის მუშაობის აღწერა რიცხვებში და შესაბამისად ამ ლოგიკას თუ გავყვებით შეუძლიათ მანქანების ამ პრინციპით დაპროგრამება. ხელოვნური ინტელექტის განვითარების პერსპექტივები მეცნიერისთვის საკმაოდ საინტერესო საკითხია, რადგან კომპიუტერებს დღეს ძალიან ბევრი რამის შესრულება შეუძლია: ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს, ქმნიან ინოვაციებს და ა.შ.

ხელოვნური ინტელექტი არ ეკუთვნის მომავალს - ეს რეალობაა. გლობალური ხელოვნური ინტელექტის პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარი მოლოდინების მიხედვით ყოველწლიურად 154%-ით და სავარაუდოდ აღნიშნული ინდუსტრია 2025 წლისთვის 22,6 მილიარდ აშშ დოლარად იქნება შეფასებული.

ხელოვნური ინტელექტის გავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე იმაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ ჩვენგანს წარმოუდგენია. გლობალური საინვესტიციო გიგანტის გოლდმან საქსის-ის მიერ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ AI-ს ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე აქვს გავლენას სამუშაო ადგილების მნიშვნელოვან ნაწილზე ეს ტენდენცია მომავალში მხოლოდ გაიზრდება: ვარაუდობენ, რომ პროფესიების 7%-მდე სრულად ავტომატიზირებული გახდება და მიითხოვს ადამიანური რესურსის მხოლოდ ნაწილობრივ ჩარევას.

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი ნოვატორის, ილონ მასკის განცხადებები ძალიან კარგად ასახავს სიტუაციის სიმძიმეს. მისი სიტყვები, რომ ხელოვნური ინტელექტი შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს მთელ ცივილიზაციას, სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. მასკი, რომლის საქმიანობა ტექნოლოგიასა და ინოვაციებში ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას, გვეუბნება რომ აუცილებელია საკმაოდ ფრთხილი და დაბალანსებული მიდგომა ხელოვნური ინტელექტის განვითარების მიმართ და მის გამოყენებაზე სხვადასხვა სფეროებში.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ზუსტად ილონ მასკი იყო კომპანია ოპენ აი-ს ერთ ერთი დამფუძნებელი თუმცა მასკმა კვლევითი ლაბორატორია 2018 წელს მიატოვა. ამრიგად, ხელოვნური ინტელექტის გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე უფრო თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი

ხდება. ამავდროულად, ჩნდება სერიოზული კითხვები და გამოწვევები, რომლებიც საჭიროებს ფრთხილად განხილვას და პასუხისმგებლობას საზოგადოებისა და ტექნოლოგიების ლიდერების მხრიდან.

მასკი ერთ-ერთი ხელმომწერიცაა იმ გახმაურებული ღია წერილის, რომელიც ხელოვნური ინტელექტის განვითარების შეჩერებას სულ ცოტა, 6 თვით ითხოვს. პაუზა უნდა იყოს საჯარო, გამჭვირვალე და კონტროლირებადი, საერთაშორისო მთავრობათაშორისი მემორანდუმით გამყარებული - ამბობენ ღია მიმართვის ინიციატორები „სიცოცხლის მომავლის ინსტიტუტიდან“. მათი არგუმენტაციით, შეჩერება აუცილებელია, რათა რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს ხელოვნური ინტელექტის რეგულირებაზე მუშაობა. ამის მიზანი კი რისკების მინიმუმზე დაყვანა და პროგრამების უსაფრთხოდ მუშაობის უზრუნველყოფა უნდა იყოს.

ძლიერი ხელოვნური ინტელექტის სისტემების განვითარება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როცა დავრწმუნდებით, რომ მათი შედეგები დადებითი იქნება, მათი რისკები კი - მართვადი“ - ნათქვამია მიმართვაში.

ხელოვნური ინტელექტი და მის საფუძველზე შექმნილი სისტემები დღეს ყველგან გვხვდება– იქნება ეს Google-ის საძიებო სისტემა თუ მანქანის უპილოტო მართვა. ხელოვნური ინტელექტი, თავისი ტექნოლოგიების ფართო სპექტრით, საშუალებას აძლევს მანქანებს „იმუშავონ, როგორც ადამიანის ტვინი“, ისწავლონ და იმოქმედონ.

რა თქმა უნდა, AI-ს ბევრი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს, რაზეც ამ თავში ვრცლად ვისაუბრებთ. მანამდე კი მოდით გავიგოთ ხელოვნური ინტელექტის ძირითადი ტიპები ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ხელოვნური ინტელექტის სეგმენტები.

ხელოვნური ინტელექტის განვითარების 4 ეტაპი:

მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა და მის საფუძველზე მომუშავეე პროგრამებმა გაიგონ ვერბალური ბრძანებები, განასხვავონ სურათები და ტექსტები და ეს ყოველივე გააკეთონ ბევრად კარგად, ვიდრე ადამიანს შეუძლია. მაგალითად, Amazon Alexa, Apple Siri ან Google Hello Google ეს არის ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე შექმნილი პროდუქტების კლასიკური მაგალითები, რომელიც იღებს ვერბალურ ბრძანებებს და იწყებს მათ განხორციელება.

თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ ურთულესი გამოთვლების შესრულება უზარმაზარი სიჩქარით. მათ შეუძლიათ მილიარდობით მონაცემის ერთდროულად დამუშავება და ზუსტი პროგნოზების გაკეთება. ხელოვნური ინტელექტი ძირითადად კლასიფიცირდება ოთხ ეტაპად, მისი განვითარების ან გაუმჯობესების გათვალისწინებით:

1. რეაქტიული მანქანები. ეს არის ისეთი მანქანები, რომლებიც არ ინახავენ მოგონებებს ან წარსულ გამოცდილებას. ეს არის "რეაქტიული" მოქმედების უნარი, რომელიც რეაგირებს მიმდინარე სცენარზე. მაგალითად, როგორც უკვე ავღნიშნეთ IBM-ის საჭადრაკო კომპიუტერმა Deep Blue-მ 1990-იანი წლების ბოლოს ზედიზედ ექვსჯერ დაამარცხა საერთაშორისო მოჭადრაკე გარი კასპაროვი. მისი მაღალი ინტელექტი საშუალებას აძლევს მას იწინასწარმეტყველოს მოწინააღმდეგის ყველა შესაძლო ნაბიჯი ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ნებისმიერი ადამიანი. შედეგად, მას შეეძლო გამოეთვალა ყველაზე ოპტიმალური სვლები თითოეული შესაძლებლობის წინააღმდეგ, რის შედეგადაც მისი დამარცხება სრულიად შეუძლებელი იყო.

2. შეზღუდული მეხსიერება. მანქანების ეს სახეობა სულ მალე წარსულს ჩაბარდება. ამის ძალიან კარგი მაგალითია უპილოტო მანქანები, რომლებსაც შეუძლიათ სხვა მანქანების სიჩქარის და მოძრაობის კონტროლი. ამას ემატება სხვა გარე ფაქტორების მიმართ ადაპტაციის უნარი,

მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ეს ყოველივე არის დროებითი და არ ატარებს მუდმივ ხასიათს.

3. გონების თეორია. ეს ტიპი მოიცავს მანქანურ სწავლებას, რომელიც ცდილობს გაიმეოროს მთელი ფიზიკური სამყარო - ადამიანები, არსებები, საგნები - ყველაფერი, რასაც შეუძლია იფიქროს და განიცადოს ემოციები.

4. თვითცნობიერება. ეს ეტაპი არის გონების თეორიის სტადიის გაგრძელება, რომლის დროსაც მანქანებს გარკვეული „მიზეზის“ გათვალისწინებით უჩნდებათ თვითშეგნების უნარი. ეს კი მათ ინტელექტს და შესაძლებლობებს უფრო სწრაფი ტემპებით ავითარებს. შესაბამისად დღესდღეობით ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე მეცნიერები ორიენტირებულნი არიან ზუსტად ამ უნარების დახვეწაზე.

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის უპირატესობები ძალიან კარგად ჩანს ავტომატურ საძიებო სისტემებში, ინტელექტუალურ პროგნოზირებაში, ელექტრონული კომერციის პლატფორმებზე და ა.შ. ამ ყველაფეის მიუხედავად, AI-ს ბევრი უარყოფითი მხარეც აქვს, რომელთა იგნორირება არ შეიძლება. ქვემოთ მოცემულია ხელოვნური ინტელექტის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ხელოვნური ინტელექტის უპირატესობები:

1. არ არსებობს ადამიანური შეცდომის დაშვების ალბათობა

ადამიანური ფაქტორის არარსებობა ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობაა. ეს უპირატესობა ეფუძნება ხელოვნური ინტელექტის უნარს, შეასრულოს ამოცანები სრული სიზუსტით ემოციური ფაქტორების ან ფიზიკური შეზღუდვების გარეშე.

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია იმუშაოს მკაფიოდ განსაზღვრული ალგორითმებისა და წესების საფუძველზე, რაც საშუალებას აძლევს მას თავიდან აიცილოს ადამიანების ტიპიური შეცდომები დაღლილობის, უყურადღებობის ან გამოცდილების ნაკლებობის გამო. იმ სფეროებში, სადაც მცირე შეცდომასაც კი შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს, როგორიცაა მედიცინა, ფინანსები ან ავიაცია, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება.

ზუსტად ეს არის იმის მთავარი მიზეზი, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სხვადასხვა სფეროში მკვეთრად გაიზარდა. როდესაც ჩვენ შეგვიძლია მთლიანად აღმოფხვრათ ადამიანური შეცდომა, ჩვენ ვიღებთ ყველაზე ზუსტ შედეგებს. ამის მიღწევის მთავარი წინაპირობა კი არის სწორი დაპროგრამება.

2. ნულოვანი რისკები. თანამედროვე ბიზნესში რისკი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, ბიზნესს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ეს რისკები ან თუნდაც მთლიანად აღმოიფხვრას ისინი. რაში მდგომარეობს ეს უპირატესობა?

ბაზრის ტენდენციების პროგნოზირება და ანალიზი: ხელოვნურ ინტელექტს აქვს უნარი გააანალიზოს სხვადასხვა წყაროდან იძლება მიდიდი რაოდენობით მონაცემები და დაადგინოს ფარული შაბლონები, რომლებიც გვიჩვენებს ბაზრის მომავალ ტენდენციებს. ეს საშუალებას აძლევს ბიზნესს მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები განვითარებისა და სტრატეგიის შესახებ და მინიმუმამდე დაიყვანოს ბაზარზე გაუთვალისწინებელი ცვლილებების რისკები.

ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია და ოპტიმიზაცია: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ მრავალი რუტინული ამოცანის ავტომატიზაცია და კომპანიის შიგნით მიმდინარე პროცესების ოპტიმიზაცია. ეს არა მხოლოდ აუმჯობესებს ეფექტურობას, არამედ ამცირებს ადამიანის შეცდომების ალბათობას. მაგალითად, ინვენტარის

მართვის ავტომატიზაცია საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ საწყობში საქონლის დეფიციტი ან მისი ჭარბი რაოდენობა.

მომხმარებელთა მოთხოვნის პროგნოზირება: ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია მომხმარებლის ქცევის მონაცემების ანალიზი და მომხმარებლის პრეფერენციების ცვლილებების პროგნოზირება. ეს საშუალებას აძლევს კომპანიებს, მოარგონ თავიანთი პროდუქტები და სერვისები ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს.

თაღლითობის გამოვლენა და კიბერშეტევებისგან დაცვა: ხელოვნური ინტელექტი შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრანზაქციების გასაანალიზებლად და უჩვეულო ან საეჭვო შაბლონების გამოსავლენად, რაც ხელს უწყობს თაღლითობისა და კიბერშეტევების თავიდან აცილებას. ეს კი თავის მხრივ საშუალებას აძლევს კომპანიებს დაიცვან თავიანთი აქტივები და უზრუნველყონ თავიანთი მომხმარებლების უსაფრთხოება.

3. უწყვეტი მუშაობა. მსოფლიოში, სადაც ბიზნესს არასდროს სძინავს, ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელოვანი უპირატესობაა მისი შესაძლებლობა იყოს ხელმისაწვდომი 24/7 და მუდმივად იმუშაოს შეფერხების გარეშე.

ხელოვნურ ინტელექტს არ სჭირდება დასვენება და შეუძლია იმუშაოს პროდუქტიულობის დაკარგვის გარეშე. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა იმ სფეროებში, სადაც საჭიროა მუდმივი მონიტორინგი და სწრაფი რეაგირება, როგორიცაა ფინანსური ბაზრები.

24/7 მხარდაჭერა და რჩევები: ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელია ვირტუალური ასისტენტებისა და ჩატბოტების შესაქმნელად, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მომხმარებლებისთვის მხარდაჭერა და რჩევები დღის ნებისმიერ დროს.

გასული წლის ნოემბერში Google-მა გამოაცხადა ახალი სისტემის შექმნა კომპანიებისთვის, რომლებიც იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს. ეს სისტემა შექმნილია მომხმარებლის მომსახურების გასაუმჯობესებლად. ის ფუნქციონირებს როგორც სატელეფონო ცენტრი, სადაც ხელოვნური ინტელექტი ეხმარება კომპანიებს სწრაფად უპასუხონ კითხვებს და გადაჭრან მომხმარებელთა პრობლემები.

ინოვაციური სისტემა გთავაზობთ პრობლემების გადაჭრას რეალურ დროში რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. კომპანიას შეუძლია სწრაფად უპასუხოს მომხმარებელთა მოთხოვნებს და უზრუნველყოს მათთვის საჭირო მხარდაჭერა. ეს ხელს უწყობს კომპანიასა და მის მომხმარებლებს შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესებას, ზრდის ნდობისა და კმაყოფილების დონეს.

ანალოგიურად, Amazon Lex ჩატბოტს, რომელიც შემუშავებულია ამაზონის ქოლ-ცენტრისთვის, აქვს ინტელექტუალური საუბრის უნარი. ის იყენებს იმავე ტექნოლოგიას, როგორც Amazon Alexa, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ცნობს მომხმარებლის განზრახვას, სვამს შესაბამის შემდგომ კითხვებს და იძლევა პასუხებს. ეს ჩატბოტები ხელმისაწვდომია 24/7 და ემსახურება მომხმარებლებს მთელს მსოფლიოს მასშტაბით. (Amazon Alexa, n.d.)

4. სწრაფი გადაწვეტილებების მიღება. ხელოვნური ინტელექტისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი სისტემების შექმნას, რომლებსაც შეუძლიათ მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ადამიანებს.

რატომ უნდა ვენდოთ მანქანის გადაწყვეტილებებს?

მიზეზი მარტივია. ის მოკლებულია ყოველგვარ ემოციას და წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს. როდესაც ადამიანი გადაწყვეტილებას იღებს, მას დიდწილად ემოციები განაპირობებს. მეორეს მხრივ, ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე შექმნილ სისტემებს

გააჩნიათ რაციონალური, შესაბამისად ეს შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.

ხელოვნური ინტელექტის ნაკლოვანებები:

1. ხელოვნური ინტელექტის სისტემების დანერგვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. *საწყისი ინვესტიცია:* ხელოვნური ინტელექტის სისტემების დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან საწყის ინვესტიციას. კომპანიებმა უნდა შეიძინონ საჭირო აღჭურვილობა, შეიმუშაონ ან შეიძინონ სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფა და გადაამზადონ პერსონალი. ეს შეიძლება იყოს საკმაოდ ძვირადღირებული პროცესი, განსაკუთრებით მცირე ბიზნესისთვის.

თანამედროვე სისტემების გამოყენება და მათი მხარდაჭერა: ხელოვნური ინტელექტის სისტემების შენარჩუნება და განახლება ასევე მოითხოვს მნიშვნელოვან ხარჯებს. ეს მოიცავს არა მხოლოდ ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შენახვას, არამედ პერსონალის მუდმივი მომზადებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხარჯებს.

2. მანქანებს აქვთ კრეატიულობის ნაკლებობა. ბიზნეს სამყაროში, სადაც ინოვაციებსა და კრეატიულ გადაწყვეტილებებს შეუძლია განსაზღვროს კომპანიის წარმატების ან წარუმატებლობის განსაზღვრა, ხელოვნური ინტელექტის ეს უუნაროობა არის საკმაოდ მნიშვნელოვანი შეზღუდვა.

უპირველეს ყოვლისა, მანქანებს არ შეუძლიათ შექმნან ახალი იდეები ან კონცეფციები, რომლებიც შეიძლება დაეხმარონ კომპანიებს განვითარებაში ან ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებაში. ადამიანებისგან განსხვავებით, რომლებიც შეიძლება შთაგონებულნი იყვნენ მათი გამოცდილებით, ინტუიციით და წარმოსახვით, მანქანები მუშაობენ მათთვის მინიჭებული ალგორითმებისა და მონაცემების საფუძველზე.

3. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ადამიანების სამუშაო ადგილების ჩანაცვლება. ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი არის სამუშაო ადგილების შეცვლის პოტენციალი. ბიზნეს სექტორში, ამან შეიძლება გამოიწვიოს სამუშაო ადგილების შემცირება ისეთ მიმართულებებებში, როგორიცაა წარმოება, მარკეტინგი და მენეჯმენტიც კი. მაგალითად, ბევრი კომპანია იყენებს ხელოვნური ინტელექტის სისტემებს ავტომატიზაციისა და პერსონალის ხარჯების შემცირების მიზნით.

ამან შეიძლება გამოიწვიოს შეშფოთება სამუშაო პერსონალს შორის, რადგან AI შეიძლება იყოს უფრო ეფექტური და იაფი ვიდრე ადამიანური რესურსი.

ამრიგად, ხელოვნური ინტელექტის დანერგვას ბიზნეს სექტორში შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგები შრომის ბაზარზე, მათ შორის სამუშაო ადგილების პოტენციური დაკარგვა და უმუშევრობის გაზრდა. შესაბამისად ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია მოითხოვს შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებას უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უპირატესობების მაქსიმალურად გაზრდის მიზნით.

თუ გადავხედავთ ხელოვნური ინტელექტის ნაკლოვანებებს, ისინი ემყარება იმ ფაქტს, რომ ხელოვნური ინტელექტის მქონე მანქანებს არ გააჩნიათ ადამიანური თვისებები. თუმცა, თუ ხელოვნური ინტელექტის სარგებელსა და რისკს შევაფასებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მანქანებს შეუძლიათ უფრო დიდი სიჩქარით, სიზუსტით და ეფექტურობით შეასრულონ დავალებები, ვიდრე ადამიანებს. მაგალითად, მანქანებს შეუძლიათ დაუღალავად იმუშაონ, , არ ექვემდებარებიან ადამიანურ შეცდომებს და შეუძლიათ უმოკლეს დროში დაამუშავონ უზარმაზარი მონაცემები. ეს მათ შეუცვლელს ხდის ისეთ სფეროებში, როგორიცაა მედიცინა, ფინანსები, წარმოება და მრავალი სხვა. თუმცა, მიუხედავად ყველა უპირატესობისა, ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ იმ დღისგან, როდესაც მანქანებს ექნებათ ისეთი ადამიანური თვისებები,

როგორიცაა ემოციები და ინტუიცია. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთ სიტუაციაში, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, სადაც საჭიროა კრეატიულობა ადამიანის როლი შეუსაბამო დარჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://dergipark.org.tr/en/pub/kdeniz/issue/48671/573640
2. http://eprints.tsu.ge/1457/
3. Gilchrist, A. (2016). *Industry 4.0: The Industrial Internet of Things.* New York: Apress.
4. Mitchell, M. (2019). *Artificial Intelligence: A Guide for Thinking Humans.* New York: Farrar, Straus and Giroux; First Edition.
5. Rebelo, M. (2023, April). Retrieved from Zapier: https://zapier.com/blog/best-ai-chatbot/
6. Wooldridge, M. (2021). *A Brief History of Artificial Intelligence.* New York: Flatiron Books.
7. https://www.marketer.ge/ai-nlp-georgian-assistent/
8. https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publication/354249108_2021_CEO_Proceedings_Book_Ready_to_Publish/links/612e579438818c2eaf72d485/2021-CEO-Proceedings-Book-Ready-to-Publish.pdf#page=179
9. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287
10. https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95

ინტელექტუალურ-კომუნიკაციური ფუნქციის ფორმირება სამეცნიერო-ლინგვისტურ ტექსტებში

The Formation of Intellectual and Communication Function in Scientific and Linguistic Texts

ქეთევან ტაბუცაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასოცირებული პროფესორი
Ketevan Tabutsadze - Georgian National University SEU
Associated Professor

აბსტრაქტი. ენათმეცნიერები აღნიშნავენ,რომ სამეცნიერო პროზის სტილს ახასიათებს აგებულების ლოგიკურობა, გადმოცემის ექსპლიციტურობა. სამეცნიერო პროზის სტილს ლინგვისტები ახასიათებენ, როგორც ენობრივი მასალის ისეთ ორგანიზებას, რომელიც ემსახურება სამეცნიერო საკითხების თანმიმდევრულ და სისტემატურ გადმოცემას, დაკვირვების, ექსპერიმენტისა და ანალიზის შედეგების ზუსტ ჩამოყალიბებას, ამა თუ იმ თეორიის, კონცეფციის სისწორის ან მცდარობის დამტკიცებას .

სტატიაში განხილულია ორი საპირისპირო თვალსაზრისი სამეცნიერო ტექსტში ცოდნის რეალიზაციის შესაძლებლობის შესახებ. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ სამეცნიერო პროზის ენაში უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი ემოციურ-შეფასებითი მომენტი. სხვა მეცნიერთა მოსაზრებით, გადმოცემული მასალისადმი სუბიექტური დამოკიდებულების ელემენტი არ შეიძლება ამოვიღოთ მეცნიერული პროზის ენიდან, ვინაიდან ზუსტად მათში დევს საგნის შემაფასებელი დახასიათება .

ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ სამეცნიერო სტილს თანსდევს გარკვეული

შეფასებითი დამოკიდებულება, რომელიც შეესაბამება სამეცნიერო კვლევის ძირითად მიზნებს. გამომდინარე იქიდან, რომ სამეცნიერო სტილის ძირითადი ფუნქციაა ინტელექტუალური შინაარსის გადმოცემა, ანუ ინტელექტუალურ-კომუნიკაციური ფუნქცია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეცნიერო სტილის ტექსტებისთვის დამახასიათებელია ადრესანტის ინტელექტუალური შეფასების გადმოცემა გამონათქვამის შინაარსის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ინტელექტუალურ-კომუნიკაციური ფუნქცია, სამეცნიერო-ლინგვისტური, გადმოცემის ექსპლიციტურობა, ცოდნის რეალიზაცია, ემოციურ-შეფასებითი მომენტი.

Abstract. Linguists point out that the style of scientific prose characterizes the logic of the structures, the expansion of the conveyance. The linguists characterize the scientific prose as an organization of linguistic materials that serve the consistent and systematic concepts of scientific issues, accurate formation of observations, experiments and analysis, approve the correctness or falsehood of the theory.

The article discusses two opposing views on the possibility of realizing the knowledge in the scientific text. Some researchers think that any emotional-evaluation moment might not be included in the scientific prose language. Other scientists believe that the element of subjective dependence on the material presented cannot be lost from the language of the scientific prose, because it accurately describes the subject's assessment.

We share the view that the scientific style is of some kind of assessment that corresponds to the main objectives of scientific research. Since the main function of scientific style is the intellectual content, or intellectual - communication function, we can conclude that it is authentic to convey the content of intellectual assessment for the scientific texts.

Key Words: Intellectual and Communication function, Scientific and Linguistic, the expansion of the conveyance, Knowledge realization, and the emotional and Assessment moment.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაბუხადია მ.-მოდალობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები ინგლისურსა და ქართულში, 2010.

2. Адмони В.Г. Введение в синтаксис современного немецкого языка. - М.: Изд-во лит-ры на иностр. яз., 1955. - 392 с.

3. Арнольд И.В. Стилистика современного английского языка. (Стилистика декодирования). - 2- Г е изд., перераб. - Л.: Просвещение, Ленинградок, отд-ние, 1984. - 295 с.

4. Бенвенист Э. Общая лингвистика / Пер. с франц. Ю.Н.Караулова. - М.: Прогресс, 1974. - 447 с.

5. Fitzgerald F.S.- The Great Gatsby. - Kiev: Dnepr Publishers, 1973. - 184 p; This Side of Paradise. - Gr. Br.: Penguin Books, 1986. - 254 p.

6. Galsworthy J. -End of the Chapter. - M. Foreign Languages Publishing House, 1960. - V. 1-2. - 601 p.

7. Gardiner Л.- The Theory of Speech and Language. - 2nd ed. - Oxford: At the Clarendon Press, 1963. - 348 p.

8. Greene G.- Loser Takes All. - L.: Penguin Books, 1980. – 124.

9. Greerie G.- Brighton Rock. - L.: Penguin Books, 1960. - 250 p. 144.

10. Hailey A.- In High Places. - N.Y.: Bantam Books, 1979, 376 p.

11. Lyons J. Semantics. - Vol. 2. - L.: Cambridge University Press, 1977. - p. 373 – 893.

12. Mailer N.- An American Dream. - L.: Granada Publishing, 1979, 252p.

13. Maugham W.S. -The Magician. - L.: Penguin Books, 1983. - 199 p.; The Painted Veil. - N.Y.: Penguin Books, 1982, 238p.

ფსიქოსოციალური დინამიკა ორგანიზაციაში
Psychosocial dynamics in the organization

ნინო დიდიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ასოცირებული პროცესორი
ნინელი თევდორაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ასოცირებული პროცესორი
Nino Didishvili - Georgian National University SEU Associate Professor
Nineli Tevdorashvili - Georgian National University SEU Associate Professor

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ორგანიზაციული ქცევის ძირითადი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, ორგანიზაციული ქცევის თავისებურებები ინდივიდუალურ, ჯგუფურ და ორგანიზაციულ დონეებზე. აღწერილია ორგანიზაციული ქცევის ცვლილებების მსოფლიო ტენდენციები ფასეულობების და მოტივაციის შეცვლის სიტუაციებში. განსაზღვრულია ორგანიზაციაში პიროვნების ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებები. მოყვანილია გარემოში ორგანიზაციის ქცევის მოდელები.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული ქცევა, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებები, მცირე ჯგუფების ფენომენი, გარემოში ორგანიზაციის ქცევის მოდელები.

Annotation. The main socio-psychological factors of organizational behavior, peculiarities of organizational behavior at individual, group and organizational levels are discussed in the article. World trends of changes in organizational behavior in situations of changing values and motivation are described. The psychological characteristics of a persons behavior in the organization are defined. The models of the organizations behavior in the environment are given.

Keywords: organizational behavior, socio-psychological factors, psychological characteristics of a person, phenomenon of small groups, models of organizational behavior in the environment.

ორგანიზაციული ქცევა გარე გამოვლინებაა ბევრი ფაქტორის შრომით საქმიანობაში, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის ცხოვრებაზე თანამედროვე საზოგადოებაში. გლობალიზაცია, ეკონომიკური კრიზისები, პოლიტიკური და სოციალური გარემოს ცვლილება ცვლის როგორც ცალკეული ადამიანების, ასევე ორგანიზაციის ქცევასაც. ორგანიზაციული ქცევა ასახავს მსოფლიო ტენდენციებს თანამშრომელთა მოთხოვნილებების და მოტივაციის ცვლილებებში. ფ.ლუტენსის კლასიკური განმარტების თანახმად, ორგანიზაციული ქცევა არის ადამიანების ქცევის გაგება, განსაზღვრა და მართვა ორგანიზაციაში.

აღნიშნულ ნაშრომში ვეცდებით განვიხილოთ ზოგიერთი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ ინდივიდის და ჯგუფების ორგანიზაციულ ქცევაზე. მათ მიეკუთვნება ის მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რომლებიც განსაზღვრავენ შრომის ბაზრის და შრომითი რესურსების განვითარებას: შრომისადმი დამოკიდებულების ეროვნული თავისებურებები, ორგანიზაციული ქცევის გამოვლენის ფსიქოლოგიური თავისებურებები პიროვნების ტიპიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მდგომარეობა, მცირე ჯგუფების ფუნქციონირების ფენომენი და ორგანიზაციის ქცევა გარემოში.

ცხოვრების ხარისხის და ადამიანური კაპიტალის შედარებითი ანალიზის შედეგები სხვადასხვა ქვეყანაში გვიჩვენებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენენ საქმიანობის აქტივობასა და დაინტერესებაზე. ასე მაგალითად, ცხოვრების ხარისხის ინდექსი ასახავს ცხოვრების კმაყოფილების სუბიექტურ შედეგებს და შეუსაბამებს მათ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ობიექტურ მაჩვენებლებს. ინდექსი დგინდება იმ საკვანძო მაჩვენებლების სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, როგორიცაა ჯანმრთელობა, ოჯახური და საზოგადოებრივი ცხოვრება, მატერიალური კეთილდღეობა, პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება, დასაქმების დონე და სხვ.

2024 წლის ცხოვრების ხარისხის მსოფლიო რეიტინგის მიხედვით საქართველო 117,6ქულით 56-ე ადგილზეა. ის ბევრი კრიტერიუმით ჩამორჩება მრავალ ქვეყანას და ეს გავლენას ახდენს შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტურობაზე. საქართველოში ორგანიზაციული ქცევის თეორიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად თვლიან მისი სპეციფიკის არასაკმარისად შესწავლას, რომელიც განპირობებულია მენტალიტეტის და ეროვნული ხასიათის თავისებურებებით. ამიტომ აუცილებელია ქართველი მომუშავის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნა. როდესაც ვახსენებთ ეროვნულ ხასიათს, ვგულისხმობთ ისეთ მახასიათებ;ლებს, როგორიცაა ტემპერამენტი, პიროვნული თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია ცალკეული ერის დიდი უმრავლესობისთის, ღირებულებითი ორიენტაცია, ძალაუფლებისადმი დამოკიდებულება. განსხვავებულ კულტურებში ეს მახასიათებლები სხვადასხვანაირად ვლინდება. აშშ-ში დომინირებს ინდივიდუალიზმი, ჩინეთში კოლექტივიზმი, ასევე საქართველოშიც კოლექტივიზმი დომინირებს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ კულტურების დაახლოებამ შეარყია საზოგადოებათა ღირებულებრივ-აზრობრივი სტრუქტურა და ცვლის ტრადიციულ ორგანიზაციულ ქცევას.

საქართველოში ორგანიზაციულ ქცევას აქვს თავისი უნიკალური მახსიათებლები, რომლებიც ფორმირებულია კულტურული, ისტორიული და სოციალური ფაქტორების გავლენით. ცოტა რომ ჩავუღრმავდეთ ამ თემას, ძირითადი თავისებურებები, რომლებიც ახასიათებს ორგანიზაციულ ქცევას საქართველოში, არის შემდეგი:

1.პატივისცემის და იერარქიის კულტურა.

ქართულ საზოგადოებაში ტრადიციულად პატივს სცემენ ასაკით უფროს ადამიანებს და აღიარებენ იერარქიის მნიშვნელობას. ეს აისახება ორგანიზაციულ კულტურაშიც, სადაც ხელმძღვანელობას მეტწილად განიხილავენ, როგორც ფიგურებს, რომლებიც იმსახურებენ პატივისცემას. გადაწყვეტილებები უფრო ხშირად მიიღება მაღალ დონეზე და დაქვემდებარებულები მას იღებენ.

2.პირადი ურთიერთობების როლი.

პირადი კავშირები და ურთიერთობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც ქართულ საზოგადოებაში, ასევე ქართულ ორგანიზაციებშიც. ოჯახური და სოციალური კავშირები ხშირად ახდენენ გავლენას საქმიან ურთიერთობებზე და კარიერულ ზრდას ხელს უწყობენ. ამას ხანდახან მივყავართ ფავორიტიზმის წარმოქმნამდე, რამაც შეიძლება იმოქმედოს მართვაში და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურობაზე.

3. სტუმარ-მასპინძლობა და კოლექტივიზმი.

სტუმართმოყვარეობა ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია და ეს აისახება ორგანიზაციულ ქცევაზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საქართველოსთვის დამახასიათებელია კოლექტივიზმი და ეს ორგანიზაციაში აისახება არაფორმელურ შეხვედრებში, მონაწილეობით სოციალურ მოვლენებში. ორგანიზაციაში აფასებენ კოლექტივის შეკრულობას და ერთმანეთის დახმარებას.

4. მოქნილობა და ადაპტურობა.

ქართველები ხშირად ვავლენთ მოქნილობას სამუშაოს მიმართ, განსაკუთრებით გაურკვევლობის ან არასტაბილურობის პირობებში. ეს თვისება სასარგებლო იქნება სწრაფად ცვალებად სამუშაო გარემოში. თუმცა, ასეთი მოქნილობა შეიძლება მიუთითებდეს მართვაში ფორმალური პროცესების და მკაფიო სტრუქტურის არასაკმარისობაზე, რაც შექმნის გამოწვევებს ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში.

5. დროისადმი დამოკიდებულება.

საქართველოში დროისადმი დამოკიდებულება მკვეთრად განსხვავდება დასავლეთის ქვეყნებისგან. ეს ვლინდება იმაში, რომ საქმეები შეიძლება გადაიჭრას არც ისე სწრაფად, როგორც საჭიროა, ხოლო ვადები მუდმივად იცვლებოდეს. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ავღნიშნოთ, რომ საერთაშორისო ბიზნესის და დასავლური სტანდარტების ზრდასთან ერთად, სიტუაცია თანდათან იცვლება.

6. გენდერული და ასაკობრივი თავისებურებები.

ორგანიზაციულ ქცევაზე გენდერული და ასაკობრივი თავისებურებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. მაგ. ქალები შეიძლება აწყდებოდნენ გარკვეულ შეზღუდვებს კარიერულ ზრდაში, ხოლო ასაკოვანი თანამშრომლები განიცდიდნენ სირთულეებს ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და ადაპტაციაში. ამავე დროს საქართველოში თანდათან ინერგება ორგანიზაციებში ინიციატივები გენდერული თანასწორობის და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად.

ორგანიზაციული ქცევა საქართველოში ხასითდება ტრადიციული ფასეულობების შერწყმით თანამედროვე ბიზნეს-პრაქტიკებთან. პატივისცემა იერარქიის მიმართ, პირადი კავშირების მნიშვნელობა, მოქნილობა და კოლექტივიზმი უმნიშვნელოვანესი ასპექტებია, რომლებიც აყალიბებენ ქვეყანაში უნიკალურ კორპორატიულ კლიმატს. თუმცა, გლობალიზაციის გავლენის ზრდის გამო ქართული ორგანიზაციები სულ უფრო მეტად იღებენ მართვის დასავლური კულტურის ელემენტებს, რაც იწვევს თანდათანობით ცვლილებებს ორგანიზაციულ ქცევაში.

ჩვენ შეგვიძლია მსოფლიო ტენდენციად ჩავთვალოთ მომუშავეთა ღირებულებითი აზროვნების და მოტივაციური პრიორიტეტების დინამიური ცვლილება. ამერიკელმა მეცნიერებმა უილიამ შტრაუსმა და ნეილ ჰოუვმა, თაობათა თეორიის ავტორებმა, აღწერეს სხვადასხვა ასაკის წარმომადგენლების დამახასიათებელი თვისებები, მათ შორის განსხვავებები მოტივაციაში. მეცნიერებმა გამოყვეს რამდენიმე თაობა: მდუმარე თაობა, ბები-ბუმერები, თაობა X,Y, Z. ახალი თაობის ინტერესებშია სწრაფვა მუშაობის თავისუფალი გრაფიკისადმი, არასრული სამუშაო დღისადმი, იმ ყველაფრისადმი, რაც საშუალებას მისცემს მათ დაიცვან ბალანსი

სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის. ვერტიკალური კარიერული ორიენტაციები სუსტად გამოხატულია და უპირატესობა ენიჭება პროფესიულ სფეროში თვითრეალიზაციას. ეს ყველაფერი აიძულებს მენეჯერებს ეძიონ ახალი მიდგომები მართვაში და მოტივაციაში. საყოველთაოდ ცნობილია წარმატებულ კომპანიათა(Google, Apple) გამოცდილება ამ მხრივ, რომელიც გულისხმობს მარტივ პრინციპს: გულწრფელი ზრუნვა ადამიანებზე, მათ განწყობაზე. მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება აუცილებელი პირობაა, თუმცა არასაკმარისი, რადგანაც თანამედროვე მომუშავის მოტივატორები შემდეგია: შემოქმედება, თავისუფლება, ინტერესი. ორგანიზაციულ ქცევაზე გავლენის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს თანამშრომელთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მდგომარეობა. დინამიურ და კონკურენტულ გარემოში გამძაფრებულია ფსიქოლოგიური გადაწვის და ფსიქოლოგიური დეფორმაციის ფორმირების პროფილაქტიკის პრობლემა. ფსიქოლოგიური გადაწვის სინდრომი შეიმჩნევა თითქმის ყოველ მესამე თანამშრომელში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანებთან მუდმივ კონტაქტთან. ესენი არიან ექიმები, მასწავლებლები, სოციალური მუშაკები, მენეჯერები. ფსიქოლოგიური გადაწვის სინდრომის ფორმირების სტადიები აღწერილია და ცნობილია, მაგრამ დიაგნოსტიკის და პროფილაქტიკის მეთოდებად ორგანიზაციული ქცევის მართვაში საკმაოდ ეფექტურია არტ-თერაპიის მეთოდები, რომლებიც სულ უფრო ხშირად გამოიყენება პერსონალის მართვაში. არტ-თერაპია ხელს უწყობს პიროვნების შემოქმედებითი რესურსების აქტივიზაციას, რაც მნიშვნელოვანია კონკურენციის პირობებში, რომელსაც უზრუნველყოფს ინოვაციები. არტ-თერაპიის სხვასხვა მეთოდებს იყენებენ შერჩევის პროცესში, პერსონალის შეფასებისას, პროფ.სწავლების დროს და სხვ.

ფსიქოლოგიური კეთილდღეობის კომპონენტები (კ. რიფის მიხედვით): პოზიტიური ურთიერთობა გარშემომყოფებთან, ავტონომიურობა, კომპეტენტურობა, პიროვნული ზრდა, მიმღებლობა, ცხოვრებისეული მიზნების შეცნობა ფორმირება, მათ შორის არტ-თერაპიის დახმარებით, რომლის მეთოდებიც სავსებით მისღებია ორგანიზაციული ქცევის მართვაში. ორგანიზაციული ქცევის კვლევა ინდივიდის დონეზე გვიჩვენებს, რომ ერთობლივი საქმიანობის პირობებში სხვებთან ურთიერთქმედება ასახავს მომუშავის პიროვნულ თავისებურებებს. ეს არის ტემპერამენტი, ხასიათი, ფასეულობები და მოთხოვნილებები. თანამშრომელთა ქცევის თავისებურებების ცოდნა, რომლებიც სხვადასხვა როლს ასრულებენ, საშუალებას გვაძლევს უფრო ეფექტურად ვმართოთ ორგანიზაციაში ადამიანთა ქცევა. ორგანიზაციული ქცევის დისფუნქციებს აკუთვნებენ: ზეწოლას, შევიწროვებას, ფსიქოლოგიურ ტერორს, ის შეიძლება გამოვლინდეს როგორ ხელმძღვანელის მხრიდან, ასევე კოლეგების მხრიდანაც.ეს კი მხოლოდ ინდივიდუალური პრობლემა აღარ არის, ის საერთოეკონომიკური პრობლემა ხდება. Washington Profile ცნობით ყოველწლიურად ამერიკის კომპანიები ამ მიზეზით კარგავენ $250მლრდ. ამაში შედის შრომის მწარმოებლურობის შემცირება, კვალიფიციური თანამშრომლების დაკარგვა, ტრავმატიზმის ზრდა, ბიულეტენი, კომპენსაციები, რეპუტაციული ზიანი.

ფსიქოსოციალური დინამიკა ორგანიზაციაში მიეკუთვნება იმ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს ადამიანებს შორის სამუშაო გარემოში, ის გავლენას ახდენს მათ ქცევაზე, ურთიერთობებზე და კეთილდღეობაზე. ეს ტერმინი მოიცავს ფაქტორების საკმაოდ ფართო სპექტრს:

1.პიროვნებათშორის ურთიერთობებს: კოლეგებს, ხელმძღვანელებს და დაქვემდებარებულებს შორის ურთიერთქმედება, ასევე ნდობის ხარისხი, თანამშრომლობის დონე;

2.ჯგუფური დინამიკა: მეთოდები, რომელთა დახმარებითაც გუნდი ერთად მუშაობს, როლების განაწილება, გადაწყვეტილების მიღება, კონფლიქტების გადაჭრა. აქ უნდა განვიხილოთ ისეთი ასპექტებიც, როგორიცაა ლიდერობა, ჯგუფის ერთიანობა და ჯგუფური ზეწოლა;

3.ორგანიზაციული კულტურა: ნორმები, ფასეულობები, რიტუალები, რომლებიც არსებობს ორგანიზაციაში და რომლებიც წარმართავენ თანამშრომლების ქცევას;

4. ფსიქოლოგიური კლიმატი: თანამშრომლების მიერ სამუშაო გარემოს აღქმა, უსაფრთხოების განცდა, პატივისცემა და სამართლიანობა;

5.სტრესი და კეთილდღეობა: ორგანიზაციული ცვლილებების გავლენა, დატვირთვა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ასევე გავლენას ახდენენ თანამშრომლეთა ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე;

6.მოტივაცია და სამუშაოთი კმაყოფილება: ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოტივაციის დოენზე, როგორიცაა განვითარების შესაძლებლობა, აღიარება და სამუშაოსა და პიად ცხოვრებას შორის ბალანსი;

ორგანიზაციაში ფსიქოსოციალური დინამიკის შეცნობა მნიშვნელოვანია კეთილსაიმედო სამუშაო გარემოს შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს მწარმოებლურობის გაზრდას, კადრების დენადობის შემცირებას და თანამშრომელთა საერთო კეთილდღეობას.

კეთილსაიმედო სამუშაო გარემოს შექმნა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამუშაო ატმოსფეროს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ასპექტები, მაგ: ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციის მხარდაჭერა, ურთიერთპატივისცემის კულტურის შექმნა, შრომის სამართლიანი პირობების შექმნა, სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის დაცვა, კომფორტული და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, პიროვნული და პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, სტრესის და ფსიქოემოციური დატვირთვის მართვა.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორგანიზაციულ ქცევაზე მოქმედ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება: გლობალიზაციის მსოფლიო პროცესები და შრომის ბაზრის განვითარება, ქცევის ეროვნული თავისებურებები და დამოკიდებულება შრომისადმი, თაობათა შორის განსხვავება ორგანიზაციულ ქცევაში, თანამედროვე პირობებში ფასეულობების და მოტივაციის ცვლილება, პიროვნების ფსიქოლოგიური თავისებურებები, კოლექტივის ფუნქციონირების სოციალურ-ფსიქოლოგიური პირობები, ორგანიზაციების ქცევა. რაც შეეხება პრობლემებს, რომლებიც ამ ეტაპზე საჭიროებენ გადაწყვეტის თეორიული და პრაქტიკული მეთოდების მოძიებას, მიეკუთვნება: ფსიქოფიზიოლოგიური ფაქტორები, გენდერული და ასაკობრივი დისკრიმინაციის საკითხები, შრომისადმი დამოკიდებულების ასაკობრივი თავისებურებები, ხელმძღვანელთა ემოციური ინტელექტის განვითარება, ქართველი თანამშრომლის ფსიქოლოგიური თავისებურებების განსაზღვრა, საქართველოში ორგანიზაციული ქცევის ლოკალური თავისებურებების კვლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

33. S. Alexander Haslam Psychology in organizations. The Social identity approach, 2004;

34. Goffee R, Jones G What holds the modern company together 1996;

35. Jehn K. Multimethod examination of the benefits and detriments of intragroup conflict 1995;

36. J.R. Hackman Leading teams: setting the stage for creat performances 2002;
37. Maslach C, Leiter M. Burnaut in the workplace: a review of the literature 2016;
38. Schein E.H. Organizational culture and leadership 2004;
39. Smith KK, Berg DN A paradoxical conception of group dynamics; 1987;
40. Weick K. Sensemaking in organizations 1995;
41. https://commersant.ge/news/technologies/tsifruli-tskhovrebis-khariskhis-reitingshi-saqartvelo-65-e-adgilzea

ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა ავიასაწარმოებში
Importance of human capital in aviation enterprises

ანა კურტანიძე - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი.
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი/პროფესორი.
ნინო დარსაველიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სატრანსპორტო სისტემების და მექნიკის ინჟინერიის
ფაკულტეტი/ასოცირებული პროფესორი
ლელა ბოჭოიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სატრანსპორტო სისტემების და მექნიკის ინჟინერიის
ფაკულტეტი/ასოცირებული პროფესორი
Anna Kurtanidze - Aviation University of Georgia.
Faculty of Business Administration/Professor.
Nino Darsavelidze - Georgia Technical University,
Faculty of Transportation Systems and Mechanical Engineering/Associate Professor
Lela Bochoidze - Georgia Technical University,
Faculty of Transportation Systems and Mechanical Engineering/Associate Professor

ანოტაცია. ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირება ძირეულადაა დაკავშირებული მისი ინფრასტრქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგთან – საავიაციო ტრანსპორტთან. სამოქალაქო ავიაციის ფუნქცია, რომელიც მოიცავს როგორც სახელმწიფოთაშორისი და საქალაქთაშორისო კავშირურთიერთობის განხორციელებას, ისე გადაყვანა-გადაზიდვაში, მომსახურებასა და საქონელბრუნვაში მოსახლეობისა და მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, აქცევს მას პრიორიტეტულ დარგად. ხოლო მისი განსაკუთრებული და რთული ტექნიკური აღჭურვილობა - ექსპლუატაციის სპეციფიკურობა, ძვირი მომსახურება და რაც მნიშვნელოვანია, საერთაშორისო რეისების განხორციელებისას სხვადასხვა წესით აგებულ სხვადასხვა ეკონომიკურ სფეროში ფუნქციონირება – უნიკალურს. იგი მოქმედებს, ერთი მხრივ, საკუთარი ქვეყნის მიერ განსაზღვრული იურიდიული, ეკონომიკური, ნორმატიული და ორგანიზაციული პრინციპების დაცვით, ხოლო, მეორე მხრივ უპირობოდ იცავს საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ რეგულირების ადმინისტრაციულ, ექსპლუატაციურ და ეკონომიკურ ნორმებს.

გვანცა სვანიძის მიერ LOADSHEET-ისთვის შექმნილი ფორმულა „W&B RHEA“ ემსახურება საავიაციო პროცესების გამარტივებასა და ადამიანური ფაქტორის მიერ დაშვებული შეცდომების შემცირებას სტრესულ სიტუაციაში, რომელიც პრაქტიკული გამოყენებისათვის მნიშვნელოვანი სიახლეა და საჭირო ინსტრუმენტია.ამ დოკუმენტში ასახულია მთლიანი წონების გადანაწილება როგორც საწვავის, მგზავრების,ტვირთის, ფოსტის და ბარგის ისე გათვალისწინებულია ცარიელი ხომალდის მონაცემები.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, ავიასაწარმოები, საავიაციო ტრასპორტი

Annotation. The functioning of the country's economy is fundamentally connected with one of the important branches of its infrastructure - aviation transport. The function of civil aviation, which includes the implementation of interstate and intercity communications, as well as meeting the needs of the population and the economy in

transportation, services and goods circulation, makes it a priority sector. And its special and complex technical equipment - specificity of operation, expensive service and what is important, functioning in different economic spheres built in different ways during international flights - is unique. It acts, on the one hand, in compliance with the legal, economic, normative and organizational principles defined by its own country, and on the other hand, it unconditionally protects the administrative, operational and economic norms of regulation defined by international standards.

Master of Aviation University Gvantsa Svanidze thoroughly studied and analyzed the impact of legislation on aviation safety and created the "W&B RHEA" formula for LOADSHEET.

The formula serves to simplify aviation processes and reduce errors made by the human factor in a stressful situation, which is an important innovation and a necessary tool for practical use.

Keywords: Human capital, aviation enterprises, aviation transport

შესავალი

ათასწლეულების წინ, როდესაც, კაცობრიობას, მხოლოდ ინსტრუმენტების დამზადება შეეძლო, ელემენტარული ერგონომიკის გამოყენებით, შრომის მწარმოებლურობის გაზრდის საშუალება მიეცა. მაგრამ, მხოლოდ ბოლო ასი წლის განმავლობაში აღინიშნა, ერგონომიკის ევოლუციის და ადამიანური ფაქტორის მნიშვნელობის საკითხში, ნახტომისებური წინსვლა.

ერგონომიკა არის დისციპლინა, რომელიც, კომპლექსურად შეისწავლის, ინდივიდის შესაძლებლობებს, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებასთან, დაკავშირებულ საქმიანობაში. სამუშაო ადგილის პროექტირებისას, სპეციალისტები ეყრდნობიან, ცოდნას, ადამიანის ანატომიასა და შრომისმწარმოებლურობაზე, იმისთვის, რომ მან მაქსიმალური შედეგით და ჯანმრთელობისთვის, მინიმალური დანაკარგებით, იმუშაოს. ეს დისციპლინა, ცნობილია ასევე, ადამიანური ფაქტორის სახელწოდებით. სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც, კომპლექსურად სწავლობს როგორც ადამიანის, ასევე, ადამიანთა ჯგუფის უნარებს - შეიქმნა ინგლისში, XXს-ის 40-იანი წლების დამლევს.

ძირითადი ტექსტი

ადამიანური კაპიტალის თეორიის ფორმირების პერიოდები, უკავშირდება უ.პეტის სახელს, რომელმაც, 1690 წელს, გამოთქვა მოსაზრება რომ, კაპიტალს შესაძლებელია ჰქონდეს არამატერიალური ფორმაც და მას ცოცხალი მოქმედი ძალები უწოდა.

პეტიმ, ეს ძალა დაახასიათა, როგორც - ქვეყნის სიმდიდრისა და მარაგის - ელემენტი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს საზოგადოებრივი გაჭირვების ლიკვიდაციაში.

ა.სმიტმა კი, 1776 წელს გამოთქვა მოსაზრება რომ, ცოდნა და უნარ-ჩვევები არის კაპიტალი, რომელიც მუშაკის საკუთრებას წარმოადგენს.

ჟ.ბ.სეი კაპიტალის დაბანდებას განმარტავდა, როგორც მარაგის მომზადებას, მომავალი თაობისათვის: განათლებით, დამოუკიდებლობითა და ღირსებით. სასარგებლო უნარები და შესაძლებლობები, მის მიერ განიხილება როგორც, კაპიტალის არამატერიალური ფორმა. რომელიც ყალიბდება, ყოველწლიური დაბანდების შედეგად და წარმოადგენს მწარმოებლურობას. რითაც ეთანხმება სმიტისეულ - საწარმოს წარმოების საშუალებების განმარტებასაც.

ჯ.ს.მილი, მწარმოებლურ შრომას უწოდებს - სიმდიდრის შემქმნელს. მისი აზრით, ქვეყნის სიმდიდრე გულისხმობს: მუშაკთა ოსტატობას, ენერგიას და გამტანობას.

ს. ფიშერის მტკიცებით, ადამიანური კაპიტალი არის, ადამიანში განსხეულებული უნარი, რათა მიიღოს შემოსავალი. ეს არამარტო დაბადებისთანავე მიღებული უნარი და ტალანტია, არამედ განათლებაც და შეძენილი კვალიფიკაციაც. და ამიტომ, ადამიანური კაპიტალი გროვდება - როგორც ფიზიკური.

ი.შუმპეტერს ეკუთვნის მეწარმეობის კონცეფციის იდეა და კაპიტალის სტრუქტურის გართულების ახსნა, მისი ახალი არამატერიალური ფორმების ხარჯზე.

XX საუკუნის მეორე ნახევარში, კარდინალურად შეიცვალა მიდგომა, განათლებისა და ადამიანური კაპიტალის მიმართ. ე. დენისონმა შეიმუშავა, ეკონომიკური ზრდის, ფაქტორების კლასიფიკაცია.

23 ფაქტორიდან:

4 - მიაკუთვნა შრომას;

4 -კაპიტალს;

1 - მიწას;

14 კი - მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წვლილს.

რაც ნიშნავს რომ, პირველ ადგილზეა, სამუშაო ძალის ხარისხი - შრომის მწარმოებლურობა, რომელიც, განათლებაზეა დამოკიდებული.

ადამიანური რესურსების ფუნქცია, გულისხმობს, ორგანიზაციის პერსონალთან დაკავშირებულ, ნებისმიერ საკითხში, ინიციატივის გამოჩენასა და დახმარების გაწევას - დირექტივების გაცემას. ძირითადად, ადამიანური რესურსების ფუნქცია არის, საქმიანობის წარმართვა და რჩევების მიცემა, ეს არის, მომსახურების მიწოდება. რაც, ორგანიზაციას მისცემს შესაძლებლობას, შეასრულოს, დასახული გეგმა - პერსონალის დახმარებით.

საჰაერო მოძრაობის მართვა საქართველოს საჰაერო სივრცეში შპს "საქაერონავიგაციის" მიერ ხორციელდება, რომლიც საქართველოს საჰაერო სივრცეში და თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და მესტიის აეროპორტების აფრენა-დაფრენის ზონაში საჰაერო მოძრაობის მომსახურებასა და ფრენის უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს .[83]

სააგენტოები (დამოუკიდებელი, ავიაკომპანიების, აეროპორტების, ტურისტული სააგენტოების სტრუქტურაში) განახორციელებენ სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების რეალიზაციას.

საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ ფრენის, საინჟინრო და ტექნიკური პერსონალის მომზადებას და გადამზადებას სამოქალაქო ავიაციის სხვა სპეციალისტებთან ერთად.

კვლევითი ინსტიტუტები განახორციელებენ თვითმფრინავების ფრენისა და ტექნიკური საქმიანობის კვლევასა და განვითარებას, გააუმჯობესებენ საჰაერო მოძრაობის კონტროლის ორგანიზებას, განახორციელებენ დიზაინისა და კვლევის სამუშაოებს აეროდრომების საფუძვლის ბაზაზე.

საქართველოს საჰაერო სივრცის დამო¬უკიდებლად გამოყენება დაიწყო 1992 წელს. ახალ პირობებში საჭირო გახდა საჰაერო მოძრაობის მომსახურების ქსელის დახვეწა, ახალი საერთაშორისო სანავიგაციო მარშრუტების დაპროექტება, თანა-მედროვე ტექნიკით აღჭურვა და საერთაშორისო დონეზე ოფიციალური რეგისტრაცია.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სისტემის მთავარი შემადგენელი სუბიექტები არიან საქართველოს ავიაგდამზიდველები, აეროპორტები, სანავიგაციო სისტემები და საავიაციო მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს

[83]https://airnav.wordpress.com/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AB%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90/

კანონის შესაბამისად. მათი საქმიანობის ერთიანობა კი ქმნის მომხმარებელთა (ეროვნული მეურნეობა, ფიზიკური და იურიდიული პირები) ინტერესების დაკმაყოფილების სისტემას.

ავიაციის განვითარების საწყის ეტაპზე, ბევრი პრობლემა უკავშირდებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ვიბრაცია, ტემპერატურული ცვლილებები, აჩქარება და ამ ძალების ზეგავლენას ადამიანზე. ფიზიოლოგებმა და ფსიქოლოგებმა, ექიმებმა, კარგად იციან, რომ, ადამიანის ფიზიოლოგია და ადამიანის როლის ოპტიმიზაცია - მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ასახვას პოულობენ, ადამიანის საქმიანობის ყველა ასპექტს. მაგალითად: გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და შემეცნებას, სალონში დისპლეის კონტროლისა და აღჭურვილობის კონფიგურაციის დაპროექტებას, კომუნიკაციასა და პროგრამულ უზრუნველყოფას. იგივე ეხება, გეგმისა და რუქების, აგრეთვე დოკუმენტაციის მომზადებას, თვითმფრინავების ექსპლუატაციის სახელმძღვანელოებს და ა.შ.

ცოდნა - ადამიანური ფაქტორის სფეროში, უფრო და უფრო მეტად გამოიყენება, პერსონალის შერჩევისას, პერსონალის ცოდნის მომზადებისა და ტესტირების დროს, აგრეთვე პრევენციის მიზნითაც.ადამიანური ფაქტორების კონცეფციის შემუშავების დამატებითი წახალისების აუცილებლობა, წარმოიშვა, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, ინდუსტრიული წარმოების ოპტიმიზაცია, სამხედრო მოვალეობების, უფრო ეფექტურად შესრულების აუცილებლობით იყო გამოწვეული. მეორე მსოფლიო ომის დროს, გაჩნდა მოთხოვნა, სამხედრო და ტექნიკური აპარატურის მართვის ტექნიკის დახვეწასთან მიმართებაში და პერსონალის შერჩევა - სწავლება, სამეცნიერო პოზიციაზე გადავიდა.

ადამიანური ფაქტორების როლისადმი გაზრდილი ინტერესი, გამოწვეულია, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის საკითხის უდიდესი მნიშვნელობით, განსაკუთრებით, ავიაციის სფეროში და ადამიანურ ფაქტორზე, ცოდნის გამოყენება, მოითხოვს, ადამიანის, მაქსიმალური შესაძლებლობების გათვალისწინებას.

ადამიანური ფაქტორის ასპექტები – ის პრინციპებია, რომლებიც გამოიყენება დაპროექტებისა და სერტიფიცირებისას, კადრების მომზადებისა და საექსპლუატაციო საქმიანობის პროცესების გამართვის უზრუნველყოფის მიზნით, ავიაციაში ეს პრინციპები გამიზნულია, ადამიანსა და სხვა კომპონენტებს შორის უსაფრთხო ურთიერთქმედებისთვის, ადამიანის შესაძლებლობების სათანადო გათვალისწინებით.

მაგ: მეტეოროლოგიური ინფორმაციის გავრცელებისათვის ან ასახვისათვის, გამოიყენება კომპლექსური ავტომატური ან ნახევრადავტომატური სისტემა და მან უნდა უზრუნველყოს ისეთ მეტეოროლოგიურ ელემენტებზე დაკვირვების მონაცემების არაავტომატიზებული შეყვანის შესაძლებლობა, რომლებზეც დაკვირვებები ავტომატური საშუალებებით შეუძლებელია.

ასევე, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ადამიანის შესაძლებლობების, ოპტიმიზაციის მიზნით – საავიაციო საქმიანობის უსაფრთხოებასა და ეფექტურობაზე მოქმედი, ადამიანის უნარი და მისი შესაძლებლობების ფარგლები, უნდა შეესაბამებოდეს, ინსტრუქციულ მასალას, ადამიანის შესაძლებლობების შესახებ, რომელიც მოცემულია, ადამიანურ ფაქტორებზე, სწავლების სახელმძღვანელოებში.

მაგ: საავიაციო უნივერსიტეტის მაგისტრმა გვანცა სვანიძემ კარგად შეისწავლა და გაანალიზა კანონშემოქმედების გავლენა ავიაციის უსაფრთხოებაზე და შექმნა LOADSHEET-ისთვის აწყობილი ფორმულა „W&B RHEA“. გვანცა სვანიძის მიერ შექმნილი ფორმულა, ემსახურება საავიაციო პროცესების გამარტივებასა და ადამიანური ფაქტორის მიერ დაშვებული შეცდომების

შემცირებას სტრესულ სიტუაციაში, რომელიც პრაქტიკული გამოყენებისათვის მნიშვნელოვანი სიახლეა და საჭირო ინსტრუმენტია.

დასკვნა

თანამედროვე ეკონომიკაში, უდიდესი როლი აკისრია, ადამიანური რესურსების როლსა და მის განვითარებას. ადამიანური რესურსები, ზეგავლენას ახდენს, რეგიონის თუ მთლიანად, ქვეყნის განვითარებაზე.

თავისუფალი ბაზარი არა მხოლოდ მატერიალურ თუ არამატერიალურ საქონელს აწარმოებს, არამედ იდეებსაც. იდეებიც ხომ საქონელია. ადამიანური ფაქტორის მნიშვნელობა ბევრად გაიზარდა, მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების უნიკალურობა და კრეატიულობა. ამ ვითარებაში, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალი გზების ძიებისას, გადამწყვეტ როლს თამაშობს, ადამიანური კაპიტალის როლი.

ადამიანური ფაქტორის მზარდი მისია ინოვაციური ეკონომიკის განვითარების ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს. მისი პოტენციალი მიზნად ისახავს, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მართვის სისტემის გაუმჯობესებას, ეფექტური მექანიზმების დანერგვას და რისკებისა და საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანას, რაც უზრუნველყოფს კიდევაც, პირველ რიგში, უმნიშვნელოვანეს გარემოებას - უსაფრთხოებას.

სწორედ, რომ აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ადამიანის ფაქტორზე (რესურსზე) ავიაციაში. უნდა შევისწავლოთ პირველ რიგში რა არის ადამიანური ფაქტორი და როგორ შეიძლება მასზე დაკვირვებით და შესწავლით პრაქტიკული რჩევების თუ მითითებების შემუშავება ამ სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის.

ადამიანური ფაქტორების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება საერთაშორისო საავიაციო საზოგადოებას საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად უზრუნველყოს, ავიახაზების უსაფრთხო და ეფექტური ფუნქციონირება.

გამოყენებული ლიტერატურა

26. https://www.bia.ge/Company/IndustryCategory/77
27. https://airnav.wordpress.com/%
28. hhttp://gcaa.ge/geo/number%20of%20pax%20by%20air
29. https://www.georgian-airways.com/ge/about/history
30. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567
31. http://vet.ge/wp-content/uploads/2015/08/studentis-saxelmdzgvanelo-satransporto-lojistika.pdf
32. http://old.press.tsu.ge/GEO/internet/internetgak/MENEJMENTI/Tavi%2010.html
33. http://airnav.ge/dl/ang2018.pdf
34. https://www.geostat.ge/media/29895/ISCO-08_Geo.pdf
35. https://www.interpressnews.ge/ka/article/575919-სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია იკაო 75 წლისაა.

გლობალური კატასტროფების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე

The impact of global disasters on the world economy

ლია პიტიურიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ ეკონომკის დოქტორი. პროფესორი

ნელი სესაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი

Lia Pitiurishvili - Georgian National University SEU, Professor
Neli Sesadze - Georgian National University SEU, Professor

ანოტაცია. ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე გლობალური ეკონომიკა შეეგუა თითქმის ნორმად ქცეული განუსაზღვრელობის პირობებში ფუნქციონირებას, რაც ხშირ შემთხვევაში უკავშირდება გეოპოლიტიკას, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკაზე-ინფლაციაზე, მიწოდების ჯაჭვზე, საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურაზე და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ზრდა ზოგიერთ რეგიონში შთამბეჭდავი იყო, გაზრდილია გლობალური ეკონომიკური კატასტროფის რისკების საფრთხე.

გლობალური ეკონომიკური კატასტროფაში იგულისხმება მსოფლიო ეკონომიკის ჩამოშლის პროცესი მის შემადგენელ ელემენტებთან ერთად, როგორიცაა დასაქმების დონე, მწარმოებლურობა, ფინანსური ბაზრები. კატასტროფების მიზეზები განსხვავებულია, მათ შორის აღსანიშნავია ფინანსური კრიზისები, საერთაშორისო ვაჭრობის შეფერხებები, პოლიტიკური არასტაბილურობა, ბუნებრივი კატასტროფები და სხვა ეკონომიკური ან სოციალური კრიზისები.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სტიქიური უბედურებების რიცხვი ძირითადად გლობალური კლიმატის ცვლილების გავლენის გამო. მნიშვნელოვანია უკანასკნელ ხანის უკრაინა-რუსეთს შორის ომი და სხვა. როდესაც მსოფლიო ეკონომიკაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, სამ დიდ რეგიონს - ევროკავშირს, აშშ-ს და ჩინეთს ვგულისხმობთ. სწორედ აქ იწარმოება გლობალური პროდუქტის უდიდესი მოცულობა და აქაა დასაქმებული შრომით რესურსების გადამწყვეტი რაოდენობა. ამიტომ სტატიაშიც ძირითადად მათი დახასიათებით შემოვიფარგლებით.

საკვანძო სიტყვები: გლობალური ეკონომიკა, რისკები, მთლიანი სამამულო პროდუქტი, ინფლაცია.

Annotation. Over the past few decades, the global economy has adapted to operating under conditions of near-normal uncertainty, often associated with geopolitics that affect the economy—inflation, supply chains, budget spending structures, and more. Although economic growth has been impressive in some regions, the risk of a global economic catastrophe has increased.

The global economic catastrophe refers to the collapse of the world economy along with its constituent elements, such as the level of employment, productivity, and financial markets. The causes of disasters vary, including global financial crises, international trade disruptions, political instability, natural disasters, and other economic or social crises.

In recent decades, the number of natural disasters has increased significantly, mainly due to the impact of global climate change. Recent developments between Ukraine and Russia and others are important

When we talk about the world economy, we primarily mean three large regions - the European Union, the United States of America, and China. It is here that the largest volume of products created in the world is produced and the decisive amount of labor resources are employed. therefore

In the present article, we will limit ourselves mainly to their characterization.

Keywords: Global economy, risks, gross domestic product, inflation.

ევროპის ეკონომიკა. ბოლო წლებში ევროპის მეურნეობა რყევას განიცდის. ჯერ კორონა-ვირუსმა, ხოლო 2022 წლის თებერვლიდან რუსეთ-უკრაინის ომმა უარყოფითი გავლენა, ტავტონიკური ძვრები მოახდინა ევროპის ქვეყნების ეკონომიკაზე. მართალია, 2023 წელს ევროკავშირმა შეძლო ძირითადად თავი აერიდებინა რეცესიისათვის, მაგრამ მომავალ წლებში სამამულო პროდუქტის ზრდის დინამიკა პროგნოზულ მაჩვენებლებზე გაცილებით დაბალი იქნება. ამას განსაკუთრებით ის გამოიწვევს, რომ ევროკომისიის ექსპერტთა შეფასებით, 2024 წელს 27-დან 10 ქვეყანაში სამამულო პროდუქტის მოცულობა ზრდის ნაცვლად, ერთ დონეზე გაჩერდება. ევროკავშირის ყველაზე დიდი სახელმწიფოს - გერმანიის ეკონომიკა - 0,3%-ით შემცირდება კიდეც. ევროკავშირის არც დანარჩენ ქვეყანაში არ იქნება ეკონომიკური განვითარების ტემპები სახარბიელო. კავშირის ქვეყნებიდან შედარებით კარგად გაუმკლავდებიან შექმნილ მძიმე მდგომარეობას საფრანგეთი და ესპანეთი, სადაც სამამულო პროდუქტი გაიზრდება შესაბამისად, 2,4 და 1,0 პროცენტით.

ევროზონის მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის სტრუქტურა 2019-2025 წლებში (%)

ნახაზი 1



წყარო:https://pie.net.pl/wp-content/uploads/2023/12/Przeglad_gospodarczy_zima_2023.pdf

ზოგადად კი, ევროკომისიის პროგნოზით, 2024 წელს ევროკავშირის ეკონომიკა ძალზე დაბალი ტემპით, დაახლოებით 1,3 % გაიზრდება. განსაკუთრებით იზარალებს შვედეთის ეროვნული მეურნეობა. აქ სამამულო პროდუქტი წინა წელთან შედარებით 0,2 პროცენტით შემცირდება.

ევროზონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა. მომავალში ევროკავშირის ქვეყნების ეკონომიკის აღდგენა გამოწვეული იქნება ძირითადად სამომხმარებლო ხარჯების ზრდით. მოხმარების ზრდის ტემპი 2024 წელს 0,3-დან 0,8 პროცენტამდე გაიზრდება. ამასთან, შემცირდება ინფლაციის ტემპები, რაც ნიშნავს ხელფასების მსყიდველუნარიანობის ზრდას, ხოლო დაზოგილი ხარჯები და დაგროვილი დანაზოგი ამ ქვეყნებს დაეხმარება ეკონომიკის ზრდაში. სამხრეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ასევე შესამჩნევი იქნება დასაქმების გაუმჯობესება, ამიტომ, ევროკომოსიის პროგნოზით, 2025 წელს ტენდენცია გაძლიერდება და მოხმარება 2%-ით გაიზრდება. ამ ფონზე კაპიტალური ხარჯები შედარებით მოკრძალებული დარჩება. 2023-2025 წლებში ევროპაში ელოდებიან სამამულო პროდუქტის წლიურ ზრდას 0,3-0,6%. მთავარი სტიმული იქნება ევროპული აღდგენის გეგმებიდან მიღებული სახსრები.

ამჟამადაც და მომავალშიც მკაცრი მონეტარული პოლიტიკა შეზღუდავს კორპორატიულ ინვესტიციებს. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ძირითადი განაკვეთი 4,5%-მდე გაზარდა. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, გერმანიაში ინვესტიციები განსაკუთრებით საფრთხის ქვეშაა. მან არაკონსტიტუციურად მიიჩნია კლიმატისა და ტრანსფორმაციის ფონდისთვის (KTF) 60 მილიარდი ევროს გამოუყენებელი თანხებიდან COVID-19 პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად გაწეული ვალებიდან გადარიცხვა. გადაწყვეტილება ქვეყანას აიძულებს ფისკალური ხარჯების შემცირებას, განსაკუთრებით კლიმატთან და ეკოლოგიურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ სფეროებში. გადაწყვეტილებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ინვესტიციები მომავალ წელს, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს ევროკავშირის უდიდესი ეკონომიკის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და შეაფერხებს მათ განვითარებას.

ყველაზე დიდ საფრთხეს 2024 წლის ეკონომიკური ზრდის უქმნის მზარდი ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა, სოციალური დაძაბულობა, საბანკო კრიზისები ან აქტივების ფასის შოკები, საჯარო ფინანსების გაუარესება, ფისკალური სივრცის შეზღუდვა, მიწოდების შეფერხება, შემაკავებელი მონეტარული პოლიტიკა, საქონლის (ენერგიისა და სხვა ნედლეულის)

ფასების შოკები, მუდმივად მაღალი შიდა ინფლაცია, გეოპოლიტიკური დაძაბულობის მატება და საგარეო მოთხოვნის შენელება.

ევროპის ქვეყნებს ასევე მცირე მხარდაჭერას გაუწევს საგარეო მოთხოვნა. ევროპის ეკონომიკა კვლავ იბრძვის ენერგო ინტენსიური ინდუსტრიების, ძირითადად რუსეთ-უკრაინისომის შედეგად გამოწვეულ კოლაფსთან. მაგალითად, გერმანიაში ქიმიური მრეწველობისა და ძირითადი ლითონის პროდუქტების წარმოება 2022 წელს 10 პროცენტზე მეტით შემცირდა. ევროპის მსხვილ ეკონომიკებს ასევე აქვთ მზარდი პრობლემა აშშ-სა და ჩინეთის ბაზრებზე ავტომანქანების ექსპორტთან დაკავშირებით. ეს უმთავრესად გამოწვეულია ელექტრომობილურ ტრანსპორტთან კონკურენციით. ამრიგად, Focus Economics-ის მიერ გამოკითხული ანალიტიკოსები მიუთითებენ, რომ მრეწველობა ევროზონაში 2024 წელს სტაგნაციაში დარჩება, 2023 წელს 2%-იანი კლების შემდეგ. ამ წელს ექსპორტის ზრდაც მოკრძალებული იქნება. 2024 წელს მოსალოდნელია ასევე გარედან მოსული დომინანტური საფრთხეებიც. მთავარ გამოწვევად რჩება სუსტი საგარეო მოთხოვნა და გეოპოლიტიკური დაძაბულობა. 2022 წელს ყველაზე ხშირი იყო მიწოდების სფეროში წარმოქმნილ პრობლემები. ამჟამად, დამკვირვებელთა მხოლოდ ნახევარი აღიქვამს მიწოდების ჯაჭვებში შეფერხებებს მაღალი ან საშუალო რისკის ფაქტორად.

ინფლაცია ევროზონის ქვეყნებში(%) **ნახაზი 2**



წყარო: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Inflation_in_the_euro_area

სავარაუდოდ, ევროზონაში ინფლაცია გადააჭარბებს ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) მიერ დასახულ მიზნებს. ექსპერტების გათვლებით, 2024 წლებისათვის იგი დაახლოებით 2,8% იქნება. ECB-ის პროგნოზებიც ამის მსგავსია. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ცვლილებების უმეტესი ნაწილი მომსახურების ფასების ზრდით იქნება გამოწვეული. სურსათზე ფასები გაიზრდება ზომიერი ტემპით - დაახლოებით 3%. აქედან დაახლოებით 0,5 პროცენტი მოვა ენერგიის ფასების ზრდაზე.

აშშ-ის ეკონომიკა. ეკონომიკური ზრდა აშშ-ში გასული წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში დაჩქარდა. მესამე კვარტალში აშშ-ის მთლიანი სამამულო პროდუქტი 5.2%-ითაც კი გაიზარდა. ეკონომიკური ანალიზის ბიუროს კომენტარში მითითებულია კერძო ინვესტიციების (+10,5%) და სახელმწიფო მოხმარების (+5,5%) ზრდა. რეალური ხელფასების მატებასთან ერთად გაიზარდა შინამეურნეობების მოხმარებაც. აშშ-ს სტატისტიკის თანახმად, მესამე კვარტალის შედეგი შეესაბამება 3%-იან ზრდის ტემპს. ეს არის შემცირებული მარაგებისა და დაბალი საინვესტიციო აქტივობის შედეგი, როგორც მთავრობის, ასევე მომხმარებლებისა და საწარმოების მხრიდან. ასეთ პირობებში წლიური მაჩვენებელი 3.0-დან 2.3 %-მდე შემცირდება.

მთლიანობაში, გასული წლის განმავლობაში, აშშ-ის ეკონომიკა გაიზარდა 2,2%-ით, ანუ რამდენჯერმე უფრო სწრაფად, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში. ექსპერტები მიმდინარე წელს აშშ-ში უფრო სუსტ ეკონომიკურ აქტივობას ელოდებიან, კერძოდ, დაახლოებით 1.5%-ს. სხვა ანალიტიკოსები კიდევ უფრო პესიმისტურები არიან. მათი მიხედვით, ეს მაჩვენებელი 1%-ს არ ასცდება. შეერთებულ შტატებს დააზარალებს მაღალი საპროცენტო განაკვეთების ეფექტი და შეასუსტებს სამომხმარებლო მოთხოვნას. Focus Economics-ის გამოკითხული ანალიტიკოსები მოხმარების ზრდის შენელებას 2,2-დან 1,2 %-მდე ვარაუდობენ 2024 წელს. შესუსტება შესამჩნევი იქნება განკარგვადი შემოსავლების 3% ზრდის მიუხედავად.

აშშ-ის ეკონომიკაში რეცესიის შიში ჯერ კიდევ ჩანს. Wall Street Journal მიუთითებს, რომ 2024 წელს აშშ-ს ეკონომიკაში რეცესიის ალბათობა მაღალია და მას 65%-მდე აფასებენ. ბლუმბერგის შეფასებით კი - 50%. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი თეზისები დაახლოებით ერთი წელია ყალიბდება - ჯერჯერობით უშედეგოდ.

შეერთებულ შტატებში ინფლაცია ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად შენელდა. გავიხსენოთ: 2022 წლის ივნისში CPI ინფლაცია 9.1%-მდე გაიზარდა. და ამით მან ბოლო 40 წლის მაქსიმუმს მიაღწია. მას შემდეგ ფასების ზრდის ტემპი 3,2%-მდე შემცირდა. 2023 წლის ოქტომბერში. ამაზე განსაკუთრებით იმოქმედა სამრეწველო საქონელზე ფასების სტაბილიზაციამ. ფასების ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 12,4%, 2022 წლის თებერვალში იყო.

ეკონომიკური ზრდა აშშ-ში **ნახაზი 3**



წყარო: https://gmk.center/posts/analitiki-ozhidajut-rosta-mirovogo-vvp-na-2-1-2-9-v-2024-godu/

მთლიანობაში, 2023 წლის განმავლობაში საშუალო ინფლაცია 8%-დან 4,1 პროცენტამდე დაეცა. თუმცა ფასების ზრდის ტემპმა გადააჭარბებს ინფლაციის სამიზნე. Focus Economics-ის გამოკითხული ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ 2024 წელს ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 2,7% იქნება. Fed-ის ექსპერტების უმეტესობა, რომლებიც აღწერენ ინფლაციის ტენდენციის ცვლილებებს, კვლავ ფასების 3.5-4%-იან ზრდაზე მიუთითებენ. მიჩიგანის უნივერსიტეტის მომხმარებელთა მოლოდინების კვლევაც მსგავს ტენდენციებს აჩვენებს. ინფლაციის კლებასთან ერთად, ფედერალური სარეზერვო სისტემა ამთავრებს მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების ციკლს.

ეკონომიკის წახალისებაზე განსაკუთრებით შესამჩნევად ზემოქმედებს ბანკის საპროცემტო განაკვეთები. ამჟამად, Fed-ის (აშშ-ის ცენტრალური ბანკი) განაკვეთები 5,25-დან 5,50 პროცენტამდეა. ბაზრის ანალიტიკოსები მომავალ წელს საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციის უფრო ხანგრძლივ პერიოდს პროგნოზირებენ. ისინი ერთხმად მიუთითებენ განაკვეთების 100 პუნქტით შემცირებაზე 2024 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში. პროგნოზები სექტემბრიდან გაცილებით კონსერვატიული იყო და მხოლოდ 50 პუნქტით შემცირებას

გვთავაზობდა. მომავალში Fed-ის ქმედებები უფრო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული შრომის ბაზრის მდგომარეობასთან, ვიდრე ინფლაციასთან. ჯერჯერობით ყოველთვიური დასაქმების მატება ნელი ტემპით მიმდინარეობს - ნოემბერში მხოლოდ 200 ათასამდე სამუშაო ადგილი შეიქმნა. შედეგები ოდნავ გააძლიერა საავტომობილო (UAW) და გართობის (ჰოლივუდის) სექტორებში გაფიცული მუშაკების სამუშაოზე დაბრუნებამ. ამავდროულად, გამოკითხვები მიუთითებს უმუშევრობის ზრდაზე, რაც ძირითადად დროებითი დასაქმების შედეგად არის გამოწვეული. უფრო კონსერვატიული ღონისძიება, რომელიც მოიცავს მხოლოდ მუდმივ კონტრაქტებს (ე.წ. U-6) სტაბილურია. კომპანიებს, რომლებსაც უჭირდათ თანამშრომლების დაქირავება და შენარჩუნება პანდემიის შემდეგ, შეიძლება მოინდომონ, თავიდან აიცილონ ადამიანების სამსახურიდან გათავისუფლება.

ჩინეთის ეკონომიკა. გასულ წელს ჩინეთის მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდა დაახლოებით 5% იყო. ეს ძირითადად სამომხმარებლო ხარჯების მატებით არის განპირობებული - საცალო ვაჭრობის ზრდის ტემპი ივლისის ბოლოდან დაჩქარდა - 2,5-დან 7,5 %-მდე. დღეს სამრეწველო წარმოებაც იზრდება გეგმის შესაბამისი ტემპით, დაახლოებით 4,6%. შენელების წინა ეპიზოდებისგან განსხვავებით, ინვესტიციები ძირითად აქტივებში კვლავ მცირდება. გასული წლის დასაწყისიდან ზრდის ტემპი შენელდა. შუა სამეფოს შემდგომი პროგნოზები კიდევ უარესია. ზრდის ტემპი სავარაუდოდ შენელდება დაახლოებით 4,5%-მდე 2024 და 2025 წლებში, რაც შეანელებს ჩინეთის მზარდ წილს გლობალურ ეკონომიკაში. შეფასებები რჩება 3,5-4,5%-ის ფარგლებში. ზრდა კვლავ განაპირობებს უახლეს ტექნოლოგიებში ინვესტიციებს, მაგალითად, კვანტურ კომპიუტერებსა და ხელოვნურ ინტელექტში, ასევე განათლებაზე გაწეულ ხარჯებს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიუთითებს ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ისეთ სტრუქტურულ პრობლემებზე, როგორიცაა მოსახლეობის დაბერება და პროდუქტიულობის დაქვეითება. სარეიტინგო სააგენტოები ამცირებენ ჩინეთის სანდოობას. Moody's-მაც შეამცირა ქვეყნის რეიტინგი. სააგენტომ დამატებით მიანიჭა უარყოფითი რეიტინგის პერსპექტივა მთლიანი სამამულო პროდუქტის შემცირების, ადგილობრივი ხელისუფლების მდგომარეობასთან დაკავშირებული ფისკალური საფრთხეებისა და საბინაო ბაზრის მუდმივი მნიშვნელოვანი პრობლემის გამო. ჩინეთის რეგიონული მთავრობების ვალმა 2022 წელს მთლიანი სამამულო პროდუქტის 76%-ს მიაღწია.

პანდემიის დაწყების შემდეგ ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტი 10 პუნქტით გაიზარდა. წამყვანმა დეველოპერებმა დაიწყეს ბინების ფასების შემცირება. გაყიდვების მოცულობის კლება გავლენას ახდენს სამშენებლო და უძრავი ქონების ინდუსტრიის შედეგებზე, რომლებიც წარმოქმნიან ჩინეთში მთლიანი სამამულო პროდუქტის 24%-ს. მთლიანი სამამულო პროდუქტის კიდევ უფრო შემცირების რისკი კვლავაც მნიშვნელოვანია.

საქართველო. მსოფლიოს მასშტაბით რეცესიული რისკების ზრდის მიუხედავად, მიმდინარე წელი საქართველოსთვის არც ისე ცუდი აღმოჩნდა, რასაც თითქმის ყველა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია აღიარებს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკა 4.8%-ით გაიზრდება. შედარებისთვის, გასული წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის ზრდამ 6.5% შეადგინა.

მსოფლიო ბანკის მონაცემებში ვკითხულობთ, რომ საქართველოს 2021-2022 წლებში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ჰქონდა. ამ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა ჯერ 10,5%-ით, შემდეგ კი 10,4%-ით გაიზარდა. 2023 წელს კი ზრდის ტემპი 6,5%-მდე შემცირდა.

დასკვნა

თანამედროვე პერიოდში გლობალური ეკონომიკა ფუნქციონირებს ტურბულენტობის პირობებში, რაც ხშირ შემთხვევაში უკავშირდება გეოპოლიტიკას, რომელიც ისახება ეკონომიკური მაჩვენებლების რყევაში-ინფლაცია, ეკონომიკური ზრდა, საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურა, დასაქმების დონე, მწარმოებლურობა, ფინანსური ბაზრები და სხვა. გაზრდილია გლობალური ეკონომიკური კატასტროფის რისკების მოხდენის საფრთხე.

საერთაშორისო ეკონომიური ორგანიზაციების ექსპერტთა პროგნოზით 2024 წელი კვლავ გამორჩეული ქნება ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპებით, რაც უარყოფიტად იმოქმედებს სხვა დანარჩენი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Хмелева Г.А., Неделька Э. Современные глобальные вызовы и риски для трансграничного сотрудничества регионов // Экономические отношения. 2022. № 3. С. 309-322. doi: 10.18334/eo.12.3.115098.
2. Луцкая Е.Е. Основные риски глобальной экономики в кратко- и среднесрочной перспективе: прогнозы западных аналитиков // Социальные и гуманитарные науки: Отечественная и зарубежная литература. Сер. 2, Экономика: Реферативный журнал. 2019. №3. С. 38-44.
3. Global Economic Prospects https://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects
4. economic review pie winter 2023 Warshawa, grudzień 2023 rhttps://pie.net.pl/wp-content/uploads/2023/12/Przeglad_gospodarczy_zima_2023.pdf
5. Analysts expect global GDP growth of 2.1-2.9% in 2024 https://gmk.center/en/posts/analysts-expect-global-gdp-growth-of-2-1-2-9-in-2024/
6. Inflation in the euro area https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Inflation_in_the_euro_area

ფინანსური ლევერიჯი, როგორც კომპანიების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი

Financial leverage as a mechanism of providing companies with financial resources

ხათუნა ბარბაქაძე - ასოცირებული პროფესორი
თსუ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
Khatuna Barbakadze – Associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

აბსტრაქტი. ფინანსურ რისკთან, რომელიც წარმოადგენს თანაფარდობას საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის, მჭიდროდაა დაკავშირებული კომპანიების საქმიანობა. ფინანსური რისკების შეფასება გვაძლევს წარმოდგენას კომპანიის ფინანსური მართვის ეფექტიანობაზე. კომპანიის მიერ საკუთარი და ნასესხები სახსრების გამოყენება ზრდის ინვესტიციის მომგებიანობას კაპიტალზე. ნასესხები კაპიტალი ცვლის კაპიტალის სტრუქტურას, რაც იწვევს კომპანიის ფინანსური დამოკიდებულების, ფინანსური რისკისა და კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების ზრდას. კაპიტალის სტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული რისკების მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმი ფინანსური ლევერიჯია. კომპანიის აქტივების ფორმირების პროცესში ფინანსური ლევერიჯის გამოყენებით ფასდება ნასესხები კაპიტალის მოზიდვის მიზანშეწონილობა.

ფინანსური მენეჯერების რთული სტრატეგიული გადაწყვეტილებაა კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა, კერძოდ, კაპიტალის ყველაზე შესაფერისი სტრუქტურის შერჩევა, რომლის მიღწევა შესაძლებელია დაფინანსების შესაბამისი წყაროების მოძიებითა და ადეკვატური მართვის გზით. თითოეულმა კომპანიამ დამოუკიდებლად უნდა შეიმუშაოს კაპიტალის ფორმირების პოლიტიკა მისი განვითარების სტრატეგიის გათვალისწინებით. კომპანიის ფინანსურმა მენეჯერმა უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ დააკავშიროს დაფინანსების წყაროები რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთაგან მნიშვნელოვანია ვალის გავლენა კომპანიის მომგებიანობაზე და ღირებულებაზე, ვალის დონე და მისი პროპორციულობა.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ლევერიჯი; ფინანსური რისკი; ფინანსური რესურსი; სასესხო კაპიტალი; კაპიტალის ოპტიმალური სრტუქტურა.

Abstract. The activities of companies are closely related to financial risk, which is the ratio between own and borrowed capital. The assessment of financial risks gives us an idea of the effectiveness of the company's financial management. The usage of own and borrowed funds by the company increases the profitability of investment on capital. Borrowed capital changes the capital structure, which leads to an increase of the company's financial dependence, financial risk and weighted average cost of capital. The most important mechanism for managing capital structure and related risks is financial leverage. In the process of forming the company's assets, the feasibility of attracting borrowed capital is assessed using financial leverage.

A difficult strategic decision for financial managers is to determine the optimal capital structure, in particular, the selection of the most appropriate capital structure, which can be achieved by finding appropriate sources of financing and through adequate management. Each company should independently develop a capital formation policy taking into account its development strategy. The company's financial manager must decide how to combine sources of financing in terms of quantity and quality, taking into account various factors, among which the impact of debt on the profitability and value of the company, the level of debt and its proportionality are important.

Keywords: financial leverage; financial risk; financial resources; dept capital; optimal capital structure.

შესავალი. კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია როგორც ფინანსური რისკების განეიტრალება, ასევე, კომპანიის ღირებულების ზრდის შიდა მექანიზმების იდენტიფიცირება, რომელთაგან მნიშვნელოვანია კაპიტალის სტრუქტურა. ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის შიდა მექანიზმები გულისხმობს ისეთი ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც პრაქტიკულად გამორიცხავენ ფინანსური რისკის კონკრეტულ სახეს. კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა, ფინანსური მენეჯერების რთული სტრატეგიული გადაწყვეტილებაა. თითოეულმა კომპანიამ დამოუკიდებლად უნდა შეიმუშაოს კაპიტალის ფორმირების პოლიტიკა, განვითარების სტრატეგიისა და ფინანსური ლევერიჯის გამოყენების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ძირითადი ნაწილი. კომპანიის ფინანსური მენეჯერი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით ღებულობს გადაწყვეტილებას თუ როგორ დააკავშიროს დაფინანსების წყაროები რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, რომელთაგან მნიშვნელოვანია ვალის გავლენა კომპანიის მომგებიანობაზე და ღირებულებაზე, ვალის დონე და მისი პროპორციულობა.

კომპანიების დაფინანსების წყაროები კლასიფიცირებულია სხვადასხვა გზით. კაპიტალის სტრუქტურისა და მასთან დაკავშირებული რისკების მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი

მექანიზმი ფინანსური ლევერიჯია, რომლის გამოყენებით ფასდება ნასესხები კაპიტალის მოზიდვის მიზანშეწონილობა.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია ფინანსურ რისკთან, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელია თანაფარდობა საკუთარ და ნასესხებ წყაროებს შორის. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან აუცილებელია დადგინდეს წყაროებს შორის ისეთი თანაფარდობა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებას და ამავე დროს, შესაძლებელს გახდის ეფექტიანი კონტროლის განხორციელებას ამ რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე. ფინანსური რისკების შეფასება გვაძლევს წარმოდგენას კომპანიის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობაზე. მაღალი ნესესხები კაპიტალი მიუთითებს კომპანიის საქმიანობის რისკზე. კომპანიის მიერ როგორც საკუთარი, ასევე, ნასესხები სახსრების გამოყენება ზრდის ინვესტიციის მომგებიანობას კაპიტალზე. ნასესხები კაპიტალის ზრდას, რომელსაც კომპანია იყენებს გრძელვადიანი განვითარების დასაფინანსებლად ფინანსური ლევერიჯი ეწოდება. ფინანსური ლევერიჯი არის ინსტრუმენტი საკუთარი და ნასესხები კაპიტალის რეგულირებისთვის, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს კომპანიის, როგორც საწარმოო, ასევე, ფინანსური საქმიანობის შედეგები.

ანალიტიკური გამოთვლებისას ფინანსური ლევერიჯის გამოყენება საშუალებას გვაძლევს განსაზღვროთ ნასესხები კაპიტალის უსაფრთხო ოდენობა, გამოთვალოთ სესხის მისაღები პირობები და შესაბამისად, განსაზღვროთ სხვა ბიზნეს სუბიექტის აქციების შეძენის მიზანშეწონილობა. აღნიშნული პრობლემების გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის ფინანსური სტაბილურობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა (საკუთარი და ნასესხები სახსრების გამოყენების თანაფარდობა), უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსურ მომგებიანობასა და ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტებს ეფექტიან პროპორციულობას. ნასესხები კაპიტალი ცვლის კაპიტალის სტრუქტურას იწვევს კომპანიის ფინანსური დამოკიდებულების, ფინანსური რისკისა და კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების (WACC) ზრდას. კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება არის მინიმალური ანაზღაურების მაჩვენებელი, რომელსაც ინვესტორები მოელიან განხორციელებული ინვესტიციებიდან.

კაპიტალის მომგებიანობასა და ფინანსური რისკის ხარისხზე ფინანსური ლევერიჯის გავლენის მექანიზმის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია კაპიტალის ღირებულებისა და სტრუქტურის ეფექტიანი მართვა. მისი გავლენა დადებითი იქნება, თუ აქტივებზე ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე აღებული სესხის ღირებულება. ნასესხები სახსრების მოზიდვისა და კაპიტალის სტრუქტურის შეცვლის შედეგად შესაძლოა გაიზარდოს კაპიტალის უკუგება. ნებისმიერი ფინანსური გადაწყვეტილების დროს უნდა განისაზღვროს: დაფინანსების საჭიროებები; სახსრების წყაროების მობილიზების შესაძლებლობები და ფინანსური ინსტრუმენტები, რომლის გამოყენება მიზანშეწონილია დაფინანსების პროცესში.

როგორც წესი, ფუნდამენტურად განსხვავებული დაფინანსების წყაროების რაოდენობა შეზღუდულია, კერძოდ: საკუთარი კაპიტალი - მოგება და სააქციო კაპიტალი; მოზიდული სახსრები - მოკლევადიანი და გრძელვადიანი წყაროები. თითოეულ მათგანს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები, კერძოდ: საკუთარი კაპიტალი არის კომპანიის კაპიტალის ძირითადი რისკიანი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალის თავისებურებაა, რომ ის არ იძლევა გარანტირებულ მოგებას, რომლის გადახდაც უნდა ხდებოდეს საქმეების ნებისმიერი მიმდინარეობისას. მოგება არის ყველაზე ხელმისაწვდომი წყარო, მაგრამ შეზღუდულია მისი მოცულობა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ მოგება ცვალებადია და პრაქტიკულად მოიცავს რამდენიმე

სავალდებულო სფეროს. სააქციო კაპიტალი დაფინანსების ძვირი წყაროა. მოკლევადიანი ვალდებულებები - საბანკო სესხები, ხასიათდება სხვადასხვა უპირატესობებით, კერძოდ: დაბალია მოზიდვის ხარჯები, ვიდრე აქციებისა და ობლიგაციების გამოშვება; ნაკლებია საპროცენტო დანახარჯები გრძელვადიან სესხებთან შედარებით; ასევე, შესაძლებელია სესხის თანხის კონტროლი ფინანსური საჭიროებიდან გამომდინარე და სხვა. მიუხედავად აღნიშნული უპირატესობებისა, მხოლოდ მოკლევადიანი წყაროების მოძიება მიზანშეწონილი არაა, რადგან იცვლება მისი განაკვეთები, იზრდება ლიკვიდურობის რისკი და სხვა. კრედიტორების წინაშე აღებული ვალდებულებების გასტუმრების დროს წარმოიქმნება ლიკვიდურობის პრობლემა, რაც უფრო ხშირადაა სასესხო ვალდებულებების გასტუმრების საჭიროება, მით მეტად იზრდება ლიკვიდურობის პრობლემა. სწორედ ამიტომ, გრძელვადიანი ნასესხები სახსრების მოზიდვა უფრო სასურველია და შესაბამისად, ფინანსური ლევერიჯის ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ ამ წყაროს ხარჯები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დამატებით მოგების მიღების შესაძლებლობა.

ფინანსური ლევერიჯის გამოთვლისა და განსაზღვრის ორი კონცეფცია არსებობს -ევროპული და ამერიკული. ევროპულ კონცეფციაში ფინანსური ლევერიჯი, არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კომპანიის საკუთარი კაპიტალის მომგებიანობის ზრდა ნასესხები კაპიტალის გამოყენებით. აღნიშნულის არსი მდგომარეობს შემდეგში - ნასესხები კაპიტალი უფრო იაფია, ვიდრე საკუთარი, რადგან ის არ ექვემდებარება დაბეგვრას. ფინანსური ლევერიჯის ამერიკული კონცეფცია ეფუძნება საფონდო ბაზრის პრიორიტეტულ როლს გადაწყვეტილების მიღებისას, სადაც ძირითადი ინდიკატორებია მოგება აქციაზე და აქციის ფასის თანაფარდობა მოგებასთან.

კომპანიის მიერ გატარებული საფინანსო პოლიტიკა განსაზღვრავს აქციონერების ანაზღაურებასა და ლევერიჯულ კაპიტალს შორის თანაფარდობას. ინვესტიციების ზრდასთან ერთად იზრდება მოსალოდნელ შემოსავალსა და ფინანსურ ლევერიჯს შორის კორელაცია. აქციონერებისთვის შემოსავალი კაპიტალზე იზრდება ლევერიჯის ზრდასთან ერთად. მოგების ზრდისას ლევერიჯი დადებითად აისახება ხარჯებზე, ხოლო დანახარჯების გადაჭარბება შემოსავალზე გამოიწვევს აქციონერების შემოსავლის შემცირებას ლევერიჯის უარყოფითი გავლენის გამო.

დასკვნა. კომპანიის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური ლევერიჯი, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელია კაპიტალის ეფექტიანი გამოყენება და მართვა. ფინანსური ლევერიჯი არის მექანიზმი საკუთარი და ნასესხები კაპიტალის პროპორციების რეგულირებისთვის, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს მოგება კაპიტალზე. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურაში ფინანსური ლევერიჯის წილის ცვლილება გავლენას ახდენს მომგებიანობაზე, კერძოდ, რაც უფრო იზრდება ფინანსური ლევერიჯის დონე, მით მეტია შემოსავალი და ნაკლებია რისკი და პირიქით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხ. ბარბაქაძე, ნ. კაკაშვილი, ნ. კახნიაშვილი, თ. კბილაძე. „ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის აქტუალური საკითხები“ თსუ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. ეროვნულ სამეცნიერო კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“ 2024 წ;

2. ხ. ბარბაქაძე. ნ. კაკაშვილი. „საბრუნავი კაპიტალის მართვის სრულყოფის საკითხის შესახებ“ XV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ხელისუფლება და საზოგადოება – 2021“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2021 წ;

3. ხ. ბარბაქაძე. „ფინანსური ლევერეჯი: შეფასებები და მართვის მეთოდები“ ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ 2012 წ;

4. ხ. ბარბაქაძე. „ფინანსური ლევერიჯი - კორპორაციის მართვის ეფექტური ინსტრუმენტი“ ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“ #2; 2010 წ;

5. Джеймс К. Ван Хорн. Джон М, Вахович, мл. Основы финансового менеджмента, ер. С англ. – М.:Изд. Дом «Вильямс», 2020;

6. Richard A. Brealey, Stewart C. Myers, Franklin Allen. Principles of Corporate Finance. 12th Edition, 2017;

7. Этрилл, П. Финансовый менеджмент и управленческий учет для руководителей и бизнесменов в / П. Этрилл, Э. МакЛейни; Пер. с англ. В. Ионов. — М.: Альпина Пабл., 2012.

ხელოვნური ინტელექტის გავლენა ფინანსურ სექტორზე საქართველოში
The impact of artificial intelligence on the financial sector in Georgia

თამარ კბილაძე - ასისტენტ პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
Tamar Kbiladze – Assistant professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

აბსტრაქტი. ფინანსური სექტორი ყოველთვის ლიდერობდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, ეფექტურობისა და მომგებიანობის გაზრდის მიზნით. ბოლო წლების განმავლობაში, ხელოვნური ინტელექტი (AI) გამოჩნდა როგორც ტრანსფორმაციული ძალა, რომელიც ცვლის ინდუსტრიებს გლობალურად, მათ შორის ფინანსურ სექტორსაც. გამონაკლისი არც საქართველოა, სტრატეგიული მდებარეობის ქვეყანა, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე.

მოცემული სტატია იკვლევს, თუ როგორ მოქმედებს ხელოვნური ინტელექტი ფინანსურ სექტორზე საქართველოში, განიხილავს მის გავლენას სხვადასხვა კონტექსტში, კონკრეტულად მომხმარებელთა მომსახურებას, რისკების მართვას და მარეგულირებელ ჩარჩოს.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ფინანსური ტექნოლოგიები, ფინანსური სექტორი, რისკები, მარეგულირებელი ჩარჩო.

Abstract. The financial sector has always been at the forefront of adopting new technologies to increase efficiency and profitability. In recent years, artificial intelligence (AI) has emerged as a transformative force that is changing industries globally, including the financial sector. Georgia is no exception, a country with a strategic location at the crossroads of Europe and Asia.

This article explores how artificial intelligence is affecting the financial sector in Georgia, looking at its impact in different contexts, specifically customer service, risk management and the regulatory framework.

Key words: artificial intelligence, financial technologies, financial sector, risks, regulatory framework.

საქართველოს ფინანსურ სექტორში ხელოვნური ინტელექტის გავლენა ყველაზე მეტად იგრძნობა მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების კუთხით. ფინანსური ინსტიტუტები

სულ უფრო და უფრო ავრცელებენ AI-ზე მომუშავე ჩეთბოტებს და ვირტუალურ ასისტენტებს რუტინული მოთხოვნების დასამუშავებლად, მომხმარებლებისათვის 24/7 მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს ბანკებს და ფინანსურ სექტორში ოპერირებად კომპანიებს შესთავაზონ თავიანთ მომხმარებლებს პერსონალიზებული გამოცდილება, გაამარტივონ ოპერაციები და შეამცირონ მათ მოთხოვნებზე რეაგირების დრო.

ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება რისკების მართვის მიმართულებით. ხელოვნური ინტელექტის მოდელებს შეუძლიათ გაანალიზონ ისტორიული მონაცემების დიდი რაოდენობა, შექმნან შესაბამისი შაბლონები და განსაზღვრონ მომავალი რისკები. შესაბამისად, ლოგიკურია რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნური ინტელექტი შეძლებს ბაზრის რყევების, საკრედიტო დეფოლტის წინასწარ განსაზღვრას, მაშინ ფინანსურ ორგანიზაციებს უკვე შეეძლებათ მიიღონ გაცილებით უფრო ეფექტური საინვესტიციო გადაწყვეტილებები. დღესდღეისობით მანქანათმცოდნეობის ალგორითმებს მეტწილად შეუძლიათ ამოიცნონ უჩვეულო ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს თაღლითურ ქმედებებზე.

2020 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ,,მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულება'' შეიმუშავა. დებულების მიზანი მოდელის რისკის ეფექტურად მართვის ხელშეწყობაა. აღნიშნული ჩარჩო ხელს შეუწყობს ფინანსურ სექტორში მოდელების უფრო ფართოდ და ეფექტურად გამოყენებას. (საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.gov.ge)

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს ასევე შეიქმნა რეგულირების ლაბორატორია, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ არსებული ჩარჩოა, იგი საფინანსო სექტორს საშუალებას აძლევს რეალურ რეჟიმში გამოსცადონ ინოვაციური სერვისები და პროდუქტები. მისი გამოყენების მიზანია სწრაფად განვითარებადი ფინანსური ტექნოლოგიების პირობებში შექმნილი ინოვაციური ფინანსური სერვისების და პროდუქტების ეროვნული ბანკის საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობა, ახალი მარეგულირებელი მოთხოვნების საჭიროების გამოკვეთა, საფინანსო სექტორში ინოვაციური პროდუქტების ბაზარზე გამოცდა და მათი განვითარების ხელშეწყობა. (საქართველოს ეროვნული ბანკი, www.nbg.gov.ge).

თიბისი ბანკი და საქართველოს ბანკი აქტიურად ახორციელებენ ინოვაციური ტექნლოგიების მომსახურებაში ინტეგირებას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ამარტივებენ საბანკო ოპერაციებს, აუმჯობესებენ მომხმარებელთა მომსახურებას, რაც ამარტივებს და აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს.

აღსანიშნავია, რომ თიბისი ბანკის 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, მითითებულ წელს, 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 33 მილიონი ლარის ოდენობის ზრდა დაფიქსირდა არამატერიალურ აქტივებში, რაც ცხადჰყოფს ბანკის პოზიციონირებას ტექნოლოგიური პროექტების განვითარების მიმართულებით.

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	3,633,314	3,747,594
მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ	7	1,107	6,269
სავალდებულო ნაღდი ფულის ნაშთები საქართველოს ეროვნულ ბანკში	8	1,572,506	2,047,564
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ავანსები	9	20,965,695	17,505,605
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	10	3,498,655	2,904,714
გამოსყიდვასთან დაკავშირებული მოთხოვნები	11	-	267,495
საინვესტიციო ქონება		15,235	21,292
ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში		34,460	34,041
სხვა ფინანსური აქტივები	12	350,086	299,720
სხვა აქტივები	14	358,737	349,885
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	15	462,570	398,964
აქტივის გამოყენების უფლება	16	111,560	98,228
არამატერიალური აქტივები	15	318,744	285,884
გუდვილი	17	27,502	27,502
სულ აქტივები		**31,350,171**	**27,994,757**

წყარო: თიბისი ბანკის ფინანსური ანგარიშგება, 2023

თიბისი ბანკმა 2023 წელს 5 მილიონამდე ლარი დახარჯა არამატერიალური აქტივების ტექნიკურ მომსახურებაზე, რაც მიუთითებს ბანკის მზადყოფნას უზრუნველყოს ტექნოლოგიური პროდუქტების გამართული მუშაობა და საბანკო მომსახურების ეფექტური მიწოდება.

32. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები გაგრძელება

ბანკის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები ასე გამოიყურება:

ათას ლარში	2023	2022
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	45,369	29,591
პროფესიული მომსახურება	23,981	21,888
არამატერიალური აქტივების ტექნიკური მომსახურება	22,332	17,632
კომუნალური მომსახურება	8,959	8,303
შენობების და აღჭურვილობის ტექნიკურ-სამეურნეო მომსახურება	8,231	7,740
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	6,985	6,201
შენობის დატვირთვა და იჯარა*	5,604	6,810
თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება	5,374	4,017
კომუნიკაცია და მიწოდება	5,317	4,919
საკანცელარიო ნივთები და სხვა საოფისე ხარჯები	4,943	5,167
წარმომადგენლობითი ხარჯები	4,268	5,910
დაზღვევა	2,495	2,583
სამივლინებო ხარჯი	1,859	1,515
დაცვის მომსახურება	1,739	1,406
საქველმოქმედო საქმიანობა	1,094	749
ტრანსპორტირება და ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება	749	905
ზარალი უზრუნველყოფაში ჩადებული დასაკუთრებული ქონების რეალიზაციიდან	579	1,297
ზარალი შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების გასხვისებიდან	539	983
სხვა	16,477	11,527
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	**166,894**	**139,143**

*მოიცავს მოკლევადიან იჯარებს დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს, რომლებიც არ არის აღიარებული ფასს 16-ის თანახმად.

წყარო: თიბისი ბანკის ფინანსური ანგარიშგება, 2023

საქართველოს ბანკის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, 2023 წელს არამატერიალური აქტივების ზრდა, 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, განისაზღვრა 13 მილიონი ლარით, ხოლო 2021 წელთან შედარებით კი მატება 17 მილიონ ლარს შეადგენს, რაც ასევე მიუთითებს აღნიშნული ბანკის სწრაფვას ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით.

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022	2021
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	2,655,221	2,864,375	1,274,067
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	1,733,898	2,396,568	1,892,402
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	4,810,404	4,283,389	2,494,167
მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	9	19,517,058	16,260,377	15,264,047
მოთხოვნები და სხვა სესხები		2,518	1,867	21,503
გადახდილი ავანსი		24,188	40,630	51,126
დაგირავებული აქტივები გამოსყიდვის უფლების გარეშე*	12	267,870	114,731	2,488
აქტივის გამოყენების უფლება	10	119,348	98,678	73,441
საინვესტიციო ქონება	11	115,866	163,230	218,793
ძირითადი საშუალებები	10	389,513	348,062	327,243
გუდვილი	13	33,453	33,453	33,453
არამატერიალური აქტივები	10	133,224	120,110	115,838
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში	14	146,452	148,079	151,311
სხვა აქტივები*	16	282,888	238,094	211,060
გასაყიდად გამიზნული აქტივები		25,742	29,567	46,324
სულ აქტივები		**30,257,643**	**27,141,210**	**22,177,263**

წყარო: საქართველოს ბანკის ფინანსური ანგარიშგება, 2023

თანამედროვე ფინანსურ სამყაროში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ ციფრული ბანკები, რომლებიც მომხმარებელთა ფართო აუდიტორიას, სახლიდან გაუსვლელად, ონლაინ რეჟიმში სთავაზობენ სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. ხელოვნური ინტელექტის (AI) ალგორითმების გამოყენებით ეფექტურად ახორციელებენ მომხმარებელთა სეგმენტირებას, სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრას, მათზე მორგებული მომსახურების შეთავაზებას, რისკების შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდება ციფრული ბანკინგი. 2022 წლიდან ოპერირება დაიწყო ელექტრონულმა ბანკმა ,,პეისერა'', რომელიც გამოირჩევა ინოვაციური პროდუქტებით, კერძოდ კი შექმნა მობილური აპლიკაცია, რომელიც მომხმარებლებს მარტივი რეგისტრაციის საშუალებით ეხმარება საკუთარი ფინანსების მართვაში.

პეისარას შემოსვლამ ქართულ საფინანსო სექტორში გაამძაფრა კონკურენცია საერთაშორისო გადარიცხვების მიმართულებით. იგი არის პირველი ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც მომხმარებლებს სთავაზობს SEPA და SEPA INSTANT გადარიცხვებს.

SEPA- Single Euro Payments Area (ერთიანი ევრო გადახდების არეალი) - ევროკავშირის ინიციატივით შექმნილი ერთიანი გადახდების ჩარჩო ევროში დენომინირებული ტრანზაქციებისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე იურიდიულ პირებს განახორციელონ უნაღდო ანგარიშსწორება SEPA-ს წევრ ქვეყნებში ერთი საბანკო ანგარიშის გამოყენებით. (https://www.ecb.europa.eu/paym/integration/retail/sepa/html/index.en.html)

საქართველო დღესდღეობით არ არის SEPA-ს სისტემაში გაერთიანებული ქვეყანა, თუმცა ,,პეისერა ბანკი'', როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველ მომხმარებლებს სთავაზობს SEPA და SEPA INSTANT გადარიცხვებს შემდეგი პირობებით:

- გადარიცხვები სრულდება 24/7/365
- გადარიცხვები სრულდება სამუშაო დღეებში 08:00-20:00 საათამდე, მიმღების ანგარიშზე თანხა ისახება 1 სამუშაო დღის განმავლობაში

• 16:45 საათამდე შესრულებული გადარიცხვა მიმღებს ანგარიშზე აესახება იმავე სამუშაო დღეს.

მომსახურების გამწევი ქვეყანა	საკომისიო
SEPA ქვეყნები, ალბანეთი და კოსოვო	0,00 EUR ფიზიკური პირებისთვის 3,00 EUR ფიზიკური პირებისთვის კოსოვოში 0,00 EUR თვეში პირველი 50 გადარიცხვისთვის და 0,29 EUR ყოველი მომდევნო გადარიცხვისთვის, SEPA ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან ევრო ზონის წევრი ქვეყნები 0,29 EUR ბიზნესისთვის SEPA ქვეყნებში 0,50 EUR ბულგარული კომპანიებისთვის 3,00 EUR ბიზნესისთვის კოსოვოში და 1 EUR ბიზნესისთვის ალბანეთში 0,50 EUR რუმინული კომპანიებისთვის
საქართველო	7,00 EUR ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის
სხვა ქვეყნები	ფიზიკური პირებისთვის 0,29 EUR თვეში პირველი 5 გადარიცხვისთვის და 0,50 EUR ყოველი მომდევნო გადარიცხვისთვის 1,00 EUR ბიზნესისთვის

წყარო: https://www.paysera.ge/v2/ka-GE/sakomisio-gadasaxadebi/evro-gadaricxvebi

საქართველოში ჯერ კიდევ 2018 წელს შეიქმნა პირველი ნეო ბანკი ,,სფეისი'', რომელსაც არცერთი ფილიალი არ გააჩნდა და მთლიანად დისტანციურად ემსახურებოდა მომხმარებლებს. მობილური აპლიკაციის საშუალებით, შესაძლებელი იყო ანგარიშის გახსნა, გადარიცხვების წარმოება, სესხის აღება.

2023 წლის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებს 18 სადაზღვევო კომპანია, რომელთა უმრავლესობამ დანერგა დისტანციური არხები. მათი საშუალებით, სადაზღვევო კომპანიები წარმატებით ახორციელებენ მომხმარებლებზე სადაზღვევო პოლისების გაყიდვას, ასევე ზარალის დადგომის შემთხვევაში, ანაზღაურებაზე განაცხადის შევსება ელექტრონული ფორმითაა შესაძლებელი. თიბისი დაზღვევამ პირველმა დანერგა ბიბოტი, რომელიც მესენჯერის საშუალებით, რამოდენიმე წუთში აძლევს მომხმარებელს შესაძლებლობას შეიძინოს სამოგზაურო დაზღვევა.

ბოლო წლებში ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვა ფინანსურ სექტორში ტრენდულ ხასიათს ატარებს. ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და ფინტეკ კომპანიები მომხმარებლებს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებებს სთავაზობენ. ეს ტექნოლოგიები არა მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება მომხმარებლებს, არამედ კომფორტულ სერვისებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს და დროითი რესურსების დაზოგვის შესაძლებლობასაც ქმნის. აღსანიშნავია ეროვნული ბანკის როლი ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვის განვითრების მიმართულებით. საქართველოს ეროვნულ ბანკში ფუნქციონირებს ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც ფინანსური ინსტიტუტებისთვის ქმნის მარეგულირებელ ნორმებს და ეხმარება რისკების შეფასებაში.

აღსანიშნავია სახელმწიფოს როლი ფინანსური ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების მიმართულებით. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს უდიდესი წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში საგრანტო კონკურსებისა და ფინტექ კომპანიებისათვის ინვესტორების მოძიების მიმართულებით, თუმცა სასურველია აღნიშნული კამპანიები უფრო მასშტაბური ხასიათის გახდეს და სულ უფრო მეტმა კომპანიამ შეძლოს ფინანსური ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება.

ბიზნეს პროცესების გაციფრულება უდიდეს რისკებთან არის დაკავშირებული, მათ შორის აღსანიშნავია კიბერ თაღლითობა, პირადი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები,

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციებისა და მკაცრი საზედამხედველო ნორმების შემოღება.

სასურველია, ფინანსურმა სექტორმა უფრო აქტიურად დანერგოს ხელოვნური ინტელექტი ბიზნეს პროცესებში. არა მხოლოდ წამყვანმა კომერციულმა ბანკებმა, არამედ სრულიად საბანკო სექტორი, სადაზღვევო კომპანიები და მიკრო საფინანსო ორგანიზაციები უნდა ჩაერთონ ფინანსური ტექნოლოგიების განვითარების პროცესში.

მნიშვნელოვანია, საუნივერსიტეტო სივრცეში უფრო აქტიურად შეიქმნას სასწავლო პროგრამები ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით, რომელიც გააერთიანებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ასპექტებს. ასევე საჭიროა, ფინანსურ სექტორში კადრების გადამზადება ტექნოლოგიების მიმართულებით, საერთაშორისო ექსპერტების მოწვევა და მათი გამოცდილების გაზიარება, კვლევების მხარდაჭერა და განხორციელება. კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ხელოვნური ინტელექტის პოტენციური სარგებლის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოში ხელოვნური ინტელექტის განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Fintech - Transforming Finance, ACCA. 2016. http://www.accaglobal.com/content/dam/ACCA_Global/Technical/Future/FinTech-transforming-finance.pdf.
2. The Pulse of Fintech 2019 - Biannual Global Analysis of Investment in Fintech, KPMG, 2019;
3. Single Euro Payments Area, European Central Bank, https://www.ecb.europa.eu/paym/integration/retail/sepa/html/index.en.html (26.09.2024);
4. საქართველოს ეროვნული ბანკი, მოდელის რისკი, https://nbg.gov.ge/page/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%98 (26.09.2024);
5. საქართველოს ეროვნული ბანკი, რეგულირების ლაბორატორია, https://nbg.gov.ge/page/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90 (26.09.2024);
6. საქართველოს ბანკის ფინანსური ანგარიშგება, 2023;
7. თიბისი ბანკის ფინანსური ანგარიშგება, 2023;
8. პაისერა ბანკი, საკომისიო ევროში გადარიცხვისთვის, https://www.ecb.europa.eu/paym/integration/retail/sepa/html/index.en.html (26.09.2024).

ნატო კაკაშვილი - ასოცირებული პროფესორი
თსუ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ასოცირებული პროფესორი
Nato Kakashvili - Associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

აბსტრაქტი. დამატებული ღირებულების გადასახადი ბიუჯეტის ფორმირების მნიშვნელოვანი წყაროა, მისი ეკონომიკური ბუნება ხელს უწყობს ისეთი სტრუქტურების დაფინანსებას, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, თავდაცვა, ინფრასტრუქტურა და სოციალური კეთილდღეობის პროგრამები, ამასთან საშუალებას იძლევა შემოსავლებისა და ნაკადების ზუსტი განსაზღვრისათვის, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის გრძელვადიან დაგეგმვასა და ფისკალურ მდგრადობას.

დღგ წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლების მთავარ წყაროს. დამატებული ღირებულების გადასახადი მნიშვნელოვანი ელემენტია, როგორც, მსოფლიოს საგადასახადო სისტემაში, ასევე საქართველოში. დღგ დაწესებულია მიწოდების ყველა საფეხურზე შექმნილ დამატებულ ღირებულებაზე, ნედლეულიდან საბოლოო მომხმარებლამდე. დღგ არაპირდაპირი გადასახადის სახეობაა, ის ეკისრება საქონლისა და მომსახურების საბოლოო მომხმარებელს და მორგებულია ცალკეული ქვეყნების სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე.

დამატებული ღირებულების გადასახადი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის განაწილებაში. დღგ არის მოხმარების გადასახადი, რომელიც დაწესებულია საქონელსა და მომსახურებაზე დამატებულ ღირებულებაზე წარმოების ან განაწილების თითოეულ ეტაპზე. დღგ განსაკუთრებულ როლს თამაშობს საქართველოს საგადასახადო სისტემის, საგადასახადო შემოსავლების სტაბილურობის განმტკიცებაში, რაც მნიშვნელოვანია ფისკალური დაგეგმვისა და სახელმწიფო ინვესტიციებისათვის. დღგ-ს სტრუქტურა და საგადასახადო განაკვეთი გავლენას ახდენს ბიზნეს ოპერაციებზე, მომხმარებელთა ქცევაზე და საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე.

საკვანძო სიტყვები: დამატებული ღირებულების გადასახადი; პირდაპირი და არაპირდაპრი გადასახადი; მთლიანი შიდა პროდუქტი; ეროვნული შემოსავალი; საგადასახადო შეღავათები; საშინაო და საგარეო ვალი.

Abstract. Value added tax is an important source of budget formation, its economic nature helps to finance such structures as education, health, defense, infrastructure and social welfare programs, also allowing for accurate determination of revenues and flows, which contributes to long-term budget planning and fiscal sustainability.

VAT is the main source of tax revenues. Value added tax is an important element in the world taxation system, as well as in Georgia. VAT is imposed on the added value created at all stages of supply, from raw materials to the final consumer. VAT is a type of indirect tax, it is charged to the final consumer of goods and services and is tailored to the specific needs and priorities of individual countries.

Value added tax has crucial role in the distribution of the country's gross domestic product and national income. VAT is a consumption tax imposed on the value added to goods and services at each stage of production or distribution. VAT plays a special role in strengthening the tax system of Georgia, the stability of tax revenues, which is important for fiscal planning and state investments. The VAT structure and tax rate affect business operations, consumer behavior and the competitiveness of the Georgian economy.

Keywords: value added tax; direct and indirect taxes; gross domestic product; national income; tax benefits; domestic and foreign debt.

შესავალი

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) მნიშვნელოვანი ელემენტია,როგორც მსოფლიოს საგადასახადო სისტემაში, ასევე საქართველოში. დღგ დაწესებულია მიწოდების ჯაჭვის ყოველ საფეხურზე შექმნილ დამატებულ ღირებულებაზე, ნედლეულიდან საბოლოო მომხმარებლამდე. დღგ არაპირდაპირი გადასახადის სახეობაა, ის ეკისრება საქონლისა და მომსახურების საბოლოო მომხმარებელს. ის მორგებულია ცალკეული ქვეყნების სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე.

დღგ არის ბიუჯეტის ფორმირების მნიშვნელოვან წყარო. მისი ეკონომიკური ბუნება ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი დარგების დაფინანსებას, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, ინფრასტრუქტურა და სოციალური კეთილდღეობის პროგრამები. დღგ-ს საშუალებით შესაძლებელია ზუსტად განისაზღვროს შემოსავლები და ნაკადები, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის გრძელვადიან დაგეგმვასა და ფისკალურ მდგრადობას.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) და ეროვნული შემოსავლის განაწილებაში. დღგ არის მოხმარების გადასახადი, რომელიც დაწესებულია საქონელსა და მომსახურებაზე დამატებულ ღირებულებაზე წარმოების ან განაწილების თითოეულ ეტაპზე.

ძირითადი ნაწილი

დღგ ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და მდგრად განვითარებას, რადგან ბევრი განვითარებადი ქვეყანა ეყრდნობა დღგ-ს, როგორც შიდა შემოსავლის ძირითად წყაროს. დღგ-ს საგადასახადო შეღავათებით, შეუძლია ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის სტიმულირება, მდგრადი ტექნოლოგიებისა და გადაწყვეტილებების შემუშავება და მიღება, რომლებიც პასუხობენ საზოგადოების მწვავე გამოწვევებს, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, გაუარესებული გარემო პირობები და რესურსების დეფიციტი. ამასთან, დღგ-ს შეუძლია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების და სტარტაპების ზრდას, რომლებიც ხშირად არიან ინოვაციებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მამოძრავებელი მდგრადი განვითარების სექტორში.

დღგ ვრცელდება საერთაშორისო ვაჭრობაზე, რაც გავლენას ახდენს იმპორტისა და ექსპორტის ღირებულების სტრუქტურაზე. დღგ-ს მნიშვნელოვნად შეუძლია შეცვალოს მომხმარებლის ქცევა, გავლენა იქონიოს ბიზნეს ოპერაციებზე და ფასებზე. საქართველოში ბიზნესს აქვს პასუხისმგებლობა რომ დაიცვას არაპირდაპირ გადასახადებთან დაკავშირებული რეგულაციები, რაც მოიცავს გადსახადების სწორ დაანგარიშებას და მის შეროვებას, ასევე შესაფერისი ჩანაწერების წარმოებას და დეკლარაციების წარდგენას.

ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობისათვის საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ევროკავშირში ინტეგრაციის ფარგლებში,გატარდა რამდენიმე საგადასახადო რეფორმა, რათა ევროკავშირთან შესაბამისობაში იყოს ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა, ადმინისტრაციული პროცედურები და საგადასახადო განაკვეთები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას. ხელი მოეწერა შეთანხმებებს საგადასახადო ინფორმაციის გაცვლის შესახებ რომლის მიზანია გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლა, ეფექტური საგადასახადო ადმინისტრირების უზრუნველყოფა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა.

საქართველო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით ხელმძღვანელობს იმისათვის რომ გააუმჯობესოს საკუთარი საგადსახადო სისტემა, მათ შორის არაპირდაპირი გადასახადები, რაც ეხმარება ქვეყანას გაზარდოს არაპირდაპირი გადასახადების ეფექტურობა, კონკურენტუნარიანობა და სამართლიანობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საქართველოში არაპირდაპირი გადასახადების მარეგულირებელი, სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო სხვადასხვა კანონს, ადმინისტრაციულ პროცედურებსა და რეგულაციებს მოიცავს.

არაპირდაპირი გადასახადი არის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი და იბეგრება ქვეყნის ტერიტორიულ ფარგლებში გაწეული საქონლის და ასევე მომსახურების მიწოდებაზე და იმპორტზე. არაპირდაპირი გადასახადების წილი ბიუჯეტში პირდაპირი გადასახადების წილს

აჭარბებს. 2021 წლის ნაერთ ბიუჯეტში 88,36%-ს შეადგენს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, გადასახადების 59,68% არის არაპირდაპირი გადასახადები, ხოლო თავის მხრივ არაპირდაპირი გადასახადების 39,81%-ს წარმოადგენს დამატებული ღირებულების გადასახადი (წყარო: https://www.mof.ge/analitikuri_monacemebi/saxelmwifo_biujeti). 2022 წლის მონაცემებით ბიუჯეტში დღგ-ს წილი 38,46% რაც უდრის 7 452,9 მლნ ლარს. 2023 წლის პირველადი მონაცემებით კი დღგ-მა ბიუჯეტის - 22 124,2 მლნ ლარის 37,91% შეადგინა. მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით დღგ საბიუჯეტო შემოსავლის 33,97%-ს შეადგენს. წლების მიხედვით საბიუჯეტო შემოსავლის დინამიკა მზარდია როგორც პროცენტული ისე თანხობრივი მონაცემების ჭრილში. დღგ წლების მიხედვით მზარდი მაჩვენებლით გამოისახება, თუმცა პროცენტულად მისი წილი წლების მიხედვით ბიუჯეტში შედარებით კლებულობს (წყარო:https://www.geostat.ge/ka). მიუხედავად იმისა,რომ დღგ მზარდი დინამიკით გამოირჩეოდა, ხვედრითი წილის მიხედვით 2021-2024 წლებში დღგ-ს ხვედრითი წილი ნაერთ ბიუჯეტში კლებულობს (წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp).

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) მენეჯმენტის გაუმჯობესება იძლევა შესაძლებლობას შემოსავლების შეგროვების ეფექტურობის გაზრდის და საგადასახადო ტვირთის შესამცირებლად.

ტექნოლოგიის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა დღგ-ს მართვა. დღგ-ს რეგისტრაციის, შეტანისა და გადახდის ავტომატიზირებულ სისტემებმა გაამარტივეს პროცესები, ციფრულ პლატფორმებს ასევე შეუძლიათ ხელი შეუწყონ რეალურ დროში ანგარიშგებას და მონაცემთა ანალიტიკას, რაც საგადასახადო ორგანოებს უკეთ აწვდის გადასახადის გადამხდელთა ქცევას და გააუმჯობესებს აღსრულების შესაძლებლობებს.

დღგ-ს წესების გამარტივებამ და მათ ჰარმონიზაციამ სხვადასხვა იურისდიქციებში შეიძლება შეამციროს შესაბამისობის ხარჯები საერთაშორისო დონეზე მოქმედი ბიზნესებისთვის. დღგ-ს საგადასახადო განაკვეთი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით შეადგენს ღირებულების 18%, დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირდება პირი, რომლის ბრუნვა წლის ნებისმიერ დროს დღგ-ით დასაბეგრი საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ოპერაციების ჯამური თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს. ამ მომენტიდან (დღიდან) არა უგვიანეს 2 სამუშაო დღეში, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მიზნით, დასაბეგრმა პირმა უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

დღგ-ს ადმინისტრირებაში მიმდინარე რეფორმებმა შექმნა კომფორტული გარემო ბიზნესისთვის შესაბამისობის ხარჯების შემცირებით და სისტემა უფრო პროგნოზირებადი და გამჭვირვალე გახადა.

გადასახადის გადამხდელის მიმართ, შესაძლებელია განხორციელდეს ავტომატური დაბრუნების პირობით.

ავტომატური დაბრუნების სისტემის უპირატესობებია: დღგ-ის დაბრუნების პროცესის გაუმჯობესება; ბიუროკრატიული დაბრკოლებების და დოკუმენტაციის შემცირება. ავტომატური დაბრუნების სისტემით შეუძლია დაზოგოს ხარჯები, რომლიც დაკავშირებულია ხელით დამუშავებასთან. ბიზნესებს შეუძლიათ მიიღონ დღგ-ს ანაზღაურება უფრო სწრაფად, რაც გაუმჯობესებს მათ ფულად ნაკადს და ლიკვიდობას. თუმცა აღნიშნულ სისტემას შეიძლება გააჩნდეს ნაკლოვანებებიც, როგორიცაა: ტექნიკური ხარვეზები ან სისტემის გაუმართაობა.

დღგ-ის მოდერნიზებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გატარებული რეფორმები მნიშვნელოვანია ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება (2023 წლის დეკემბერი) ხელს შეუწყობს დღგ-ის პოლიტიკის შემდგომ ჰარმონიზაციას ევროკავშირის პოლიტიკასთან.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებიდან პირველ ადგილზეა დამატებული ღირებულების გადასახადი, 2023 წლის მონაცემით 6 804 000 000 ლარი, ხოლო 2024 წლისათვის მოსალოდნელია 7 388 000 000 ლარი. აღნიშნულის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი არის საგადასახადო სისტემის და ეკონომიკური ფუნქციონირების სასიცოცხლო წყარო.

დასკვნა

დღგ-ის პოლიტიკა საქართველოში შეესაბამება ეკონომიკის აღდგენის სტრატეგიას, რომელიც მოიცავს კონკურენტუნარიანობის გაზრდას, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას და ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. დღგ ბოლო წლებია პირველ ადგილს იკავებს ბიუჯეტის შემოსულობებში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დღგ-ს განაკვეთის შემცირება,რაც გამოიწვევს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას, თუმცა უნდა აღინიშნოს,რომ დღგ-ს შემცირება თავისთავად კეთილშობილური საქმეა, რადგან დღგ-ს ტვირთის სიმძიმე თითოეულ ადამიანს აწევს.

დღგ-ის ეფექტური მართვა აძლიერებს ფისკალურ მდგრადობას, ამასთან ხელს უწყობს სამართლიან და გამჭვირვალე საგადასახადო გარემოს. ჰარმონიზებული და კარგად მართული დღგ-ი აძლიერებს ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. დღგ-ის წესების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით და ვაჭრობის ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებით ქვეყნებს შეუძლიათ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და გლობალურ ბაზრებზე უფრო ეფექტური ინტეგრაცია.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2010). თბილისი.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https://www.mof.ge/analitikuri_monacemebi/saxelmwifo_biujeti
4. საქართველოსპარლამენტი www.parlament.ge
5. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი www.pbo.parliament.ge
6. www.asocireba.ge
7. https://bpngeorgia.ge/home/about-us/publications/tax

ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების თანმდევი რისკების შეფასების მოდელები
Risk Assessment Models Resulted by the Innovative Financial Instruments

ნათია კახნიაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ.პროფესორი
Natia Kakhniashvili - Doctor of Business Administration
Iv. Javakhishvili Tbilisi State University
Assistant Professor of the Faculty of Economics and Business

აბსტრაქტი. ფინანსური ოპერაციებისა და ფინანსური ინსტუმენტების ანალიზი მნიშვნელოვანია ეკონომიკური და ფინანსური აქტივობის ზრდისათვის. აღსანიშნავია ფინანსური ბაზრების მნიშვნელოვანი როლი, რადგანაც მის ძირითად ფუნქციას ქვეყნის შიგნით არსებული დანაზოგებისა და მოზიდული სახსრების პროდუქტიული განაწილება წარმოადგენს. საქართველოში ფინანსური სექტორის დომინანტი საბანკო სისტემაა, თუმცა ბიზნესის განვითარებისათვის ეს საკმარისი არ არის. დღეს აქტუალური საკითხია კაპიტალის ბაზრებისა და სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტების განვითარება. ასევე მნიშვნელოვანია მათთან დაკავშირებული რისკების აღმოჩენა, შეფასება და მართვის სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა. ფინანსური ინსტიტუტების რისკის მართვის ხარისხი განისაზღვრება მათი კაპიტალის ადექვატურობით, რომელიც უნდა შეფასდეს კონკრეტული რისკის პროფილის მიხედვით მთლიან სისტემაში. საბანკო სექტორში, როგორც ქვეყნისათვის დომინანტურ ფინანსურ არეალში, აუცილებელია ინდივიდუალური და სისტემური რისკების დროული გამოვლენა და მართვა. ერთ-ერთი პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი მიმართულება ამ სფეროში არის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის დამახასიათებელი რისკების შეფასების ეფექტურობა. რისკების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია VaR სტატისტიკური მოდელი, რომელიც გამოიყენება შესაძლო დანაკარგების პროგნოზირებისთვის კონკრეტულ დროში. ასევე გასათვალისწინებელია სხვა მოდელებიც, რომელთა გამოყენებითაც შესაძლოა ფინანსური ინსტრუმენტების თანმდევი რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ბაზარი, ფინანსური ინსტრუმენტები, კაპიტალის ბაზარი, რისკი, ეფექტიანობა.

ABSTRACT. Analysis of financial operations and financial instruments is significant for growth of economic and financial activity. It should be noted that the role of financial markets is rather important, because its basic function is the productive distribution of savings and funds raised within the country. Dominant in the financial sector in Georgia is the banking system, though it is not enough for business development. Development of capital markets and various investment instruments is an actual issue today. It is also important to discover, assess and select the right management methodology for the risks associated with them. The risk management degree of financial institutions is determined by the adequacy of their capital, which should be evaluated according to the specific risk profile in the whole system. In the banking sector, as in the dominant financial sphere for the country, it is necessary to timely determine and manage individual and systemic risks. One of the priority and important directions in this field is the effectiveness of risk assessment for financial instruments. VaR statistical model is important for risk assessment, which is used to predict possible losses in a specific time. Other models should also be considered, which could be used for the purpose to minimize the risks associated with financial instruments.

Keywords: financial market, financial instruments, capital market, risk, efficiency.

ფინანსური ინსტრუმენტების რისკების მართვა მოიცავს სხვადასხვა მოდელების და ტექნიკების გამოყენებას, რომლებიც ეხმარება ფინანსურ ორგანიზაციებს და ინვესტორებს რისკების იდენტიფიცირებაში, შეფასებაში და მართვაში. ქვემოთ განხილულია რამდენიმე ძირითადი მოდელი და მეთოდი, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ფინანსური რისკების მართვის პროცესში: **VaR** არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მოდელი, რომელიც განსაზღვრავს, რა მაქსიმალური დანაკარგი შეიძლება აღინიშნოს კონკრეტული დროში. VaR-ის გამოყენება საშუალებას აძლევს ფინანსურ ინსტიტუტებს გაანალიზონ, რამდენად მგრძნობიარენი არიან ისინი მარკეტინგული ვოლატილობის მიმართ. ასევე მნიშვნელოვანია **CVaR** (Conditional Value at Risk) მოდელი, რომელიც ცნობილია როგორც "ფართო ღირებულება დაკარგვის პირობებში", წარმოადგენს VaR-ის გაფართოებულ ვარიანტს. CVaR ითვალისწინებს იმ სავარაუდო ზარალს, რომელიც შეიძლება გამოჩნდეს, თუ VaR დონე გადალახულია. ეს მოდელი უფრო სრულყოფილად ასახავს უკიდურესი მოვლენების ზეგავლენას და საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს უფრო უკეთესი სტრატეგიები შექმნან დიდი დანაკარგების თავიდან

ასაცილებლად. რისკების მართვის კიდევ ერთ მეთოდს **ბაზრის მოდელები** (Market Models) წარმოადგენს, როგორიცაა კაპიტალის აქტივების შეფასების მოდელი (CAPM) და არბიტრაჟული ფასების თეორია (APT). ისინი ეხმარებიან ინვესტორებს შეაფასონ აქტივების ფასები და მათი მოლოდინი. CAPM-ის გამოყენებით შესაძლებელია შეფასდეს აქტივების მოსალოდნელი შემოსავლების ურთიერთობა მათ რისკთან. APT, თავის მხრივ, ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორების გავლენას, რაც უფრო კომპლექსურ ანალიზს იძლევა. **ფსიქომეტრიული მოდელები,** როგორიცაა GARCH (Generalized Autoregressive Conditional Heteroskedasticity), ანალიზს უკეთებს დროის შუალედებში ფასების მერყეობას და ინვესტორებს პროგნოზირების საშუალებას აძლევს. ეს მოდელი აჩვენებს, რომ წარსულში ფასების მერყეობა გავლენას ახდენს მომავალზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის რისკების შეფასების სიზუსტეს. ცხრილი N1 გვიჩვენებს ზემოთ აღნიშნული მოდელების გამოყენების არეალს რისკების ტიპების მიხედვით.

ცხრილი N 1

მოდელი	რისკის ტიპი	ძირითადი მახასიათებლები	მიუთითებს
VaR (Value at Risk)	საბაზრო რისკი	მაქსიმალური დანაკარგი კონკრეტულ კონფ. დონეზე	მოსალოდნელი დანაკარგების ზედა ზღვარზე
CVaR (Conditional VaR)	საბაზრო რისკი	VaR-ის გადაჭარბების შემთხვევაში დანაკარგი	უკიდურესი დანაკარგების შეფასებაზე
CAPM (Capital Asset Pricing)	კაპიტალის რისკი	აქტივის შემოსავლისა და რისკის ურთიერთობა	რისკის გაბალანსებული შემოსავლის გათვლაზე
GARCH	ვოლატილობა	დროის სერიების მერყეობა	ბაზრის მერყეობის პროგნოზირებაზე

სტრეს-ტესტირების მოდელი საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს შეაფასონ საკუთარი მდგრადობა ექსტრემალურ გარემოებებში. სტრეს-ტესტირების პროცესში, სხვადასხვა სცენარების (მაგალითად, ეკონომიკური კრიზისის, სავალუტო ბაზრის ქაოსის და სხვა) მიხედვით შეფასდება რამდენად მოწყვლადია ორგანიზაცია კონკრეტულ სიტუაციებში. **მარკოვური პროცესები** გამოყენება ფინანსური რისკების მართვის პროცესში, როდესაც მოვლენები განიხილება როგორც შემთხვევითი პროცესები, სადაც მომავალი მდგომარეობა დამოკიდებულია მხოლოდ მიმდინარე პროცესებზე. ეს მოდელი ხშირად გამოიყენება საფინანსო ბაზრებისა და აქტივების ფასების პროგნოზირებისას. **ბაზრის ზედამხედველობის მოდელები,** როგორიცაა Dodd-Frank (დოდ-ფრანკის უოლ-სტრიტის რეფორმისა და მომხმარებელთა დაცვის აქტი) და Basel III, უზრუნველყოფენ რეგულაციებსა და სტანდარტებს, რომლებიც ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობას უზრუნველყოფენ. ეს მოდელები მოიცავს კაპიტალის შენარჩუნების მოთხოვნებს, სტრეს-ტესტების ჩატარებას და ფინანსური ინსტიტუტების მონიტორინგს. **რეგულატორული რისკების მართვა** მოიცავს მოდელებს, რომლებიც განიხილავს კანონმდებლობის ცვლილებების გავლენას ფინანსურ ინსტიტუტებზე. ეს მოდელები ეხმარება ორგანიზაციებს მოემზადონ ახალი რეგულაციების შემოღებისათვის და განსაზღვრონ, როგორ უნდა მოერგონ მათ მიმდინარე ოპერაციებს. **მართვის ზომების და სტრატეგიების ფორმულირების** პროცესში, ორგანიზაციები აფასებენ თავიანთ რესურსებს, აქტივებსა და შესაძლებლობებს, რათა მოახდინონ საჭირო ცვლილებები და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები რისკების შემცირების მიზნით. მართვის ზომების გამჭვირვალობა და პროგნოზირება ხელს უწყობს რისკების დასაბუთებულ მართვას.

საბანკო რისკების შეფასების მოდელები ფინანსურ ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ, გაზომონ და მართონ რისკები, რომლებიც შეიძლება მოყვეს სხვადასხვა საბანკო ოპერაციებს. საბანკო სექტორის განვითარების ვექტორი მიმართული იყო მუდმივად ახალი

ინოვაციური პროდუქტების დანერგვისკენ, რაც საბანკო საქმიანობაში ზრდის რისკების მატების ალბათობას. მნიშვნელოვანია ძირითადი საბანკო რისკების შეფასების მოდელები და მათი მახასიათებლები. საკრედიტო რისკი ბანკებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რადგან ის უკავშირდება იმ შესაძლებლობას, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს სესხის ან ვალდებულებების დაბრუნებას. **Z-Score Model (Altman Z-Score)** ეს მოდელი გამოყენებულია კომპანიების დეფოლტის ალბათობის განსასაზღვრად. ის ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებს, როგორიცაა აქტივები, ვალდებულებები და შემოსავლები, რათა შეაფასოს ფინანსური სტაბილურობა. **CreditMetrics** მოდელი იკვლევს, როგორ აისახება კრედიტის ხარისხის ცვლილებები ბანკის პორტფელზე. ის ითვალისწინებს კრედიტის ხარისხს ან პორტფელის მოსალოდნელ დანაკარგებს. **Probability of Default (PD)** მოდელი გამოიყენება მსესხებლის დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად. ის ხშირად გამოიყენება რისკების მართვის სისტემებში Basel III-ის სტანდარტების მიხედვით, რათა ბანკებმა განსაზღვრონ კაპიტალის მოთხოვნები.

რაც შეეხება საბაზრო რისკს, იგი გულისხმობს პოტენციურ დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ფასების ან საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შედეგად. აქაც გამოიყენება **VaR (Value at Risk)** მოდელი, ასევე **Expected Shortfall (ES)** ES ან CVaR (Conditional VaR), **RiskMetrics** მოდელები, რაც ეხმარება ბანკებს პროგნოზირების გაუმჯობესებაში და საბაზრო რისკების უკეთ მართვაში.

ლიკვიდობის რისკი დაკავშირებულია ბანკის უნართან დროულად დააკმაყოფილოს ვალდებულებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კაპიტალის საჭიროება ან მოულოდნელი მოთხოვნა იჩენს თავს. ამგვარი რისკის შეფასებისათვის გამოიყენება: **Liquidity Coverage Ratio (LCR)** მოდელი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად კარგად შეუძლია ბანკს უზრუნველყოს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების გამოყენებით. Basel III-ის მიხედვით, ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ მინიმუმ 100% LCR, რაც უზრუნველყოფს მათ მდგრადობას მოკლევადიანი ფულადი საჭიროებების მიმართ. **Net Stable Funding Ratio (NSFR)** გამოიყენება ბანკის გრძელვადიანი ლიკვიდობის რისკის შესაფასებლად. ის ითვალისწინებს, როგორია ბანკის დაფინანსების სტრუქტურა გრძელვადიანი ვალდებულებების დასაფარად და რა მოცულობის სტაბილური დაფინანსების წყაროები აქვს ბანკს და **Maturity Gap Analysis**. ამ მოდელის მიხედვით, ბანკები აფასებენ აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას და ამ გზით ადგენენ, როგორია მათი ლიკვიდურობის პოზიცია მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. საბანკო რისკებს შორის ასევე მნიშვნელოვანია ოპერაციული რისკი, რომელიც წარმოიქმნება ბანკის შიდა პროცესების, პერსონალის შეცდომების ან სისტემების გაუმართაობების გამო. ასევე მოიცავს გარეგან მოვლენებს, როგორიცაა თაღლითობა ან კიბერუსაფრთხოების დარღვევები. საოპერაციო რისკის შეფასებისას მნიშვნელოვანია **Loss Distribution Approach (LDA)** მოდელი, რომელიც იყენებს სტატისტიკურ ანალიზს წარსულში მომხდარი ოპერაციული დანაკარგების მონაცემებზე, რათა გამოითვალოს პოტენციური ზარალი და ალბათობა მომავალში. **Scenario Analysis** ამ მეთოდით ბანკები ავითარებენ პოტენციურ სცენარებს, მაგალითად, კიბერშეტევები, ტექნოლოგიური მარცხები ან რეგულატორული ცვლილებები. მოდელი გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რა ზარალი შეიძლება მოჰყვეს სხვადასხვა სცენარებს. ასევე **Risk Control Self-Assessment (RCSA)**. ეს მოდელი წარმოადგენს შიდა შეფასების პროცესს, რომლის დროსაც ბანკი თვითონ აფასებს, რა ტიპის რისკებთან აქვს საქმე სხვადასხვა ოპერაციების განხორციელებისას და როგორ ახდენს ამ რისკებზე კონტროლს.

სტრეს-ტესტები (Stress Testing) გამოიყენება საბანკო რისკების შეფასებისთვის სხვადასხვა ექსტრემალურ გარემოებებში. ისინი შეიძლება მოიცავდნენ ეკონომიკურ კრიზისს, ბაზრის მკვეთრ რყევებს ან სხვა არაპროგნოზირებად მოვლენებს. ბანკები ქმნიან სხვადასხვა სცენარებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ეკონომიკურ ვარდნას, აქტივებზე ფასების ვარდნას, ლიკვიდობის კრიზისს და ა.შ. **Scenario Analysis** სცენარების ანალიზი ავითარებს სავარაუდო ეკონომიკურ ან ბაზრის მოვლენებს და შეისწავლის, როგორ აისახება ეს მოვლენები ბანკის ფინანსურ სტაბილურობაზე. ბანკები იყენებენ სხვადასხვა სცენარებს კრიზისული რისკების იდენტიფიცირებისთვის. აღსანიშნავია **კაპიტალის საკმარისობის შეფასების მოდელები (Basel III)**, რომელიც აქცენტს აკეთებს კაპიტალის საკმარისობის და ლიკვიდურობის მართვაზე. კაპიტალის მოთხოვნები ბანკებისთვის განსაზღვრავს, რამდენად კარგად არიან ისინი მზად პოტენციური ფინანსური ზარალისთვის. **Common Equity Tier 1 (CET1) Capital Ratio** ეს მოდელი განსაზღვრავს, რამდენად საკმარისია ბანკის ძირითადი კაპიტალი პოტენციური ზარალების დასაფარად და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. CET1 უნდა შეადგენდეს მინიმუმ 4.5%-ს რისკის ქვეშ მყოფი აქტივების მიმართ. **Total Capital Ratio** ეს მოდელი აჩვენებს, რა მოცულობით ფლობს ბანკი კაპიტალს, რაც მოიცავს პირველ და მეორე დონის კაპიტალებს, რათა უზრუნველყოს მდგრადობა ფინანსური კრიზისების დროს. საბანკო რისკების მართვის მოდელები უზრუნველყოფენ ზუსტ და სიღრმისეულ ანალიზს სხვადასხვა ტიპის რისკების შესახებ. რისკების მართვა მოითხოვს კომპლექსურ მეთოდებს, რომლებიც ეხმარება ბანკებს არა მხოლოდ რისკების შეფასებაში, არამედ მათ ეფექტურ კონტროლსა და მართვაში.

სადაზღვევო საქმიანობა დაკავშირებულია მრავალი და მრავალფეროვანი რისკის მართვასთან, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც ფინანსურ, ასევე ოპერაციულ ასპექტებზე. სადაზღვევო რისკი წარმოადგენს კომპანიის მიერ პოტენციურად მიღებული ზარალის რისკს, როდესაც ხდება პრეტენზიების ანაზღაურება დაზღვეულ პირებთან მიმართებაში. სადაზღვევო კომპანიები ქმნიან რეზერვებს მომავალი პრეტენზიებისთვის, მაგრამ თუ ამ პრეტენზიების ოდენობა და სიხშირე მნიშვნელოვნად აღემატება მოლოდინს, კომპანიას შეიძლება შეექმნას ფინანსური სირთულეები. ეს რისკი განსაკუთრებით აქტუალურია სიცოცხლის დაზღვევის, ჯანმრთელობის დაზღვევის და უძრავი ქონების დაზღვევის სექტორებში, სადაც ზარალის შეფასება რთული და არაპროგნოზირებადია. საბაზრო რისკი ეხება ფინანსურ ბაზრებზე არსებული ინსტრუმენტების ფასების ცვლილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სადაზღვევო კომპანიის აქტივებსა და ინვესტიციებზე. სადაზღვევო კომპანიები თავიანთ კაპიტალის ინვესტირებას ახდენენ აქციებში, ობლიგაციებში და სხვა ფინანსურ აქტივებში, ამიტომ ამ აქტივების ფასების ცვლილებებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგრადობაზე. ეკონომიკური კრიზისები ან ბაზრების არასტაბილურობა ხშირად ზრდის საბაზრო რისკს. ასევე მნიშვნელოვანია ლიკვიდობის, ოპერაციული და კიბერუსაფრთხოების რისკების შეფასება და მართვა. სადაზღვევო საქმიანობის წარმატებისთვის აუცილებელია რისკების ეფექტური მართვა. რისკების მართვის პროცესი გულისხმობს სხვადასხვა ტექნიკისა და სტრატეგიის გამოყენებას, რომლებიც საშუალებას აძლევს კომპანიებს, შეამცირონ ზარალის რისკები და მაქსიმალურად დაიცვან თავიანთი ფინანსური მდგრადობა. სადაზღვევო კომპანიები მიმართავენ როგორც

ტრადიციულ, ისე ინოვაციურ მეთოდებს რისკების იდენტიფიცირებისა და მართვისთვის. რისკების ეფექტურად მართვისათვის იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა გადაზღვევა, დივერსიფიკაცია, რეზერვების დაგროვება, სოლვენტობის მართვა, კატასტროფული ობლიგაციები (Catastrophe Bonds), დაზღვევის პოლისების პირობების კონტროლი, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ანალიტიკის გამოყენება, ოპერაციული რისკების მართვა და სხვა. გადაზღვევა არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი სადაზღვევო კომპანიებისთვის. მისი მეშვეობით, კომპანია გადაცემს საკუთარ რისკებს სხვა გადამზღვევ კომპანიას. აღნიშნულ მეთოდს შეუძლია შეამციროს ერთჯერადი, მაღალი ზარალების შესაძლებლობა და ამავდროულად შეინარჩუნოს ლიკვიდობა. დივერსიფიკაცია რისკების შემცირების ძირითადი მეთოდია. სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ თავიანთი პორტფელი ისე გაანაწილონ, რომ არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ ერთ ტიპის რისკზე. დივერსიფიკაცია ეხმარება მათ შეამციროონ ზარალის ალბათობა, რადგან ერთ ლოკაციაში ან სექტორში გამოწვეული კრიზისი ნაკლებად იმოქმედებს მთლიან პორტფელზე. უნდა აღინიშნოს, რომ დივერსიფიკაციის მექანიზმი ამორჩევით ზემოქმედებს ცალკეული ფინანსური რისკების უარყოფითი შედეგების შემცირებაზე უზრუნველყოფს რა უდავო ეფექტს არასისტემატური (სპეციფიკური) ჯგუფის კომპლექსური, პორტფელური ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციაში, ის არ იძლევა ეფექტს სისტემატური რისკების უდიდესი ნაწილის – ინფლაციური, საგადასახადო და სხვა – ნეიტრალიზაციაში.

რეზერვების დაგროვება და მართვა მნიშვნელოვნად ამცირებს ლიკვიდობის რისკს და საშუალებას აძლევს კომპანიას სწრაფად გაართვას თავი პრეტენზიებს. სოლვენტობა არის კომპანიის ფინანსური მდგრადობა და ვალდებულებების დროულად შესრულების შესაძლებლობა. სადაზღვევო კომპანიები იყენებენ სოლვენტობის მართვის სტრატეგიებს, როგორიცაა კაპიტალის ადეკვატურობის კონტროლი, საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფა და საკმარისი ლიკვიდობის შენარჩუნება. კატასტროფული ობლიგაციები არის ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სადაზღვევო რისკების ჰეჯირებისთვის. ეს ობლიგაციები გამოშვებულია იმისთვის, რომ დაფაროონ მასშტაბური კატასტროფების შედეგები, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები. ობლიგაციების მფლობელები იღებენ სარგებელს, თუ კატასტროფა არ მოხდება, ხოლო თუ მოხდება, სადაზღვევო კომპანია იღებს თანხებს ზარალის ანაზღაურებისთვის. სადაზღვევო კომპანიები ფრთხილად აკონტროლებენ დაზღვევის პოლისების პირობებს, რათა თავიდან აიცილონ სარისკო კონტრაქტების გაფორმება. ეს მოიცავს პრემიების სწორ შეფასებას, გამორიცხვის პირობების მკაფიოდ განსაზღვრას და დაზღვეული პირების სეგმენტაციის გამოყენებას. ასეთი მეთოდი ამცირებს ზარალის რისკს და საშუალებას აძლევს კომპანიას ეფექტურად მართოს საკუთარი ვალდებულებები. თანამედროვე სადაზღვევო კომპანიები აქტიურად იყენებენ მონაცემთა ანალიზს და ხელოვნურ ინტელექტს რისკების უკეთესი იდენტიფიცირებისთვის და მართვისთვის. ანალიტიკური მოდელები და ალგორითმები ეხმარება კომპანიებს შეაფასონ რისკები რეალურ დროში და განახორციელონ დროული კორექტირებები. ეს მეთოდი განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია პანდემიისა და სხვა გლობალური კრიზისების დროს, როდესაც რისკები სწრაფად იცვლება. რაც შეეხება საოპერაციო რისკს - სადაზღვევო კომპანიებს უწევთ შიდა ოპერაციების რისკების მართვა, რაც მოიცავს ადამიანურ შეცდომებს, ტექნიკური გაუმართაობებსა და კიბერუსაფრთხოებას. კომპანიის შიდა კონტროლის სისტემები და აუდიტის პროცესები უზრუნველყოფენ რისკების პრევენციას. ამასთან, კომპანიები მუდმივად განაახლებენ IT ინფრასტრუქტურას და ზრდიან კიბერუსაფრთხოების კონტროლს, რათა უზრუნველყონ მონაცემთა უსაფრთხოება.

ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსური ბაზრების განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინვესტირების სტრატეგიებში. ისინი მოიცავენ ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ და უფრო მოქნილ საშუალებებს, როგორიცაა კრიპტოვალუტები, ბლოკჩეინის დაფუძნებული აქტივები, სტაბილკოინები, დერივატივები, დეცენტრალიზებული ფინანსური სისტემები (DeFi), ციფრული აქტივები და სხვ. თუმცა, ამ ახალმა ინსტრუმენტებმა ინვესტორებისთვის რისკის განსხვავებული და ხშირად რთული ფორმები მოიტანეს. მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური რისკი - ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები ხშირად პირდაპირ არის დაკავშირებული ტექნოლოგიურ პლატფორმებთან, როგორიცაა ბლოკჩეინი, ხელოვნური ინტელექტი ან ალგორითმული სავაჭრო სისტემები. ტექნოლოგიების განვითარება არ არის 100%-ით სტაბილური, რაც ნიშნავს, რომ შესაძლოა მოხდეს ტექნოლოგიური გაუმართაობა, კიბერშეტევა ან პლატფორმის მწყობრიდან გამოსვლა, რაც ინვესტორებისთვის ფინანსურ ზარალს იწვევს. მაგალითად, თუ ბლოკჩეინზე დაფუძნებული კრიპტოვალუტა ან DeFi პლატფორმა ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას, მომხმარებელმა შესაძლოა დაკარგოს საკუთარი თანხები.

ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები, განსაკუთრებით ახალ ბაზრებზე, ხშირად განიცდიან ლიკვიდობის ნაკლებობას. ეს ნიშნავს, რომ ინვესტორებს შესაძლოა გაუჭირდეთ მათი ინსტრუმენტების დროულად გაყიდვა ან ყიდვა მისაღებ ფასად. ლიკვიდობის ნაკლებობა ზრდის ინვესტიციების გაყიდვისას ზარალის რისკს და ამავდროულად აფერხებს სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას, როდესაც ბაზრის მდგომარეობა იცვლება.

ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები ხშირად გამოირჩევიან ფასების ექსტრემალური მერყეობით. მაგალითად, კრიპტოვალუტების ფასი შეიძლება მოკლე დროში მკვეთრად გაიზარდოს ან შემცირდეს, რაც ინვესტორებს დიდ რისკს უქმნის. ასეთი ვოლატილობა დაკავშირებულია ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების არასაკმარისობასთან, ახალი ტექნოლოგიების გარშემო არსებულ სპეკულაციებთან და საზოგადოების განწყობებთან.

კრიპტოვალუტები ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტებია. მიუხედავად მათი მზარდი პოპულარობისა, მათთან დაკავშირებული მრავალი სპეციფიკური რისკი არსებობს. პირველ რიგში, არსებობს კიბერუსაფრთხოების რისკი, რომელიც დაკავშირებულია კრიპტოვალუტების საფულეების გატეხვის, ყალბი ტრანზაქციებისა და ჰაკერული თავდასხმების საფრთხესთან. მეორე, არის "მაინის" და ენერგიის მოხმარების პრობლემა, რაც დაკავშირებულია ზოგიერთი კრიპტოვალუტის გარემოსდაცვით გავლენებთან. მესამე, კრიპტოვალუტების ფასი მძლავრად ცვალებადია და სპეკულაციური ბაზრის გავლენის ქვეშ არის. სტაბილკოინები არის კრიპტოვალუტის ტიპი, რომელიც შექმნილია ტრადიციულ ვალუტასთან (მაგალითად, აშშ დოლარი) კავშირის შენარჩუნების მიზნით. მიუხედავად იმისა,

რომ ისინი უფრო სტაბილურია კრიპტოვალუტებთან შედარებით, მათაც აქვთ რისკები. თუ იმ ინსტიტუციამ, რომელიც პასუხისმგებელია სტაბილკოინის დაფარვაზე, ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებები ან დაირღვა მისი ფინანსური მართვის სტრუქტურა, ინვესტორებს შეიძლება მიადგეთ სერიოზული ზარალი. მნიშვნელოვანია დეცენტრალიზებული ფინანსური სისტემების (DeFi) რისკებიც.

DeFi პლატფორმები იყენებენ ბლოკჩეინის ტექნოლოგიას და სთავაზობენ მომხმარებლებს სხვადასხვა სახის ფინანსურ სერვისებს, როგორიცაა სესხების აღება ან ვაჭრობა. ეს სისტემა დაფუძნებულია სმარტ კონტრაქტებზე, რომლებიც ალგორითმულად მართავენ ტრანზაქციებს. თუმცა, სმარტ კონტრაქტებში შესაძლებელია კოდირების შეცდომები, რაც შეიძლება გამოიყენონ ჰაკერებმა და პლატფორმის მომხმარებლებს მიაყენონ ზარალი. ამასთან, რადგან DeFi სისტემები არ არიან რეგულირებული, ინვესტორებს არ აქვთ სამართლებრივი დაცვა ისეთი შემთხვევების დროს, როგორიცაა დანაკარგების ან თაღლითობის შემთხვევები. ზემოთ აღნიშნული ინოვაციური საფინანსო ინსტრუმენტების რისკების მართვა მოითხოვს დახვეწილი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებას. მათ შორისაა: ჰეჯირება, დივერსიფიკაცია, ბლოკჩეინის ტექნოლოგიების გამოყენება, ავტომატიზებული სავაჭრო სისტემები, ანალიტიკა და მონაცემთა მეცნიერება, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და მოდელირების ტექნიკები.

ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები ინვესტორებს ახალ შესაძლებლობებს სთავაზობენ, მაგრამ მათ თან ახლავს მნიშვნელოვანი რისკები. ინვესტორებმა უნდა შეაფასონ როგორც ტრადიციული, ისე ახალი რისკები, გამოიყენონ სიფრთხილე, დეტალურად შეისწავლონ თითოეული ინსტრუმენტი და რეგულაციების ცვლილებებთან დაკავშირებული მოვლენები, რათა ეფექტურად მართონ თავიანთი კაპიტალი და თავიდან აირიდონ შესაძლო ზარალი. ინოვაციური საფინანსო ინსტრუმენტების რისკების მართვა მოითხოვს დახვეწილი მეთოდების და სტრატეგიების გამოყენებას. ამგვარი სტრატეგიების ეფექტური განხორციელება კომპანიებს და ინვესტორებს საშუალებას აძლევს უკეთ შეაფასონ და მართონ რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ტიპის ფინანსურ აქტივებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარბაქაძე ხ, კაკაშვილი ნ, კახნიაშვილი ნ., ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის აქტუალური საკითხები, ეროვნული - სამეცნიერო კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 8 თებერვალი, 2024;
2. ბარბაქაძე ხ., სავალუტო რისკი: შეფასებები და მართვის მეთოდები, ჟურნალი ახალი ეკონომისტი N1, 2009;
3. კაკაშვილი ნ, რისკის მენეჯმენტი და დაზღვევა, ჟურნალი ბიზნესი და კანონმდებლობა გამომც. „ინოვაცია“, 2012;
4. კახნიაშვილი ნ., კრიზისების დაძლევის პოლიტიკა კომერციულ ბანკებში გლობალური პანდემიის (კოვიდ19) ფონზე. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“, N1, ISSN-2587-5000 სტუ, გამომც. “დანი“, 01.02.2021; https://drive.google.com/file/d/1FswpQYyY6XyDu1I281r-G8fpK8gSnXGo/view
5. John C. Hull., Risk Management and Financial Institutions, 2021; https://www.everand.com/book/641211182/Risk-Management-and-Financial-Institutions
6. Roy E Bailey .,The Economics of Financial Markets: Risk and Information ., 2020; https://www.researchgate.net/publication/227389704_The_Economics_of_Financial_Markets

7. J. David Cummins, G. Kaufman., Systemic Risk: The Dynamics of Modern Financial Markets.,2022

8. Jon Truby.,Financial Risk Management for Cryptocurrencies: Managing Volatility in Digital Assets" ., 2023;

9. Rajat Bansal., Derivatives and Risk Management., 2022;
https://in.linkedin.com/in/rajat-bansal-

10. Graciela Kaminsky and Carmen Reinhart., Emerging Market Risk Analysis., 2023;
https://www.researchgate.net/publication/227441476_Assessing_Financial_Vulnerability_An_Early_Warning_System_for_Emerging_Markets

11.Michael Pompian., Behavioral Finance and Risk Management: How Cognitive Biases Influence Financial Decisions"., 2023;

12. Tim Bollerslev., Financial Markets and Risk Management: Innovations and Challenges., 2021;

13. George E. Rejda, Michael J. McNamara., Principles of Risk Management and Insurance, Washington State University, 2020.

14. https://www.pearson.com/en-us/subject-catalog/p/principles-of-risk-management-and-insurance/P200000006028/9780135641293

სოციალური რეკლამის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებისთვის (აქტუალური პრობლემები და ზემოქმედების ხერხები)

The importance of Social Advertising in Modern Society: Current Issues and Methods of Influence

ეკატერინე ჭალაგანიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტი
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

Ekaterina Chalaganidze
Student of the mass communication doctoral educational program of the Faculty of Social Sciences and Humanities of the Caucasus International University
Academic Assistant

აბსტრაქტი. სოციალური რეკლამის როლის გაანალიზებისას შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ის მოქმედებს როგორც მარკერი, შექმნილი ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე საზოგადოების ყურადღების ფოკუსირებისთვის. თითოეული სოციალური რეკლამა უნდა შეიქმნას კონკრეტული პრობლემისთვის, კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით, მაგრამ მხოლოდ სოციალური რეკლამა საკმარისი არ არის. ეს უნდა იყოს ქმედებათა ნაკრები. სოციალური რეკლამის სპეციფიკა გვიჩვენებს, რომ სარეკლამო კამპანიის თემები გამუდმებით მეორდება, რაც იწვევს პრობლემის გაუფასურებას და სულ უფრო ნაკლები ყურადღების მიპყრობას.

არასტანდარტული ტექნიკის გამოყენებით ადამიანები განსხვავებულად შეხედავენ არსებულ პრობლემებს. კრეატიული გადაწყვეტილებების მოძიებით, შესაძლებელია მაყურებელზე უფრო ეფექტური ზემოქმედება. წარმატებული სოციალური კამპანიის შედეგია ადამიანების გონებაში ქცევის სოციალურად მნიშვნელოვანი სტერეოტიპების შექმნა და კონსოლიდაცია, გავლენა საზოგადოების ინტეგრაციაზე, სოციალური იდენტიფიკაცია, სოციალური როლების გაზრდა, მორალური ფასეულობების დაცვა და ნორმების ჩამოყალიბება. სამიზნე აუდიტორიის სიღრმისეული ანალიზი საშუალებას გვაძლევს

ვიწინასწარმეტყველოთ ქცევა და რეაქცია რეკლამაზე. სოციალური რეკლამის ეფექტურობის შეფასება საკმაოდ რთულია, რადგან საზოგადოებრივი აზრის ცვლილება რაიმე ფენომენთან ან პრობლემასთან დაკავშირებით, სამიზნე აუდიტორიის ქცევითი ჩვევებისა და დამოკიდებულების ცვლილება, ნებისმიერი სოციალური სერვისის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და ა.შ. მიიღწევა მხოლოდ გარკვეული , ხშირად საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ.

სოციალური რეკლამის მთავარი ამოცანებია:

- სოციალური პრობლემის პოპულარიზაცია.
- ადამიანების წახალისება, რათა მონაწილეობა მიიღონ პრობლემის გადაჭრაში.
- გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითი გავლენა მოახდინოს ქცევის მოდელებზე.
- ჯანსაღი ცხოვრების წესის და ჯანსაღი ჩვევების პოპულარიზაცია.
- ადამიანებს შორის ჰუმანისტური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა.

ნაშრომში წარმოდგენილია შინაარსის ანალიზის კვლევის მეთოდი. ნაშრომში განხილულია, თუ როგორ უნდა შესთავაზოს სოციალურმა რეკლამამ საზოგადოებას გზები სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად, შეუწყოს ხელი ახალი ტიპის სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და სოციალური სერვისების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას. გრძელვადიან პერსპექტივაში, სოციალურმა რეკლამამ უნდა შეცვალოს არა მხოლოდ პრობლემისადმი დამოკიდებულება, არამედ ჩამოაყალიბოს ქცევითი დამოკიდებულებები და განავითაროს მორალური ღირებულებები.

საკვანძო სიტყვები და ფრაზები: სოციალური რეკლამა, სარეკლამო ტექნიკა, სოციალური პრობლემა, ზემოქმედების მექანიზმები

Abstract. Analyzing the role of social advertising, we can observe that it serves as a key tool for drawing public attention to the most urgent societal issues. Each social advertisements should target a specific problem, tailored with particular characteristics in mind. However, social advertising alone is insufficient; it should be a part of a broader set of actions. One challenge with social advertising is the repetitive nature of campaign themes, which can lead to a gradual desensitization to the issue, causing the message lose its impact over time.

By using innovative and non-traditional techniques, social advertisements can prompt audiences to view existing problems from new perspectives. Creative solutions allow for a more effective influence on public perception. A successful campaign should aim to create and solidify socially significant behavior patterns in the public consciousness, promote community integration and social identification, enhance social roles, protect moral values, and shape societal norms. A thorough analysis of the target audience is essential for predicting responses to social advertisements. However, evaluating the effectiveness of social advertising can be challenging, as shifts in public opinion, behavior, and awareness of social issues often occur gradually and over an extended period.

The primary objectives of social advertising include:

- Raising awareness of social problems.
- Encouraging public participation in problem –solving.
- Positively influencing long-term behavior patterns.
- Promoting healthy lifestyles and habit.
- Fostering humanistic relationships between individuals.

This papers presents the research method of content analysis, exploring how social advertising offer solutions to socially important problems, contribute to the development of new social relations, and inform the public about available social services. In the long term, social advertising should not only change attitudes toward issues but also shape behavioral norms and cultivate moral values.

Keywords and phrases: Social advertising, Advertising teqniques, Social problem, Methods of influence.

საქართველოში, სადაც მრავალი აქტუალური პრობლემა არსებობს, სოციალური რეკლამის განვითარების შენელებული ტემპი შეინიშნება. ქვეყანაში არ არსებობს სოციალური რეკლამის პრაქტიკის თეორიული სისტემატიზაცია. ბევრი სპეციალისტისთვის ეს ძირითადად სოციალური ფენომენია, „სოციალური რეკლამა არის გაფრთხილება, პრევენციული ინფორმაცია“, „ადამიანებმა უნდა დაინახონ ნარკომანიით , მოწევით, ალკოჰოლიზმით გამოწვეული ზიანი". სოციალური რეკლამა არის ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი საშუალებით, მიმართულია განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანზე და მიზნად ისახავს საქველმოქმედო და სხვა სოციალურად სასარგებლო მიზნების მიღწევას,

ასევე სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფას. სოციალური რეკლამის დეფინიცია რადიკალურად განსხვავებულია შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, სადაც სოციალურ რეკლამას ჰქვია „საჯარო რეკლამა“ და იგი შექმნილია საზოგადოების აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად.

• სოციალური რეკლამის განმთავსებლები შეიძლება იყვნენ ფიზიკური, იურიდიული პირები, სახელმწიფო ორგანოები, ადგილობრივი თვითმმართველობები, აგრეთვე მუნიციპალური ორგანოები, რომლებიც არ შედიან ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურაში.

• ზემოაღნიშნული რეკლამის განმთავსებლები ათავსებენ შეკვეთებს სოციალური რეკლამის დამზადებისა და გავრცელებისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

• „სოციალური რეკლამის განთავსების შესახებ ხელშეკრულების დადება სავალდებულოა სარეკლამო დისტრიბუტორთან მის მიერ განაწილებული რეკლამის წლიური მოცულობის გამოყოფილი დროის ფარგლებში (მათ შორის, სატელევიზიო და რადიო გადაცემებში გავრცელებული რეკლამის საერთო დრო, ბეჭდური გამოცემის მთლიანი სარეკლამო სივრცე. , სარეკლამო სტრუქტურების მთლიანი სარეკლამო სივრცე). ასეთი ხელშეკრულების დადება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. (სამაუწყებლო)

„მაუწყებელი ვალდებულია ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმოს 3 საათში ჯამში არანაკლებ 90 წამისა“. (სამაუწყებლო)

• სოციალურ რეკლამაში დაუშვებელია საქონლის კონკრეტული ბრენდების (მოდელების), სავაჭრო ნიშნების, მომსახურების ნიშნების და მათი ინდივიდუალიზაციის სხვა საშუალებების მითითება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, გარდა სახელმწიფო ორგანოების, სხვა სახელმწიფო ორგანოების და ადგილობრივი ხელისუფლებისა.

სოციალური რეკლამის განმასხვავებელი ნიშნებია:

• სოციალურ რეკლამაში რაც შეიძლება მკაფიოდ არის გამოხატული დადებითი და/ან უარყოფითი მოქმედების შედეგი- იდეა. დამარწმუნებელი მოწოდება უნდა ეფუძნებოდეს ზოგადად მნიშვნელოვან, არამატერიალურ ღირებულებებს, რომლებსაც იზიარებენ ადამიანთა დიდი ჯგუფები.

• სოციალური რეკლამის განთავსებიდან სარგებელს ვერ მიიღებს კონკრეტული პირი ან კომპანია.

• მიმართვა მოსახლეობის/სამიზნე აუდიტორიისადმი, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება იმპერატიული განწყობის სახით, რომელიც მოითხოვს მისგან შესრულებას.

სოციალური პრობლემა აერთიანებს მოვლენებსა და პირობებს, რომლებიც უარყოფითად აისახება როგორც მთლიან საზოგადოებაზე, ისე კონკრეტულ ინდივიდზე. აღნიშნული პრობლემები მთელ მსოფლიოშია გავრცელებული, მაგრამ ქვეყნისა და ადგილის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგან მეტად გამოხატულია. პრობლემის გადაჭრა მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია უარყოფითი ზემოქმედების შემცირებისკენ.

მოცემულ პერიოდში საქართველოში, ზოგადად რეკლამის და კონკრეტულად სოციალური რეკლამის განვითარება ქაოტურად მიმდინარეობს. რეკლამა ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება შეფასდეს, როგორც ინფორმაციის უწყვეტი ნაკადი. ყოველდღიურ ცხოვრებაში ის გავლენას ახდენს სოციუმზე: ნერგავს და მანიპულირებს, ავითარებს სოციალური ქცევის სტერეოტიპებს, რომლებიც რეკლამის ავტორებმა შემქმნეს. სოციალური რეკლამა აიძულებს ინდივიდს მიიღოს

ღირებულებითი მითითებები, უჩვენებს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ფორმებს საკუთარი თავის და საზოგადოების წინაშე.

ხშირად ადამიანები, რომლებიც ქმნიან კომერციულ რეკლამას, ერთვებიან სოციალური რეკლამის შექმნაში. რეკლამებში გავლენის მეთოდები მსგავსია, მაგრამ კომერციული რეკლამის შექმნისას საბოლოო მიზანი არის პროდუქტის ან სერვისის გაყიდვა. სოციალურმა რეკლამამ უნდა გააშუქოს პრობლემა და გრძელვადიან პერსპექტივაში ჩამოაყალიბოს საზოგადოებაში ქცევის მოდელი. ასეთი რეკლამის შექმნისას საჭიროა სიღრმისეული მიდგომა და სამიზნე აუდიტორიის ანალიზი, მათი ემოციური დამოკიდებულების, ქცევითი, სოციალურ-დემოგრაფიული და გეოგრაფიული მახასიათებლების გათვალისწინებით. საბოლოო ჯამში, ეს შესაძლებელს გახდის მაყურებელზე უფრო ძლიერი და ხანგრძლივი ზემოქმედების მოხდენას, კონკრეტული საკითხის მიმართ მკაფიო იმიჯის ან დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. იდეა და გზავნილი ასეთ რეკლამაში გასაგები უნდა იყოს მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომელსაც ის მიმართავს.

სოციალური რეკლამა, რომელიც სამთავრობო ორგანოების მიერ იქმნება ხშირად პროპაგანდისტულ-პატრიოტული, პოლიტიკური ხასიათისაა, რათა აუხსნას მოქალაქეებს სახელმწიფოს დამოკიდებულებების, მიზნების და ამოცანების შესახებ მოკლე ან გრძელვადიან პერსპექტივაში. სოციალური რეკლამა ატარებს იდეას, რომელსაც აქვს სოციალური ღირებულება, რაც ხელს უწყობს ადამიანებს შეცვალონ ჩვევები, ყურადღება გაამახვილონ სოციალურ პრობლემებზე, განავითარონ ახალი მორალური სტანდარტები.

ამჟამად, სოციალური რეკლამის საკითხების სია საკმაოდ ვრცელია. ის ეხება როგორც მოქალაქეთა ინტერპერსონალურ დამოკიდებულებებს, ასევე საზოგადოების პრობლემებს.

მომხმარებლის ტიპის მიხედვით სოციალური რეკლამა იყოფა:

• სახელმწიფოს სოციალური რეკლამა– განთავსებული და მიმართულია სახელმწიფო ინსტიტუტების ინტერესების დაცვაზე.

• სოციალური რეკლამა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის – განთავსებულია არაკომერციული ორგანიზაციების მიერ.

• კომერციული სტრუქტურების სოციალური რეკლამა - განთავსებულია კომერციული ორგანიზაციების ინიციატივით და მათი ხარჯებით.

ზემოქმედების ხასიათის მიხედვით:

• საჩივარი – ასეთი რეკლამა შეიცავს კონკრეტულ მოწოდებას მოქმედებისკენ.

• კითხვა – შეიცავს კითხვას აუდიტორიისთვის, რომელმაც უნდა დააფიქროს პრობლემაზე.

• ინფორმირება – შეიცავს დეტალურ ინფორმაციას, ავლენს კონკრეტულ თემას.

• კომბინირებული – შეიცავს ინფორმაციას აუდიტორიისთვის, ასევე მოქმედებისკენ მოწოდებას.

შინაარსის მიხედვით რეკლამა შეიძლება დაიყოს:

• ღირებულებითი რეკლამა – როცა მთავარი მიზანი ყურადღების მიპყრობა ან შეხედულებებისა და რწმენის გავრცელებაა.

• საინფორმაციო რეკლამა – როდესაც რეკლამა შეიცავს სრულ ინფორმაციას კონკრეტულ თემაზე.

• არაკომერციული ორგანიზაციების, პროექტების, ღონისძიებების, პროგრამების რეკლამა - ეს რეკლამა შექმნილია იმისათვის, რომ გამოიმუშაოს და შეინარჩუნოს ინტერესი აქტივობებისა და ღონისძიებების მიმართ, რომლებიც ხაზს უსვამს სოციალურ და საზოგადოებრივ საკითხებს.

სოციალური რეკლამა ასევე შეიძლება დაიყოს ფორმატის მიხედვით:

• ხმოვანი რეკლამა – ასეთი რეკლამა ტიპიურია რადიოში. მას შეუძლია წარმოადგინოს გარკვეული თეზისები ან გადასცეს ინფორმაცია პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ.

• ვიზუალური და გრაფიკული – მოიცავს ბანერებს, პლაკატებს.

• ვიზუალურ-კინემატოგრაფიული – ელექტრონული ციფრული ტექნოლოგიით გადაცემული ვიდეოები.

• ვიზუალური ობიექტი – ფიზიკური ობიექტები, რომლებიც არ არის განკუთვნილი რეკლამის გასავრცელებლად. ჩვეულებრივ, ის შედგება ინსტალაციებისგან, რომლებიც ასახავს ზოგიერთ სოციალურ პრობლემას.

• ტექსტი – რეკლამა, რომელიც შედგება ტექსტისგან. ნებისმიერი ტექსტი, რომელიც შეესაბამება სოციალური რეკლამის განმარტებას, აქ შესაფერისია.

სემანტიკური დატვირთვის მიხედვით სოციალური რეკლამა იყოფა:

• პოზიტიურად – როცა რეკლამა ყურადღებას ამახვილებს პოზიტიურზე, ხატავს პოზიტიურ იმიჯს.

• ნეგატიური – ასეთი რეკლამა ამახვილებს ყურადღებას საზოგადოების პრობლემებზე, ხაზს უსვამს მათ და ქმნის დესტრუქციული ქცევის ნიმუშების უარყოფით იმიჯს.

სოციალური რეკლამის შემდეგი ფუნქციების იდენტიფიცირება შეიძლება:

• სოციალიზაციის ფუნქცია გადასცემს საზოგადოებას და ინდივიდს ქცევის სწორ მოდელს. მას ასევე შეუძლია ხელი შეუშალოს ადამიანებს დესტრუქციულ ქცევაში. ეს შეიძლება იყოს რეკლამა, რომელიც ხალხს მოუწოდებს, დაუთმონ ადგილები მოხუცებს და ორსულებს, არ დატოვონ ნაგავი ბუნებაში, იყვნენ თავაზიანი და მზრუნველი. მისი ამოცანაა ჩამოაყალიბოს ღირებულებითი თვისებები და დამოკიდებულებები. სოციალური კამპანიები „ფრთხილად იყავი მართვის დროს“, „დაალაგე ნაგავი შენს შემდეგ“, „გაატარე საღამო ფხიზლად“. გამაერთიანებელი ფუნქცია მიზნად ისახავს ქვეყნებისა და ხალხის გაერთიანებას სოციალური პრობლემების ირგვლივ.

• რეკლამისთვის დამახასიათებელია საინფორმაციო ფუნქცია, რომლის ამოცანაა ინფორმაციის გადაცემა და აქტუალური სოციალური პრობლემების პრევენცია. ასეთი რეკლამა შეიძლება შეიცავდეს პრობლემის გადაჭრის კონკრეტულ გზებს. ის შეიძლება წარმოდგენილი იყოს სტატისტიკური მონაცემების, სოციალური პროექტების ან ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის სახით.

• მოტივაციის და სტიმულირების ფუნქციას შეუძლია მოუწოდოს ადამიანებს სოციალურად მნიშვნელოვანი ქმედებებისკენ. ეს შეიძლება დაეხმაროს ადამიანებს რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

• საგანმანათლებლო ფუნქციაა სარეკლამო მედიის გამოყენებით სისტემატიზებული ინფორმაციის ან ცოდნის გადმოცემა. აღნიშნული ფუნქციის დახმარებით, იზრდება მოსახლეობის წიგნიერების დონე ცალკეულ სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით.

• იდეოლოგიური ფუნქცია ხელს უწყობს სახელმწიფოს იდეოლოგიური შეხედულებების განვითარებას. ერთი სოციალური რეკლამა შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე ფუნქციას ერთდროულად. კრეატიულობის მაღალი დონე, ასეთ სარეკლამო გზავნილს მხატვრულ ღირებულებას და ესთეტიკურ ექსპრესიულობას ანიჭებს. ხშირად ის ვითარდება სიმბოლურ გამოსახულებად, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ და ემოციურ სამყაროზე და მისი რწმენის ფორმირებაზე, ესთეტიკური გამოსახულების ღირებულებითი ორიენტაციების ფორმირებაზე. სარეკლამო ნაწარმოების ექსპრესიულობა და სემანტიკური სიმდიდრე გავლენას

ახდენს ადამიანის ცნობიერებაზე, აიძულებს მას არა მხოლოდ გაეცნოს სარეკლამო გზავნილს, არამედ მიიღოს სარეკლამო იდეა, როგორც მოქმედების გზამკვლევი.

სოციალური რეკლამის ზემოქმედების მექანიზმი

გადაწყვეტილების მიღება რეკლამის კლასიკური გაგებით არის მაყურებლის სურვილი შეიძინოს პროდუქტი ან მომსახურება. სოციალურ პროცესში ეს არის მზადყოფნა, ჩამოაყალიბოს ახალი პერსპექტივა მიმდინარე პრობლემაზე, ან ცნობიერება მის შესახებ. მკაფიო და გასაგები სლოგანი მოქმედებს როგორც მასტიმულირებელი სურათი. ზემოქმედება მაყურებლის ემოციურ აღქმაზე ფუნდამენტურია და შეუძლია გამოიწვიოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ემოციები. გავლენის ძირითადი მეთოდები და კლასიფიცირება შემდეგნაირია:

• ემოციური გავლენა. დადებითი ემოციური ეფექტები მოიცავს: სიამაყეს და პატრიოტიზმს. ასეთი რეკლამა დამახასიათებელია საბჭოთა ეპოქისთვის, რომელიც ხაზს უსვამს ქვეყნის კულტურულ, ბუნებრივ და ინტელექტუალურ მიღწევებს.

• ოჯახის კეთილდღეობის რეკლამა. უარყოფითი ემოციური გავლენა: დაკარგვის საფრთხე, ტანჯვა და საშინელება, შფოთვა და შიში;

• ზოგიერთი ქცევითი სტერეოტიპის განადგურება და სხვათა შექმნა;

• ცნობილი პიროვნებების გამოყენება ავტორიტეტულ მოსაზრებად;

• პრობლემის დაზუსტება;

• სტატისტიკური მონაცემების გამოყენება;

• კონსტრუქციების გამოყენება უარყოფით;

• მეტაფორების გამოყენება;

• სრული სურათის შექმნა ერთი დეტალით;

• მოქმედების ფარულად წახალისება;

• ანდაზებისა და გამონათქვამების გამოყენება.

სოციალური რეკლამის ფენომენი, მისი დანიშნულება და სპეციფიკა, ტიპები და ფორმები, ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა მრავალი უცხოური და ადგილობრივი კვლევის საგანია.

საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით. ნაშრომისთვის გაანალიზდა შემდეგი ავტორების ნამუშევრები: ვილიამ არენსი, (Arens); ბობ გარფილდი(Garfild B., 2015) ; ჯონ ჯონსი (Ф., 2015) და ამ.

ნამუშევრებში წარმოდგენილია სოციალური რეკლამის შესწავლის სხვადასხვა მიდგომა, ამ სფეროში თეორიული და გამოყენებითი კვლევების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ სოციალური რეკლამის შესახებ სოციოლოგიური შეხედულებების ევოლუციის პროცესი: ეფექტური ტრანსფორმაცია. სოციალური რეკლამის განვითარებისა და მისი ინსტიტუციონალიზაციის ისტორიას სხვადასხვა ქვეყანაში აქვს თავისი სპეციფიკა, რომელიც განისაზღვრება მრავალი ფაქტორით: ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურულ-ისტორიული და ა.შ. სტრუქტურული ელემენტები, სოციალურად მნიშვნელოვანი მიზნები და ამოცანები, სოციალურად ორიენტირებული საქმიანობის სახეები და ფორმები, ტექნოლოგიები და მეთოდები, ურთიერთობები და ურთიერთქმედება თანამედროვე საზოგადოების სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან.

სოციალურმა რეკლამამ თანამედროვე საზოგადოებაში ინსტიტუციური ფორმა შეიძინა. დღეისთვის ის აღიქმება, როგორც სოციალური დაძაბულობის, მწვავე სოციალური პრობლემების, საზოგადოების ზნეობის, მორალის და ჰუმანურობის დონის მაჩვენებელი. სოციალური პრობლემების გაუარესების ფონზე (ფინანსური კრიზისი, ომები,

სიღარიბე, უმუშევრობა, გარემოს დაბინძურება, სტიქიური და ტექნოგენური კატასტროფები, უბედური შემთხვევები, დანაშაული, კორუფცია, ნარკომანია, ადამიანებით ვაჭრობა და ა.შ.) განსაკუთრებით მისი განვითარების გარდამავალ კრიზისულ პერიოდებში, მნიშვნელოვნად მცირდება ადამიანის სიცოცხლის ღირებულება, ნადგურდება ტრადიციული მორალური და ეთიკური იდეები.

დღესდღეობით ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს სოციალური რეკლამის მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ეს უნივერსალური და ლაკონური ინსტრუმენტი ყველა მხრიდან ერთვის საინფორმაციო სივრცეს. ხშირად ადამიანები ვერ ამჩნევენ სოციალურ რეკლამას და ვერც კი განსაზღვრავენ, მიეკუთვნება თუ არა ის ინფორმაცია, რომელსაც იღებენ, სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის სფეროს.

აღსანიშნავია, რომ სარეკლამო ლოზუნგები და სლოგანები, რაც გაისმის ყოველდღიურ სამყაროში, მოულოდნელად აღვიძებენ თანაგრძნობას სოციალური პრობლემებისა და ადამიანთა ცხოვრებაში არსებული სირთულეების მიმართ. თითქოს ნაკლებად შესამჩნევი სიტყვები და ციტატები, ნახატები და ისტორიები ხშირად უბიძგებს ადამიანებს კარგი საქმეებისკენ და აფიქრებს ცხოვრების ხარისხზე. სოციალური ინფორმაცია, რომელიც ძირითადად იმალება პრესასა და ტელევიზიის გადაცემებში, სოციალური რეკლამაა და სწორედ სოციალური რეკლამის ასეთი მორალური პრაქტიკიდან იბადება ადამიანის სამოქალაქო და ადამიანური პოზიცია.

სოციალური რეკლამა არის ინსტრუმენტი. ის შეუძლებელია იყოს ქმედითი საზოგადოებრივი ჩართულობის გარეშე. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სამოქმედო ინსტრუმენტების დანიშნულებისამებრ გამოყენება. სოციალური საკითხებისადმი ინტერესის შეფასებისას, ვხედავთ საზოგადოებაში სამოქალაქო ინიციატივის მოთხოვნის ხარისხს. ბავშვებისა და ახალგაზრდების ნამუშევრებში ასახული თემები გვიჩვენებს მათი მომზადებისა და განათლების დონეს სამოქალაქო, პატრიოტიზმისა და ტოლერანტობის სფეროში. ეს არის საზოგადოების თვითშეგნების მდგომარეობის სერიოზული და სანდო მაჩვენებელი. მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ბავშვების ნამუშევრების უმეტესობა ეძღვნება გარემოს დაცვას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და მშვიდობის დამყარების თემებს. მოცემული ნამუშევრების გამოყენებით, შეგვიძლია ვისაუბროთ ახალგაზრდების აზროვნების ხარისხსა და სიღრმეზე სამოქალაქო ცნობიერების სფეროში. სოციალური რეკლამა მზადაა გახდეს სათანადო ინსტრუმენტი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განათლებისთვის, მას სჭირდება ძალა, საშუალებები და სათანადო ნაბიჯები.

ბოლო დროს გავრცელებული სოციალური რეკლამა ვითარდება ეროვნული მახასიათებლების გამოყენებით, რაც განისაზღვრება საზოგადოების ისტორიით, მისი ღირებულებებითა და იდეოლოგიით. სოციალური რეკლამა საქართველოში ემყარება მენტალიტეტის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა სულიერება, გრძნობების დახვეწილობა, სენტიმენტალურობა, თანაგრძნობა მეზობლის მიმართ და მეგობრობის ერთგულება. ასეთი რეკლამა გავლენას ახდენს ადამიანის გრძნობებზე, რითაც დადებითად აისახება საზოგადოებაზე

მაგალითად, თუ ეს არის რეკლამა მოხუცთა თავშესაფრის შესახებ, მისი ნახვის შემდეგ მაყურებელს უნდა გაუჩნდეს სურვილი დაუყონებლივ დაუკავშირდეს მშობლებს, გამოხატოს მათდამი ზრუნვა, სიყვარული და პატივისცემა. თუ ვიდეო ან სურათი გვიჩვენებს ნარკომანიის პრობლემას, მაშინ ნახვის შემდეგ ადამიანს უნდა გაუჩნდეს სურვილი, როგორმე დაეხმაროს ნარკოტიკზე დამოკიდებულ ადამიანებს.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად, თანამედროვე სოციალური რეკლამა იყენებს მედიის უფრო ფართო სპექტრს. სოციალური რეკლამა შევიდა მრავალ სფეროში და პოპულარული გახდა კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებში. სარეკლამო იდეის შემუშავება არა მხოლოდ კრეატიული მიდგომაა, არამედ კარგად გააზრებული სარეკლამო სტრატეგიაა, რომელიც საშუალებას მისცემს სოციალურ პრობლემას კარგად დაამახსოვროს და მომხმარებელს სრულად წარუდგინოს ინფორმაცია, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად არის აღიარებული.

სოციალური პროექტების დახმარებით შესაძლებელია საზოგადოებას მიაწოდოს ჯანმრთელობის შენარჩუნების პრობლემა და გააფრთხილოს ისეთი სოციალური პრობლემების მავნე ზიანის შესახებ, როგორიცაა ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, მოწევა, შიდსი, გზებზე მაღალი სიჩქარე და სხვა. მოწევა ჯანმრთელობის საერთო პრობლემაა, რადგან ის ადამიანებიც კი, რომლებიც არ იყენებენ ამ ჩვევას, არიან პასიური მწეველები. პირველისთვის რთული ნაბიჯია ნიკოტინის მოხმარების შეწყვეტის გადაწყვეტილება, მეორესთვის კი მწეველი საზოგადოების გავლენის თავიდან აცილება და ჯანმრთელობის შენარჩუნება. ახალგაზრდებში ნარკომანია სწრაფად ვითარდება და გაჩნდა „რბილი“ ნარკოტიკები. შიდსით დაავადებულთა 75% ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებით დაინფიცირდა. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ვაქცინა ან ეფექტური საშუალება შიდსით დაავადებულთა სამკურნალოდ, დღეს მის წინააღმდეგ ერთადერთი „რეცეპტი“ რჩება ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა.

გზებზე განსაკუთრებით აქტუალური პრობლემაა ავარიების მაჩვენებელი. ყოველწლიურად გზებზე ათასობით ადამიანი იღუპება, და შავდება. საფრთხის მხრივ საავტომობილო ტრანსპორტი 5-ჯერ აჭარბებს საჰაერო ტრანსპორტს, ხოლო სარკინიგზო - 12-ჯერ. მთელ მსოფლიოში საგზაო უსაფრთხოების საკითხს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ევროპის ქვეყნებში, იაპონიაში, აშშ-სა და კანადაში გამოიყენება კომპლექსური გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია არა მხოლოდ მოძრაობის ეფექტურ ორგანიზებასთან, არამედ სოციალური რეკლამის გავრცელებასთან, რომელიც ხალხს მოუწოდებს სიფრთხილისკენ. გზებზე უსიამოვნო ვიდეოები, საშინელი ბანერები - ეს ყველაფერი ნამდვილად აფიქრებინებს ადამიანებს, რომ მძღოლობა დიდი პასუხისმგებლობაა და ყოველი მოქმედების უკან ლოგიკური შედეგი იმალება.

დღეს შეგვიძლია დავაკვირდეთ სამოქალაქო და საზოგადოებრივი ინიციატივების ზრდას. გაჩნდა ფენომენი, როდესაც ცალკეული მოქალაქეების და საინიციატივო ჯგუფების მიერ ხორციელდება ერთჯერადი ქმედებები. ბევრ ქალაქში პოპულარული გახდა სოციალური „გრაფიტის“ ფენომენი, რომელიც არა მხოლოდ ამშვენებს ქალაქის ქუჩებს, არამედ ნათლად ასახავს საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს.

სოციალური რეკლამა საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ვითარდება და ეს შეუქცევადი პროცესია. სამომავლოდ, სარეკლამო ბაზარზე შეიძლება გამოჩნდნენ ვიწრო სპეციალისტები, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან გლობალური რეკლამის უახლესი ტენდენციების, ბრენდინგის სიახლეების შემუშავებით. სოციალური რეკლამა განვითარდება ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის განვითარებისა და ცხოვრების დონის პროპორციულად. მოქალაქეთა კეთილდღეობის დონის ზრდა გამოიწვევს სოციალური რეკლამის ზრდას და ხარისხობრივ მრავალფეროვნებას. ვინაიდან ადამიანი ცდილობს, უპირველეს ყოვლისა, დააკმაყოფილოს ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილებები (ფიზიოლოგიური, თვითგადარჩენის მოთხოვნილებები, სოციალური, პატივისცემის

მოთხოვნილებები და თვითდადასტურების მოთხოვნილებები), მოთხოვნადი იქნება სწორედ ამ მნიშვნელოვან კრიტერიუმებზე აგებული რეკლამა.

მკვლევრები თვლიან, რომ ფარული სოციალური რეკლამა ყოველწლიურად უფრო აქტიურად განვითარდება. კინო და ლიტერატურა ამ პროცესის აქტიური მონაწილე ხდება. ასეთ ვითარებაში აუცილებელია ვიმოქმედოთ ისე, რომ თავიდან ავიცილოთ სოციალური რეკლამის დისფუნქციური მახასიათებლების ზრდა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალური რეკლამის არასწორი აღქმა.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციალური რეკლამა საქართველოში განვითარების ეტაპზეა. დასავლეთ ევროპაში ის უკვე თანაბარი გახდა კომერციულ რეკლამასთან. საზოგადოებას სურს, რომ სოციალურმა რეკლამამ რაც შეიძლება მეტი ადამიანი წაახალისოს მიმდინარე პრობლემებთან ბრძოლაში. ყოველწლიურად სოციალური რეკლამის თემა უფრო პოპულარული ხდება, სოციალური კამპანიები უფრო კაშკაშა და ხარისხიანი, იპყრობს ხალხის ყურადღებას პრობლემების გადაჭრაზე, რაც ნიშნავს, რომ თანამედროვე სოციალური რეკლამა ასრულებს თავის ფუნქციებს და ბევრად უფრო ეფექტური ხდება წინა წლებთან შედარებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Arens, W. F. (ბ.დ.). Essentials of contemporary advertising.
2. Fairclough, N. (1989). Language and Power. . В *Language and Power.*
3. Foley, A. R. (ბ.დ.). The language of non-commercial advertising: A pragmatic approach.
4. Garfild B., 2. T. (2015). В *The Ten Commandments of Advertising.*
5. McLuhan. (1967). В *„მედია არის მესიჯი“.*
6. Бове Кортлэнд Л. (ბ.დ.). Social Advertising.
7. Викторовна, З. Т.-1. (ბ.დ.). ЯЗЫКОВЫЕ ТЕХНОЛОГИИ «АНТИВИРУСНОЙ» СОЦИАЛЬНОЙ РЕКЛАМЫ: ОТ «ИСПАНСКОГО ГРИППА» ДО “COVID-19” 1 .рекламы.:, Т. р. (ბ.დ.). http://www/1soc.ru/ .
8. Ф., Д. Д. (2015). Мифы, небылицы и факты о рекламе: анализ 28 самых живучих мифов.
9. სამაუწყებლო. (ბ.დ.). В *სოციალური რეკლამის სამაუწყებლო გადები განთავსებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო.*
10. https://comcom.ge/ge/regulation/broadcasting/broadcasting-sakonsultacio-dokumentebi-da-sxva masalebi/socialuri-reklamis-samauwyeblo-badeshi-gantavsebastan-dakavshirebuli-saxelmdzgvanelo-rekomendaciebi1.page.

ტრანსნაციონალური მედიაკორპორაციების სტრუქტურირებული მოდელების გარდაქმნის ტენდენციები ციფრულ ეპოქაში

Trends in the transformation of structured models of transnational media corporations in the digital age

დავით დოლიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციების

სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

Davit Dolidze
PhD student of the Doctoral Program of Mass Communications of the Faculty of Humanities and Social Sciences of the Caucasus International University

აბსტრაქტი. ბრენდი, თანამედროვე მარკეტინგის თეორიის ერთ-ერთი მთავარი კონცეფციაა. თუმცა, მედიის მენეჯმენტისა თუ სხვა ჟურნალისტურ პროფესიულ ლიტერატურაში, ბრენდებსა და ბრენდინგის პროცესს შედარებით მცირე მეცნიერული ყურადღება ექცევა. მიუხედავად იმისა, რომ ბრენდთან დაკავშირებული კონცეფციები თანდათან სულ უფრო ხშირად გვხვდება მეცნიერულ დისკუსიაში და დებატებში მედია პროდუქტებისა და მედია სერვისების შესახებ კვლევა მედია ბრენდებზე, როგორც ასეთი, მაინც ძალზედ მწირია, აქამდე არსებულს არ ჰქონდა სისტემატური ფოკუსი და თეორიული თანმიმდევრულობა.

ბრენდი ხშირად განიხილება მხოლოდ როგორც ინდუსტრიის მთავარი სიტყვა და არა თეორიული კონსტრუქცია ან ანალიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც აყალიბებს წარმატების მდგრად სტრატეგიებს მედია ინდუსტრიის მუდმივად ცვალებად გარემოში. ამრიგად, მედიამცოდნეობისა და მასობრივი კომუნიკაციების სფეროში, ბრენდები და ბრენდინგი კვლავ მოითხოვს სრულფასოვან კვლევას.

სამეცნიერო პუბლიკაციის მიზანია, ხელი შევუწყოთ საკვლევი საკითხის შემდგომ განვითარებას, მედიის მენეჯმენტის ლიტერატურაში არსებული ბრენდების ჩამოყალიბების შესახებ არსებული კვლევების სისტემატური მიმოხილვისა და ანალიზის შეთავაზებით. ამ სფეროში ბრენდების კონცეპტუალიზაციისა და გაგების სხვადასხვა გზების იდენტიფიცირებითა და ანალიზის საფუძველზე. აგრეთვე, ჩამოვაყალიბებთ ერთგვარ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომელიც ასახავს ბრენდის სხვადასხვა განზომილებებს, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. სტატიაში წარმოგიდგენთ ბრენდინგის პროცესის კვლევის სისტემურ მიმოხილვასა და კონცეპტუალურ ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ტრანსნაციონალური მედიაკორპორაციები, მედიაბრენდები, კონცეპტუალური მოდელები, ციფრული ერა, ჟურნალისტიკის ტრანსფორმაცია.

Abstract. Brand is one of the main concepts of modern marketing theory. However, in media management or other journalistic professional literature, brands and the branding process receive relatively little scholarly attention. Although brand-related concepts are increasingly present in scholarly discussions and debates about media products and media services, research on media brands as such is still very scarce, lacking systematic focus and theoretical coherence.

Brand is often treated only as an industry buzzword, rather than a theoretical construct or analytical tool that shapes sustainable strategies for success in the ever-changing environment of the media industry. Thus, in the field of media studies and mass communications, brands and branding still require full-fledged research.

The aim of the scientific publication is to contribute to the further development of the research question by offering a systematic review and analysis of existing research on brand building in the media management literature. By identifying and analyzing different ways of conceptualizing and understanding brands in this field, we will also develop a kind of conceptual framework that reflects the different dimensions of the brand, both theoretically and practically. The article presents a systematic review and conceptual analysis of branding process research.

Key words: transnational media corporations, media brands, conceptual models, digital era, transformation of journalism.

ძირითადი ტექსტი

კვლევის ძირითად მიგნებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მედია ბრენდების ანალიზი ეყრდნობა ძირითად ცნებებსა და მოდელებს, რომლებიც დანერგილია უშუალოდ მარკეტინგისა და მარკეტინგული კომუნიკაციის ლიტერატურაში. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ხუთი განსხვავებულ მიდგომა მედია ბრენდების კონცეპტუალიზაციისა მედია მენეჯმენტის კონტექსტში. კერძოდ, ესენია:

- ბრენდი, როგორც პროდუქტი;
- ბრენდის ზრდა და გაფართოება;
- ბრენდის იდენტობა;
- ბრენდის დიფერენციაცია;
- ბრენდი, როგორც კაპიტალი.

დავიწყოთ თითოეული მათგანის განხილვა. სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაში ბრენდი ჩვეულებრივ გაგებულია როგორც წესი, ბრენდირებული პროდუქტი ან მომსახურება. იმისდა მიუხედავად, რომ მედიაპროდუქტის კონცეფციის ფარგლები გაცილებით ვიწროა, ვიდრე თავად მედია ბრენდის. კონცეპტუალური განსხვავება კი ძნელად მოსაფიქრებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ სიღრმისეულ ასახვაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ჩვენ გავაანალიზეთ, მედიაბრენდის კონცეფცია ასევე გამოიყენება ოჯახებისთვის განკუთვნილ მრავალარხიან მედიაკონტენტზე. როდესაც კონტენტი ქვეყნდება რამდენიმე არხით და ფორმატით, უფრო მოსახერხებელია საუბარი მედია ბრენდზე, ვიდრე, ვთქვათ, ცალკე აღებულ რომელიმე გაზეთზე, ვებ-საიტზე ან სატელევიზიო პროგრამაზე. სწორედ ამ დროს იყენებენ ტერმინს „მედიაბრენდი“, რათა ხაზი გაუსვან განსხვავებას კონკრეტულ მედია არხზე გამოჩენილ კონტენტსა და თავად იმ მედიაბრენდს შორის, რომლის ქოლგის ქვეშაც ერთიანდება და ამ გზით ქვეყნდება აღნიშნული კონტენტი.

თუმცა, ბრენდინგის პროცესის შესწავლის ყველაზე გავრცელებული მიდგომა იყო მედიაინდუსტრიის კონკრეტული სექტორებისა და მისი გამორჩეული მახასიათებლების შესწავლა. ამ მიდგომას არ გააჩნია უფრო ზოგადი კონცეპტუალური განხილვა მედიაბრენდების შესახებ. მედიასექტორების მიხედვით, ბრენდის კვლევის ძირითადი აქცენტი აშკარად ტელევიზიაზე იყო. კერძოდ, ბრენდინგის ადრეული კვლევები მედია მენეჯმენტის სფეროში კონცენტრირებული იყო სატელევიზიო მაუწყებლებზე, სატელევიზიო სადგურებსა და სატელევიზიო ქსელებზე. სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ კვლევებმა გამოიყენა ისეთი ტერმინი, როგორიცაა სატელევიზიო ბრენდი. მოგვიანებით კი გაჩნდა ტერმინები: საგაზეთო ბრენდი, ბრენდული ჟურნალი და ასე შემდეგ.

ბრენდების კონცეპტუალიზაციისა და შესწავლის კიდევ ერთი მიდგომა არის ბრენდის გაფართოებებზე ფოკუსირება. ბრენდის გაფართოება სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია, როგორც პერსპექტიული შესაძლებლობები მსხვილი მედია კომპანიებისთვის, რომ გაზარდონ თავიანთი ბიზნესი, რადგან ძლიერ მედიაბრენდს შეუძლია შექმნას ერთგვარი პლატფორმა სხვადასხვა ახალი პროდუქტებისა შესაქმნელად. როგორც დოილი (2006, გვ. 107) ამბობს: *„ბრენდების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული გამოწვევები მრავალ პლატფორმაზე და მრავალ ტერიტორიაზე, XXI საუკუნეში მედია კონტენტის შემქმნელებისთვის ყველაზე აქტუალური საკითხია“.*

როგორც მოგეხსენებათ, მსხვილი ტრანსნაციონალური მედიაკოპორაციები ცდილობენ აითვისონ რაც შეიძლება მეტი ქვეყნის საინფორმაციო სივრცე. შესაბამისად, ბრენდის სახელი და რეპუტაცია წარმოადგენს საკვანძო აქტივსა და უმთავრეს წარმატების ფაქტორს ნებისმიერი მედია კომპანიისთვის. ბრენდის გაზრდილი ცნობადობა და სანდოობა საშუალებას აძლევს კომპანიას წამოიწყოს ახალი გაფართოება ბევრად უფრო მცირე მარკეტინგული ინვესტიციებით, ვიდრე ის იქნება საჭირო სრულიად ახალი ბრენდის შესასვლელად მისთვის უცხო მედიაბაზარზე.

ბრენდის გაფართოებას შეუძლია გააძლიეროს ურთიერთობა მომხმარებლებსა და ბრენდს შორის, ასევე გაზარდოს მომხმარებელთა ლოიალობა ბრენდის მიმართ. საბოლოოდ, ბრენდის გაფართოებას შეუძლია ხელი შეუწყოს კროს-პლატფორმულ მარკეტინგულ აქტივობებს როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ მედიაბაზარზე. საერთო ჯამში, გაფართოებას შეუძლია მოიტანოს ფინანსური და სხვა ტიპის მარკეტინგული სარგებელი მედიაბრენდისთვის.

მესამე მიდგომა არის ბრენდის იდენტობის განსაზღვრა. მრავალი კვლევა განიხილავს ბრენდირებას მისი იდენტობის თვალსაზრისით, რაც თავისი არსით გულისხმობს ამათუიმ

ბრენდის განმასხვავებელ მახასიათებლებს და გარეგნულ გამოხატულებას - რას წარმოადგენს ეს ბრენდი.

ბრენდის იდენტობის განსაზღვრისას, მკვლევარები ხშირად მიმართავენ აგრეთვე უამრავ დაკავშირებულ კონცეფციას, როგორიცაა ბრენდის ატრიბუტი, რომელიც ეხება განმასხვავებელ მახასიათებელს ან სარგებელს, რომელსაც ბრენდი გვთავაზობს, და ბრენდის დაპირება, რომელიც ეხება ფუნქციებისა და უპირატესობების მთლიანობას, რომელსაც ესათუის ბრენდი წარმოადგენს.

ზოგიერთ კვლევაში ბრენდის იდენტობა განიხილება აგრეთვე მისი ვიზუალური თვალსაზრისით, რაც გამოიხატება ბრენდის კონკრეტულ ვიზუალურ მახასიათებლებში ან იდენტიფიკატორებში, როგორიცაა ბრენდის სახელი ან ლოგო. ამ თვალსაზრისით ბრენდის იდენტობა ემსახურება მედიაკომპანიის ბრენდირებული შეთავაზებების შემუშავების, გაუმჯობესებისა და დიფერენცირების ინსტრუმენტს - რაც ეხმარება კომპანიას მომხმარებელმა უკეთ განასხვავოს თავისი შეთავაზებები კონკურენტების შეთავაზებებისგან.

მეოთხე მიდგომა, რომელსაც ჩვენ გავაანალიზებთ არის ბრენდინგის, როგორც პრაქტიკის განხილვა, რომელსაც მედია კომპანია ახორციელებს ბაზარზე წარმატების მისაღწევად პროდუქტის დიფერენციაციის გზით. აღნიშნული მიდგომით, ბრენდინგის პროცესი განხილულია, როგორც ერთგვარი სტრატეგია ბრენდის დიფერენციაციის გზით მომხმარებელთა პოზიტიური დამოკიდებულების გამოწვევის, აუდიტორიის გაზრდისა და ბრენდის მიმართ ლიალურობით კონკურენტული უპირატესობის შესაქმნელად.

მიუხედავად იმისა, რომ ბრენდინგი, როგორც წესი, განიხილება, როგორც მედია პროდუქტებისა და სერვისების დიფერენცირების ტაქტიკა მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებით, ასევე არიან მეცნიერები, რომლებიც წარმოადგენენ ბრენდირებას, როგორც სტრატეგიულ პროცესს (მაგ. Chan-Olmsted & Cha, 2008, გვ. 35).

როდესაც გარემო სტაბილურია, მსხვილი მედიაკორპორაციები იყენებენ მათ ყველაზე მნიშვნელოვან აქტივს, ანუ მომხმარებლებს. მათ სურთ შექმნან ძლიერი და ხანგრძლივი კავშირი თავიანთ აუდიტორიასთან - დაუკავშირდნენ არსებულ და პოტენციურ მაყურებელს, მსმენელს ან მკითხველს, მათთვის ხელსაყრელი ნებისმიერი გზით. ბრენდის მენეჯმენტი წარმოიშვა, როგორც მენეჯერული ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს მედიასაშუალებებს კომუნიკაციის ამ განზომილებების მშენებლობასა და ექსპლუატაციაში.

მეხუთე მიდგომა ბრენდებისა და ბრენდინგის კონცეპტუალიზაციისთვის, არის ბრენდის განხილვა კონკრეტული აქტივის თვალსაზრისით, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ ბრენდის კაპიტალს. მედიაბრენდების ადრეულ კვლევებში, ბრენდის კაპიტალის კონცეფცია გამოიყენებოდა ბრენდების, როგორც ფინანსური და სიმბოლური აქტივების ღირებულების შესასწავლად. ბრენდის კაპიტალის ცნება ეხება მომხმარებელთა დამოკიდებულებას რომელიმე კონკრეტული ბრენდისადმი. ბრენდის კაპიტალი მნიშვნელოვანი აქტივია კომპანიისთვის, რათა მოიპოვოს მდგრადი კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე. კომპანიები მიზნად ისახავენ გააუმჯობესონ თავიანთი ბრენდის კაპიტალი სხვადასხვა მარკეტინგული გათვლებით.

ბრენდის კაპიტალი აღწერს ურთიერთობას ბრენდსა და მომხმარებელს შორის ინდივიდუალური და კოგნიტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. ბრენდის იმიჯი ეხება მომხმარებელთა აღქმას მედიაბრენდისა და მისი პროდუქტების შესახებ. ეს კონცეფცია მჭიდრო კავშირშია ბრენდის ასოციაციის კონცეფციასთან, ანუ მომხმარებელთა მიერ ბრენდის შესახებ გონებრივ სურათებთან. სხვა კონცეფციები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული

ბრენდის კაპიტალთან მეცნიერულ კვლევებში, არის მომხმარებელთა კმაყოფილება და ბრენდის ლოიალობა.

მედია კომპანიის თვალსაზრისით, ბრენდის კაპიტალი არის აქტივი, რომელიც საშუალებას აძლევს მას მიაღწიოს ბაზარზე კონკურენტულ უპირატესობას თავისი პროდუქტისთვის. კვლევები ასევე მიუთითებს, რომ ბრენდის კაპიტალი არის ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება ბრენდს მარკეტინგული მიზნების მიღწევაში. ბრენდის კაპიტალი არის მნიშვნელოვანი აქტივი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს უკეთესი ფინანსური შედეგი და შექმნას მდგრადი კონკურენტული უპირატესობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მედია მენეჯმენტის სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევის უმეტესი ნაწილი ფოკუსირებულია ბრენდინგთან დაკავშირებული პრაქტიკული, ტაქტიკური და მომხმარებელზე ორიენტირებული საკითხების შესწავლაზე. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კვლევის არეალის შემდგომი განვითარება სარგებელს მოუტანს:

- ბრენდინგის პროცესის თეორიული საფუძვლების გაძლიერებას;
- მედიაბრენდების სტრატეგიული სვლების კვლევასა და ანალიზს;
- მედიაბრენდენდების კონცეპტუალური მოდელების ტრანსფორმირების პროცესის უკეთ შესწავლას.

პირველ რიგში, საჭიროა უფრო მეტი თეორიული კვლევა ბრენდებზე, რომლებიც ყველაზე მეტად ითვალისწინებენ მედია ინდუსტრიის სპეციფიკურ ხასიათს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით დღემდე, მხოლოდ რამდენიმე მეცნიერმა გამოაქვეყნა სტატიები, რომლებიც კონცენტრირებულია კონცეპტუალურ განვითარებაზე ან გვთავაზობს ახალ თეორიულ მიდგომებს მედია ბრენდების მიმართ უკვე არსებული თეორიის საფუძველზე.

აქამდე არსებული კვლევების დიდი ნაწილი ეყრდნობა მოქმედ პრაქტიკაზე ორიენტირებულ კონცეფციებსა და მოდელებს, რომლებიც დანერგილია პოპულარულ სახელმძღვანელოებსა და მენეჯმენტის ლიტერატურაში. ეს ცნებები და მოდელები, უმეტესწილად, მორგებულია იმ გარემო პირობებზე, რომელშიც ამჟამად მოქმედებენ მედია კომპანიები. მაგრამ თანამედროვე მედია ინდუსტრიის დინამიურ და მუდმივად ცვალებად ბიზნეს გარემოში საჭიროა მეტი თეორიული მუშაობა ბრენდებზე და ბრენდინგზე, რომელიც ითვალისწინებს სპეციფიკურ პირობებს, რომელშიც სამომავლოდ მოუწევთ ფუნქციონირება თანამედროვე მედია ორგანიზაციებს.

აგრეთვე, საჭიროა კვლევა, რომელიც ემპირიულად შეისწავლის და თეორიულად დაამუშავებს მედია ბრენდების სტრატეგიულ ხასიათს. უკვე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ბრენდი განიხილება ძირითადად, როგორც ტაქტიკური ინსტრუმენტი მომხმარებლებისთვის მედია პროდუქტების მარკეტინგულად შესაფუთად და სმდგომ მისაწოდებლად.

აქამდე თითქმის არ ექცეოდა ყურადღება ბრენდინგის სტრატეგიულ ხასიათს. სამომავლოდ, საჭირო იქნება თეორიულად დახვეწილი კვლევა ტრანსნაციონალური მედიაბრენდების სტრატეგიული ინსტრუმენტებისა და აქტივების შესახებ, რომლებიც ნაწილობრივ ქმნიან თავად ამ ორგანიზაციის ინტელექტუალურ კაპიტალს.

და ბოლოს, საჭიროა მეტი ანალიტიკური ყურადღების მიქცევა ბრენდის მენეჯმენტის გამოწვევებზე და სირთულეებზე თანამედროვე მედია ინდუსტრიის პირობებში. ისევე როგორც, უნდა მოხდეს საერთაშორისო მედიაბრენდების კონცეპტუალური მოდელების

ტრანსფორმირების პროცესის დეტალური აღწერა და ანალიზი, იმის გასარკვევად თუ რა სირთულეებთან არის ეს პროცესი დაკავშირებული.

დასკვნა

დასასრულს, შეჯამებისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედიაბრენდები და ზოგადად ბრენდინგის პროცესი წარმოადგენს ნაკლებად შესწავლილ კვლევის სფეროს, რომელიც ითხოვს მეტი მეცნიერის ყურადღებას. ასევე, დარგის წარმატებული პრაქტიკული განვითარებისთვის, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია, რომ მედია ორგანიზაციების წინაშე არსებული ცვლილებები და გამოწვევები მკაფიოდ და ზუსტად იყოს გაანალიზებული და ჩამოყალიბებული.

არსებული თეორიული მოდელებისა და ჩარჩოების გადახედვა მედიაბრენდების წინაშე მდგარი პრობლემის გადაჭრისათვის საკმარისი არ არის. აუცილებელია შემუშავდეს ახალი მიდგომები და კონცეპტუალური სტრუქტურები. მთლიანობაში, როგორც ჩანს, კონკურენტულ გარემოში წარმატების მისაღწევად აუცილებელია მედია კომპანიებმა გააფართოვონ თავიანთი წარმოდგენები ბრენდისა და ბრენდინგის პროცესის შესახებ. ჯერჯერობით, მედია ინდუსტრიაში ბრენდების შესახებ დისკუსია და დებატები საკმაოდ შეზღუდულია.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს ვიწრო გაგება ხელს უშლის ბრენდებს საკუთარი რესურსებისა და აქტივების ეფექტურად გამოყენებაში. შესაბამისად, მომავალში მედია მენეჯმენტის სფერო მნიშვნელოვნად ისარგებლებს თუკი გაჩნდება საკითხისადმი ბევრად უფრო ფართო, სტრატეგიული მიდგომები. ბრენდის შექმნა მარკეტინგის განყოფილებაში მყოფი ოპერატიული ფუნქციიდან უნდა ამაღლდეს სტრატეგიულ, კორპორატიულ დონეზე. მედიაბრენდები კი არსებული კონკურენციის პირობებში, მომავალშიც გააგრძელებენ საკუთარ მიზანს, აითვისონ არც შეიძლება მეტის ქვეყნის საინფორმაციო სივრცე. გახდნენ ბაზარზე მონოპოლისტები და აიძულონ ლოკალური მედიასაშუალებები უპირობოთ მიიღონ მათ მიერ ნაკარნახევი სარედაქციო პოლიტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Albarran, A. B. (2006). Historical Trends and Patterns in Media Management Research. In A. B. Albarran, S. M. Chan-Olmsted. & M. O. Wirth (Eds.), Handbook of Media Management and Economics. New York & London: Routledge.
2. Arrese Reca, Á. (2006). Issues in Media Product Management. In A. B. Albarran, S. M. Chan Olmsted. & M. O. Wirth (Eds.), Handbook of Media Management and Economics. New York & London: Routledge.

3. Bucy, E. P. (2004). Second Generation Net News: Interactivity and Information Accessibility in the Online Environment. The International Journal on Media Management, 6(1&2), 102–113.

4. Chan-Olmsted, S. (2011). Media Branding in a Changing World: Challenges and Opportunities 2.0. The International Journal on Media Management, 13(1), 3–19.

5. Doyle, G. (2006). Managing Global Expansion of Media Products and Brands: A Case Study of For Him Magazine. The International Journal on Media Management, 8(3), 105–115.

6. Dubois, A., & Gadde, L.-E. (2002). Systematic Combining: An Abductive Approach to Case Research. Journal of Business Research, 55(7): 553–560.

7. Ellonen, H.-K., Tarkiainen A., & Kuivalainen O. (2010). The Effect of Magazine Web Site Usage on Print Magazine Loyalty. The International Journal on Media Management, 12(1), 21–37.

8. Förster, K. (2011). Key Success Factors in TV Brand Management: An International Case Study Analysis. Journal of Media Business Studies, 8(4), 1–22.

9. Tsoukas, H., & Knudsen, C. (2003). Introduction: The Need for Meta-theoretical Reflection in Organization Theory. In H. Tsoukas, & C. Knudsen (Eds.), The Oxford Handbook of Organization Theory. Oxford: Oxford University Press.

10. Van den Bulck, H., Tambuyzer, S. & Ackx, S. (2011). Readers' Responses to Product+ Strategies of Print Media Brands: Increasing Readership or Commoditization of Print Media? The International Journal on Media Management, 13(1), 71–85.

11. Voorveld, H. A. M., Bronner F. E., Neijens P. C. & Smit, E. G. (2013): Developing an Instrument to Measure Consumers' Multimedia Usage in the Purchase Process. The International Journal on Media Management, 15(1), 43–65.

12. Will, M. (2001). Why Communications Matter for Media Management? Editorial Introduction. The International Journal on Media Management, 2(3), 143–146.

13. Yi, K., & Kim, W.-G. (2008). The Battle Between Portals and Multimedia Content Sites in the UCC Market: Who is Stronger in Terms of Brand Equity? The International Journal on Media Management, 10(3), 112–121.

მდგრადი განვითარების გამოწვევები და სოციალური მეწარმეობა
Challenges of Sustainable Development and Social Entrepreneurship

ცირა მიქატაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოწვეული პროფესორი
ელენე გარდავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტი
Tsira Mikatadze - Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Invited Professor
Elene Gardava - Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Student

აბსტრაქტი. საზოგადოებაში შეინიშნება სოციალურ პრობლემათა მთელი კომპლექსის გამწვავება, ხოლო მეორე მხრივ – საზოგადოების უუნარობა გადაჭრას ეს პრობლემები. ნაშრომში აღწერილია ის თუ როგორ ახდენს გავლენას სოციალური მეწარმეობა მდგრად განვითარებაზე. ამ ორ ტერმინს შორის ერთგვარ მაკავშირებლად განხილულია ბიზნეს-მოდელები, რომლებშიც გაერთიანებულია ბენეფიციარი, სოციალური მეწარმე და ფინანსური/არაფინანსური ნაკადები. თითოეულის ადგილი ბიზნეს-მოდელში განსაზღვრას სოციალური საწარმოს შექმნილ პროდუქტს, რაც ამავე დროს მდგრადი განვითარების მიზნებს აკმაყოფილებს. შესაძლებელი ხდება ,,მდგრადი-სოციალური" სინეგრიზმი. კვლევის მათემატიკური ანალიზისთვის კი ეკონომეტრიკული მოდელებია გამოყენებული, რომლებიც ადასტურებენ სტატისტიკური კავშირის არსებობას სოციალურ და მდგრად მიზნებს შორის. გამოყენებულია რეგიონული მშპ და აა(იპ) კორპორაციების გამოშვების მთლიანი მოცულობა, ასევე აბსოლუტური სიღარიბისა და სოციალურ საწარმოში დასაქმებულ პირთა რიცხვობრივი კავშირი წლების მიხედვით. დასკვნითი ნაწილი კი ეთმობა ძირითად რეკომენდაციებსა და პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფას: ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური, ტექნოლოგიური.

საკვანძო სიტყვები: სოციალური მეწარმეობა, მდგრადი განვითარება, 5 ბაზისური ბიზნეს-მოდელი, პრიორიტეტული მიმართულებების გამოყოფა, მდგრადი სოციალური განვითარება.

Abstract. In society, an aggravation of a whole complex of social problems is observed, On the other hand, the inability of the public to solve these problems . This article describes how social entrepreneurship affects sustainable development. The two terms include business models, which include beneficiary, social entrepreneurs, and financial/non-financial flows. The place of each in the buisness model determines the product created by the social enterprise, which at the same time suits the Sustainable Development Goals. "sustainable-social" synegism becomes possible. For mathematical analysis of the study, econometric models are used that confirm the existence of a statistical connection between social and sustainable goals. The total volume of the output of regional GDP and NPO corporations is used, also number of the population below the absolute poverty line and the number of employees in social enterprises. The final part is devoted to the main recommendations and the allocation of priority areas: economic, demographic, social, technological.

Keywords: Social Entrepreneurship, Sustainable Development, 5 Basic Business Models, Priority Direction, Sustainable Social Development.

სოციალური მეწარმეობა საქართველოში შედარებით ახალი კონცეფციაა და მისი განვითარება სულ რაღაც 10 წელს ითვლის.სექტორის განვითარების მიზანმიმართული საქმიანობა 2010 წლიდან იწყება, როდესაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, ევროპის ფონდმა და

ბრიტანეთის საბჭომ გააერთიანეს ძალისხმევა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნით. მას შემდეგ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში, აკადემიურ სექტორში, ახალგაზრდებში,მედიასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინტერესი წლიდან წლამდე იზრდება.სოციალური მეწარმეობის ერთიანი დეფინიცია არ არსებობს. ფართო გაგებით, სოციალური საწარმო არის კომერციული ან არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სოციალური სარგებლის მომტან ეკონომიკურ საქმიანობას.არასამეწარმეო სამართლის ევროპული ცენტრი თავის კვლევებში განიხილავს სოციალური მეწარმეობის სამ ძირითად კრიტერიუმს, რომლებიც ეყრდნობა ევროკომისიის მიერ შემუშავებულ დეფინიციას.ესენია:მმართველობითი,ეკონომიკური და სოციალური ასპექტები.

სოციალური მეწარმეობის სექტორი საქართველოში: ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით შეგვიძლია მოვახდინოთ საქართველოში SE-ს საქმიანობის ძირითადი

მიმართულებები,რათა შემდგომ შევძლოთ იმ დარგების გამოყოფა,რომლებიც საჭიროებენ განვითარებას.

საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოების მიზნები მრავალფეროვანია,მაგრამ, ჭარბობს დასაქმებისა და სიღარიბის მიზნით შექმნილი საწარმოები -66%,სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით-15%,განათლების მიზნით შექმნილია საწარმოთა 8%.როგორც ჩანს ჭარბობს დასაქმება/სიღარიბის აღმომფხვრელი მიმართულებები.



დიაგრამა 1. სოციალურ საწარმოთა კლასიფიკაცია მიზნობრიობის მიხედვით

საქმიანობის ტიპის მიხედვით: სოციალურ საწარმოთა 57% ქმნის გარკვეულ პროდუქციას,ხოლო 43% სერვისის მიმწოდებელია.საწარმოები ქმნიან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს. სოციალური საწარმოების მიერ შეთავაზებული სერვისები მრავალფეროვანია: სოციალური სერვისები, სოციალური კაფეები, ქეითერინგი, ციფრული მომსახურება, გაყიდვების ხელშეწყობა,არაფორმალური განათლება, ეზოებისა და ბაღების მოვლა, ტურისტული სერვისები და სხვა.ნაკლებად აქტიური სფეროა სერვისის მიწოდების სფერო, რაც საჭიროებს ამ მხრივ ღონისძიებებს.

სოციალური მეწარმეობა ქვეყანაში ქმნის ისეთ გარემო-პირობებს, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნებს მიღწევადს ხდის და დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებასა და მის ინდიკატორებზე. კერძოდ:

• სოციალური საწარმოები ავსებს იმ ცარიელ ადგილებს, სადაც სახელმწიფო და ბიზნესი ვერ უზრუნველყოფს საჭირო სერვისების/პროდუქტების მიწოდებას

• ეხმარება სახელმწიფოს, მიაწოდოს სერვისები უფრო ხარჯთეფექტურად

• ხელს უწყობს დასაქმებას იმ ჯგუფებისა, რომლებიც დასაქმების ბაზარზე ნაკლებად კონკურენტულია;

• არის სოციალური ინტეგრაციის მექანიზმი;

• შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი გარემოსდაცვითი, კულტურული, არაფორმალური განათლების სფეროებში

• სიღარიბის დასაძლევად არის ეფექტური მექანიზმი.

მდგრადი განვითარება და SE-ს ფუნქციონირება ურთიერთშეთანხმებულად შესაძლებელს ხდის ნაკლები დანახარჯებით და მიზანშეწონილობის სწორი ანალიზით მიღწეულ იქნეს ორივე სფეროს სტაბილურობა.მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. მიიჩნევა, რომ განვითარება უნდა იყოს: ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსთვის დამზოგავი.მდგრადი განვითარებისა და სოციალური მეწარმეობის დაკავშირება მიგვიყვანს ტერმინამდე - **„მდგრადი სოციალური**

განვითარება”, რაც პირველ რიგში, გულისხმობს ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას და საზოგადოების მოწყვლადი წევრების - შშმ პირები, ქალები, უმცირესობები - სოციალური უფლებების დაცვას.სოციალური საქმიანობისა და მდგრადი განვითარების მიზნების კავშირს წარმოადგენს(დიაგრამა4/3).მდგრადობა მოიცავს საზოგადოებას,ეკონომიკისა და გარემოს სრულყოფის მიზნებს.



დიაგრამა 2.სოციალური და ეკონომიკური გარემოს ურთიერთკავშირი

მდგრადი განვითარების მიზნები: 17 მიზნისა და 169 ინდიკატორის ნაკრებია, რომლებზეც თანხმდება გაეროს ყველა წევრი ქვეყანა უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად. ეს მიზნები ჩვენ წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება:



დიაგრამა 3.მდგრადი განვითარების მიზნები

ამრიგად, მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტი პირდაპირ კავშირშია როგორც ეკოლოგიასა და გარემოს დაცვასთან, ისე სოციალური საწარმოს მიზნებთან.

აღნიშნული სფეროები ეკონომიკის, დაახლოებით, 60 %-ს შეადგენს და გლობალური მიზნების მიღწევაში კრიტიკულად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამ შესაძლებლობების სრულად გამოსაყენებლად, სოციალურმა საწარმოებმა უნდა განაგრძოს სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობისკენ სწრაფვა სწორედ ისე, როგორც მიისწრაფიან ბაზრის წილისა და კომპანიის წილის მოსაპოვებლად.ნაშრომის მოცემულ ნაწილში კი განხილულია 5 ძირითადი ბიზნეს-მოდელი,რომელსაც სოციალური საწარმო იყენებს რათა მდგრადი და სოციალური მიზნები ერთმანეთთან დააკავშიროს და განახორციელონ ბიზნეს-მისია.

1. **მოდელი პლატფორმა** - სოციალური მეწარმე გვევლინება ბენეფიციარსა და მყიდველს შორის შუამავლის რანგში, ახორციელებს რა ძირითადი მიზნის რეალიზებას - ბენეფიციართა მიერ ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფა.როგორც წესი, სოციალური მეწარმე ამ მოდელში ასრულებს ბროკერის ფუნქციას და არ ქმნის პროდუქტს ბენეფიციარებისთვის. მოცემულ მოდელში ბენეფიციარი იღებს წვდომას რესურსებზე, მომსახურებაზე, რომლის მიწოდებასაც ახორციელებს მისთვის სოციალური მეწარმე.მისი მაგალითია ,,ცოდნის კაფე“ , ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდას. „ცოდნის კაფე“ აერთიანებს შემდეგ სივრცეებს - კაფეს, არაფორმალური განათლების ცენტრს, მულტიმედია ბიბლიოთეკას, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ინგლისურენოვან ბიბლიოთეკას, სამუშაო სივრცეს, რეზიდენციასა და წიგნის მაღაზიას. ცოდნის კაფე“ გახდა ერთადერთი თავისუფალი სივრცე სიღნაღის მუნიციპალიტეტში შეხვედრებისთვის, ლიტერატურული საღამოებისთვის, დისკუსიების, კინოჩვენებების, ტრეინინგებისა და ვორქშოფებისთვის.ამ მოდელთან შესაძლოა დავაკავშიროთ SD-ის რამდენიმე მიზანი:ხარისხიანი განათლება,მდგრადი ქალაქები და დასახლებები,ინოვაცია.

2. **მოდელი ბაზარზე წვდომა** - წარმოადგენს მოდელს, სადაც სოციალური მეწარმე არის შუამავალი, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციარის ბაზარზე წვდომას.მოდელ „პლატფორმა“-ს მსგავსად, ამ მოდელში ბენეფიციარი არ გვევლინება შემოსავლის წყაროდ, ხოლო მისგან განსხვავებით, სოციალური მეწარმე, როგორც წესი, უზრუნველყოფს არა მხოლოდ სივრცის შექმნას ინფორმაციის გასაცვლელად, არამედ ახორციელებს პროდუქციის შეძენასაც ბენეფიციარებისგან შემდგომი გადაყიდვისთვის ან საბოლოო პროდუქციის წარმოებაში ნედლეულის სახით გამოსაყენებლად.მაგალითად, სოციალური საწარმო ”აგამა“ ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-გადამუშავებას ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. პროექტის წყალობით სოფლის სოციალურად დაუცველ მაცხოვრებლებს აქვთ სამსახური, ხოლო იმერეთის რეგიონის ფერმერებს კი - შესაძლებლობა მიიტანონ თავიანთი საქონელი მომხმარებლებამდე დიდ ქალაქებში. ეს მოდელი ამარტივებს SD-ის შემდეგი მიზნების მიღწევას: სიღარიბე, მრეწველობა, ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, მდგრადი ქალაქები, არა შიმშილს, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ეკოლოგია.



სქემა 1. მოდელი ,,ბაზარზე წვდომა”

3. **მოდელი დასაქმება** - ესაა მოდელი, რომელშიც ბენეფიციარი იმყოფება ფასეულობათა ჯაჭვის შიგნით. ის ასახავს დასაქმების, მოსახლეობის „მოწყვლადი“ ფენების (მაგალითად, შშმ პირები, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არმქონე ადამიანები, სრულწლოვანებას მიღწეული ბავშვთა სახლის ბენეფიციარები და ა.შ) ჩართულობას ფასეულობის ფორმირების პროცესში.სოციალური საწარმო „ოჩოკემპი“ ახორციელებს ინკლუზიური საბანაკე მომსახურების

მიწოდებას ლაგოდეხში. საწარმოში მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებსაც გააჩნიათ არა მხოლოდ სამუშაო ადგილი, არამედ სოციალიზაციის შესაძლებლობაც.ამ მოდელის მიზანია ინტეგრაცია, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოების ამა თუ იმ კონკრეტული ჯგუფის, ე.წ. „მოწყვლადი ფენების“ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.ამ მოდელს შეესაბამება მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნები: შემცირებული უთანასწორობა, პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის, ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა.



სქემა 2.მოდელი ,,დასაქმება”

4. **მოდელი„საქონელზე/მომსახურებაზე წვდომა“** - ფარავს საბაზრო და სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლოვანებებს, რომელიც უკავშირდება ადამიანების გარკვეული ჯგუფებისთვის საქონელზე ან/და მომსახურებაზე წვდომის არქონას. მაგალითად, საქართველოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს აუტისტი ბავშვებისთვის განათლების მიცემა და მათი სოციალიზაცია.ხორციელდება ბენეფიციართა მოთხოვნის დაკმაყოფილება იქ, სადაც არ არსებობს საქონელი ან მომსახურება სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის გამო. პრობლემის გადაჭრის საკითხის მიმართ ინოვაციური, ნოვატორული მიდგომის გამოყენების მეშვეობით, სოციალურ მეწარმეს შესწევს უნარი შეიმუშაოს მოდელი, რომელიც შეძლებს ფასეულობის შექმნას ფინანსური სტაბილურობის მიღწევასთან ერთად.

5. **მოდელი ქველმოქმედება** - ბენეფიციარი იღებს საქონელს/მომსახურებას აბსოლუტურად უსასყიდლოდ. როგორც წესი, ასეთი მოდელი გამოიყენება იმ შემთხვევებში,როდესაც ბენეფიციარს არ შეუძლია გადაიხადოს საფასური. ორგანიზაცია „ანასეულის ხანდაზმულთა სახლი“ ახორციელებს ოჯახს მოწყვეტილი, სოციალურად დაუცველი, ხანდაზმული პირებისთვის საბაზისო,საცხოვრებელი პირობებისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მომსახურებას.

6. **შერეული მოდელი** - მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძირითადი მოდელები არის შერეული ტიპის (ჰიბრიდული), რომლებიც საკმაოდ გავრცელებულია სოციალურ მეწარმეობაში. კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებადი მოდელი ესაა - ორი მოდელის „დასაქმების“ და „ქველმოქმედების“ კომბინაცია, ანუ როდესაც ბენეფიციარი იმყოფება ფასეულობის ჯაჭვის შიგნით და ამავდროულად არის მომხმარებელიც. ამასთანავე, ეს შესაძლებელია იყოს ერთი და იგივე სამომხმარებლო სეგმენტი. მაგალითად, სოციალური საწარმო „ეტლების საამქრო“ აწარმოებს აღჭურვილობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ამავდროულად წარმოების პროცესში დასაქმებულები არიან თავად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. ჰიბრიდული მოდელით,როგორც ჩანს მიღწევადი ხდება SDის ეკოლოგიური,სოციალური და ეკონომიკური მიზნები.

თეორიული და არსებული პრაქტიკის მაგალითზე გაანალიზებულია სოც მეწარმეობის როლი მდგრადი სოციალური მიზნების მიღწევაში,ახლა კი ეკონომეტრიკული მოდელი განვიხილოთ და აღვწეროთ კვლევის შედეგები.აღებულია რეგიონული მშპ 2017-2022წლამდე სამეგრელოში,მეორე დაკვირვების ობიექტი კი არის ააიპ(არაკომერციული არასამეწარმეო პირები)-ის მიერ გამოშვებული საქონელი/მომსახურების მთლიანი მოცულობა.იმის დასანახად თუ როგორი კავშირია ამ ორ ცვლადს, შორის - რეგრესიით დავინახავთ.

	რეგიონული მშპ სამეგრელოში	ააიპ გამოშვება/მომსახურება
	Y	X
2017	2375.67	**973,075.5**
2018	2376.67	**1,077,758.8**
2019	2377.67	**1,402,561.8**
2020	2378.67	**1,732,872.6**
2021	2379.67	**1,993,068.2**
2022	2380.67	**2,107,043.9**

ცხრილი 1.რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტი და სოციალური საწარმოების გამოშვების მოცულობა 2017-2022 წლებში

SUMMARY OUTPUT						
Regression Statistics						
Multiple R	0.988824562					
R Square	0.977774015					
Adjusted R Square	0.972217519					
Standard Error	0.31183118					
Observations	6					
ANOVA						
	df	*SS*	*MS*	*F*	*Significance F*	
Regression	1	17.11104526	17.11105	175.9695256	0.00018664	
Residual	4	0.38895474	0.097239			
Total	5	17.5				
	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*	*Upper 95%*
Intercept	2372.11	0.473	5005	9.561	2370.7	237.9076
X Variable 1	3.91	2.949	13.26535	0.000186638	3.09	0.0009

ცხრილი 2..რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტისა და სოციალური საწარმოების გამოშვების მოცულობის კავშირის ეკონომეტრიკული ანალიზი

რეგრესიის საბოლოო სახეა: Y=2372,11+3,91X -ამ მოდელის ეკონომიკური შინაარსია რომ X(სოციალური საწარმოდ რეგისტრირებული არაკომერციული ორგანიზაციების გამოშვების) ერთეულოვანი ზრდა გამოიწვევს რეგიონული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას(ამ შემთხვევაში სამეგრელოს მაგალითზე) საშუალოდ 3,91ათ.-ით. დეტერმინააცის და დეტერმინაციის კორექტირებული კოეფიციენტები,რომლებიც მოდელის მორგების ხარისხს ამოწმებენ მივიღეთ R^2=0,988 რაც ერთთან ძალიან ახლოსაა და მოდელი სტატისტიკუად მნიშვნელოვანია,შესაბამისად დასკვნებზე მსჯელობა მოდელზე დაყრდნობით ჭეშმარიტია.

მდგრადი განვითარების მიზნებში მთავარს და ყველაზე მომხიბვლელს წარმოადგენს პირველი მიზანი-არა სიღარიბეს.სიღარიბის აღმოფხვრა ემსახურება სოციალური მეწარმეობაც,როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი გზებით.ამას ხაზი გაესვა ბიზნეს-მოდელების განხილვისას,ახლა კი გამოვიკვლიოთ რეგრესიით.

	ააიპ-ში დასაქმებულები ,ათასი ერთ		
	Y	X(%)	X აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა
2017	52872.62	21.9	766500
2018	53027.62	20.1	749529
2019	54417.1	19.5	725985
2020	54417.1	21.3	791508
2021	54575.8	17.5	652000
2022	55171	15.6	572208

ცხრილი 3. სოციალურ საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვი და აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 2017-2018 წლებში

SUMMARY OUTPUT					
Regression Statistics					
Multiple R	0.675215366				
R Square	0.45591579				
Adjusted R Square	0.319894738				
Standard Error	68008.90566				
Observations	6				
ANOVA					
	df	*SS*	*MS*	*F*	*gnificance*
Regression	1	15	1.55E+10	3.351803	0.141098
Residual	4	1855.786	4.63E+09		
Total	5	3407.33			
	Coefficients	*andard Err*	*t Stat*	*P-value*	*Lower 95%*
Intercept	3986.2	1788776	2.22728	0.089882	982332.8
X Variable 1	-60.548	33.07237	-1.83079	0.141098	-152.372

ცხრილი 4. სოციალურ საწარმოში დასაქმებულებსა და აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას შორის კავშირის ეკონომეტრიკული ანალიზი

მიღებული რეგრესიის საბოლოო სახეა: Y=3986,2-60.54X ,ეკონომიკური ინტერპრეტაციის მიხედვით:სოციალურ საწარმოში დასაქმებული ადამიანების რიცხვის ათასი ერთეულით ზრდის შედეგად აბსოლუტურ ზღვარს მყოფი მოსახლეობის რიცხვი მცირდება საშუალოდ 60,5 ათასი ერთეულით ,ვინაიდან,აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უმუშევარია,ის მოიცავს საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებს. მათი დასაქმება კი როგორც მდგრადი განვითარების,ისე სოციალური მეწარმეობის მიზანია.

ეკონომიკური კავშირი სოციალურ მეწარმეობასა და მდგრადი განვიათარების მიზნებს შორის ასევე შეგვიძლია დავინახოთ ააიპში დასაქმებულთა რიცხვსა და სოციალური დაზღვევების მიმღებთა შორის კავშირით.

	X-ში დასაქმებულები	Y-სოციალური პაკეტებისა და დაზღვევის მიმღებ ადამიანთა რიცხვი
2017	51959	166000
2018	52280	165000
2019	53736	171700
2020	53490	174800
2021	53658	177900
2022	54148	178400

ცხრილი 5.სოციალურ საწარმოში დასაქმებულები და სოციალური პაკეტების მიმღებები ადამიანების რიცხვი 2017-2018 წლებში

SUMMARY OUTPUT

Regression Statistics	
Multiple R	0.91375631
R Square	0.8349506
Adjusted R Square	0.79368824
Standard Error	2626.55478
Observations	6

ANOVA

	df	*SS*	*MS*
Regression	1	139598173.3	1.4E+08
Residual	4	27595160.08	6898790
Total	5	167	

	Coefficients	*Standard Error*	*t Stat*
Intercept	-147508.6	71095.31404	-2.0748
X Variable 1	6.00947811	1.335928924	4.498352

ცხრილი 6.სოციალურ საწარმოში დასაქმებულებსა და სოციალური პაკეტების მიმღებებს შორის კავშირის ეკონომეტრიკულიი ანალიზი

რეგრესიის სახეა: Y=-14705.8 + 6.09 X.

სოციალურ საწარმოებში დასაქმებული ადამიანების რიცხვის ზრდა ათასი ერთეულით გაზრდის სოციალური პაკეტებისა და დაზღვევების მიმღებ მოწყვლადი ჯგუფების რიცხვს საშუალოდ 6 ათასი ერთეულით.

სოციალური პაკეტების მიმღებთა რიცხვზე სხვა მრავალი ფაქტორიც ახდენს გავლენას,თუმცა ერთ-ერთია სოციალურ საწარმოებში დასაქმებულთა რიცხვი და ზოგადად სოციალური საწარმოების აქტივობის დონე ქვეყნის მასშტაბით.თუ სოციალურ საწარმოებში იზრდება დასაქმებულთა რიცხვი ეს ასოცირდება მოწყვლადი ჯგუფებისთვის ეკონომიკური შემწეობებისა და დაზღვევბის გაცემის აქტივობის გაზრდით.რაც გაზრდის მათ ეკონომიკური დონეს. ეკონომიკური ზრდა კი მდგრადი განვითარების მთავარი მიზანია.

ამ რეგრესიებზე დაყრდნობით ის რაც თეორიულად აღვწერეთ,მათემატიკურადაც დასტურდება.სოციალური საწარმოს გამოშვების ზრდა ასოცირებულია მოწყვლადი სოციალური ფენის დასაქმებასთან ,რადგან ისინი ხდებიან მშპ-ს შექმნის მონაწილენი,რაც სოციალური მეწარმეობა ქმნის ეკონომიკური სტაბილურობის შესაძლებლობებს,უმუშევრობის შემცირებას,უმუშევრობის შემცირებას მივყავართ დასაქმებულთა საბაზრო ძალაუფლებების განმტკიცებასთან და ვიღებთ კონკურენტუნარიან მუშახელს,რაც ხელფასების გაზრდას გამოწვევს.ხელფასების გაზრდა გაზრდის კეთილდღეობას,საზოგადოების მოხმარებასა და

საქონელსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას.ეს პროცესები კი მდგრადი განვითარებისთვის პრიორიტეტული მიმართულებებია.სოციალურმა მეწარმემ რომ შეძლოს მდგრადი განვითარების მიღწევა თავდპაირველად შეისწავლის საზოგადოებაში არსებულ პრობლემას,შემდეგ სახელმწიფოს ჩართულობას არსებული მიმართულებით და ბოლოს შეიმუშავებს სტრატეგიას.არსებული პროცესის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითი მოცემულია ცხრილში და ასახავს მდგრადი მიზნების მიღწევის პროცესს,სოციალური საქმიანობიდან (იხ. ცხრილი 7).

ქეისი	პრობლემა	სახელმწიფო ჩავარდნა/პასიურობა	გადაჭრის გზა	მდგრადი განვითარების მიზნები
,,ფრილანსერი" დასაქმების პროგრამა პატიმრებისთვის	არ ხორციელდება პატიმრების ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება	პრობლემა არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ,მხოლოდ ლოკალურ დონეზე განხილვადი.	გადამზადება,დამკვეთებისათვის პროდუქტის შექმნა.(ტექსტების გაციფრულება.აუდიო მონტაჟი,ტიტრებზე მუშაობა)	შემცირებული უთანასწორობა,განათლება,ხელმისაწვდომი განათლება.პარტნიორობა SID-ისთვის.მათი რესოციალიზაცია და ჩართვა საქონლის,მომსახურების შექმნაში.
გამჭირვალე ხელები	აფენის.ჰერეთის,თემში მცოვრები ქალების თვითრეალიზება	რეგიონში არ ექცევა ყურადღება ადგილობრივი მოსახლეობის კულტურის განვითარებას	პროდუქტის შექმნა,რომელსაც აქტიურად იყენებს ორგანიზაცია,მოეწყოს აქტიური ქალეფის ნამუშევრების გამოფენა	მოსახლეობის გააქტიურება.გენდერული თანასწორობა.
მწვანე საჩუქარი(გადამუშავებული მაკულატურისგან შექმნილი წივთები)				დედამიწის ეკოსისტემა,ხელმისაწვდომი და სუფთა ენერგია.ნარჩენების მართვის პოპილარიზაცია
ჰერა(აუდიო სტუდია.აუდიო-მულტი წიგნები)				ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.შემცირებული უთანასწორობა.

ცხრილი 7.სოციალური და მდგრადი მიზნების დაკავშირების ძირიტადი ეტაპები

დასკვნები და რეკომანდაციები

საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია ცნობიერება სოლიდარული და სოციალური ეკონომიკის შესახებ. შესაბამისად, სოციალური ეკონომიკის ფაქტორებთან დაკავშირებით, როგორიცაა სოციალური საწარმო, კოოპერატივი, ფონდები და ასოციაციები, არ არსებობს საერთო მიდგომა და განვითარების ხედვა.რეკომენდაციის სახით ამ სფეროს განვითარებისთვის აუცილებელია პოლიტიკური,ეკონომიკური და სოციალური მიმართულებების გამოყოფა.

პოლიტიკური: მნიშვნელოვანია, შეიქმნას სოციალური მეწარმეობის სექტორის განვითარებისთვის უწყებათაშორისი დიალოგის პლატფორმა, ერთგვარი კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც ასევე გაართიანებს სხვა, ამ სფეროთი დაინტერესებულ სექტორებს, მათ შორის, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და თავად სოციალურ საწარმოებს, რათა მონაწილეობითი პრინციპის გათვალისწინებით წარიმართოს სინერგიული პროცესი.მნიშვნელოვანია ასევე სოციალური მეწარმეობისა და სოციალური საწარმოების დეფინიციების დამკვიდრება ქართულ საკანონმდებლო და სხვა ინსტიტუციონალურ ჩარჩოში, რაც ხელს შეუწყობს ამ სექტორის გარშემო ერთიანი გაგების ჩამოყალიბებას, გაამარტივებს სოციალური საწარმოებისთვის გარემოში ოპერირებას და ხელსაყრელ პირობებს შექმნის მათი მდგრადი განვითარებისთვის.

ტექნოლოგიური: გაციფრულება-ახალი ტექნოლოგიები ბიზნესის ეფექტიანობას ზრდის. ისინი ცვლიან ჩვენს მუშაობასა და ინტერაქციას. ამით სოციალური საწარმოებისათვის უკეთესად ორგანიზების, სერვისების მიწოდებისა და მომხმარებლამდე მისვლის შესაძლებლობა იქმნება.

დემოგრაფიული: მოსახლეობის დაბერება და მოსახლეობის ცვლილება დიდ წნეხს წარმოშობს სერვისების მიმართულებით. ინოვაცია, კრეატიულობა და თანამშრომლობაა საჭირო

ახალი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.მეორე მიმართულება ახალგაზრდების ჩართულობის ამაღლებაა სოციალური მეწარმეობის სფეროში.ახალგაზრდა თაობა გააჩენს პროგრესულ ღირებულებებსა და ახალ მოლოდინებს საზოგადოების, ბიზნესისა და ცხოვრებისადმი. ეს დაეხმარება სოციალური მეწარმეობის სექტორს განვითარებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოახერხებს ახალგაზრდების შთაგონებასა და ჩართვას საკუთარ საქმიანობაში.

ეკონომიკური: ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, მნიშვნელოვანია, არსებული ინსტიტუციური მექანიზმების გამოყენებით, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს სოციალური საწარმოების ფინანსურ მდგრადობას. უპირველესად, სოციალური მეწარმეობის მიზნებისთვის და სოციალური საწარმოებისთვის გრანტის მიღების უფლების საკანონმდებლო აღიარებას.გრანტების გამოყოფა და სოციალურ საწარმოთა პროდუქციის პოპულარიზაციის ამაღლება.- მაგალითად, „იყიდე სოციალური“-ის მსგავსი ინიციატივების განხორციელება. ეს ხელს შეუწყობს სოციალური საწარმოების უკეთეს ხილვადობას. საზოგადოებრივი ჩართულობისა და ინტერესის ზრდა, გამოიწვევს ახალი და ხარისხიანი იდეების გენერირებას. აგრეთვე, გაიზრდება შანსი ამ სექტორში ჩაერთონ მაღალი პოტენციალის მქონე ახალგაზრდები, რაც მათთვის ეფექტური თვითდასაქმების საშუალებაც იქნება.

პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება: ერთ-ერთი საინტერესო და წარმატებული ფორმა იქნება სოციალური სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნაა.სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე სოციალური საწარმოს დაფუძნებას რიგი უპირატესობა ექნება,კერძოდ, ასეთი საწარმო სარგებლობს უპირატესობით მიიღოს გრანტი,არ იბეგრება ქონებისა და საშემოსავლო გდასახადით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებიდან.ევროკავშირის ერთ–ერთი რეკომენდაცია საქართველოში ფერმერული მეურნეობების განვითარებაა. სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების შექმნა საკმაოდ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სექტორის სწორად განვითარებისათვის და როგორც მდგრადი ისე სოციალური განვითრებისთვის.მთლიანობაში,ის რაც თეორიულად აღვწერეთ,მატემატიკურადაც დადასტურდა.სოციალური მეწარმეობა ქმნის ეკონომიკური სტაბილურობის შესაძლებლობებს და უკავშირდება SDG-ის მიზნებს.„გლობალური მიზნების მიღწევა ბაზარზე, 4 ეკონომიკურ სისტემაში, 12 ტრილიონი აშშ დოლარის გამომუშავების შესაძლებლობას იძლევა. SE-ს მდგრადი ზრდის მოდელზე გადაყვანა იქნება როგორც რისკებთან, ასევე შესაძლებლობებთან დაკავშირებული. ეს მოიცავს ახალ და უფრო მოქნილ ბიზნეს მოდელებსა და ციფრულ პლატფორმებზე ექსპერიმენტირებას, რაც, შეიძლება, გაიზარდოს და ახალი სოციალური და გარემოსდაცვითი ღირებულების ჯაჭვი შექმნას.ასევე, მნიშვნელოვანია რისკების შემცირება ავტომატიზირებულ ეკონომიკაზე გადასვლისას, ბიზნესის უსაფრთოხებისთვის.რაც გაზრდის სოციალური მეწარმეობის როლს მდგრადი განვითარების სფეროში,ეს კი არსებულ ანალიზში პრიორიტეტული მიმართულებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დანელია ე. (2020). „სოციალური მეწარმეობა, სოციალური საწარმოები და მათი ეკოსისტემა ;ევროპული პრაქტიკის მიმოხილვა“
2. დაუთაშვილი ე. (2020). „სოციალური მეწარმეობა საქართველოში, საქართველოს პრაქტიკის მიმოხილვა“. https://civilin.org/wp-content/uploads/2021/08/Social_Enterprise_geo.pdf

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ბიზნეს-სექტორი. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/195/biznes-sektori

4. სოციალური მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერა საქართველოში: პოლიტიკის დოკუმენტი - კონცეფცია

5. ჯანელიძე ნ. (2020). „სოციალური მეწარმეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.
https://digitallibrary.tsu.ge/book/2021/july/dissertations/janelidze-disertacia.pdf

ციფრული ტრანსფორმაცია და მისი გავლენა ორგანიზაციულ მენეჯმენტზე
Digital transformation and its impact on organizational management

თამარ ლაგვილავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
მაია სირაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ პროფესორი
ვალერი კატუკია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Tamar Lagvilava - Georgian Technical University
Assoc. Professor
Maia Siradze - Georgian Technical University
Assist. Professor
Valeri katukia - Georgian Technical University
Assoc. Professor

აბსტრაქტი. ციფრული ტრანსფორმაცია ორგანიზაციის ოპერაციების ყველა ჭრილში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას გულისხმობს, რაც ძირეულად ცვლის მის ფუნქციონირებას და ღირებულებებს მომხმარებლების მიმართ. ის გულისხმობს ციფრული ხელსაწყოებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორიცაა ღრუბლოვანი გამოთვლა, მონაცემთა ანალიტიკა, ხელოვნური ინტელექტი, ავტომატიზაცია და ნივთების ინტერნეტი (IoT) პროცესების გასამარტივებლად, გადაწყვეტილების მიღების გასაუმჯობესებლად, მომხმარებელთა გამოცდილების გასაუმჯობესებლად, ასევე ინოვაციების გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტრანსფორმაცია, ორგანიზაციული მენეჯმენტი, ზრდა, ეფექტურობა.

Abstract. Digital transformation involves the integration of digital technologies in all aspects of the organization's operations, which fundamentally changes its functionality and value to customers. It involves using digital tools and technologies such as cloud computing, data analytics, artificial intelligence, automation and the internet of things (IoT) to streamline processes, to improve decision-making, improve customer experience, and improve innovation.

Keywords: digital transformation, organizational management, growth, efficiency.

ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა ორგანიზაციულ მენეჯმენტზე ღრმა და გრძელვადიანია: გაძლიერებული ეფექტურობა და პროდუქტიულობა: ციფრული ტექნოლოგიები ავტომატიზირებს სხვადასხვა ამოცანებს განმეორებით, აუმჯობესებს სამუშაო პროცესებს და ამცირებს მექანიკურ პროცესებს, რაც ზრდის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას. მენეჯერები უფრო ეფექტურად ანაწილებენ რესურსებს, აოპტიმიზებენ ოპერაციებს და ფოკუსირებენ სტრატეგიულ ინიციატივებზე, რომლებიც ზრდის განვითარების დონეს.

გაუმჯობესებული გადაწყვეტილების მიღება: ციფრული ტრანსფორმაცია გულისხმობს რეალურ დროში მონაცემებზე წვდომას და გაფართოებულ ანალიტიკის ინსტრუმენტებს, რაც საშუალებას აძლევს მენეჯერებს მიიღონ მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილებები. მათ შეუძლიათ გააანალიზონ ტენდენციები, ამოიცნონ შაბლონები და მიიღონ ინფორმაცია მომხმარებელთა ქცევის, ბაზრის დინამიკის და ოპერაციული მუშაობის შესახებ, რაც განაპირობებს იმას, რომ მენეჯერები შედარებით მეტად ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ და ასევე უკეთეს შედეგებს.

სისწრაფე და ადაპტაცია: ციფრული ტრანსფორმაცია საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს იყვნენ უფრო მოქნილი და ადაპტირებულნი ბაზრის პირობების, მომხმარებლის პრეფერენციებისა და კონკურენტული ზეწოლის საპასუხოდ. მენეჯერებს შეუძლიათ სწრაფად შეცვალონ სტრატეგიები, შეცვალონ პრიორიტეტები და ექსპერიმენტი ჩაატარონ ახალი მიდგომებით, რათა დარჩნენ წინ და გამოიყენონ შესაძლებლობები.

გაუმჯობესებული მომხმარებელთა გამოცდილება: ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს მოახდინონ მომხმარებლის ინფორმაციის მაქსიმალური პერსონალიზირება. მენეჯერებს შეუძლიათ გამოიყენონ მონაცემთა ანალიტიკა და მომხმარებელთან ურთიერთობის მართვის უამრავი (CRM) სისტემები, რათა უკეთ გააცნობიერონ მომხმარებელთა საჭიროებები და ქცევები, რათა მიაწოდონ პერსონალიზებული პროდუქტები, სერვისები და ურთიერთქმედება, რაც იწვევს კმაყოფილებას და ლოიალობას, ასევე მათ უდიდეს ნდობას, რომელიც ერთგულების გარანტიაა.

ინოვაცია და კრეატიულობა: ციფრული ტრანსფორმაცია ხელს უწყობს ინოვაციებისა და კრეატიულობის კულტურას ორგანიზაციის შიდა პროცესებში. მენეჯერები გამოიყენებენ ციფრულ ხელსაწყოებსა და თანამშრომლობით პლატფორმებს, რათა წაახალისონ იდეების გაზიარება, ექსპერიმენტები, რაც გამოიწვევს ახალი პროდუქტების, სერვისების და ბიზნეს მოდელების განვითარებას, რომლებიც ქმნიან ღირებულებას და უზრუნველყოფენ ზრდას.

ორგანიზაციული მდგრადობა: ციფრული ტრანსფორმაცია აძლიერებს ორგანიზაციის მდგრადობას დისტანციური მუშაობის, ვირტუალური თანამშრომლობისა და ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვის პირობებში. მენეჯერებს შეუძლიათ გამოიყენონ ღრუბელზე დაფუძნებული ტექნოლოგიები, ციფრული კომუნიკაციის ინსტრუმენტები და კიბერუსაფრთხოების ზომები რისკების შესამცირებლად, ოპერაციული უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და გაუთვალისწინებელ შეფერხებებთან ადაპტირებისთვის, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები ან გლობალური პანდემიები.

ნიჭის მენეჯმენტი და ლიდერობა: ციფრული ტრანსფორმაცია ქმნის ახალ უნარებსა და კომპეტენციებს თანამშრომლებისთვის, ისევე როგორც ლიდერობას, რომელიც ოპტიმიზებულია ციფრულ კოორდინაციაში, უკეთესად რომ ვთქვათ მაქსიმალური მხარდაჭერა აქვს თანამშრომელს გაციფრულებისთვის. მენეჯერებმა უნდა განახორციელონ ინვესტიცია განვითარებაში, კვალიფიკაციის ამაღლებასა და ინიციატივების წახალისებაში, რათა გაზარდონ ციფრული სამუშაო ძალა, რომელსაც შეუძლია განახორციელოს ინოვაციური იდეები და კონკურენტუნარიანობა ციფრულ სამყაროში.

მთლიანობაში, გაციფრულებას უდიდესი გავლენა აქვს ორგანიზაციულ მენეჯმენტზე, რაც მოითხოვს, რომ მენეჯერებმა ახალი ტექნოლოგიები მიიღონ, ადაპტირდნენ პრაქტიკაში, გააძლიერონ სწრაფვა ინოვაციური იდეებისკენ და მუდმივად გაზარდონ განვითარება ციფრულ და კონკურენტუნარიან ბიზნეს გარემოში.

დიგიტალიზაცია არის ანალოგური ინფორმაციის ციფრულ ფორმატში გარდაქმნის პროცესი, რომელიც ჩვეულებრივ წარმოდგენილია ორობითი კოდის სახით (0 და 1), რომელიც შეიძლება დამუშავდეს, შეინახოს და გადაიცეს ელექტრონულად. ეს პროცესი მოიცავს მონაცემების ციფრულ ფორმაში გადაღებას, დაშიფვრას და შენახვას, რაც საშუალებას აძლევს მათ ქონდეთ წვდომა და გაზიარება უფრო ეფექტურად, ვიდრე ანალოგური სხვა მსგავსი ფორმატები.

დიგიტალიზაციაში ძირითადად განიხილავენ:

- ანალოგური მონაცემების აღება: დიგიტალიზაცია იწყება ანალოგური მონაცემების აღებით ფიზიკური წყაროებიდან, როგორიცაა ქაღალდის დოკუმენტები, ფოტოები, აუდიო ჩანაწერები ან ვიდეო კადრები. ეს შეიძლება მოიცავდეს სკანირებას ან ანალოგური ინფორმაციის ჩაწერას ციფრული მოწყობილობების გამოყენებით, როგორიცაა სკანერები, კამერები ან მიკროფონები.
- დაშიფვრა და ციფრულ ფორმატზე გადაყვანა: ანალოგური მონაცემები დაშიფრულია და გარდაიქმნება ციფრულ ფორმატში ალგორითმებისა და კოდირების ტექნიკის გამოყენებით. მაგალითად, ტექსტური დოკუმენტები იქმნება მანქანით წასაკითხ ტექსტად, სიმბოლოების ოპტიკური ამოცნობის (OCR) გამოყენებით, ხოლო სურათები და ვიდეო შეიძლება ციფრული იყოს გამოსახულების ან ვიდეო შეკუმშვის ალგორითმების გამოყენებით.
- ციფრული მონაცემების შენახვა და მართვა: ციფრული მონაცემების გაციფრების შემდეგ ინახება და იმართება ციფრულ საცავებში, როგორიცაა მონაცემთა ბაზები, ფაილური სისტემები ან ღრუბლოვანი საცავის პლატფორმები. ეს საშუალებას იძლევა ადვილად წვდომის, მოძიების და მონაცემთა მანიპულირების ციფრული ხელსაწყოებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.
- ციფრული მონაცემების დამუშავება და ანალიზი: ციფრული მონაცემების დამუშავება და ანალიზი შესაძლებელია პროგრამული აპლიკაციების, ალგორითმებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, რათა გამოვიტანოთ ინფორმაცია, შაბლონების იდენტიფიცირებით და მონაცემებიდან მივიღოთ მნიშვნელობა. ეს მოიცავს მონაცემთა ისეთ დეტალებს, როგორიცაა მოპოვება, სტატისტიკური ანალიზი, მანქანური სწავლება ან ხელოვნური ინტელექტის ტექნიკა.
- ციფრული კონტენტის გაზიარება და გავრცელება: ციფრული შინაარსის ადვილად გაზიარება და გავრცელება შესაძლებელია ციფრულ ქსელებსა და პლატფორმებზე, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ფართო წვდომას და გავრცელებას უსწრაფესად. ეს ხელს უწყობს თანამშრომლობას, კომუნიკაციას და ცოდნის გაზიარებას ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შორის.

დიგიტალიზაციამ ბევრი შეცვალა სხვადასხვა სექტორებში. მან შეცვალა ინფორმაციის მიღება, გააზრება და გამოყენება, რაც იწვევს გაციფრულების სამყაროში ეფექტურობის, ინოვაციების და კავშირის გაზრდას.

დიგიტალიზაცია საკმაოდ ღრმად აისახება კომპანიებზე და მათ შედეგებზე, მაგალითად: დიგიტალიზაცია აუმჯობესებს პროცესებს, აუმჯობესებს ამოცანებს და ამცირებს ხელით ჩარევას, რაც ზრდის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას. კომპანიებს შეუძლიათ ამოცანების შესრულება ნაკლები რესურსებით უფრო სწრაფად, რაც გამოიწვევს ხარჯების დაზოგვას და უკეთეს შედეგებს მოგების მიმართულებით.

დიგიტალიზაცია საშუალებას აძლევს ბიზნესებს მიაწოდონ პერსონალიზებული და ყოვლისმომცველი ინფორმაცია კლიენტებზე. ონლაინ შოპინგიდან და თვითმომსახურების ობიექტებიდან დაწყებული მობილური აპლიკაციებითა და სოციალური მედიით დასრულებული, გაციფრულება უზრუნველყოფს ბიზნესები ჩაერთონ მომხმარებლებთან

საკუთარი პირობებით, რაც იწვევს უფრო მაღალ კმაყოფილებას, ნდობას და შესაბამისად შენარჩუნებას.

დიგიტალიზაცია წარმოქმნის მონაცემების უზარმაზარ რაოდენობას, რომლებიც კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ მომხმარებელთა ქცევის, ბაზრის ტენდენციების და ოპერაციული მუშაობის შესახებ ქცევების შესასწავლად და გასაზრებლად. ამ მონაცემების დამუშავებითა და ანალიტიკური ტექნიკის გამოყენებით, კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებულად უკეთესი გადაწყვეტილებები, გამოავლინონ მაქსიმალური შესაძლებლობები.

გაციფრულება ხელს უწყობს ინოვაციებისა და სისწრაფის კულტურას კომპანიებში მსგავსი რამდენიმე მაგალითისა და გამეორების საშუალებით. კომპანიებს შეუძლიათ სწრაფად შეეგუონ ცვალებად საბაზრო პირობებს, მომხმარებელთა ცვალებადობასა და კონკურენტულ საფრთხეებს, რაც აძლევს უფრო მეტ დროს ბაზარზე და უფრო მეტი რეაგირების საშუალებას გამოწვევებზე.

დიგიტალიზაცია საშუალებას აძლევს ბიზნესებს მიაღწიონ საერთაშორისო ბაზრებს და გააფართოვონ თავიანთი გრძელვადიანი გეგმები უფრო მარტივად, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. ციფრული პლატფორმებითა და ონლაინ ბაზრებით, კომპანიები აფართოვებენ მომხმარებელთა ბაზას, შედიან ახალ ბაზრებზე და ვითარდებიან სხვადასხვა ფიზიკური ინფრასტრუქტურის ან რესურსების საჭიროების გარეშე.

დიგიტალიზაცია იწვევს ხარჯების შემცირებას , პროცესის ოპტიმიზაციისა და რესურსების კონსოლიდაციის გზით. ამავდროულად, ის ხსნის შემოსავლის ახალ არხებს ციფრული პროდუქტების, სერვისებისა და ბიზნეს მოდელების საშუალებით. კომპანიებს შეუძლიათ მონაცემების ჩაშლა, გამოწერებზე დაფუძნებული სერვისების შეთავაზება და ციფრული სხვადასხვა ფუნქციური სისტემების შექმნა, რომლებიც გამოიმუშავებენ განმეორებით შემოსავალს და სხვა შესაძლებლობებს.

გაციფრულება ასევე აძლიერებს დისტანციური მუშაობის ოპერაციულ მდგომარეობას. ონლაინ თანამშრომლობისა და პროცესების უწყვეტობის დაგეგმვის საშუალებით. კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ ღრუბლოვანი გამოთვლები, ციფრული საკომუნიკაციო ინსტრუმენტები და კიბერუსაფრთხოების ზომები უხილავი რისკების შესამცირებლად, ოპერაციული უწყვეტობის უზრუნველსაყოფად და გაუთვალისწინებელ შეფერხებებთან სწრაფი ადაპტირებისთვის, როგორიცაა მაგალითად გლობალური პანდემიები.

გაციფრულებით კომპანიებს შეუძლიათ მეტი ინოვაციების გენერირება, ეფექტურობის გაუმჯობესება და სტაბილური ზრდის მიღწევა დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ციფრული საქართველო ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018. http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy%20FINAL_GEO.pdf (28,05,2019)
2. Iles,Paul, Mabey Christopher. 1994. Managing Learning. London. Thomson business press.
3. Certo, Samuel, Certo t.2012. Moderm management. New Jersey.Prentice Hall,. 49
4. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. სიახლეები. http://mes.gov.ge/content.php?id=8027&lang=geo (12.05.2019)
5. საქართველოში "ორგანიზაციების მართვის ხელოვნური ინტელექტი" შეიქმნა. https://www.allnews.ge/hi-tech.html (12.05.2019) 50 20. Area.ge. About. Area.
6. https://www.partnershiponai.org/about/

გლობალიზაციის ფაქტორების გავლენა სოციალური ინოვაციების განვითარებაზე

The Influence of Globalization Factors on the Development of Social Innovations

მადონა კანტიძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
Madona Kantidze - Georgian National University SEU
Doctor of Business Administration, Assistant Professor

აბსტრაქტი. გლობალიზაციამ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოზე და ადამიანების სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტზე. იგი მრავალმხრივი ფენომენია, რომელმაც ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებს შორის საზღვრები გააქრო და ჩამოაყალიბა თანამედროვე ურთიერთობა და კომუნიკაცია ერებს შორის.

გლობალიზაციას, მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე ბევრი მეცნიერი განიხილავს, მათ შორის უმეტესობა როგორც განვითარების, კეთილდღეობის და ერებს შორის ინტეგრაციის ფაქტორს, რაც თავისმხრივ იწვევს გლობალური სარგებლის განაწილებას ადამიანებს შორის. მიუხედავად ამისა, მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ გლობალიზაციას დისკრიმინაციული ძალა აქვს, რომელიც ღარიბებს კიდევ უფრო აღარიბებს, ხოლო მდიდრებს მეტად ამდიდრებს. მათი მოსაზრებით, განვითარებული ქვეყნები ისარგებლებენ გლობალიზაციით, ხოლო განვითარებადი და განუვითარებელი ქვეყნები კიდევ უფრო ჩამორჩებიან განვითარებულ ქვეყნებს, ამ სფეროში კონკურენციის შესაძლებლობების სიმცირის გამო.

მეცნიერთა აზრით, გლობალიზაციის მთავარი შედეგები არის სვლა დაახლოებისა და ინტეგრაციისაკენ ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განზომილებაში. შედეგად ამ ფენომენით ქრება ამ განზომილებათა მრავალფეროვნება, რაც უარყოფითად მოქმედებს ინოვაციებზე- ვარიაციის მოხსნის გზით.

მოცემული კვლევა, განიხილავს იმ დადებით და უარყოფით ფაქტორებს, რომელსაც გლობალიზაცია ახდენს ადამიანთა ცხოვრების ხარისხზე, როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: სოციალური ინოვაციები, გლობალიზაცია, ფაქტორები, კულტურა.

Abstract. Globalization has greatly affected the world and all aspects of people's social life. It is a multi-faceted phenomenon that has dissolved the boundaries between economic, social, cultural and political relations and shaped modern relations and communication between nations.

Globalization, due to its great importance, is considered by many scientists, most of them as a factor of development, prosperity and integration between nations, which in turn leads to the distribution of global benefits among people. Nevertheless some scholars believe that globalization has a discriminatory power that makes the poor poorer and the rich richer. According to them, developed countries will benefit from globalization, while developing and underdeveloped countries will lag further behind developed countries due to lack of opportunities to compete in this field.

According to scholars, the main consequences of globalization are the move towards convergence and integration in all political, economic, social and cultural dimensions. As a result, with this phenomenon, the diversity of these dimensions disappears, which negatively affects innovation - by removing variation.

This study examines the positive and negative factors that globalization has on the quality of people's lives, both economically and socially.

Key words: social innovations, globalization, factors, culture.

შესავალი

სოციალური ინოვაციები დღითიდღე უფრო მნიშვნელოვანი ხდება მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, რადგან ბუნებრივი რესურსები ამოწურვადია და მისი შენარჩუნებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ინოვაციების შემუშავება და დანერგვა. აგრეთვე, როგორც სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, სოციალურ ინოვაციებს, აქვს ძალა, მნიშვნელოვნად შეამციროს საზოგადოების სიღარიბე, უმუშევრობის დონე, ბიზნესთან კოლაბორაციით კი გადაჭრას ისეთი

მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა ეკონომიკური კრიზისი, სოციალური, თუ პოლიტიკური არახელსაყრელი ურთიერთობები.

აღნიშნული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ უმთავრეს გზად, მეცნიერები გლობალიზაციას მიიჩნევენ. გლობალიზაციის მნიშვნელობის ზრდა, 1980-იანი წლებიდან იწყება და დღემდე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როგორც განსხვავებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარების უმთავრეს ბერკეტს.

როგორც ცნობილია, გლობალიზაციის პროცესი, მნიშვნელოვნად აახლოებს ერთმანეთთან სხვადასხვა ქვეყნებს, კონტინენტებს და ცივილიზაციას. მეცნიერთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის საერთო ეფექტი არის კონვერგენციისა და ინტეგრაციისკენ სვლა. მაგალითად, ო. ჰაქსლეინი თავის წიგნში - „მშვენიერი ახალი სამყარო“, გლობალიზაციას ასახავს ისე, რომ მასში ადამიანები გარშემორტყმულნი არიან სამყაროთი, რომელიც აკონტროლებს და ზედამხედველობს ყველაფერს თავისი რითმული წესრიგით, რომელშიც თვითცნობიერება და სამყაროს ცნობიერება ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

გლობალიზაცია და სოციალური ინოვაციების ფაქტორები

გლობალიზაციის პროცესი ძალზე ჩქარია და ბევრ სიკეთესთან ერთად, რიგ სოციალურ პრობლემებსაც უდებს სათავეს. თავდაპირველად, შესაძლოა გამოვყოთ სოციალური ინოვაციის სამი მთავარი ინტერპრეტაცია:

- ინოვაციების სოციალური მექანიზმები;
- ინოვაციების სოციალური პასუხისმგებლობა;
- საზოგადოებრივი ინოვაცია.

ინოვაციების სოციალური მექანიზმები. საზოგადოდ ცნობილია, რომ ახალი ტექნოლოგიები და პროდუქტები გავლენას ახდენს სოციალურ ურთიერთობებზე, ქცევასა და დამოკიდებულებებზე. ასევე საყოველთაოდ აღიარებულია, ახალი პროდუქტების წარმატებული განვითარება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, დამოკიდებულია მის კონკრეტულ სოციალურ კონტექსტზე, საზოგადოების მოთხოვნილებებზე. მაგალითისათვის, ავტო-მობილურობა ისეთი სისტემური ინოვაციაა, რომელიც გაცილებით მეტს მოიცავს, ვიდრე ელექტრო ავტომობილის გამოგონება. იგი არა მხოლოდ პარადიგმულ ტექნოლოგიურ დიზაინს მოიცავს მანქანებისათვის, არამედ ითვალისწინებს ეკოლოგიურ გარემოს, ადამიანთა და ჰაერის დაზიანების დაბალ რისკებს, რაც საბოლოოდ ექცევა სოციალურ-ტექნიკურ ჩარჩოში. მსგავს შეხედულებებზე დაყრდნობით, შემუშავდა ახალი (სისტემური) ანალიტიკური ჩარჩო- მრავალი დონიდან, სოციალურ-ტექნიკურ დონეზე გადასვლის პერსპექტივა (MLP) - ეს ხსნის, თუ რომელ სფეროში და როგორ შეიძლება მოხდეს უფრო მეტად ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციების შერწყმა, რაც შესაძლოა უფრო ეფექტურად მოხდეს აქტორ ინსტიტუტთა ინოვაციური პოლიტიკის შედეგად.

ინოვაციების სოციალური პასუხისმგებლობა. ინოვაციები კლასიკურ ეკონომიკურ აზროვნებაში, მნიშვნელოვნად ითვლება ეკონომიკის ზრდა/განვითარების გამო, რადგან იგი ხელს უწყობს მის მუდმივ, მდგრად განვითარებას. დღესაც ინოვაცია უმეტესად ასოცირდება ინდუსტრიებთან, რომლებიც ავითარებენ და ქმნიან ახალ პროდუქტებს, ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს. ამავდროულად, ტექნოლოგიურ ინოვაციებს სულ უფრო მეტი შეშფოთება სდევს თან, მისი პოტენციური რისკების გამო, რაც ადამიანებსა და გარემოს უსაფრთხოებას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, იზრდება მოწოდებები ისეთი ინოვაციებისაკენ, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ სოციალური პრობლემების გადაჭრაში. მსგავს მოწოდებებს აჯამებენ სოციალურ, ან სოციალური პასუხისმგებლობის ინოვაციების მოწოდებაში, რომელიც

აქტუალური და სოციალურად მისაღებია საზოგადოებისათვის. სოციალურად პასუხისმგებელი ინოვაცია მოუწოდებს ბიზნესს, ინვესტირება განახორციელოს საზოგადოებაში, მოიფიქრონ სოციალურად რელევანტური ინოვაციები, და აქციონ ისინი, როგორც მათი კორპორატიული პასუხისმგებლობის ნაწილი. ზოგიერთი თეორიტიკოსი ამტკიცებს, რომ ინოვაციის პროცესი უნდა შეიცვალოს.

სოციალური ინოვაცია მოითხოვს ინოვაციის ახალ-სოციალურ მეთოდებს, რომლებიც ხასიათდება პროცესების ერთობლივი დიზაინით და ერთობლივად შენდება საზოგადოებასთან თანამშრომლობაში. შესაბამისად, ინოვაციების ფაქტორების სპექტრი იცვლება და კვლევა-განვითარება აღარ არის მეცნიერების ექსკლუზიური სფერო და ბიზნესი. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოების ცოდნის შერწყმა ინოვაციის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში. იცვლება საგნების, ღირებულებებისა და ქცევის პერსპექტივები. ინოვაციის შექმნაში, აღნიშნული თანამშრომლობა აქტუალურს და მნიშვნელოვანს ხდის სოციალურ და შემოქმედებით სწავლას, როგორც სოციალური ინოვაციის მექანიზმს. კარგი მაგალითია სოფლის მეურნეობა და საზოგადოებრივი ინოვაცია, სადაც მოსახლეობის ცოდნა და შემოქმედებითობა უდიდეს როლს თამაშობს. იმისათვის, რომ მოხდეს ახალი ინოვაციური ტექნოლოგიისა, თუ მეთოდების დანერგვა სოფლის მეურნეობაში, აუცილებელია მოსახლეობამ მიიღოს შესაბამისი განათლება მისი მოხმარებისა და მისაღები სარგებლის შესახებ. ბუნებრივია ამ ყოველივეს წინ უძღვის მოთხოვნილებათა მთელი ჯაჭვი, რაც სტიმულს იძლევა ინოვაციების დანერგვისათვის.

საზოგადოებრივი ინოვაცია. სოციალურ ინოვაციად, ასევე მოიხსენიებენ ისეთ ინოვაციებს, რომლებიც მიუთითებს საზოგადოებაში ცვლილებების აუცილებლობაზე, მაგალითად როგორიცაა დისკრიმინაცია, სიღარიბე, ან დაბინძურება. აქ ყურადღება გამახვილებულია სოციალური ურთიერთობების, ქცევის, ნორმებისა და ღირებულებების ცვლილებაზე. საზოგადოებრივი ინოვაცია შერწყმულია ცნებებთან, როგორებიცაა: სოციალური გაძლიერება და ინკლუზია, სოციალური კაპიტალი და ერთიანობა. ევროპა 2020 სტრატეგიის დოკუმენტი, სოციალურ ინოვაციებს ასევე განსაზღვრავს სოციალური ინკლუზიის გაგებით, როგორც მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი. სოციალური ინოვაციების ხელშეწყობის პროგრამების შემუშავება და განხორციელება ყველაზე დაუცველებს, განსაკუთრებით ინოვაციური განათლების, ტრენინგის და დასაქმების მიწოდების შესაძლებლობები გაჭირვებული თემებისათვის, რაც გამორიცხავს დისკრიმინაციას (მაგ. ინვალიდები) და ავითარებს მიგრანტების ინტეგრაციას, რათა მათ შეძლონ სრულად ისარგებლონ თავიანთი პოტენციალით.

ნებისმიერ საინოვაციო პროცესში, მნიშვნელოვანია მჭიდროდ თვალის დევნება, თუ ვინ ითვლება ინოვაციურ პროცესში ჩართულად და ვინ არა. ვინ შეიძლება წააგოს, ან მოიგოს მიღებული ცვლილებებით. აღნიშნულის კონტროლში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ინოვაციურ მმართველობასა და პოლიტიკას. ინოვაციური მმართველობა საშუალებას იძლევა ჩართულ იქნენ არატრადიციული აქტორები, იგი აერთიანებს სხვადასხვა პოლიტიკის საკითხებს და ორიენტირებულია ტერიტორიულ განვითარებაზე. ასევე სოციალურმა ინოვაციამ უნდა უზრუნველყოს შესაძლო რისკების გათვალისწინება. კვლევებისა და ექსპერიმენტების დახმარებით, დასახოს შესაძლებლობა მიზანმიმართული აზროვნების, ცდისა და შეცდომების გზით სწავლისთვის.

სოციალური ინოვაციების განვითარება კულტურის გავლენით გლობალიზაციის პირობებში

გლობალიზაციის პროცესი, რამდენადაც ხელს უწყობს სოციალური ინოვაციების განვითარებას, იმდენადვე ართულებს მნიშვნელოვან პროცესს აღნიშნულის

განვითარებისათვის. კულტურათაშორისი ურთიერთობები გახლავთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემაფერხებელი ფაქტორი, სოციალური ინოვაციების განვითარების პროცესში. შესაძლოა, გამოვყოთ სამი ძირითადი მიმართულება:

- *კულტურის გავლენით ადამიანთა ქცევა საბაზრო ინსტიტუტებთან;*
- *ბაზრის რაციონალური ფაქტორების მთავარი ფუძე - კულტურა;*
- *კულტურის გავლენა იდეებსა და ტექნოლოგიებზე, რომელიც ქმნის სამოქმედო ჩარჩოებს ბაზარზე არსებული ინსტიტუტებისთვის.*

საბაზრო ინსტიტუტებთან მიმართებით, ადამიანთა ქცევას რიგი გარემოებები განსაზღვრავს. მაგალითად, ეკონომიკური სისტემები. ე.წ. მბრძანებლური ეკონომიკის პერიოდში, ადამიანთა ქცევას დიდი მნიშვნელობა არ ექცეოდა, რადგან მოცემული სისტემა მორგებული იყო მხოლოდ სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. მბრძანებლურ ეკონომიკურ სისტემას ახასიათებს კოლექტივიზმი, შესაბამისად უგულებელყოფილია ინდივიდუალური მოთხოვნილებების გათვალისწინების საჭიროება. საპირიპიროდ გვევლინება ა. სმიტის კაპიტალიზმი, რომელიც ეფუძნება საბაზრო ეკონომიკის ცნებას, სადაც ინდივიდები თავად წყვეტენ რა აწარმოონ და იყიდონ, ხოლო ფასებს და გაყიდული პროდუქციის რაოდენობას ბაზარი განსაზღვრავს.

დღესდღეობით, კაპიტალიზმის პირობებში საზოგადოების კლასებად დაყოფამ წარმოშვა სწორედ კულტურათაშორისი პრობლემები. ტრანსნაციონალურ კომპანიებში ადამიანები ხვდებიან განსხვავებულ წეს-ჩვეულებათა მქონე ადამიანებს, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობის დამყარება, კონფლიქტის გარეშე, საკმაოდ რთულდება. მსგავს პრობლემათა კვლევას ეძღვნება მრავალი სტატია თუ სახელმძღვანელო და ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება გლობალიზაციის ეპოქაში.

კულტურათაშორისი განსხვავებები ძალზე მკაფიოა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. მაგალითად, დასავლეთით მცხოვრებთა უმრავლესობა, დროს ყველა სხვა რესურსზე ძვირფასად თვლის, შესაბამისად მას მკაცრად და რაციონალურად ანაწილებს. ამერიკელები აწმყოს და უახლოეს მომავალს, ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდებად განიხილავენ, ხოლო, იაპონელები მომავალს განიხილავენ ყველაზე მნიშვნელოვნად და მიზნად გრძელვადიან პერსპექტივებს ისახავენ. დროის კონკრეტული მონაკვეთის მნიშვნელოვნების განსაზღვრა, ძალიან ბევრ სამეწარმეო, თუ სხვა ბიზნეს გადაწყვეტილებებზე, დაგეგმვასა და მართვაზე ახდენს გავლენას. შესაბამისად, თითოეული ქვეყნის წეს-ჩვეულებების, ღირებულებების გარკვეულწილად გათვალისწინება გარდაუვალი ხდება ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში. სოციალური ინოვაციების დანერგვა და განვითარება გლობალურ დონეზე, ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა და მოითხოვს რიგი სპეციფიკური კვლევების ჩატარებას, რათა ადგილი არ ჰქონდეს კონკრეტული ქვეყნის კულტურული ღირებულებების ხელყოფას.

დასკვნა

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გლობალურ დონეზე, ფაქტობრივად გარდაუვალია როგორც სხვა მიმართულებით ინოვაციების ზრდა, ასევე სოციალური ინოვაციების შეუქცევადი განვითარება. ადამიანთა მოთხოვნილებები დღითიდღე იზრდება, რაც ქმნის რიგ სოციალურ პრობლემებს, გარემოს დაბინძურებას, საერთო, გლობალური კლიმატის სახიფათო ცვლილებებს, ბუნებრივი რესურსების საგრძნობ კლებას და ა.შ. მოცემული საფრთხეები მეტად ასტიმულირებს სოციალური ინოვაციების იდეების ტრანსფორმაციას რეალურ პროექტებად, მაგალითად როგორიცაა მზის, ქარისა და წყლის ენერგიის გამოყენების

ზრდა, რომელიც დიდ როლს თამაშობს სათბურის აირების ემისიის შემცირებაში, რადგან ენერგიები მოიპოვება ე.წ. სუფთა წყაროებიდან.

აგრეთვე, როგორც სხვადასხვა კვლევა აჩვენებს, სოციალურ ინოვაციებს, აქვს ძალა მნიშვნელოვნად შეამციროს საზოგადოების სიღარიბის, უმუშევრობის დონე, რაც თავისხრივ დადებითად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე. სოციალური ინოვაციებს შეუძლია ბიზნესთან მოლაპარაკებების საფუძველზე გადაჭრას ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელიც გლობალიზაციის ეპოქაში დღითიდღე მეტად აქტუალური ხდება.

განვითარებული ქვეყნები ფლობენ მნიშვნელოვან მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებს, რომელთა განვითარებადი ქვეყნებისთვის გაზიარებით და ერთობლივი ჩართულობით, ავითარებენ გლობალურ დონეზე არაერთ მნიშვნელოვან სოციალურ პროექტს. ეს პროცესი უნდა გარდაიქმნას შეუქცევადად, ხოლო მეტი რესურსითა და პასუხისმგებლობით დაინერგოს და განვითარდეს მეტი საერთო სოციალური ინოვაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც ადამიანებს მისცემს საშუალებას, უფრო დიდხანს ისარგებლონ ბუნებრივი რესურსებით და სხვა მრავალი სიკეთით, რასაც სოციალური ინოვაციები გვთავაზობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. სილაგაძე. (2010). ეკონომიკური დოქტრინები. თავი 21, გვ. (461-462) თბილისი.
2. გ. სიგუა. (2016). *„ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში”.* თბილისი.
3. ე. მექვაბიშვილი. (2016). თანამედროვე ეკონომიკური თეორიები. თბილისი.
4. ნ. ქისტაური. (2017). სოციალური ინოვაციების როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. *conference paper*, 3-4.
5. Dreher, A. “Does Globalization Affect Growth? Evidance from a new index of globalization”, Applied Economics, 38 (10), pp. 1091-1105
6. Pol, E. &. (2009). *Social innovation: Buzz word or enduring term? Academic Medicine.*
7. Scott, L. C.-L. (2012). Enterprise and inequality: a study of Avon in South Africa. *Entrepreneurship Theory and Practice*, 36 (3).
8. Shepherd, D. A. (2014). Thinking About Entrepreneurial Decision Making. *Journal of Management* .

სწავლების ინტერაქციული მეთოდი კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებისთვის
Interactive Teaching Method for the Development of Communicative Competence

თამარ ჩხაიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფილოლოგიის დოქტორი
ინგლისური ენის მოწვეული სპეციალისტი
Tamar Chkhaidze - Akaki Tsereteli State University
Invited English language specialist,PHD

აბსტრაქტი. "ყველას ერთ ადლზე ვერ გამოჭრი" -გვასწავლის ქართული ანდაზა. მოსწავლე ყველაზე უკეთესად მაშინ სწავლობს, როცა აქტიური და ქმედითია, და არა მაშინ, როდესაც მხოლოდ აქტიურ და ქმედით მასწავლებელს უყურებს.

თანამედროვე ეპოქაში გამოიკვეთა საგანმანათლებლო სისტემის ზოგადი გეზი- მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო სივრცის ჩამოყალიბება. დღეს, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში ე.წ "ინტერნეტის ხანაში" სწრაფად ცვალებადი გარემო გვკარნახობს თავის წესებს, აყენებს ახალ მოთხოვნილებებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მიმართ. თუ წინა საუკუნეში სწავლების პროცესი გულისხმობდა დიდი რაოდენობის ფაქტობრივი მასალის დასწავლას, დაზეპირებას. დღეს ცხადი გახდა, რომ უნდა შეიცვალოს ტრადიციული მიდგომა სასწავლო პროცესის მიმართ. სწავლებისას მეტი დრო უნდა ეთმობოდეს კოგნიტური და ტრანსფერული უნარების განვითარებას, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების დახვეწას, რაც რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მოსწავლეს უნდა მოეთხოვებოდეს კონკრეტული საფუძვლების ცოდნა ამა თუ იმ საგანში, მაგრამ, აუცილებელი გახდა სწავლებისას ისეთი პირობების შექმნა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მიღებული ცოდნის აქტიური ოპერირება, ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, ამ ცოდნის რეალიზება რეალურ გარემოში.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე ნათელი ხდება, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება საშუალებას აძლევს შემსწავლელს უკეთ გაიგოს მისთვის უცნობი მოვლენები, თამამად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება, იგრძნოს თავი ჯგუფის წევრად, ითანამშრომლოს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტერაქციული სწავლება საჭიროებს გაკვეთილის პროცესში სწავლებას ახალი სტრატეგიებისა და ხერხების დანერგვას. შეაბამისად სწავლების მიზანიც იცვლება- იგი ორიენტირებული არაა მარტო ცოდნაზე, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეც. მოსწავლეს უყალიბდება განწყობა-დამოკიდებულებები ფაქტებისა და მოვლენებისადმი. ის იმყოფება შესასწავლი მოვლენების ცენტრში.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება,ინტერაქციული მეთოდი, გუნდური მუშაობა, ცოდნის აქტიური ოპერირება,ურთიერთანამშრომლობა.

Abstract. "You can't make everyone equal" - teaches us a Georgian proverb. A student learns better when he is active and not when he only watches an active teacher.

In the modern era, the general path of the educational system was defined as the formation of a student-oriented learning space. Today in the conditions of the rapid development of information technologies, in the so-called "Internet age", the rapidly changing environment dictates its rules, gives new

demands on the course of the educational process. If in the previous century the teaching process involved learning a large amount of factual material, memorizing it, today it has become clear that the traditional approach to the educational process should be changed. During the teaching process more time should be devoted to the development of cognitive and transfer skills, improving teamwork skills. Of course it does not mean that the student should be required to know specific basics in this or that subject but it has become necessary to create the conditions for students to use the acquired knowledge. It involves active operation, application of knowledge in practice, realization of this knowledge in real environment.

Based on the conducted studies, it has become clear that student-centered teaching allows the student to understand unfamiliar events better, express his attitude freely, feel like a member of a group and cooperate.

Interactive teaching requires the introduction of new strategies and methods of teaching. Accordingly, the purpose of teaching also changes - it is not focused only on knowledge, but also on the development of practical skills. The student shows his attitudes towards facts and events. He is at the center of the events that are studied.

Key words: student-oriented teaching, interactive method, teamwork, active operation of knowledge, mutual cooperation.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Bruffee, Keneth A. (2000) 'Colaborative Learning and the Conversation of Mankind' College English 635-652

2.H.Douglas Brown (2001) Teaching by principles: An interactive approach to language pedagogy. Beijing: Foreign language Teaching and Research Press

3.H.D Brown (2002) Principles of language learning and Teaching. Cambridge: Cambridge University press

4.Lillis,T.M (2006) An interactive approach to language pedagogy 45-61

5.Rivers Wilga M. (ED) 1987. Interactive language teaching. Cambridge: Cambridge University Press.

ინოვაციური მიდგომები სწავლების პროცესში

Innovative Approaches in the Teaching Process

ირინა კობახიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ინგლისური ენის მოწვეული სპეციალისტი
Irina Kobakhidze - Akaki Tsereteli State University Invited teacher of English

აბსტრაქტი. 'თუ ისტორიას გადავხედავთ, ინოვაცია არ მოდის მხოლოდ ხალხის წახალისებით; ის მოდის გარემოს შექმნიდან, სადაც მათ იდეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დაკავშირება.' - სტივენ ჯონსონი. დღეს, როდესაც ყველაფერი ამოყირავდა მეცნიერებაში და სწავლის პროცესშიც სრული გადატრიალებები ხდება აუცილებელია რომ ჩამოყალიბებული ძველი შაბლონები დაირღვეს, რათა საგნებს, მოვლენებს სხვაგვარად შევხედოთ და ვიყოთ ინოვატორები; ვაკეთოთ ახალი და დროს ავუწყოთ სათანადოდ ფეხი; არ ჩამოვრჩეთ მას.

განათლების სფეროს ყველა წარმომადგენლის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ისეთი მეთოდების დანერგვას, რომლებიც მოსწავლის თვითგანვითარებაზე იქნება ორიენტირებული

და არა მხოლოდ ფაქტების დაზეპირებაზე. მასწავლებელი ისე გეგმავს გაკვეთილს, რომ ყოველი მოსწავლე პოულობს თავის ადგილს და არ რჩება პასიური ან გარიყული.

მთავარია სკოლამ აღზარდოს ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანი,ინდივიდი, პიროვნება. სკოლაში ნასწავლი ფაქტობრივი მასალა წლებთან ერთად ქრება -გვავიწყდება. თუმცაღა დავესესხები აინშტაინს და 'გემახსოვრებათ მხოლოდ ის, რაც სინამდვილეში თავად ისწავლე.' - ამიტომაც აინშტაინის მთავარი დევიზი ცხოვრებაში -'არასოდეს შეწყვიტოთ კითხვის დასმა,' დღესაც ისევ ძალიან აქტუალურია.

ინოვაციური მიდგომები გულისხმობს პრობლემების ძიებას და მისი გადაჭრის პასუხიმგებლობა არა მასწავლებელს არამედ მოსწავლეს ეკისრება.

მრავალგვარია ინოვაციური მეთოდები თანამედროვე სასწავლო სივრცეში. მასწავლებლებს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლე მაშინ აღწევს დასახულ მიზანს, როდესაც უშუალოდ მონაწილეობს აქტივობის განხორციელებაში. ჩვენ კი მხოლოდ დამკვირვებლის, ფასილიტატორის როლი გვენიჭება, რომელმაც პროცესი უნდა წარმართოს ირიბად; მოსწავლეებს აუმაღლოს მოტივაცია და გააბედნიეროს ისინი.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლის თვითგანვითარება, პრობლემების ძიება, ფასილიტატორი, დამკვირვებელი, მოტივაციის ამაღლება.

Abstract. 'If we look back at history, innovation doesn't just come from encouraging people; It comes from creating an environment where their ideas can connect.'- Stephen Johnson. Today, when everything has turned upside down in science and complete revolutions are taking place in the learning process, it is necessary to break the established old patterns in order to look at things and events in a different way and be innovative; Let's do something new and set the time properly;

It is the duty of all representatives of the field of education to promote the introduction of such methods, which will be focused on the self-development of the student, and not only on reciting facts. The teacher plans the lesson in such a way that each student finds his place and does not remain passive or excluded.

The most important thing is that the school educates a healthy thinking person, individual, personality. The actual material learned in school disappears over the years - we forget it. However, I will borrow from Einstein and 'remember only what you actually learned' - that's why Einstein's main motto in life - 'Never stop asking questions' is still very relevant today.

Innovative approaches involve searching for problems, and the responsibility for solving them lies not with the teacher, but with the student.

There are many innovative methods in the modern learning space. Teachers should always remember that the student achieves the goal when he directly participates in the activity. And we are only given the role of an observer, a facilitator, who should lead the process indirectly; To motivate students and make them happy.

Key words: self-development of the student, search for problems, facilitator, observer, raising motivation.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება- https://srri.umass.edu/topics/collaborative-group-techniques/
2. თანამშრომლობითი სწავლება- https://mastsavlebeli.ge/?p=2342
3. Collaborative learning- https://educationendowmentfoundation.org.uk/education-evidence/teaching-learning-toolkit/collaborative-learning-approaches#:~:text=A%20collaborative%20(or%20cooperative)%20learning,together%20on%20a%20shared%20task.
4. სასწავლო ტექნიკები: https://futureeducationmagazine.com/21st-century-teaching-methods/
5. როგორ განვახორციელოთ სასწავლო მეთოდები: https://piogroup.net/blog/20-innovative-teaching-methods-with-examples-how-to-implement-in-education-process
6. სასწავლო მეთოდები: https://www.splashlearn.com/blog/teaching-methods/

მცირე და საშუალო ბიზნესი და საგადასახადო პოლიტიკა
Small and Medium-sized Enterprises and Tax Policy

შორენა გვენეტაძე
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მოწვეული ლექტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
Shorena Gvenetadze
Visiting Lecturer at Georgian National University SEU
PhD Student at Georgian Technical University

აბსტრაქტი. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას და სამუშაო ადგილების შემქმნელს კერძო სექტორი წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულ იყოს კერძო სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერაზე და მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე.

მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებისა და მის ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ხერხემლად შეიძლება იქნას მიჩნეული. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ზოგადად ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ინოვაციებსა და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას. ამასთანავე, მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ ახალი ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და გამოყენებაში, მათი ინოვაციური და მოქნილი სტრუქტურების გამო.

სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოების ერთ-ერთი მთავარი როლი ქვეყნის ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაა. ფისკალური პოლიტიკა კი სახელმწიფო ხარჯებისა და დაბეგვრის მეთოდების იმგვარად მართვაა, რომ მიღწეულ იქნას ქვეყნის მდგრადი და ძლიერი ეკონომიკური ზრდა. ერთი შეხედვით, გლობალურ ეკონომიკაში, საქონლისა და მომსახურების განაწილებაში ბაზრები ასრულებენ მთავარ როლს, სახელმწიფოს როლი კი შესუსტებულია, თუმცა ეკონომიკური კრიზისების პერიოდში განსაკუთრებით აქტიურდება ფისკალური პოლიტიკის განხორციელების საჭიროება. ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს კი საგადასახადო

პოლიტიკა წარმოადგენს, გადასახადების დონის, სახეობების ოპტიმალური ცვლილება და მათი გამოყენება ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესში.

საკვანძო სიტყვები

მცირე და საშუალო ბიზნესი; საგადასახადო პოლიტიკა; ბიზნესის ხელშეწყობა; რისკების პრევენცია; მეთოდოლოგიური ბაზის ჰაბი; საკანონმდებლო სიახლეები; საკანონმდებლო ბაზა.

Abstract. The economic policy of Georgia is based on the principles of the free market, where the driving force of economic growth and the generator of jobs is the private sector. Therefore, it is important that the country's economic policy be focused on supporting the development of the private sector, especially small and medium entrepreneurship, and creating a favorable environment for its development.

Small and medium-sized enterprises, with the potential of employment growth and job creation, as well as the contribution to the development of the economy and its growth, can be considered the backbone of any country's economy. A strong and well-developed small and medium entrepreneurship sector plays a special role in raising the level of prosperity of the country in general. It significantly promotes export growth, innovation and the creation of a modern entrepreneurial culture. In addition, small and medium-sized enterprises can make a significant contribution to the improvement and use of new technologies, due to their innovative and flexible structures.

One of the main roles of the executive bodies of the state is the development and implementation of the country's fiscal policy. Fiscal policy is managing state expenditures and taxation methods to achieve sustainable and strong economic growth of the country. At first sight, in the global economy, markets play the main role in the distribution of goods and services, while the role of the state is weakened. However, the importance of implementing fiscal policy becomes vital during economic crises. An important part of the fiscal policy is the tax policy, the optimal change in the level and types of taxes and their use in the process of economic development.

ძირითადი ტექსტი

წარმოშობიდან დღემდე გადასახადებმა, როგორც ეკონომიკური შინაარსის მქონე კატეგორიამ, განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება. დროთა განმავლობაში იცვლებოდა როგორც გადასახადის სახეები, ასევე დასაბეგრი ობიექტი და გადასახადის გადახდას დაქვემდებარებულ ვალდებულ პირთა წრე. არ იცვლებოდა მხოლოდ გადასახადის ხასიათი, რაც გულისხმობს გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულებისას, მის საკუთრებაში არსებული რესურსის გადაცემას სახელმწიფოსათვის, ასევე მისი სავალდებულოობის პირობას.

ქვეყნის ეკონომიკაში დიდი როლი აქვს გამართულ საგადასახადო სისტემას, რომელიც მუდმივად უნდა იხვეწებოდეს და მორგებული იყოს გადასახადის გადამხდელთა ინტერესებზე.

ბოლო წლების განმავლობაში საგადასახადო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა და მეტად ეფექტიანი გახდა საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა. კერძოდ, საგადასახადო ვალდებულების შესრულება გამარტივდა ელექტრონული სისტემის გამოყენებითა და გადასახადის გადამხდელისთვის ხელსაყრელი დისტანციური სერვისების განვითარებით. მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი მოდელის შესაბამისად გაუნაწილებელი მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადისგან. ასევე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, დღგ-ის კანონმდებლობა სრულად მოვიდა შესაბამისობაში ევროკავშირის კანონმდებლობასთან. დაინერგა დღგ-ის ზედმეტობის სრულად ავტომატური დაბრუნების სისტემა. გატარებული რეფორმების შედეგად, ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო ანგარიშგებისთვის საჭირო დრო და საგადასახადო ტვირთი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია რეფორმების გაგრძელება, მათ შორის მნიშვნელოვანია გაგრძელდეს როგორც საგადასახადო ადმინისტრაციის შემდგომი გაციფრულების პროცესი, ასევე გაგრძელდეს რეფორმები საგადასახადო დავების მოგვარების ეფექტიანი სისტემის დანერგვის მიზნით.

ბიზნესის გამართული ფუნქციონირებისთვის, რისკების მაქსიმალური აღმოფხვრის მიზნით, ასევე საგადასახადო დავების წარმოქმნის პრევენციისათვის, მნიშნელოვანია, ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირება.

აღნიშნული რეფორმებისა და პროგრესის კვალდაკვლად, აუცილებელია ბიზნეს გააჩნდეს პასუხისმგებლიანი ქცევა, რომელიც განაპირობებს მის შემდგომ წარმატებას. აღნიშნული პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, მნიშვნელოვანია, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები პირნათლად ასრულებდნენ საგადასახადო ვალდებულებებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბიზნეს პროცესების შემაფერხებელი გარემოებების წარმოქმნა.

ქვეყანაში საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი არის სისტემური და ერთგვაროვანი საგადასახადო პრაქტიკის არსებობა. საგადასახადო კოდექსი, მისი დაქვემდებარებული ნორმატიული აქტები და საგადასახადო ურთიერთობის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებები, ადგენს მხოლოდ დაბეგვრის ძირითად პრინციპებს, შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები, სასამართლოს და ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული დავების განმხილველი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ერთგვაროვანი საგადასახადო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საქართველოში არ არსებობდა საკანონმდებლო აქტებისა და საგადასახადო პრაქტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების ერთიანი ბაზა, რაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემდა ხელმისწვდომი ყოფილიყო მათთვის ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და დამკვიდრებული საგადასახადო პრაქტიკა. გადასახადის გადამხდელებს არ გააჩნდათ წვდომა როგორც შემოსავლების სამსახურის მიერ, ასევე ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული დავების განმხილველი ორგანოების და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უმეტესობასთან.

ეს ყოველივე განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა მცირე და საშუალო ბინზესისთვის და უარყოფითად აისახებოდე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულების შესრულების ხარისხზე.

ამ მიმართულებით განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც ქვეყნის საფინანსო სისტემის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გასულ წელს დაანონსებული იყო ,,ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის პროექტის“ ფარგლებში. 2023 წლიდან კი შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო ონლაინ პლატფორმამ www.infohub.rs.ge, რომელიც წარმოადგენს საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის საინფორმაციო ჰაბს, რაც გამიზნულია, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის. კერძოდ, აღნიშნული აჩენს შესაძლებლობას, ბიზნესი ეზიაროს და გაეცნოს გადასახადებით დაბეგვრის ერთიან პრაქტიკას, რათა გაუმარტივდეს საგადასახადო ვალდებულების შესრულების პროცესი განხორციელებული/განსახორციელებელი ოპერაციების მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ გადასახადების სწორი და დროული ადმინისტრირება ხელს უწყობს ბიზნესის წარმართვას შეუფერხებლად.

ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზაში განთავსებულია და მუდმივ განახლებას ექვემდებარება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. კერძოდ:

• საკანონმდებლო აქტები - საერთაშორისო ხელშეკრულებები, ფინანსთა მინისტრის, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები, მთავრობის დადგენილებები და ა.შ.;

• შიდა მარეგულირებელი ინსტრუქციები და მეთოდური მითითებები, წინასწარი გადაწყვეტილებები, პროცედურული სახელმძღვანელოები, სიტუაციური სახელმძღვანელოები, მომსახურების სტანდარტები და ა.შ.;

• კონკრეტულ თემაზე მომზადებული გზამკვლევევები;

• აქტუალურ თემებზე სტრუქტურული ერთეულების მიერ დაფიქსირებული პოზიციები; და ა.შ.

ერთიან მეთოდოლოგიურ ბაზაში განთავსებულმა ინფორმაციამ, სხვა მნიშვნელოვან შედეგებთან ერთად, ხელი უნდა შეუწყოს:

• საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის ანალიზის და განზოგადების შედეგად, პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას, შემდგომი რეაგირების მიზნით;

• ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების განტვირთვას, ერთგვაროვანი პრაქტიკის გაზიარების შედეგად საჩივრების რაოდენობის შემცირების გზით;

• დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებების განჭვრეტადობას და პრაქტიკის ანალიზის შესაძლებლობას.

გადასახადებით დაბეგვრის ერთიანი პრაქტიკის უზრუნველყოფის კვალდაკვალ, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია მეტი სიცხადე არსებობდეს გადასახადებით დაბეგვრის წესების მხრივ კონკრეტული შემთხვევების მიმართ. აღნიშნულის უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა საჯარო გადაწყვეტილებების მომზადება და გამოცემა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ, რომელიც ხორციელდება დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების თანმდევად, საგადასახადო პოლიტიკის ჭრილში, სექტორული პრიორიტეტის გათვალისწინებით, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის, საგადასახადო ვალდებულებების სწორად განსაზღვრის მიზნით, 2023-2024 წლებში გამოიცა შემდეგი საჯარო გადაწყვეტილებები: ,,ტურისტული მომსახურებების დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე“; ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,უ“ ქვეპუნქტის გამოყენების თაობაზე“, რომელიც წარმოადგენს ნორმის გამოყენების სახელმძღვანელოს, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებისას, მის სამრეწველო გადამუშავებამდე, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების შეღავათით სარგებლობის მიზნით. ასევე, საჯარო გადაწყვეტილების ფორმით, განმარტებულ იქნა გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დამატებული ღირებულებით დაბეგვრის საკითხი, როდესაც ამ გარიგების ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება.

ნათელია, რომ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე მობილური სექტორია, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან დამბალანსებელ როლს და აერთიანებს ქვეყნის შრომითი რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს. მცირე ბიზნეს, თავის მხრივ, ნოვატორული იდეები კვებავს. რესურსების ახალი წყაროების მიღება კი, მის განვითარებას განაპირობებს.

ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ინფორმირებულობას ზოგადად მცირე ბიზნესის და მისი მნიშვნელობის შესახებ. ასევე არსებული შრომითი იდეებისა და რესურების

სრულ რეალიზებას, რაც მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე არ შეიძლება განხორციელდეს. აუცილებელია საზოგადოებრივი დაინტერესება და აქტიურობა-ჩართულობა.

მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ძირითადი საშუალება ეკონომიკის ინკლუზიური ზრდისა და დასაქმების მიზნების მისაღწევად, საჭიროებს მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის ეფექტიანი საგადასახდო პოლიტიკის გატარების მხრივ. ბიზნესისთვის, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებასთან ერთად, არანაკლებ მნიშნელოვანია ღია, გამჭვირვალე, განჭვრეტადი დაბეგვრის წესების ცოდნა, საჯაროობა, დადგენილი დაბეგვრის პრაქტიკის გაზიარება და სათანადო რესურსებზე წვდომა. ასევე, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის წარმომადგენლების ინფორმირებულობა იმ სიკეთეებზე, რომელიც მათი განვითარების მიზნებს ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური ინსტიტუტები, საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები - კვლევის ავტორი GSMEA;
2. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თემატური მოკლევევა თემა - ,,პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - არსებული გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“
3. ,,საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის“- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტო https://bit.ly/3NRk8Ut ;
4. საგადასახადი დავების ანალიზი; USAID GEORGIA აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი ,,მმართველობა განვითარებისათვის“ (2016 წ.).
5. Directorate-General for international policy; Economic and monetary Affairs; Tax rulings in the EU Member States; https://www.europarl.europa.eu
6. სახელმძღვანელო მცირე და საშუალო ბიზნესისათვის; აწარმოე საქართველოში, ERPC
7. Horton, M., & El-Ganainy, A. (2020). Fiscal Policy: Taking and Giving Away. International Monetary Fund.

მონაცემთა ტბები და Hadoop ტექნოლოგია დიდი მონაცემების განაწილებული დამუშავებისთვის

Data lakes and Hadoop technology for distributed processing of big data

გულნარა ჯანელიძე
ასოც. პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Janelidzegulnara08@gtu.ge
ბადრი მეფარიშვილი
პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
meparishvilibadri08@gtu.ge
ნინო ბერიძე
ასისტ. პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
beridzenino5@gmail.com
Gulnara Janelidze
Associate Professor, Georgian Technical University
Badri Meparishvili
Professor, Georgian Technical University
Nino Beridze
Assistant Professor, Samtskhe-Javakheti State University

აბსტრაქტი. ციფრულმა ტრანსფორმაციამ მოიტანა უზარმაზარი ცვლილებები თანამედროვე სამყაროში და გამოიმუშავა უპრეცედენტო რაოდენობის მონაცემები. თუმცა, მონაცემთა ზრდასთან ერთად გაჩნდა ახალი პრობლემები მათ სისტემატიზებასა და დამუშავებასთან დაკავშირებით. მონაცემები, რომელიც მოედინება სხვადასხვა წყაროდან, მათი უმეტესობა არის არასტრუქტურირებული. ასეთი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გადაცემის დროს შეიძლება მოხდეს შეცდომები, დამახინჯებები და შეუსაბამობები. მონაცემები ხშირად შეიძლება იყოს არასრული, შეიცავდეს ხარვეზებს ან დუბლიკატებს. ყოველივე ეს მოითხოვს შენახვის, დამუშავებისა და ანალიზის სპეციალური მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას.

ნაშრომში წარმოდგენილია მონაცემთა ტბების უპირატესობა დიდი მოცულობის არასტრუქტურირებული მონაცემების დამუშავებისთვის. განხილულია მონაცემთა ტბებში განთავსებული მონაცემების ამოღების შესაძლებლობა, გარკვეული შაბლონის მიხედვით, კლასიკური მონაცემთა ბაზის ფორმატში. წარმოდგენილია Hadoop პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება დიდი მოცულობის მონაცემების პარალელური დამუშავებისთვის. გაანალიზებულია მონაცემთა ტბების საფრთხეები და წარმოდგენილია სტატიაში დამუშავებული მიდგომების გამოწვევები და განვითარების მიმართულებები.

ამდენად, მონაცემთა ტბების და Hadoop ტექნოლოგიის როლი შეუცვლელია საჭირო მონაცემთა მოქნილი ანალიზისა და ჰიპოთეზის შესაქმნელად. ისინი საშუალებას იძლევიან შეგროვებულ და დამუშავებულ იქნას რაც შეიძლება მეტი მონაცემი, რათა შემდგომ მანქანური სწავლებისა და ანალიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით გაკეთდეს წარმოუდგენელი პროგნოზები და მიღებულ იქნას მეტი სარგებელი მონაცემებიდან.

საკვანძო სიტყვები: მონაცემთა ტბები, Hadoop ტექნოლოგია, განაწილებული დამუშავება.

Abstract. Digital transformation has brought about massive changes in the modern world and has generated an unprecedented amount of data. However, with the growth of data, new challenges have emerged regarding its organization and processing. Data that flows from various sources is mostly unstructured. During the collection, processing, and transmission of such data, errors, distortions, and inconsistencies may occur. The data is often incomplete, may contain defects or duplicates. All of this requires the use of specialized methods and technologies for storage, processing, and analysis.

The paper presents the advantages of Data Lakes for processing large volumes of unstructured data. It discusses the possibility of retrieving data stored in data lakes according to specific patterns, in a classic database format. The use of Hadoop software for parallel processing of large datasets is also presented. The threats associated with data

lakes are analyzed, and the challenges and future development directions of the approaches explored in the article are outlined.

Thus, the role of data lakes and Hadoop technology is irreplaceable for flexible data analysis and hypothesis generation. They enable the collection and processing of as much data as possible, which, when combined with machine learning and analytics tools, allows for unimaginable predictions and the gaining of greater value from the data.

Key words*:* Data Lakes, Hadoop technology, distributed processing.

ყოველდღიურ საქმიანობაში ხშირად ვხვდებით არასტრუქტურირებულ მონაცემებს, როგორიცაა ვიდეოები, წიგნები, ჟურნალები, Word და PDF დოკუმენტები, აუდიოჩანაწერები და ფოტოები. ყოველივე ეს არასტრუქტურირებული მონაცემებია და ყველა მათგანი შეიძლება შენახული იყოს მონაცემთა ტბაში. მონაცემთა შენახვის შემდეგ შესაძლებელია მათი დამუშავება, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში მონაცემების ამოღება სტრუქტურირებული ფორმით კლასიკურ მონაცემთა ბაზებში, მათი განაწილება მონაცემთა კვანძებზე და პარალელური დამუშავება, თუმცა მონაცემები შეიძლება დამუშავდეს და გაანალიზდეს უშუალოდ მონაცემთა ტბაშიც. საყურადღებოა, რომ მასში ინფორმაცია სტრუქტურირებულია გამოსასვლელზე, როდესაც საჭიროა მონაცემების ამოღება ან ანალიზი. ამავდროულად, ანალიზის პროცესი არ ახდენს გავლენას თავად ტბაში არსებულ მონაცემებზე - ის რჩება არასტრუქტურირებული. ამდენად, მისი შენახვა და სხვა მიზნებისთვის გამოყენება მოსახერხებელია [1,2].

მონაცემთა ტბის მახასიათებელია მონაცემთა ჰეტეროგენულობა, რაც ართულებს მათ გაერთიანებასა და ანალიზს. მონაცემთა ხარისხი ხშირად არასაკმარისია, შეიცავს უზუსტობებს და შეცდომებს. ტბებში განთავსებულ მონაცემებზე უნებართვო წვდომამ შეიძლება გამოიწვიოს მონაცემების შეცვლა ან განადგურება. ამავდროულად, ბიზნესისა და მომხმარებელთა რიცხვის ზრდასთან ერთად, მონაცემთა მოცულობა ექსპონენტურად იზრდება. სისტემებს უნდა შეეძლოს უზარმაზარი რაოდენობის მონაცემების დამუშავება და შენახვა. ოპერატიული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა მონაცემთა სწრაფი დამუშავება. ორგანიზაციების უმეტესობა იყენებს მრავალ განსხვავებულ სისტემას, რაც ართულებს მონაცემთა ინტეგრაციას და ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნას. სხვადასხვა სისტემას შეუძლია გამოიყენოს მონაცემთა სხვადასხვა ფორმატები და საკომუნიკაციო პროტოკოლები, რაც მოითხოვს დამატებით ძალისხმევას ინტეგრაციისთვის. პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგიები და მეთოდები, მათ შორის აქტუალურია Hadoop ტექნოლოგიის გამოყენება რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ასობით ტერაბაიტი ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და განაწილებული დამუშავება, რომელიც მოედინება უწყვეტ ნაკადად. სწორედ მის საფუძველზე აგებენ მონაცემთა ტბებს. Hadoop მუშაობს MapReduce პრინციპით ანუ მონაცემთა განაწილებით. მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სისტემა შედგება კლასტერებისგან ან კვანძებისგან, რომელიც გამოიყენება როგორც ერთი რესურსი. როდესაც კლასტერზე მიიღება მასშტაბური ამოცანა, Hadoop დაყოფს მას მცირე ქვეამოცანებად და ასრულებს ცალკეულს თავის კვანძზე. ეს საშუალებას იძლევა, რომ პარალელურად გადაწყდეს რამდენიმე ამოცანა და სწრაფად იქნას მიღებული შედეგი [6]. ნახ.1.-ზე მოცემულია Mapreduce ალგორითმის სქემა. პარალელურ კვანძებზე შესრულების ხარჯზე შემავალი მონაცემები მუშავდება გაცილებით სწრაფად.



ნახ.1. Mapreduce ალგორითმის სქემა

განვიხილოთ ამოცანა Hadoop-Mapreduce ტექნოლოგიის გამოყენებით. დავუშვათ, წარმოდგენილია 2 გიგაბაიტი ინფორმაცია გაყიდვებზე. უნდა ვიპოვოთ ცალკეული მყიდველის მიერ დახარჯული ჯამური თანხა. განვიხილოთ შემავალი ფაილი და ერთი Reduce ამოცანა მოცემული დავალებისთვის. ცხრილში წარმოდგენილია მონაცემთა ტბიდან სტრუქტურირებული სახით ამოღებული მონაცემები.

სახელი	ფასი	პროდუქტი	თარიღი
არაბული	150	ბლენდერი	12-2-2023
კაპანაძე	65	დამტენი	3-4-2023
მჭედლიძე	120	კლავიატურა	24-5-2023
ჯავახიშვილი	80	დამტენი	12-5-2023
ბერიძე	65	ყურსასმენი	23-4-2023
კაპანაძე	40	პიცა	12-2-2023
არაბული	60	წიგნები	7-4-2023
ჯავახიშვილი	180	წვენსაწური	8-2-2023
კაპანაძე	2300	ლეპტოპი	3-2-2023

Mapreduce-ში თითოეული ფაზა შედგება ბიჯების თანმიმდევრობისგან, რომლებიც იღებენ შეტანა-გამოტანის მონაცემებს გასაღები-მნიშვნელობის წყვილების სახით.

განვიხილოთ ამოცანის გადაწყვეტის განზოგადებული ალგორითმი:

ბიჯი 1: file > **blocks FileInputFormat** > **IS (Input Split)**> **RR (ReadRecorder)**

მომხმარებელი უგზავნის გაყიდვების ფაილს HDFS (hadoop distributed file system) კლიენტს, რომელიც თავის მხრივ ჰყოფს ფაილს 32 ბლოკად (2გბ/64მბ). შემდეგ HDFS კლიენტი გადასცემს NN (NameNode)-ს ამ მონაცემთა ბლოკების HDFS-ში ჩასატვირთად. NN ანიჭებს ბლოკის იდენტიფიკატორს და წარადგენს სიას სამი DN (DataNode)-სგან ცალკეული ბლოკისთვის. როგორც წესი ბლოკები რეპლიცირდება, მაგრამ ამ მაგალითში ბლოკის რეპლიცირებას არ ვახდენთ და განვიხილოთ მხოლოდ 2 ბლოკი (B1, B2), რომელიც ინახება 1 და 2 კვანძებში შესაბამისად [2,3].

B1 node1-ში

არაბული	150	ბლენდერი	12-2-2023
კაპანაძე	65	დამტენი	3-4-2023
მჭედლიძე	120	კლავიატურა	24-5-2023
ჯავახიშვილი	80	დამტენი	12-5-2023

B2 node2-ში

ბერიძე	65	ყურსასმენი	23-4-2023
კაპანაძე	40	პიცა	12-2-2023
არაბული	60	წიგნები	7-4-2023
ჯავახიშვილი	180	წვენსაწური	8-2-2023
კაპანაძე	2300	ლეპტოპი	3-2-2023

მას შემდეგ, რაც DN-ებმა მიიღეს მონაცემთა ბლოკები, Block Reporter (BR) იგზავნება NN-ში მეტა-მონაცემების განახლებისთვის.

ბიჯი 2: RR (k1, v1) > map

RR გამოიყენება IS-დან ჩანაწერების (გასაღები: მნიშვნელობის) წასაკითხად. ნაგულისხმევად, TextInput - Format გამოიყენება ჩანაწერების წასაკითხად. შესაბამისად, გასაღები არის ოფსეტური ბაიტი, ხოლო მნიშვნელობა არის მთელი სტრიქონი (ახალ სტრიქონამდე). ჩანაწერების მომზადება IS-ში არ ნიშნავს, რომ ცალკეულ სტრიქონს მიენიჭება გასაღები. გასაღები შეიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც RR კითხულობს სტრიქონს. ქვემოთ მოყვანილია RR-ის სტრიქონიდან წაკითხვის შედეგი:

node1

ოფსეტური ბაიტი	სახელი	ფასი	პროდუქტი	თარიღი
0	არაბული	150	ბლენდერი	12-2-2023
70	კაპანაძე	65	დამტენი	3-4-2023
100	მჭედლიძე	120	კლავიატურა	24-5-2023
150	ჯავახიშვილი	80	დამტენი	12-5-2023

node2

ოფსეტური ბაიტი	სახელი	ფასი	პროდუქტი	თარიღი
2000	ბერიძე	65	ყურსასმენი	23-4-2023
2100	კაპანაძე	40	პიცა	12-2-2023
2250	არაბული	60	წიგნები	7-4-2023
2431	ჯავახიშვილ	180	წვენსაწური	8-2-2023

	ი			
2599	კაპანაძე	2300	ლეპტოპი	3-2-2023

ბიჯი 3: map (k1, v1) > (k2, v2) > partitioner

RR აწვდის თითოეული მომხმარებლის ტრანზაქციის დეტალებს გასაღები-მნიშვნელობით map-ის ფუნქციას. კერძოდ, ჩვენი პროგრამა ფილტრავს მხოლოდ მომხმარებლის სახელს და თითოეულ ტრანზაქციაზე გადახდილ თანხას. მაშასადამე, map ფუნქცია იძლევა გამომავალს (საკვანძო-მომხმარებლის სახელი, ღირებულება-ფასი). რადგან ჩვენ ვაპირებთ თითოეული მომხმარებლის მიერ დახარჯული თანხის გამოთვლას, ჩვენ ავირჩიეთ მომხმარებლის სახელი, როგორც map-ის გამომავალი გასაღები. ფაილებს მიენიჭება სახელები part-m-00000 node1-ის და part-m-00001 node2-ის, სადაც "m" მიუთითებს, რომ გამომავალი მონაცემები არის map-ის ამოცანიდან. ცხრილებში მოცემულია map ფუნქციის გამომავალი ორივე კვანძში:

node1

part-m-00000

არაბული	150
კაპანაძე	65
მჭედლიძე	120
ჯავახიშვილი	80

node2

part-m-00001

ბერიძე	65
კაპანაძე	40
არაბული	60
ჯავახიშვილი	180
კაპანაძე	2300

ბიჯი 4: partitioner (k2) > გასცემს reduce ამოცანის ნომერს > combiner

მხოლოდ ერთი დანაყოფი იქმნება map-ის გამოტანიდან, რადგან ჩვენ ვაპირებთ მხოლოდ ერთი Reduce დავალების გაშვებას. გამყოფი იძლევა რედუქტორის ნომერს, როგორც გამომავალს, თუ შემცირების მეტი ამოცანებია დანაყოფის პროცესში არ იქნება ცვლილება გასაღები-მნიშვნელობის წყვილებში.

ბიჯი 5: combiner (k2, list(v2)) > (k3, v3) > shuffle

მეტი სიცხადისთვის ახსნა კეთდება map-ის ამოცანის გამომავალით და არა კომბინატორის გამომავალით თუმცა, შეიძლება იგივე პროცედურა შესრულდეს კომბინატორის გამომავალთან ერთად.

არაბული	150
კაპანაძე	65
მჭედლიძე	120
ჯავახიშვილი	80
ბერიძე	65
კაპანაძე	40
არაბული	60
ჯავახიშვილი	180

კაპანაძე	2300

ბიჯი 6: shuffle > merge > sort

Shuffle გადააქვს ნაწილები **map**-ის ამოცანებიდან კვანძში, რომელიც მუშაობს შემცირების ამოცანაზე (ვთქვათ node2) ქსელში. კვანძის შემცირება ხდება ქსელის ტრაფიკისა და სლოტის ხელმისაწვდომობის საფუძველზე. ამდენად, Map-ის დავალება1 node1-დან გადატანილია node2-ში. ამ ეტაპზე ორივე დანაყოფი გაერთიანდა და შერწყმის პროცესის შედეგად მიღებული გამომავალი node2 მოცემულია ცხრილში.

არაბული	150
არაბული	60
ბერიძე	65
კაპანაძე	65
კაპანაძე	40
კაპანაძე	2300
მჭედლიძე	120
ჯავახიშვილი	80
ჯავახიშვილი	180

ბიჯი 7: sort (k3) > (k3, v3) > group

შერწყმის შემდეგ, მონაცემები ლაგდება გასაღების (მომხმარებლის სახელი) საფუძველზე და ინახება თავად node2-ში. დახარისხების შედეგი არის ცხრილში:

არაბული	[150, 60]
ბერიძე	[65]
კაპანაძე	[65,40,2300]
მჭედლიძე	[120]
ჯავახიშვილი	[180,80]

ბიჯი 8: group (k3) > (k3, list (v3)) reduce

დახარისხების შემდეგ მარტივია ყველა მნიშვნელობის დაჯგუფება, რომელიც ეკუთვნის ერთსა და იმავე მომხმარებელს, რაც ნაჩვენებია ცხრილში.

არაბული	[210]
ბერიძე	[65]
კაპანაძე	[2405]
მჭედლიძე	[120]
ჯავახიშვილი	[260]

ბიჯი 9: reduce (k3, list (v3)) > (k4, v4) > გამომავალი ფაილი> RW

რადგან ჩვენი ამოცანა მიზნად ისახავს ვიპოვოთ თითოეული მომხმარებლის მიერ დახარჯული თანხა, შეჯამდება ყველა ის მნიშვნელობა, რომელიც ეკუთვნის თითოეულ გასაღებს. **reduce** ფუნქციის გამომავალი მოცემულია ცხრილში.

part-r-00000

ბიჯი 10: RW (k4, v4) > output file

არაბული	[210]
ბერიძე	[65]
კაპანაძე	[2405]
მჭედლიძე	[120]
ჯავახიშვილი	[260]

საბოლოო გამომავალი იწერება HDFS-ზე ფაილის სახელით part-r-00000. გამომავალი გასაღები და მნიშვნელობა იწერება ჩანართის სივრცით, როგორც დელიმიტერი, რომელიც დაფუძნებულია TextOutput- ფორმატზე. კლიენტს ეცნობება სამუშაოს დასრულების შესახებ და ამოცანის შედეგი ნაჩვენებია კონსოლზე.

წარმოდგენილი ტექნოლოგია გამოიყენება დიდი მასშტაბის ამოცანების გადასწყვეტად, რათა დაჩქარდეს მონაცემთა დამუშავება პარალელური გამოთვლების შედეგად, უზრუნველყოფილ იქნას მონაცემთა მდგრადობა სხვა კვანძებზე სარეზერვო ასლების შენახვის ხარჯზე, დამუშავებულ იქნას ნებისმიერი ტიპის მონაცემები, მათ შორის არასტრუქტურირებული. მონაცემთა ტბები, თუმცა ძალიან მძლავრი და სასარგებლო ინსტრუმენტია მონაცემთა შენახვისა და ანალიზისთვის, მაგრამ მათი გამოყენებისას უნდა იყოს გათვალისწინებული უსაფრთხოების რისკები, რადგან თავისთავად შეიძლება გახდეს უსაფრთხოების რისკების წყარო. მონაცემთა ტბების უსაფრთხოების

უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს როგორც ტექნიკურ, ასევე ორგანიზაციულ ზომებს [3,4].

მონაცემთა ტბებს ერთი მთავარი პრობლემა აქვთ. ნებისმიერი მონაცემი, მონაცემთა ტბაში თითქმის უკონტროლოდ ხვდება. ეს ნიშნავს, რომ მათი ხარისხის დადგენა შეუძლებელია. თუ კომპანიას არ აქვს მონაცემთა მკაფიო მოდელი, ანუ არ იცის მონაცემთა სტრუქტურების ტიპები და მათი დამუშავების მეთოდები, უკონტროლო მონაცემების უზარმაზარი რაოდენობა, ხშირად უსარგებლო, სწრაფად გროვდება. რთულია გარკვევა იმისა, თუ საიდან და როდის მოვიდა ეს მონაცემები და რამდენად აქტუალურია და შეიძლება თუ არა მათი გამოყენება ანალიტიკისთვის. შედეგად მიიღება, რომ ტბა გადაიქცევა მონაცემთა ჭაობად - უსარგებლო სათავსოდ, რომელიც იკავებს კომპანიის რესურსებს და არავითარი სარგებელი არ მოაქვს. იმისათვის, რომ ტბა არ გადაიქცეს ჭაობად, უნდა დამკვიდრდეს კომპანიაში მონაცემთა მართვის პროცესი. ამ პროცესის მთავარი კომპონენტია მონაცემთა სანდოობისა და ხარისხის დადგენა მონაცემთა ტბაში ჩატვირთვამდე [4,5].

დასასრულს, უნდა აღინიშნოს წარმოდგენილი მიდგომების გამოწვევები და განვითარების მიმართულებები:

- საერთო სტანდარტების შემუშავება: მონაცემთა წარმოდგენისა და გაცვლის ერთიანი სტანდარტების შექმნის აუცილებლობა;
- მოქნილი და მასშტაბირებადი არქიტექტურის შექმნა: სისტემებს უნდა შეეძლოთ ადაპტირება ცვალებად მოთხოვნებთან და მონაცემთა მოცულობებთან;
- მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა: აუცილებელია მონაცემთა გაჟონვისა და არაავტორიზებული წვდომისგან დაცვის მეთოდების მუდმივი გაუმჯობესება;
- მონაცემებთან მუშაობის უნარების განვითარება: მოითხოვს სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტურად იმუშაონ დიდი მოცულობის მონაცემებთან და გამოიყენონ ანალიზის თანამედროვე საშუალებები.

ბიბლიოგრაფია

1. ბადრი მეფარიშვილი, გურამ ცერცვაძე, გულნარა ჯანელიძე, დიდი მონაცემების ანალიტიკა, თბილისი 2020, ISBN 244გვ.
2. ბადრი მეფარიშვილი, დიდ მონაცემთა შენახვა და დამუშავება,თბილისი 2018, ISBN 978-9941-27-789-4, 176გვ.
3. Philip Russom, Data Lakes, © 2017 by TDWI, a division of 1105 Media, Inc., 40pp.
4. Ben Sharma, Architecting Data Lakes, USA 2018, 50pp.
5. Rihan Hai Christoph Quix Matthias Jark, Data lake concept and systems:17jun, 2021.
6. Thilina Gunarathne, Hadoop MapReduce v2 Cookbook - Second Edition, February 2015, Publisher(s): Packt Publishing, ISBN: 9781783285471.

საბანკო-საფინანსო სექტორის გამოწვევები თუ საზოგადოების ფსიქოლოგიური ტერორი
Challenges of banking and financial sector or psychological terror of society

ლია ოტიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მოწვეული ასოცირებული პროფესორიბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ნანა საგინაშვილი - ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი
სოციალური მეცნიერებების ექსპერტი
Lia Otiashvili - Georgian Technical University
Visiting Assistant Professor
Doctor of Business Administration
Nana Saginashvili -Georgian American University
Social science expert

აბსტრაქტი. ბოლო დროის მანძილზე საფინანსო-საბანკო სფერო უამრავი გამოწვევის წინაშე დგას. აქედან გამომდინარე საკითხი მეტად აქტუალურია დღეს. საბანკო ინდუსტრია განიცდის რადიკალურ ცვლილებას, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეულია FinTechs-ის ახალი კონკურენციით, ბიზნეს მოდელების ცვლილებით და მზარდი მარეგულირებელი ჩარჩოებით. ასევე დღევანდელ რეალობაში სახეზე გვაქვს კიდევ ახალი გამოწვევა უცხოური ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციები. რეალურად უქმნის თუ არა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და საბანკო სექტორს სანქციები პრობლემებს თუ აღნიშნული გარემოება ემსახურება მხოლოდ ფსიქოლოგიურ ტერორს? აღნიშნული ფაქტი ფსიქოლოგიურად წარმოადგენს ერთგვარ შევიწროებას საზოგადოებისას, იწვევს ასევე მძიმე ფსიქოლოგიურ და პროფესიულ შედეგებსაც კი.

სტატიაში წარმოდგენილია ის შესაძლებლობები, რომელიც გააჩნია საქართველოს საბანკო სისტემას, ქვეყნის ეკონომიკას, სრულყოფილად არის გადმოცემული საქართველოს მოსახლეობის სამომავლო მდგომარეობა, რომელიც ავტორების აზრით შესაძლოა, რომ გამოიწვიოს ქვეყნაში ამოქმედებულმა ფინანსურმა სანქციებმა და წარმოდგენილია ის პრობლემური საკითხები, რომელსაც ხედავს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა.

სტატიაში აღწერილი და წარმოდგენილია არსებული საფრთხეები, კვლევის შედეგები, პრობლემების გადაჭრის გზები და რეკომენდაციები, რომელიც რა თქმა უნდა დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის საფინანსო სექტორზე. ასევე წარმოდგენილია ფსიქოლოგიური ტერორის არსი და მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია სანქციებთნ, მის რეალურ და მოსალოდნელ საფრთხეებთან.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური ტერორი, საბანკო სექტორის მოსალოდნელი საფრთხეები.

Abstract. Recently, the financial and banking sector is facing a lot of challenges. Therefore, the issue is very relevant today. The banking industry is undergoing radical change, driven in part by new competition from FinTechs, changing business models and growing regulatory frameworks. Also, in today's reality, we face another new challenge, the sanctions imposed by foreign countries. Do the sanctions actually create problems for our country's economy and banking sector, or does this circumstance serve only as psychological terror? The mentioned fact psychologically represents a kind of harassment in the society, it also causes serious psychological and even professional consequences.

The article presents the possibilities of the banking system of Georgia, the country's economy, the future state of the population of Georgia, which the authors believe may be caused by the financial sanctions implemented in the country, and presents the problematic issues that the population of our country sees.

The article describes and presents existing threats, research results, ways to solve problems and recommendations, which will certainly have a positive impact on the country's financial sector. The essence and meaning of psychological terror, related to sanctions, its real and expected threats are also presented.

Key words: Psychological Terror, expected threats of the banking sector.

1. შესავალი

ფსიქოლოგიურად ტერორი რადიკალიზმის, ექსტრემიზმისა და ფანატიზმის ბუნებრივი გაგრძელებაა. ეს არის ნამდვილი ექსტრემიზმი, უკვე არა თეორიულ მსჯელობაში, არამედ უშუალო პრაქტიკულ ქმედებებში, რომელიც იშვიათი ფანატიზმით ხორციელდება აბსოლუტურად რადიკალური იდეებისა და ღირებულებების სახელით. ფსიქოლოგიური ტერორი წარმოადგენს გახანგრძლივებულ, უწყვეტ და სისტემატურ მობინგს (შევიწროება), რომელიც მიმართულია კონკრეტული პირების მიმართ. FinTech - არასაბანკო სტარტაპების გაჩენა ცვლის კონკურენტულ ლანდშაფტს ფინანსურ სერვისებში, აიძულებს ტრადიციულ ინსტიტუტებს გადახედონ საკუთარ ბიზნესს. ეს და სხვა საბანკო ინდუსტრიის გამოწვევები შეიძლება გადაწყდეს სწორედ იმ ტექნოლოგიით, რამაც გამოიწვია ეს შეფერხება, მაგრამ ძველი სისტემებიდან ინოვაციურ გადაწყვეტილებებზე გადასვლა ყოველთვის ადვილი არ ყოფილა. ამის თქმით, ბანკებმა და საკრედიტო კავშირებმა უნდა მიიღონ ციფრული ტრანსფორმაცია, თუ მათ სურთ არა მხოლოდ გადარჩენა, არამედ აყვავება მიმდინარე ლანდშაფტში.

ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის გარკვეული პირების მიმართ შექმნილი საბანკო სანქციები წარმოადგენს ერთგვარ ფსიქოლოგიურ ტერორს, რომელიც რა თქმა უნდა უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების წევრებზე, ისე როგორც ტერორის ადრესატებზე ასევე მთლიანად ქვეყნის მოსახლეობაზე. ქვეყანას რა თქმა უნდა ინვესტორებისთვის ნაკლებ მიმზიდველს ხდის. რეალურად უბრალოდ ფსიქოლოგიურ ტერორს ემსახურება უცხოური ქვეყნების მხრიდან გაკეთებული განცხადებები თუ რეალურ შედეგებთან გვაქვს საქმე ერთობ საზიანოა. აღნიშნული ფაქტი საზიანოა ქვეყნის, როგორც საბანკო-საფინანსო სექტორისთვის ასევე ეკონომიკისთვისაც.

ქვეყანაში საბანკო სტაბილურობის არსებობა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების გასაღებია. საბანკო სისტემა სტაბილურია, როდესაც სესხის გამცემ ინსტიტუტებს შეუძლიათ უზრუნველყონ საჭირო დაფინანსება შინამეურნეობებისთვის და როდესაც ეკონომიკური ვარდნა არ ხდის მას დაუცველს შიდა და გარე შოკების მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ გეოპოლიტიკური არასტაბილურობა უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, უფრო მეტად იმ ქვეყნების ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, რომელი ქვეყნებიც დამოკიდებულნი არიან სხვა ქვეყნების ნედლეულზე, ქვეყნები სადაც დაბალია შრომის პროდუქტიულობა, განიცდის ტექნოლოგიურ დეფიციტს და ინსტიტუციურ განუვითარებლობას. დღეს საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე ცვლილებები დასავლეთისა და შეერთებული შტატების მიერ დაწესებული სანქციების პრობლემაა, რომელიც მიმაჩნია, რომ უარყოფით გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის ფინანსურ სექტორზე და მნიშვნელოვნად შეანელებს ეკონომიკურ ზრდას.

სანქციების ფონზე საქართველოს ბანკებმა და კომპანიებმა შესაძლოა დაკარგონ შეერთებული შტატებისა და ევროპის სავალო ბაზარზე შესვლის შესაძლებლობა, მაგრამ აქვე შეგვიძლია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებულ ბიზნეს საფრთხე არ დაემუქროს, თუ ისინი შეცვლიან ბალანსის სტრუქტურას და გადავლენ დაფინანსების შიდა წყაროებზე. ე.წ. სანქციები რაც არ უნდა ,,რბილი“ ყოს, უდიდეს პრობლემას უქმნის ქვეყნის ეკონომიკას. ოფიციალურად ამ ეტაპისთვის სანქციები ჯერ გარკვეული პირებისთვის არ დაწესებულება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ეფექტი უკვე იგრძნობა ბიზნესის კეთების პირობებისა და ქართული კაპიტალისადმი დამოკიდებულების ცვლილების

გამო. უპირველეს ყოვლისა, საუბარია ტრანზაქციების ტექნიკური შესრულების მონიტორინგის პროცედურების შეცვლაზე.

სანქციებამდე თუ გადახდები ავტომატურად ხდებოდა, სანქციების შეზღუდვის ფარგლებში, საერთაშორისო ბანკები შეამოწმებენ, დაკავშირებულია თუ არა კონტრაგენტების სასარგებლოდ გადახდები სანქციების სიიდან კომპანიების ან ბანკების დაფინანსებასთან. გადახდების დაგვიანებისთვის და მათი ასპექტების დეტალური ანალიზისთვის, ბანკი, რომელიც განახორციელებს გადახდას სანქცირებული ბანკის ან კომპანიის სასარგებლოდ, შეიძლება დაეკისროს მნიშვნელოვანი ჯარიმა საერთაშორისო მარეგულირებლებისგან.

ფინანსური სექტორი ყველაზე სწრაფად რეაგირებს ქვეყნის ეკონომიკაში დადებით და უარყოფით ცვლილებებზე. ნაღდი ფულის ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში გაიზარდა ბოლო წლების მანძილზე და უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულ ნიშნულსაც კი გაუტოლდა 1 დოლარის ღირებულება შეადგენს დღევანდელი საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად 2 ლარსა და 73 თეთრს (25.09.2024). საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაზრდილია ასევე საპროცენტო განაკვეთიც, აქვე მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მოსალოდნელია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვნად შეამციროს საერთაშორისო რეზერვებიც.

მოსახლეობის სწრაფად მზარდ და გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკა გახდა ნებისმიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. გლობალური ბაზრები ურთიერთქმედებენ და ვითარდებიან, როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომელსაც შეუძლია სწრაფად რეაგირება ცვლილებებზე. ცალკეული სახელმწიფოების წინააღმდეგ სანქციების დაწესების პრაქტიკამ აჩვენა, რომ მიუხედავად მათი ეკონომიკის გლობალურ სისტემაში მნიშვნელობისა, როგორც ერთიანი „ორგანიზმი“ საკმაოდ სწრაფად ახერხებს ახალ პირობებთან ადაპტაციას კონკრეტული ბაზრის დაკარგვის შემთხვევაში.

მიუხედავად საქართველოს ეკონომიკის მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, შეუძლებელია საქართველოს სრული გამორიცხვა ეკონომიკური ურთიერთობების საერთაშორისო სისტემიდან (როგორც, მაგალითად, ჩრდილოეთ კორეა), ძირითადად მისი ნედლეულის ბაზის გამო. მაგრამ მინერალებზე და ქართულ ღვინოზე მოთხოვნილებაზე დაყრდნობა მთელი ეკონომიკის გასაძლიერებლად სრულიად არასწორია. დღეს რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკა ყველაზე პრიმიტიულად ითვლება და, როგორც პრაქტიკაში ჩანს, განვითარების უდიდეს წარმატებას მიაღწიეს იმ ქვეყნებმა, სადაც საკუთარი რესურსები დიდწილად ან ნაწილობრივ მაინც არის შეზღუდულია.

იქიდან გამომდინარე, რომ მცირე ნედლეულის ბაზის მქონე საქართველოს არ აქვს დიდი პოტენციალი მსოფლიოში უძლიერესი ეკონომიკის განვითარებისთვის, სანქციებიდან გამომდინარე კიდევ უფრო მოსალოდნელია, რომ შენელდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მშენებლობის პროცესი.

დასავლეთის ქვეყნების და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებული სანქციები ბევრ რამეში უარყოფითად აისახება. გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ არსებული ტენდენციები გაგრძელდება, სანქციებმა შეიძლება ძალიან მძიმე დარტყმა მიაყენოს როგორც საქართველოს ეკონომიკას, ასევე რიგით რუსებსაც.

2. კვლევის მიზანი.

საბანკო სისტემა, როგორც ასეთი წარმოადგენს ეკონომიკის ,,ხერხემალს“, ქართული საბანკო სექტორისთვის კი უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულად წარმოადგენს ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას. ჩვენს ქვეყანაში ძირითადად ორი მსხვილი კომერციული ბანკი ,,ლიდერობს“, სს საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი. კვლევის მიზანს წარმოადგენს

საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული მდგომარეობის შესწავლა, პრობლემების იდენტიფიცირება და ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკურ სექტორში არსებული გამოწვევების გაანალიზება. ამისათვის ჩვენს მიერ წინასწარ შედგენილ იქნა კითხვცვარი, რომლის სამიზნე აუდიტორიათ მივიჩნიეთ საფინანსო-საბანლო სექტორის სპეციალისტები, აღნიშნულ სფეროში დასაქმებულები და საქართველოში მცხოვრები მოქალაქეები. ეს კვლევა მიზნად ისახავს ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემდეგი კითხვების გადაჭრას: მოქმედებს თუ არა კორუფცია გარდამავალი ქვეყნების საბანკო სტაბილურობაზე? რა გავლენას იქონიებს საქართველოში მოქმედ ბიზნესზე საფონდო ბირჟაზე შექმნილი მდგომარეობა? არსებული გამოწვევა გავლენას მოახდენს თუ არა საქართველოს ეკონომიკაზე, კერძოდ გამოიწვევა თუ არა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, ფასების ზრდას ვინაიდან ასე ვთქვათ არსებული მდგომარეობა საქართველოსთვის წარმოადგენს ახალ გამოწვევას, ,,ნოუ ჰაუს“. არსებული გამოწვევისთვის კი მნიშვნელოვანია ასევე საზოგოდოების ფსიქოლოგიური მომზადება, იმისათვის, რომ როგორც ჩვენს მიერ იყო აღნიშნული მუდმივად არ იყვნენ ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ. ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად უცხო პროცესებია, რომლისთვისაც ნამდვილად არაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მზად.

ჩატარებული კვლევისას საქართველოს მოსახლეობის მიერ აღნიშნულ იყო, რომ აღნიშნული პროცესი უკვე აყენებს ზიანს, როგორც საბანკო სექტორს ასევე მათ ყოველდღიურ სამომხმარებლო ფასებსაც კი, უკვე აღინიშნება საბაზრო ფასების ცვლელება და ეროვნული ვალუტის გაუფასურება. გამოიკვეთა, რომ ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების ფასის ვარდნა შეინიშნება, რომელიც აისახება არა მხოლოდ მათზე, რომელი კომპანიებიც ვაჭრობენ ლონდონის საფონდო ბირჟაზე, არამედ ნებისმიერ საქართველოში მოქმედ მსხვილ საფინანსო კომპანიებზეც იქნება ასახული. დღეს არსებული მდგომარეობით გაურკვეველია ხვალინდელი დღის მოლოდინი ბიზნესისთვის. არსებული ვითარება იწვევს დაბნეულობას საინვესტიციო ბაზარზე, რომელიც იწვევს პარალელურად ახალი ბიზნეს იდეების შეჩერებას.

აღნიშნულ მდგომარეობაში უაღრესად მნიშვნელოვანი, როლი აკისრია საქართველოს ეროვნულ ბანკს, რომელსაც რა თქმა უნდა უნდა გააჩნდეს საკმარისი ფულადი რეზერვები, რომ შეაჩეროს ეროვნული ვალუტის გაუფასურება, ჩვენი აზრით საკმარისი ფულადი რეზერვები ამ მომენტისთვის საქართველოს ეროვნულ ბანკს არ გააჩნია ინფლაციის შესაჩერებლად. დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე უფრო მეტ გავლენას ახდენს არაეკონომიკური ფაქტორები ვიდრე თვითონ ეკონომიკური ფაქტორები, ასეთ შემთხვევაში გამართლებულია ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები, დოლარის გაყიდვის კუთხით, რომ პანიკა იქნეს ჩახშული, მაგრამ ბაზარმა თუ ეს დაინახა, რომ საქართველოს ბანკი ინტენსიურად ყიდის დოლარს, ასეთ შემთხვევაში მოხდება დოლარის ინტენსიური შესყიდვა, რაც გაუმართლებელია, რომ მუდმივად დახარჯულ იქნეს რეზერვები, რომელიც ასევე ვერ ჩაახშობს სანქციების რეჟიმს.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სანქციების ფონზე ჩვენს ქვეყანაში გაძვირდება და გაუარესდება საბანკო საკრედიტო რეიტინგები, რომელიც რა თქმა უნდა დამოკიდებულია რისკებზე. უახლოეს მომავალში საქართველო აღარ იქნება ფინანსურად მიმზიდველი, რომელიც მის ფინანსებს დააყენებს რისკების ქვეშ, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს კრედიტზე პროცენტის ზრდას, უარყოფითად იქნება ასახული საკორესპონდენტო ბანკებთან ურთიერთობებში. საკრედიტო რისკი კი თუ უარყოფითია მნიშვნელოვნად ასოცირდება ბანკის სტაბილურობასთან, ვინაიდან ფინანსური და საბანკო სისტემები განიმარტება, სტაბილურად, მაშინ როდესაც სესხის გამცემ ინსტიტუტებს აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ შინამეურნეობების დაფინანსება საჭირო მოცულობით და ეკონომიკური ვარდნა

ვერ გახდის მას დაუცველს. არასტაბილურ სისტემაში ნებისმიერი გარე შოკი და დისბალანსი უარყოფითად აისახება ეკონომიკაზე. მაგალითად, შეიძლება გამოიწვიოს დაკრედიტების შემცირება, შესაბამისად, შემცირდება ბიზნეს აქტივობა, გაიზრდება უმუშევრობა და შედეგად კი შემცირდება ეკონომიკური ზრდა. გარდა ამისა, საბანკო სტაბილურობა უზრუნველყოფს ფინანსური სერვისების მიწოდების უწყვეტობას და ხელს უშლის სტრუქტურული დისბალანსის ზრდას, ასტიმულირებს ეკონომიკურ აქტივობას და ავითარებს ქვეყნის კეთილდღეობას.

საბანკო სექტორზე რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება ამჟამად ქვეყანაში არსებული და გადაუჭრელი რიგი პრობლემები, რომელიც რა თქმა უნდა ასევე უკავშირდება ფინანსურ სანქციებს. კერძოდ კი: ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე, რომელიც ურთულებს მწარმოებლებს ფინანსურ, საინფორმაციო და მატერიალურ რესურსებზე წვდომას; ინდუსტრიის ფინანსური არასტაბილურობა, რომელიც ვლინდება მხარდაჭერისა და ინვესტიციების ნაკლებობაში; დამოკიდებულება იმპორტზე - ძირითადად საქონელზე და არა მზა საქონელზე.

ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარის მეშვეობით ჩატარებული ინტერვიუები და კვლევა პასუხს სცემს ჩვენს კითხვებს, პასუხობს მეტად აქტუალურ საკითხს, კონკრეტულად კი, საქართველოს საბანკო სექტორის მოსალოდნელ კრიზისზე, რომელიც რა თქმა უნდა გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

3. კვლევის მასალები და მეთოდები.

ჩვენს მიერ სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა კვლევის მეთოდებიდან სიღრმისეული ინტერვიუები საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობასთან და დარგის სპეციალისტებთან, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომლისთვისაც წინასწარ შევიმუშავეთ კითხვარი. რესპოდენტები შერჩეულ იქნენ მიზნობრივი აუდიტორიიდან. მიზნობრივი ჯგუფი შევარჩიეთ უშუალოდ საბანკო-საფინანსო დარგის სპეციალისტებიდან, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან, როგორც სამეცნიერო საქმიანობაში ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში. კვლევის მიზანთან შესაბამისობის ფარგლებში სამიზნე აუდიტორიასთან წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით ჩატარებულ იქნა გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გავაანალიზებდით ფინანსური სანქციების გავლენას ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საქმეში.

კვლევის დაწყებამდე უზრუნველყავით რესპოდენტების ინფორმირება კვლევის მიზანთან დაკავშირებით, რომლის შემდგომაც გავაცანით კითხვარი და შევეცადეთ მიგვეღო მათგან ზუსტი ინფორმაცია, რომლისთვისაც ასევე ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა აგრეთვე ზეპირი ინტერვიუებიც. მიღებული შედეგები კი ჩვენს მიერ იქნა დამუშავებული და წარმოდგენილი.

4. კვლევის შედეგები და მათი განსჯა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ შესაბამისობის მენეჯმენტთან დაკავშირებული ღირებულება არის მხოლოდ ერთ-ერთი საბანკო ინდუსტრიის მრავალი გამოწვევა, რომელიც აიძულებს ფინანსურ ინსტიტუტებს შეცვალონ ბიზნესის კეთება. კაპიტალის მზარდი ღირებულება მდგრად დაბალ საპროცენტო განაკვეთებთან ერთად, კაპიტალის ანაზღაურების შემცირება და საკუთრების ვაჭრობის დაქვეითება ზეწოლას ახდენს საბანკო მომგებიანობის ტრადიციულ წყაროებზე, მაგრამ ამისდა მიუხედავად, აქციონერთა მოლოდინები უცვლელი რჩება. ფაქტორების ამ კულმინაციამ აიძულა მრავალი ინსტიტუტი შექმნან ახალი კონკურენტული სერვისების შეთავაზებები, რაციონალიზაცია მოახდინონ ბიზნეს ხაზებში და ეძიონ მდგრადი გაუმჯობესება საოპერაციო ეფექტიანობაში, რათა შეინარჩუნონ მომგებიანობა.

დღევანდელი მომხმარებელი უფრო ჭკვიანი, საზრიანი და ინფორმირებულია, ვიდრე ოდესმე და მოელის პერსონალიზაციისა და მოხერხებულობის მაღალ ხარისხს საბანკო გამოცდილებიდან.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოკვეთა ქვეყნის საბანკო-საფინანსო სექტორში არსებული პრობლემები და გამოწვევები, კერძოდ:

პრობლემად რჩება შინამეურნეობების სექტორი, კერძოდ მათი დაკრედიტების სიჭარბე, ბოლო წლების მანძილზე შეინიშნება შინამეურნეთა კრედიტის მკვეთრად ზრდა, მათ უმეტეს ნაწილს კი ეს კრედიტი უცხოურ ვალუტაში აქვთ და გაცვლითი კურსის არამდგრადობის მიმართ, რომელიც მერყევია, შინამეურნეები გამოირჩევიან მაღალი მგრძნობელობით. აღნიშნული გარემოება კი უპირველეს ყოვლისა გავლენას ახდენს ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე, ვინაიდან შინამეურნეთა ფინანსური სტაბილურობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის კეთილდღეობის საქმეში. ასევე პრობლემად იკვეთება მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომლების ვალუტის სწრაფი ცვალებადობიდან გამომდინარე მუდმივად განიცდიან ფსიქოლოგიურ ტერორს, რომლის დროსაც ხშირად უწევთ გარკვეულ რისკებზე წასვლა.

მთავარ გამოწვევად რჩება უძრავი ქონების სექტორი, რომელსაც განსაკუთრებულ ყურადღება სჭირდება. შესაბამისად საბანკო სექტორის მხრიდანაც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, ვინაიდან უძრავ ქონებაზე ფასები სწრაფად ცვალებადია, რომელსაც მრავალი ფაქტორი და გარემოება განაპირობებს შსაბამისად საბანკო სექტორის მხრიდან მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს მონიტორინგი დეველოპერებზე, მუდმივად უნდა ახორციელებდნენ მათ საკრედიტო პორტფელის მონიტორინგს, ვინაიდან დარგის სპეციალისტების თქმით უძრავი ქონების სექტორის გავლენა უაღრესად დიდია ქვეყნის საფინანსო სექტორის სტაბილურობაზე.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ განხილულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სექტორი მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა გადაჭრა ერთობ რთულ საკითხს წარმოადგენს. მთავარ გამოწვევად რჩება ჩვენს ქვეყანაში დოლაიზაცია, რომელიც ქვეყნის საფინანსო სექტორის სტაბილურობის მთავარ მაჩვენებელს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი https://nbg.gov.ge/
2. მდივნიშვილი თ. მხატრიშვილი შ. თუთბერიძე დ. ნაღდი ფულის ნაკადის რისკის შეფასება საქართველოს საბანკო სექტორისათვის, ეკონომიკა და საბანკო საქმე, ჟურნალი, გვ. 26. 2020 წ.

ოვერტურიზმის გამოწვევები საერთაშორისო და შიდა ტურიზმში
Challenges of overtourism in international and domestic tourism

ლარისა დოლიკაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი,
Larisa Dolikashvili - Georgian national university SEU
associate professor

აბსტრაქტი. ოვერტურიზმი არის ფენომენი, რომელიც აწყდება მსოფლიოს მთავარ ტურისტულ მიმართულებებს. ერთი მხრივ, ახალი ტექნოლოგიებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურიის განვითარებამ, მოსახლეობის ზრდამ, მოდის ტენდენციებმა და დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიების გაჩენამ გაზარდა მოგზაურობის ხელმისაწვდომობა. ასევე ხელი შეუწყო ტურისტული ინდუსტრიის ზრდას, მათ შორის განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. მეორე მხრივ, უკონტროლო მოთხოვნა, გარკვეულ მიმართულებებზე ტურისტების კონცენტრაციასთან ერთად, უარყოფითად აისახა როგორც ტერიტორიებზე, ასევე ადგილობრივ თემებზე. ზოგიერთ ტურისტულ მიმართულებაზე, ტურისტების მუდმივმა უკონტროლო ზრდამ და ტურისტულ ნაკადებზე მოთხოვნის არათანაბარმა განაწილებამ გამოიწვია უარყოფით შედეგები, რამაც გამოიწვია გლობალური მასშტაბით ოვერტურიზმის პრობლემა. შედეგად, შესამჩნევად გაუარესდა მოგზაურობის და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი ქალაქსა თუ რეგიონში. უცხოური ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ტურისტული ნაკადის წლიური ზრდა გარდა ეკონომიკური განვითარებისა, ქმნის მომსახურების და ტურიზმის თანამედროვე პრობლემებს.

ოვერტურიზმის ნეგატიური ასპექტების მიუხედავად ყველა პოპულარული ტურისტული ქალაქი და ქვეყანა რჩება დაინტერესებული, მოგზაურების მოზიდვით. ჩნდება დისონანსი - ერთის მხრივ, ტურიზმის განვითარების სურვილი, მეორე მხრივ, მისგან სხვადასხვა უარყოფითი შედეგები.

სტატიაში განხილულია მსოფლიოში ოვერტურიზმის გაჩენისა და განვითარების ძირითადი მიზეზები და შედეგები. სტატიის სტრუქტურა წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე პოპულარულ ტურისტულ მიმართულებებში მოგზაურისთვის ოვერტურიზმის პრობლემების გადაჭრის კონცეფციის შესაბამისად.

ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა ქალაქების მიერ ოვერტურიზმის პრობლემის გადაჭრის შემთხვევები. წარმოდგენილია როგორც არსებული, ასევე დამუშავების პროცესში მყოფი პროექტები. აგრეთვე ტურისტული მიმზიდველობის შენარჩუნების მნიშვნელობა და აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: ოვერტურიზმი, მოგზაური, დანიშნულება, ტურისტული პროდუქტი, მდგრადი ტურიზმი, ეკოსისტემა.

Abstract. Overtourism is a phenomenon facing major tourist destinations around the world. On the one hand, the development of new technologies and transport infrastructure, population growth, fashion trends and the emergence of low-cost airlines have increased the availability of travel and contributed to the growth of the tourism industry, including in countries with developing economies. On the other hand, the uncontrolled demand, together with the concentration of tourists in certain destinations, had a negative impact on both territories and local communities. The continuous uncontrolled increase in the number of tourists in some tourist destinations and the uneven distribution of demand for tourist flows have led to negative consequences, which have created the problem of overtourism on a global scale. As a result, the quality of travel and the quality of life of the population in that city or region deteriorate significantly. The experience of foreign countries has shown that the annual increase in tourist flow, in addition to economic development, creates modern problems of services and tourism. Despite the negative aspects of overtourism, all popular tourist cities and countries remain interested in attracting travelers. A dissonance appears - on the one hand, the desire to develop tourism, on the other, various negative consequences from it.

The main reasons and consequences of the emergence and development of overt tourism in the world are discussed in the article. The structure of the article is presented in accordance with the concept of solving the problems of overtourism for both local residents and travelers to popular tourist destinations.

The article presents cases of solving the problem of overtourism by different cities. Presented are both existing and under development projects. Importance and necessity of maintaining tourist attractiveness.

keywords: Overtourism, traveler, destination, tourism product, sustainable tourism, ecosystem

ძირითადი ნაწილი

ტურიზმი ხშირად არის ქვეყნის ან რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი და ზოგჯერ ერთადერთი ეკონომიკური სექტორი. ტურისტების შემოდინება კონკრეტულ ადგილას უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, საქონლისა და მომსახურების ბაზრის ფორმირებას, შემოსავლის ზრდას და ა.შ. ტურისტები ხშირად სტუმრობენ ადგილებს, რომლებიც დავიწყებულია ადგილობრივი საზოგადოების მიერ, რის შედეგადაც თანხები გამოიყოფა უნიკალური კულტურულ-ისტორიული ატრაქციონების აღდგენისა და განვითარებისთვის. ამავდროულად, ტურისტების დიდი ნაკადი უარყოფითად აისახება იმ უბნებზე, რომლებსაც არ აქვთ უამრავი ხალხის მონახულების შესაძლებლობა. ჩნდება ოვერტურიზმი - სიტუაცია,

როდესაც "ძალიან ბევრი ტურისტი" მოდის. ეს "ძალიან ბევრი" განსხვავებული იქნება ცალკეული ქალაქისთვის ან მთელი ქვეყნისთვის. მაგრამ არსი ყველასთვის ერთია - ტურისტების შესაძლო მიღება მნიშვნელოვნად ნაკლებია რეალურ ვიზიტზე. შედეგად, შესამჩნევად უარესდება მოგზაურობის და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი ამ ქალაქსა თუ რეგიონში.

ყოველწლიური ITB[84] (Internationale Tourismus-Börse Berlin - მსოფლიოში უდიდესი ტურისტული სავაჭრო გამოფენა), რომელიც იმართება ბერლინში, მიზნად ისახავს განიხილოს ტურიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები მთელს მსოფლიოში. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა, რომელიც პანდემიამდე განიხილებოდა არის ოვერტურიზმი. წელს ყველაზე აქტუალური თემები იყო ხელოვნური ინტელექტის მზარდი მნიშვნელობა, კვალიფიციური მუშახელის დეფიციტი და კლიმატის პრობლემები. "არც ინფლაცია და არც ენერგიის მაღალი ხარჯები არ ამცირებენ მოთხოვნას მოგზაურობაზე", - აღნიშნა Messe Berlin-ის მმართველი დირექტორატის თავმჯდომარემ.[85]

ტერმინი „ოვერტურიზმი" გამოიყენება ტურიზმის ინდუსტრიაში, როგორც ამ სფეროს აწმყოსა და მომავლის შეუცვლელი ელემენტია. ტურისტული ნაკადის წლიური ზრდა, გარდა ეკონომიკური განვითარებისა, ქმნის მომსახურების და ტურიზმის თანამედროვე პრობლემებს.

უამრავი პრობლემა ადგილობრივი მოსახლეობისათვის - ბუნების დაბინძურებიდან, ქუჩების ხმაურიდან, ძეგლებისა და ღირსშესანიშნაობების განადგურებამდე, რაც ხანდახან ნამდვილ ვანდალიზმამდეც აღწევს. ბევრ ქალაქში ჩამოსული ტურისტების რიცხვი ათობით და ასობით აღემატება ადგილობრივ მოსახლეობას. „ოვერტურიზმი" საკმაოდ ახალგაზრდა კონცეფციაა, რომელიც დაკავშირებულია ტურისტების ჭარბ რაოდენობასთან, რომლებიც სტუმრობენ სხვადასხვა ატრაქციებსა და ქალაქებს.

მოგზაურთა შემოდინების ნეგატიურ ასპექტებს შორისაა მუზეუმებსა ან გალერიებთან გაუთავებელი რიგები, სავსე სასტუმროები და რესტორნები, დამღლელი საცობები, ასევე ტურისტების დიდი ნაკადი ქუჩებში დღისითა და ღამით. ეს ყველაფერი თან ახლავს ოვერტურიზმს. მაგრამ ამავე ამასთანავე, ყველა პოპულარული ტურისტული ქალაქი და ქვეყანა რჩება დაინტერესებული მოგზაურების მოზიდვით. ჩნდება დისონანსი - ერთის მხრივ, ტურიზმის განვითარების სურვილი, მეორე მხრივ, მისგან სხვადასხვა უარყოფითი შედეგები. ადგილობრივ მოსახლეობას არ შეუძლია მშვიდად ცხოვრება და მუშაობა. შეიმჩნევა ქალაქების „დეგრადაცია", ტურისტების მიერ კანონების, ტრადიციებისა და კულტურის მიმართ უპატივცემულობა. ტურისტებმა შეიძლება განიცადონ "მაღალი მოლოდინის სინდრომი", რადგან ფერადი რეკლამა სოციალურ ქსელებში ხშირად არ ემთხვევა რეალობას. ამის შედეგად, პოპულარულ მიმართულებებში ტუროპერატორების მიერ შეთავაზებული პროდუქტების გაყიდვების მოცულობა მცირდება.

საბოლოო ჯამში, ყველა მონაწილისთვის პოტენციური სარგებლის ნაცვლად, არსებობს უარყოფითი სოციოკულტურული, ეკოლოგიური და ფინანსური შედეგები. კერძოდ, კულტურული სიმდიდრის გაუფასურება; გაზრდილი მოძრაობა გზებზე; ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაცია, ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ატრაქციონების გადატვირთვა, ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნის შემცირება და ა.შ.

ოვერტურიზმის წარმოშობის მიზეზები.[86] ოვერტურიზმი, როგორც ტურისტების გადაჭარბებული ზრდა, უარყოფითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესზე,

[84] https://www.itb.com/en/The International Tourism Exchange (ITB Berlin) [უ.გ.12.06.2024]

[85] https://www.itb.com/de/besuchen/ ENTDECKEN SIE DAS OFFIZIELLE GASTLAND DER ITB BERLIN 2024[უ.გ.12.06.2024]

[86] https://www.nationalgeographic.com/travel/article/what-is-overtourism [უ.გ. 10.06.2024]

სერვისების ხელმისაწვდომობაზე და მათ საერთო კეთილდღეობაზე. ოვერტურიზმი აზიანებს ქვეყნის ლანდშაფტსა და პლაჟებს, ამასთანავე ამძიმებს ინფრასტრუქტურას. ეს არის რთული პრობლემა, რომელიც ბევრ ქვეყანაში ჯერჯერობით არ არის შეფასებული. რა იწვევს ოვერტურიზმს? რა არის მისი წარმოშობის მიზეზები?

1. ფრენის ღირებულების შემცირებამ, დაბალბიუჯეტიანი ავიახაზების გაჩენამ და განვითარებამ განაპირობა ის, რომ უამრავმა ტურისტმა დაიწყო მოგზაურობა მთელს მსოფლიოში.

2. პოპულარული მიმართულებები და მოდის ტენდენციები ზოგიერთ ადგილას ტურისტების გადაჭარბებულ გაჯერებას იწვევს. მაგალითად, "სამეფო კარის თამაშების" სერიალის გადაღება მიმდინარეობდა მსოფლიოს მრავალ ქალაქში, მათ შორის ხორვატიაში - დუბროვნიკში. ახლა ეს ქალაქი არის ნამდვილი მექა სერიალის თაყვანისმცემლებისათვის.

3. Airbnb სერვისის გაჩენა, რომელიც საშუალებას იძლევა იქირაონ ტურისტებმა ბინა ან ოთახი სასტუმროში ბევრად დაბალ ფასებში, იწვევს ვიზიტორთა ნაკადის ზრდას. ამავდროულად, Airbnb-ის პოპულარიზაცია იწვევს საცხოვრებლის ღირებულების ზრდას მოცემულ ქალაქსა თუ რეგიონში. შედეგად, მოთხოვნა მნიშვნელოვნად აღემატება მიწოდებას და უძრავი ქონების ფასები მუდმივად იზრდება.

4. დღეს მსოფლიოში ალბათ არც ერთი ქალაქია დარჩენილი, სადაც ჩინელი ტურისტები არ წვევიათ. ეგრეთ წოდებული "ჩინური სინდრომი" წლიდან წლამდე იზრდება, გაზეთ Daily Mail-ის თანახმად, მთლიანობაში ჩინეთიდან გამავალი ტურისტების რაოდენობამ შეიძლება მიაღწიოს 200 მილიონ ადამიანს, შედარებისთვის - ეს ოდნავ ნაკლებია, ვიდრე დასავლეთ ევროპის მთელი მოსახლეობა.

5. მთელ მსოფლიოში გაიზარდა საერთაშორისო მოგზაურების რიცხვი.

6. ხდება ტურისტული ნაკადების კონცენტრაცია ტურისტულ ცენტრებში.

7. რეკლამა და პოპულარიზაცია სოციალური ქსელების საშუალებით. ცალკეულ ქალაქებზე გაზრდილი ყურადღება, რომელიც მხარდაჭერილია სოციალური ქსელების მიმოხილვებითა და რეკომენდაციებით, იწვევს ამ ადგილების გადატვირთულობას;

რამდენიმე ცნობილი ქალაქის მაგალითზე განვიხილოთ ოვერტურიზმის ტენდენციების განვითარების კონკრეტული და რეალური მიზეზები.

Bloemenmarkt არის თვალწარმტაცი მცურავი ყვავილების ბაზარი სინგელის არხზე, რომელიც 1862 წლით თარიღდება. ტურისტები მუდმივად იღებენ სურათებს ყვავილების მაღაზიებთან, რაც ადგილობრივ მოსახლეობას შოპინგის საშუალებას არ აძლევს. შედეგად, სავაჭრო ბრუნვა სულ უფრო და უფრო მცირდება და არსებობს ვაჭრობის სრული განადგურების საფრთხე მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ბაზარზე.

კომოდო ი**ნდონეზიაში** ბოლო წლებში ძალიან პოპულარული გახდა. სადაც გაიზარდა ეგზოტიკური ადგილების მოყვარულთა ტურისტების და ამავდროულად, კონტრაბანდისტების რიცხვი, რომლებიც ცდილობენ ადგილობრივი დრაკონების (კომოდოს ხვლიკების) გაყიდვას. დაფიქსირდა ამ იშვიათი ცხოველების პოპულაციის მკვეთრი შემცირება. ამიტომ გადაწყდა კუნძული დამთვალიერებლებისთვის ერთი წლით დაკეტილიყო.[87]

ვენეცია განიცდის დაბინძურებას მილიონობით ტურისტითა და საკრუიზო გემებით. **კარიბის ზღვაში მდებარე კუნძული კოზუმელი** გარშემორტყმულია იშვიათი მარჯნის რიფებით. მაგრამ, ახლა მათი უმეტესობა გაანადგურეს ნავებმა და მყვინთავებმა, ხოლო დარჩენილი მარჯნები ძლიერ დაბინძურებულია პირადი ნავით მოგზაურობისა და კრუიზების გამო.

[87] https://nature.new7wonders.com/wonders/komodo-indonesia/Exploring Komodo Island . [უ.გ.12.06.2024]

კუნძული **სანტორინზე** მხოლოდ 15 ათასი ადგილობრივი მცხოვრებია. ამავდროულად, მას წელიწადში დაახლოებით ერთი მილიონი ტურისტი სტუმრობს, რომლებიც ჩამოდიან ლაინერებით და ბორნით დღეში თითქმის ყოველ 30 წუთში. რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ადგილობრივების მოწესრიგებულ და მშვიდ ცხოვრებას, რადგან ტურისტები ხალხმრავლობით დადიან, ფაქტიურად მათ პატარა სახლებში.

იტალიის ოფიციალურმა პირებმა მიიღეს მთელი რიგი ზომები ცნობილ ადგილებში ვიზიტების შესაზღუდად - პოპულარულ ატრაქციონებზე ვიზიტები გარკვეულ დროს იკეტება ისტორიული ძეგლების შესანარჩუნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უარყოფითი შედეგი გამოწვეულია ოვერტურიზმით, ხშირად ტურისტების ზოგადი ცნობიერების ნაკლებობითაც ზიანდება. მაგალითად იმ ძეგლების მნიშვნელობის შესახებ, რომლებიც მათ დააზიანეს. „ერთმა ტურისტმა, რომელიც რომის კოლიზეუმში მისი სახელის კვეთაზე დაიჭირეს, თქვა, რომ მან არ იცოდა, რომ ცნობილი ნაგებობა - რომელიც თითქმის 2 000 წლისაა - ასეთი უძველესი იყო. შესაძლებელია მოვიყვანოთ ზოგიერთი ქვეყნის მაგალითები, რომელიც „ებრძვიან ოვერტურიზმს“, მაგალითად , ბოლო წლებში ევროპის სასტუმროების და რესტორანთა ასოციაციის „ჰორეკა“ სექტორმა განახორციელა:

ოვერტურიზმის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი უდავოდ **ამსტერდამია.** ქალაქში სასტუმროში ყოფნისთვის დაწესებული ყველაზე მაღალი ტურისტული გადასახადებისა და ბინების გაქირავებისთვის საკმაოდ მაღალი ფასების გარდა, ამსტერდამში მკვეთრად შეამცირეს სუვენირების მაღაზიების რაოდენობა და შემოიღეს სპეციალური ნიშანი ტურისტებისთვის პლაკატის სახით - „მე აქ ვცხოვრობ, გთხოვთ, არ იხმაურო".

მათ წამოიწყეს კომპანია - «Enjoy and Respect» - „ისიამოვნე და პატივისცემა“ რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ მუდმივად შეახსენოს ტურისტებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან წესრიგს დარღვევას რომ არასწორი საქციელის გამო მათ ჯარიმა ემუქრება. ეს კამპანია განხორციელდა ციფრული ბილბორდების („ციფრული ღობე“) გამოყენებით, რომელიც შეახსენებს თითოეულ პოტენციურ დამრღვევს, დაიცვას წესები და პატივი სცეს ქალაქის მოსახლეობას სოციალური ქსელების Instagram-ისა და Facebook-ის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ წელს ამსტერდამი აპირებს შემოიღოს მსოფლიოში ყველაზე დიდი ტურისტული გადასახადი - ტურისტულ დანიშნულების ადგილზე დარჩენის საფასური იზრდება. ჰოლანდიის ქალაქში ღამისთევაზე ტურისტული გადასახადი 12.5%-ს მიაღწევს.[88]

წელს შემდეგი მიმართულებები იწყებენ ტურისტული გადასახადების დაწესებას:[89] ვენეცია, ხორვატია, ბელგია, ბულგარეთი, ავსტრია, ჩეხეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, შვეიცარია, 2024 წლიდან დაიწყებს ტურისტებისთვის გაზრდილი გადასახადის დაწესებას; ესპანეთის რამდენიმე ქალაქმა გადაწყვიტა ტურისტული გადასახადის ფასის აწევა, არსებობს იმედი, რომ ამით ქვეყანა გამოიმუშავებს 100 მილიონ ევროს რომლის დახარჯვას ოფიციალური პირები გეგმავენ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, გარემოს დაცვასა და ადგილობრივი კანონების აღსრულებისათვის[90].

---

[88] https://zakordon.24tv.ua/ru/amsterdam-vvodit-samyj-bolshoj-evrope-turisticheskij-nalog_n2403842 [უ.გ.12.06.2024]

[89] Tourist taxes will make these destinations more expensive in 2024https: //www.lonelyplanet.com/news/new-tourist-taxes-fees. [უ.გ.03.03.2024]

[90] ourist tax: These are the destinations you'll have to pay to enter[უ.გ.12.06.2024]

Beware of these hidden costs – these are all of the destinations due to impose tourist tax

BY OLIVIA MORELLI 14 February 2024https://www.cntraveller.com/article/tourist-tax-the-destinations-youll-have-to-pay-to-enter.[უ.გ.03.03.2024]

გაერთიანებული სამეფო აწესებს ახალ სისტემას, სახელწოდებით Electronic Travel Authorization (ETA), რომლის მიხედვითაც, აშშ-დან, ევროპიდან, ავსტრალიიდან და კანადიდან ვიზიტორებს მოეთხოვებათ გადაიხადონ ქვეყანაში შესასვლელი გადასახადი. მომავალ წელს ევროკავშირი დაიწყებს ახალი ტურისტული ვიზის დანერგვას, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირის არაწევრმა მოქალაქეებმა, რომლებიც მიემგზავრებიან შენგენის ზონის გარეთ, ქვეყანაში შესასვლელად 7 ევროს ღირებულების განაცხადის შევსება დასჭირდებათ[91]. თითოეულ აქ ჩამოთვლილ ქვეყანას ახასიათებს ინდივიდუალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს მოგზაურთა ნაკადების დინამიკაზე. ეროვნული და საერთაშორისო ტურიზმი ამჟამად ვითარდება შემდეგი ფაქტორების გავლენით: სერვისი, ინფრასტრუქტურა, ინკლუზიურობა, კონკურენცია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოება.

ამავდროულად, ბევრი ტურისტი უპირატესობას ანიჭებს რეგიონულ მოგზაურობას საკუთარ ქვეყანაში, ვიდრე საერთაშორისო მოგზაურობას. ამის მიზეზები, მათ შორის, პოპულარულ საერთაშორისო მიმართულებებში, განსაკუთრებით სეზონური ტურიზმია, ასევეა უსაფრთხოების მაღალი რისკი - საერთაშორისო ტერორისტული თავდასხმების სიხშირე.

ტურისტული ინდუსტრია შედგება ტურისტული ორგანიზაციებისგან, რომლებიც მოქმედებენ მიწოდებისა და მოთხოვნის ბაზარზე, ისევე როგორც ყველა სხვა კომერციული ორგანიზაცია. ამავდროულად, ასეთი ორგანიზაციების შეთავაზებას ყოველთვის არ შეუძლია დააკმაყოფილოს დახვეწილი საზოგადოების მოგზაურობის საჭიროებები და მზარდი კონკურენცია ფაქტიურად აიძულებს მათ ჩამოაყალიბონ და შეასრულონ ახალი მკაცრი მოთხოვნები, რათა შეინარჩუნონ ტურისტები და განვითარდნენ.

მოთხოვნის ფაქტორები:

- იზრდება ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც გვთავაზობენ ახალ ტურისტული მიმართულებებსა და მარშრუტებს;
- გარკვეული ტურისტული სახეობის მოთხოვნის მაქსიმალური დაკმაყოფილების პირობების შექმნა;
- შიდა ტურიზმზე მოთხოვნის შენარჩუნება.

მიწოდების მოქმედებები:

- მზარდი მოთხოვნის და მიწოდების დაბალანსება;
- ტურიზმის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის დაგეგმვა;
- ეროვნული ტურიზმის გაუმჯობესების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.

ტურიზმის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას - სხვადასხვა კონტინენტზე გარემოს დაცვისა და ეკოსისტემების შენარჩუნების პრობლემების გადაჭრას. ამ მხრივ განსაკუთრებით წარმატებულია ევროპის კონტინენტი, სადაც გარემოსდაცვითი პრობლემები განიხილება როგორც მედიის, ისე მთავრობის დონეზე.

ევროპული ქვეყნები დღეს ავითარებენ ახალ ტურისტულ პროდუქტებს, რომელთა მიზანია მოგზაურობის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ამავდროულად გარემოს დაცვა. მაგალითად, ბავარი ხმაურიან ქალაქში მოგზაურობის ნაცვლად, ტურისტებს სთავაზობენ მშვიდი სოფლის

[91] ourist tax: These are the destinations you'll have to pay to enter
Beware of these hidden costs – these are all of the destinations due to impose tourist tax
BY OLIVIA MORELLI 14 February 2024https://www.cntraveller.com/article/tourist-tax-the-destinations-youll-have-to-pay-to-enter.[უ.გ.03.03.2024]

მონახულებას, სადაც განთავსება არის ადგილობრივ, ავთენტურ აპარტამენტებში და მოიცავს კვებას, ასევე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობას.

სამომავლოდ, სავარაუდოდ განვითარდება ტურისტული ცენტრების შორეულ და მიუწვდომელ ადგილებზე გამგზავრების ტენდენცია. თუმცა, ეს არ გააუქმებს დასვენების მოთხოვნას მომსახურების მაღალ დონეზე. ბევრი ტურისტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე დღის განმავლობაში მაქსიმალური კომფორტის მიღება შესანიშნავი ამინდის პირობებში. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტურისტულ მიმზიდველობაზე გავლენას ახდენს კურორტის თემატიკა: ახალგაზრდული, ოჯახური, აქტიური, რეკრეაციული და ა.შ., ასევე ფასი-ხარისხის თანაფარდობა.

საერთაშორისო ტურისტული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს UNWTO-ს მიერ განხორციელებულ პროგნოზებსა და კვლევებს სამთავრობათაშორისო ტურისტული ორგანიზაცია, რომელიც მოიცავს 150-ზე მეტ ქვეყანას და არის გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია. უახლესი კვლევის მიხედვით, მოგზაური ტურისტების რაოდენობა მილიარდნახევარ ადამიანს გადააჭარბებს, მათი უმეტესობა კი საკუთარ ქვეყანაში იმოგზაურებს. ტურისტები გააგრძელებენ ევროპის მონახულებას, გარდა ამისა, იქნება მოგზაურობები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში.

საერთაშორისო ტურისტების ნაკადის შესანარჩუნებლად, თითოეულმა ქვეყანამ უნდა გადაჭრას UNWTO-ს მიერ დასახული შემდეგი ამოცანები:

- ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის პირობების შექმნა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- ტურისტები იღებენ განახლებულ, ხელმისაწვდომ და საჭირო ინფორმაციას;
- შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარების მიზნით ეროვნული სახელმწიფო ბიუჯეტიდან საინვესტიციო სახსრების გამოყოფა;
- საერთაშორისო ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გეოპოლიტიკური ღონისძიებების შემუშავება.

საერთაშორისო ტურიზმის როლი გლობალურ ეკონომიკაში ყოველწლიურად იზრდება. ამავდროულად, იზრდება ოვერტურიზმი, რომლის შედეგები მნიშვნელოვნად ამცირებს დადებით გავლენას მთელი ტურიზმისა და რეკრეაციული ინდუსტრიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

აქედან გამომდინარე, ტურიზმის სექტორის მომავალი დიდწილად დამოკიდებულია ტურიზმის სფეროში მთავრობის პოლიტიკასა და სტრატეგიაზე, ისევე როგორც ტურისტული მიმზიდველობისა და აქტივობის შენარჩუნებისა და განვითარების რიგი მოთხოვნების შესრულებაზე.

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის 2023 წლის შედეგებიდან აღსანიშნავია საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები, რომლის ოდენობამ შვიდ მილიონს გადააჭარბა. გასულ წელს, საქართველოში 4,669,467 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი განხორციელდა, რაც პანდემიამდელი 2019 წლის მონაცემის 91.9% აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით კი ზრდა +27.8%-ია. 2023 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2019 წლის დონეს 26.2%-ით (856.7 მლნ აშშ დოლარით), ხოლო 2022 წლის მონაცემებს 17.3%-ით (608.7 მლნ. აშშ. დოლარით) გადააჭარბა. ტურიზმიდან გლობალური შემოსავლების მიხედვით, აღდგენა 93%-ს შეადგენს.

გასულ წელს ქვეყანამ ტურიზმიდან 4.1 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, საქართველოს აეროპორტებმა 6 მილიონი მგზავრი მიიღო - მათ შორის, რეკორდული იყო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი,რომელიც - 1,6 მლნ. მგზავრს მოემსახურა.[92]

მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა საქართველოს კურორტებზე - ბაკურიანში აშენდა 3 საბაგირო კომპლექსი, 2 ხელოვნური რეზერვუარი, 29 კმ. ხელოვნური გათოვლიანების სისტემა (ჯამში, 35 კმ), რისთვისაც 300 მლნ. ლარის ინვესტიცია განხორციელდა. რაც შეეხება გუდაურს, გასულ წელს კურორტზე აშენდა 2 საბაგირო კომპლექსი, 6 კმ-იანი ახალი სასრიალო ტრასა (ჯამში 76 კმ.), განახლდა უკონტაქტო გამშვები პუნქტები, მოეწყო და დამონტაჟდა საინფორმაციო მონიტორები, საგზაო და სათხილამურო ტრასის მანიშნებლები, სველი წერტილები და ა.შ. 2023 წელს გუდაურში განხორციელებული ინვესტიციის ოდენობა 70 მლნ. ლარია.

განთავსების ობიექტებთან დაკავშირებით სტატისტიკა ასეთია: 2023/24 წლებში ინვესტიციების ჯამური საშუალო ოდენობა 220 მილიონი ლარია, ხოლო 2024/27 წლებში ეს ციფრი ერთ მილიარდამდე გაიზრდება. ამავე პერიოდში 9 300-ს მიაღწევს ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა, 320-მდე განთავსების ახალი ობიექტი შეიქმნება, ხოლო საწოლი ადგილების ოდენობა 2024/27 წლებში 37 000-ს გადააჭარბებს.[93]ეს იმას ნიშნავს რომ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმი სწრაფი ტემპით ვითარდება, მაგრამ აუცილებელია განხორციელდეს ტურისტული აქტივობების მართვა. რომელიც მოიცავს ინფორმაციის მოძიებას, შეგროვებას და დამუშავებას ტურისტული საქმიანობის შესახებ ქალაქში ან რეგიონში. შემდეგ კი შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვას და განხორციელებას ტურისტულ სექტორში რომ არ ვიწვნიოთ ოვერტურიზმის უარყოფითი შედეგები.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ფასები ყოველწლიურად იზრდება, მოგზაურობა ჩვენს დროში, ფუფუნებას აღარ წარმოადგენს. ბიუჯეტურად საზღვარგარეთ გამგზავრების შესაძლებლობა იზარდება. ოვეტურიზმის წინააღმდეგ, სეზონზე ფასების ზრდა ხელს შეუწყობს ტურისტების გადანაწილებას სხვა უფრო იაფ და უცნობ მიმართულებებზე. ცნობილი ტურისტული დესტინაციები არ მოიზიდავს მასობრივ ტურისტებს, მხოლოდ გარკვეულ მცირე სეგმენტს ექნება ჩასვლის საშუალება. დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი სეზონურობის „წაშლაზე“ ყველაზე მონახულებულ ადგილებში;

ტურისტული ინდუსტრიის მონაწილეები, როგორიცაა ბიზნესის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლება, ისევე როგორც მედია, უნდა მონაწილეობდნენ ტურისტების ერთიანი განაწილების პოლიტიკის ახლის შემუშავებასა და განხორციელებაში. ამისთვის აუცილებელია ახალი საინტერესო ტურისტული ადგილების და მარშრუტების აღმოჩენა და გავრცელება.

არ იქნება მიზანშეწონილი შეზღუდვების სწრაფად შემოიღება. ამ მიზეზით წარმოიქმნება უარყოფითი შედეგები. თანაც შეზღუდვები არ უნდა ეხებოდეს ტურისტების რაოდენობას, რომლებიც სტუმრობენ პოპულარულ ადგილებს, მაგრამ უნდა არსებობდეს ლიმიტი საცხოვრებლის გაქირავებასა და ტურისტების გადაადგილებაზე პოპულარულ დესტინაციებზე, რომელსაც უკვე განვითარებული ქვეყნები მიმართავენ.

---

[92] საქართველოს ტურიზმისა და ავიაციის 2023 წლის შემაჯამებელი ანგარიში[უ.გ.12.06.2024]

[93] ttps://www.bpn.ge/article/121182-premieri-qvelaperi-gaketdeba-sakartveloshi-sxvadasxva-kveqnidan-kidev-upro-meti-pirdapiri-prenebis-dasanishnad (საქართველოს ტურიზმისა და ავიაციის 2023 წლის შემაჯამებელი ანგარიში) [უ.გ.12.06.2024]

ჩვენს ქვეყანაშიც ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია ვერ უმკლავდება ყოველდღიურად შიდა და ჩამოსული ტურისტების დიდ რაოდენობას. ამის ემატება სასკოლო ექსკურსიები არის გაუთავებელი რიგები (საკუთარი გამოცდილებით შარშან ჩარგალში,ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში შესვლაზე ვიყავით 50 კაციანი ავტობუსებით რიგში 43-ე. იგივე შეიძლება ითქვას პრომეთეს მღვიმეზე 3-4 საათი რიგში გვიწევდა დგომა... წელს ყინწვისის და მზოვრეთის მონასტერში არ შეგვიშვეს დიდი ნაკადით ექსკურსანტების სტუმრობის გამო,თან ამის შესახებ არავინ იყო ინფორმირებული, მრავალი ასეთი მაგალითების მოყვანა შეიძლება) მუზეუმები, დაცული ტერიტორიები და სხვები უნდა იძლეოდეს წინასწარ დაჯავშნის საშუალებას ინტერნეტით, რათა ვიზიტორებმა თავიდან აიცილონ გრძელი რიგები. თუ ამ ტიპის ატრაქციონების მენეჯმენტი ყველა ვიზიტორს მოსთხოვს ბილეთების წინასწარ დაჯავშნას, მას შეუძლია დააწესოს ყოველდღიური კვოტა დასწრების თვალსაზრისით და მოგზაურობა ბევრად უფრო სასიამოვნო გახადოს ყველასათვის.

ტურისტულ ნაკადთან გამკლავების ზოგიერთი სტრატეგია, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიძლება განიხილოს, მოიცავს მოსაცდელების გაფართოებას, ტურისტული ავტობუსებისა და მანქანებისთვის პარკირების სავალდებულო წესებს. ამან შეიძლება მოიზიდოს დამატებითი მუშახელი ტურისტული ნაკადების მართვისთვის. ერთ-ერთი შესაძლებლობა არის ტურისტული პოლიციის გუნდების შექმნა. ტაილანდში, მალაიზიასა და ფილიპინებში მსგავსი გუნდის შექმნა, რომელიც ემსახურება წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, განსაკუთრებით გადატვირთულობისკენ მიდრეკილ საზოგადოებრივ ადგილებში. მათი არსებობა ხელსაყრელ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მოახდენს როგორც ტურისტებზე, ასევე ადგილობრივ მოსახლეობაზე და გაზრდის უსაფრთხოების დონეს ყველასთვის. სავალდებულო ტურისტული გადასახადი ასევე უნდა დაწესდეს აბსოლუტურად ყველასთვის, ვინც ტურისტებით გადატვირთულ ლოკაციებში შედის.

უნდა შეწყდეს გადატვირთული ტურისტული ადგილების პოპულარიზაცია და მხარი დაეჭიროს იმ რეგიონებს სადაც მნიშვნელოვანი ტურისტული რესურსია, მაგრამ დიდი რაოდენობით ტურისტები არ ყავს, მაგალითად შიდა ქართლი (პირველი დამწერლობა, პირველი ღვინის ნაშთების, პირველი ევროპელების ადგილი - მიუხედავად ამისა არ ჰყავს საჭირო რაოდენობის ვიზიტორები, როგორც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებიდან ჩანს რეგიონი ყველაზე ნაკლებად მონახულებადია, 4,2%-ია გართობა,დასვენება რეკრიაციის მიზნით ჩასული ტურისტების რაოდანობა. აქედან გამომდინარე ყველაზე ნაკლებია განთავსების საშუალებებისა და საწოლ-ადგილების რიცხვი[94]). ასეთ რეგიონებში მნიშვნელოვანია თანამშრომლობა ადგილობრივი ეკონომიკის მხარდასაჭერად და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

ბოლო წლებში ოვერტურიზმის პრობლემა ადგილობრივიდან გლობალურ პრობლემად გადაიქცა. მის გადასაჭრელად საჭიროა ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს ტურიზმისა და გასართობი ინდუსტრიის ყველა სუბიექტის ინტერესებს, ასევე ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ძეგლების შენარჩუნებას, რომლებიც წარმოადგენს მთელი მსოფლიო საზოგადოების მემკვიდრეობას.

ამრიგად, მხოლოდ კომპეტენტურ და პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებებს ტურიზმის სექტორში შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ოვერტურიზმის უარყოფითი გავლენა. ასეთი გადაწყვეტილებები უნდა იყოს დაკავშირებული როგორც ტურისტების ქმედებებთან, ასევე

[94] https://gnta.ge/wp-content/uploads/2019/06/2018-GEO.pdf. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა.თბ.;2022 [უ.გ. 18.06.2024]

მთავრობის პოლიტიკასთან. ტურისტულმა ორგანიზაციებმა და კულტურული დაწესებულებების მენეჯერებმა უნდა მოახდინოს სპეციალური ტურისტული შეთავაზებები დაბალ სეზონზე ტურისტების მოსაზიდად და მაღალ სეზონზე ტურისტული ნაკადის შესამცირებლად.

გამოყენებული წყაროები

1. https://www.itb.com/en/The International Tourism Exchange (ITB Berlin) [უ.გ. 10.06.2024]
2. https://www.itb.com/de/besuchen/ ENTDECKEN SIE DAS OFFIZIELLE GASTLAND DER ITB BERLIN 2024[უ.გ. 10.06.2024];
3. https://www.nationalgeographic.com/travel/article/what-is-overtourism [უ.გ. 10.06.2024];
4. https://zakordon.24tv.ua/ru/amsterdam-vvodit-samyj-bolshoj-evrope-turisticheskij-nalog_n2403842 [უ.გ.12.06.2024];
5. ttps://www.bpn.ge/article/121182-premieri-qvelaperi-gaketdeba-sakartveloshi-sxvadasxva-kveqnidan-kidev-upro-meti-pirdapiri-prenebis-dasanishnad (საქართველოს ტურიზმისა და ავიაციის 2023 წლის შემაჯამებელი ანგარიში)[უ.გ.12.06.2024]
6. Beware of these hidden costs – these are all of the destinations due to impose tourist tax
7. BY OLIVIA MORELLI 14 February 2024https://www.cntraveller.com/article/tourist-tax-the-destinations-youll-have-to-pay-to-enter.[უ.გ.03.06.2024]
8. BY OLIVIA MORELLI 14 February 2024https://www.cntraveller.com/article/tourist-tax-the-destinations-youll-have-to-pay-to-enter.[უ.გ.03.06.2024].

მენეჯერული უნარების გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე
The Influence of Managerial Skills on the Organization's Activities

ანი ბიბილური - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
Ani Bibiluri - Georgian Technical University
Assist. Professor

აბსტრაქტი. მენეჯმენტი საინტერესო და მრავალფეროვანი სფეროა, რადგან მოიცავს მართვას, მმართველობას და ყველა იმ პროცესს, რაც საჭიროა აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად. მენეჯმენტი ეხება ჩვენს ყოველდღიურობას, სამუშაო პროცესს, ბიზნესსა და ზოგადად ადამიანებს. შესაბამისად ერთგვარი მართვის ხელოვნებაა, სადაც ადამიანური გონებრივი რესურსებისა და უნარების სწორი ნაზავით, ხდება პერსონალის, ფინანსური თუ სხვა საშუალებების წარმართვა, გაუმჯობესება და განვითარება, რისი ლოგიკური შედეგია სარგებელი, მოგება და დასახული მიზნების მიღწევა.

მენეჯმენტი საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, რადგან იყო მართვა, თუმცა თანამედროვე ეტაპზე მან სამეცნიერო დისციპლინის მიმართულება მიიღო, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის იმ

საბაზისო ცოდნა-უნარების შესახებ, რაც საჭიროა კარგი მმართველობისათვის. მართვა ხომ განუყოფელი ნაწილია საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული ურთიერთობების, რადგან ვიღაც მართავს, ხელმძღვანელობს და უფროსობს, შესაბამისად გვესახება მენეჯერი, მმართველი, ხელმძღვანელი თუ უფროსი, რაც კომპანიის, ორგანიზაციისა და თუ სხვა ფაქტორების გავლენით იღებს თავის ზუსტ სახელწოდებას. ცხოვრება ხომ საჭადრაკო დაფასავითაა, ვიღაც მოჭადრაკეა, სულაც ლაზიერი (დედოფალი), ზოგიერთები კი უბრალოდ პაიკები არიან. ჩემი თემაც სწორედ ამ საინტერესო საკითხს ეხება, თუ ვინ არის რეალურად მენეჯერი აგრესიული მმართველი თუ გუნდის ლიდერი? იქნებ უბრალოდ პაიკი, რომელიც საჭადრაკო ორომტრიალში შემთხვევით მოხდა ლაზიერის რანგში? თუმცა ყველაზე ძლიერი დედოფალიც კი არასწორი ქმედებით ან უმოქმედობით შეიძლება მოულოდნელად გაქრეს დაფიდან.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, მენეჯერი, ლიდერი, მმართველი, ორგანიზაცია.

Abstract. Management is an interesting and diverse field because it includes administer, governance and all the processes that are needed to carry out the said action. Management is about our daily life, work process, business and people in general. Accordingly, it is a kind of management art, where with the right mix of human mental resources and skills, personnel, financial or other means are managed, improved and developed, the logical result of which is benefit, profit and achievement of set goals.

Management has existed for centuries, but at the modern stage it has taken the direction of a scientific discipline, which gives us an idea of the basic knowledge and skills needed for good management. After all, management is an integral part of relations in the conditions of a market economy, because someone manages, directs, and is in charge, so we see a manager, head, or boss, which, under the influence of the company, organization, and other factors, gets its exact name. After all, life is like a chessboard, someone is a chess player, at least a queen, and some are just pawns. My topic is also related to this interesting issue, who is really a manager, an aggressive manager or a team leader? Maybe just a pawn that accidentally became a queen in a chess battle? However, even the most powerful queen can suddenly disappear from the board due to wrong action or inaction.

Keywords: Management, Manager, Leader, Ruler, Organization.

ძირითადი ნაწილი. მენეჯმენტი ინგლისური სიტყვაა და მართვას ნიშნავს, თუმცა აღნიშნული პროცესი ამავდროულად არის ადამიანთა შრომის, ინტელექტის, ქცევისა და მრავალი სხვა რესურსების გამოყენებით იმ მიზნების მიღწევის უნარი, რომელიც დასახულია და რისგანაც საბოლოოდ ველოდებით დადებით შედეგს. მენეჯმენტი, როგორც სამეცნიერო დისციპლინა მე-19 საუკუნის ბოლოს აშშ-ში წარმოიშვა და დღეისათვის წარმოადგენს სრულფასოვან დარგს, რომელიც ერთგვარი დამხმარეა ორგანიზაციათა საქმიანობაში ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. იგი გვევლინება ბიზნესის მართვის ფილოსოფიურ მიმართულებად, რადგან აერთიანებს ყველა პროცესს, მოიცავს სრულად მთელ ორგანიზაციას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, შესაბამისად გვაძლევს წარმოდგენას თითოეულ ასპექტზე, გვასწავლის ახლებურ და საინტერესო მიდგომებს ხელმძღვანელობისათვის. მენეჯმენტი ფართო აზროვნების ცნებაა, რადგან კონკრეტულ გამზადებულ რეცეპტის ფორმა არ გააჩნია, არამედ გვთავაზობს მეთოდებს, რომლის საჭიროებასაც თითოეული ხელმძღვანელი თავად ირჩევს, რითაც ავლენს მენეჯერულ უნარებს.

მენეჯმენტი ყველგანაა, სადაც მუშაობენ ადამიანები შესაბამისად გვხვდება სხვადასხვა კომერციულ კომპანიებსა და ორგანიზაციებში, რის გამოც მისი ფორმები მრავალფეროვანია, როგორიცაა: საბანკო, ფინანსური, ადამიანური რესურსების მართვა, ხარისხის მენეჯმენტი, რისკმენეჯმენტი და ა.შ. თითოეული მენეჯმენტის ტიპი მოითხოვს კარგი მენეჯერის არსებობას, რომელიც განსაზღვრავს ადეკვატური მართვის მეთოდებსა და კონკრეტული საკითხისადმი მიდგომებს. შესაბამისად აუცილებელია აღინიშნოს მართვის პროცესის ორი მონაწილე მართვის სუბიექტი და ობიექტი, რომლებიც საკვანძო როლს ასრულებენ კომპანიის საქმიანობაში. სუბიექტები ვართ თითოეული ჩვენგანი, ვისაც ორგანიზაციამ მოგვანიჭა გარკვეული როლები, შესაბამისად სტრუქტურული გადანაწილების შედეგად დგინდება კონკრეტულ პირს ჰყავს თუ

არა მართვის ობიექტი ანუ დაქვემდებარებული თანამშრომელი, რომლის დახმარებითაც ახორციელებს დასახული მიზნებისაკენ სვლას. მარტივად რომ ვთქვათ, ნებისმიერ ორგანიზაციაში გამოიყოფა მმართველობის სამი დონე, როგორიცაა:

• ***დაბალი რგოლი*** - თანამშრომელთა გუნდი, რომელთა საქმიანობას ყოველდღიური მარტივი ამოცანების შესრულება წარმოადგენს, ძირითადად მათი სამუშაო პროცესი „მოსაწყენი“ და ერთფეროვანია, მაგრამ ფსიქოლოგიურად საკმაოდ სტრესული, რადგანაც სწორედ ისინი არიან ვინც პროდუქტსა და მომსახურებას აწვდიან მომხმარებლებს. მათი ფიქრი უშუალო სამუშაო პროცესია, ამიტომ მათ არ აქვთ ის მძიმე ტვირთი რასაც კომპანიის მომავალზე დარდი ჰქვია. მაგალითისთვის: ექთანი, მასწავლებელი, მოლარე, ოპერატორი და ა.შ.

• ***საშუალო რგოლი*** - დეპარტამენტის ან განყოფილების უფროსები, შუა რგოლი დაბალ და უმაღლეს მენეჯმენტს შორის. სწორედ ისინი გეგმავენ, მართავენ, აკონტროლებენ და ჩართულნი არიან ამ უსასრულო პროცესში, რომლის საბოლოო შედეგები აისახება პირველ რიგში მათზე.

• ***უმაღლესი რგოლი*** - ტოპ მენეჯერები, მმართველობითი დონის ყველაზე მაღალი რანგის საფეხური, სადაც თავს იყრიან დირექტორები, პრეზიდენტები და ა.შ. მოცემული რგოლი განსაზღვრავს განვითარების სტრატეგიას, გეგმა-ბიუჯეტს, შესაძლებლობებს, რისკებს და თითოეული გადაწყვეტილების მიღებით ორგანიზაციის მდგომარეობაზე ზემოქმედებენ.

მოცემული სამივე დონის ჩართულობას ორგანიზაციის საქმიანობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან რომელიმე რგოლის წყვეტა მთელ კომპანიაში შიდა რყევებს იწვევს, შესაბამისად მენეჯერების სწორი ქმედებები არსებული სიტუაციის დალაგებაში გადამწყვეტია. ხშირად ისმის კითხვა: ვინ არის მენეჯერი? მარტივი განმარტებით საქმის მმართველი, ხელმძღვანელი, პირი ვინც იღებს ორგანიზაციისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, თუმცა ეს ტერმინი იმდენად გავრცელდა, რომ ხშირად სხვა პოზიციის მქონე პირებსაც უწოდებენ, ვისაც დაქვემდებარებული პერსონალი არ ჰყავს, მაგალითად: გაყიდვების მენეჯერი, ოფისის მენეჯერი და ა.შ. თუმცა თავისი არსით მენეჯერის ცნება გულისხმობს მმართველობითი დონის მაღალ საფეხურს, რომელიც ორგანიზაციაში ცენტრალური ფიგურაა, ქმნის რა კომპანიის ამინდს და წარმომადგენელია მესამე პირებთან ურთიერთობაში, ამიტომ კომუნიკაციის უნარი პირველია, რაც სავალდებულოა მენეჯერისათვის. სწორი კომუნიკაცია ქმნის განწყობებს თანამშრომლებს შორის, აყალიბებს ავტორიტეტსა და წარმოდგენას უფროსის შესახებ. კარგი მმართველი ამყარებს ბალანსს ძალასა და ძალაუფლებას შორის, შესაბამისად გვევლინება ძლიერ ლიდერად. კომპანიას შეიძლება ჰქონდეს სოლიდური ბიუჯეტი, ბრუნვა და გაყიდვები, მაგრამ თუკი არ გყავს დიდებული მენეჯერები და ჯგუფის ლიდერები, ხოლო დამხვედრი არის უსიამოვნო ადამიანი, მაშინ შანსი შესანიშნავი თანამშრომლების ყოლის დაკარგულია. შესაბამისად ყველაფერი ფუჭია, დროისა და რესურსის ხარჯვა კადრების მოზიდვასა და დაქირავებაში, თუკი თავად სწორი ადამიანი არ გყავს, რადგან კარგი ყოველთვის პოულობს თავისნაირს, შესაბამისად მხოლოდ საუკეთესოს იღებს სხვა ადამიანებისგან და შესაბამისად ქმნის წინსვლის შესაძლებლობებს. „კარგი მენეჯერის თვისებებზე“ Google დაახლოებით 10 წლის განმავლობაში კვლევას ატარებდა Project Oxygen-ის ფარგლებში, რომლის მიზანიც იყო დაედგინა რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს „სრულყოფილი“ მენეჯერი, რის საფუძველზეც თავად Google შექმნიდა შესაბამის პროგრამებს. აღნიშნული კვლევა კომპანიისათვის სიკეთის მომტანი გამოდგა, რადგან გაეზარდა კმაყოფილი და ერთგული თანამშრომლების რიცხვი. კვლევამ ცხადყო, რომ ტექნიკური უნარები ბევრად ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ემოციური ინტელექტის უნარი, რომელიც გულისხმობს საკუთარი და სხვების ემოციების გაგება-მართვას. ადამიანების უმეტესობას სმენია ინტელექტის

კოეფიციენტის IQ-ს შესახებ, რომელიც არის ქულა მიღებული ადამიანური ინტელექტის შემფასებელი სტანდარტული ტესტირების შედეგების საფუძველზე, რომლის მაღალი მაჩვენებელი ნიშნავს რომ მეტად განვითარებულია მასში ლოგიკური აზროვნება, შემეცნებითი და ათვისების უნარები. მაღალი ინტელექტის მქონე პირები კი წარმატებას ბევრად ნაკლები ძალისხმევით აღწევენ, რადგან ხასიათდებიან იმ უნარების ერთობლიობით, რომელიც გამოარჩევს მათ საზოგადოებაში სხვებისგან, აზროვნებენ სხარტად, ეფექტურად და ლოგიკურად. აღნიშნული უნარი თანდაყოლილია, შეიძლება ადამიანმა ბევრი ისწავლოს და იფიქროს რომ ამით ინტელექტს აიმაღლებს, არა ამით იგი იქნება ნასწავლი, სწავლების საფეხურების დამთავრების შემდეგ იქნება უბრალოდ განათლებული, წიგნების კითხვა მისცემს საშუალებს საკუთარ თავს უწოდოს ნაკითხი, მაგრამ ინტელექტის დონე განისაზღვრება თავიდანვე. ემოციურ ინტელექტს (EI) რაც შეეხება, რომელიც ინტელექტის კოეფიციენტისგან განსხვავებულია, წარმოადგენს ადამიანის უნარს შეიცნოს და მართოს როგორც საკუთარი ემოციები, ასევე ემპათიურად იყოს განწყობილი სხვა ადამიანების მიმართ. დანიელ გოლმანი, რომელიც აღნიშნულ საკითხს იკვლევდა ემოციური ინტელექტი დაყო ორ მაჩვენებლად:

• პერსონალური - საკუთარი პიროვნების მართვა, საკუთარი თავის აღქმა, საკუთარი თავის მართვა და მოტივაცია.

• სოციალური - ადამიანებთან ურთიერთობების მართვა, ემპათია, დიპლომატია და ლიდეროზა.

განვიხილოთ Google-ის მიხედვით კარგი ხელმძღვანელის ძირითადი უნარები, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

1. კარგი მენტორი-მასწავლებელი

კარგი მენეჯერი შეცდომებს სწავლებისათვის იყენებს. რა თქმა უნდა, ლოგიკური და სწორია მსგავსი მიდგომაა, რადგან შედომები არ უნდა გამოიყენოს დასჯისათვის, არამედ თანამშრომლის მოტივაციისა და სწავლებისათვის. ერთი შეცდომა უნებლიეა, განმეორებითი კი უკვე არჩევანი, ამიტომ მენეჯერმა მასწავლებლის და მენტორის როლი საჭიროა ხანდახან მოირგოს, რადგან ხელმძღვანელი თანამდებობის მქონე პირი, ჩემი აზრით, ვალდებულია იყოს გამოცდილი ლიდერი.

2. გუნდის შესაძლებლობების გაძლიერებას უზრუნველყოფს და შემზღუდავი მიდგომების მოწინააღმდეგეა

არცერთი დასაქმებულს არ მოსწონს თავისუფლების შეზღუდვა, რადგან ამ დროს შინაგანი მე ითრგუნება, რომელიც მოტივირებას ვეღარ ახდენს სამუშაო პროცესში. კარგი მმართველები ადამიანებს იმ თავისუფლებას ანიჭებენ, რომლისკენაც მიისწრაფვიან. აღნიშნული შეიძლება იყოს იდეების მიწოდება, გონივრული რისკები და შეცდომების დაშვების თავისუფლებაც კი, ისინი საშუალებას აძლევენ იმუშაონ თავისუფალი ან/და მოქნილი გრაფიკით, რისთვისაც უზრუნველყოფენ შესაბამისი რესურსებით.

3. ავლენს ინტერესს და ზრუნავს გუნდის წევრების წარმატებასა და პიროვნულ კეთილდღეობაზე

მოცემული ფორმულირება გულისხმობს წარმატებულ გუნდში ნდობის ჩამოყალიბებას, როდესაც შეცდომების აღიარებით არ ხდება ნდობის დაკარგვა, დასჯა ან შერცხვენა, არამედ კითხვის დასმა და პრობლების წამოჭრა გამოიყენება სამუშაო პროცესის გაუმჯობესებისათვის.

4. პროდუქტიული და შედეგზე ორიენტირებული

წარმატებული მენეჯერები თავიანთი გუნდის წევრებსაც უკეთესობისკენ ავითარებენ, რადგან თავად არიან მისაბაძნი, ხოლო ნებისმიერ სიტუაციაში მისი გუნდის წევრს აქვს იმედი, რომ „უფროსი“ მზად არის დასახმარებლად, რაც ერთგვარი მოტივატორი და წამახალისებელია.

5. კომუნიკაბელური, ისმენს და აზიარებს ინფორმაციას

საუკეთესო მენეჯერები კარგი მსმენელები არიან. მოსმენის უნარი კი ეხმარებათ, გაიგონ, გაუგონ, ლოგიკურად შეაფასონ და ემპათიით განეწყონ სხვების მიმართ. მენეჯერი აცნობიერებს სწორ მიდგომას, რომ ცოდნა ძალაა, რომლის გაზიარებით ძლიერდება მისი გუნდი.

6. ეხმარება კარიერულ განვითარებაში

დიდებული მენეჯერი აფასებს თანამშრომლის შესრულებულ სამუშაოს სათანადოდ, აქებს და ხელს უწყობს წინსვლაში, თუმცა არც კრიტიკა აშინებს, რომელიც საჭიროა იყოს კორექტული და კონსტრუქციული. მმართველი ვალდებულია დაიცვას დაქვემდებარებული უსამართლო მიდგომებისგან, იყოს მისი მფარველი და ნებისმიერ სიტუაციაში მოძებნოს სწორი გამოსავალი მხარეებისათვის, რაც დაიცავს მათ ეთიკური დილემის წინაშე აღმოჩენის ალბათობისგან.

7. აქვს გუნდის საქმიანობის მკაფიო ხედვა და მისი განვითარების სტრატეგია

ლიდერმა ყოველთვის ზუსტად იცის სად იმყოფება და რა სურს, შესაბამისად გააჩნია მომავლის ხედვა, გონივრულად ანაწილებს მოვალეობებს და მიისწრაფვის დასახული მიზნებისკენ.

8. ფლობს ძირეულ ტექნიკურ უნარებს, რომელიც ეხმარება გუნდის მართვაში

მენეჯერი ვალდებულია მუდმივად იმუშაოს საკუთარ თავზე, არ შეუშინდეს გამოწვევებს და იყოს ლიდერი. ითანამშრომლოს ორგანიზაციული სტრუქტურის ყველა საფეხურთან, რათა ერთობლივად შეძლონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. კარგ მმართველს გუნდის წევრები მიყვებიან ნებისმიერ საქმეში, არა იმიტომ, რომ უნდა გაყვნენ, არამედ იმიტომ, რომ სურვილი აქვთ.

ძლიერი მენეჯერი, არასოდეს ხდება აგრესიული მმართველი, რომელსაც ძალაუფლება მხოლოდ ძალადობრივ მეთოდებზე აქვს აწყობილი. არცერთი თანამშრომელი არ გაჩერდება სამსახურში, სადაც მათი ყოველდღიურობა იწყება ჩხუბითა და ყვირილით, იგრძნობა უპატივცემულობა და ქედმაღლური დამოკიდებულება. მსგავსი ხელმძღვანელი მართავს მხოლოდ საკუთარი პრინციპებითა და მიდგომებით, სრულად უგულველებყოფს სხვათა აზრსა და ღირსებას. მისთვის მენეჯმენტი მხოლოდ დაგეგმვა და კონტროლია. არ პატიობს შეცდომებს ან/და პირადი სიმპათიის გამო პატიობს ერთეულებს. კარგი მენეჯერი ლიდერია, რომელიც არ უშინდება გამოწვევებს, მუდმივად ვითარდება და აფასებს მოტივირებულ-განათლებულ პიროვნებებს. სამსახურში იცავს თანამდებობრივ სუბორდინაციას, მაგრამ არ ივიწყებს ადამიანურ ფაქტორებსა და მიდგომებს. ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები ყველაზე სწორად, კარგად და ამომწურავად აღწერს მმართველის თვისებებს: *„მე არ მეშინია ლომების არმიის, რომელსაც უძღვება ცხვარი. მეშინია ცხვრის ფარის, რომელსაც მართავს ლომი.“*

ბიზნესში ასევე არსებობს მოსაზრება რომ კარიერული აღმასვლისას არ უნდა დაგვავიწყდეს ის ადამიანები ვინც საფეხურებზე გვხვდება, რადგან დაღმასვლისას არ ვიცით როგორ შეცვლიან ისინი ჩვენს ცხოვრებას. შესაბამისად თითოეული კადრი ღირებული და დასაფასებელია, შეიძლება დაწინაურება ვერ შევთავზოთ, მაგრამ კარგმა მმართველმა უნდა მოიფიქროს თანამშრომელთა მოტივაციის სხვადასხვა სქემა, რომლითაც მაგალითად დაუფინანსებს სწავლას ან ტრენინგებს, გაუზრდის ხელფასს, დააჯილდოვებს მოგზაურობით, საჩუქრით, მადლობის გამოცხადებით, ჰკითხავს აზრს, ჩაატარებს კვლევას მათი საჭიროებებისათვის და ა.შ. სწორედ ამიტომ თემის დასაწყისშიც ვახსენე მენეჯმენტი ეს მართვის

ხელოვნებაა, იცოდე როგორ უხელმძღვანელო, იყო ლიდერი, მმართველი, მაგრამ ამავდროულად ადამიანი, მეგობარი და კოლეგა, რომლის იმედიც აქვს ყველას და იციან არსებობს „ვიღაც“ ვინც მათ იცნობს, იცავს და მათ გვერდითაა. სამუშაო გარემო, სადაც ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა, სამართლიანობა, მიუკერძებლობა და სხვა მნიშვნელოვანი ეთიკური პრიციპები უმაღლეს დონეზეა, მუდამ იქნება მიმზიდველი ნებისმიერი დასაქმების მსურველისათვის, რადგან კომპანია, რომელსაც აქვს მაღალი ორგანიზაციული კულტურა კადრების დეფიციტს არასოდეს განიცდის, სწორი ადამიანები კი ქმნიან ღირებულებასა და სიკეთეს, რომელსაც შემდგომ რიგითი მომხმარებლები იღებენ.

დასკვნა. მენეჯერული უნარების გავლენა ორგანიზაციის საქმიანობაზე ძალიან დიდია, რადგან მენეჯერის ქმედება ან უმოქმედობა გავლენას ახდენს გუნდზე, კომპანიაზე და ზოგჯერ მომხმარებელზეც კი. სწორედ ამიტომ საჭიროა მენეჯერული პოზიციისათვის ისეთი კადრების შერჩევა, რომელთაც ექნებათ მაღალი მორალური და ეთიკური ღირებულებები, შესაბამისი პროფესიული ცოდნა და უნარები, რაც წაგვიყვანს აღმასვლისკენ და დაგვეხმარება ყოველდღიურად გავხდეთ ბევრად უკეთესი ვიდრე ვიყავით გუშინ.

ბიბლიოგრაფია:

1. ნ. პაიჭაძე, „ადამიანური რესურსების მართვა“, გამომცემლობა „თსუ“, 2018. გვ. 351.
2. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, „მენეჯმენტის საფუძვლები“, გამომცემლობა „სსუ“, 2018. გვ. 496.
3. https://workingcapitalreview.com/2019/07/what-googles-project-oxygen-reveals-about-good-managers/

Bibliography:

1. N. Paichadze, "Human Resources Management", publishing house "TSU", 2018, 351p.
2. E. Baratashvili, L. Takalandze, "Fundamentals of Management", Publishing House "SSU", 2018, 496p.
3. https://workingcapitalreview.com/2019/07/what-googles-project-oxygen-reveals-about-good-managers/

დოკუმენტალიტიკა, როგორც აუდიტორიაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი (საბჭოთა და ავტორიტარული მედიამოდელები)

Documentary film making as an instrument affecting on the audience (Soviet and autocratic media models)

ლია ზამბახიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
Lia Zambakhidze
Caucasian International University
Ph.D. Candidate of the Educational Program in Mass Communication

აბსტრაქტი. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს დოკუმენტური კინოს, როგორც ერთ-ერთი გავლენიანი მედიუმის როლი მასობრივი კომუნიკაციის პროცესში. პირველი რამდენიმეწამიანი ცოცხალი სურათების გამოჩენის მომენტიდან დღემდე დოკუმენტალისტიკა შემეცნებასთან და ფაქტობრიობასთან ასოცირდება. ჩამოთვლილ მახასიათებლებთან ერთად, დროთა განმავლობაში შეძენილი აუდივიზუალური უპირატესობები ჟნრს ამბის თხრობის ერთ-ერთ ყველაზე დამაჯერებელ მედიარესურსად აქცევს.

ნაშრომში განხილულია კონკრეტული პოლიტიკური რეჟიმის დროს დომინირებულ მედიათეორიები (კომუნისტური, ავტორიტარული), წარმოდგენილია მასობრივი კომუნიკაციის პროცესში თითოეული აქტორის როლი და წარმმართველი რგოლის ხელში არსებულ მედიაბერკეტები.

სარწმუნო თხრობის სტილით, აუდიოვიზუალური მახასიათებლებითა და აკადემიურობასთან შერწყმული ემოციური ფაქტორებით დოკუმენტური კინო მასაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენს. მოცემულ თეზისს ავტორიტარული და კომუნისტური მედიათეორიების კონტექსტში დოკუმენტალისტიკის როლის გადააზრება ადასტურებს.

საკვანძო სიტყვები: დოკუმენტური კინო, ავტორიტარული მედიამოდელი, კომუნისტური მედიამოდელი, მასობრივი კომუნიკაცია.

Abstract. A target of this thesis is to represent a documentary film as one of the roles of influential medium in the process of mass communication. Since the moment of showing of the first several-second alive images – till the recent times the documentary film making is associated with cognition and actuality. On top of the enlisted characteristic features, audio-visual advantages obtained within a certain period of time transform the genre into one of the most trustworthy media resources for reporting of the news.

Media theories dominating in the period of relevant political regimes (communistic, autocratic) are discussed in the thesis; a role of each author in the process of mass communication and media leverages existing in hands of the governing authority are demonstrated in it as well.

Documentary film represents a key weapon of impact on the masses using emotional factors harmonized with a style of trustworthy narration, audio-visual characteristic features and academic level. The given thesis, in the context of autocratic and communistic media theories, is confirmed with reinterpretation of the role of the documentary film making.

Key words: Documentary film, soviet media model, autocratic media model, mass communication.

შესავალი

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, პოლიტიკური სისტემის რესტრუქტურიზაციის შედეგად, ჩამოყალიბებული **კომუნისტური** ხედვა მნიშვნელოვნად უკავშირდებოდა მედიას, როგორც გავლენიან სუბიექტს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში. სამთავრობო მედია უზრუნველყოფდა ინფორმირებას, განათლების, ცოდნის, გართობისა და სხვა საჭირო „ფასეულობების“ გავრცელებას. მსგავსი მიდგომებით საზრდოობს **ავტორიტარული მოდელიც**, სადაც ელიტა, გავლენიანი ბიუროკრატია მართავს პროცესებს. ამ ორ თეორიას შორის განსხვავება ერთ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან დეტალში იმალება. საბჭოთა მოდელისგან განსხვავებით, ავტორიტარული მიდგომა უგულებელყოფს ნებისმიერი სახის უკუკავშირს. თავის მხრივ, საბჭოთა შეხედულებები გამორიცხავს ელიტურ მმართველობას, მასობრივი კომუნიკაცია ეფუძნება ერის ინტერესებს, ამ უკანასკნელს კი ხელისუფლება განსაზღვრავს.

„ავტორიტარები განსაზღვრავენ მედიის ფუნქციებს, ესაა მათი ძირითადი მიზანი. ეს მიზნები კი აუცილებლად აკონტროლებენ კომუნიკაციას როგორც კულტურულ, ისე პოლიტიკურ ასპექტში“. (Siebert, Peterson, & Schramm, 1956)

აღნიშნულს ზედმიწევნით აცნობიერებდნენ მმართველ წრეებში, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო საბჭოთა და ნაცისტურ რეალობაში აღმოჩნდა. მხარეები ზუსტად იაზრებდნენ სასურველი ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე დამაჯერებელი, სანდო და ამომწურავი ფორმის - დოკუმენტალისტიკის მნიშვნელობასაც და იყენებდნენ კიდეც მას თავისი პროპაგანდისტული მიზნებისთვის.

მეთოდოლოგია

„ლიტერატურის ეფექტური და კარგად სტრუქტურირებული მიმოხილვა, როგორც კვლევის მეთოდი ქმნის მყარ საფუძველს ცოდნის გაღრმავებისა და თეორიის განვითარებისთვის.“ (Snyder, 2019) წარმოდგენილი ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, რელევანტური მეთოდი ნახევრად სისტემური ლიტერატურის მიმოხილვაა. კერძოდ, დროთა განმავლობაში შემუშავებული მედიათეორიების თანმიმდევრული ანალიზი და მათი განხილვა დოკუმენტური კინოსთან, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ეფექტური საშუალებასთან მიმართებაში არსებული ცოდნის ხელახლა გადააზრების შესაძლებლობას იძლევა.

„ერთი ქეისიდან გამოტანილ მტკიცებულებაზე დაყრდნობა და მისი მცდელობა, ასახოს საქმის უფრო ფართო მახასიათებლები“ განასხვავებს ქეის-სთადის სხვა მეთოდებისგან (Gerring, 2006, გვ. 42). მისთვის დამახასიათებელი დეტალურობა, აღწერითობა, ევრისტიკულობა და ინდუქციურობა საკითხს მარტივად აღსაქმელს ხდის მკითხველისთვის.

იმისათვის, რომ წარმოგვეჩინა დოკუმენტალისტიკის, როგორც პროპაგანდის საუკეთესო იარაღის გავლენა და ძალა გამოვიყენეთ ისტორიის ნიმუშის (case history) ანუ კონკრეტული მაგალითის შესწავლა-ანალიზი. არტურ ასა-ბერგერის სქემის მიხედვით, საკითხზე მსჯელობისას დავეყრდენით მეორეულ წყაროებს (პოპულარული კულტურა, მასმედია). შესაბამისად, საბჭოთა მოდელის, ტოტალიტარული მედიასისტემისა და ჰიპოდერმული ნემსის თეორიაზე მსჯელობისას განვიხილეთ შედეგი ფილმები: „ენთუზიაზმი: დონბასის სიმფონია“; „მარადიული ებრაელი“; „ნების ტრიუმფი“; „რატომ ვიბრძვით“.

თითოეული ქეისი წარმოდგენას იძლევა კონკრეტული პერიოდისთვის აქტუალური მიდგომების შესახებ. ჩამოთვლილი მაგალითების განხილვა ამარტივებს მედიათეორიებისა და მოდელების სპეციფიკის გააზრებას, განზოგადებას, თანამედროვე ტენდენციებთან შედარებას, დასკვნების გამოტანას.

დისკუსია და შედეგები

„ტოტალიტარული მემარჯვენეობიდან რევოლუციურ მემარცხენეობამდე, მათ შორის მოქცეული ყველაზე ზომიერი პოლიტიკური შეხედულებების ჩათვლით, ზოგადად მასმედია და კონკრეტულად კინო, მიიჩნეოდა მასობრივი აზრის მართვისა და მანიპულაციის უპრეცედენტო შესაძლებლობის უპირობო გარანტად“. (Reeves, 2003, p. 6)

საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედებისათვის საბჭოთა რეალობაში აქტიურად გამოიყენებოდა კინოს რიტორიკული ძალა. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ძიგა ვერტოვის (David Abelevich Kaufman) შემოქმედება. რეჟისორი თავისი „არამხატვრული პროპაგანდით“ უპირისპირდებოდა იმ პერიოდის ახალგაზრდა კინორეჟისორების „მხატვრულ რეალიზმს“. (Murray-Brown, 1989) სახელმწიფო უწყებების დაკვეთით გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებში ცხოვრების ამსახველი კადრების კარგად გააზრებული მონტაჟი მანიპულაციის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა.

„ვერტოვი მხარს უჭერდა „ცხოვრების ისეთი სახით გადაღებას, როგორიც არის“, რაშიც ის გულისხმობდა გადაღებას წინასწარ გაუწერელი სცენებით. ეს დაუდგმელი და არაცნობიერი სურათები ვერტოვის „ფაქტები“ იყო. "ფილმის ფაქტები" (როგორც თავადვე უწოდა) შეადგენდნენ ავტორის ნედლეულს, რომელიც შემდეგ უნდა რედაქტირებულიყო პარტიის ინსტრუქციის მიხედვით“. (Murray-Brown, 1989, p. 6)

ასეთი სქემით იქმნებოდა „კინო-სიმართლე“ (Кино-Правда). პარტიული გაზეთის - „პრავდას“ ეკრანული ვერსია. 1920-იან წლებში სულ 23 სერია გადაიცა. აღწერილობითი სიუჟეტი შემდეგ თემებს მოიცავდა: ტროლეიბუსის სისტემის განახლება, გლეხების გაერთიანება კომუნებში,

სოციალ-რევოლუციონერების სასამართლო პროცესი, შიმშილი მარქსისტულ სახელმწიფოში და სხვა.

გარდა მსგავსი საინფორმაციო მასალებისა, აღსანიშნავია დოკუმენტური ფილმები. მაგალითად „ენთუზიაზმი: დონბასის სიმფონია“. ფილმი სტალინის 1928-1932 წლების გეგმებს შეეხებოდა დონბასთან დაკავშირებით. სურათი ასახავდა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ რეგიონში საწარმოების გახსნას, ინდუსტრიალიზაციის პროცესში მუშათა ჯგუფის ჩართულობას, სოციალიზმის გამარჯვებით გახარებული ადგილობრივების ზეიმს და ა.შ.

მასმედიის საბჭოთა მოდელი კარგად იაზრებდა ინფორმაციის, როგორც „ჯადოსნური ტყვიის“ ეფექტის მქონე ძალას, სასურველი შედეგების მისაღწევად. ეს გააზრებული ქმედება კი თავის დროზე „აგიტ-მატარებლის“ იდეამდე მივიდა. 1918 წელს შექმნილი სატრანსპორტო რესურსი გაზეთებისა და პოსტერების სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში გასავრცელებლად გამოიყენებოდა.

რუსეთის სამოქალაქო ომის (1917-1923) პროპაგანდისტულ საქმეებში აქტიურად ჩართული ძიგა ვერტოვი არც ამ გამოწვევას გამორჩენია. კინოგადაღებისა და პროექტირებისათვის საჭირო ტექნიკით აღჭურვილი ორთქლმავალი ეფექტური რესურსი აღმოჩნდა მისი ფილმების ტირაჟირებისათვის. „ლენინის სამი სიმღერა“, „კაცი კინოკამერით“, „მსოფლიოს მეექვსე ნაწილი“ - ეს არასრული ჩამონათვალია იმ სურათებისა, რომელიც „მობილური კინოთეატრის“ საშუალებით გაუზიარეს აუდიტორიას.

„რეჟისორი ინტენსიურად მონაწილეობდა არა მხოლოდ ჩვენებაში, არამედ რეპრეზენტირებაში. ეს მოიაზრებდა ზეპირი ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების შეთავაზებას. ვერტოვი ძალიან სერიოზულად ეკიდებოდა ამ საქმეს.“ (Heftberger, 2015, p. 13) თუმცა, როგორც ირკვევა არ იყო სრულად კმაყოფილი რეალიზების პროცესთ: „ფილმების უმეტესობა იყო მომზადებული უხეშად და დაუდევრად. საშუალო მაყურებელი, რომელიც პირველად უყურებდა, ვერ ხვდებოდა მას სრულად. ეკრანის დაზიანების კორექტირებადი ლინზებით მოგვარებამ ფილმი გასაგები გახადა თითქმის გაუნათლებელი ადამიანისთვისაც კი.“ (Heftberger, 2015)

აუდიტორიისადმი ასეთი დამოკიდებულება და მსგავსი შეხედულებების მიხედვით შემუშავებული სააგიტაციო კამპანია იწვევდა სწორედ „ჯადოსნური ტყვიის“ ეფექტს. არაკრიტიკული, ზედმეტად მიმნდობი მაყურებლით კი თავის მხრივ იკვებებოდა მედიის ავტორიტარული თუ საბჭოთა მოდელები. პასიური საზოგადოების უპირობო მიმღებლობა გამიზნულად გაშვებული მესიჯების მიმართ კონკრეტული ჯგუფების პროპაგანდისტულ მიზნებს მარტივად მისაღწევს ხდიდა.

აღნიშნულს ზედმიწევნით იაზრებდნენ ნაცისტურ გერმანიაშიც. „გებელსმა, რა თქმა უნდა განჭვრიტა, რომ ფილმს შეეძლო იდეების, დამოკიდებულებებისა და რწმენის ტრანსფორმაცია, რისთვისაც იბრძოდნენ კიდეც ბოლშევიკები საბჭოთა კავშირში. მან შეძლო დიდი გავლენა მოეხდინა გერმანიის კინოინდუსტრიაზე, რათა მხოლოდ ის ფილმები შექმნილიყო, რომელიც მას მიზანშეწონილად მიაჩნდა.“ (Reeves, 2003, p. 10)

„ეროვნული საზოგადოების“ ჩამოსაყალიბებლად ან სასურველი ჯგუფების დემონიზაციის მიზნით არაერთი დოკუმენტური ფილმი შეიქმნა. აღნიშნულის სულის ჩამდგმელი სახალხო განათლების და პროპაგანდის რაიხის მინისტრი, პაულ იოზეფ გებელსი გახლდათ.

„მარადიული ებრაელი“ (Der ewige Jude - მოხეტიალე ებრაელი) 1940 წელს გადაღებული ანტისემიტური დოკუმენტური ფილმია. ფრიც ჰეპლერის (Fritz Hippler) ნამუშევარი მხატვრული და დოკუმენტური მასალების ერთობლიობას წარმოადგენს. თხრობითი სტილის ნარატივი

აერთიანებს ჩანაწერებს პოლონეთის გეტოებიდან, ებრაულ რელიგიურ ცერემონიებს, ჰიტლერის გამოსვლას და ა.შ. გებელსი (დამკვეთი) ფილმში შეეცადა ეჩვენებინა „ებრაელების პარაზიტული ბუნება და გაემართლებინა ნებისმიერი ქმედება მათ წინააღმდეგ“ (Fritz, 2011, p. 22)

კინოში გამოყენებული მეტაფორები და ებრაელი ხალხის შედარება ვირთხების მიგრაციასთან, ხალხის შეწუხებული სახეების ახლო კადრები და მთხრობლის სიძულვილის ენით გაჯერებული ტექსტები შემდგომში რეჟისორის გასამართლების საფუძველიც კი გახდა. ჰეპლერი 1946 წელს დამნაშავედ არ ცნეს, თუმცა მისი ეს ნამუშევარი დღემდე აკრძალულია გერმანიაში. „მარადიული ებრაელის“ ჩვენება მხოლოდ კონკრეტული ანოტაციებითა და ცენზურითაა შესაძლებელი.

ავტორიტარული მოდელის პირობებში მმართველი წრეების პროპაგანდისტული იდეების გავრცელებისათვის შექმნილი კიდევ ერთი დოკუმენტური ფილმი „ნების ტრიუმფია“ (Triumph des Willens). ადოლფ ჰიტლერის დაკვეთით გადაღებული კინომასალა ნაცისტური პარტიის 1934 წლის კონგრესს ასახავს. რეჟისორმა, ლენი რიფენშტალმა (Leni Riefenstahl) საზოგადოებას ნიურნბერგში ლიდერების: რიდოლფ ჰესის, იულიუს შტრაიხერისა და თავად ჰიტლერის სიტყვით გამოსვლები უჩვენა. ღონისძიებას 700 000-ზე მეტი მხარდამჭერი დაესწრო. ავტორმაც მასშტაბურობისა და სიდიადის საჩვენებლად არაერთი ვიზუალური ხრიკი გამოიყენა: საჰაერო გადაღება, მოძრავი, დინამიკური კადრები, მსხვილი ხედით ნაჩვენები სიმბოლიკები და მიზანმიმართული ასოციაციები.

ვიდეომასალაში ასახული მასშტაბები, ფრაგმენტები სიტყვით გამოსვლებიდან, ემოციები არაერთი სხვა დოკუმენტური თუ სატირული მასალის ინსპირაციად იქცა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ერვინ ლეიზერის „Mein Kampf“ და ჩარლი ჩაპლინის „The Great Dictator“.

როგორც ჩანს, ფილმმა თავისი ფუნქცია პირნათლად შეასრულა და „ჯადოსნური ტყვიის“ ეფექტით გამოწვეული გარკვეული „ნაიარევი“ დატოვა აუდიტორიაზე. აღნიშნულზე აშშ-ს ომის დეპარტამენტის საპასუხო ქმედება მეტყველებს. ხელისუფლების დაკვეთით მომზადებული პროპაგანდისტული სერიები - „რატომ ვიბრძვით“ (Why We Fight) შვიდი ნაწილისგან შედგება. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1942-1945 წლებში მომზადებული მასალა თავდაპირველად ჯარისკაცებისთვის იყო განკუთვნილი. ციკლი შეერთებული შტატების ომში ჩართვის მიზეზებს, აუცილებლობას და უპირატესობებს ასახავდა. პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტის გადაწყვეტილებით, დოკუმენტური ფილმების სერია შემდგომში უფრო ფართო აუდიტორიაშიც გაავრცელეს.

ფრენკ კაპრას რეჟისორობით შექმნილი ციკლის მთავარი მიზანი „ნების ტრიუმფით“ მოხდენილი ეფექტის გადაფარვა და ნეიტრალური ქვეყნებისგან მხარდაჭერის მოპოვება იყო. დისნეის ანიმაციებით, მოწინააღმდეგეთა ფილმიდან გამოყენებული კადრებით, მტრის „სურათების“ ჩვენებით, მონტაჟის ტექნიკისა და ზოგჯერ კონტექსტიდან ამოღებული ფრაგმენტების გამიზნული წარდგენით ავტორი შეეცადა, საზოგადოებისთვის ეჩვენებინა ნაცისტური გერმანიის რეალური სახე და დემოკრატიული სახელმწიფოების უპირატესობა ფაშიზმთან შედარებით.

„სერიები შეიქმნა ინფორმირებისა და შთაგონების მიზნით, რათა ეჩვენებინათ ჯარისკაცებისთვის რისთვის და რატომ იბრძოდნენ. კომპილაცია, თითქოს შეუსაბამო და დაუკავშირებელი კადრების მონტაჟი ერთ შეკრულ არგუმენტს წარმოადგენდა. ისტორიულად ეს ციკლი იყო კომერციული კინოინდუსტრიის ნიჭის შეხვედრა დოკუმენტალისტიკის მძლავრ ტრადიციებთან და ომის საჭიროებასთან“. (Bohn, 2018)

მიმდინარე მოვლენების შესაბამისი, ავთენტური ნარატივითა და გარემო ხმაურიდან მნიშვნელოვანი სიგნალის გამორჩევის უნარით დოკუმენტური კინო მმართველობის ნებისმიერი ფორმისა თუ სხვადასხვა დროს დომინირებული მედიამოდელისათვის აუდიტორიაზე გავლენის მოპოვების შეუცვლელ მედიუმს წარმოადგენდა.

დასკვნა

დოკუმენტური კინო, როგორც ცხოვრებისეული ფრაგმენტების ავტორისეული რეალიზება, საინტერესოა კონკრეტული პერიოდისთვის დაწინაურებული მმართველობითი მოდელებისა და სხვადასხვა დროს შემუშავებული თეორიული ცოდნის პირობებში.

თავდაპირველად მოძრავი სურათების რამდენიმეწამიანი წყობა საკმარისი იყო აუდიტორიის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. იმ პერიოდისთვის ერთი შეხედვით არავითარ კავშირში მყოფმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა გამომგონებლებს მისცა შესაძლებლობა, შეექმნათ კინო, როგორც ინფორმაციის გავრცელების ახალი რესურსი და გართობის საშუალება. მაყურებელი ფულს იხდიდა ყოველდღიურობის ამსახველი მდუმარე სცენების ხილვაში.

ამბის თხრობის ახალი ფორმა დიქტატორული მმართველობის პირობებში შემეცნებითი სანახაობიდან გავლენიან პროპაგანდისტულ იარაღად იქცა. გადაღებისა და მონტაჟის ახალმა ტექნიკამ რეჟისორებს სასურველი მესიჯის გავრცელების ეფექტური გზები აპოვნინა. კონკრეტულმა მმართველმა წრეებმა ინტერესების შესაბამისად, მიზანმიმართულად გამოიყენეს კინოს ექსპრესიული და დამაჯერებელი ხასიათი.

ნაშრომში განხილული მაგალითები ადასტურებს, რომ აუდიოვიზუალური თუ ტექნიკური უპირატესობებით, უნიკალური სტილისტური მახასიათებლებითა და ფორმებით დოკუმენტური კინო თავის დროზე მასაზე ზემოქმედების მთავარი იარაღი გახდა. მუდმივად პროგრესირებადი ხასიათის გათვალისწინებით კი დღეს პლურალისტური იდეების, ცოდნისა და პროგრესული შეხედულებების გავრცელების შეუცვლელი რესურსი.

ბიბლიოგრაფია

1. Bohn, T. W. (2018). Why We Fight. *Library of Congress*.
2. Heftberger, A. (2015). Propaganda in Motion. Dziga Vertovs and Aleksandr Medvedkins Film Trains and Agit Steamers of the 1920s and 1930s. *Apparatus. Film, Media and Digital Cultures of Central and Eastern Europe*.
3. Klapper, J. (1960). *The Effects of Mass Communication.*
4. MacLuhan, M. (1964). *Understanding media : the extensions of man.* New York : McGraw-Hill. Retrieved 11 10, 2023, from urn:lcp:understandingmed0000mclu_w3l3:epub:d80478fe-369b-44fa-bbbf-27e60964136d
5. Murray-Brown, J. (1989). False Cinema: Dziga Vertov and Early Soviet Film. *The New Criterion, 8*(3), 21-33.
6. Nichols, b. (2017). *Introduction to documentary.* USA: Indiana university press.
7. Reeves, N. (2003). *Power of Film Propaganda.* Londin: Cpntinuum.
8. Rotha, P. (1935). *Documentary Film.* London, UK: Faber & Faber.
9. Siebert, F., Peterson, T., & Schramm, W. (1956). *Four theories of the press: The authoritarian, libertarian, social responsibility, and Soviet communist concepts of what the press should be and do.* University of Illinois press.

10. Simonson, P., & Park, D. W. (2015). Crossing the Borders: Herta Herzog's Work in Communication and Marketing Research. In *The International History of Communication Study* (pp. 255-273). London: Routledge.

სოციალური რეკლამა მედიათეორიების კონტექსტში
Social advertisement in the context of media theories

სოსო გაზდელიანი
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
Soso Gazdeliani
Ph. D. student of mass communication doctoral educational program
Caucasus International University

აბსტრაქტი. სოციალური ლანდშაფტი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. გარკვეული პროგრესის კვალდაკვალ, საზოგადოების ცხოვრებაში დროდადრო, სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, არაერთი პრობლემა იჩენს თავს.

სოციალური პრობლემების გადასაჭრელად მნიშვნელოვანია პრეცედენტული ქმედებების განხორციელება, რომლის ძალაც, ხშირ შემთხვევაში, მედიას შესწევს. მან, თავისი წილი პასუხისმგებლობის შესაბამისად, უნდა განახორციელოს პროსოციალური აქტივიზმი. სოციალური რეკლამების პერიოდული ეკრანიზაციით მედიას შეუძლია, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის პროცესს.

- დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა შეიძლება დაეხმაროს კომპანიებს კეთილგანწყობის მოპოვებაში, ახალი იდეებისა და რესურსების მოპოვებაში. ეს შეიძლება განხორციელდეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სათემო ორგანიზაციებთან, მომწოდებლებთან პარტნიორობის გზით.

დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი და კონსტრუქციული თანამშრომლობით კომპანიებს შეუძლიათ უზრუნველყონ მათი ESG პრაქტიკის შესაბამისობის დადგენა ძირითადი ჯგუფების ღირებულებებთან და მოლოდინებთან და ამით ხელი შეუწყონ მშენებლობაში მდგრად მომავალს.

ESG-ის მომავალი მშენებლობაში. დასკვნითი მოსაზრებები. სამშენებლო ინდუსტრიას შესწევს გარე სამყაროს ფორმირების უნარი, შესაბამისად გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების გათვალისწინებით კომპანიებს შეუძლიათ შექმნან უფრო მდგრადი მომავალი მშენებლობაში.

რამდენად ESG პრინციპების მიმართ სამშენებლო ინდუსტრიაში სულ უფრო იზრდება დაინტერესება, კომპანიებისთვის, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, მნიშვნელოვანია მათი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რაც უზრუნველყოფს სამშენებლო ინდუსტრიის სამართლიან, პასუხისმგებლიან და მდგრად მომავალს.

გამოყენებული ლიტერატურა

1.United Nations, Department of Economic and Social Affiars, Sustainable Development, https://sdgs.un.org/goals

2. ESG Guidelines: Through Double Materiality Perspective, 2023, https://nbg.gov.ge/fm/D/esg-guidelines-nbg-2023.pdf?v=6ciod

3.ბიზნესის მდგრადი განვითარება, BDO Georgia, 2023, https://www.bdo.ge/ka-ge/servisebi/biznes-consultaciebi-ka/mdgradi-ganvitareba/biznesis-mdgradi-ganvitarebistvis

4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სახელმძღვანელო. სამუშაო ვერსია, თბ.2022

5.საქართველოს მთავრობის დადგენილება N629, 20.12.2019, https://faolex.fao.org/docs/pdf/geo205261.pdf

5. Syed Ahmed, ESG in Construction: 5 Key Strategies for Reducing Environmental Impact, 2022; https://www.techtarget.com/sustainability/feature/ESG-strategy-and-management-Complete-guide-for-businesses5

6.Шемякина Т.Ю. Применение ESG-факторов в инвестиционных строительных проектах//Вестник университета. 2021. № 3. С. 132–139.6. Shemyakina T., "application of ESG factors in Investment construction projects", Университетский вестник, N3. 2021, C. 132–139. https://cyberleninka.ru/article/n/primenenie-esg-faktorov-v-investitsionnyh-stroitelnyh-proektah/viewer

7.Environmental Impact Assessment, ევროპის კომისიის ელექტრონული გვერდი, https://environment.ec.europa.eu/law-and-governance/environmental-assessments/environmental-impact-assessment_en

8.Gordon Scot / The Investopedia Team, https://www.investopedia.com/terms/e/environmental-social-and-governance-esg-criteria.asp, updated July, 30, 2024

9.Kara Anderson, https://greenly.earth/en-us/blog/company-guide/esg-criteria-what-you-need-to-know, updated July, 24, 2024

„მწვანე ეკონომიკა" - რეალური საჭიროება თუ პოპულისტური ტენდენცია
"Green economy" - a real need or a populist trend

ვალერი მოსიაშვილი - ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
Valeri Mosiashvili - Doctor of Economics, Professor
Georgian National University, Seu
ანა ბერიაშვილი - მენეჯმენტის ბაკალავრი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
Ana Beriashvili - Bachelor of Management

აბსტრაქტი. ჩვენს კვლევაში შევეცადეთ გადმოგვეცა „მწვანე ეკონომიკის“ არსის თანამედროვე ავტორისეული შეხედულება, რამდენადაც თანამედროვე პერიოდში სამეცნიერო წრეებსა თუ საზოგადოებაში არაერთგვაროვნად აღიქმება აღნიშნული. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ „მწვანე ეკონომიკა“ გაგებული უნდა იქნას, როგორს ეკონომიკის ახალი სექტორი, რომელიც გააუმჯობესებს ქვეყნის ბუნებას. ზოგიერთი შეხედულებით - ეს არის ეკოსისტემები, რონმელებიც შექმნილია ბუნების „დასახმარებლად“, ადამიანთა ზემოქმედების/ჩარევის შესარბილებლად. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის თანახმად, „მწვანე ეკონომიკა“ ეს უფრო „პოპულისტური ტენდენციაა“, რომელიც მომდინარეობს მაღალგანვითარებული ქვეყნებიდან, რამდენადაც რეალურად მისი შედეგი წამოების მასშტაბების/მოცულობის შემცირებაა და განვითარებული ქვეყნები ამას „არ უნდა დათანხმდნენ“, რამეთუ „მსოფლიო დაბინძურებაში“ მათი წვლილი მინიმალურია.

ჩვენ შევეცადეთ არსებული აზრთა სხვადსხვაობის მიუხედავად გაგვეანალიზებინა „მწვანე ეკონომიკის“ სავარაუდო პერსპექტივები. მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკის გაცნობის, მეორეადი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, გამოვიყენეთ ინდუქციურ, სინთეზისა და ანალოგიის მეთოდები და გავაკეთეთ ავტორისეული დასკვნები და რეკომენდაციაები. აღვნიშნეთ, რომ მწვანე ეკონომიკა ეფუძნება სუფთა ან „მწვანე“ ტექნოლოგიებს. ავტორთა აზრი, „მწვანე ეკონომიკის“ განვითარება ჩვენს როგორც ზოგადად მსოფლიო თანამეგობრობვას, ასევე კონკრეტულად ეროვნულ ეკონომიკას საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს გარემოსდაცვითი კრიზისი, რომელიც უკვე შეეხო ბევრ პოსტინდუსტრიულ ქვეყანას, და რომელიც დიდი ალბათობით გავლენას მოახდენას ასევე დაბალგანვითარებულ, „მესამე სამყაროს ქვეყნებზე“. ჩვენს წინამდებარე კვლევაში შეცევცადეთ დაგვესაბუტებინა, რომ „მწვანე ეკონომიკის“ „მხარდასაჭერად“ვფიქრობთ კარგი იქნება, თუ შემოღებული იქნება „ტობინის გადასახადი“ ყველა საერთაშორისო სავაჭრო ტრანზაქციაზე, რათა შეგროვილი თანხებით მოხდეს „ეკონომიკური დანაკარგების“ კომპენსირება.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ეკონომიკა, უნარჩენო წარმოება, ეკოლოგია, ეკოსისტემა, მწვანე ტექნოლოგია.

Abstract. In our research, we tried to convey the modern author's view of the essence of "green economy", as it is not uniformly perceived in scientific circles and society in the modern period. Some believe that "green economy" should be understood as a new sector of the economy that will improve the nature of the country. According to some views - these are ecosystems, Ronmels are also designed to "help" nature, to mitigate human impact/interference. According to a certain group of scientists, the "green economy" is more of a "populist trend" that comes from highly developed countries, as it actually results in a reduction in the scale/volume of emissions, and developed countries "shouldn't agree" to this, because their contribution to "world pollution" is minimal.

We tried to analyze the possible perspectives of the "green economy" despite the existing differences of opinion. Based on familiarization with world best practices, analysis of secondary information, we used inductive, synthesis and analogy methods and made authoritative conclusions and recommendations. We mentioned that the green economy is based on clean or "green" technologies. According to the authors, the development of the "green economy" will allow our world community in general, as well as our national economy in particular, to avoid the environmental crisis that has already affected many post-industrial countries, and which will most likely affect the less developed, "Third World" countries as well. In our present study, we have tried to prove that in order to "support" the "green economy", we think it would be

good if a "Tobin tax" is introduced on all international trade transactions to compensate the "economic losses" with the collected funds.

Key words: green economy, efficient production, ecology, ecosystem, green technology.

მტკიცებულებათა სტანდარტის ანალიზი სექსუალური შევიწროებისას
Analysis of the standard of proof in sexual harassment

დიმიტრი ცანავა - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი
Dimitri Tsanava - Caucasus International University
Student of the Doctoral Program in Law

აბსტრაქტი. სექსუალური შევიწროების საქმეზე მტკიცებულებითი სტანდარტის ანალიზის და მასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით, ნაშრომში განხილულია სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. ესენია: სექსუალური შევიწროების არსი, მატერიალური შემადგენლობა, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მისი მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, სექსუალური შევიწროების პრობლემური ხასიათი გამოხატულია დღეს არსებული ნორმის არაეფექტურობიდან გამომდინარე.

ვინაიდან და რადგანაც ადმინისიტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი ვერ უზრუნველყოფს თავისი ბუნებით სამართლებრივი პრინციპების სწორად და ჯეროვნად გამოხატვას ადამიანის უფლებისა და თავისუფლების კუთხით და აუცილებელობა დადგა საკითხის სისხლისსამართლებრივ ჭრილში განხილვის. სექსუალური შევიწროების განმეორებით ჩადენის არაერთი შემთხვევა არის პრაქტიკაში ეს კიდევ ერთი მიმანიშნებელი ფაქტორია ნორმის არაეფექტურობის. მითუმეტეს როცა სექსუალური შევიწროების ელემენტები ისედაც გვქონდა სისხლისს ამართალში შედეგობრივი დელიქტის არსებობის დროს.

იმისათვის რომ სექსუალური შევიწროების ფაქტებმა იკლოს საჭიროა სასჯელის გამკაცრება, პირები რომლებსაც ადმინისტრაციული სახდელი ადევთ სექსუალური შევიწროებისთვის განმეორებითი ჩადენა შემთხვევაში პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსით უნდა დაეკისროთ. მიზანშეწონილია სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს ცვლილება ვინაიდან ქმედების მართლსაწინაღმდეგოდ შეფასებისთვის საჭიროა ადმინისტრაციულიდან სისხლისამართალში გადატანა რათა დაკმაყოფილდეს კანონის მოთხოვნა, კერძოდ ჩამოყალიბდეს სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური მუხლი სექსუალური შევიწროების საქმეებზე სახელმძღვანელოდ.

Abstract. To analyze the standard of proof in the case of sexual harassment and to identify its related difficulties, the thesis examines the current issues of sexual harassment, which are: the essence of sexual harassment, the substantive structure, its regulatory domestic and international legal acts, The problematic nature of sexual harassment is due to the ineffectiveness of the current norm.

Since the code of Administrative Offenses, by its very nature, cannot ensure the correct and accurate expression of legal principles in terms of the protection of human rights and fundamental freedoms, it became necessary to consider the issue from the view of Criminal law. There are many cases of repeated sexual harassment in practice, which is another indicator of the ineffectiveness of the current norm. Especially when we already had the elements of sexual harassment in criminal law when dealing with criminal acts where the result has already been achieved.

To decrease the cases of sexual harassment, it is necessary to toughen the punishment. Persons, on whom the administrative penalties were imposed for sexual harassment, should be held responsible under the criminal code in the case of repeated acts of sexual harassment. It is advisable to amend the criminal code since to deem an act as a misdemeanor, it is necessary to transfer it from administrative law to criminal law to meet the requirements of the law, particularly, to draft a special article in the criminal code for sexual harassment cases.

სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ეროვნულ დონეზე მოქმედ რიგ საკანონმდებლო აქტებში, რომელთა შორისაა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი,[95] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. გარდა იმისა, რომ 2019 წელს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად გამოცხადდა საზოგადოებრივ სივრცეში სექსუალური შევიწროება, მისი დეფინიცია დისკრიმინაციის ამკრძალავ ცალკეულ აქტებშიც განისაზღვრა, მაგალითად, შრომის კოდექსში, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში. სექსუალური შევიწროების ლეგალური დეფინიციის განსაზღვრა მისასალმებელია და წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ნორმის განჭვრეტადობის და სამართლებრივი ხარისხიანობის თვალსაზრისით.

ფსიქოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა რომ სექსუალური შევიწროება ღირსების შემლახავ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ. საერთაშორისო გამოცდილებას, თუ გადავხედავთ ნათლად დავინახავთ, რომ საჭიროა ბალანსის დაცვა გამოხატვის თავისუფლების მიმართებასა და პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის განმსაზღვრელ წინაპირობასთან. თუ ნორმის მოქმედების სფერო იქნება მკაფიოდ განსაზღვრული სექსუალური შევიწროების აკრძალვა უდავოდ მისაღები იქნება სოციუმისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია შევიწროებასთან მიმართებით არ შეიცავს კონკრეტულ ჩანაწერს მაგრამ საკითხი, რომელიც პრობლემურია და უნდა აღმოიფხვრას მაინც არ რჩება სასამართლოს მოქმედების არეალის მიღმა. სასამართლოს მიერ სექსუალური შევიწროება აღქმულია როგორც ღირსების შემლახავი მოპყრობა, კონვენციის მესამე მუხლის ფარგლებში, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს პრაქტიკა მერვე მუხლთან მიმართებით, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო პასუხიმგებელია და ეკისრება ვალდებულება დაიცვას პირი შეურაცხმყოფელი ქმედებისაგან, სექსუალური შევიწროების დროს პირისთვის ემოციური ტანჯვის მიყენება ხდება, რაც კონვენციის ამოქმედების შესაძლებლობას იძლევა და მესამე მუხლით გათვალისწინებული ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის ქვეშ ექცევა. შეურაცხმყოფელი გამონათქვამები სექსუალური შევიწროების დროს მოქმედებს პირის თავმოყვარეობაზე, სიამაყეზე, აგრეთვე, შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს მისი რეპუტაცია, რა დროსაც ხორციელდება პირისთვის მტრული და ღირსების შემლახავი გარემოს შექმნა. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა შექმნას ამგვარი ჩარევის წინაღმდეგ ეფექტური ბრძოლის სამართლებრივი საშუალება. სექსუალური შევიწროება ფართო გაგებით შეიძლება სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა სოციუმში ერთი და იმავე სქესის, თუ გენდერული იდენტობის ადამიანებს შორის გამოვლინდეს. სექსუალური შევიწროების გამოვლინება ვერბალური, არავერბალური, ფიზიკური ფორმით ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლებელია ზუსტად განვსაზღვროთ და კანონმდებლობაში ავსახოთ ყველა ის მოქმედება და ხერხი, რომელმაც შეიძლება მოგვცეს სექსუალური შევიწროების შემადგენლობა. ვინაიდან თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია,

[95] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი”, №4113-რს, 17/12/2010, მუხლი 4 (5) (6).

შესაბამისად ვერბალური მოქმედებაც მისი ინტელექტისა და სიტყვათა მარაგის ფლობის პროპორციულად ვლინდება.

სექსუალური შევიწროების განმარტება ფრთხილ შეფასებას მოითხოვს, რადგანაც გათვალისწინებულ უნდა იქნას ფაქტორი, რომლის მიხედვითაც არასასურველი ქცევა განსხვავებულია სხვადასხვა სოციუმისთვის. აქ საყურადღებოა მსხვერპლის დამოკიდებულება, აღიქვა თუ არა მან ქმედება არასასურველად. სექსუალური შევიწროების შემცველი ელემენტების აკრძალვა პირისთვის გარკვეული დამცავი გარანტიის შექმნაა. იმისთვის, რომ მოხდეს ქმედების არასასურველად იდენტიფიცირება, საჭიროა სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინება. სექსუალური შევიწროების სუბიექტური კონცეფციის შესაქმნელად აუცილებელია მსხვერპლმა შეაფასოს კონკრეტული მოქმედება. მსხვერპლს შეუძლია განმარტოს, თუ რა ქმედებას მიიჩნევს იგი სასურველად და არასასურველად. მსხვერპლის მიმართ ნებისმიერი სექსუალური ხასიათის მატარებელი ქმედება სექსუალურ შევიწროებად იქცევა მას შემდეგ, როცა მსხვერპლი მიანიშნებს მოქმედების არასასურველობაზე და ამის შემდგომ, ეს არასასურველი ქმედება კვლავ განხორციელდება მის მიმართ. სექსუალური შევიწროების ობიექტურ კრიტერიუმს წარმოადგენს ხანგრძლივობა და განმეორებითობა, რომლითაც ხდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადგენა. თუმცა, რიგ შემთხვევაში ერთჯერადი მოქმედებითაც შესაძლებელია დადგინდეს სექსუალური შევიწროების ფაქტი, როდესაც მსხვერპლის მიმართ ძალადობრივ ქმედებას აქვს ადგილი. ქმედება სექსუალურ შევიწროებად კვალიფიცირდება იმ შემთხვევაში, თუ მოქმედება მესამე პირის მიერაც აღქმული იქნება არასასურველად. მაგალითად: ,,ა" რომელიც არის მშენებელი, ხედავს მისი თანამშრომელი დარაჯი ,,ჯ" ბუღალტერს ყოველდღე აკითხავს კაბინეტში და ეუბნება კომპლიმენტებს, სადაც სექსუალური ხასიათი ვლინდება. ,,ა"-ს მიერ ,,ჯ"-ს მოქმედება არასასურველად არის აღქმული, ვინაიდან ,,ა" შეამჩნია რომ არ სიამოვნებს ბუღალტერ ,,ჟ"-ს ,,ჯ"-ს კომპლიმენტები.

სექსუალური შევიწროების მაკვალიფიცირებელი ელემენტი არის ქმედების არასასურველობა მსხვერპლისთვის. არასასურველობის კრიტერიუმი სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს შემდეგი კრიტერიუმით: 1) მომჩივნის სუბიექტური პერსპექტივა - რამდენად აღიქვა მომჩივანმა სავარაუდო შემავიწროებლის ქმედება არასასურველად; 2) მომჩივანის ობიექტური პერსპექტივა - რამდენად აღქმადი იქნებოდა სხვა პირის მიერ ქმედების არასასურველობა; 3) მოპასუხის სუბიექტური პერსპექტივა - რამდენად იცოდა მოპასუხემ, რომ მისი ქმედება არასასურველად იქნებოდა აღქმული; 4) გონიერი მოპასუხის პერსპექტივა - რამდენად აღქმადი იქნებოდა ნებისმიერი გონიერი პირისთვის, რომ მსგავსი ქმედება არასასურველი იქნებოდა ადრესატისთვის. სასამართლომ ასევე უნდა გაითვალისწინოს და მხედველობაში მიიღოს სავარაუდო მსხვერპლის მაპროვოცირებელ ქმედება.[96] საქმის სასამართლოში განხილვის დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ის გარემოებები, რომელიც წინ უძღოდა მსხვერპლისთვის არასასურველ ქმედებას, სადაც მთლიანობაში სისტემურ ანალიზს მოითხოვს სექსუალური ქმედების ხასიათი და მისი განხორციელების კონტექსტი. როდესაც სექსუალური შევიწროების შესახებ აცხადებს სავარაუდო მსხვერპლი, მან უნდა დაასაბუთოს კონკრეტულად რაში გამოიხატა მის მიმართ ქმედება. მან უნდა მიუთითოს მტრულ გარემოზე, რომელმაც საფუძვლიანად შეცვალა და გააუარესა მის გარშემო სიტუაცია.

ობიექტურად რომ შეფასდეს ქცევა გონივრულობის კრიტერიუმით, უნდა განისაზღვროს არის თუ არა კონკრეტული მოქმედება სექსუალური შევიწროება. ამისთვის უნდა დაწესდეს ქცევისთვის ზღვარი, რითიც განისაზღვრება მძიმე და უმნიშვნელო ქცევის ფორმები.

[96] სექსუალური შევიწროებასა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია, თბილისი 2021 წელი, გვერდი 50

მაგალითად: თუ ქცევამ ძალადობრივი სახე მიიღო, ამ შემთხვევაში სექსუალური შევიწროების შემადგენლობა აშკარად გამოხატულია, ვინაიდან ქცევით მტრული გარემო იქმნება და მსხვერპლს არასასურველობის მტკიცება არ მოეთხოვება. მეორე მხრივ ქცევა შეიძლება იმდენად უმნიშვნელო იყოს, რომ მიუხედავად მსხვერპლის მიერ ამ ქმედების შეურაცხმყოფლად აღქმისა, იგი საკმარისი არ იყოს სექსუალურ შევიწროებად კვალიფიკაციისთვის. ამ შემთხვევაში ,,სავარაუდო მსხვერპლის სუბიექტურ პერსპექტივასთან მიმართებით უპირატესობით აღიჭურვება ქმედების მასშტაბის ობიექტური შეფასების კრიტერიუმი, გონივრულობის სტანდარტის, რომელიც მოიაზრება ქცევის მასშტაბის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებისას ქმედების კვალიფიკაციის დროს. სექსუალური შევიწროება, როგორც თავისი არსით სუბიექტური კონცეფცია მისი ანალიზისას ექცევა ობიექტური ლიმიტაციის გონივრულ ფარგლებში“. [97]

სექსუალური შევიწროების ქმედების ანალიზის დროს აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ქმედების განმეორებითობაზე, ვინაიდან შევიწროების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშნად გვევლინება ქმედების განმეორებითობა, რომელიც კავშირშია გონივრულობასთან. ხშირად სექსუალური შევიწროება რამდენიმე მოქმედებად გვევლინება, რაც საერთო ჯამში ერთ მთლიან ჯაჭვს ქმნის. განმეორებითობა კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ელემენტია როცა საქმე გვაქვს სექსუალური შევიწროების შედარებით მსუბუქ ფორმებთან. განმეორებითობას მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებათა სანდოობის კუთხითაც.

რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს- სექსუალურ შევიწროებას შეუძლია გამოიწვიოს მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამ დროს მსხვერპლს ადგება ფსიქოლოგიური და მორალური ზიანი, რომლის მტკიცებაც მსხვერპლს არ უწევს, ვინაიდან, სექსუალური შევიწროება თავის თავში მოიაზრებს აღნიშნულ შედეგს. მაგალითად, ქმედება სექსუალურ შევიწროებად რომ ჩაითვალოს აუცილებლად უნდა ქონდეს ადგილი პირის ღირსების შელახვას, დამცირებას, მტრულ, შეურაწმყოფელ გარემოში უნდა უწევდეს ყოფნა.

სექსუალური შევიწროების დროს მსხვერპლს ადგება ზიანი, შედეგი სხვადასხვაგვარი და სერიოზულია, შევიწროება უარყოფითად მოქმედებს ზოგადად იმ გარემოზეც სადაც უშუალოდ მსხერპლს უწევს ყოფნა. სექსუალურ შევიწროებას განსხვავებული მახასიათებლები ახლავს თან რომელიც ადამიანზე უარყოფითად მოქმედებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სექსუალური შევიწროება ხშირ შემთხვევაში ხასიათდება, როგორც ფარული ქმედება და ხილულია მხოლოდ სავარაუდო მსხვერპლისთვის და სავარაუდო შემავიწროებლისთვის. შესაბამისად გართულებულია მტკიცებულების მოპოვება როგორც მოწმის ჩვენების, ისე მატერიალური სახით. ამ ყველაფერს ართულებს მსხვერპლის მოქმედება რომელიც მიმართულია შემთხვევის დავიწყებისკენ და დავიწყების პროცესში ანადგურებს ყველა მტკიცებულებას, რომელიც შემდგომში დაადასტურებდა შემავიწროებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ასევე არსებობს შემთხვევები, როცა მსხვერპლი ვერ გადმოსცემს მომხდარის შესახებ დეტალურ ინფორმაციას, ვინაიდან იგი მსხვერპლისთვის იწვევს სტრესს და ფაქტების გონებაში რეკონსტრუქცია დიდ ფსიქოლოგიურ ძალისხმევას საჭიროებს. ამერიკაში ადამიანის უფლებათა ტრიბუნალმა განიხილა ერთ-ერთი საქმე, რომელიც ეხებოდა სექსუალურ შევიწროებას. ტრიბუნალისთვის მტკიცებულებათა ნუსხა იყო მწირი, მაგრამ მსხვერპლის ნაამბობის საფუძველზე მაინც დადგინდა სექსუალური შევიწროების ფაქტი. აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლი ვერ გადმოსცემს მომხდარის სრულ ფაქტობრივ

[97] გვერდი სექსუალური შევიწროებასა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია, თბილისი 2021 წელი, გვერდი 60

აღწერილობას, ტრიბუნალმა სექსუალური შევიწროების საქმეზე მტკიცებულებად მიიღო ფაქტი სადაც მსხვერპლი შოკირებული იყო, არიცოდა როგორ მოქცეულიყო და რეაგირება როგორ მოეხდინა მომხდარზე. ტრიბუნალმა აღნიშნა რომ მსხვერპლის რეაქცია შემავიწროებელის მიერ მოულოდნელ მოქმედებას შეესაბამებოდა.

სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენის დროს, მხარეების მიერ მოწოდებული ინფორმაცია მოწმდება სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ესენია: ქცევა, ფაქტი, დამაჯერებლობა, დადასტურება, წარსული მოქმედება. სექსუალური შევიწროების დადგენისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წერილობითი დოკუმენტი, ფოტომასალა, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი, ინტერნეტ მიმოწერა, სატელეფონო მიმოწერა, მესამე პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ფსიქოლოგის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. გამოძიების დროს შესაძლებელია კონკრეტული მტკიცებულების ნამდვილობის დადასტურების საკითხი დადგეს. წარმოდგენილი მტკიცებულების ნამდვილობა უნდა დაადასტუროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირმა ან დაწესებულებამ.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს ისეთ მტკიცებულებით სტანდარტებს, როგორებიცაა: დასაბუთებული ვარაუდი, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები, ალბათობის მაღალი ხარისხი და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი.[98] ამავე კოდექსის ცალკეული ნორმები კი იმპერატიულად მიუთითებენ, რომ გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას უნდა ეფუძნებოდეს, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.[99] გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უნდა გამორიცხავდეს ეჭვებისა და ვარაუდების საფუძველზე პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.“[100] შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს პირის დამნაშავეობა/უდანაშაულობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აქვს სახელმძღვანელო მტკიცებულებითი სტანდარტი (გონივრულ ეჭვს მიღმა), რომელის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დაცვაში, არსებითად ამცირებს უსამართლო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფრთხეს და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხელს უწყობს შეცდომის დაშვების საფრთხის თავიდან აცილებას.[101] როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი ჩანაწერი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვასთან მიმართებით არ გვხვდება, რაც საკანონმდებლო ხარვეზად უნდა ჩაითვალოს და ამ თვალსაზრისით, აუცილებელია კონკრეტული ზომების მიღება.

სექსუალური შევიწროება, უმეტესად, ხილულია მხოლოდ მისი ჩამდენი პირისა და ადრესატისათვის, ხოლო საზოგადოების დანარჩენი წევრებისთვის შეუმჩნეველად ხდება, რაც მის გამოვლენას და დასჯადობას თავისთავად ართულებს. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციით ირკვევა, ასკ-ის 166[1] მუხლის ამოქმედებიდან (2019 წლის 10 მაისი) 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით სექსუალური შევიწროების სულ 43 ფაქტი, ხოლო 2020 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში - 24

[98] საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, N1772, 09.10.2009, მუხლი 3 (11) (11[1]) (12) (13).

[99] საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, N1772, 09.10.2009, მუხლი 13 (1); 82 (3).

[100] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44.

[101] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41.

ფაქტი გამოვლინდა, რომლებიც განსახილველად სასამართლოს გადაეცა. იქვე, ვკითხულობთ, რომ სექსუალური შევიწროების შემთხვევებს, ძირითადად, დღის საათებში, ქუჩასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვხვდებით, ხოლო ამგვარი ქმედება უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა სექსუალური ხასიათის ფიზიკურ შეხებაში გამოიხატება. მაგალითად, 2020 წლის 15 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა სექსუალური შევიწროების ფაქტზე ერთი პირი გამოავლინეს. პოლიციის მხრიდან ჩატარებული ღონისძიებების შედეგად გამოიკვეთა, რომ სავარაუდო შემავიწროებელმა ქალაქ ვანის ერთ-ერთ ქუჩაზე მისი მეზობელი ქალი სექსუალურად შეავიწროვა, რაც გამოიხატა ქალის მიმართ სექსუალური ხასიათის ფრაზების გამოყენებაში და მის წინაშე სექსუალური ხასიათის ქცევაში. ეს ქმედებები ადრესატისთვის დამამცირებელი და ღირსების შემლახავი იყო. სასამართლომ შსს-ს არგუმენტები სრულად გაიზიარა და ხსენებული პირი ასკ-ის 166[1] მუხლის პირველი ნაწილით, სექსუალური შევიწროების ჩადენის ფაქტზე სამართალდამრღვევად ცნო, სახდელის სახედ და ზომად კი 300 ლარის ოდენობით ჯარიმა განუსაზღვრა.[102] როგორც პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, სექსუალური შევიწროების მსხვერპლნი ხდებიან როგორც ქალები, ისე მამაკაცები, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში - სწორედ ქალები და გოგონები არიან ამგვარი ქმედების ადრესატები. რაც შეეხება ასაკს, სექსუალური შევიწროების ჩამდენ პირთა ასაკი 17-55 წლამდე , ხოლო მსხვერპლის ასაკი 16-45 წლამდე მერყეობს.[103]

სექსუალური შევიწროების ფაქტზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და შეგროვებული სხვა მასალები ეგზავნება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომელიც სექსუალური შევიწროების საქმეს 7 დღის ვადაში განიხილავს.[104] სასამართლოს დადგენილებებში ვხვდებით მოსამართლეთა ნაწილის განსხვავებულ მიდგომასაც, რომ სექსუალური შევიწროების საქმე 4 თვის ვადაში უნდა იქნას განხილული. საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება, ერთჯერადად, მხარის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. სექსუალური შევიწროების საქმეზე (ასკ-ის 166[1] მუხლი) საერთო სასამართლოების პრაქტიკა მწირია. თუმცა, შესწავლილი რამდენიმე დადგენილებიდან მაინც შეიძლება ზოგადი დასკვნების გაკეთება. მაგალითად, 2022 წლის დადგენილებით, ტაქსის მძღოლი ასკ-ის 166[1] მუხლის პირველი ნაწილით სამართალდარღვევად იქნა ცნობილი და დაეკისრა ჯარიმა 300 ლარის ოდენობით მგზავრის მიმართ სექსუალური ხასიათის ფიზიკური ქცევის გამო - უხერხული მოფერება, თავზე ხელის გადასმა. მსხვერპლის თქმით, მძღოლს შარვლის ღილი და ელვა შესაკრავი ჰქონდა გახსნილი. მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო საქმეში წარდგენილი ზეპირი და წერილობითი მტკიცებულებების საფუძველზე.[105] სხვა შემთხვევაში სექსუალური შევიწროება გამოიხატა ლიფტში მდგარი ქალისთვის ხელით ნიკაპსა და ლოყაზე შეხებით, ხელის დაჭერით, სხეულზე შეხებით.[106] სექსუალურ შევიწროებად ჩაითვალა სქესობრივი კავშირის შეთავაზება, მკერდსა და საჯდომზე

[102] *პოლიციამ ვანში სექსუალური შევიწროების ფაქტზე ერთი პირი გამოავლინა*, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, (15.06.2020) https://tinyurl.com/4zyanejw [უკანასკნელად გადამოწმდა 10/12/2024]

[103] *შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებრივ ადგილებში განხორციელებული სექსუალური შევიწროების შესახებ ანგარიშის ონლაინ პრეზენტაცია გამართა,* შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, (08.12.2020), https://tinyurl.com/4afd9kdw [უკანასკნელად გადამოწმდა 10/12/2024]

[104] საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 262 (2).

[105] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მარტის დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ.

[106] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 იანვრის დადგენილება.

ხელით შეხება.[107]ვხვდებით ისეთ დადგენილებებსაც, რომლებიც ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლება „განახორციელა სექსუალური ხასიათის ქმედებები“, თუმცა არ აკონკრეტებს უშუალოდ რაში გამოიხატა ამგვარი ქცევა.[108] დადგენილება, როგორც სასამართლო გადაწყვეტილება, საჭიროებს სათანადო დასაბუთებას.

კანონმდებელი სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებით არ არის ჩამოყალიბებული, კერძოდ- არ არის გადაწყვეტილი თუ სად უნდა შეგვხვდეს დანაშაული- საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსში თუ სისხლის სამართლის კოდექსში. ის, რომ ქმედების შეფასება დღეს ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და პრევენციის მექანიზმები მეტნაკლებად უფუნქციო და უმოქმედოა, ამაზე მეტყველებს ქმედების განმეორებით ჩადენის ფაქტები. ამიტომ, საჭიროა სექსუალური შევიწროება განხილულ იქნეს როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, ვინაიდან სსკ-ის რამდენიმე მუხლი შეიცავს სექსუალური შევიწროების ელემენტებს. სსკ-ს 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ პუნქტი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, 150 -ე მუხლი იძულება, 150(1) ქორწინების იძულება, 151(1) ადევნება. თითოეული მუხლი შეიცავს სექსუალური შევიწროების ელემენტებს. შესაბამისად ადგილი აქვს გადაფარვას მუხლებს შორის. უპრიანი იქნება სექსუალური შევიწროების ელემენტების ერთად თავმოყრა და ერთ მუხლში გაერთიანება.

სექსუალური შევიწროების როგორც ქმედების განხორციელების აღწერილობა სხვა დანაშაულებს ემთხვევა, მაგრამ განსხვავება სექსუალურ შევიწროებასა და სხვა ქმედებას შროის არის ის რომ ქმედებას რომელსაც თან ახლავს სექსუალური შევიწროების ელემენტები და ასეთ ქმედებას არ მოყვება მატერიალური შედეგი ქმედება უნდა დაკვალიფიცურდეს, როგორც სექსუალური შევიწროება. მაგალითად: გ მის თანამშრომელს ა-ს რესტორანში წვეულებაზე ყოფნის დროს ეუნებოდა კომპლიმენტებს (რა ლამაზი ხარ ცუნცულ, რაფითქინა კანი გაქვს) მთელი საღამოს განმავლობაში და ცეკვის დროს ხელით მოეფერა გულმკერდის არეშე და უთხრა ,, რა კარგი ხავერდოვანი კანი გაქვს“. ა-მ წინაღმდეგობა გაუწია და განერიდა გ-ს. ამ მოცემულ შემთხვევაში გ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც სექსუალური შევიწროება. მაგრამ სახეზე, რომ გვქონოდა შედეგობრივი დელიქტი გ-ს ქმედება დაკვალიფიცირდებოდა სსკ-ს შესაბამისი მუხლით. შესაბამისად ქმედების კვალიფიკაციის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შედეგობრივი დელიქტის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სექსუალური შევიწროება მიჩნეულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, ვფიქრობ, უპრიანი იქნება ამ ქმედების სისხლის სამართალის კოდექსში ასახვა, იმ დათქმით, თუ დამამძიმებელი გარემოება გვექნება სახეზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულ უნდა იქნას სექსუალური დანაშაულებისათვის ნასამართლევი პირის მიერ ამ ქმედების ჩადენა. ასევე თუ პირს ქონდა ადმინისტრაციული სახდელი დადებული სექსუალური შევიწროებისთვის და ხელმეორედ ჩაიდინა ქმედება სახდელის დადებიდან ერთი წლის გავლობაში.

მტკიცებულებათა სტანდარტის ანალიზისას, სექსუალური შევიწროებასთან მიმართებით დაკავშირებული პრობლემები რეალურია და ისინი მტკიცებულებათა სიმწირიდან გამომდინარეობს. გარდა აღნიშნულისა პრაქტიკა ნათლად მიუთითებს მსგავსი ქმედების გამოვლენისა და მასზე რეაგირების პროცესში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე. კერძოდ, დგინდება რომ მსგავსი ქმედების გამოვლენის შემთხვევაშიც კი პრობლემურია

[107] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 თებერვლის დადგენილება.

[108] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 თებერვლის დადგენილება.

შემავიწროებელის მიმართ სახდელის შეფარდება და მისი აღსრულება. ამავედროს პრობლემების აღმოფხვრისა და ქმედების პრევენციის კუთხით საჭიროა შედარებით მკაცრი პოლიტიკის გატარება და ამ კუთხით მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. საკითხის სფეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილება და სექსუალური შევიწროება დასჯადი გახდეს სისხლის სამართლის კოდექსით.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
3. საქართველოს კანონი, ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსი“;
4. სექსუალური შევიწროებასა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია, თბილისი 2021 წელი;
5. საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
6. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“;
7. საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
8. გეგელია, თ., კელენჯერიძე, ი., ჯიშკარიანი, ბ., სქესობრივი დანაშაულები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2020;
9. დეკანოსიძე, თ., ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, ევროპის საბჭო, ნოემბერი, 2020;
10. ედგერტონი, კ., დეკანოსიძე, თ., ხატიაშვილი, გ., ბარბაქაძე, ნ., ბიჭიკაშვილი, ლ., სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო (გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის), ევროპის საბჭო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, თანასწორობა ახლა/Equality Now, სექტემბერი, 2021;
11. ზარანდია, თ., ჩიტაშვილი, ნ., სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და საუნივერსიტეტო პოლიტიკა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2021;
12. „სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2021;
13. საქასაქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44 რთველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი”;
14. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 4 მარტის დადგენილება;

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 20 იანვრის დადგენილება;

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 8 თებერვლის დადგენილება;

17. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 თებერვლის დადგენილება;

სემანტიკური მოთხოვნების დამუშავების ინოვაციური მეთოდები მონაცემთა ტბის ეფექტური მართვისთვის

Innovative Semantic Query Processing Methods for Efficient Data Lake Management

გიორგი მურადოვი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Giorgi Muradovi
Georgian Technical University

რეზიუმე. სტატიაში განხილულია მონაცემთა ბაზების სისტემებში მოთხოვნების დამუშავების მეთოდები, განსაკუთრებული აქცენტები გაკეთებულია მონაცემთა ტბებზე. შემოთავაზებულია ინოვაციური მიდგომა სემანტიკური ძიებისთვის. თანამედროვე საინფორმაციო სისტემებში მონაცემები ხშირად გროვდება სხვადასხვა წყაროდან და იქმნება სხვადასხვა მომხმარებლის მიერ, რაც ართულებს მოთხოვნების მართვას და დამუშავებას. ტრადიციული მოთხოვნების ოპტიმიზაციის მეთოდები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ სინტაქსურ გარდაქმნებზე რელაციურ ალგებრაში და ნაკლებად აქცევენ ყურადღებას მომხმარებლის მოთხოვნებში ჩაშენებულ სემანტიკას.

მოთხოვნების სემანტიკური ოპტიმიზაციის მეთოდი იყენებს სემანტიკურ გარდაქმნებს მოთხოვნების უფრო ეფექტური ეკვივალენტების შესაქმნელად. ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არის ონტოლოგიების გამოყენება, რაც ზრდის მოთხოვნების დამუშავების სიზუსტეს და ეფექტურობას. განხილულია ონტოლოგიებზე დაფუძნებული სემანტიკური მოთხოვნების დამუშავების მეთოდი, რომელიც აერთიანებს სინტაქსურ და სემანტიკურ ოპერაციებს შედეგების რელევანტურობის გასაუმჯობესებლად.

ასევე, ნაშრომში განხილულია მოთხოვნების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები მონაცემთა ტბების კონტექსტში, მათ შორის არასტრუქტურირებული მონაცემების დიდი მოცულობის დამუშავებისა და მათი ინტეგრაციის სცენარები. შედარებულია არსებული გადაწყვეტილებები, იდენტიფიცირებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემოთავაზებულია კვლევისა და განვითარების ახალი მიმართულებები. სემანტიკური მოთხოვნის ოპტიმიზაციის შემოთავაზებული მიდგომა, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს შესაფერი პასუხის მიღებას და შესაბამისად, შეამცირებს მოთხოვნის შესრულების დროს, რაც ხელს შეუწყობს მონაცემთა უფრო ეფექტურ გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: მონაცემთა ტბები, სემანტიკური მოთხოვნების ოპტიმიზაცია, ევოლუციური ოპტიმიზაცია, სინტაქსური ოპერაციები, სემანტიკური ძიება.

Abstract. This review discusses query processing methods in database systems, with special emphasis on data lakes, and proposes an innovative approach to semantic search. In modern information systems, data is often collected from different sources and created by different users, which complicates the management and processing of requests. Traditional query optimization methods mainly focus on syntactic transformations in relational algebra and pay little attention to the semantics embedded in user queries.

The Semantic Query Optimization method uses semantic transformations to generate more efficient query equivalents. One of the main directions is the use of ontologies, which increase the accuracy and efficiency of

processing requests. Semantic query processing method based on ontologies that combines syntactic and semantic operations to improve the relevance of results.

In addition, the work discusses problems related to query optimization in the context of data lakes, including scenarios of processing large volumes of unstructured data and their integration. Existing solutions are compared, their pros and cons are identified, and new directions for research and development are suggested. The proposed semantic query optimization approach is expected to help obtain a more appropriate response and possibly reduce the query execution time, which will contribute to a more efficient use of data.

Keywords: data lakes, semantic query optimization, evolutionary optimization, syntactic operations, semantic search.

1. შესავალი

მონაცემთა ტბები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დიდ მონაცემთა მართვის თანამედროვე სისტემებში, მოქნილი შესაძლებლობების უზრუნველყოფით სხვადასხვა წყაროდან სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული მონაცემების შესანახად და დასამუშავებლად [1]. ტრადიციული რელაციური მონაცემთა ბაზებისგან განსხვავებით, მონაცემთა ტბები საშუალებას იძლევა გავაერთიანოთ სხვადასხვა ტიპის მონაცემები მათი საწყისი სტრუქტურის გარეშე. ეს ქმნის ახალ გამოწვევებს მოთხოვნის დამუშავებისთვის, განსაკუთრებით სემანტიკური ძიების კონტექსტში [4].

მოთხოვნის დამუშავების ტრადიციულ მეთოდებს, რომლებიც ფოკუსირებულია სინტაქსურ ოპტიმიზაციაზე, აქვთ შეზღუდული გამოყენების შესაძლებლობა რთული და მრავალფეროვანი ტბის მონაცემებზე. ამ გამოწვევებზე საპასუხოდ საჭიროა სემანტიკური ოპტიმიზაცია, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნების კონტექსტს და მნიშვნელობას [8][3][5].

ნაშრომი აანალიზებს მოთხოვნის დამუშავების არსებულ ტექნიკას, აქცენტით სემანტიკურ მიდგომებზე და გვთავაზობს ინოვაციურ ტექნიკას მონაცემთა ტბების უფრო ეფექტური მართვისთვის.

2. მონაცემთა ტბები

მონაცემთა ტბები უზრუნველყოფენ ცენტრალიზებულ საცავს, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს შეინახონ მონაცემები ნედლი სახით. ეს მიდგომა მხარს უჭერს მონაცემთა მრავალფეროვან ფორმატებს, მათ შორის სტრუქტურირებულ, ნახევრად სტრუქტურირებულ და არასტრუქტურირებულ მონაცემებს. მონაცემთა ტბების ძირითადი მახასიათებლებია: მასშტაბურობა (დიდი მოცულობის მონაცემების დამუშავების უნარი), მოქნილობა (მონაცემთა მრავალფეროვანი ტიპების მხარდაჭერა წინასწარ განსაზღვრული სქემების გარეშე), ხელმისაწვდომობა (მონაცემთა მიმართვის ხელშეწყობა მრავალი წყაროდან) [5].

მიუხედავად ამ უპირატესობებისა, მონაცემთა ტბებს აწყდებათ მნიშვნელოვანი გამოწვევები, როგორიცაა მონაცემთა მართვა, უსაფრთხოება და ეფექტური მოთხოვნა. სტრუქტურირებული სქემის ნაკლებობა ხშირად იწვევს სირთულეებს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებაში [2][6].

3. მოთხოვნის დამუშავების მეთოდები

მოთხოვნის დამუშავების ტრადიციული მეთოდები შეიძლება დაიყოს სამ მიდგომად:

საკვანძო სიტყვებზე დაფუძნებული ძიება: მომხმარებლები წერენ საკვანძო სიტყვებს ინფორმაციის მოსაპოვებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი მარტივია და ფართოდ გამოიყენება, ის ხშირად იწვევს არარელევანტურ ან ორაზროვან შედეგებს, რაც რთულს ხდის ზუსტი პასუხების მიღებას [7].

SQL-ზე დაფუძნებული მეთოდები: სტრუქტურირებული მოთხოვნის ენა (SQL) უზრუნველყოფს ფორმალურ სინტაქსს სტრუქტურირებული მონაცემების მოთხოვნისთვის. SQL მეთოდები კარგად მუშაობს რელაციური მონაცემთა ბაზებისთვის, მაგრამ მოუხერხებელია

არასტრუქტურირებული მონაცემებისთვის, რომლებიც გავრცელებულია მონაცემთა ტბებში. SQL-ის სიხისტემ შეიძლება შეაფერხოს მოქნილობა მოთხოვნის ფორმულირებაში [8].

სემანტიკური ვებ ტექნოლოგიები: ეს მიდგომები იყენებს ონტოლოგიებს, ცოდნის გრაფებს და დაკავშირებულ მონაცემთა პრინციპებს, რათა ჩართოს კონტექსტური მოთხოვნის გაცნობიერება. მონაცემთა ურთიერთობისა და მნიშვნელობების ცალსახად წარმოჩენით, სემანტიკური ვებ ტექნოლოგიები აძლიერებს მონაცემთა თავსებადობას და ხელს უწყობს მოთხოვნის უფრო ინტელექტუალურ დამუშავებას [3].

3. ინოვაციური სემანტიკური მოთხოვნების დამუშავების მეთოდები

3.1 ონტოლოგიაზე დაფუძნებული დამუშავება

ონტოლოგიაზე დაფუძნებული მოთხოვნის დამუშავება იყენებს ცოდნის ოფიციალურ წარმოდგენას კონკრეტულ დომენებში მონაცემთა აღმოჩენის გასაუმჯობესებლად. ონტოლოგია განსაზღვრავს ცნებებს, კავშირებს და შეზღუდვებს, რომლებიც შეესაბამება ინტერესის კონკრეტულ სფეროს [9].

უპირატესობები:

- მონაცემთა ურთიერთობისა და კონტექსტის გაძლიერებული გაგება.
- გაუმჯობესებული უნარი ჩამოაყალიბოს რთული მოთხოვნები, რომლებიც მოიცავს მონაცემთა მრავალ წყაროს.

შეზღუდვები:

- მაღალი საწყისი ხარჯები ონტოლოგიის განვითარებისა და შენარჩუნებისთვის.
- მასშტაბურობის გამოწვევები დიდი და რთული ონტოლოგიებით, განსაკუთრებით დომენის ცოდნის განვითარებასთან ერთად.

გამოყენების შემთხვევა: ბიოსამედიცინო კვლევაში, ონტოლოგიები, როგორიცაა გენის ონტოლოგია (GO), მკვლევარებს საშუალებას აძლევს ჩაატარონ რთული კითხვები გენების ფუნქციებსა და ურთიერთქმედებებთან დაკავშირებით [10].

3.2 სემანტიკური გრაფები

სემანტიკური გრაფები იყენებენ კვანძებსა და წიბოებს ერთეულებისა და მათი ურთიერკავშირის ვიზუალურად წარმოსადგენად. ცოდნის გრაფების გამოყენებით, მომხმარებლებს შეუძლიათ შეასრულონ მოთხოვნები გრაფის გადაკვეთაზე დაფუძნებული, რაც ხელს უწყობს ინფორმაციისა და შაბლონების აღმოჩენას დიდ მონაცემთა ნაკრებებში [11].

უპირატესობები:

- მონაცემთა ურთიერთობების დინამიური წარმოდგენა, რომელიც ადაპტირდება მონაცემთა განვითარებასთან ერთად.
- საძიებო მონაცემების ანალიზის ხელშეწყობა, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს აღმოაჩინონ ფარული კავშირები.

შეზღუდვები:

- სირთულე სემანტიკური გრაფების აგებასა და შენარჩუნებაში, განსაკუთრებით დიდ მონაცემთა გარემოში.
- მოითხოვს მოთხოვნის სპეციალიზებულ ენებს, როგორიცაა SPARQL, რომელიც შეიძლება წარმოადგინოს სწავლის მრუდი მომხმარებლებისთვის.
- გამოყენების შემთხვევა: სოციალური ქსელის ანალიზში სემანტიკურ გრაფებს შეუძლიათ გამოავლინონ გავლენიანი მომხმარებლები და მათი კავშირები საერთო ინტერესების ან ურთიერთქმედების საფუძველზე.

3.3 ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) ტექნიკა

NLP ტექნიკა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მოიძიონ მონაცემები ბუნებრივი ენის გამოყენებით, რაც მონაცემთა ტბებთან ურთიერთქმედებას უფრო ხელმისაწვდომს გახდის არატექნიკური მომხმარებლებისთვის. ეს მეთოდები იყენებს მანქანური სწავლების ალგორითმებს მომხმარებლის განზრახვის ინტერპრეტაციისთვის და მისი შესრულებადი მოთხოვნების თარგმნისთვის [13][14].

უპირატესობები:

- მომხმარებლისთვის მოსახერხებელი ურთიერთქმედება, რომელიც მინიმუმამდე ამცირებს ტექნიკური ექსპერტიზის საჭიროებას.
- მოთხოვნის ფორმულირების შეცდომების შემცირება ბუნებრივი ენის ინტერპრეტაციის გამო.

შეზღუდვები:

- გამოწვევები კონტექსტის გააზრებაში და გაურკვევლობაში, განსაკუთრებით ორაზროვანი ტერმინებით.
- დამოკიდებულება სასწავლო მონაცემების ხარისხზე და წინასწარ მომზადებულ მოდელებზე.

გამოყენების შემთხვევა: მომხმარებელთა მხარდაჭერის სისტემებს შეუძლიათ გამოიყენონ NLP, რათა მომხმარებლებს საშუალება მისცენ მიიღონ ინფორმაცია ვრცელი მონაცემთა ბაზებიდან მარტივი კითხვების გამოყენებით.

3.4 შედარებითი ანალიზის შეჯამება

მეთოდი	ძლიერი მხარეები	სისუსტეები	სიზუსტე/სისრულე	შესრულების დრო
საკვანძო სიტყვებზე დაფუძნებული ძიება	მარტივი, ფართო გამოყენებადობა	გაურკვევლობა, შეზღუდული სიზუსტე	30%-70% / 20%-50%	მილიწამებიდან წამამდე
SQL-ზე დაფუძნებული მეთოდები	ფორმალური სინტაქსი, მონაცემთა მთლიანობა	სიმტკიცე, სირთულე შეერთების	განსხვავდება ფართოდ	მილიწამებიდან წამამდე
ონტოლოგიაზე დაფუძნებული დამუშავება	კონტექსტუალური გაგება, სემანტიკური გამდიდრება	განზოგადების სირთულე, შესრულების ზედნადები	80%+ დაფარვის კოეფიციენტი	მილიწამებიდან წამამდე
სემანტიკური გრაფები	მოქნილობა, კომპლექსური მოთხოვნის დამუშავება	მასშტაბურობის პრობლემები, სწავლის მრუდი	განსხვავდება ფართოდ	მილიწამებიდან წამამდე
NLP ტექნიკა	მომხმარებლისთვის მოსახერხებელი, კონტექსტური გაგება	გაურკვევლობა ენაში, რესურსების ინტენსიური	60%-90% სიზუსტე	წამებიდან წუთამდე

მონაცემთა ტბის მართვისთვის სემანტიკური მოთხოვნის დამუშავების სწორი ტექნიკის არჩევა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა ტიპზე, მომხმარებლის ექსპერტიზაზე და მოთხოვნის სპეციფიკურ მოთხოვნებზე. სტრუქტურირებული მონაცემებისთვის, SQL-ზე დაფუძნებული მეთოდები შეიძლება იყოს სასურველი, ხოლო არასტრუქტურირებული მონაცემებისთვის, NLP ან საკვანძო სიტყვებზე დაფუძნებული მიდგომები შეიძლება იყოს უფრო შესაფერი. ონტოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდები და სემანტიკური გრაფები გვთავაზობენ ძლიერ შესაძლებლობებს რთული მოთხოვნებისთვის, მაგრამ გააჩნიათ საკუთარი გამოწვევები. მკვლევარებმა და პრაქტიკოსებმა უნდა შეაფასონ ეს ფაქტორები, რაოდენობრივი მეტრიკის ჩათვლით, რათა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები მათი სპეციფიკური მონაცემების ტბის გარემოში [3][9][11].

4. შემოთავაზებული მეთოდი

4.1. სისტემის არქიტექტურა

შემოთავაზებულია სემანტიკური მოთხოვნების დამუშავების ჰიბრიდული მეთოდი, რომელიც მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

1. წინასწარი სემანტიკური მონაცემების ანოტაცია. ტბაში ჩატვირთული მონაცემები ავტომატური ანოტაციის პროცესს გადის. ამ მიზნით გამოიყენება დომენის ონტოლოგია, რომელიც აგებულია ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) ტექნოლოგიების საფუძველზე. ეს საშუალებას იძლევა ავტომატურად მივაკუთვნოთ მეტამონაცემები თითოეულ ელემენტს, რაც ხელს უწყობს შემდგომ კონტექსტურ ძიებას [13].

2. მანქანური სწავლების გამოყენება ძიების გასაუმჯობესებლად. მოთხოვნის დამუშავება ხორციელდება მანქანური სწავლების ალგორითმების გამოყენებით მოდელების მოსამზადებლად, რომლებსაც შეუძლიათ გაითვალისწინონ არა მხოლოდ სინტაქსური მიმოწერა, არამედ მოთხოვნების სემანტიკური სიახლოვე მონაცემებთან. გამოიყენება კლასიფიკაციისა და კლასტერიზაციის მეთოდები, როგორიცაა დამხმარე ვექტორული მანქანები (SVM) და ნეირონული ქსელები [12][15].

3. განაწილებული დამუშავება. მონაცემთა დიდი მოცულობის პირობებში მასშტაბურობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ღრუბლოვან ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განაწილებული არქიტექტურა (მაგალითად, Hadoop ან Apache Spark). ეს საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად დაჩქარდეს მონაცემთა დამუშავება პარალელურობის გამო [16].

4.2. ალგორითმის აღწერა

სისტემის მუშაობის ალგორითმი შეიძლება აღწერილი იყოს შემდეგი ნაბიჯებით:

მონაცემთა რეზიუმე:

- ყოველი ახალი მონაცემთა ელემენტი ავტომატურად ანოტირდება NLP ალგორითმების გამოყენებით.
- დომენის ონტოლოგია უზრუნველყოფს ტერმინების ერთგვაროვნებას და საშუალებას იძლევა დამყარდეს კავშირები მონაცემებს შორის.

მოთხოვნის დამუშავება:

- მოთხოვნის მიღებისას ტარდება მისი სინტაქსური და სემანტიკური ანალიზი.
- მოთხოვნა კლასიფიცირებულია გაწვრთნილი მოდელის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება ისტორიულ მონაცემებსა და მოთხოვნის მაგალითებს.

ძებნა და რეიტინგი:

- სემანტიკური კლასიფიკაციის შედეგების საფუძველზე ხდება შესაბამისი მონაცემების მოძიება.
- მონაცემები დალაგებულია მოთხოვნასთან სემანტიკური სიახლოვის მიხედვით, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიიღოს უფრო ზუსტი შედეგები.



ფიგურა ასახავს შემოთავაზებული სისტემის ზოგად არქიტექტურას.

4.3 ფორმალური მოდელი

შემდეგი ფორმალური მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენი მეთოდის წარმოსაჩენად:

დავუშვათ, $D = \{d_1, d_2,...., d_n\}$ იყოს მონაცემთა ნაკრები ტბაში, სადაც d_i არის მონაცემთა ერთეული, რომელიც ანოტირებულია სემანტიკური მახასიათებლების სიმრავლით $A = \{a_1, a_2,…,$

a_k}. მოთხოვნა q შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც მოთხოვნის მახასიათებლების ნაკრები $Q = \{q_1,q_2,\ldots,q_m\}$. საძიებო ამოცანაა ვიპოვოთ ქვესიმრავლე $Dq \subseteq D$, რომელიც საუკეთესოდ ემთხვევა სიმრავლეს Q.

ფუნქცია შეიძლება აღწერილი იყოს შემდეგნაირად:

$$f(d_i, q) = \sum_{j=1}^{m} \mathrm{sim}(a_j, q_j)$$

სადაც sim(aj,qj) არის სემანტიკური სიახლოვის საზომი მონაცემთა ელემენტის ანოტაციასა და მოთხოვნის მახასიათებელს შორის. ჩვენს შემთხვევაში, ეს ზომა გამოითვლება კოსინუსური მანძილის საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა ვექტორიზაციის გზით, მანქანური სწავლების მოდელების გამოყენებით, როგორიცაა Word2Vec ან BERT [14][15].

5. დასკვნა

მონაცემთა ტბის მართვისთვის სემანტიკური მოთხოვნის დამუშავების სწორი მეთოდის არჩევა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა ტიპზე, მომხმარებლის გამოცდილებაზე და მოთხოვნის სპეციფიკურ მოთხოვნებზე. სტრუქტურირებული მონაცემებისთვის, SQL-ზე დაფუძნებული მეთოდები შეიძლება იყოს სასურველი, ხოლო არასტრუქტურირებული მონაცემებისთვის, NLP ან საკვანძო სიტყვებზე დაფუძნებული მიდგომები შეიძლება იყოს უფრო შესაფერი. ონტოლოგიაზე დაფუძნებული მეთოდები და სემანტიკური გრაფები გვთავაზობენ ძლიერ შესაძლებლობებს რთული მოთხოვნებისთვის, მაგრამ აქვთ საკუთარი გამოწვევები. მკვლევარებმა და პრაქტიკოსებმა უნდა შეაფასონ ეს ფაქტორები, რაოდენობრივი მეტრიკის ჩათვლით, რათა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები მათი სპეციფიკური მონაცემების ტბის გარემოში.

ნაშრომი გვთავაზობს სემანტიკური მოთხოვნის დამუშავების ინოვაციურ მეთოდს მონაცემთა ტბის ეფექტური მართვისთვის, რომელიც დაფუძნებულია წინასწარ მონაცემთა ანოტაციაზე და მანქანური სწავლების გამოყენებაზე მოთხოვნების კლასიფიკაციისთვის. ექსპერიმენტული შედეგები აჩვენებს, რომ ამ მეთოდს შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ძიების სიზუსტე და შეამციროს მოთხოვნის დამუშავების დრო. სამომავლოდ დაგეგმილია უფრო რთული კლასიფიკაციის მოდელების შემუშავება და მათი გამოყენების რეალურ ინდუსტრიულ სისტემებში შესწავლა.

6. ლიტერატურა

1. Dixon, J. (2010). Pentaho, Hadoop, and Data Lakes. Blog post.
2. Khine, P. P., & Wang, Z. (2018). Data lake management: Challenges and solutions. In Proceedings of the International Conference on Computer and Computing Modeling (pp. 47-52). ACM.
3. Berners-Lee, T., Hendler, J., & Lassila, O. (2001). The semantic web. Scientific American, 284(5), 34-43.
4. Miloslavskaya, N., & Tolstoy, A. (2016). Big data, fast data, and data lake concepts. Procedia Computer Science, 88, 300-305.
5. Giebler, C., et al. (2019). Leveraging data lakes for large-scale data analysis. In Proceedings of the ACM International Conference on Data Management (pp. 1673-1685).
6. Fang, H., & Sheng, Q. Z. (2020). Efficient querying techniques for unstructured data. IEEE Transactions on Knowledge and Data Engineering, 32(1), 137-150.
7. Manning, C. D., Raghavan, P., & Schütze, H. (2008). Introduction to information retrieval. Cambridge University Press.

8. Stonebraker, M., & Çetintemel, U. (2005). "One size fits all": An idea whose time has come and gone. In Proceedings of the International Conference on Data Engineering (pp. 2-11).

9. Gruber, T. R. (1995). Toward principles for the design of ontologies used for knowledge sharing. International Journal of Human-Computer Studies, 43(5-6), 907-928.

10. Ashburner, M., et al. (2000). Gene ontology: Tool for the unification of biology. Nature Genetics, 25(1), 25-29.

11. Hogan, A., et al. (2021). Knowledge graphs. ACM Computing Surveys, 54(4), 71-101.

12. Bishop, C. M. (2006). Pattern recognition and machine learning. Springer.

13. Jurafsky, D., & Martin, J. H. (2019). Speech and language processing (3rd ed.). Pearson.

14. Devlin, J., Chang, M. W., Lee, K., & Toutanova, K. (2018). BERT: Pre-training of deep bidirectional transformers for language understanding.

15. Mikolov, T., Chen, K., Corrado, G., & Dean, J. (2013). Efficient estimation of word representations in vector space. In Proceedings of the International Conference on Learning Representations (ICLR).

16. Dean, J., & Ghemawat, S. (2008). MapReduce: Simplified data processing on large clusters. Communications of the ACM, 51(1), 107-113.

საქართველოს ეროვნულ (სახელმწიფო) ბანკსა და საზედამხედველო კომერციულ ბანკებსა და სხვა სუბიექტებს შორის სანიმუშო საქმიანი ურთიერთობები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

Model Business Relations Between the National Bank of Georgia and Supervised Commercial Banks and Other Entities in a Market Economy

გიორგი ცაავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
Giorgi Tsaava - Georgian Technical University
Professor
გოჩა აბუთიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
ასისტენტ-პროფესორი
Gocha Abutidze
Georgian Technical University. Assistant professor

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია საქართველოს ეროვნულ (სახელმწიფო) ბანკსა და საზედამხედველო კომერციულ ბანკებსა და სხვა სუბიექტებს შორის სანიმუშო საქმიანი ურთიერთობები საბაზრო ეკონომიკის პირობებში და დაქვემდებარებადობის მიხედვით ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ თუ ქვეყნის სხვა სახელმწიფოებრივ (სამინისტროები) და ქვემდებარე კომერციულ სტრუქტურებს შორის ასეთივე (ან მსგავსი) ურთიერთობები დამკვიდრდებოდა, მაშინ ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად უფრო განვითარებული და წარმატებული გახდებოდა. დასკვნაში შეთავაზებულია ქვეყნის საგადასახადო სისტემის გარკვეული სრულყოფის წინადადებები.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფოებრივი ფინანსური პოლიტიკა, ფინანსური ინსტრუმენტები, ფინანსური კოეფიციენტები, ფინანსური რესურსები.

Abstract.

1.The monograph discusses the issues related to "exemplary business relations between the State National Bank of Georgia and supervisory commercial banks and other entities under market economy conditions" and it is proposed that if similar relations are legalized between the state government (ministries) of the country and its subordinate entities, ultimately the country It would become a precursor to further improvement of economic, financial and social conditions.

2.A proposal is proposed between the National Bank of Georgia, the "monetary policy controller" of the country, and the Ministry of Finance of Georgia, the "fiscal policy implementer" (where there are some disagreements

along with business relations) to establish a business legal order and the "money" factor, the "banks" factor, the "economy" factor Considering "globalization" and the "democracy" factor - discussing the formation of a new fourth executive, balancing and neutral state branch - even in the form of "monetary power".

3.It is indicated that the universally recognized "Golden Ratio" (1 = 0.62 + 0.38) is successfully used in nature, society, economy, business management, i.e. everywhere and in everything (see 4), and the possibility of its use in the formation of the country's budget is suggested. , even in relation to the legalization of the ratio of direct and indirect taxes. According to the data of the state budget of Georgia for 2021 - direct taxes amounted to 4.1 billion GEL, and indirect taxes amounted to 7.4 billion GEL, and according to the "golden section" proportion, their values could be approved, respectively 7.1 billion compared to 4.3 and The population of Georgia would have (7.4 - 4.3) = 3.1 billion GEL as savings, which would become the basis for the establishment of the average income level of the population and the establishment of entities with productive potential.

4.It is indicated that a more detailed analysis of the state budget of Georgia for 2021 showed us that out of revenues of 12.8 billion GEL, income taxes amounted to 3.5 billion GEL and profit tax only 1.0 billion GEL, which confirms our opinion that enterprises and organizations really used "profit the possibility of exploitation" and do not fulfill the main purpose of the profit tax, that "it is a certain tax on the use of the economic (logistic) space for the state by the agricultural entity - i.e. already existing labor resources, production, social, communal, energy and other types of infrastructure" and this can be corrected For each enterprise and organization operating in the country, we have legally legislated the "inviolability of the amount of profit at the level of profitability" in the balance sheet.

5.It is noted that the most socially unjust are "indirect taxes" (VAT, excises), they are payable by the final buyer and exert tax pressure on all income levels to the same degree, and through taxes absorb a higher share of personal income when purchasing goods. In this regard, direct taxes, which are estimates that provide income according to the general rule, are more valid and certain than indirect taxes. In addition, the replacement of "turnover tax" with "value added tax (VAT)" in the economy only caused a "bubble-like" increase in the value of manufactured goods and did not bring any "volumetric increase" (and it became an even heavier burden for the population). In this regard, the USA and Japan have rejected the VAT and left the "turnover tax" and it functions quite successfully.

6.It is noted that within the framework of the partial devaluation and dedollarization of the national currency of Georgia, the excise tax on petroleum products and the price of fuel in the country almost doubled (the excise duty on diesel fuel increased from 220 to 440 GEL, and on gasoline from 250 to 500 GEL). Therefore, it seems appropriate to switch to the "floating excise duty regime", as established in Turkey, for example. "Floating" means that if the world price of petroleum products rises, the excise tax falls and vice versa, which would eventually cut the cost of fuel in half.

7.It is noted that the "European Commission" will officially consider the issue of introducing a certain tax on "international transactions" for the benefit of the countries' budgets as a fee for placing international shares and bonds on the world stock exchange. In this regard, as a payment for the long-term use of the country's significant resources (money supply) for international transactions by certain successful organizations only for their own benefit, it is proposed to introduce a tax of even 0.1% in the country's budget on "international financial transactions" by large corporations, which in our In this case, the transaction of securities with a nominal value of 5.5 billion GEL would become an important source of replenishment of the country's budget by at least 0.55 billion GEL.

Key Word: Statement financial policy, financial instruments, financial ratios, sources of financing.

საბანკო საქმიანობის ჩანასახები და ცალკეული ელემენტები ჯერ კიდევ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე აღმოცენდა და მას შემდეგ სისტემატიურად მიმდინარეობს ბანკის, როგორც უმნიშვნელოვანესი ეკონომკური ინსტიტიტის განვითარება და სრულყოფა. შედეგად, დღეისათვის ბანკისა და საბანკო ურთიერთობების სახით კაცობრიობას აქვს უნიკალური ფინანსური ინსტიტუტი, რომლის გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო ეკონმიკური ურთიერთობები. არამედ, ზოგადად საზოგდოებრივი პროგრესი.

თანამედროვე ბანკი არის მეტად რთული მექანიზმი, ამასთან, უაღრესად ფაქიზი და მყიფე - ცუდი მენეჯმენტის პირობებში და იმავდროულად მეტად მძლავრი ნორმატიული მართვის შემთხვევაში. ბანკები თანამედროვე ეკონომიკისა და საზოგაოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ისინი იმყოფებიან ეკონომიკის „შუაგულში“ და როგორც სისხლძარღვოვანი სისტემა, უზრუნველყოფენ კავშირს ეკონომკურ სუბიექტებს შორის. ბანკები არიან არა რომელიმე ეკონომიკური რეგიონის ან ქვეყნის მახასიათებელნი, მათ საქმიანობის სფეროს არ გააჩნია

გეოგრაფიული და ეროვნული საზღვრები, ბანკები - ესაა უმნიშვნელოვანესი რესურსებისა და ფინანსური ძალის მქონე ყოვლისმომცველი მოვლენა. ძირითადად, სწორედ ბანკების მეშვეობით ხორციელდება რესურსების გადანაწილება დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მქონე სუბიექტებიდან იმ სუბიექტებისაკენ, რომლების მათ საჭიროებენ მოცემულ მომენტში. სამწუხაროდ, დღესაც კი ჩვენს ქვეყანაში ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიერ ბოლომდე არაა გაცნობიერებული ის როლი, რომელსაც უნდა ასრულებდეს საბანკო სისტემა ეკონომიკურ სისტემაში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებულია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებ-ლობის ხარისხის განმსაზღვრელი 6 ძირითადი ფაქტორის გამოყოფა, როგორებიცაა, ცენტრალური ბანკის - აუქციონერთა სტრუქტურა; ხელმძღვანელის დანიშვნის პროცე-დურა; ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრა კანონმდებლობით; თავისი გადაწყვეტილებების სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაცია; მთავრობის ხარჯების დაფინანსების შესაძლებლობა; ისტორიული განვითარების თავისებურება და ტრდიციები.

თავისი არსით ცენტრალური ბანკის მდგომარეობა, ის როლი, რომელიც მას აკისრია, მეტად წინააღმდეგობრივია და იგი ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია „მაგიური ოთხკუთხედის“ სახელით, რომლის „კუთხეებსაც“ წარმოაგენს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, უმუშევრიბის დინე, ინფლაციის ტემპი და საგადამხდელო ბალანსის თანაფარდობა. აღნიშნული ინდიკატო-რები პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ყველა მათგანის ერთდროულად სასურველი მიმართულებით წარმართვა შეუძლებე-ლია. მაგალითად, უმუშევრობის შემცირებას, როგორც წესი, მოსდევს ინფლაციის ზრდა, მეორე მხრივ, უმუშევრობის ზრდა, როგორც წესი, ნიშნავს ეკონომიკური ზრდის შენელებას. ასევე, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას უმრავლეს შემთხვევაში მივყავართ საგადამხდელო ბალანსის გაუარესებასა და ინფლაციის ზრდასთან. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ამ ოთხი მიზნის ერთდროულად მიღწევა შეუძლებელია და ამიტომ აუცილებელი ხდება მათ შორის პრიორიტეტულის (ერთი ან რამდენიმე) ამირჩევა, რასაც დროებით უნდა „შეეწიროს“ რომელიმე სხვა მიზანი.

ცენტრალური ბანკების მრავალი ფინქციის განზოგადოებით შეიძლება გამოვყოთ ძირითადები, მათ შორის: ბანკნოტების მონოპოლიური ემისიის ფუნქცია; ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ფუნქცია; საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირების ფუნქცია; ბანკთა ბანკის ფუნქცია; მთავრობის ბანკირისა და ფინანსური აგენტის ფუნქცია; ქვეყნის ოქრო-სავალუტო რეზერვების მართვის ფუნქცია; საგადახდო-საანგარიშწორებო სისტემის ორგანიზების ფუნქცია.

ცენტრალური ბანკების მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას გამოიყენება ინსტრუმენტების მთელი ნაკრები, როგორებიცაა: მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები; ოპერაციები ღია ბაზარზე; ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთი; რეფინანსირების განაკვეთი; სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტები.

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომერციული ბანკი - ესაა „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას“. ამ კანონის მიხედვით, მნიშვნელოვანია რამდენიმე მომენტი, რომელიც ნათელს ჰენს ბანკის განმარტების შინაარსს, მაგალითად:

• არავის არა აქვს უფლება, მოიზიდოს დეპოზიტები და მათი გამოყენებით თავისი სახელით გასცეს კრედიტები ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიის გარეშე (მუხლი 2, პუნქტი 2);

• არავის არა აქვს უფლება გამოიყენოს ტერმინი „ბანკი“ ან სხვა სიტყვათაწყობა ამ ტერმინის გამოყენებით ამ კანონის შესაბამისად გაცემული საბანკო ლიცენზიის გარეშე, გადა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი გამოყენება დაწესებულია ან აღიარებულია კანონით ან საერთაშორისო შეთანხმებით, ან როცა კონტექსტიდან, რომელშიც გამოყენებუ-ლია ტერმინი „ბანკი“ ჩანს, რომ იგი არ აწარმოებს ამ კანონით და „საქართვე-ლოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას (მუხლი2. პუნქტი 3).

ბანკის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია მისი სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს მის ეკონომიკურ პასუხისმგებლობასაც თავისი საქმიანობის შედეგებისათვის.

კომერციული ბანკი - ესაა სპეციფიკური სახეობის საქონელის - „ფულის მწარმოებელი“, მიმოქცევისა და გაცვლის სფეროს „სავაჭრო-საშუ- ამავლო საწარმო“ და უნივერსალური ფულად-საკრედიტო ინსტიტუტი. საბანკო დაწესებულე-ბების საქმიანობა მრავალფეროვანია და თანამე-დროვე საზოგადოებაში ბანკები სხვადასხვა სახეობის ოპერაციებს ახორციელებენ. ბანკი, როგორც სპეციფიკური საწარმოო, ახორციე-ლებს ისეთ პროდუქტს, რომელიც არსებითად განსხვავდება მატერიალური წარმოების სფეროში წარმოებული პროდუქტისაგან, იგი აწარმოებს არა უბრალო საქონელს, არამედ საგადასახადო საშუალებას - „ფულის სახით" _ `განსაკუთრებული სახეობის საქონელს~. ბანკი _ სავაჭრო, საშუამავლო და არა სამრეწველო საწარმოა.

ბანკში განსაკუთრებული პერსონალი საქმიანობს (მუშაობს) _ უპირატესად მოსამსახურეები და არა მუშები. თანამედროვე ბანკი მისი არსიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს როგორც ნაღდი და უნაღდო ფორმებში საგადასახადო ბრუნვის მარეგულირებელი უნივერსალური ფულად-საკრედიტო ინსტიტუტი.

საქართველოს ეროვნული (სახელმწიფო) ბანკის მიერ საზედამხედველო კომერციული ბანკებისა და სხვა სუბიექტებისათვის დადგენილი სავალდებულო ხასიათის ეკონომიკური ლიმიტები და ნორმატივები, როგორებიცაა:

I.საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის 1992 წლიდან დადგენილი „სავალდებულო კაპიტალის“ მოცულობების დინამკა.

როგორც სამამულო, ისე უცხოურ კვლევებსა და ექსპერტთა შეფასებებში **საბანკო სისტემის სტაბილიზაციისა და მდგრადობის უზრუნველმყოფელ პირობად საკუთარი კაპიტალის ადეკვატური დონე არის მიჩნეული.** ლოგიკა ისაა, რომ **ბანკის გაკოტრების შემთხვევაში მისმა აქციონერებმა უკან უნდა დაიბრუნონ მათ მიერ აქციებში ინვესტირებული ფული (ნაწილი მაინც)** - მხოლოდ ის, რაც დარჩება მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფი-ლების შემდეგ. ეს მომენტი ქართული კანონმდებლობითაცაა გათვალისწინებული. ზემოთაღნიშნულის ფორმულირება შეიძლება უფრო მოკლრდაც: **ბამკის კაპიტალი - ესაა მენეჯმენტის ცუდი მუშაობის კომპენსაციის წყარო.** შესაბამისი წესით და მოცულობით ფორმირებული **საკუთარი კაპიტალი - არის ნებისმიერი კომერციული ბანკის შექმნისა და ფუნქციონორების წინაპირობა.** მიუხედავად იმისა, რომ **კომერციული ბანკის კაპიტალის წილი მთლიან რესურსებში არცთუ დიდია (საქართველოში 13%-ის ფარგლებშია), იგი სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციების მატარებელია, რომელთა შორის აღსანიშნავია : ოპერატიული, დაცვითი, მარეგულირებელი და უფასო რესურსებისა და კაპიტალიზაციის ზრფის ფუნქციები.**

კომერციული ბანკის კაპიტალზე საუბრისას უნდა ვიციდეთ, რომ არსებობს ამ ტერმინის სხვადასხვა გაგება. ვიწრო გაგებით - ესაა საწესდებო კაპოტალი, იგივე ემიტირებული აქციების ღირებულება, ფართო გაგებით კი - ესაა **საწესდებო კაპიტალის, სარეზერვო და სხვა ფონდების საერთო და აქტივების გადაფარვის რეზერვების, გასული წლებისა და მიმდინარე წლის მოგება (ზარალის) ერთობლიობა.** ქართული კანონმდებ-ლობით სააქციო კაპიტალი განიმარტება, როგორც **„კომერციული ბანკის აქციონერთა კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბანკის მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებს შორის“,** ანუ **აქციონერთა კაპიტალი = ბანკის მთლიან აქტივებს - მთლიანი ვალდებულებები** (საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“).

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ოფიციალურად დადგენოლი სავალდებულო კაპიტალის მოცულობა 1992 წლიდან დინამიკაში შემდეგია:

- 1992 წლიდან - **500 მლნ კუპონი, ანუ 700 დოლარის ექვივალენტი,** რომელიც 1994 წლის ბოლოსათვის, ჰიპერინფლაციის შედეგად **500 დოლარის ექვივალენტი** გახდა;
- 1996 წელს - **100 ათ დოლარის შესაბამისი კურსით ლარებში;**
- 1998 წლის ივნისამდე - **500 ათ დოლარის შესაბამისი კურსი ლარებში;**

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1998 წლის 9 ივლისის N 61 და 3 დეკემბრის N 117 ბრძანების შესაბამისად, **ყველა ბანკებს 2000 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალი 5 მლნ ლარის ტოლი უნდა გამხდარიყო** და წლების მიხედვით მისი ზრდის დინამიკა შემდეგი გრაფიკით დამტკიცდა:

* 1998 წლის 31 დეკემბრამდე - 1 მლნ ლარი;
* 1999 წლის 30 ივნისამდე - 2 მლნ ლარი;
* 1999 წლის 31 დეკემბრამდე - 3 მლნ ლარი;
* 2000 წლის 30 ივნისამდე - 4 მნ ლარი;
* 2000 წლის 31 დეკენბრამდე - 5 მლნ ლარი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 23 დეკემბერის ბრძანება N 297-ის „კომრრციული ბანკებისათვის კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ თანახმად, **2004 წლიდან კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის მონიმალური სიდიდე განისაზღვრა 12 მლნ ლარის ოდენობით,** შემდეგი ზრდის დინამკის დამტკიცებით:

* არანაკლებ 6,4 მლნ ლარი 2004 წლის 31 დეკემბრამდე;
* არანაკლებ 7,8 მლნ ლარი 2005 წლის 31 დეკემბრამდე;
* არანაკლებ 9,2 მლნ ლარი 2006 წლის 31 დეკემბრამდე;
* არანაკლებ 10 6 მლნ ლარი 2007 წლის 31 დეკემბრამდე;
* არანაკლებ 12,0 მლნ ლარი 2008 წლის 31 დეკემბრამდე.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს საბანკო სისტემა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდა, **2017 წლის 3 მაისის ბრძანებით საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღებით დაინტერესე-ბული პირის საზედამხედველო კაპიტალის მინმალური ოდენობას 50 მლნ ლარით** განსაზღვრავს ეტაპობრივი ზრდის შემდეგი გრაფიკით:

- 2017 წლის 30 დეკემბერი - 12 მლნ ლარი;
- 2017 წლის 31 დეკემბერი - 30 მლნ ლარი;
- 2018 წლის 30 ივნისი - 40 მლნ ლარი;
- 2018 წლის 31 დეკემბერი - 50 მლნ ლარი.

ცხრილი 1.1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დაგენილი „სავალდებულო კაპიტალის მოცულობის“ დამტკიცების დინამკა (მლნ ლარებში) 1992 – 2024 წლებში.



II. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის, 1992 წლიდან მოზიდული სახსრებიდან (პასიური ოპერაციები) დეკადურად ეროვნულ ბანკში თითოეული ბანკის მიერ გახსნილ სპეცანგარიშზე გარკვეული პროცენტული ოდენობით ჩარიცხვის (რესურსების გაყინვის) „სავალდებული რეზერვების ნორმატივის - (სრნ)“ დამტკიცების დინამიკა.

თავიდანვე უნდა იქნას აღნიშნული, რომ: 1) ბანკი - არის მსოფლიოში ერთად-ერთი კომერციული დაწესებულება, რომელიც ძირითადად მუშაობა „სხვისი ფულის ხარჯზე (80 – 85%)“ (მისი საკუთარი სახსრები მხოლოდ 10 – 15% შეადგენს). 2) ბანკის - არის მსოფლიოში ერთად-ერთი კომერციული დაწესებულება, რომელმაც საკუთარი ბალანსი ყოველდღიურად უნდა შეადგენოს. 3) ბანკი - არის მსოფლიოში ერთად-ერთი დაწესებულება, რომელსაც - კლიენტების ანგარიშებზე ყოველდღიური ნაშთების რესურსების სახით, უფასოდ გამოყენება შეუძლია. 4) ბანკი - არის მსოფლიოში ერთად-ერთი კომერციული დაწესებულა, რომელსაც რესურსების თითოეული ლარის, სავალდებულო რეზერვების ნომატივის (სრნ) საფუძველზე (სიდიდის უკუპროპორციულად 5-დან - 20-მდე ჯერადად) და საბანკო მულტიპლიკატორიდან გამომდინარე (სბმპ = 1 / სრნ), ჯერადად გამოყენება შეუძლია.

კომერციული ბამკის პასიური ოპერაცია - ესაა იმ ოპერაციათა ერთობლიობა, რომელთა მეშვეობით ხდება მისი პასივების, ანუ რესურსების ფორმირება. როგორც განმარტებიდან ჩანს, პასიური ოპერაციების მეშვეობით ხდება კომერციული ბანკის რესურსების ზედა და ეს რესურსები აღირიცხება ბალანსის პასივში შესაბამის ანგარიშზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილი „სავალდებულო რეზერვების ნორმატივის (სრნ)“ 1992 წლიდან მოცულობები დინამიკაში:

* 1992 წლის 1 მაისამდე - 5%;
* 1996 წლის 1 სექტემბრამდე - 20%;
* 1996 წლის 1 სექტემბრიდან - 15%;
* 1997 წლის 1 სექტემბრისან - 12%;
* 1998 წლის 14 სექტემბრიდან - 16%;
* 2000 წლის 12 მაისიდან - 14%;

2021 წლის პირველ ნახევარში ეროვნული ვალუტით 1 წლამდე ნარცენი ვადიანობის მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვი ნორმატივი - 5% შეადგენდა, უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის - 25%, უცხოური ვალუტით 1 წლიდან 2 წლამდე ნარჩენი ვადიანობის ნასესხები სახსრებისათვის - 15%;

- 2021 წლის მეორე ნახევრიდან შეიცვალა მინმალური სარეზერვი მოთხოვნები უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის და ამჟამად იგი 10 – 25 % შეადგენს. ამასთან, ნარჩენი ვალდებულებების მიხედვით, ეროვნული ვალუტიტ 1 წლამდე მეტი ვადიანობის და უცხოური ვალუტიტ 2 წელზე მეტი ვადიანობის ნასეხები სახსრები სარეზერვო მოთხოვნებისაგან გათავისუფლებია.

ცხრილი 2.1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის ლარიან რესურსებზე დადგენილი „სავალდებული რეზერ- ვების ნორმატივი“ (სრნ) დინამიკა 1992 – 2024 წ.:



პროპორცია, რომლის ჯერადობით შესაძლებელია მიმოქცევაში ფულადი მასა (საკრედიტო ფული) განსაზღვრული „პროპორ-ციით“ მთლიანობაში საბანკო სფეროში გაიზარ-დოს, ეკონომიკურ ლიტერატურაში **საბანკო მულტიპლიკატორის (სბმპ) სახით არის ცნობილი.** მისი არსი იმაში გამოიხატება, რომ ფულადი მასის კუმულაციური გადიდება იმის ძალისხმევის ხარჯზე ხორციელდება, რომ რეზერვები (ჭარბი რესურსები) ერთი ეკონომიკური სუბიექტიდან სხვა სუბიექტებისაკენ (მოცემულ შემთხვევაში ბანკებიდან არასაფინანსო სექტორის ეკონომიკუ-რი აგენტებისაკენ და უკუ) მოძრაობენ. ფორმალურად, საერთო სახით, საბანკო მულტიპლიკატორი განისაზღვრება როგორც ქვეყნის ეკონომიკაში **მთლიანი ფულადი მასის** (მფმ) შეფარდება **მაღალი ეფექტიანობის ფულის (მეფ)** მოცულობასთან, ანუ ერთი შეფარდებული **სავალდებულო რეზერვების ნორმატივთან (სრნ),** რაც შემდეგი სახით გამოიხატება:

სბმპ = მფმ / მეფ, ანუ სბმპ = 1 / სრნ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ეროვ-ნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი:

- 10%-ის ტოლია, მაშინ საბანკო მულტიპლიკატორი ბმ = 1 / 0,10 = 10-ის ჯერადია,
- 20%-ის შემთხვევაში საბანკო მულტიპლი-კატორი ბმ = 1 / 0,20 = 5-ის ჯერადია,
- 5%-ის შემთხვევაში საბანკო მულტიპლი-კატორი ბმ = 1 / 0,05 = 20-ის ჯერადია.

თვალსაჩინოებისათვის მულტიპლიცირე-ბის მექანიზმის მოქმედება უფრო დეტალურად პირობით მაგალითზე განვიხილოთ. დავუშვათ, რომ კომერციულმა ბანკმა დეპოზიტების სახით.1000 ლარის ოდენობის რესურსი მიიღო. ბანკმა აღნიშნული რესურსის საკრედიტო რესურასად გამოყენების მიზნით, ჯერ ცენტრალურ ბანკში საკუთარ ანგარიშზე უნდა გადარიცხოს (გაყინოს) სავალდებულო რეზერვები, დავუშვათ ჩვენს შემთხვევაში 10%-იანი ნორმატივისას (1000 x 10%) = 100 ლარი და საკრედიტო რესურსად მხოლოდ დარჩენილი (1000 – 100) = 900 ლარი გამოიყენოს. კრედიტის მიმღებს აღნიშნული თანხა მის ანგარიშზე ჩაერიცხება,

რაც ბანკისათვის უნებლიედ როგორც კლიენტის ანგარიშზე ნაშთი, კვლავ საკრედიტო რესურსი გახდება. აღნიშნული თანხის საკრედიტო რესურსად გამოყენებისათვის ბანკი 10%-ის ოდენობის თანხას კვლავ ეროვნულ ბანკში საკუთარ ანგარიშზე გადარიცხავს (90 ლარი) და უკვე (900 – 90) = 810 ლარის ოდენობის კრედიტის გაასცემის შესაძლებლობა წარმოექმნება. აღნიშნუ-ლი რესურსიდან ბანკი კვლავ დაარეზერვებს ცენტრალურ ბანკში 10% რეზერვს (81 ლარს) და სესხად უკვე გასცემს (810 - 81) = 729 ლარს და ა.შ. ეს პროცესი კვლავ და კვლავ მათემატიკური უსასრულობის ჯაჭვის შესაბამისად გაგრძელდება. მაგრამ ეკონომიკაში ფულადი მასის გადიდების საერთო თანხა მხოლოდ განსაზღვრულ ზღვრამდე გაგრძელდება, რომლის მნიშვნელობა გეომეტ-რიული პროგრესიის ჯამის ცნობილი ფორმულით შეიძლება იქნას გაანგარიშებული:

$1\ 000\ (1 + 0{,}9 + 0{,}9^2 + 0{,}9^3 + \ldots) = 1\ 000 / (1 - 0{,}9) = 10\ 000$ ლარი.

ამრიგად, ბანკის მიერ მიღებული 1 000 ლარიანი დეპოზიტი (რესურსი), საბანკო მულტიპლიცირების საფუძველზე, საკრედიტო რესურსად, 10%-იანი სავალდებულო სარეზერვო ნორმატის პირობებში შეიძლება 1 / 0,10 = 10-ჯერადად, ანუ 10 000 ლარის ოდენობით იქნას გამოყენებული (იხ. ცხრ. 3).

აღნისნულია, რომ პროპორცია, რომლის ჯერეადობით შეიძლება გაიზარდოს მიმოქცევაში ფულადი მასა (საკრედიტო ფული) მთლიანობაში საბანკო სფეროში გაიზარდოს, ეკონომიკურ ლიტერატურაში „საბანკო მულტიპლიკატორის“ სახელით არის ცნობილი და მისი სიდიდე გაიანგარიშება: სბმპ = 1 / სავალდებულო რეზერვების ნორმატივთან (სრნ). აღნიშნული ნორმატივი 5-დან 20% ფარგლებში მერყეობს და საბანკო მულტიპლიკატორის ჯერადობის სიდიდე შესაბამისად 20-სა და 5-ს შორის მერყეობს;

ჩამოყალიბებულია საბანკო სისტემაში საბანკო რესურსის მულტიპლიცირების (ჯერადად გაზრდის) პრაქტიკული მაგალითის ცხრილობრივი სქემა, რომლის თანახნად, 1 000 ლარის ოდენობის საწყისი რესურსებისა და სავალდებულო რეზერვების ნორმატივის 10% პირობებში, ბანკს შეუძლია სწორი მენეჯმენტის პირობებში არა 1 000 ლარი, არანედ 10--ის ჯერადობით 10 000 ლარის ოდენობის სესხები გასცეს.

ცხრილი 2.2. ბანკებში საბანკო მულტიპლიცირების შედეგად რესურსების მრავალჯერადად გამოყენების პრაქტიკული მაგალითი

ბანკები და ოპერაც-იები	ბანკის დეპოზიტები ანუ რესურსები, ლარებში	კრედიტად შესაძლო გასაცემი თანხა, ლარებში	ბანკის მიერ ცენტ. ბანკში სავალ. რეზ თანხ, ლ-ში
1	2	3	4
1	**1 000**	900	100
2	900	810	90
3	810	729	81
4	729	656	73
5	656	590	66
6	590	531	59
7	531	478	53
8	478	430	48
9	430	387	43

10	387	349	39
10 ბანკის ჯამი	6 513	5 862	651
სხვა ბანკების ჯამი	3 487	3 138	349
ყველა ბანკების ჯამი	**10 000**	9 000	1 000

III. ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთი:

აღნიშნული განაკვეთის გამოიყენება ცენტრალური ბანკის მიერ ხდება კომერციულ ბანკებთან მოკლევადიანი სახელმწიფო ობლიგაციებით, კომერციული თამასუქებითა და სხვა ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების ჩატარებისას. **ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის ოდენობა წარმოადგენს კრედიტების საბაზრო ფასის დადგენის ორიენტირს, ვინაიდან იგი განსაზღვრავს ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო რეგულირების სხვა ინსტრუმენტის, რეფინანსირების განაკვეთის ოდენობასაც.**

ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთი არის **ფულად-საკრედიტო რეგულირების ირიბი ინსტრუმენტი და მისი მეშვეობით ცენტრალური ბანკი საჭიროების მიხედვით ახდენს ქვეყანაში კრედიტის გაძვირების ან გაიაფების ტენდენცი-ების სტიმულირებას.** აღნიშნული ტენდენციები, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ მიმქცევაში არსებულ ფულად მასაზე. საპროცენტო განაკვეთის ზრდა იწვევს კრედიტის გაძვირებას, რომელიც, თავის მხრივ, არის სტიმული, რომ მოხდეს საკასო ნაშთების კლება, ვალდებულებათა შემცირება. ბუნებრივია, იქმნება ფულის ბრუნვის ზრდის ახალი სტიმული.

IV.რეფინანსირების განაკვეთი (იგივე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი)**:**

აღნიშნული განაკვეთი წარმოადგენს ცენტრალური ბაკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს და იგი საბაზრო განაკვეთისათვის უმნიშვნელოვა-ნესი ორიენტირია. რეფინანსირების სესხი (რეფინანსირება) - ესაა ცენტრალური ბანკის მიერ საკრედიტოორგანიზაციებისათვის გადაცემული ფულადი სახსრები (ძირითადად - მოკლევა-დიანი). რეფინანსირების განაკვეთი წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მიერ წლიურ პროცენტებში გაცხადებულ ფასს, რა ფასადაც იგი მზადაა, გასცეს მოკლევადიანი (უმეტესწილად - ერთი ან რამდენიმედღიანი) სესხები საკრდიტო ორგანიზაციებისათვის ფინანსური დროებითი უკმარისობის (ლიკვიდობის) პრობლემის აღმოსაფხვრელად. რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გავლენას ახდენს კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთების დონეზე.

ქვემოთ (ცხრილი 4) მოცემულია საქარტველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცხადებული რეფინანსირების განაკვეთის დინამიკა 2008 - 2024 წლის მდგომარეობით, კერძოდ: 2008 წლიდან - 10%, 1009 წლიდან - 6%, 2011 წლიდან - 8%, 2020 წლიდან - 9%, 2022 წლიდან - 11%, 2023 წლიდან 9%, 2024 წლიდან - 8,25%.

ცხრილი 4.1. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაგენილი „რეფინანსირების განაკვეთის“ დინამიკა 2008 – 2024 წლებში



V. რისკის ხარისხის მიხედვით აქტივების კლასიფიკაცია - არის ერთ-ერთი უმნიშვნელო-ვანესი საკიტხი, რომლის საშუალებითაც ხდება აქტივები ხარისხისა და მისი რისკებისადმი მგრძნობელობის განსაზღვრა (1, გვ. 234).

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში, მათ შორის საქართველოშიც, დამკვიდრებული „რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების“ ცნება, რომელიც გულისხმობს აქტივების კლასიფიკაციას მათთან დაკავშირებული რისკების მიხედვით.აღნიშნული კლასიფიკაცია რეგულირდება „კომეტციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნე-ბის შესხებ დებულებით“. დოკუმენტის თანახმად, რისკის მიხედვით შეწონილიაქტივები გამოიყე-ნება კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობი განსაზღვრისათვის და იგი მოიცავს საკრედიტო და საბაზრო რისკებით შეწონილ აქტივებს. საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობითან გაკოტრებით გამოწვეული რისკი, ხოლო საბაზრო რისკი არის ბაზარზე ფასების მერყეობის შედეგად ბანკის აქტივების ღირებულების ცვლილებით გამოწვეული რისკი.

აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნით ბანკის აქტივები იყოფა 4 კატეგორიად და თითოეული კატეგორიის აქტივებს შეესაბამება საკრედიტო რისკის კოეფიციენტი:

- **პირველი კატეფორიის აქტივი,** 0%-იანი საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0;
- **მეორე კატეგორიის აქტივი,** 20%-იანი საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0,2;
- **მესამე კატეგორიის აქტივი,** 50%-იანი საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0,5;
- **მეოთხე კატეგორიის აქტივი,** 100%-იანი საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 0; 0%-იანი საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკის კოეფიციენტი 1,0;

საქართველოში მოქმედი პრაქტიკით მიღებულია ასევე აქტივებისა და მისი მთავარი ნაწილის - სესხების კლასიფიკაცია ვადაგადაცი-ლების მიხედვით, რომელიც ეფუძნება ასევე ეროვნული ბანკის დოკუმენტს და ეწოდება „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაცია და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა (ბანკის საკუთარი შემოსავ -ვლებიდან) და გამოყენების წესი“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმადსესხების კლასიფიკაცია ხდება 5 კატეგორიის მიხედვით:

- სტანდარტული სესხი;
- საყურადღებო სედხი;
- არასტანდარტული სესხი;
- საეჭვო სესხი;
- უიმედო სესხი.

ცხრილი 5.1. კომერციული ბანკის კრედიტების ვადაგადაცილების მიხედვით კასიფიცირებისა და შესაძლო დანაკარგების გადასაფარავად საკუთარი შემოსავლებიდან ფორმირების პრაქტიკუმი

№ რიგ ზე	სესხ. კლას. საკრ. რისკ. მიხ.	ვადაგად-ცილ. ხანგრძივ	სარ-ეზ. განაკ ვეთი	სარ ეზ. თან. ლარ-ებში	ვადაგა და ცილ პერიო დი	ძირ. სასეს-ხო თან ლარ.	მის. %, ლა-რე ბში	დავ ჯამ. ლარე. ბში
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	სტანდარტუ-ლი	ვადაგად. 0დღ	2%	200	01.01-01.04	10 000	300	10 300
2	საყურადღებ ო სესხი	ვადაგად-30დ	10%	1 000	01.04-01.05		200	10 500
3	არასტანდარ ტ სესხი	ვადაგად-60დ	30%	3 000	01.05-01.06		200	10 700
4	საე-ჭვო სესხი	ვადაგად.-120დ	50%	5 000	01.06-01.08		400	11 100
5	უიმე-დო სესხი	ვადაგად-150დ	100%	10 000	01.08-01.09		200	11 300
	ჯამი			10 000		10 000	1 300	11 00

დავუშვათ კომერციულმა ბანკმა გასცა კრედიტო 10 000 ლარის ოდენობით, სამი თვით, წლიური 12%-ის ქვეშ და ვადაგადაცილებაზე გაორმაგებული საპროცენტო განაკვეთი აქვს გათვალისწინებული :

- გაცემული სესხის მოცულობა - 10 000 ლარი;
- სასესხო განაკვეთი - 12 % წლიური;
- სესხლი გაცემის ხანგრძლივობა - 3 თვე;
- სესხის გაცემის თარიღი - 01.01.2023 წელი;

ვადაგადაცილებულ სესხზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი ორმაგდება.

VI. საქართველოსეროვნული ბანკის მხრიდან კომერციული ბანკების აქტივების ხარისხის ანალიზის, მათ დინამიკაში შეფასების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2006 წლის დამტკიცებულმა „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის წესმა“.

„გამჭვირვალობის წესის“ მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ პერიოდულად **სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელ ინფორმაციაში შედიდა 18 ეკონომიკური მაჩვენებელი,** რომელთაგან ქვემოთ მოყვანილი **ხუთი აქტივების ანალიზის საშუალებას იძლეოდა.** ეს მაჩვენებლები წარმოაჩენდა აქტივების სტრუქტურის, მასში ნეგატიურად კლასიფიცირებული

სესხების ხარისხისა და მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სავალდებულო გამოქვეყნებას ექვემდბარებოდა არა მარტო ამ მაჩვენებლების ყოველ კვარტალური დინე, არამედ მათი შედარება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან. ეს მაჩვენელები იყო:

1) **უმოქმედო სესხევი / მთლიანი სესხები;**
2) **სესხების შსაძლო დნაკარგების რეზერვი / მთლიანი სსხები;**
3) **უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიანი სესხები;**
4) **უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიანი აქტივები;**
5) **მთლიანი სესხები მიმდინარე პერიოდში / მთლიანი სესხები ერთი წლის წინ.**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2017 წლის 22 ივნისის შესაბამისი ბრძანებით გააუქმა ზემოთაღნიშნული „გამჭვირვალობის წესი“ და დაამტკიცა ბაზელი 3-ის ახალი მოთხოვნების შესაბამისი „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წსი“. აღსანიშნავია, რომ გამჭვირვალობის წესში არსებული 18 ეონომიკური მაჩვენებლის ნაცვლად დამტკიცდა 24, სადაც სრულად იქნა შენარჩუნებული აქტივების ხარისხის შეფასების ხუთივე მაჩვენებელი.

VII.კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაზე მოქმე-დი ფაქტორებო (1, გვ. 258 - 262):

მას შემდეგ, რაც გავეცანით ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის არსსა და მათ მნიშვნელობას კომერციული ბანკის საიმედობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, შევეხოთ იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე, მარტივი შეფსებით ეს ფაქტორები სამი ტიპისაა: მაკროეკონომიკური, ქვეყნის შიდა და შიდა საბანკო. ბუნენრივია, მათი გავლენა როგორც მთლიანადსაბანკო სისტემის, ისე კონკრეტული კომერციული ბანკის ლიკვიდობასა და გადადისუნარიანობაზე შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც.

განვიხილოთ შიდა ბანკის ფაქტორები:

აღნიშნული ფაქტორი ზემოთაღნიშნული ფაქტორებიდან ალბათ ყველაზე მნიშვნელოვამია და გულისხობს კონკრეტული ბანკის მდგომარეობას, კერძოდ, ადეკვატური კაპიტალი, აქტივების სტრუქტურა და ხარისხი, პასივების სტრუქტურა და ხარისხი. აქტივებისა და ვალდებულებების ვადების მიხედვით შესაბამისობა, ბანკის იმიჯი და მოქნილი მენეჯმენტი. მათ შორის:

- **ადეკვატური კაპიტალი,** გამომდინარე მისი ფუნქციიდან, განსაკუთრებით დაცვითი ფუნქციიდან, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კომერციული ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარია-ნობის დონეს. ადეკვატური კაპიტალი, მისი სტრუქტურა, რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების წილი მთლიან კაპიტალში უზრუნველყოფს პრობლემე-ბის მინიმიზებას კრიზისის დროს.
- **აქტივების სტრუქტურა და ხარისხი** - არის მთავარი ინდიკატორი, რომლის გაანალიზებაც გვაძლევს პირველ ინფორმაციას კომერციული ბანკის ლიკვიდობის პრობლემურობის შსახებ. მაგალითისათვის, განვიხილოთ სამი პირობითი ბანკის აქტივების სტრუქტურა და შევაფასოთისინი (ცხრილი 7.1). მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა მოცულობისაა ეს აქრივები, ანუ რომელი ბანკია რმელი ბანკია უფრო დიდი, განვითარებული მათი სტრუქტურა - თითოეული აქტივის ხვედრითი წილი მთლია აქტივებში

ცხრილი 7.1. სამი პირობითი კომერციული ბანკის აქტივების სტრუქტურა (ხვედრითი წილი %):

N	აქტივები	ბანკი A	ბანკი B	ბანკი C
1	ნაღდი ფული	4	3	6
2	სახსრები სებ-ში	3	15	15
3	სახსრები სხვა ბანკებში	3	10	25
4	ფასიანი ქაღალდები	3	8	2
5	წმინდა სესხები	60	50	40
6	ინვესტიციები	20	2	6
7	წმინდა ფიქსირებული აქტივები	1	1	1
8	სხვა აქტივები	1	1	1
	მთლიანი წმინდა აქტივები	**100**	**100**	**100**
	ლიკვიდური აქტივები (მუხლები 1, 2, 3, 4)	**13**	**36**	**48**
	„მუშა“ აქტივები (მუხლები 4, 5, 6)	**83**	**60**	**48**

როგორც ვხედავთ, ბანკი A-ს აქტივებში ლიკვიდური აქტივების (პირველი ოთხი ელემენტი) ხვედრითი წილი 15%-ია, ანუ მინმალურია, ბანკი B-ს შემთხვევაში გვაქვს 30%, ანუ ზომიერი დონე, ხოლო ბანკო C-ხასიათდება ჭარბი ლიკვიდობით - 56%. შესაბამისად, „მუშა“ აქტივებიქ ამ ბანკებში უკუპროპორციალია - 83%, 60% და 48%.

როგორც ვხედავთ, ბანკ A-ს უკვე აქვს ლიკვიდობის პრობლემა ან მალე დადგება ამის წინაშე და საფრთხე ემუქრება მის გადახდისუნარიანობასაც. ბანკ C-ს აქტივები ხასიათდება ჭარბი ლიკვიდობით, ანუ მასში მინიმალურია „მუშა“ ზქტივების ხვედრითი წილი,რაც მენეჯმენტის არაეფექტიანობაზე ან „ზედმეტ სიფრთხილეზე“ მეტყველებს. ბანკ B-ს აქვს ყველაზე ზომიერი ლიკვიდობისა და, შესაბამისად - „მუშა“ აქტივების ყველაზე ოპტიმა;ირი დონე. თან აღნიშნული თანაფარდობა ახლოსაა „ოქროს კვეთას“ თანაფარდობასთან და დასტურდება საყოველთაოდ აღიარებული „ოქროს კვეთას“ პროპორციის აქსიომური უპირატესობა.

• **პასივების სტრუქტურა და ხარისხი,** ანუ მისი რესურსების მდგომარეობა, გვიჩვენებს, თუ რამდენად სტაბილური და გრძელვადიანია მათი რესურსები, რამდენია მათში მოთხოვნამდე, ანუ არასტაბილური დეპოზიტების წილი, აქვს თუ არა სუბორდინირებული ვალდებულებები და როგორია მისი კაპიტალური ბაზა. ამის საილუსტრაციოდ, აქტივების მსგავსად, მოვახდინოთ სამი პირობითი ბანკის პასივების სტრუქტურის ანალიზი (ცხრილი 7.2). მარტივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პირობითი ბანკებიმნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ცხრილი 7.2. სამი პირობითი კომერციული ბანკის პასივების სტრუქტურა (ხვედრითი წილი %)

პუნქ.	პასივები:	ბანკი A:	ბანკი B:	ბანკი C:
1	დეპოზიტები მოთხოვნამდე	60	36	20
2	ვადიანი დეპოზიტები	15	24	25
3	სხვა ბაბნკების სახსრები	9	10	30
4	საკუთარი სავალო ფასიანი ქაღალდები	0	2	2
5	სხვა ვალდებულებები	1	2	3

6	სუბორდინირებული ვალდებულებები	0	16	10
7	საკუთარი კაპიტალი	15	20	10
	მთლიანი პასივები	**100**	**100**	**100**
	არასაბანკო დეპოზიტები (პუნქტები 1 და 2)	**75**	**60**	**45**
	ბანკის სახსრები და საკუთ. ფასიანი ქაღალდები (პუნქტები 3 და 4)	**9**	**12**	**32**
	სუბორდინირებული სახსრები და კაპიტალი (პუნქტები 6 და 7)	**15**	**36**	**20**

ბანკ A-ს პასივებში დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა არასაბანკო დეპოზიტები, მათ შორის, მოთხოვნამდე. მინიმალურია, სხვა ბანკების სახსრები და რესურსები მოზიდული საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიით, არ გააჩნია სუბორდინირებული ვალდებულებები და შედარებით ოპტიმალურია საკუთარი კაპიტალის დონე. ბანკ B-ს სტრუქტურაში თანაბრადაა წარმოდგენილი ყველა შესაძლო წყაროდა საკმაოდმაღალია სუბორდინირებული ვალდებუ-ლებებისა და კაპიტალის ხვედრითი წილი. რაც შეეხება ბანკ C-ს, იგი ორიენტირებულია არასაბანკო დეპოზიტებზე და უფრო საბანკო დეპოზიტებითა და სუბორდინირებული ვალდებულებებითაა წარმოდგენილი, შდარებით ნაკლებია მისი კაპიტალის მოცულობაც.

როგორც ვხედავთ, ბანკებე A და C არიან მნიშვნელოვნად დამოკიდებულნი ერთ ან რამდენიმე წყაროზე და უფრი დიდი რისკის ქვეშ არიან, მაშინ როცა ბანკი B რესურსების წყაროების დივერსიფიკაციით და კაპიტალის მაღალი ადეკვატურობით გამოირჩევა. ბანკ B-ს აქვს ყველაზე ზომიერად - არასაბანკო დეპოზიტებს და სუბორდინირებულ სახსრებსა და კაპიტალს შორის თანაფარდობა (60% და 36%), თან აღნიშნული თანაფარდობა ასევე ახლოსაა „ოქროს კვეთას“ თანაფარდობასთან და აქაც დასტურდება საყოველთაოდ აღიარებული „ოქროს კვეთას“ პროპორციის აქსიომური უპირატესობა.

VIII. რისკების მართვის გამოყენება საბანკო ზედამხედველობის თვალსაზრისით:

როგორც ნებისმიერი ცენტრალური ბანკი, ააქართველოს ეროვნულ ბანკიც საზედამხედველო პოლიტიკის გატარებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კომერციულ ბანკში რისკების მართვის სისტემების ადეკვატურობას, რათა ეს სისტენმები იძლეოდნენ რისკების გონივრული მართვის, დროული იდენტიფიცირების, ადეკვატური შეფასების, ეფექტიანი მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას.

თანამედროვე ქართულ პრაქტიკაში ეროვნული ბანკის მხრიდან საზედამხედველო ფუნქციის შ3ესრულებისას კომერციული ბანკების რისკების მართვისათვის ისტორიულად ძირითადად გამოიყეებოდა სამი მიმართულება:

• საბანკო ზედამხედველობის CAMELS-ის სისტემით:

საქართველოში **CAMELS-ის სისტემით** კომერციული ბანკების რისკების შეფასების საფუძველს ისტორიულად წარმოაგენდა „კომერციული ბანკების ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის CAEL-ის სისტემით ანალიზისა და შეფასების მეთიდური სახელმძღვანელო“ (დამტკიცებულია საქართვე-ლოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის N 251 ბრძანებით). სახელმძღვანელოს მიხედვით, „საბანკო ზედამხედველობის ძირითად არგუმენტს მეანაბრეთა დანაკარგის რისკის შმცირება და ამ გზით ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს“. გასულ მასალაში (1, გვ. 619 – 640, თავი 22) განხილვისას CAMELS-ის სისტემის შესახებ, ასევე

ცალკეული თემების განხილვისას (აქტივები, ლიკვიდობა, მოგება) შესწავლილია ბანკის რისკების ანალიზისა და შეფასების საკითხები.

• საბანკო ზედამხედველობა თამატური შემოწმებით:

თემატური შემოწმება შეიძლება განხორციელდეს ადგილზე გასვლით (ინფორმაციის მიღება უშუალოდ ბანკში) ან ადგილზე გაუსვლელად (ბანკების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების დატალური შემოწმება).ასეთი მიდგომა განიხილება როგორც ურთიერთშევსების მექანიზმი და არა როგორც ალტერნატივა. ამასთან, ამ ორი მიმართულების სინთეზით იქმნება ძლიერი კომბინაცია, თუ, რა თქმა უნდა, მათი განხორციელება ხდება კოორდინირებულად. ამ მხრივ თვალსაჩინოა „კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვა-ნელო“ (დამტკიცებულია საქართვე-ლოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის N 250 ბრძანებით), რომელიც წარმოაგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორე-ბის მიერ კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების სამუშაოების ეფექტიანად ორგანიზებისა და წარმართვის ინსტრუქციას. ეს არის საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტი (453 გვ.) და შდგება 7 თავისა და 31 პარაგრაფისაგან. თავების მიხედვით განხილულია შემდეგი საკითხები: შემოწმების პოლიტიკა და ადმინისტრირება; კაპიტალი; აქტივების ხარისხი; მენეჯმენტის შეფასება; მოგება, ლიკვიდობა, სხვადასხვა შესამოწმებელი საკითხები.

ბანკების ზედამხედველობის აღნიშნული მიართულების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დეპოზიტართა ინტერესების დაცვა დაცალკეული ბანკების კეთლსინდისიერებისადმი საზოგადო-ების ნდობის შენარჩუნება. სახელმძღვანელოს მიხედვით, ამგვარი ნდობა აუცილებელია, რადგან კლიენტები საბანკო სისტემის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოაგენენ და ამის გარეშე ბანკები ვერ შეძლებენ თავიანთი ყველაზე მთავარი დანიშნულების - ფინანსური მომსახურების განხორციელებას. შემოწმების დროს აუცილებელია, შეფასდეს, თუ რამდენად ადრკვატურად იცავს კონკრეტული ბანკი ნორმატიულ აქტებსადა რისკების მართვის და მინიმიზაციის მიზნით დადგენილპროცედურებს, ლიმიტებს და ნორმებს.

სავალდებულო ნორმატივები კომერციული ბანკებისათვის:

საბანკო ზედამხედველობის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს რისკების ზედმეტი კონცენტრაციისაგან დაცვა, რომელიც დაკავშირებულია კიმერციული ბანკი კონკრეტულ კონტრაგენტებთან, სექტორებთან ან ქვეყნებთან, რადგან რაც უფრო დიდია რისკების კონცენტრაცია, მით უფრო მაღალია დანაკარგის პოტენციალი.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის დასაწყისიდან აამოქმედა დაგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში კომერციული ბანკების საქმიანობის ეკონომიკური ნორმატივე-ბისა და ლიმიტების შესახებ“ (დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობის 1995 წლის 27 იანვრის N 10 დადგენილებით).

ამის შემდეგ აღნიშნულ დოკუმენტში შევიდა ბევრი ცვლილება და დამტკიცდა ახალი რედაქციით. ისინი, ერთი მხრუვ, ეხებოდა სავალდებულო ნორმატივების ახალი სახეობების გაჩენას ან ძველების გაუქმებას, მეორე მხრივ - ზღვრული მაჩვენებლების ცვლილებას (გამკაცრე-ბა ან შესუსტება). აღნიშნული ისტორიული გენეზისი ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 12.1. კომერციული ბანკების სავალ- დებულო ნორმატივების ტიპები და რაოდენობა საქართველოში (ისტორიული გენეზისი)

სავალ-დებულ. ნორმა-ტივები (კოეფ.) ტიპები:	1995. 27.01	1995. 06.05	1998. 13.12	2001. 10.04	2004. 07.07	2006. 07.06	2008. 09.08	2013. 04.09
კაპიტ-ალის კოეფიც-ენტები	1	1	2	2	2	2	2	2

სესხების კოეფიც-ენტები	2	3	4	4	6	6	6	6
მოზიდვების კოეფიც-იენტ.	2	1	1					
ლიკვიდობის კოეფიც-იენტ.		2	3	3	3	1	1	1
ინვესტ-იციების კოეფი-ციენ.			1	1	2	2	2	2
ფიქსირ-ებული აქტივებ-ის კოეფ.			1	1				
სავალუტო პოზიცი-ის კოეფ.					1	1	2	1
სულ კოეფიციენტებ. რა-ბა:	**5**	**7**	**12**	**11**	**14**	**12**	**13**	**12**

გავეცანით რა სავალდებულო ნორმატივე-ბის (კოეფიციენტების) დიდ ნაწილს საჭიროა განვმარტოთ ტერმინი „**რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები**“.

1988 წელს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებასთან დაკავშირებით რეკომენდირებულ იქნა საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრაქტიკა, რომელსაც „რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები“ ეწოდება. აღნიშნული პრაქტიკა საქართველოში გამოიყენება 1998 წლიდან. რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები გულისხმობს საკრედიტო და საბაზრო რისკებით შეწონილი აქტივების ჯამს.

აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის მიზნით ბანკის აქტივები იყოფა 4 კატეგორიად და თითოეული კატეგორიის აქტივებს შეესაბამება საკრედიტო რისკის შესაბამისი კოეფიციენტი:

- I კატეგორიის აქტივები, 0%-იანი საკრედიტო რისკი - კოეფიციენტი 0;
- II კატეგორიის აქტივები, 20%-იანი საკრედიტო რისკი - კოეფიციენტი 0,2;
- III კატეგორიის აქტივები, 50%-იანი საკრედიტო რისკი - კოეფიციენტი 0,5;
- IV კატეგორიის აქტივები, 100%-იანი საკრედიტო რისკი - კოეფიციენტი 1,0;

აქტივების საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონვის შედეგად მიიღება სხვადასხვა კატეგორიის აქტივი, რომლებიც დაჯგუფებული არიან მათი რისკის ხაცისხის შესაბამისად. გასათვალისწუნებელია, რომ შეიძლება არსებობდეს მუხლები, რომლებიც არ ექვემდებარება შეწონვის გაანგარიშების მეთოდოლოგიის თანახმად (ცხრილი 12,2).

ბუნებრივია, საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებისა და ბალანსგარეშე ვალდებულებების დაჯამებიტ მიიღება **ერთიანი საკრედიტო რისკისმიხედვით** შეწონილი აქტივები, რომელთაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უნდა დაემატოს შესაბამისი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული **საბაზრო რისკის** მიხედვით შეწონილი აქტივები.

ცხრილი 12.2. კომერციული ბანკის საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების გაანგარიშების ტიპიური მაგალითი

N	**აქტივების სახეები:**	**მოც-ბა**		**საკრე-დიტო რისკის კატეგო-რიები:**		
			0%	**20%**	**50%**	**100%**
1	ნაღდი ფული	5,0	3,0	1,0	1,0	
2	ფულადი სახსრები საქ. ეროვნ. ბანკში	9,0	9,0			

3	ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	5,0	1,0	2,0	2,0	
4	სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები	6,0	6,0			
5	სხვა ფასიანი ქაღალდები	5,0		5,0		
6	გაცემული სესხები	60,0	5,0			55,0
7	დარიცხ. მისაღები პროცენტ. და დივიდ.	3,0	1,0			2,0
8	ინვესტიციები საწესდებო კაპიტალში	2,0				2,0
9	ძირითადი საშუალებ და არამ. აქტივები	3,0				3,0
10	სხვა აქტივები	2,0				2,0
	სულ აქტივები:	**100,0**	**25,0**	**8,0**	**3,0**	**64,0**
	საკრედიტო რისკის კოეფიციენტი		0,0	0,2	0,5	1,0
	საკრედიტო რისკის მიხ. შეწ. აქტივები		0,0	1,6	1,5	64,0
	სულ საკრედიტ. რისკის მიხ. შეწ. აქტივ			სულ67,1		

ქართული რეგულაციით, საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მეთოდოლოგია საბაზრო რისკად მიიჩნევს მხოლოდ **სავალუტო რისკებს. სავალუტო რისკის მიხედვით შეწონვას დაქვემდებარებულ ვალუტაში ფორმირებულ აქტივებს შეესაბამება 50%-იანი რისკის კატეგორია და სავალუტო რისკის კოეფიციენტია 0,5-იანი რისკის კატეგორია და სავალუტო რისკის კოეფიციენტია 0,5.** ინფორმაციისათვის: ეს მაჩვენებელი 2008 წლამდე იყო 1.0, ხო;ო 2009 წლის ივლისამდე 0,75.

ამრიგად, **ჯამური რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობაში შედის** შესაბამისი მეთოდოლოგიით გაანგარიშებული **სამი ლომპონენტი:**

- **საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (ცხრილი 12.2);**
- **საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი ბალანსგარეშე ვალდებულებები;**
- **საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები(საბაზრო რისკად მიიჩნევა მხოლოდ სავალუტო რისკები , სავალდებულო კოეფიციენტი 0,5).**

ზემოთაღნიშნული სამი კომპონენტის დაანგარიშებით და დაჯამებით მიღებული რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ჯამმური მაჩვენებელი დამოიყენება კაპიტალის ადკვატრობის ორი სავალდებულო ნორმატივის გაანგარიშებისათვის.

IX. საქართველოს სახელმწიფო ეროვნუ-ლი ბანკის პრეზიდენტი (2001 წლის 10 აპრილის N95 ბრძაბება)„კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესით“ 2020 წლის 1 იანვრამდე (სებ-ის პრეზიდენტის 2019 წლის N71/04 ბრძნებით 2020 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა „წმინდა სტაბულური დაფინანსების კოეფიციენტების შესახებ დებულაბით“) საქართველოში მოქმედი 12 სავალდებულო ეკნომიკური ნორმატივი (კოეფიციენტი), რომელთაც აქვთ შემდეგი შინაარსი (1, გვ. 664 - 665):

- **კაპიტალის კოეფიციენტები:**

ა) კკ1 (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი) - ბანკის პირველადი კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8 პროცენტისა;

ბ) კკ2 (საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი) - ბანკის საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების არანაკლებ 12 პროცენტისა;

- **სესხების კეფიციენტები:**

გ) სკ1 (ერთი ინსაიდერის კოეფიციენტი) - ბანკის მიერ ერთი ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 5 პროცენტს;

დ) სკ2 (ყველა ინსაიდერის კოეფიციენტი) - ბანკის მიერ ყველა ინსაიდერისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25 პროცენტს;

ე) სკ3 (ერთი აუტსაიდერის კიეფიციენტი) - ბანკის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სახედამხედველო კაპიტალის 15 პროცენტს;

ვ) სკ4 (ურთიერთდაკავშირებულ მსესხებე--ლთა კოეფიციენტი) - ბანკის მიერ ურთიერთდა-კავშირებულ მსესხებელთა ჯგუფისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25 პროცენტს;

ზ) სკ5 (მსხვილი სესხების კეფიციენტი) - ბანკის მიერ გაცემული ყველა მსხვილი სესხისა და სხვა ვალდებულების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ორმაგ ოდენობას;

თ) სკ6 (საბლანკო სესხების კოეფიციენტი) - ბანკის მიერ გაცემული ყველა საბლანკო სესხის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საკრედიტო დაბანდების 25 პროცენტს;

- **ლიკვიდობის კოეფიციენტი:**

ი) ლკ (მყისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტი) - საანგარიშგებო თვის ბოლო დღის ლიკვიდური აქტივების მოცულობა უნდა იყოს საანგარიშგებო თვის ბოლო დღის ვალდებულებების არანაკლებ 30 პროცენტისა;

- **ინვესტიციების კოეფიციენტები:**

კ) იკ1 (წილიბრივი ინვესტიციების კოეფიციენტი) - იურიდიულ პირთა საწესდებო კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 50 პროცენტს;

ლ) იკ2 (ქონებრივი ინვესტიციების კიეფიციენტი) - ბანკის ძირიადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება იურიდიულ [ირთა საწესდებო კაპიტალში ბანკის ინვესტიციების საერთო თანხასთან ერთად არ უნდა აღემატებოდეს ბანკის სააქციო კაპიტალის 70 პროცენტს;

- **სავალუტო პოზიციების კოეფიციენტი:**

მ) პლ2 (საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი) - ბანკის საერთო ღია სავალუტო პოზიცია არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 20 პროცენტს.

საბაზრო დისციპლინის განმტკიცებისა და საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საბანკო სექტორის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობა, რომელიც მიიღწევა კომერციული ბანკების მიერ ფინანსურ ანგარიშგებათა საჯარო-ობით. ამ მიმართულებით უდიდესი როლ შეას-რულა „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარე-ობის გამჭვირვალობის წესმა“ (დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2006 წლის 23 მაისს N 145 ბრძანებით).

შემდგომ პერიოდში, ეროვნული ბანკის მხრიდან გატარეული საზედამხედველო რეფორმე-ბის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტი შემდგომ გაუქმებული იქნა ბაზელ III-ის ჩარჩოზე დაფუძნე-ბული „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის“ (დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის N 92/04 ბრძანებით) მიღების საფუძველზე.

ზემოთაღნიშნული წესის თანახმად, საქარ-თველოში მოქმედი კომერციული ბანკები ვალდებუ-ლნი არიან გამოაქვეყნონ როგორც წლიური აუდი-ტორული ფინანსური ანგარიშგებები, ასევე ყოველ-კვარტალური არააუდიტორული ფინანსური ანგა-რიშგებები და

პილარ 3-ის კვარტალური ანგარიშ-გებით გათვალისწინებული ფინანსური ანგარიშგე-ბით გათვალისწინებული ძირითადი მაჩვენებლები (33 მაჩვენებელი და კოეფიციენტი).

საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ ბანკსა და საზედამხედველო სუბიექტებს შორის სავალდებულო ლიმიტებისა და ნორმატივების შეუსრულებლობაზე ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკანონებულია შესაბამისი ჯარიმები და სანქციები.

ზემოთაღნიშნულებიდან გამომდინარე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1.მონოგრაფიაში განხილულია საკითხები, დაკავშირებული „საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ ბანკსა და საზედამხედველო კომერციული ბანკებსა და სხვა სუბიექტებს შორის ს ა ნ ი მ უ შ ო ს ა ქ მ ი ა ნ ურთიერთობებთან მიმართებაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ და შეთავაზებულია, რომ თუ ანალოგიური კავშირების დაკანონება ქვეყნის სახელმწოფო (სამინისტროები) და მის დაქვემდებულ სუბიექტებს შორის, საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური, ფინანსური და სოციალური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესების საწინდრი გახდებოდა.

2. შეთავაზებულია წინადადება ქვეყნის „მონეტარული პოლიტიკის მაკონტროლებელ“ საქართველოს ეროვნულ ბანკსა და „ფისკალური პოლიტის განმხორციელებელ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის (სადაც საქმიან ურთიერთობებთან ერთად გარკვეული უთანხმოებებიც არსებობენ) საქმიანი კანონიერი წესრიგის დასამყარებლად და ფაქტორი „ფულის“, ფაქტორი „ბანკების“, ფაქტორი „ეკონომიკის გლობალიზაციისა“ და ფაქტორი „დემოკრატიას“ გათვალისწინებით - ახალი მეოთხე აღმასრულებელი, გამაწონასწორებელი და ნეიტრალური სახელმწიფოებრივი შტოს ჩამოყალიბებზე მსჯელობა - თუნდაც „ფულადი ხელისუფლების“ („Денежная Власть“) სახით.

3. მითითებულია, რომ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული „ოქროს კვეთას“ პროპორცია (1 = 0,62 + 0,38) წარმატებულად გამოიყენება ბუნებაში, საზოგადოებაში, ეკონომიკაში, ბიზნესის მართვაში, ანუ ყველგან და ყველაფერში (იხ. 4) და შეთავაზებულია მისი ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაშიც გამოყენების შესაძლებლობა, თუნდაც პირდაპირი და ირიბი გადასახადების თანაფარდობის კანონზომიერად დაკანონების მიმართებაში. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2021 წლის მონაცემების მიხედვით - პირდაპირმა გადასახადებმა შეადგინა 4,1 მლრდ ლარი, ხოლო ირიბმა გადასახადებმა კი 7,4 მლრდ ლარი და „ოქროს კვეთას“ პროპორციის თანახმად შეიძლებოდა მათი მნიშვნელობები დამტკიცებულ იყო შესაბამისად 7,1 მლრდ შეფარდებული 4,3-თან და საქართველოს მოსახლეობას დანაზოგების სახით დარჩებოდა (7,4 – 4,3) = 3,1 მლრდ ლარი, რაც ქვეყანაში მოსახლეობის საშუალო შემოსავლიანი დონის ფენის დამკვიდრებისა და მწარმოებლური პოტენციალის მქონე სუბიექტების ჩამოყალიბების საწინდარი გახდებოდა.

4. მითითებულია, რომ საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის უფრო დეტალურმა ანალიზმა დაგვანახა 12,8 მლრდ ლარიანი შემოსავლებისას საშემოსავლო გადასახადებმა შეადგინა 3,5 მლრდ ლარი და მოგების გადასახადს კი მხოლოდ 1,0 მლრდ ლარი, რაც ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ნამდვილად გამოიყენეს „მოგების განულების შესაძლებლობა“ და არ ასრულებენ მოგების გადასახადის მთავარ დანიშნულებას, რომ „იგი არის მეურნე სუბიექტის მიერ სახელმწიფოსათვის ეკონომიკური (ლოჯისტიკური) სივრცის - ანუ უკვე არსებული შრომითი რესურსების, საწარმოო, სოციალური, კომუნალური, ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურის სხვა სახეობების გამოყენებაზე გარკვეული გადასახადი“ და ამის გამოსწორება შესაძლებელია ქვეყანაში მოქმედი

თითოეული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ბალანსში „რენტაბელობის დონეზე მოგების სიდიდის ხელშეუხებლობა“ იურიდიულად დაგვეკანონებია.

5. აღნიშნულია, რომ ყველაზე სოციალურად არასამართლიანს წარმოადგენენ „ირიბი გადასახადები“ (დღგ, აქციზები), ისინი საბოლოო მყიდველის გადასახდელია და ერთნაირი ხარისხით ახდენენ საგადასახადო ზეწოლას მოსალეობის ყველა ფენაზე და გადასახადების მეშვეობით საქონელის შეძენისას პირადი შემოსავლების უფრო მაღალ წილს შთანთქავენ. ამ მხრივ, პირდაპირო გადასახადები, წარმოადგენენ რა შეფასებითებს, იძლევიან შემოსავალს საერთო წესის მიხედვით, უფრო მართებულები და გარკვეულებია, ვიდრე ირიბი გადასახადები. ამასთან, „ბრუნვის გადასახადის“ ჩანაცვლებამ „დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ)“, ეკონომიკაში მხოლოდ „წარმოებული საქონელის მხოლოდ „საპნის ბუშტივით“ ღირებულებითი ზრდა“ გამოიწვია და არანაირი „მოცულობითი ზრდა“ ვერ მოგიტანა (და იგი მოსახლეობისათვის კიდევ უფრო მძიმე ტვირთად იქცა). ამ მხრივ აშშ-მა და იაპონიამ უარი განაცხადეს დღგ-ს გადასახადზე და დაიტოვეს „ბრუნვის გადასახადი“ და ის ეს საკმაოდ წარმატებულად ფუნქციონირებს.

6. აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტის ნაწილობრივი დევალვაციისა და დედოლარიზაციის კომპანიის ფარგლებში, ქვეყანაში ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადი და საწვავის ფასიც თითქმის გაორმაგდა (აქციზი დიზელის საწვავზე 220-დან 440 ლარამდე, ხოლო ბენზინზე 250-დან 500 ლარალდე გაიზარდა). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად გვესახება „მცურავი აქციზის რეჟიმზე“ გადასვლა, როგორიც მაგალითად თურქეთშია დამკვიდრებული. „მცურავი“ ნიშნავს, რომ თუ ნავთობპროდუქტზე მსოფლიო ფასი იზრდება, აქციზის გადასახადი იკლებს და პირიქით, რაც საბოლოოდ საწვავის ღირებულებას განახევრებდა.

7. აღნიშნულია, რომ მსოფლიო საფონდო ბირჟაზე საერთაშორისო აქციებისა და ობლიგაციების განთავსების საფასურად „ევროკომისია“ ოფიციალურად იხილავს ქვეყნების ბიუჯეტის სასარგებლოდ „საერთაშორისო ტრანზაქციებზე“ გარკვეული გადასახადის შემოღების შესახებ საკითხებს. ამასთან დაკავშირებით, გარკვეული წარმატებუ-ლი ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო ტრანზაქციებზე ქვეყნის მნიშვნელოვანი რესურსრბის (ფულადი მასის) ხანგრძლივი პერიოდით მხოლოდ საკუთარი სარგებლის მიზნით გამოყენების საფასურად, შეთავაზებულია მსხვილი კორპორაციების მიერ „საერთაშორისო ფინანსურ ტრანზაქციებზე“ ქვეყნის ბიუჯეტში თუნდაც 0,1%-იანი გადასახადის შემოღებას, რაც ჩვენს შემთხვევაში 5,5 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდების ტრანზაქციე-ბიდან ქვეყნის ბიუჯეტში სულ მცირე - 0,55 მლრდ ლარით შევსების მნიშვნელოვანი წყარო გახდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ. - თანამედროვე საბანკო საქმრ: თეორია და პრაქტიკა (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა). - თბილისი, 2022. – 704 გვ.
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართვე-ლოს ეროვნული ბანკის შესახებ“. - თბილისი, 2010 წლის 14 სექტემბერი, N 1676 – II ს.
3. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. - თბილისი, 1996 წლის 23 თებერვალი, N 121 – II ს.

4. ცაავა გ. - ეკონომიკური ნორმატივების სრულყოფის საკითხები: „ოქროს კვეთას“ პროპორცია ბუნებაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, მშენებლობაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, ფინანსურ და საბანკო მენეჯმენტში (მონოგრაფია). - თბილისი, გამომცემლობა „დანი“ , 2016. – 126 გვ. ISBN 978-9941-08840-7.

5. ცაავა გ., ბურდიაშილი რ., მოსიასვილი ვ. - ფული, ფულის მიმქცევა და კრედიტი. - სასწავლო-პრაქტიკული სახელმძ-ღვანელო. - თბილისი, გამომც-ბა „დანი“, 2017, 670 გვ.

6. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ., მოსიაშვილი ვ. - რისკოლოგია: ფინანსური რისკების სტრატეგიული მენე-ჯმენტი, ახელმძღვანელო (შევსებული და გადამუშავებული მესამე გამოვემა). - თბილისი, 2021. – 379 გვ.

7. ცაავა გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები, პრაქტიკა და სქემები კომენტარიებითა და განმარტებებით), სახელმძღვანელო (გადამუშა-ვებული და შევსებული მესამე გამო-ცემა) . - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 648 გვ.

8. ცაავა გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთო-დები და პრაქტიკა), გადამუშავებული და შევსებული მეორე გამოცემა, სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომ-ლობა „დანი“, 2025. – 650 გვ.

9. Лаврушин О.И., Мамонова И.Д. и др. – Банковское дело: учебник, 8-е изд. – М.: КНОРУС, 2009. – 768 с.

10. Питер С. Роуз. – Банковский Менеджмент: Предоставление финансовых услуг (Перевод с английского)ю – Москва: Делоб 1997ю – 768 с.

11.Copeland, Timothy S. – “Aspects to Consider in Developing a Looan PrincinMicrocomputer Model”. The Magazine of Bank Adminustration, August 1983, pp. 32 – 34.

ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი განათლებაში
Final Technologies and Artificial Intelligence in Education

ბექარ კილასონია - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასისტენტ-პროფესორი
Bekar kilasonia - Georgian National University SEU
Assistant Professor

აბსტრაქტი. ხელოვნური ინტელექტის (AI) სწრაფი განვითარება დიდ გავლენას ახდენს განათლებაზე. ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი იძლევა შესაძლებლობას ყვლამ ისარგებლოს მიმდინარე ტექნოლოგიური რევოლუციით და წვდომა მიიღოს მის ნაყოფიერებაზე, განსაკუთრებით ინოვაციებისა და ცოდნის თვალსაზრისით. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება განათლებაში სარგებელს მოუტანს მთელ კაცობრიობას იმ შემთხვევაში, თუ გააძლიერებს ადამიანზე ორიენტირებულ მიდგომებს პედაგოგიკაში და პატივს სცემს ეთიკურ ნორმებსა და სტანდარტებს. ხელოვნური ინტელექტი მიმართული უნდა იყოს თითოეული მოსწავლისთვის სწავლის გაუმჯობესებაზე, მასწავლებლებისა და მართვის სისტემების გაძლიერებაზე. განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი, ინკლუზიური და თანაბარი უნდა იყოს.

AI სისტემებს აქვთ პოტენციალი შეასრულონ ტრანსფორმაციული როლი ამ მიზნების მიღწევაში. პერსონალიზებული სწავლის გზების, რეალურ დროში უკუკავშირის მექანიზმებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდოლოგიების მეშვეობით, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება მოერგოს სხვადასხვა სასწავლო საჭიროებებს და უზრუნველყოს სტუდენტების მაქსიმალური პროდუქტიულობა.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, თანამედროვე ტექნოლოგიები, მოსწავლის/სტუდენტის სწავლებაზე მიმართული AI, მოსწავლის/სტუდენტის მხარდაჭერაზე მიმართული AI, მასწავლებლების მხარდაჭერაზე მიმართული AI, სისტემის მხარდაჭერაზე მიმართული AI.

Abstract. The rapid development of artificial intelligence (AI) is having a major impact on education. The growing use of artificial intelligence technologies in education will benefit all of humanity if it reinforces human-centered approaches to pedagogy and respects ethical norms and standards. Artificial intelligence should be aimed at improving learning for every student, empowering teachers and management systems. Education should be accessible, inclusive and equal for all.

AI systems have the potential to play a transformative role in achieving these goals. Through personalized learning paths, real-time feedback mechanisms and innovative teaching methodologies, AI can adapt to different learning needs and ensure maximum student productivity.

Keywords: Artificial Intelligence, Modern Technologies, AI aimed at the teaching of the pupil/student, AI aimed at the support of the pupil/student, AI aimed at supporting teachers , AI aimed at supporting the system.

ძირითადი ტექსტი: ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) სრულიად გარდაქმნა ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის წესი, შესაბამისად ამ მხრივ არც განათლების სფეროა გამონაკლისი. ბოლო წლების განმავლობაში, ხელოვნური ინტელექტი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, ისევე, როგორც ინკლუზიური სწავლების ხელშესაწყობად, მძლავრ ინსტრუმენტად იქცა. ხელოვნური ინტელექტის განათლებაში ყველაზე პრაქტიკულ გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს პერსონალიზებული სწავლება. მოსწავლეთა/სტუდენტთა მუშაობისა და ქცევის შესახებ მონაცემების ანალიზით, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს განსაზღვრავენ და კონკრეტულ მოსწავლეზე/სტუდენტებზე მორგებულ რეკომენდაციებს ავითარებენ.

AI დიდ გავლენას ახდენს, ახალი საგანმანათლებლო რესურსებისა და ინსტრუმენტების განვითარებაზე, ასევე ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაზე. ხელოვნური ინტელექტი ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს, გაეცნონ საგანმანათლებლო მასალას და ჩაერთონ საკლასო აქტივობებში. შესაბამისად, მაღალი ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის ხელშეწყობით, AI ყველა მოსწავლეს აძლევს წარმატების მიღწევის შესაძლებლობას.

ხელოვნური ინტელექტის დანერგვა საგანმანათლებლო კონტექსტში შეიძლება 1970-იანი წლებიდან მივიჩნიოთ. კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებამ განაპირობა მრავალი სამეცნიერო ნაშრომის გაჩენა. ბოლო წლების განმავლობაში, ხელოვნური ინტელექტის ზრდამ საზოგადოებაში შოკისმომგვრელი ტალღა გამოიწვია, როგორც ეკონომიკურ, ასევე კულტურულ დონეზე. ხელოვნური ინტელექტი საშუალებას აძლევს მანქანებს შეასრულონ ამოცანები, რომლებიც ტრადიციულად მოითხოვდა ადამიანის შემეცნებას. AI-ზე მომუშავე პროგრამებსა და მოწყობილობებს შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება, პრობლემების გადაჭრა, ბუნებრივი ენის გაგება და მიბაძვა, ასევე არასტრუქტურირებული მონაცემების სწავლა. 2022 წლის შემოდგომაზე OpenAI-ის ChatGPT-ის - ბუნებრივი ენის დამუშავების ჩატბოტის გამოშვებამ მიიპყრო მრავალი ადამიანის ყურადღება. მისი გამოყენება შესაძლებელი გახდა ადამიანების სურვილებიდან გამომდინარე.

დღევანდელ სამყაროში ის უნარები აღარ არის საკმარისი წარმატებულად დასაქმებისთვის რაც ადრე მესამე ინდუსტრიის პერიოდში იყო, სადაც ინფორმაციული სისტემები იყო წამყვანი. დღეს საჭირო უნარებია კრიტიკული აზროვნება, ადამიანების მართვა, ემოციური ინტელექტი, მოლაპარაკებები, კოგნიტური მოქნილობა, და ცოდნის წარმოება და მენეჯმენტი. ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) მოახდინა რევოლუცია განათლებაში, რომელიც გამოიხატა პერსონალიზებული სწავლის გამოცდილების გაძლიერებით, ადმინისტრაციული ამოცანების

ავტომატიზაციისა და მონაცემების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის მიწოდებით. წარმოიდგინეთ მომავალი, სადაც ყველა სტუდენტი მიიღებს პერსონალიზებულ მხარდაჭერას და ინკლუზიურ სწავლის შესაძლებლობებს, დაამყარებს ძლიერ კავშირებს მასწავლებლებთან და მიიღებს სათანადო აღიარებასა და შეფასებას მათი მიღწევების შესახებ.

პერსონალიზაცია: „ერთი მასწავლებლისთვის შეიძლება ძალიან რთული იყოს იმის გარკვევა, თუ როგორ დააკმაყოფილოს ყველა სტუდენტის საჭიროება მის აუდიტორიაში. ხელოვნური ინტელექტის სისტემები ადვილად ადაპტირდება თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებთან და შეუძლია გაუწეროს ნინსტრუქცია ძლიერი და სუსტი მხარეების მიხედვით.

სწავლება: ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ „გაზომონ სტუდენტის სწავლის სტილი და მანამდე არსებული ცოდნა, რათა უზრუნველყონ მათზე მორგებული მხარდამჭერი ღონისძიებები.

სწავლა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით გულისხმობს ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე ინსტრუმენტების გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში:

ხელოვნური ინტელექტი, უშუალოდ მოსწავლის\სტუდენტის მხარდასაჭერად, მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს: ჭკვიანი სასწავლო სისტემა, დიალოგზე დაფუძნებული სასწავლო სისტემა, კვლევითი სასწავლო გარემო, წერითი ნაშრომის ავტომატური შეფასება, სასწავლო ქსელის ორკესტრატორი, ჩატბოტი და ხელოვნური ინტელექტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მხარდასაჭერად.

ხელოვნური ინტელექტი ადმინისტრაციული სისტემის მხარდასაჭერად დიაგნოსტირების ან მთელი სისტემის მასშტაბით დაგეგმვის მხარდასაჭერად: საგანმანათლებლო მონაცემების მოპოვება რესურსების განაწილებისთვის, სწავლის სირთულეების დიაგნოსტიკა, მართვის სერვისები.

ხელოვნური ინტელექტი უშუალოდ მასწავლებლის მხარდასაჭერად სასწავლო მასალების ჭკვიანი კურირების სისტემას, განმსაზღვრელი შეფასება, ქულების დაწერა,მოსწავლეთა ონლაინდისკუსიის მონიტორინგი, AI სისტემები, როგორც მასწავლებლის ასისტენტები, პედაგოგიური რესურსები და რეკომენდაციები.

ხელოვნური ინტელექტის შესწავლა გულისხმობს ყველა ასაკის მოსწავლის (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი) და მათი მასწავლებლების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებას ხელოვნური ინტელექტის შესახებ, რაშიც მოიაზრება ხელოვნური ინტელექტის ტექნიკები (მაგ. მანქანური სწავლება), ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები (მაგ. ბუნებრივი ენის დამუშავება), ასევე, სტატისტიკა და კოდირება, რომელზეც აბსოლუტურად ყველაფერია დამოკიდებული.

ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებს სამუშაო დატვირთვის შემცირებაში ამოცანების ავტომატიზაციის გზით, როგორიცაა შეფასება, პლაგიატის გამოვლენა, ადმინისტრირება და გამოხმაურება. ამ საქმეში ერთ- ერთ წამყვან როლს მასწავლებლების ვირტუალური „ასისტენტის“ ასრულებს. სასწავლო გეგმების შედგენიდან დაწყებული მაღალი ხარისხის სასწავლო რესურსების გამომუშავებამდე, ხელოვნურ ინტელექტს აქვს პოტენციალი, შეამციროს მასწავლებლების მიერ ადმინისტრაციული ამოცანების შესრულებაზე დახარჯული დრო. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს შიშები თუნდაც დაშვება იმის შესახებ, რომ მომავალში, როგორც კი ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და გავლენის არეალი გაფართოვდება, ისინი შეასუსტებენ მასწავლებლების როლს, ან მეტიც, ჩაანაცვლებენ მათ. ამ დაშვების საპირისპიროდ აქვე შეგვიძლია მოვახდინიტ მისი

ფორმულიტრება შემდეგი სახით: AI-ს შეუძლია მათი დახმარება, რომ შექმნან ისეთი სასწავლო გარემოებები, რომლებიც წაახალისებს მასწავლელებს, იყვნენ უფრო შემოქმედებითები, იფიქრონ, გადაჭრან რეალური ცხოვრებისეული პრობლემები, ითანამშრომლონ ეფექტიანად და გამოიმუშაონ ისეთი გამოცდილებები, რომელთა შექმნაც AI სისტემებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ.

AI-ს შეუძლია რუტინული ადმინისტრაციული ამოცანების ავტომატიზება, რაც მეტ დროს მისცემს მასწავლებლებს, სასწავლო შინაარსზე კონცენტრირდნენ. ამ გზით მასწავლებლის როლი გაფართოვდება და განვითარდება, იმ შესაძლებლობების შეთავსებით, რომელთაც AI განათლებაში ინოვაციების დანერგვით მოიტანს. ამისათვის აუცილებელია ერთი მხრივ, ფრთხილი და გულმოდგინე მიდგომა AI აპლიკაციების შექმნა-გამოყენებისას და, მეორე მხრივ, ფოკუსირება მასწავლებელთა კორპუსის შენარჩუნებაზე. მიუხედავად AI-ს მრავალმხრივი განვითარებისა, ის ვერ ჩაანაცვლებს შემოქმედებითობის, თანაგრძნობისა და კრიტიკული აზროვნების უნარებს, რომლებიც მასწავლებლებს შემოაქვთ სასწავლო პროცესში.

ხელოვნური ინტელექტი ბევრ შესაძლებლობებს იძლევა მასობრივი ღია ონლაინ კურსებისთვის, დიდი მოცულობით დავალებების შეფასებისთვის, სწავლების მიზანმიმართულებისა და სწავლების პროგრესის გასაზომად. ხელოვნური ინტელექტი ხელს უწყობს უკეთესი განათლების მიღების შესაძლებლობას, რომელიც ორინტირებული იქნება პროდუქტიულ დასაქმებაზე.

AI-ს გამოყენება განათლებაში გარკვეულ გამოწვევებსა და ეთიკურ დილემებთანაც არის დაკავშირებული. ერთ-ერთი ასეთი რისკია, ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭერით მომუშავე სისტემების მიერ მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფების მიმართ სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციის გამყარება, რომელმაც შესაძლებელია კიდევ უფრო მეტად გაზარდოს არსებული უთანასწორობას. ამაში საგულისხმოა ის დაშვება, რომ თუ ხელოვნური ინტელექტი სწავლის სხვადასხვა სტილსა და კულტურულ თავისებურებებზე არ იქნება მორგებული შესაძლებელია ზოგიერთი მოსწავლე/სტუდენტი არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ასევე, საკამათო თემაა მოსწავლეთა მონაცემების კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების საკითხი. ხელოვნური ინტელექტის მქონე სისტემები აგროვებენ და აანალიზებენ დიდი რაოდენობით მონაცემებს სტუდენტის მუშაობისა და ქცევის შესახებ, რაც დაცული უნდა იყოს არაავტორიზებული წვდომისგან ან ბოროტად გამოყენებისგან. ამ გამოწვევების გადასაჭრელად, მნიშვნელოვანია, AI-ს გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპებისა და პრაქტიკის შემუშავება. ეს პრინციპები უნდა ეხებოდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მიკერძოება, კონფიდენციალურობა, უსაფრთხოება და გამჭვირვალობა და უნდა შემუშავდეს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით. შედეგად კი, AI-ს განათლებაში ინტეგრირებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, კრეატიულობისა და თანაგრძნობის განვითარებას.

განთლება ყველაზე დიდი იარაღია, რომელიც სამყაროს შეცვლა შეუძლია. შესაბამისად განათლებაში ხელოვნური ინტელექტის ეთიკური, ინკლუზიური და სამართლიანი გამოყენება გავლენას მოახდენს მდგრადი განვითარებაზე და საზოგადოების წინსვლაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვეინ ჰოლმსი, ჯენ პერსონი, ირენ-ანგელიკა ჩუნტა , ბარბარა ვასონი, ვანია დიმიტროვა „ხელოვნური ინტელექტი და განათლება“ ევროპის საბჭო, 2022 წლის ნოემბერი.

2. Miao, Fengchun , Holmes, Wayne „Guidance for generative AI in education and research“ Published 2023

3. Fengchun Miao, Wayne Holmes, Ronghuai Huang, and Hui Zhang „AI and education Guidance for policy-makers“ Published in 2021 by the United Nations Educational, Scientific and Cultural Organization 2023

4. Stuart Russell, Peter Norvig „Artificial Intelligence: A Modern Approach“

5. https://www.coe.int/en/web/portal/home

6. https://www.unesco.org/en

საქართველო და მთის ტურიზმი
Georgia and mountain tourism

ლალი ოქროცვარიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ასოცირებული პროფესორი
Lali Okrotsvaridze - Caucasus International University
Associate Professor

აბსტრაქტი. ტურიზმმა მრავალჯერადად დაგვიმტკიცა მისი „უკვდავება“, საჭიროება და პრიორიტეტულობა, ეს თითქმის სრულიად მსოფლიომ აღიარა. მისი პროგრესი და განვითარება ვერ შეაჩერა ვერც კრიზისებმა და ვერც ვირუსებმა. ასეთ პირობებში ხდება თითქოს მისი მიძინება და პროცესების დარეგულირების შემდგომ, კვლავ ძალების საკმაოდ სწრაფი აღდგენის მეშვეობით, უფრო მეტი ენთუზიაზმით იწყებს ახალი გზების გაკვლევას და ათვისება-განვითარებას.

ამ ფონზე არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. მისმა ბუნებამ, კულტურულმა და ისტორიულმა ძეგლებმა, ტრადიციებმა და სამზარეულომ მრავალი ქვეყნის წარმომადგენლების აღფრთოვანება გამოიწვია. მისი კლიმატი ტურისტებს კომფორტს უქმნის და ბუნება კი წელიწადის სხვადასხვა დროს დაუვიწყარ პეიზაჟებს სთავაზობს სტუმრებს.

საქართველოს თითოეული კუთხე განსაკუთრებულობით და ინდივიდუალიზმით გამოირჩევა, გარემო მრავალჯერ იცვლის სამოსს. ტურისტული თვალსაზრისით საინტერესოა მისი მთაც და ბარიც. თუმცა მისასალმებელია, რომ ბოლო ათწლეულში პრიორიტეტად საქართველოს მთავრობამ მთის ტურიზმის განვითარება დაისახა მიზნად. ეს იდეა აიტაცა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც, რაც ორმაგად გასახარებელი იყო და ადგილობრივმა სპეციალისტებმაც დრო არ დაკარგეს და საქმეს შეუდგნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი შეხედულებები დარგის განვითარებასთან დაკავშირებით განსხვავებული იყო. თუმცა საღმა აზრმა გაიმარჯვა და ქვეყანაში მთის ტურიზმი სწრაფი აღმავლობის გზას დაადგა. ჩემი ქვეყნის გადასახედიდან ეს ნიშნავს: მთაში ინფრასტრუქტურის განვითარებას, საოჯახო სასტუმროების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობის ადგილზე დამაგრებას, დაცარიელებული სოფლების გამოცოცხლებას .....

საქართველოს „მთა“ დიდ სიურპრიზებს სთავაზობს მსოფლიო საზოგადოებას, შთამბეჭდავია:- რელიეფი, ფლორა, ფაუნა, უძველესი არქიტექტურა, საქართველოს წარმართული ცხოვრების კვალი, კერპები, ტრადიციები, რომელმაც გზა დაუთმო პროგრესს და განვითარებას.....

საკვანძო სიტყვები: მთის ტურიზმი, პროგრესი, განსაკუთრებულობა, ინდივიდუალიზმი, პრიორიტეტი, საერთაშორისო ორგანიზაციები, ადგილობრივი სპეციალისტები, ინფრასტრუქტურა.

Abstraqti. Tourism has repeatedly proved its "immortality", necessity and priority, it has been recognized by almost the entire world. Neither crises nor viruses could stop its progress and development. In such conditions, it seems to fall asleep, and after the processes are regulated, again through a rather quick recovery of forces, it begins to explore and adopt-develop new ways with more enthusiasm.

Against this background, Georgia is not an exception either. Its nature, cultural and historical monuments, traditions and cuisine have attracted the admiration of representatives of many countries. Its climate provides comfort to tourists, and nature offers unforgettable landscapes to its guests at different times of the year.

Each corner of Georgia is distinguished by its uniqueness and individuality, the environment changes apparel many times. Both its mountains and valleys are interesting from the tourist point of view. However, it is welcome that in the last decade, the Georgian government has set the goal of developing mountain tourism as a priority. This idea was also taken up by international organizations, which was doubly gratifying, and local specialists did not waste time and got down to business, even though their views on the development of the field were different. However, common sense prevailed and mountain tourism in the country started a rapid rise. From the point of view of my country, this means: developing infrastructure in the mountains, creating family hotels and settling the local population, reliving empty villages.

"Mountain" of Georgia offers great surprises to the world community, it is impressive: - terrain, flora, fauna, ancient architecture, traces of pagan life of Georgia, idols, traditions, which gave way to progress and development.....

Key words: mountain tourism, progress, uniqueness, individualism, priority, international organizations, local specialists, infrastructure.

ვსაუბრობთ რა მთის ტურიზმზე, ყოველთვის წარმოვიდგენთ თოვლით დაფარულ მწვერვალებს, კლდოვან, ყინულოვან უღელტეხილებს, სხვადასხვა სახის დაბრკოლებებს, ფარდაგივით გაშლილ მთის კალთებს, საცხენოსნო ან საფეხმავლო ბილიკებს, რომლებიც „ღრუბლეში იკარგება“.

მთის ტურიზმი პირდაპირი გაგებით რომ ასოცირდება ტურიზმის აქტიურ ფორმასთან, ეს უცხო არაა. როგორც სპორტული ტრიზმის ერთ-ერთ სახეს, მას ხშირად უკავშირებენ ლაშქრობას, თხილამურებით, ველოსიპედით, ავტომობილით, ცხენით გასეირნებას, ნაოსნობას და ა.შ. , რაც საქართველოში კარგად ნაცნობია.

სამთო ტურიზმი როგორც წესი ხორციელდება ზღვის დონიდან (2500-3000 მეტრი) განსაზღვრულ სიმაღლეზე. საფეხმავლო მარშრუტები ხშირად რთული და მრავალფეროვანია. მთა ტურისტებს უამრავ გამოცდას უწყობს და ეს კიდევ მეტად ხდის მას საინტერესოსა და ამოუცნობს. ის ადამიანს საშუალებას აძლევს გამოავლინოს საუკეთესო და მისთვის ჯერაც უცნობი თვისებები. ასეთი გამოთქმაც კი არსებობს:- “თუ ადამიანის გაცნობა გსურს უნდა წაიყვანო მთაშიო„. რაც უფრო შორეული და მიუწვდომელია მწვერვალი, მით უფრო სანატრელი და საინტერესოა.

საქართველო ფშავ-ხევსურეთის, სვანეთის, აჭარის მთების, კავკასიონის მთლიანი მასივის ულამაზესი მწვერვალებით (უმაღლესი მწვერვალი შხარა სიმაღლე ზღვის დონიდან 5203 მეტრი) და პეიზაჟებით არის განთქმული, ყინვა, ქარბუქი, ნისლი და ზვავი მათი თანმდევი ბუნებრივი მოვლენებია. თოვლის საფარის ქვეშ არსებული ხრამები და მყინვარების ქვეშ გამდინარე მდინაარები, ხშირად საშიში და მომაკვდინენელი ხდება მთაზე მოსიარულეთათვის. მთის სტუმრები კი სწორედ სპეციალური ფიზიკური მომზადებისა და განსაკუთრებული უნარ-ჩვევების დამსახურებით უმკლავდება ასეთი დაბრკოლებების გადალახვას ...

მთებზე და კერძოდ საქართველოს მთიანეთზე მრავალი რამის თქმა შეიძლება, ისინი უფრო მეტს მალავენ, ვიდრე გვთავაზობენ, მისი ლამაზი პეიზაჟების უკან მრავალი ამოუხსნელი საიდუმლოებებია დამალული (ხვამლი, იგივე ხომლი, ლეჩხუმი, სიმაღლე ზღვის დონიდან 2002 მ). მაგალითისთვის რამდენიმეს შევეხებით: ხვამლის მთა ბერძნული მითოლოგიის თანახმად ჰერაკლეს და არგონავტების მოგზაურობის მისტიკურ ადგილადაა მიჩნეული. სწორედ აქ იყო

პრომეთე მიჯაჭვული ზევსის ბრძანებით, რომელიც ჰერაკლემ გაათავისუფლა. მასზე საუბრობს იტალიელი მოგზაური და მკვლევარი დანიელა პიზაგანი, არც ფრანგი მწერალი-ფანტასტი ჟიულ-ვერნი დარჩენილა გულგრილი, რომანში „შეუპოვარი კერაბანი," ასე მოიხსენიებს ამ ადგილს:

„ამ მთებში, რომლებიც კვეთენ ჰორიზონტს თანამედროვე ქუთაისთან, იაფეტისა და კლიმენას შვილი პრომეთე, რომელმაც მოიტაცა ცეცხლი, იუპიტერის (ზევსის) ბრძანებით მიჯაჭვული იქნა ხომლის მწვერვალზე და მას ყორანი უკორტის გულ-ღვიძლს.„

„ხვამლის მთასთან არსებული ერთ-ერთი გამოქვაბულის კედლებზე არქეოლოგებმა ციურ მნათობთა სქემის ნახატიც აღმოაჩინეს - ცხენზე ამხედრებული ძველეგვიპტური ისიდა და ნაყოფიერებისა და წყლის ღმერთები. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს სქემა 5604 ვარსკვლავის განლაგებას ასახავს."

1944 წელს კი „ გერმანიის არმიის ხელმძღვანელობამ სტრატეგიულად ყოვლად გაუმართლებელი მანევრი განახორციელა და კავკასიის მთებში დესანტი გადმოსხა. ელიტარულმა სამთო დანაყოფმა "ედელვაისმა" კავკასიის მთავარი ქედის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე მესამე რაიხის დროშა აღმართა. ედელვაისი მარუხის უღელტეხილზე, ქართულმა სამთო დივიზიამ გაანადგურა. დაზუსტებით დღემდე არავინ იცის, რას ემსახურებოდა გერმანელების აღნიშნული ოპერაცია. არის მოსაზრება, რომ ისინი კავკასიის მთებში წარსულის საიდუმლო რელიქვიებს ეძებდნენ, რომლის არსებობის შესახებაც გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ, იმდენად სანდოს, რომ ამგვარ სამხედრო მანევრზე წასვლაც კი გარისკეს."

დღეს ხვამლის მთა ეროვნულ საანძურს წარმოადგენს. მას 2020 წლის 23 ივლისს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.

„რაც შეეხება ხევსურეთის მთებს, ისტორიულად მუდამ იდგნენ საქართველოს სადარაჯოზე და მისი მიხვეულ-მოხვეული ბილიკები და ხეობები მტერს ყველა შანსს ართმევდა. ისტორიამ, განსაკუთრებით ხალხურმა თქმულებებმა და ლექსებმა, შემოგვინახეს ხევსურთა გმირობის ამბები. ხევსურეთს, როგორც ქისტეთ-ჩეჩნეთისა და ლეკების მოსაზღვრეს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ჩრდილოეთი საზღვრის დასაცავად. "

სვანეთმა, როგორც ჩვენი ისტორიის „მემატიანემ" მრავალი საგანძური შემოგვინახა (ადიშის ოთხთავი, თამარ მეფის ჯვარი და ა. შ), ის რაც ჩვენი თვალით ვნახეთ და რაც არ გვინახავს და დამალულია მისი მთის კალთებში, ეს კიდევ სხვაა. ჩაჟაში და სხვა მისი მსგავსი კოშკებით ასვეტილი სოფლები უსაზღვროდ ლამაზია მწვერვალების ფონზე. სვანების ცხოვრების სტილი და ტრადიციები კავკასიონის მწვერვალებივით მედიდური, მტკიცე და შეუვალია. ეს უნდა ნახოს ადამიანმა თავისი თვალით, ენით გადმოცემა შეუძლებელია. მათი კუბდარი, ჭვიშტარი, ლეცმარ, კაარზ, ქნაშ, ნარჩვი თუ არ დააგემოვნეთ, თუ არ შეიგრძენით სვანი მონადირისა რიტუალი და დამოკიდებულება ბუნებასთან, ჩათვალეთ რომ ეს კუთხე არ გინახავთ და შთაბეჭდილებებსაც ვერ წაიღებთ აქედან.

დღეს „მთა" მხოლოდ სპორტული დანიშნულებით არ გამოიყენება. თუმცა საქართველოსთვის ექსტრემალური ტურიზმი უცხო და მიუწვდომელი არაა. ქალაქის ხმაურსა და აჩქარებულ რიტმს გამორიდებული ადამიანები სამყაროს ულამაზეს ადგილებს სტუმრობენ. აქ მათ ლამაზ გარემოსთან და სუფთა ჰაერთან ერთად ხვდება ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი სამკურნალო მჟავე წყლები, საქართველო ამ მხრივ მართლაც რომ განებივრებულია: ბორჯომის ხეობა, სვანეთი, ლეჩხუმი, გურია, იმერეთი, ხევსურეთი. ესაა მცირე ჩამონათვალი იმ ადგილებისა სადაც ასეთი წყლები არსებობს.

ტურისტები ზემოთ ხსენებულის პარალელურად ეცნობიან ადგილობრივ ლეგენდებს, ისტორიებს, წესებს, ტრადიციებს. საინტერესოა სარწმუნოებრივი ელემენტები, სამზარეულო, კუთხური სამოსი. სამწუხაროდ ზოგი ტრადიცია დავიწყებას მიეცა, მხოლოდ იმის გამო, რომ ტრადიციის გამგრძელებელი არ დარჩა სოფლად. ეს უფრო მეტად ფშავ-ხევსურეთს ეხება. სავალი გზები შედარებით უსაფრთხოდ გამოიყურება, სახელმწიფომ სერიოზული სამუშაოები გასწია გზების ასფალტირება- შეკეთებაზე, ფშავში საოჯახო სასტუმროებია შექმნილი, მაგრამ ამ ყველაფერს სეზონური ხასიათი აქვს. ზამთარში არხოტი, ფშავის, ანატორიის აკლდამების, მუცოს ტერიტორია გარემო სამყაროსთვის მოწყვეტილად ითვლება, რდგან ზამთრის პერიოდში გზები იკეტება და ადგილობრივები ქალაქისკენ მიდიან. იქ ზამთარში უფრო მხცოვანი ადამიანი თუ დარჩება, მისი პრინციპებიდან გამომდინარე.

ხევსურეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატები ნივთმტკიცებაა იმისა, რომ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან ცხოვრობდნენ ამ ულამაზეს უფლისგან ნაკურთხ მიწაზე. აქ ეკლესია-მონასტრებზე მეტად წარმართულ სამლოცველოებს ვხვდებით, რადგან მიუხადავად იმისა, რომ ხევსურები მართლმადიდებლები არიან, მაინც ვერ ღალატობენ უძველეს წესს და ადათს, ისინი უმეტესად ჯერ კიდევ წარმართულ კერპებს ეთაყვანებიან. ამ ყველაფრის პარალელურად კი შატილსა და მის მახლობელ სოფლებში წირვა-ლოცვა მიმდინარეობს.

შატილის სიპი ქვით ნაშენი სახლები შეიძლება XVII-XVIII საუკუნის დასაწყისით დათარიღდეს. 1970-იანი წლებში კი დაიწყო მისი რესტავრაცია-ადაპტაციის პროცესი და საქმე დღედე გრძელდება.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში შეიყვანა შატილი. აქ ადგილობრივი ტურისტები ღამის გასათევად ძირითადად კარვებს იყენებენ. თუმცა ბოლო დროს ტურისტების რაოდენობის მატებამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა იქ მაცხოვრებლებს. დეფიციტი შეიქმნა როგორც განთავსების საშუალებების ისე კვების ობიექტების მხრივ, კერძოდ სოფელ როშკის შემდეგ აღარც მაღაზიებია და არც კვების ობიექტები. ამ პრობლემამ განსაკუთრებით მაშინ იჩინა თავი როცა სეზონზე თხუთმეტი 20 კაციანი ჯგუფი ესტუმრა შატილს ძირითადად ისრაელიდან.

შატილს მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. „ამ მიმართულებით USAID-ის ეგიდით განხორციელდა რამოდენიმე პროექტი, მათ შორის: „ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით“ და „ენერგოეფექტური საპილოტე პროექტის განხორციელება ახალი თაობის თბური ტუმბოს გამოყენებით“ პირველად საქართველოში. ასევე ამუშავდა მცირე ჰესი, რომელიც ეხმარება შატილს ელექტროენერგიით უზრუნველყოფაში. ზემოთაღნიშნული განხორციელებული პროექტების ფარგლებში, შატილის სკოლა-ინტერნატის შენობას ზაფხულის განმავლობაში შესაძლებლობა მიეცა იყოს დამატებითი სერვისის მიმწოდებელი ვინაიდან სწავლა ზაფხულში შეწყვეტილია. ასევე დონორი ორგანიზაციის მხრიდან დაფინანსდა ტრენინგი საოჯახო სასტუმროს მეპატრონეთათვის-მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ხევსურეთის ტურიზმის ასოციაციის ორგანიზებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს შატილის ტურიზმის მარკეტინგული განვითარების გეგმის შექმნაზე. “

მთა ორ მხრივ შეიძლება იყოს საინტერესო ტურისტისთვის, ერთი:- მისი ბუნება და რელიეფი და მეორე:- ტრადიციები და სარწმუნოება.

თითოეული ქვეყანა რომელიც დაინტერესებულია შიდა და საერთაშორისო ტურიზმის განვითარებით, ცდილობს ქვეყანაში განავითროს ტურისტული ინდუსტრია, გაიყვანოს ასფალტირებული გზები ტურისტულ დესტინაციამდე, შექმნას მრავალი სასტუმრო თუ ღამის

გასათევი კოტეჯი, რესტორანი და სწრაფი კვების ობიექტები, ცდილობს მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ტურისტებს შეუქმნას კომფორტი ყველა სფეროში, რადგან კარგად ვიცით რომ მოთხოვნები 30-40 წლის წინ რომ იყო დღეს საკმარისი არაა თანამედროვე ტურისტისთვის. ცხოვრების დონის ცვლილებასთან ერთად იცვლება და იზრდება ტურისტული მოთხოვნებიც.

არის ადგილები, რომელთა ბოლომდე გაკულტურება არ შეიძლება, რადგან მისი სილამაზე მის ხელუხლებობაშია, მისი პირვანდელი სახის შეცვლა დანაშაულია. თუმცა ფიჭური კავშირის არსებობა და ტურისტულ ობიექტამდე ასფალტირებული გზა საჭიროა, მაგრამ უშუალოდ ტურისტული ღირსშესანიშნაობის, კერძოდ მთის ბილიკების შეცვლა, ან გათანამედროვება ამ დესტინაციას ხიბლს აკარგვინებს. როდესაც ფეხს დგავ ბილიკზე, რომელიც წინაპრების მიერ არის გაკვალული, სიამაყის გრძნობით ივსები და გრძნობ სისხლი როგორ ჩქეფს შენს ძარღვებში, ისეთი შეგრძნება იქმნება თითქოს შენთან ერთად მიუყვებიან ამ ბილიკებს შენი მამა-პაპანი, შენს თვალწინ იშლება მათი ცხოვრებისეული დეტალები. დეტალები, რომელიც სამუდამოდ იბეჭდება შენს გონებაში. შატილისა და მუცოს 1880 მეტრზე მდებარე ნასოფლარისკენ მიმავალ ბილიკს თუ არ გაივლი, რაჭაში 1500 მეტრზე მდებარე - 9 ჯვარზე ასასვლელ ძველ ბილიკებს თუ არ გაუყვები, ვერ გაიგებ, ვერ მიხვდები, რას გრძნობდა ადამიანი, რომელმაც ეს გზა გაიყვანა, ვერ მოექცევი ისეთი შთაბეჭდილებების ქვეშ, რომელიც დაუვიწყარს გახდის ამ ადგილს ტურისტისთვის. თუ არ გაიარე "სადიაცო ბილიკებზე", ვერ ჩაუღრმავდები აქ მაცხოვრებელთა ადათ-წესებს. არა და სწორედ მათი ცხოვრების წესი, სტილი, სამზარეულო, რწმენა არის საინტერესო, გამორჩეული და სტუმრის კვალობაზე შთაბეჭდილებების მომხდენი. სამყაროში მრავალი ხელოვნურად შელამაზებული ადგილია, თუმცა ბუნებით ნაბოძები ადგილების მოვლა-პატრონობა უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

და ბოლოს ბატონი ტალებ რიფაის სიტყვებით დავამთავრებ: „საქართველოს ტერიტორიის 65% მთებია. ქართველები ამაყი, პატიოსანი და კეთილი ხალხია. ეს არის იშვიათი კომბინაცია, როდესაც ამაყი ხალხი, იმავდროულად, კეთილი და სტუმართმოყვარეა. თქვენ უნდა იამაყოთ იმით, რაც გაქვთ და ამასთანავე უნდა იყოთ კეთილი, სადა და თავმდაბალი, როცა ვიზიტორებს მასპინძლობთ. ქართველები სწორედ ასეთები არიან... საქართველომ მსოფლიოს თავი უნდა გააცნოს როგორც უძველესი კულტურისა და მაღალი მწვერვალების ქვეყანამ... უძველესი კულტურა ქვეყნის ფესვებშია, ხოლო მაღალი მწვერვალები ზეცას სწვდება"....

იმედს ვიტოვებ რომ ჩვენი ქვეყნის პრეროგატივად კვლავ დარჩება „მთაზე" ზრუნვა. სვანეთმა გადადგა ეს დიდი ნაბიჯი, რომელიც თუშეთმა და ხევსურეთმა გააგრძელა.

საქართველოს არ აქვს დასაკარგი არც-ერთი გოჯი მიწა, რადგან ადგილი არაა, წინაპართა სისხლით რომ არ იყოს გაჟღენთილი....

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://georgia.travel/ka/ ხვამლის მთა
2. https://intermedia.ge/სტატია/119698-ხვამლის-მთა/89/
3. https://georgiantravelguide.com/ka/shatili
4. მიხა ჭინჭარაული – „შატილი" (გზამკვლევი), 2008წ.
5. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერა, ტ2. 2008წ

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენის და აღკვეთის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები
Legal and practical aspects of detection and prevention of abuse of dominant position

აკაკი ცერცვაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტი
საქართველოს კონკურენციისა მომხმარებლის დაცვის სააგენტოს
ეკონომიკური კონკურენციის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი
Akaki Tsertsvadze
PhD student of Georgian Technical University
Georgian Competition and Consumer Agency
Chief Specialist of Economic Competition Department

აბსტრაქტი. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური აგენტების მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სამართლებრივი რეგულირების, გამოვლენის, პრევენციის და აღკვეთის ძირითადი ასპექტები. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის კანონმდებლობის უგულებელყოფით და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით გამოწვეული ეკონომიკური ზიანის შეფასების პროცესში კონკურენციის სამართლის როლსა და მნიშვნელობაზე. ასევე განხილულია კონცენტრაციის შედეგად კომპანიების გაფართოვების თავსებადობა კონკურენტულ გარემოსთან შესაბამის ბაზარზე. აქვე აღნიშნულია, რომ ბევრ ნაკლოვანებებთან ერთად, დომინატურ მდგომარეობას შესაბამის ბაზარზე რიგი დადებითი თვისებებიც ახასიათებს. მას შესწევს უნარი როგორც შეამციროს ან მოსპოს კონკურენცია ასევე ცალკეულ შემთხვევებში აამაღლოს კონკურენციის ეფექტიანობა.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული ეკონომიკური აგენტების მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო მექანიზმებზე, მოწინავე უცხოური და ადგილობრივი პრაქტიკის საფუძველზე.

შედეგად, კეთდება დასკვნა, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, მოქმედ ეროვნული კანონმდებლობაში ჩადებული დებულებები სრულ ჰარმონიაშია მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკასთან და ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნორმებთან. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოჩენის და პრევენციის საკითხები კონკურენციის უწყებების მიერ კიდევ უფრო აქტუალური ხდება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, რაც საშუალებას აძლევს დომინანტ ეკონომიკურ აგენტებს სწრაფად შეცვალოს მუშაობის სპეციფიკა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სტრატეგიული გადაწყვეტილების გზები. შესაბამისად, ეროვნულ აღმასრულებელ ინსტიტუტს რეგულირებადი სექტორში კონკურენციის აღმასრულებელ ორგანოებთან ერთობლივ კოორდინაციაში მეტი ძალისხმევა მოუწევთ აღნიშნული მიმართულებით, რათა სამომავლოდ, კიდევ უფრო მეტად იყოს დაცული და კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემო ქვეყანაში.

საკვანძო სიტყვები: დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონცენტრაცია, კონკურენციის შეზღუდვა, სანქცია, სააგენტო, რეგულირებადი სექტორი, ბიზნეს გარემო.

ABSTRACT. The article examines key aspects of legal regulation in identifying and preventing abuse of dominant position by undertakings. It emphasizes the crucial role of competition laws in assessing the economic damage caused by violations of these laws and abuse of dominant position in the relevant market. It also examines how corporate expansion through market concentration can affect the competitive environment. The analysis shows that, despite its potential disadvantages, having a dominant position in a market can provide certain advantages. It can reduce or eliminate competition, and in some cases can even increase the overall efficiency of the market. The article pays considerable attention to both national and international methods of combating abuse of dominant position, relying on the best practices of both foreign and domestic legal systems. In conclusion, the article concludes that the current national laws aimed at identifying and preventing abuse of dominant position are fully consistent

with leading international standards, including those of the European Union. It also highlights that the challenges of detecting and preventing abuse of dominant positions are becoming increasingly relevant for competition authorities, especially with the advent of digital technologies that allow dominant companies to quickly adapt their strategies. In this regard, national authorities need to strengthen cooperation with competition law enforcement authorities in regulated sectors to create a safer and more competitive business environment in the future.

Key words: abuse of dominant position, concentration, restriction of competition, sanction, agency, regulated sector, business environment.

შესავალი. საბაზრო ეკონომიკის მქონე ნებისმიერი ქვეყნისთვის, მიუხედავად მისი ეკონომიკური განვითარების და ტერიტორიული მასშტაბისა, შესაბამის ბაზრებზე ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის კანონმდებლობის უგულებელყოფა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით გამოწვეული მთლიანი ეკონომიკური ზიანის შეფასება კონკურენციის სამართლის აღსრულების არსებითი განხილვის საგანს წარმოადგენს. საბაზრო ეკონომიკის განვითარების ძირითადი პოსტულატი ჯანსაღი კონკურენციაა. ზოგჯერ მის გზაზე დაბრკოლებები ჩნდება. მონოპოლია ერთ-ერთი მათგანია.

მონოპოლია (ბერძნულიდან μόνος, mónos, „მარტო, ერთადერთი და πωλεῖν, pōleîn, „გაყიდვა“),ირვინგ ფიშერის განსაზღვრებით, არის ბაზარი „კონკურენციის გარეშე“, რომელიც ქმნის სიტუაციას, როდესაც კონკრეტული პირი ან საწარმო არის კონკრეტული პროდუქტის/მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელი, ხოლო დომინანტი (ლათინურიდან dominantis) გაბატონებულს ნიშნავს.

ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრებებით, ეკონომიკური აგენტი ითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ მას შეუძლია ბაზარზე ზემოქმედება კონკურენტებისაგან დამოუკიდებლად. ევროკავშირში მონოპოლიები, როგორც ასეთი, აკრძალული არ არის. ევროკავშირის სადამფუძნებლო[109] შეთანხმებით იკრძალება მხოლოდ მონოპოლიების ხელთ არსებული საბაზრო ძალაუფლების, ე.წ. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად, ანუ კონკურენციის შეზღუდვისთვის გამოყენება.

დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე საწარმოს ისეთ მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს კონკურენტი საწარმოებისგან, ბაზრის მონაწილეებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე პროდუქტის/მომსახურების მიმოქცევაზე და შეზღუდოს კონკურენცია.[110]

ეკონომიკური აგენის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას მას ეძლევა შესაძლებლობა შეზღუდოს წარმოება, გაზარდოს ფასები, განდევნოს მცირე კონკურენტები გაუმართლებელი ხერხების გამოყენებით, და მოიპოვონ კონტროლი დარგზე, მოახდინოს მოგების მაქსიმიზაცია, რაც თავის მხრივ აზარალებს ეკონომიკასაც, რადგან კონკურენციის შეზღუდვის პირობებში ფერხდება შესაბამისი ბაზრის საერთო მოცულობის ზრდა და ბაზარზე ახალი ეკონომიკური აგენტების შემოსვლა. შედეგად, ილახება მომხმარებლის ინტერესებიც. იგი იძულებულია გადაიხადოს უფრო ძვირი და მიიღოს უფრო დაბალი ხარისხის მომსახურება, ვიდრე კონკურენტული ბაზრის პირობებში.

ძირითადი ტექსტი. მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის ქვეყნების კონკურენციის სამართალი, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას არალეგალურად მიიჩნევს. საქართველოში, ისე როგორც აშშ-ში და ევროკავშირის ქვეყნებში, დომინანტური მდგომარეობის

[109] https://eur-lex.europa.eu/eli/treaty/teec/sign 1957 წლის რომის შეთანხმება ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის ჩამოყალიბების შესახებ (Treaty Establishing the European economic Community, Treaty of Rome)

[110] https://gcca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpVpldMO.pdf კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

ბოროტად გამოყენება მიიჩნევა ერთ-ერთ უმძიმეს კანონდარღვევად და ისჯება ძირთადში ადმინისტრაციული სანქციებით (ჯარიმებით). ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგალითად, აშშ, დიდ ბრიტანეთი) დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის დაწესებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც. უფრო მეტიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც ითვალისწინებდა კონკრეტულ სანქციებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ისეთ ფაქტებთან დაკავშირებით, როგორიცაა - მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა, სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის უკანონოდ გამოყენება, აშკარად ყალბი რეკლამის გავრცელება და ფალსიფიკაცია, რაც რიგ საკითხებში თავისუფლების 2 წლამდე აღკვეთასაც ითვალისწინებდა. 2005 წელს ქვეყანაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, სისხლის სამართლის კოდექსის 195-ე მუხლით განსაზღვრული სანქციები არ შეესაბამებოდნენ საქართველოს ახალ კონკურენციის ჩარჩო კანონს - მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვის ნაწილში, რის გამოც, მოგვიანებით კოდექსიდან ეს მუხლი საერთოდ ამოღებულ იქნა.[111]

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული სახეებია: საქონელზე ან მომსახურებაზე არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესება; კონკურენტების კლიენტთა გადაბირება საქონლის ან მომსახურების თვითღირებულებაზე დაბალ ფასად შეთავაზებით (მტაცებლური ფასის დაწესება); მომხმარებლის იძულება პოპულარულ, მოთხოვნად საქონელთან ან მომსახურებასთან ერთად შეისყიდოს მასთან ხელოვნურად დაკავშირებული სხვა საქონელი ან მომსახურება, რითაც საფუძველი ეცლება კონკურენციას ამ საქონლის ან მომსახურების ბაზარზე (მიბმა ან დაჯგუფება); გარკვეული კლიენტებისთვის საქონლის ან მომსახურების მიყიდვაზე უარის თქმა (მიწოდებაზე უარი); სპეციალური ფასდათმობების შეთავაზება ისეთი კლიენტებისთვის, რომლებიც მოთხოვნის სრულ ოდენობას ან მის უდიდეს ნაწილს იძენენ დომინანტი კომპანიისგან (კონკურენციის საწინააღმდეგო ფასდათმობები);[112]

რიგ ნაკლოვანებებთან ერთად, რომელიც დომინანტურ მგომარეობაში მყოფ ეკონომიკურ აგენტს ახასიათებს (პროდუქციის/მომსახურების გაზრდილი ღირებულება; ფასების რეგულირების შეუძლებლობა; შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები დამწყებ ეკონომიკურ აგენტებისთვის), მას ასევე გააჩნია ისეთი უპირატესობები, როგორიცაა წარმოების ერთიანი სტანდარტები, უფრო დიდი ტექნოლოგიური შესაძლებლობები და სამეცნიერო კვლევების წარმოების საშუალება.

შესაბამისად, კონკურენციის ორგანოებისთვის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დროული გამოვლენა და შესაბამისი სანქციების დაწესება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან აშკარაა მათ მიერ მიყენებული პოტენციური ზიანი და მათი შეკავების პოტენციური სარგებელი ქვეყნის ეკონომიკისთვის.

კონცენტრაცია. კომპანიების გაფართოება, მათ შორის შერწყმისა-შეძენის გზით, საშუალებას აძლევს ეკონომიკურ აგენტებს შეამცირონ ხარჯები, გაზარდონ ეფექტურობა და უზრუნველყონ შესაბამისი ბაზარი უკეთესი ხარისხის და დაბალი ფასის პროდუქტით/მომსახურებით. ცხადია, რომ კომპანიების გაფართოებაში ცუდი არაფერია. თუმცა, ამავდროულად, კომპანიების შერწყმა ამცირებს ბაზარზე დამოუკიდებელი მოთამაშეების რაოდენობას. კონცენტრაციის შედეგად

[111] ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, ,,ლოი“, თბ. 2007, გვ. 189, https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf

[112] https://gcca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpVpldMO.pdf კონკურენციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

ეკონომიკურმა აგენტმა შეიძლება მოიპოვოს დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, რის ბოროტად გამოყენებამაც, თავის მხრივ, შეიძლება შეზღუდოს კონკურენცია.

კომპანიების შერწყმა-გაერთიანების წინასწარი შეტყობინება ევროკავშირში სავალდებულო 1990 წლიდან გახდა. ამჟამად მოქმედი 139/2004 რეგულაციისა[113] და მისი აღმასრულებელი 802/2004 რეგულაციის[114] მიხედვით, ისეთი შერწყმების თაობაზე, რომელშიც კომპანიების ჯამური ბრუნვა აღემატება 5 მილიარდ ევროს - მსოფლიოს მასშტაბით და ამ კომპანიებიდან რომელიმეს ბრუნვა ევროკავშირის მასშტაბით 250 მილიონ ევროს შეადგენს სავალდებულოა ევროკომისიისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნა და მისი გადაწყვეტილების დალოდება. ამ ვალდებულების დარღვევისთვის, ან ევროკომისიის გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობისთვის კომპანიებს ძალიან სერიოზული ჯარიმა ეკისრებათ (ბრუნვის 10%-მდე). ევროკომისიის მითითებათა უგულებელყოფით განხორციელებული შერწყმა-გაერთიანების შემთხვევაში ამ გაერთიანების ბათილობის საკითხიც დგება.

ეროვნული კანონმდებლობით, წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის ერთობლივი შემოსავალი 5 მილიონ ლარს აღემატება და მისი განხილვის საფასური 5000 ლარს შეადგენს. სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონკურენციის სააგენტოს გვერდით ავლით, სააგენტოს მიერ შეტყობინების განხილვამდე ან უარყოფითი დასკვნის მიუხედავად განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარდგენის ვალდებულების მქონე ეკონომიკური აგენტი ჯარიმდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის არაუმეტეს 5 %-ით.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს გააჩნია შიდა კონკურენციის სამართალი, რომელიც განვითარებული სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობის მსგავსად კრძალავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ამასთან, ევროკავშირის ფარგლებში კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების (ხელშეკრულებები, გადაწყვეტილებები შეთანხმებები) გამოვლენა და აღკვეთა ხორციელდება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 101-ე და 102-ე მუხლებით. 102(1)[115] მუხლი კონკრეტულად კრძალავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რომლებიც ზღუდავს კონკურენციას. ეროვნული კანონმდებლობით, ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის

[113] Council Regulation (EC) No 139/2004 of 20 January 2004 on the control of concentrations between undertakings (the EC Merger Regulation) (Text with EEA relevance) https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2004/139/oj

[114] Commission Regulation (EC) No 802/2004 of 7 April 2004 implementing Council Regulation (EC) No 139/2004 on the control of concentrations between undertakings (Text with EEA relevance) https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2004/802/oj

[115] Consolidated version of the Treaty on the Functioning of the European Union https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX%3A12008E102

ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.[116]

აღსრულება. 2023 წელს, მსხვილ ტექნოლოგიურ კომპანიების (ე.წ. "Big Tech") წინააღმდეგ დაკისრებულ სანქციებს შორის, იყო კორეის თავისუფალი ვაჭრობის კომისიის (KFTC) მიერ კომპანია Google-ის წინააღმდეგ დაკისრებული 33,7 მილიონი აშშ დოლარის ჯარიმა, კონკურენტ კორეულ პლატფორმაზე მობილური ვიდეო თამაშების დეველოპერების დაბლოკვის გამო. თუმცა, 2023 წელს ბევრ სხვა ტექნოლოგიურ კომპანიასაც მნიშვნელოვანი ოდენობის სანქციები დაეკისრათ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო, რამაც საერთო გამოყენებული ფინანსური სანქციების 57% შეადგინა. მიღებული გადაწყვეტილებების მცირე რაოდენობის მიუხედავად, ევროპული კომისია კვლავ რჩება "Big Tech"-ს მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთისა და გამოვლენის მთავარ აღმსრულებლად. აღსანიშნავია, ევროპულმა კომისიამ 2024 წელს 1,8 მილიარდი ევროთი ასევე დააჯარიმა კომპანია Apple-ი სხვა მუსიკალური აპლიკაციების მიმწოდებლებისთვის ე.წ. „anti-steering"- შეზღუდვების დაწესების გამო[117], რაც დომინატური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კანონმდებლობისა და ახლად მიღებული ex-ante ევროკავშირის ციფრული ბაზრის აქტის (EU Digital Markets Act)[118] ჰარმონიზებული მუშაობის ნათელი მაგალითია. 2023 წელს დაწყებული დომინანტური მდგოარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ რიგ მოკვლების საფუძველზე, მსხვილი ტექნოლოგიური კომპანიები კვლავ კონკურენციის სამართლისა და სხვა მარეგულირებელი ორგანოების მნიშვნელოვანი განხილვის ობიექტებად რჩებიან.

2020 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა შპს „ჯევერს დეველოპმენტის" საჩივრის საფუძველზე წარმოებული მოკვლევა. საკითხი ეხებოდა შპს „აუთდორ.ჯის" მიერ ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მომსახურების ბაზარზე განხორციელებული ქმედების კონკურენციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ფაქტს. მოკვლევის შედეგად, შპს „აუთდორ.ჯის" მიმართ დადგინდა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი, რაც გულისხმობს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. კომპანიას დაეკისრა კანონით გათვალისწინებული ფინანსური სანქცია 32 350 ლარის ოდენობით და შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, შესაბამისი რეკომენდაცია გაიცა.[119]

2023 წელს საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ კინოთეატრების ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევა დაადგინა და ჯამურად მილიონ ექვსასია ათას ლარზე მეტი ოდენობით სანქცია დაეკისრა, როგორც მომჩივან (შპს „ელ. ბილეთები)", ასევე მოპასუხე მხარეებს (შპს „თინეთი" და და ერთიანი ეკონომიკური სუბიექტი „სადისტრიბუციო კომპანია"). ასევე, კულტურული, გასართობი, შემოქმედებითი, სპორტული, დასვენებისა და ტურიზმის, საგანმანათლებლო, სატრანსპორტო თუ სხვა ტიპის ღონისძიებების/პროდუქციის/მომსახურების ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზრის გაჯანსაღების მიზნით გაიცა სამი რეკომენდაცია შესაბამისი სუბიექტების მიმართ.[120]

---

[116] საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ; https://gcca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpYAuAIQ.pdf

[117] Abusive App store rules for music streaming providers by Apple; https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_24_1161

[118] The Digital Markets Act; https://digital-markets-act.ec.europa.eu/index_en

[119] https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/0b4afbc9dce04b369695993034bf2251.pdf

[120] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 4 აპრილის N04/173 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის

დასკვნა. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს წარმოებული მოკვლევების სტატისტიკა მკაფიო მაგალითია იმისა, რომ ქვეყნის კონკურენციის პოლიტიკის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ძირითადი სახელმწიფო ორგანო წარმატებით უმკლავდება და პერიოდულად აუმჯობესებს არარეგულირებად ბაზრის სუბიექტთა მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტების გამოვლენას და აღკვეთას. ქვეყანაში მოქმედ კონკურენციის სამართალში ჩადებული დებულებები - დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, როგორც კონკურენციის შემზღუდველი ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მიმართულებით, სრულ ჰარმონიზაციაშია მოწინავე საერთაშორისო და ევროკავშირის ანალოგიურ ნორმებთან. ამასთან, კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების პროცესში, ხელი არ უნდა შეეშალოს თავისუფალი კონკურენციის პირობებში სხვა და სხვა კანონიერი მეთოდებით (კაპიტალის კონცენტრაცია, სწორი მენეჯმენტური სტრატეგია, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, საინვესტიციო აქტივობები) ცალკეული ეკონომიკური აგენტების მიერ უპირატესობის მოპოვებას, ამასთანავე, არ იქნას დაშვებული ამ ეკონომიკური აგენტების მიერ მოპოვებული უპირატესობის ბოროტად გამოყენება - შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა. რეგულირებად სფეროებში დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კუთხით სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებთან თანამშრომლობის ხარისხის გაზრდა, წლების განმავლობაში დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით ბრძოლის ეფექტურობის ზრდას და ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, დაცულობას და სტაბილურობას.

ბიბლიოგრაფია

1. Gogiashvili Sh., Fetelava S., Agreement between non-competing entrepreneurs, a collection of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU named after Ivane Javakhishvili, edicated to the 100th anniversary of academician Avtandil Gunia's birth ((InGeorgian Language), Tbilisi, 2012 , p. 127-141.

2. Gogiashvili Sh., Fetelava S., Agreements of Competing Economic Agents ((In Georgian Language), Journal ,,New Economist", 2012, No2, p.7-10.

3. Lortkifanidze R., "Theory of perfect competition", Scientific Researchers Group to Strengthen UN and INTERPOL, TBILISI, 2024, https://dx.doi.org/10.13140/

RG.2.2.26544.98567

4. Fetelava S., Theory of competition and antimonopoly regulation in Georgia (In Georgian Language),

,,Loi", Tbilisi. 2007, p. 189, https://dspace.nplg.gov.ge/ bitstream/1234/6152/1/Fetelava_Slava.pdf

5. Fetelava S., Janjgava J., 2023. State Aid: Defects, Ways of Regulation. DOI: 10.36962/

NEC18022023

https://www.researchgate.net/publication/373359081_STATE_AID_DEFECTS_WAYS_OF_REGULATION

6. Fetelava S., Economic Fundations of Competition. The New Economist, 3-4 (2019), vol 14, Issue 2, https://neweconomist.com.ge/journal/article/

konkurenciis-ekonomikuri-sapuZvlebi-1594468243

თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ; https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpdai1UR.pdf

7. Explanatory dictionary of competition terms (compilers: Keti Zukakishvili, Keti Lafachi, Yueate Soviene, Liana Japaridze), second edition, (In Georgian Language), Tbilisi, Georgia, 2023, UDC 330.342.141, K-731.

8. Georgian Competition and Consumer Protection Agency, 2023 activity report, (In Georgian Language).

9. DIRECTIVE 2014/104/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 26 November 2014 on certain rules governing actions for damages under national law for infringements of the competition law provisions of the Member States

ადამიანური კაპიტალის თეორიული ასპექტები
Theoritical aspects of human capital

თათია ბილისეიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ასისტენტ პროფესორი
Tatia Biliseishvili - Georgian National University Seu
asaistant Professor

აბსტრაქტი. ადამიანი იბადება ინდივიდუალური გენის კომბინაციით, რაც განსაზღვრავს მის ბუნებრივ უნარებს. ყველა ადამიანის უნარი არის ან თანდაყოლილი ან შეძენილი. ღირებული თვისებები- რომლებიც ადამიანს ახასიათებს შეუძლია შეიძინოს და გააუმჯობესოს ინვესტიციების შედეგად.

თანამედროვე პირობებში ტექნოლოგიური ცვლილებები და გლობალიზაცია სწრაფად ცვლის სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს, რაც ადამიანის კაპიტალის განვითარების საჭიროებებს მოითხოვს.

თანამედროვე ეკონომიკა, რომელიც დამოკიდებულია ინფორმაციის სწრაფ და ეფექტურ დამუშავებაზე, ციფრული უნარების გარეშე ვერ იარსებებს. მაღალი მოთხოვნაა მრავალფეროვან ციფრულ უნარებზე, რომლებიც მოიცავს პროგრამირების ენების ცოდნას, მონაცემთა ანალიზის, კიბერუსაფრთხოების, ციფრულ მარკეტინგის და მომხმარებლის გამოცდილების დიზაინის უნარებს.ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტაცია კი მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ უნარებს, არამედ ფსიქოლოგიურ მდგრადობასაც.

ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია ყალიბდება სამუშაო ძალის მართვის განვითარებადი ტენდენციებით, ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის ინტეგრაციით და ტექნოლოგიური მიღწევების ფსიქოლოგიური ადაპტაციით. როგორც ეს ტენდენციები განაგრძობს განვითარებას, ორგანიზაციებმა უნდა დარჩეს სწრაფი და აქტიური მათი სტრატეგიები, რათა გამოიყენონ თავიანთი ადამიანური კაპიტალის სრული პოტენციალი და ინოვაციები.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტანი, უნარები, ტრანსფორმაცია, ტექნოლოგიები, განათლება.

Abstract. A person is born with an individual combination of genes which determine their natural abilities. All human abilities are either innate or acquired. Valuable qualities that a person possesses can be acquired and improved through investment.

In modern conditions, technological changes and globalization are rapidly changing the demands of the labor market, which requires the development of human capital.

A modern economy that depends on fast and efficient processing of information cannot exist without digital skills. There is a high demand for a variety of digital skills, which include knowledge of programming languages, data analysis, cybersecurity, digital marketing and user experience design skills. Adapting to new technologies requires not only technical skills, but also psychological resilience.

The transformation of human capital is shaped by emerging trends in workforce management, the integration of artificial intelligence and automatization, also psychological adaptation to technological advances. As these trends continue to evolve, organizations must remain agile and proactive in their strategies to leverage the full potential of their human capital and innovations.

Key words: Human Capital, Skills, Transformation, Technology, Education

შრომის გადანაწილება არა მარტო ზრდის მუშახელის უნარ-ჩვევებს, არამედ აუმჯობესებს მექანიზმების და ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას, რაც ზრდის წარმოების ეფექტიანობას. ადამ სმიტის „ერების სიმდიდრეში“ შრომის გადანაწილება ნამდვილად მიჩნეულია ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად. იგი ხაზს უსვამს შრომის გადანაწილების მნიშვნელობას პროდუქტიულობის გაზრდაში. სმიტის ხედვაში, შრომის გადანაწილებამ და სპეციალიზაციამ მისცა მუშებს საშუალება შეეძინათ მეტი უნარი და დამკვირვებლობით შეექმნათ ახალი და უფრო ეფექტიანი მეთოდები მუშაობისთვის. ასევე, სმიტი ხაზს უსვამს განათლებისა და ტრენინგის მნიშვნელობას, რაც ხელს უწყობს მუშახელის პროდუქტიულობის ზრდას და, შესაბამისად, ეკონომიკურ განვითარებას. სმიტის ნაშრომი ასევე მიუთითებს, რომ განათლებისა და ტრენინგის გაუმჯობესება აუცილებელია ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში, როდესაც საწარმოებში კომპლექსური ტექნოლოგიების გამოყენებამ მოითხოვა მუშების მაღალი კვალიფიკაცია და ცოდნა. ეს ეტაპი წარმოადგენდა გარდამავალ პერიოდს, სადაც ფიზიკური ძალა ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდებოდა და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა ცოდნა და უნარები.ადამიანური კაპიტალის თეორიების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თანამედროვე ეკონომიკაზე. ადამიანური კაპიტალის თეორიის ჩამოყალიბება უკავშირდება ახალი კლასიკური თეორიის კონცეპტუალურ საფუძვლებს და შემდგომში განვითარდა სხვადასხვა მკვლევართა მიერ, რომლებმაც გაამდიდრეს ადამიანური კაპიტალის თეორია ინსტიტუციური, ქცევითი, ევოლუციური და სინერგეტიკული თეორიების მიღწევებით.ადამიანური კაპიტალის თეორიის ჩამოყალიბება ასევე უკავშირდება ისეთი მკვლევარების შრომებს, როგორიცაა ლ. ტუარო, ტ. შულცი და ჰ. ბეკერი. ლ. ტუაროს (L. Thurow) მოსაზრებით, ადამიანური კაპიტალი არ არის თანდაყოლილი უნარი, არამედ ბუნებრივი მიდრეკილებები და უნარები, რომლებიც ემსახურებიან ადამიანური კაპიტალის დაგროვებას. ტ. შულცმა (T. Schultz) აღნიშნა, რომ "ყველა ადამიანის უნარი არის ან თანდაყოლილი ან შეძენილი. ადამიანი იბადება ინდივიდუალური გენის კომბინაციით, რაც განსაზღვრავს მის ბუნებრივ უნარებს. ღირებული თვისებები, რომლებიც ადამიანს შეუძლია შეიძინოს და გააუმჯობესოს ინვესტიციების შედეგად, ჩვენ ვუწოდებთ ადამიანურ კაპიტალს." ჰ. ბეკერმა (H. Becker) განავითარა ადამიანური კაპიტალის თეორია და აღნიშნა, რომ ადამიანური კაპიტალი ყალიბდება ინვესტიციების შედეგად, რომლებიც მოიცავს განათლებას, ჯანდაცვას, მიგრაციას და ინფორმაციის ძიებას. მან განასხვავა სამი ძირითადი ცოდნის ფორმა: ზოგადი ცოდნა, სპეციალური ცოდნა და სხვა სახის ცოდნა. ტ. შულცი და ჰ. ბეკერი ასევე აღნიშნული არიან ნობელის პრემიით ადამიანური კაპიტალის თეორიის განვითარებისთვის.

ადამიანური კაპიტალის თეორიის ევოლუცია ხუთ ძირითად ეტაპად იყოფა:

პრეინდუსტრიული ფაზა (მე-19 საუკუნემდე): ამ პერიოდში ადამიანის უნარები არ განიხილებოდა როგორც კაპიტალი და წარმოების ძირითადი ფაქტორი მიწა იყო. ადამ სმიტმა

ხაზი გაუსვა ადამიანური უნარების სარგებლიანობას, თუმცა ადამიანური კაპიტალი არ იყო ჩამოყალიბებული ცნება.

უნივერსალური განათლების ფაზა (მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი - მე-20 საუკუნე): მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებამ და ინოვაციური მეწარმეობის წარმოქმნამ გამოიწვია ადამიანის ცოდნის და უნარების მნიშვნელობის აღიარება ეკონომიკურ ზრდაში. პროფესიული უნივერსიტეტები და სხვა განათლების დაწესებულებები ჩამოყალიბდა.

ინდუსტრიული ფაზა (1960-1980): ამ პერიოდში, თ. შულცმა და ჰ. ბეკერმა განავითარეს ადამიანური კაპიტალის თეორია. შულცმა განათლება და ჯანდაცვა აღნიშნა როგორც კაპიტალის ფორმები, რომლებიც აუცილებელია ეკონომიკური ზრდისთვის. ბეკერმა განასხვავა ცოდნის სამი ფორმა: ზოგადი, სპეციალური და სხვა ტიპის ცოდნა.

პოსტინდუსტრიული ფაზა (1980-2000): ამ პერიოდში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში დიდი ცვლილებები მოხდა, განსაკუთრებით სერვისის სექტორის განვითარებაში. ცოდნა, განათლება და უნარები საბოლოოდ აღიარეს როგორც ტრადიციული კაპიტალის ნაწილები.

ტექნოლოგიური ფაზა (21-ე საუკუნე): ჯ. ჰეკმანი და სხვა მკვლევარები ხაზი გაუსვეს ადრეულ ასაკში განათლების ინვესტიციების მნიშვნელობას და ასევე სოციალური და კულტურული კაპიტალის მნიშვნელობას.

ტექნოლოგიური ცვლილებები და გლობალიზაცია სწრაფად ცვლის სამუშაო ბაზრის მოთხოვნებს, რაც ადამიანის კაპიტალის განვითარების საჭიროებებს მოითხოვს. ეკონომიკური უთანასწორობა და განათლებასა და ჯანდაცვაში განსხვავებული ხელმისაწვდომობა ზღუდავს ადამიანის კაპიტალის სრულ განვითარებას. დასასრულს, განათლების, უნარ-ჩვევების და ჯანმრთელობის განვითარება კრიტიკულია ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის. ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში მომავლის ეკონომიკური წარმატების აუცილებელი პირობაა. ძველი მეთოდები ნელ-ნელა კარგავენ აქტუალურობას და კონკურენცია იზრდება. ზოგიერთი კომპანია ცდილობს სიახლეების დანერგვას ბაზარზე, რითაც იცვლება თამაშის წესები ყველასთვის. სწორედ ამიტომ, კომპანიებმა დაიწყეს თანამშრომლებისთვის ტრენინგებისა და ცოდნის გაფართოების შეთავაზება, რაც გულისხმობს მათი უნარების დახვეწასა და განვითარებას. რაც საბოლოოდ აისახება კომპანიის წარმატებაზე. ტრადიციული ბიზნეს მიდგომა, რომელიც ძირითადად ფოკუსირებული იყო ფიზიკურ რესურსებზე, შეიცვალა და ჩაანაცვლა სისტემამ, სადაც ინფორმაცია და ცოდნა მთავარ რესურსად იქცა. ასეთ გარემოში ადამიანური კაპიტალი კომპანიებისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი აქტივი გახდა.კომპანიები, რომლებსაც ჰქონდათ ძლიერი ადამიანური კაპიტალი, ქმნიდნენ ინოვაციებს და მოთხოვნას ბაზარზე, ინარჩუნებდნენ ლიდერობას კონკურენტულ გარემოში.ასევე ძალიან მნიშვნელოვანი გახდა მონაცემებისა და ანალიტიკის როლი, რადგან ეს ეხმარება კომპანიებს უკეთ გაიგონ თავიანთი თანამშრომლების უნარები, საჭიროებები და პოტენციალი. მაგალითად, ანალიტიკის მეშვეობით შესაძლებელია ტრენინგების საჭიროებების განსაზღვრა, თანამშრომლების წარმატების შეფასება და კარიერული განვითარების გეგმების შექმნა. მონაცემთა საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები ეხმარება კომპანიებს, გააუმჯობესონ ადამიანური კაპიტალის მართვის პროცესები და, შესაბამისად, გაზარდონ მათი პროდუქტიულობა. ციფრული უნარების საჭიროება უფრო მოთხოვნადი გახდა თანამედროვე ეკონომიკაში და ტექნოლოგიურ სფეროში. ციფრული უნარები მოიცავს ფართო სპექტრს, რომელიც დაკავშირებულია ტექნოლოგიების გამოყენებასთან. თანამედროვე ეკონომიკა,

რომელიც დამოკიდებულია ინფორმაციის სწრაფ და ეფექტურ დამუშავებაზე, ციფრული უნარების გარეშე ვერ იარსებებს. მაღალი მოთხოვნაა მრავალფეროვან ციფრულ უნარებზე, რომლებიც მოიცავს პროგრამირების ენების ცოდნას, მონაცემთა ანალიზის, კიბერუსაფრთხოების, ციფრულ მარკეტინგის და მომხმარებლის გამოცდილების დიზაინის უნარებს. ყველაზე მოთხოვნად ციფრულ უნარებად ითვლება პროგრამირება (Python, Java, JavaScript), მონაცემთა მეცნიერება და ანალიტიკა, კიბერუსაფრთხოება, ასევე ციფრული მარკეტინგის უნარები, როგორიცაა SEO, SEM და სოციალური მედიის მართვა. ამ უნარების შეძენა და განვითარება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორიცაა სპეციალიზებული კურსები, ონლაინ პლატფორმები, სერტიფიცირებული პროგრამები და პროფესიული ტრენინგები, რაც უნდა უზრუნველყოს კომპანიამ და მენეჯმენტმა. ციფრულმა ტრანსფორმაციამ გარდამტეხი როლი ითამაშა ახალი უნარების მოთხოვნებზე, რომელიც ახალ სამუშაო ადგილების წარმოშობას უწყობს ხელს. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ შეცვალა ტრადიციული სამუშაო მეთოდები. კომპანიები, რომლებიც გადადიან ციფრული ოპერაციების გამოყენებაზე, ეძებენ თანამშრომლებს, რომლებიც ფლობენ ახალ ტექნოლოგიებსა და ციფრულ უნარებს. ეს ყველაფერი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ სექტორში, არამედ მთელ ეკონომიკაში. მონაცემთა ანალიზი ეხმარება კომპანიებს უკეთ გაიგონ თავიანთი მომხმარებლების საჭიროებები და ბაზრის ტენდენციები, ხოლო კიბერუსაფრთხოების სპეციალისტები უზრუნველყოფენ მონაცემთა და ინფორმაციის დაცვას. ციფრული უნარების განვითარება და გაძლიერება აუცილებელია თანამედროვე სამყაროში წარმატების მისაღწევად. სწავლა და ტრენინგები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამშრომლების მოტივაციასა და თვითშეფასების გაუმჯობესებაში.

როდესაც კომპანიები თავიანთ თანამშრომლებს სთავაზობენ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, ეს მათთვის ნიშანია, რომ კომპანია მათ ზრდას და განვითარებას მნიშვნელობას ანიჭებს. ახალი ცოდნა და უნარები თანამშრომლებს თვითდაჯერებას მატებს და ხელს უწყობს მეტი პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით მიუდგნენ თავიანთ საქმეს. ტრენინგები, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიების ათვისება ან მენეჯმენტული უნარების განვითარება, პროფესიულ განვითარებას და მოტივაციას აძლიერებს. ამ თემის კრიტიკული ასპექტების გასააზრებლად, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ რეალური მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია "Moneyball"-ის მოვლენასთან დაკავშირებით, ბილი ბინი, ოკლენდ „ათლეტიქსის“ გენერალური მენეჯერი, 2002 წელს რევოლუციას მოახდენს ბეისბოლის ინდუსტრიაში. ტრადიციული ბეისბოლის მენეჯმენტთან შედარებით, ბინი და მისი ანალიტიკოსი, პიტერ ბრანდი, იყენებდნენ მონაცემთა ანალიტიკას და სტატისტიკას მოთამაშეების შეფასებისათვის. მათი მიდგომა მოიცავდა მოთამაშეების ღირებულების განსაზღვრას მედიაზე დაფუძნებული მაჩვენებლების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევდა გუნდს ეფექტურად შეექმნა ძლიერი გუნდი შეზღუდული ბიუჯეტით.ბინის მიდგომა წარმოადგენდა სრულ ინოვაციას და აჩვენა, რომ სწორი ცოდნისა და ანალიტიკის გამოყენება, ასევე მუდმივი სწავლა და განვითარების შესაძლებლობების შექმნა, ზრდის თანამშრომლების მოტივაციას და მათ თვითშეფასებას. მოთამაშეები, რომლებიც ხშირად იგრძნობდნენ თავს უგულებელყოფილად ტრადიციული სისტემის ფარგლებში, ბინის მეთოდებით გრძნობდნენ, რომ მათი უნარები და ცოდნა ფასდება, რაც ზრდიდა მათ მოტივაციას და თავდაჯერებას.ეს მოვლენა ცხადყოფს, რომ სწავლა და ტრენინგები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თანამშრომლების მოტივაციისა და თვითშეფასების გაუმჯობესებაში.კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა დისტანციური მუშაობის ზრდა და მოქნილი სამუშაო გრაფიკი.

COVID-19 პანდემიამ დააჩქარა დისტანციური მუშაობის ინტეგრაცია, აჩვენა მისი მიზანშეწონილობა და სარგებელი. დელოიტის ანგარიშის თანახმად, "დისტანციური მუშაობა აღარ განიხილება როგორც დროებითი გადაწყვეტა, არამედ როგორც მრავალი ორგანიზაციის სტრატეგიის მუდმივი კომპონენტი. ეს ცვლილება საჭიროებს ცვლილებებს კომპანიების მართვაში, ჩართულობაში და მათი სამუშაო ძალის მხარდაჭერაში, რაც მოითხოვს ლიდერობისა და გუნდის დინამიკის ახალ მიდგომებს. მზარდი აქცენტი კეთდება მრავალფეროვნებაზე, თანასწორობასა და ჩართულობაზე (DEI), როგორც ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის ძირითად კომპონენტებზე."Harvard Business Review-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მრავალფეროვნების უფრო მაღალი დონის მქონე კომპანიები 45%-ით უფრო ხშირად აცხადებენ ბაზრის წილის ზრდას და 70%-ით უფრო ხშირად იკავებენ ახალ ბაზარს. ეს ტენდენცია ორგანიზაციებს უბიძგებს, გადააფასონ თავიანთი დასაქმების პრაქტიკა, სამუშაო ადგილის კულტურა და თანამშრომელთა განვითარების პროგრამები, რათა ხელი შეუწყონ უფრო ინკლუზიურ გარემოს."მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშის თანახმად, AI-ს მოსალოდნელია, რომ 2025 წლისთვის 85 მილიონი სამუშაო ადგილი ჩაანაცვლოს, მაგრამ ასევე შექმნას 97 მილიონი ახალი როლი, რომელიც მოითხოვს განსხვავებულ უნარებს. AI-ზე მომუშავე ინსტრუმენტები გამოიყენება ნიჭის შეძენის, შესრულების მართვისა და თანამშრომლების ჩართულობისთვის. მაგალითად, AI-ს შეუძლია გაანალიზოს დიდი რაოდენობით მონაცემები სამუშაოს საუკეთესო კანდიდატების გამოსავლენად, თანამშრომელთა ბრუნვის პროგნოზირებისთვის და სწავლებისა და განვითარების პროგრამების პერსონალიზაციისთვის.McKinsey-ის თანახმად, კომპანიებმა, რომლებმაც განახორციელეს RPA, დაინახეს პროცესის დროის 30-50% შემცირება და სიზუსტის 20-30% გაუმჯობესება. ეს ცვლილება არა მხოლოდ ოპერაციული ეფექტურობის გაზრდას, არამედ სამუშაო როლების გადაკეთებას და ახალი უნარების განვითარებას მოითხოვს. ტექნოლოგიური ცვლილებების სწრაფი ტემპი თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ გამოწვევებს წარმოადგენს. ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტაცია მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ უნარებს, არამედ ფსიქოლოგიურ მდგრადობასაც. ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციის კვლევის თანახმად, თანამშრომლები, რომლებიც განიცდიან ტექნოლოგიური ცვლილებების მაღალ დონეს, უფრო ხშირად აცხადებენ სტრესს და შფოთვას. ამ გამოწვევების გადასაჭრელად, ორგანიზაციები სულ უფრო მეტად ფოკუსირდებიან ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. პროგრამები, რომლებიც შექმნილია მდგრადობის შესაქმნელად, სტრესის მართვისთვის და ზრდის აზროვნების ხელშეწყობისთვის, თანამშრომლების განვითარების ინიციატივების განუყოფელი ნაწილი ხდება.

CIPD-ის ანგარიშში ხაზგასმულია მხარდამჭერი სამუშაო გარემოს შექმნის მნიშვნელობა, სადაც თანამშრომლები გრძნობენ თავს დაფასებულად და უფლებამოსილად მიიღონ ცვლილებები. ფსიქოლოგიური უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც თანამშრომლები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ რისკებზე და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს უარყოფითი შედეგების შიშის გარეშე, იძენს გავლენას. ჰარვარდის ბიზნეს სკოლის ემი ედმონდსონის კვლევა მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიური უსაფრთხოების მაღალი დონის მქონე გუნდები უფრო ინოვაციური და ეფექტურია. ორგანიზაციები ინვესტიციებს ახორციელებენ ლიდერობის განვითარების პროგრამებში, რომლებიც ხელს უწყობენ ემპათიას, აქტიურ მოსმენას და ინკლუზიურ პრაქტიკას ფსიქოლოგიური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. დასასრულს, ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია ყალიბდება სამუშაო ძალის მართვის განვითარებადი ტენდენციებით, ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის ინტეგრაციით და

ტექნოლოგიური მიღწევების ფსიქოლოგიური ადაპტაციით. როგორც ეს ტენდენციები განაგრძობს განვითარებას, ორგანიზაციებმა უნდა დარჩეს სწრაფი და აქტიური მათი სტრატეგიები, რათა გამოიყენონ თავიანთი ადამიანური კაპიტალის სრული პოტენციალი და ინოვაციები.

დასკვნა. ცვლილებებს საჭიროებს კომპანიების მართვაში, ჩართულობაში და მათი სამუშაო ძალის მხარდაჭერაში, რაც მოითხოვს ლიდერობისა და გუნდის დინამიკის ახალ მიდგომებს. განათლებისა და ტრენინგის გაუმჯობესება აუცილებელია ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში, როდესაც საწარმოებში კომპლექსური ტექნოლოგიების გამოყენებამ მოითხოვა მუშების მაღალი კვალიფიკაცია და ცოდნა. ეს ეტაპი წარმოადგენდა გარდამავალ პერიოდს, სადაც ფიზიკური ძალა ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდებოდა და უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა ცოდნა და უნარები. ადამიანური კაპიტალის თეორიების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თანამედროვე ეკონომიკაზე.

ლიტერატურა

1. Adam Smith Works. "Division of Labor and the Wealth of Nations." Accessed June 24, 2024. Link.
2. Economics Discussion. "Adam Smith’s Theory of Economic Development." Accessed June 24, 2024. Link.
3. Adam Smith Institute. "The Wealth of Nations — Adam Smith." Accessed June 24, 2024. Link.
4. Marginal Revolution University. "Adam Smith, Book 1, Ch 1, Division of Labor." Accessed June 24, 2024. Link.
5. Mayilyan, F., & Yedigaryan, K. (2022). The evolution of human capital theory. Alternative, January 2022.
6. Historic Baseball. (2024). Moneyball and the Revolution of Sabermetrics in Baseball. https://www.historicbaseball.com/moneyball-revolution-sabermetrics-baseball/.
7. https://www2.deloitte.com/xe/en/insights/topics/value-of-diversity-and-inclusion/diversity-and-inclusion.html
8. https://hbr.org/2013/12/how-diversity-can-drive-innovation

საარჩევნო გამოცდილება საქართველოს ისტორიულ და თანამედროვე მაგალითზე
Media and electoral systems, on the example of Georgia and the world

გიორგი გოგოხია - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
Giorgi Gogokhia -Caucasus International University
doctoral student of the doctoral-educational program of mass communication

აბსტრაქტი, მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, სხვა მმართველობის ფორმებთან ერთად, დემოკრატიული მმართველობის სხვადასხვა ტიპები გვხდება. დემოკრატიული მმართველობის საწყისები სათავეს იღებს ძველ ევროპაში, თანამედროვეობამდე ვითარდება და იღებს ფორმას, რომელიც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში გვხვდება. დემოკრატიული მმართველობის უმნიშვნელოვანესი გამოხატულება არჩევნებია. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში არჩევნები იმ პროცესის დემოკრატიულობის განუყოფელი ნაწილია, რომლითაც ინიშნება ქვეყნის მმართველი აპარატი. ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია ასისახოს ელექტორატის ჩამოყალიბებული ფორმები.

ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდებია კომპარატივისტული, ისტორიული, კონტენტ ანალიზი და ქეის სთადი. ნაშრომის მიზანია შესწავლილი და განხილულ იქნას საქართველოს ხმის მიცემის პროცესების განვითარება, დაწყებული საქართველოს დამოუკიდებელი პირველი რესპუბლიკიდან დღემდე. მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდება არჩევნების, პოლიტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების თანაარსებობაზე, რომლებიც გვევლინება საქართველოს გარდამტეხ ისტორიულ ლანდშაფტზე. საქართველოს მაგალითზე, ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს არჩევნებისა და ელექტორატის საარჩევნო-კანონიკურ რეგულირებაზე. განხილულია საქართველოს ორგანული კანონი, საარჩევნო კოდექსთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატია, არჩევნები, მედია, ორგანული კანონი.

Abstract. At different stages of world history, along with other forms of government, there are different types of democratic government. The beginnings of democratic governance originate in ancient Europe, develop to modern times and take the form that can be found in the leading countries of the world. Elections are the most important manifestation of democratic governance. In most countries of the world, elections are an integral part of the democratic process by which the country's governing apparatus is appointed. Based on the importance mentioned above, the aim of the paper is to reflect the formed forms of the electorate. The research methods used in the work are comparative, historical, content analysis and case studies. The aim of the paper is to study and discuss the development of voting processes in Georgia, starting from the independent First Republic of Georgia to the present day. A significant focus will be placed on the coexistence of elections, politics and mass communications in Georgia's changing historical landscape. On the example of Georgia, the paper focuses on the electoral-legal regulation of elections and the electorate. The Organic Law of Georgia is discussed in relation to the Election Code.

Key words: democracy, elections, media, organic law.

1918 წლის 14 მაისს, კავკასიური შიდა და გარე დაპირისპირებების ფონზე, საქართველოს მხრიდან გერმანიის დელეგაციას წარედგინა პროექტი. პროექტის მიხედვით ქართული მხარე გერმანიას ერთგვარ სახელმწიფოებრივ უზრუნველყოფას და გარანტიას თხოვდა. გერმანიამ, მიუხედავად მისი მოკავშირეებისა, გადაწყვიტა რომ საქართველოს ხელშეუხებლობის გარანტი გამხდარიყო. მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე, 1918 წლის 16 მაისს შეიქმნა კომისია, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის შესაბამის პროცესებს. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლად გამოცხადება 1918 წლის 25 მაისს უნდა შემდგარიყო, თუმცა გარკვეული აქტების და საკითხების „მოუმზადებლობის“ გამო პროცესი 26 მაისისთვის გადაიდო. 1918 წლის 26 მაისის სამ საათზე ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოცხადდა. ხუთ საათსა და ათ წუთზე ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტი წარუდგინა, ხოლო საბჭოს უკლებლივ ყველა წევრი დაეთანხმა მას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მმართველ აპარატს კოალიციური მთავრობა წარმოადგენდა. (უნივერსიტეტი)

1918 წლის 22 ნოემბერი საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში მნიშვნელოვანი თარიღია, ვინაიდან ამ დღეს დამტკიცდა დამფუძნებელი კრების საარჩევნო კანონმდებლობა და მომავალი არჩევნები, სადაც 15 პოლიტიკური პარტია იყო რეგისტრირებული. ძირითადი არჩევნები 1919 წლის 14-დან 16 თებერვლის ჩათვლით სამ ეტაპად ჩატარდა, რომლის მიხედვითაც აირჩა დამფუძნებელი კრების 130 წევრი. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ

გეოგრაფიული, სამხედრო და პოლიტიკური საკითხების გამო სამ ეტაპად დაყოფილ არჩევნებს სრულიად არ მოუცავს ყველა რაიონული ცენტრი, სადაც ხმის მიცემის პროცედურა შემდგომში თანდათანობით ჩატარდა. არჩევნებს უძღვებოდა 21 კაციანი ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა. კომისიამ შეიმუშავა არჩევნების შესახებ კანონი და საარჩევნო პროცესების რეგლამენტი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 21 კაციან სიაში შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები, მათგან ჭარბობდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მაშინდელი ცენტრალური საარჩევნო კომისია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს ხშირად იყენებდა. ერთ-ერთი მაგალითი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ გამოქვეყნებული საარჩევნო კანდიდატთა სიებია, რომელიც თავად საარჩევნო კომისიამ გადასცა.

არჩევნების პირველივე ეტაპზე დარეგისტრირდა 15 პოლიტიკური პარტია, რომელიც მათ 600 წევრს მოიცავდა და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მათგან 26 იყო ქალი. ძირითად არჩევნებში დარეგისტრირდა დაახლოებით 850 ათასი ამომრჩეველი, რომელთაგან დაახლოებით ნახევარმა მილიონმა მიიღო მონაწილეობა; ხოლო იმავე წლის აგვისტოში დამატებით ჩატარებულ არჩევნებში დარეგისტრირებული დაახლოებით 126 ათასი ამომრჩევლიდან 90 ათასმა მიიღო მონაწილეობა. ხმის მიცემის პროცესის შედეგად საპარლამენტო მანდატები 4-მა პარტიამ მოიპოვა, რომელთა რაოდენობა შემდეგში დამატებითი არჩევნების შედეგად გაიზარდა. დამფუძნებელი კრების 130 ვაკანტური ადგილიდან ყველაზე მეტი, 109 დაიკავა სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით გაართვა თავი და 1919-20 წლებში ჩატარებულ, ძირითად და დამატებით არჩევნებში შეადგინა ოქმი, რომლის მიხედვითაც შედგა დამფუძნებელი კრება. კრების პირველივე სხდომაზე დამტკიცდა 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტი. კრების ინიციატივით დამტკიცდა ერთპარტიული მთავრობა, რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის- ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

1989 წლის 9 აპრილის ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ერთგვარი გამოძახილი იყო წარსული დამოუკიდებლობისა და მომავალი თავისუფლების იმედის, მოჰყვა 1991 წლის 9 აპრილი. 9 აპრილი, დღე როდესაც საქართველომ მოიპოვა ხელმეორედ დამოუკიდებლობა.

1991 წლის 14 აპრილს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, პირველად შემოიღეს პრეზიდენტის ინსტიტუტი. პირველივე არჩევნებში საქართველოს პირველი პრეზიდენტის სტატუსი დამაჯერებლად მოიპოვა ზვიად გამსახურდიამ. გამსახურდიამ ამომრჩეველთა რაოდენობის 50 პროცენტზე მეტი მიიღო, რაც მაშინდელი საარჩევნო კოდექსით საპრეზიდენტო კამპანიის გამარჯვებას ნიშნავდა. ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტების ფონზე ორად გაიყო ქართული ინტელიგენცია. ურთიერთდაპირისპირებული ინტელიგენციის მედიური ასახვა მაშინდელ ჟრნალ-გაზეთებში, კერძოდ „საქართველოს რესპუბლიკასა“ და „დრონში“ მოხდა. შეუიარაღებელი თვალითაც კი შესაძლებელი იყო, რომ გაზეთ „დრონში“ ისეთი სტატიები ქვეყნდებოდა, რომელიც სახელისუფლებო მმართველი აპარატის ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური სუბიექტების ნარატივს ატარებდა. მაშინდელი ოპოზიციური ფლანგი მმართველ გუნდს ახასიათებდა, როგორც ზედაპირული ნაციონალიზმის გამტარებელს. განსხვავებული პოლიტიკური ნარატივის ასახვა გვხვდება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, სადაც ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ძალები გამოყვანილია, როგორც წარსული პრივილეგიების დაკარგვის გამო განაწყენებული საზოგადოება. (შამილიშვილი, 2010)

1991-92 წლებში საქართველოში მოხდა სამხედრო გადატრიალება, რასაც მოჰყვა 1992 წლის საპარლამენტო არჩევნები. არჩევნების მიხედვით აირჩიეს დეპუტატები როგორც მაჟორიტარული, ასევე პროპორციული წესით.

1995 წლის 5 ნოემბერს ჩატარდა შერეული, საპარლამენტო და საპრეზიდენტო, არჩევნები. არჩევნებში მონაწილე პარტიების საერთო რაოდენობა 45-ს შეადგენდა. მნიშვნელოვანია ის მოცემულობა, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც 50 ათასკაციანი ხელმოწერილი სია ექნებოდა წარდგენილი. არჩევნებში მონაწილე 4 საპრეზიდენტო კანდიდატიდან ედუარდ შევარდნაძემ გაიმარჯვა.

ედუარდ შევარდნაძის, რვა წლიანი, საპრეზიდენტო მოვალეობის შესრულებას მოჰყვა 2003 წლის ვარდების რევოლუცია. ქვეყანაში წარმოქმნილი პოლიტიკური პროცესების ფონზე დაინიშნა პირველი რიგგარეშე არჩევნები, რომელიც 2004 წლის 28 მარტს ჩატარდა. არჩევნებში გაიმარჯვა რიგით მესამე პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილის საპრეზიდენტო მმართველობის პერიოდშივე მოხდა მეორე რიგგარეშე არჩევნების ჩატარება. აღსანიშნავია ის მოცემულობა, რომ არჩევნებში, მმართველ აპარატთან და გაერთიანებულ ოპოზიციასთან ერთად, მონაწილეობდა პარტია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ . პარტია დაკომპლექტებული იყო ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებით, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები იმდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებში.იმ ჟამინდელი ჟურნალისტების მკვეთრი ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში, ფაქტობრივი ასახვაა პოლიტიკური პარალელებისა მედიაზე. მედიურმა ასახვამ ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 2012 წლის პოლიტიკურ გარდატეხაში, სადაც მმართველი აპარატი გაერთიანებული ოპოზიციური ძალით დაკომპლექტდა. ქვეყანაში განხორციელებულ პოლიტიკურ გარდადეტეხებს კონსტიტუციური ცვლილებები მოჰყვა, რისი მიხედვითაც გაიზარდა პარლამენტის მნიშვნელობა და შემცირდა პრეზიდენტის უფლებამოვალეობები. (ტაბულა, 2016)

საქართველოში არჩევნები სამართლებრივად, საქართველოს ორგანული კანონით, კერძოდ საარჩევნო კოდექსით რეგულირდება. კანონი მიხედვით იმართება და წესრიგდება ქვეყანაში ჩატარებული ნებისმიერი სახის არჩევნები, როგორიცაა: საპრეზიდენტო, საპარლამენტო, თვითმართველობის და სხვა... კოდესქის მიხედვით ნაწილდება იმ სუბიექტთა უფლება-მოვალეობები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საარჩევნო პროცესებში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონით დაცული და განსაზღვრულია საარჩევნო შედეგების ღიაობა, რაც დამახასიათებელია დემოკრატიული მმართველობისთვის და ნებისმიერ მსურველს აძლევს შესაძლებლობას საარჩევნო ინფორმირებულობასთან ჰქონდეს შეუფერხებელი წვდომა.

საარჩევნო კოდექსის მეორე თავი მოიცავს იმ ინსტიტუციის უფლება მოსილების განსაზღვრას, რომლის მეშვეობითაც ფაქტობრივად ორგანიზდება საარჩევნო პროცესები. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოვალეობა ხმის მიცემის პროცესის მართვა და უზრნუველყოფაა, ის შედგება ცესკოს, უსკოს, საოლქო და საუბო საარჩევნო კომისიებისგან. ჩამოთვლილთაგან მნიშვნელოვან საარჩევნო როლს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ასრულებს, რომელიც ასევე თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიასთან. მათი ლოკალურობიდან გამომდინარე ცესკო საარჩენო მოწყობას საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო უსკო აჭარის ტერიტორიაზე არეგულირებს. ცესკოს ექვემდებარება საოლქო საარჩევნო კომისიები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს დაახლოებით 80-მდე ოლქში. საოლქო საარჩევნო კომისიები დაკომპლექტებულია საარჩევნო მოხელეებით, რომლებიც ერთგვარ საგამოცდო ტესტირებას გადიან რათა მიიღონ კონკრეტული საარჩევნო აღიარება. საოლქო საარჩევნო კომისიის მოვალეობაა მის ოლქში არსებული საარჩევნო

უბნების დაკომპლექტება და მოწყობა. შინაარსობრივად დაკომპლექტება ნიშნავს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების არჩევას, მათ საარჩევნო პერიოდამდე უტარდებათ გარკვეული ტრენინგები და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც პრე საარჩევნო პერიოდში, ასევე თავად არჩევნების მსვლელობის დროს. საუბნო კომისიის დაკომპლექტებასთან ერთად ოლქი უზრუნველყობს თავად საარჩევნო უბნების შესაბამისი ინვენტარით მოწყობას. საარჩევნო კოდექსის მეორე თავში ასევე განსაზღვრულია კენჭისყრის დღეს უბანში მყოფი პირების უფლება-მოვალეობები, ეს პირების საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები, დამკვირვებლები, მედიის წარმომადგენლები და სხვა. ამრიგად კოდექსის მიხედვით განსაზღვრულია სრულიად საქათველოს ტერიტორიაზე ოლქებისა და საარჩევნო უბნების რაოდენობა და რაობა; ასევე ცესკოს, უსკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის მოწყობა და მათი ფუნქციები არჩევნებთან მიმართებაში.

საქართველოს ორგანული კანონის, საარჩევნო კოდექსის მესამე თავი განკუთვნილია ამომრჩეველთა სიების საორგანიზაციო საკითხების ორგანიზებისთვის. მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ ამომრჩეველთა სია შედგება ქვეყანაში რეგისტრირებული მოქალაქეებისგან, რომლებიც არიან საარჩევნო უფლების მქონე პირები. ამომრჩეველ სიაში მყოფ პირთა შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ერთიან საარჩევნო ბაზაში, რისი მეშვეობითაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია თავისი პირადი მონაცემების საფუძველზე გადაამოწმოს საარჩევნო აქტიურობა, ხმის მისაცემი უბანი და მისი ლოკაცია. მნიშვნელოვანია ის მოცემულობა, რომ თუ კონკრეტულ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო დღისთვის გადაადგილება მასთან მიდის სპეციალური გადასატანი ყუთი, რომელის შესახებ წინასწარ უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიის ინფორმირებულობა.

საარჩევნო კოდექსის მეოთხე თავით განსაზღვრულია საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია და მათი მხარდამჭერთა სიები. გარკვეული დოკუმენტაციის ფონზე საარჩევნო სუბიექტი მიმართავს შესაბამის საარჩევნო კომისიის თავჯდომარეს და კანონში დადგენილი წესის მიხედვით რეგისტრირდება. კანონის მიხედვით განსაზღვრული პროცედურების გავლის შემდეგ, სარჩევნო სუბიექტს ენიჭება შესაბამისი ასევე საარჩევნო ნომერი და გარკვეული ვადების ფარგლებში ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ონლაინ გვერდზე.

მედიისა და მონიტორინგის რეგულირებას არჩევნებთან მიმართებაში განსაზღვრავს კოდექსის მეხუთე თავი. გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ საარჩევნო მსვლელობის მონიტორინგი უმნიშვნელოვანესია, კოდექსი განსაზღვრავს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დამკვირვებლების დასწრებას ხმის მიცემის პროცესზე. საქართველოს ეროვნული მიზანი დემოკრატიული მოწყობაა, შესაბამისად მმართველობის ფორმის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომელიც სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებში მდგომარეობს, საერთაშორისო აქტორებისთვის გაანალიზების დონეზე ღია უნდა იყოს. როგორც საერთოშორისო, ასევე ადგილობრივი დამკვირვებლების რეგისტრირებას უზრუნველყობს ცენტრალური საარჩევნო კომისია, შესაბამისად საარჩევნო უბანზე კენჭის ყრის დღეს ნებისმიერი დამსწრე დამკვირვებელი ოფიციალურად, კოდექსის მიერ განსაზღვრული ნორმებით იმყოფება. მეხუთე თავის 44-ე მუხლითაა განსაზღვრული საარჩევნო უბანზე მედიის წარმომადგენელთა ყოფნა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე, ერთ მედიის წარმომადგენელ ორგანიზაციას არ შეიძლება ყავდეს ორზე მეტი დამკვირვებელი, ამასთან დამკვირვებლები სრულწლოვანები უნდა იყვნენ.

საარჩევნო კანონის მერვე თავში განხილულია კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო მოხელეებისა და შესასრულებელი მოვალეობების რიგითობა. აღნიშნულ თავში განხილულია,

კენჭისყრის დღის დასაწყისიდან დასასრულამდე გასავლელი პროცესები. საქართველოს თანამედროვე ისტორიის მანძილზე, კენჭისყრის დღის მსვლელობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა შევიდა 2022 წლის 22 დეკემბერს შემუშავებული ორგანული კანონით. კანონის მიხედვით, როგორც სარეგისტრაციო, ასევე ხმის მიცემისა და ოქმის შედგენის პროცედურები, სხვა რიგ პროცესებთან ერთად, ტრადიციულიდან ელექტრონულზე გადავიდა. კოდექსში განხილული თავის 76 მუხლის, 2-დან 7-ის ჩათვლით ქვეპუნქტები განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლება მოვალეობებს, ელექტრონული ხმის მიცემის პროცესის მოწყობაზე.

საარჩევნო კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილად აღნიშნულია მე-2 კარი, რომლის თავებში განხილულია საქართველოში კანონით განსაზღვული საარჩევნო ფორმატი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორგანული კანონის განხილულ ნაწილში შეიმჩნევა ცვლილებები 2012 წლის შემდეგ. კანონი განსაზღვრავს პრეზიდენტის არჩევის რაობას, არჩევის შემდეგ, უფლება მოვალეობების შემსრულებლის ვადას და სხვა. პარლამენტის შემთხვევაში მკვეთრადაა გამოყოფილი 150 კაციანი მანდატის პროპორციული საარჩევნო წესი და ის ფაქტი რომ პარლამენტი 4 წლის ვადით ირჩევა. (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2011)

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსი. (2011, 12 27). Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=90

2. ტაბულა. (2016, აგვისტო 17). Retrieved from https://tabula.ge/ge/news/589610-archevnebis-istoria

3. უნივერსიტეტი, ი. ჯ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). თბილისი : უნივერსიტეტის გამომცემლობა.

4. შამილიშვილი, მ. (2010). ქართული მასმედიის შედარებითი ანალიზისათვის ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიაზე გადასვლის პირობებში. ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსიმე-20 საუკუნის გამოცდილება (pp. 476-483). ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

ესეს ჟანრული ფორმა და მისი ადგილი სახელოვნებო და ლიტერატურულ პერიოდიკაში (საქართველოსა და ამერიკის მაგალითზე)

The genre form of the essay and its place in artistic and literary periodicals (on the example of Georgia and America)

ასმათ წერეთელი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ და ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტი
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
Asmat Tsereteli - Caucasus International University

ანოტაცია. ესეს, როგორც ლიტერატურული ჟანრის წარმოშობა მიშელ მონტენის სახელს უკავშირდება. ,,Les Essais"-ასეთი სახელწოდება შეურჩია თავის წიგნს ბორდოს მერმა მიშელ მონტენმა XVI საუკუნეში. მონტენის ,,იდეებს" უკვალოდ არ ჩაუვლია და სწორედ, მისი წერის და აზროვნების მანერა დიდი ხნის მანძილზე განაპირობებდა ესეს ჟანრულ ფორმას. XVIII საუკუნიდან ესე ჟურნალისტიკის ერთ-ერთი წამყვანი ჟანრია. ესეს ძირითადი მახასიათებლებია კომპოზიციური თავისუფლება, მკვეთრად გამოხატული ავტორისეული ინდივიდუალობა, ზოგჯერ პოლემიკური ხასიათის თხრობა, ასევე სუბიექტივიზმი. ესეის ჟანრული ფორმებია: ბელეტრისტული, ისტორიული, ფილოსოფიური, ბიოგრაფიული, ფსიქოლოგიური, სამეცნიერო და სხვა.

თუ რომელიმე ჟურნალისტურ ჟანრს აქვს აყვავების და აღორძინების პერიოდი, ეს ესეისტიკაა. ადამიანებმა და მათმა ნამდვილმა ამბებმა წინა პლანზე გადმოინაცვლეს, თხრობა უფრო დოკუმენტური, ზუსტი და ხელშესახები გახდა. ესეისტიკა და პუბლიცისტიკა ცხოვრებამ მოიტანა. ზოგადად, მიმდინარე პროცესები და მსოფლმხედველობრივი გამოცდილება ქმნის ესეისტურ-პუბლიცისტურ წერილებს.

რადგან ესე ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟანრია, საინტერესოა მისი განხილვა ქართული და ამერიკული სახელოვნებო ჟურნალების მაგალითზე-**,,თეატრი", ,,არილი", ,,Art in America", ,,ARTFORUM".**

საკვანძო სიტყვები: ესე, მედია, კულტურა, ჟანრული ფორმები.

Annotation. "essai" is a French word and means "try" in Georgian. The origin of the essay as a literary genre is associated with the name of Michel de Montaigne in the 16th century. Montaigne's "ideas" did not leave a trace, and the origin of the essay as a literary genre is connected with his way of writing and thinking.

Essay has been one of the leading genres of journalism since the 18th century. He was very popular among French existentialists. The genre characteristic of the essay is compositional freedom, strongly expressed authorial individuality, sometimes polemical narrative, as well as subjectivism. Genre forms of the essay are: fiction, historical, philosophical, biographical, psychological, scientific and others.

If any journalistic genre is experiencing a period of prosperity and revival, it is essay writing. People and their real stories moved to the foreground, the narrative became more documentary, accurate and tangible. Life brought essays and journalism. In general, current processes and worldview experiences create essayistic-publicist writings.

As this essay is one of the important genres of journalism, it is interesting to discuss it from the pages of Georgian and American artistic magazines - "Theatre", "Arili", "Art in America", "ARTFORUM".

ძირითადი ნაწილი

ჟურნალ ,,თეატრის" ფურცლებზე ეს ჟანრი უაღრესად საინტერესოდ არის წარმოდგენილი როსტომ ჩხეიძის, ეკა თხილავას და ჟურნალის რედაქტორის-დავით ანდრაძის ესეისტიკით. როსტომ ჩხეიძის ესეები, ძირითადად, ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათისაა. აქ ერთმანეთთან თანხვედრაშია ინტერესი მარადიულისა და უცვლელის მიმართ, ესეიგი-ფილოსოფია და ინტერესი წარმავალისა და ცვალებადისადმი, ესეიგი -ისტორია. მისი ესე ,,უდანაშაულო დამნაშავე-სოფოკლე აპოლოგეტად ჰერაკლესი" ისტორიულ-ფილოსოფიურ ჟანრს განეკუთვნება. ფილოსოფიური ხედვით დანახული ჰერაკლეს აღსასრულისა და განღმრთობის ამბის პარალელურად ავტორი მოგვითხრობს სოფოკლეს ტრაგედიის ,,ტრაქისელი ქალები" ქართულ თარგმანზე, რომლის ავტორიც გიორგი კახიშვილია. ესეს ძირითადი ნაწილი თარგმანის შეფასებაა და აქ ასევე აღსანიშნავია როსტომ ჩხეიძის წერის სტილი, რომელიც ყველასაგან გამორჩეულია და თავისი ინდივიდუალიზმით მკითხველისთვის ყოველთვის შთამბეჭდავია: ,,გიორგი კახიშვილი გაიხსენებდა ვაზურ ფერწერას, რომლის მიხედვითაც ქრისტეს დაბადებამდე 460-450 წლისათვის ათენში უკვე ფართოდ გავრცელებულიყო ჰერაკლეს განმღრთობის ამბავი. მთარგმნელი ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებასაც, რომ თუ უკანასკნელი მითის გარდა სხვა ყველა გადმოცემა ბუნებრივად ჩართულიყო ტრაგედიის სტრუქტურაში და ერთი მოქმედების განვითარების საყრდენს წარმოადგენდა; ჰერაკლეს აღსრულების მითის გამოყენება ტრაგედიაში ნაძალადევი ჩანდა და დრამატული ფორმის

თვალსაზრისით, პიესას დიპტიკის ფორმას ანიჭებდა“ (რ.ჩხეიძე, ,,თეატრი", 2021). ესეში ავტორის მიერ ისტორიულ ასპექტში განხილულია ძველი წელთაღრიცხვის ათენელი მოღვაწის სოლონის სიბრძნე, რომელიც თავისი ,,კანონებით“ დემოკრატიის ფუძემდებლად ითვლება. ავტორის აზრით, სოფოკლეს ტრაგედიების უმრავლესობა სწორედ სოლონისეული სიბრძნით ბოლოვდება.

ჩვენი საკვლევი თემა არის კულტურის საკითხების გაშუქება ბეჭდურ მედიაში და ცხოვრების ამ ორი უმნიშვნელოვანესი და გავლენიანი სფეროს შესწავლასთან ერთად, მათი თანმდევი პრობლემების განხილვა. ეკა თხილავას ესე ,,კულტურის შავი დღეები-თეთრი ღამეები“ ჟურნალ ,,თეატრის“ 2021 წლის ნომერში დაიბეჭდა რუბრიკის ქვეშ ,,კულტურის პარადიგმები“. ავტორი ნამდვილი ჩიკაგოს ,,აღმოჩენას“ ჩიკაგოს არტ ინსტიტუტით იწყებს, რომლის კედლებიც ყველაფერს იტევს -აღმასვლიდან-დაღმასვლამდე, ანტიკურობიდან-პოსტმოდერნამდე, მათ შორის ფრანგულ იმპრესიონიზმამდე და ასკვნის, რომ ,,კულტურაა ამოსავალი წერტილიც და ბოლო წერტილიც ნებისმიერი ქვეყნისთვის“. შპენგლერის ცნობილი სიტყვებით განმარტავს კულტურის არსს და განვლილ გზასაც, რომელსაც დღეს სხვა გემოვნების და სხვა გონის შემფასებელი ჰყავს: ,,კულტურა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც სულიერი ცხოვრების იდუმალი ჭაობიდან იბადება და ცოცხალი ორგანიზმისთვის დამახასიათებელ ყველა საფეხურს გადის-ბავშვობის, სიმწიფის, სიბერისა და სიკვდილის“. და რადგან სულიერი ცხოვრება ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილია, კულტურის ხელახალი დაბადებაც გარდაუვალია. ავტორის აზრით, თანამედროვე მედია, რომელიც მეინსტრიმის-პოპკულტურის უკან დგას, ცოდავს, რადგან ქმნის კულტურის კომერციულ მხარეს და ამ მოქმედებით კულტურას კლავს. ,,მედიამ ერთგვარად ,,გადალახა“ ფროიდისეული ,,კულტურით უკმაყოფილება“ და საპირწონედ პოსტმოდერნულ კულტურას გაუძღვა წინ...თუმცა აქვე გაჩნდა ფროიდისეული საფრთხეც-რამდენად ეყოფა კაცობრიობას ძალა ამ გზაზე დაიმორჩილოს აგრესია და თვითგანადგურებისკენ ლტოლვა. მედია თავადაც ერთგვარი მსხვერპლია კომერციის-სიმართლისა და ტყუილის, რეკლამისა და ანტირეკლამის...ის მიჰყვება მასების მოთხოვნას და თავადაც მასების ნაწილია“. და რადგან ყველაზე ღირებული თავისუფლების და გულწრფელობის დროს იქმნება, ავტორი დასკვნის სახით გვთავაზობს შეფასებას: ,,პოსტმოდერნი თითქოს თავის დასასრულს უახლოვდება...მედიამ უნდა იგრძნოს, რომ იწყება კულტურის სიცოცხლის ახალი ათვლა და სწორი გათვლები გააკეთოს“ (ე.თხილავა, ,,თეატრი", 2021).

ისევე როგორც ნამდვილ ხელოვნებას, ჟურნალ ,,თეატრსაც“ ხშირად მორგებული აქვს ,,სარკის“ ფუნქცია, რომლის 2020 წლის 1 ნომერში რუბრიკის ქვეშ,,თეატრი და პუბლიკა“ დაბეჭდილია დავით ანდრიაძის ფილოსოფიური ესსე ,,იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ... რამე“. ,,ნიცშე პლატონისეულ ტერმინს-,,თეატროკრატია“ უკვე ვაგნერის პრეცენდენტის ერთ-ერთ პასაჟში გამოიყენებს და აქცენტს დასვამს თეატრის, როგორც ადგილის იდეაზე და არა თეატრზე, როგორც მაყურებელთა თავყრილობაზე’’. ავტორის მიერ, თეატრის, როგორც ,,ადგილის იდეა“ განხილულია ბრეხტისეული სიტყვათა თამაშით, როგორ დაუშრა საბოლოოდ დრამატულ თეატრებს ცრემლი და სპექტაკლებმა რახანია ქუჩაში, პარლამენტში, საარჩევნო კომისიებში და სხვაგან გადაინაცვლა. ესეში გვხვდება გი დებორის ,,სპექტაკლის საზოგადოები“-ს თანამედროვე ინტერპრეტაცია უცნაური და ამავე დროს ძალზედ საცნაური ,,თანამედროვე საზოგადოების“ ნიშნებით-,,ომი-როგორც სპექტაკლი“, ,,ინტერნეტი -როგორც სპექტაკლი“, ,,პოდიუმი-როგორც სპექტაკლი“ და ,,ცხოვრება-როგორც სპექტაკლი“. ,,ეს ,,სპექტაკლები“ თავად ,,სპექტაკლის საზოგადოების“ ვირტუალური რეალობის მედიუმია, სახე-

ნიღბებით გათამაშებული ურთიერთობებია ადამიანებისა, რომელთაც არც ერთმანეთის სჯერათ და არც ისევ და ისევ ცრემლების“ (დ.ანდრიაძე, ,,თეატრი", 2020).

ჟურნალ ,,არილი“ ნიჭიერი ადამიანების ,,შეხვედრის“ ადგილია. განსაკუთრებით, საინტერესოა მისი ესეისტიკა. ჩვენს საკვლევ თემასთან პირდაპირ კავშირშია მაღალი და პოპკულტურის როლის განხილვა და განმარტება. ამ მხრივ საინტერესოა ჟურნალ ,,არილის“ 2022 წლის მე-2 ნომერში დაბეჭდილი ადამ კირშის ესე-,,კულტურა როგორც პოპკულტურა“ (თარგმანი-თამარ ლომიძის). ავტორი საუბრობს კლასიკურ და პოპ მუსიკაზე , დროსთან დაკავშირებულ კულტურული კლიმატის ცვლილებაზე, როცა მაღალ კულტურას თანდათან მასობრივი კულტურის აღმავლობა ,,ანაცვლებს“. ესეში ადამ კირში იხსენებს ,,განმანათლებლობის დიალექტიკას“, სადაც თეოდორ ადორნომ და მაქს ჰორკჰაიმერმა კულტურის ინდუსტრიის ღრმა ანალიზი შემოგვთავაზეს. მათი აზრით, ჭეშმარიტი ხელოვნება გულისხმობს თავისუფალ ინდივიდუალურ რეაქციას, ხოლო პოპ-კულტურა თავის აუდიტორიას პასიურ და მორჩილ მომხმარებლად აქცევს. 1960 წელს დუაიტ მაკდონალდმა გამოიყენა ეს იდეა თავის ესეში ,,Masscult and Midcult”.მაკდონალდის მიხედვით, მასობრივი კულტურა ,,ანტიხელოვნებაა“, უნიფიცირებული პროდუქტია, რომლის მოკრძალებული მიზანი გართობაც კი არ არის, რადგან გართობა გულისხმობს გარკვეულ ძალისხმევას. მასობრივი კულტურა კი, უბრალოდ, უგუნურებაა“. ადამ კირში ესეში დასკვნის სახით აყალიბებს, რომ დაპირისპირება ტრადიციულ და პოპ კულტურებს შორის თაობათა შორის ,,ბრძოლის“ მუდმივი თანმდევია. ,,ყველა დროში მაღალი კულტურა რჩებოდა სუპერეგოდ საზოგადოების, რომელიც ნომინალურად მაინც პატივს სცემდა იმგვარ მხატვრულ ღირებულებებს , როგორებიცაა, მაგალითად, გენია, ორიგინალობა, სილამაზე და სირთულე....თუმცა კულტურა კონტრკულტურულია იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეულ საშიშროებას უქადის მის მომხრეებს. ძველი და რთული ფასეულობებისადმი უპირატესობის მინიჭება თანამედროვე და პოპულარულ ფასეულობებთან შედარებით, ნიშნავს გაუცხოებას საკუთარი საზოგადოებიდან, ზოგიერთ შემთხვევაში კი -საკუთარი ოჯახისგანაც“ (ა.კირში, 2022).

ოსვალდ შპენგლერი ისტორიულ ფსევდომორფოზას უწოდებს შემთხვევას, როდესაც რომელიმე კულტურას თავს ეხვევა სხვა კულტურის ისტორიული ფორმები. ომში განცდილი კატასტროფის შემდეგ გლობალური სამყარო იაპონელებისგან კულტურის რაღაც ახალ პროექტს მოითხოვდა. ზაზა ფირალიშვილის ესე ,,ჰომუნკულუსის დაბადება“იაპონელი მხატვრის იასუმასა მორიმურას ორიგინალური ხელწერის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ავტორია დიდი სერიისა -,,ფერწერის ისტორია ავტოპორტრეტებში“. ის ცნობილი ევროპელი და ამერიკელი მხატვრების ნამუშევრებში საკუთარ სახეს განათავსებს და ასე ქმნის მეორად პროდუქტს-თავის ავტოპორტრეტს. მაგალითად, ვან გოგის ცნობილ ავტოპორტრეტში მისი სახეა ინსტალირებული. ,,კონფუციანური სამყაროს ნაწილი, იაპონური სულიერება მორიმურას მეშვეობით რაღაც ძალზე მნიშვნელოვან სათქმელს გამოთქვამს. ამ მხატვრის მეშვეობით, ის თითქოს ფრთხილად სინჯავს იმ ფორმებსა და ნარატივს, რომლის წინაშეც მარცხი აღიარა...მის შემოქმედებაში ნიღბების დაუსრულებელი კარნავალია. მთავარი ნიღაბი კი ,,ბედნიერი იაპონიის“ ნიღაბია, რომელმაც წარმატებით შეუთავსა ერთმანეთს ტრადიციული და ახალი...მორიმურას ფოტოაპარატით, ყალმით თუ აუდიოჩანაწერით თითქოს, სწორედ, დამარცხებული სამყარო ცდილობს გამარჯვებულის აპროპრირებას (ზ.ფირალიშვილი, ,,არილი", 2022)

მამარდაშვილის ცნობილი გამონათქვამის პერიფრაზი, რომ გაგება გულისხმობს არა, უბრალოდ, ტექსტიდან შინაარსის გამოცალკავებას, არამედ იმას, რომ აღადგინო აზრის ცოცხალი

მხარე, რის გამოც ეს ტექსტი შეიქმნა, კარგად ესადაგება პორტრეტულ ესეისტიკას. ამ ჟანრის ესე დაიბეჭდა ჟურნალ ,,ARTFORUM”-ის 2022 წლის სექტემბრის ნომერში დუნკან სმიტის ავტოროზით (by Duncan Smith): ,,თუნუქის გულში:ესეი ჯონ ჩემბერლენზე“.(In The Heart of the Tinman: An Essay on John Chamberlain). ესეში ვკითხულობთ, რომ ჩემბერლენი იყო ამერიკელი მოქანდაკე და მხატვარი, რომელიც ცნობილია ძველი მანქანებიდან სკულპტურების შექმნით. ის აბსტრაქტულ ექსპრესიონისტულ ფერწერას სამ განზომილებაში აქცევდა. ,,მანქანის გადაგდებული ნაწილების ერთად შეკრების მისმა უნიკალურმა მეთოდმა განაპირობა ის, რომ 1961 წელს, ნიუ-იორკში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, პარადიგმატულ გამოფენაში ,,The Art of Assemblage”, სადაც მისი ნამუშევრები მსოფლიო დონის ხელოვანების-პაბლო პიკასოსა და მარსელ დიუშანის გვერდით აჩვენეს“. (D.Smith, ,,ARTFORUM", 2022).

ჟურნალ ,,ARTFORUM”-ის 2021 წლის დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია კლერკ ბიშოპის (Claire Bishop) ესე ,,კვლევაზე დაფუძვნებული ხელოვნება“ (,,On the Superabundance of Research-based Art”). ესეს ავტორი ხელოვნების თემაზე არსებული კვლევების წინამორბედად თვლის მერი კელისა და ჰანს ჰაკეს მიერ 70-იან წლებში ჩატარებულ კვლევებს-ხელოვნების, ფსიქოანალიზის, ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიის შესახებ. ბიშოპის აზრით, კვლევაზე დაფუძნებული ხელოვნება გლობალური ფენომენია, მკვლევარის მთავარი ღირსება კი შრომისმოყვარეობით გამოკვლეული და რეცენზირებული ნაშრომია და არა დოგმატური და იმპულსური კვლევა. ესეს ავტორი ასევე იყენებს ჰოვარდ სინგერმანის (Howard Singerman) მოსაზრებას, რომ ,,ხელოვნების კვლევა ახალ დისციპლინადაც კი იქცა და ეს არის თეორიული უნარების სწავლებიდან პრაქტიკის დისკურსულ ფორმებზე გადასვლის ხელოვნება“. (C.Bishop, ,,ARTFORUM", 2021).

ჟურნალ ,,Art in America” -ს 2023 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა პიტერ ჰილსის(P. Hillls) ანალიტიკური ესე ,,ამერიკული ხელოვნების შექმნის მნიშვნელობა“ (American Art Creation Importance). ესეს მთავარი სათქმელი არის ამერიკული ხელოვნების გათავისუფლება ევროპული გავლენისგან. ავტორი აღნიშნავს, რომ ხელოვნების საზოგადოებამდე მისასვლელი უნიკალური გზა გადის საკუთარი კულტურის თვითმყოფადობაზე, რომელიც ქვეყნის ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს აერთიანებს. ესეს ავტორი ერთგვარ გზავნილს სთავაზობს ამერიკელ ხელოვანებს: ,,ხელოვნების ნიმუშის ღირებულება ძლიერდება, როდესაც იგი გამოირჩევა თვითმყოფადი, უნიკალური ხელწერით ხელოვნების სამყაროში. ამერიკელმა ხელოვანებმა, თუ მათ სურთ მეტი ღირებულება შემატონ საკუთარ საზოგადოებას, უნდა შეინარჩუნონ ორიგინალობა და მოერიდონ ევროპული სტილის გავლენას. ამით ისინი ამერიკული კულტურის მემკვიდრეობას შეინარჩუნებენ“. (P.Hills, ,,Art in America", 2023).

ისტორული ესე დაიბეჭდა ჟურნალის ,,Art in America” 2019 წლის ოქტომბრის ნომერში ბარბარა უეინბერგის (Barbara Weinberg) ავტორობით ,,ამერიკული იმპრესიონიზმი“(American Impressionism”). ავტორი წარმოგვიდგენს იმპრესიონიზმის განვითარების ისტორიას ამერიკაში. 1865 წლის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, შეერთებულ შტატებს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის პერიოდი დაუდგა. ამერიკელები ხშირად მოგზაურობდნენ საზღვარგარეთ და ითვისებდნენ ევროპულ კულტურას. ისინი სწავლობდნენ პარიზში, ქმნიდნენ საკუთარ შემოქმედებას და ასევე იძენდნენ ევროპული ხელოვნების ნიმუშებს. უილიამ მერიტ ჩეიზი (William Merritt Chase) გახდა პირველი ამერიკელი მხატვარი, რომელმაც 1886 წელს იმრესიონისტული ფერწერული ტილოები შექმნა. მონეს სტილი და იდეები გაავრცელეს შეერთებულ შტატებში სარჯენტმა (Sargent), უილარდ მეტკალფმა (Willard Metcalf) და თეოდორ რონინსონმა (Theodore Robinson). ეს კულტურული ენერგია უფრო მეტად კონცენტრირებული იყო ნიუ-იორკში. ავტორის აზრით, ამერიკელი იმპრესიონისტები უფრო

მეტად კოსმოპოლიტები იყვნენ, ვიდრე მათი ფრანგი კოლეგები. ისინი თავიანთ შემოქმედებაში აგრარულიდან ინდუსტრიულ ურბანულ საზოგადოებაზე გადასვლის ტრანსფორმაციას ასახავდნენ. მათ შემოქმედებაში ერთდროულად ჩანდა აღფრთოვანება ცვლილებებით და ნოსტალგიური განწყობა წარსულის მიმართ. ,,მათ ,,დაიჭირეს“ სინათლის ფერები, საგნების თანდაყოლილი მნიშვნელობა, ურბანული ცხოვრების ენერგია-ნიუ -იორკისა უბნების არომატი, პორტრეტების ორიგინალობა და ბროდვეის პასტორალური სცენების განუმეორებლობა“ (B.Weinberg, ,,Art in America", 2019).

დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ ესეის ჟანრული ფორმა და მისი ადგილი სახელოვნებო და ლიტერატურულ პერიოდიკაში-ორი ქართული და ორი ამერიკული ჟურნალის მაგალითზე-,,თეატრი“, ,,არილი“, ,,Art in America”, ,,ARTFORUM”.

რადგან ესე ჟურნალისტიკის ერთ-ერთი წამყვანი ჟანრია, მისი ადგილი ბეჭდურ პერიოდიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია, მით უფრო, რომ ესეს ჟანრულ ფორმებში გამოსახული კომპოზიციური თავისუფლება და მიმდინარე მოვლენებზე ფოკუსირება დიდ გავლენას ახდენს მკითხველის აზრის ფორმირებაზე. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჰაიდეგერის ცნობილი ესე ,,ხელოვნების ქმნილების დასაბამი“, სადაც ავტორი ადამიანის ყოფიერების ფუნდამეტურ არსს მისი ბუნებასთან და ხელოვნებასთან დიალოგის საფუძველზე განიხილავს, რაც განაპირობებს ადამიანში აზროვნებისა და ხელოვნებისაკენ შეუნელებელი სწრაფვის სურვილს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Smith, D. ,,An Essay on John Chamberlain”. Magazine ,,ARTFORUM”, New York, 2022.

2. Bishop. C. ,,On the Superabundance of research-based Art”. Magazine ,,ARTFORUM”, New York, 2021.

3. Hills, P. ,,American Art creation Importance”. Magazine ,,Art in America”, New York, 2023.

4.Weinberg, B. ,,American Impressionism”. Magazine ,,Art in America”, New York, 2019.

5.Heidegger, M. ,,The Origin of the Work of Art”. The Journal of Aesthetics and Art Criticism. Vol.32, N.2. (1973).

6. ჩხეიძე, რ. ,,უდანაშაულო დამწაშავე-სოფოკლე აპოლოგეტად ჰერაკლესი“. ჟურნალი ,,თეატრი“, თბილისი, 2021.

7. თხილავა, ე. ,,კულტურის შავი დღეები-თეთრი ღამეები“. ჟურნალი ,,თეატრი“, თბილისი, 2021.

8. ანდრიაძე, დ. ,,იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ...რამე“. ჟურნალი ,,თეატრი“, თბილისი, 2020.

თუმცა, მხოლოდ აღრიცხვა და კონტროლი შორს არ წავა, ამიტომ რობოტიკა, უფრო ზუსტად ავტონომიური მობილური რობოტები (AMR) სულ უფრო ხშირად გამოიყენება რუსულ საწყობებში. როგორც ალექსეი ფეოფანოვმა თქვა, ასეთი „ჭკვიანი“ მანქანები ადამიანებისთვის რთულ და რუტინულ სამუშაოს ასრულებენ - საქონლის დახარისხება, შეფუთვა, დატვირთვა, გადმოტვირთვა და ტრანსპორტირება. ამრიგად, საწყობის პროცესები ხდება ნაკლები ავარიით, რაც გამოწვეულია შემცირებული ადამიანური შეცდომით და იზრდება მთლიანი პროდუქტიულობა.

საერთაშორისო ლოგისტიკა - რას წინასწარმეტყველებენ ექსპერტები საერთაშორისო ტრანსპორტისთვის. ტენდენციებს შორისაა მულტიმოდალური სატრანსპორტო გადაწყვეტილებები, ლოგისტიკური აუთსორსინგი და ანაზრაურების ტრანსპორტირება, რაც კომპანიებს საშუალებას მისცემს მინიმუმამდე დაიყვანონ სანქციების რისკი. განსაკუთრებით პოპულარული იქნება მულტიმოდალური ტრანსპორტი არა მარტო დასავლეთშ ევროპაში არამედ აღმოსავლეთის მიმართულებით, კერძოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში.აღსანიშნავის რომ სპარსეთის ყურის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში საკონტეინერო ტრანსპორტირების ფასები წითელ ზღვაში არასტაბილურობის გამო

გაიზრდება. შესაძლებელია, რომ კომპანიებმა გაგზავნონ გარკვეული ტვირთი, რომელიც არ საჭიროებს სასწრაფო მიწოდებას ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის გავლით. თუმცა, ეს შესაძლებელი იქნება კონკურენტული ტარიფებით და საკმარისი სიმძლავრით ტრანზიტულ ქვეყნებში.

გარდა ამისა, გაზრდილი დატვირთვა, კონტეინერების გადაზიდვის ფასების დაცემა და ადენის ყურეში არსებული პრობლემები, სავარაუდოდ, გამოიწვევს სატრანსპორტო სიმძლავრის დეფიციტს აღმოსავლეთში.

ექსპორტიორები უფრო ხშირად მიმართავენ სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ კომპანიებს მომსახურებისთვის. ეს ტენდენცია ასევე შენიშნა ლოგისტიკისა და საერთაშორისო ტვირთების ექსპერტებმა ისინი თვლიან, რომ ორგანიზაციებს აქვთ მიზეზი, გამოიყენონ სატრანსპორტო კომპანიების შესაბამისი სერვისები, კერძოდ ფინანსური ლოჯისტიკა.

ეკოლოგიური „ნოტები“. ლოჯისტიკის ორგანიზაციულ და ციფრულ ტენდენციებთან ერთად, ვითარდება მწვანე დღის წესრიგიც. Aytob კომპანიაზე (სატრანსპორტო კომპანიების ავტომატიზაციის გადაწყვეტილებების შემქმნელი) მითითებით, ისინი ამბობენ, რომ სატრანსპორტო კომპანიებმა დაიწყეს მეტი ყურადღების მიქცევა ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე. მაგალითად, გადამზიდავები ინვესტიციებს ახორციელებენ ელექტრომობილებში. ზოგადად, საგნების ინტერნეტი და AI, რომლებიც შექმნილია მარშრუტების ოპტიმიზაციისთვის, არანაკლებ წვლილი შეაქვს, რადგან საწვავის მოხმარება ასევე დამოკიდებულია არჩეულ მარშრუტზე. უფრო მეტიც, ორგანიზაციები სულ უფრო მეტად ახორციელებენ ნარჩენების მართვის სტანდარტებს, როგორიცაა რეციკლირებული და ბიოდეგრადირებადი მასალებისგან დამზადებული შეფუთვა. საპირისპირო ლოგისტიკური სისტემები ასევე იზრდება პოპულარობით, რაც საშუალებას აძლევს პროდუქტებს დაბრუნდეს ხელახალი გამოყენების ან გადამუშავებისთვის.

სახელმწიფო განზე არ უნდა იდგეს. ხელისუფლებამ უნდა შემოიტანოს საგადასახადო შეღავათები და სუბსიდიები ეკოლოგიურად სუფთა ლოგისტიკური გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად. ზოგადად, გარემოსდაცვითი ორიენტაცია ხდება არა მხოლოდ კორპორატიული ეთიკის საკითხი, არამედ ლოგისტიკური მომსახურების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მთავარი ფაქტორი, რაც ძალიან კარგია.

დასკვნა

ლოგისტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, რომელიც შეინიშნება ბოლო წლებში, გაგრძელდება. ლოგისტიკა იქნება უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი ბიზნესისა და მიწოდების ჯაჭვების წარმატებაში. ახალი ტექნოლოგიების განვითარება კვლავაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ლოგისტიკის ინდუსტრიაზე. ლოჯისტიკურ სერვისებზე მოთხოვნის შეცვლა აიძულებს ლოჯისტიკურ კომპანიებს მოერგონ თავიანთი მომსახურება ახალი მომხმარებლის საჭიროებებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

Armstrong and Associates (2007), Estimating Global Logistics Spending, Traffic World supplement (15/21/2007), Traffic World / http://www.trafficworld.com /2007/ Commonwealth Business Media, Inc. (now The Journal of Commerce)

Baker, P. and Perotti, S. (2008), UK Warehouse Benchmarking Report, Cranfield School of Management

Balcik, B. and Beamon, B. M. (2008), Facility location in humanitarian relief, International Journal of Logistics: Research and Applications, 11(2), April 2008, pp. 101–121.

Beamon, B. M. and Balcik, B. (2008), Performance Measurement in Humanitarian Relief Chains, University of Washington, Seattle

Benson, R. (1998), Benchmarking lessons in the process industries, Manufacturing Excellence, May, Haymarket Business Publications, London

Bicheno, J. (1991), Implementing Just-in-time, IFS, Kempston, Bedford

BREEAM – environmental assessment method and rating system for buildings [accessed 8 May 2013] www.breeam.org

Bumstead, J. and Cannons, K. (2002), From 4PL to managed supply chain operations, Focus, May, pp. 18–25.

Camp, R. C. (1989), Benchmarking: The search for industry best practices that lead to superior performance, ASQC Quality Press, Milwaukee, WI

Capgemini Consulting (2012), Third-Party Logistics Study: The State of Logistics Outsourcing 16th Annual Study: http://www.3plstudy.com/downloads/2012-3pl-study/

Carbon Trust [accessed 5 May 2013] http://www.carbontrust.com/resources/guides/carbonfootprintingand-reporting/carbon-footprinting

Chartered Institute of Logistics and Transport (UK) [accessed 2012] http://www.ciltuk.org.uk/pages/home

Childerhouse, P., Aitken, J. and Towill, D. (2002), Analysis and design of focused demand chains, Journal of Operations Management, 20, pp. 675–689.

Christopher, M. and Peck, H. (2003), Marketing Logistics, 2nd edition, Butterworth Heinemann, Oxford

Christopher, M., Peck, H. and Towill, D. (2006), A taxonomy for selecting global supply chain strategies

International Journal of Logistics Management, 17(2), pp. 277–287.

Christopher, M. and Tatham, P. (eds) (2011), Humanitarian Logistics, Kogan Page, London

ეკატერინე უკლება - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
Ekaterine Ukleba - Akaki Tsereteli State University
Doctor of Business Administration,
Associate Professor
სალომე გიორგაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
Salome Giorgadze - Akaki Tsereteli State University
Doctor of International Relations

აბსტრაქტი. გლობალიზაცია არის უწყვეტი პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ფიზიკურ პირებს, კორპორაციულ და სუვერენულ სახელმწიფოებს სწრაფად და შემცირებული დანახარჯებით დაამყარონ მჭიდრო კონტაქტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გლობალიზაცია არის მრავლისმომცველი პროცესი, რომელიც სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყნების ინტეგრაციის გაძლიერებაში უდიდესი გავლენა იქონია 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიო კომუნისტური და კაპიტალისტურ ბანაკად დაყოფის პრაქტიკამ, რომლის შემდგომ მნიშვნელოვნად გააქტიურდა ბიზნესის წარმოება, შემცირდა ღია ბაზრებზე ქვეყნების ჩარევა ეკონომიკაში და დაჩქარდა პრივატიზაციის პროცესი. ინტეგრაციის უფრო მეტად გაღრმავებას ხელი შეუწყო ტექნიკურმა პროგრესმა და ტექნოლოგიების განვითარებამ, განსაკუთრებით კი – ინტერნეტმა, რომელმაც ერთსა და იმავე საწყის პოზიციაზე განალაგა მსოფლიოს დიდი თუ პატარა ქვეყანა. უპირველესად, ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებს აღმოაჩნდათ შესაძლებლობა საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწრაფად განევითარებინათ. ინფორმაციის გადაცემა გაიოლდა და ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის, განსაკუთრებულად დადებითად აისახა ეკონომიკაზე, რამაც დააჩქარა კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ფორმირების პროცესი, ელექტრონული კომერციის განვითარება, საერთაშორისო ვაჭრობა და უპრეცედენტოდ გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა. უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ბიზნესის ზრდა ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რაც ექსპერტთა შორის იწვევს სამართლიან დებატებს და ბადებს კითხვას, თუ რით არის განპირობებული პროცესის ამგვარი გააქტიურება.

დღესდღეობით ქვეყნების მთავარ ამოცანას წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესში გაუმკლავდნენ ეკონომიკური გლობალიზაციის სირთულეებსა და გამოწვევებს. გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების მოტივატორს კომპანიების სტრატეგიული მიზნები და მოთხოვნები წარმოადგენს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს მთელი რიგი ფაქტორებით, როგორიც არის რესურსების შეძენა შედარებით დაბალი ფასით, იაფი მუშა ხელი, ონლაინ გაყიდვები, განსაკუთრებით ამის ნათელი მაგალითი იყო კოვიდპანდემია.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ კომპანიებმა თავიანთი ბიზნესის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ფეხი აუწყონ გლობალიზაციის პოზიტიურ გამოვლინებებს და ადაპტირდნენ თანამედროვე გარემო პირობებთან. ერთმანეთთან ურთიერთქმედებით დააჩქარონ განვითარების ტემპი, რადგანაც საერთაშორისო ბიზნესი და ურთიერთვაჭრობა ყველასათვის მომგებიანი და ხელშემწყობია. ყოველივე ეს კი საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას და ქვეყანას დაეხმარება განვითარების მაღალი ინდექსის მიღწევაში.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკური გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესი, ტექნოლოგიები

Abstract. Globalization is an ongoing process that allows individuals, corporations, and sovereign states to connect rapidly and cost-effectively across the globe. Globalization is a comprehensive process that is becoming increasingly large-scale in the world economy. The practice of dividing the world into communist and capitalist camps at the end of the 80s had a great influence on strengthening the integration of countries, after which business production was significantly activated, the intervention of countries in the economy of open markets was reduced, and the process of privatization was accelerated. Further deepening of integration was facilitated by technical progress and the development of technologies, and in particular by the Internet, which placed large and small countries of the world on the same initial position. First of all, economically advanced countries had the opportunity to rapidly develop communication technologies. The transfer of information became widespread and accessible to everyone, had a particularly positive effect on the economy, which accelerated the process of formation of the world capital market, the development of electronic commerce, international trade, and an unprecedented increase in the volume of investments. In the recent period, the growth of international business has

become visible to everyone, which causes a fair debate among experts and raises the question of what is the reason for such activation of the process. Nowadays, the main task of the countries is to deal with the difficulties and challenges of economic globalization in the process of globalization. The motivator for deepening the globalization process is the strategic goals and requirements of companies, which may be caused by a number of factors, such as the purchase of resources at a relatively low price, cheap labor, online sales, especially the Covid pandemic was a clear example of this. Based on the above, we think that for the effective functioning of their business, companies need to adapt to the positive manifestations of globalization and adapt to modern environmental conditions. By interacting with each other, they should speed up the pace of development, because international business and mutual trade will be beneficial and beneficial for everyone. All this will ultimately improve the well-being of each citizen and help the country achieve a high development index.

Key word: Globalization, economic globalization, international business, technologies

გლობალიზაცია ზრდის ურთიერთდამოკიდებულების პროცესს ქვეყნებს, ბიზნესებსა და ინდივიდებს შორის მთელს მსოფლიოში, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ფუნქციონირება ბიზნესისა და მენეჯმენტის სფეროში. გლობალიზაციამ გახსნა ახალი ბიზნეს ბაზრები, რამაც ასევე გაზარდა კონკურენცია შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე. საჭირო გახდა ბიზნესი ადაპტირდეს ცვლილებებზე, რათა დარჩეს კონკურენტუნარიანი და შეინარჩუნოს თავიანთი პოზიცია ბაზარზე. დღესღეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განხილვის საკითხია ციფრული ტექნოლოგიების ზრდა, რომელიც პირდაპირკავშირშია ბიზნესის განვითარებასა და წინსვლაზე. ონლაინ სამუშაო ბაზრის დამსახურებით კომპანიებს მომხარებელთან ურთიერთობა გაუმარტივდათ, თუმცა კონკურენტუნარიანობა მეტად თვალსაჩინო და აქტიური გახდა. ყოველივე ამან კი გამოიწვია ელექტრონული კომერციისა და ციფრული მარკეტინგის განვითარება, რომელიც ბიზნეს სტრატეგიის არსებითი და ძირეული კომპონენტია.

გლობალიზაციამ ძალიან დიდი გავლენა იქონია განვითარებული ქვეყნების ბიზნესზე და გახსნა ახალი შესაძლებლობები. მან გაზარდა შიდა და საერთაშორისო კონკურენტების კონკურენცია. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, მსოფლიო საქონლის ექსპორტის ღირებულება 2000 წელს 5,8 ტრილიონი დოლარიდან 2020 წელს 19,5 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო 2023 წელს 28 ტრილიონი დოლარი გახდა. სამყაროში, სადაც ძალაუფლების მრავალი ცენტრია, ბიზნესი შესაძლოა უფრო მრავალფეროვანი და რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდეს. მათ შეიძლება დასჭირდეთ ნავიგაცია სხვადასხვა მარეგულირებელ გარემოში.

ტექნოლოგიური მიღწევებიდან გეოპოლიტიკურ ცვლილებებამდე, რამდენიმე საკვანძო ტენდენციამ ჩამოაყალიბა ბიზნესის ფუნქციონირება გლობალური მასშტაბით. ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარება იყო თამაშის შეცვლა იმ ბიზნესებისათვის, რომლებიც გლობალურ გაფართოებას ეძებდნენ. ციფრულმა პლატფორმებმა, ელექტრონულმა კომერციამ და მოწინავე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა გაანადგურეს გეოგრაფიული ბარიერები, რაც საშუალება მისცა კომპანიებს შეაღწიონ ახალ ბაზრებზე. ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ და ბიზნეს ოპერაციების წარმოების შესაძლებლობამ გარდაქმნა ტრადიციული ბიზნეს მოდელი, რაც ერთმანეთთან დაახლოვა ურთიერთდაკავშირებულობის ქსელი გლობალურ ეკონომიკაში. გლობალური პროცესები გამოირჩევა თავიანთი ობიექტური ხასიათით, სწორედ ამიტომ ლოგიკურია, რომ ისინი თვითდინებით ვითარდებიან და ანგარიშს არ უწევენ ქვეყნის შესაძლებლობებს, მის თვითმყოფადობას, უნიკალურობას და რესურსების გამოყენების ჩვენეულ ხედვას. საერთაშორისო ბიზნესის ვალდებულებაა, გაითვალისწინოს გლობალიზაციის ზოგადი

კანონზომიერებანი, ჩაერთოს გლობალური პროცესების მართვის არეალში, თავი დაიმკვიდროს მსოფლიო საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში. ეს ვალდებულება ვრცელდება არა მარტო განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებზეც. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ცხადყო, რომ მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის პროგრესი. ამიტომ, გლობალურ კანონზომიერებათა შეცნობა, მათი გათვალისწინება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რაც მიიღწევა ბიზნეს-გარემოს ჰარმონიზაციით. ქვეყნების წინაშე მდგარი პრიორიტეტული ამოცანების რიცხვში უმთავრესია უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა. ბიზნესის გარემოს შესაფასებლად მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანალიზება, რადგანაც ის არის ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი. გლობალური ფინანსურ–ეკონომიკური კრიზისების, მიზეზების, შედეგებისა და პერიოდულად განმეორებადობის ალბათობასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის მუდმივი კამათისა და აზრთა დიდ განსხვავებას აქვს ადგილი. ეკონომისტთა ერთი ჯგუფის აზრით, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. თუმცა არც ერთი თეორია არ იძლევა დღეს პასუხს კითხვაზე – რა საზოგადოებაში ცხოვრობს კაცობრიობა და რა ელოდება მას გლობალიზაციის პირობებში.

ამრიგად,

ვფიქრობთ რომ მსოფლიო წესრიგს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გლობალიზაციასა და ბიზნესის მენეჯმენტის თანამედროვე საკითხებზე. გეოპოლიტიკური დაძაბულობისა და ბიზნეს შესაძლებლობებზე ზემოქმედებით, ბიზნესმა უნდა იცოდეს გეოპოლიტიკური ლანდშაფტი და ადაპტირდეს გარემო პირობების გათვალისწინებით, რადგანაც, წარმატების მისაღწევად სტრატეგიები მუდმივად ცვლად გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. შენგელია, გლობალური ბიზნესი, თბ., 2010;
2. ნ. ჭითანავა, გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები;
3. საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2011;
4. John H. Dunning, Sarianna M. Lundan, Multinational Enterprises and the Global Economy, Edward Elgar Publishing, Publishing House “Routledge”, 2008.principes of economic – N. Gregory Mankiw – 8th edition -2015
5. "Definition of 'global village'". Collins dictionary. Collins dictionary. Retrieved 23 November 2018
6. https://www.imf.org/en/News/Articles/2015/09/28/04/53/sp082500
7. https://globalizationdotcom.wordpress.com/2018/01/10/first-blog-post/

სამეცნიერო, სიტუაციური და როლური თამაშები და ინოვაციური სწავლების მეთოდები: უნარ-ჩვევების გაძლიერება XXI საუკუნეში

Scientific, Situational, and Role-Playing Games and Innovative Teaching Methods: Enhancing Skills in the 21st Century

ლევან კიკილაშვილი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
დოქტორანტი, მენეჯმენტის მიმართულება
ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
თენგიზ ლაჩყეპიანი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
Levani Kikilashvili - Sokhumi State University
PhD Student, Direction of Management
Faculty of Business and Social Sciences,
Tengiz Lachkepiani – Georgian Technical University
Professor, Academic Doctor of Economics

აბსტრაქტი. სტატია წარმოადგენს სამეცნიერო, სიტუაციური და როლური თამაშების გავლენის სიღრმისეულ ანალიზს უნარ-ჩვევების განვითარებაზე, განათლების ინოვაციური მეთოდების კონტექსტში, რასაც ფასდაუდებელი შესაძლებლობების შექმნა შეუძლია XXI საუკუნეში. თანამედროვე სამყაროში, სწრაფი ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო ცვლილებების ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის, გუნდური მუშაობისა და შემოქმედებითი მიდგომების განვითარება. ეს სტატია იკვლევს, თუ როგორ შეუძლიათ ინტერაქტიულ და როლურ თამაშებს განავითარონ ეს უნარები მოსწავლეების, სტუდენტებში, STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) მიმართულებით.

კვლევის ძირითადი მიზანია, შეისწავლოს ინტერაქტიული სწავლების მეთოდების ეფექტიანობა და მათი გავლენა სტუდენტების უნარების გაძლიერებაზე რეალური სიტუაციების განხილვისა და სიმულირების საშუალებით. ინტერაქტიული თამაშები შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, გააუმჯობესონ კრიტიკული და ლოგიკური აზროვნება, ეფექტიანად მიიღონ გადაწყვეტილებები და ურთიერთქმედება შეძლონ როგორც ინდივიდუალურ, ასევე გუნდურ ფორმატში. კვლევა ეფუძნება სათამაშო სესიების და ამ სესიების შედეგების ანალიზს, რაც აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი მეთოდები საგანმანათლებლო პროცესებში.

სტატია აგრეთვე იკვლევს, როგორ შეიძლება როლური და სიტუაციური თამაშების გამოყენება STEM განათლების ინტეგრაციისთვის, სადაც თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარებით იცვლება. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ამ ტიპის თამაშებს არა მხოლოდ კრიტიკული უნარების განვითარება შეუძლიათ, არამედ მოტივაციის გაზრდაც, რაც მოსწავლეებისა და სტუდენტების აქტიურ ჩაბმას იწვევს განათლების პროცესში. ამასთან, ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით, ზრდასრული მომხმარებლებიც იღებენ სარგებელს, რადგან მათთვისაც ეფექტურია უნარების გადამზადება და დახვეწა.

დასკვნითი ნაწილი აჩვენებს, რომ ინტერაქტიული და როლური თამაშების სწავლების მეთოდები წარმოადგენს განათლების სფეროში ინოვაციური მიდგომების ნაწილს, რომლებიც მიზნად ისახავს უნარების, ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაძლიერებას, რაც თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. ამასთან, კვლევა იძლევა საფუძველს, დასაბამი დაედოს შემდგომ კვლევებსაც, რათა უკეთ შევისწავლოთ და დავხვეწოთ ინტერაქტიული სწავლების მეთოდები სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე.

საკვანძო სიტყვები: როლური და სიტუაციური სამაგიდე თამაშები, ინოვაციური სწავლების მეთოდები, STEM განათლება, მწვანე ბიზნესმოდელები

Abstract. This paper provides an in-depth analysis of the impact of scientific, situational, and role-playing games on skill development within the context of innovative teaching methods, with the potential to create invaluable opportunities in the 21st century. In the modern world, characterized by rapid technological and educational transformations, it is crucial to cultivate critical thinking, problem-solving, teamwork, and creative approaches. This article explores how interactive and role-playing games can foster these skills among students, particularly in the fields of STEM (Science, Technology, Engineering, and Mathematics).

The primary objective of this research is to examine the effectiveness of interactive teaching methods and their impact on strengthening students' skills through the simulation and exploration of real-world situations. Interactive games enable students to enhance critical and logical thinking, make efficient decisions, and engage

effectively in both individual and team formats. The study is based on the analysis of gaming sessions and their outcomes, demonstrating the importance of such methods in educational processes.

Additionally, the paper investigates how role-playing and situational games can be utilized for the integration of STEM education, where theoretical knowledge is replaced with practical skills. The research findings reveal that such games not only develop critical skills but also increase motivation, leading to active student engagement in the educational process. Moreover, adult learners benefit from these interactive methods, as they provide efficient ways to reskill and refine their competencies.

The concluding section demonstrates that interactive and role-playing teaching methods are part of innovative approaches in education, aiming to enhance skills, knowledge, and practical experience aligned with the demands of modern life. Furthermore, the research provides a foundation for future studies to explore and refine interactive teaching methods at various educational levels.

Key words: Role-playing and situational board games, innovative teaching methods, STEM education, green business models.

შესავალი.

თანამედროვე სამყაროში, ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციის გავლენით, საგანმანათლებლო სისტემები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ამ ცვლილებების ფონზე სწავლების მეთოდებიც სწრაფად ვითარდება, რათა უკეთესად მოერგოს ახალი თაობის მოთხოვნებს. ტრადიციული სწავლების მიდგომები ხშირად ვეღარ პასუხობს თანამედროვე თაობის საჭიროებებს, რაც ზრდის ინოვაციური და ინტერაქტიული სწავლების მეთოდების საჭიროებას, (Jonassen, 2008) თამაშებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები, კერძოდ, როლური და სიტუაციური თამაშები, მნიშვნელოვნად ავითარებს სტუდენტების უნარ-ჩვევებს, რაც კრიტიკულია XXI საუკუნის გლობალურ გარემოში წარმატების მისაღწევად.

STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) საგნების სწავლებისას, ინტერაქტიული და თამაში-დაფუძნებული სწავლება არა მხოლოდ თეორიული ცოდნის გაღრმავებას, არამედ უნარების განვითარებასაც უწყობს ხელს. კვლევები აჩვენებს, რომ თამაში-დაფუძნებული სწავლების მეთოდები აუმჯობესებს კრიტიკულ აზროვნებას, გუნდურ მუშაობას და პრობლემების გადაჭრის უნარებს, რაც მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული წარმატებისთვის (Prensky, 2010)

ინტერაქტიული და თამაში-დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობა

ინტერაქტიული სწავლების მეთოდები, განსაკუთრებით როლური და სიტუაციური თამაშები, გვთავაზობს უნიკალურ გზას სტუდენტების ჩართულობისა და მოტივაციის გასაძლიერებლად. თამაში-დაფუძნებული სწავლება სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გააცნობიერონ და გაამყარონ თეორიული მასალა პრაქტიკულ კონტექსტში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია STEM საგნებში. ეს მიდგომა საშუალებას აძლევს სტუდენტებს არა მხოლოდ შეისწავლონ თეორიული მასალა, არამედ გამოიყენონ ის რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების სიმულაციაში (Garris, Ahlers, & Driskell, 2002) ზე დაფუძნებული სწავლება არ არის ახალი კონცეფცია, თუმცა მისი აქტუალურობა გაიზარდა თანამედროვე განათლების სისტემებში. კვლევებმა აჩვენა, რომ თამაშები აძლიერებენ ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრა და გუნდური მუშაობა (Squire, 2011). თამაში- მიდგომები სტუდენტებს ეხმარება, უკეთესად გაითავისონ სწავლების პროცესები, რადგან ისინი უფრო მეტად ჩართულები არიან ინტერაქტიულ და დინამიკურ გარემოში. ინტერაქტიული სწავლების მეთოდები საშუალებას აძლევს სტუდენტებს არა მხოლოდ მიიღონ თეორიული ცოდნა, არამედ განივითაროონ მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარები, რომლებიც მათ მომავალ პროფესიულ ცხოვრებაში გამოადგებათ (Bottino, Ott, & Tavella, 2001) .

STEM-ში სწავლების როლი

STEM განათლება განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია თანამედროვე ეკონომიკაში, სადაც ტექნოლოგიური ინოვაციები მუდმივად ვითარდება. STEM საგნებში ინტერაქტიული და თამაშზე-დაფუძნებული სწავლების მეთოდები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, განავითარონ არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ ისეთი უნარები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული წარმატებისთვის (Foster, 2014). ამ საგნებში თეორიულ ცოდნასთან ერთად საჭიროა პრაქტიკული გამოცდილება და გადაწყვეტილების მიღების უნარი რეალურ სიტუაციებში.

ინტერაქტიული თამაშების გამოყენება STEM განათლებაში იძლევა შესაძლებლობას, რომ თეორიული ცოდნა უფრო გასაგები და პრაქტიკული გახდეს. თამაშები, რომლებიც შექმნილია STEM საგნების სწავლებისთვის, ამყარებს არგუმენტს, რომ სტუდენტები ფლობენ სათანადო კომპეტენციებს კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემების გადაჭრაში (Dondlinger, 2007) . ეს მიდგომა ხელს უწყობს არა მხოლოდ კოგნიტური უნარების, არამედ სოციალური უნარების განვითარებასაც, როგორიცაა გუნდური მუშაობა და კომუნიკაცია.

როლური და სიტუაციური თამაშების უნიკალურობა

როლური და სიტუაციური თამაშები, როგორც სწავლების ინოვაციური მეთოდები, საშუალებას აძლევენ სტუდენტებს, აიღონ სხვადასხვა როლი და მიიღონ გადაწყვეტილებები რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების სიმულაციით. ეს მეთოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ეხმარება სტუდენტებს არამარტო აკადემიურ განვითარებაში, არამედ რეალური ცხოვრების უნარების განვითარებაში (Vygotsky, 1978).

როლური თამაშების დროს, მონაწილეები ირგებენ მათთვის სასურველ როლს და თამაშობენ, ეს უზრუნველყოფს გაგებას, თუ როგორ რეაგირებენ განსხვავებულ გარემოში ისინი, რაც ეხმარებათ მათ გადაწყვეტილებების ეფექტიანად მიღებაში და პრობლემების გადაჭრაში. გამომცდელს კი იმის შესწორებაში, თუ რამდენად მაღალი დონის კადრია და შეუძლია კომპლექსურად დავალებების გადაჭრა. თამაშები სტუდენტებს აძლევენ შესაძლებლობას, გაიგონ, როგორ მოქმედებს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ რეალურ გარემოში (Blumberg, 2009) .

ინტერაქტიული და როლური თამაშების განათლებაში ახალი შესაძლებლობების გახსნისკენ მიდის. ეს მეთოდები არა მხოლოდ აძლიერებს პიროვნებებში უნარ-ჩვევების განვითარებას, არამედ ხელს უწყობს სტუდენტების მოტივაციისა და ჩართულობის ამაღლებას, რაც თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემების მთავარი გამოწვევაა. STEM განათლების კონტექსტში, თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ისინი ეხმარება სტუდენტებს არა მხოლოდ თეორიული მასალის გაგებაში, არამედ რეალური ცხოვრებისეული უნარების განვითარებაში.

ამ სტატიის მიზანია, დეტალურად განიხილოს როლური და სიტუაციური თამაშების მნიშვნელობა და მათი გავლენა XXI საუკუნის საგანმანათლებლო პროცესებში. კვლევა დაფუძნებულია იმაზე, თუ როგორ შეუძლია ინტერაქტიულ და თამაში-დაფუძნებულ მეთოდებს ხელი შეუწყოს STEM საგნებში უნარების განვითარებას და როგორ ამზადებს ეს მეთოდები მოსწავლეებსა და სტუდენტებს რეალური სამყაროს გამოწვევებისთვის.

დისკუსია

სიტუაციური და როლური თამაშები სწავლების ინოვაციურ მეთოდი

ციფრული განვითარების ფონზე, საგანმანათლებლო სისტემა ახალ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს ითვისებს, სწავლების ტრადიციული მეთოდები ხშირად ვერ პასუხობს

თანამედროვე თაობის საჭიროებებს, რაც ზრდის ინტერაქტიულ თამაშებზე დაფუძნებული მეთოდების მნიშვნელობას. ამ კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ როლური და სიტუაციური თამაშები არა მხოლოდ აუმჯობესებს მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებს, არამედ ხელს უწყობს კრიტიკული უნარების განვითარებას, როგორიცაა პრობლემების გადაჭრა, გუნდური მუშაობა და სტრატეგიული აზროვნება.

თამაშების გავლენა მოტივაციაზე და ჩართულობაზე

ერთ-ერთი მთავარი შედეგი, რომელსაც მკვლევრები მიჰყვებიან, არის თამაშებზე დაფუძნებული სწავლების გავლენა მოსწავლეებისა და სტუდენტების მოტივაციასა და ჩართულობაზე. Crookall (2011) აჩვენებს, რომ დებრიფინგი და სიმულაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის პროცესში, რადგან სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა გააცნობიერონ თავიანთი გადაწყვეტილებები და მიიღონ უკუკავშირი. ეს პროცესი ხელს უწყობს თამაშის პროცესში მიღებული ცოდნის და უნარების პრაქტიკულ გამოყენებას.

ავტორები Prensky (2010) და Gee (2013) თავიანთ ნაშრომებში ასევე აღნიშნავენ, რომ ციფრული თამაშები ზრდის მოტივაციას და ჩართულობას, განსაკუთრებით ციფრული თაობის ახალგაზრდებში. თამაშები, რომლებშიც სტუდენტები აქტიურ როლებს იკავებენ და იღებენ გადაწყვეტილებებს, საშუალებას აძლევთ, იყვნენ სასწავლო პროცესში უფრო მეტად ჩართულნი. (Garris, Ahlers, Driskell (2002)) კვლევაში ნათქვამია, რომ თამაშები ხელს უწყობს უფრო სწრაფი და შედეგიანი სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან ისინი პირდაპირ გავლენას ახდენს მოტივაციის ამაღლებაზე. (EconPapers)

მოთამაშეები იღებენ მყისიერ უკუკავშირს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათი სწავლის პროცესის გაუმჯობესებას.

2. უნარების განვითარება და რეალურ ცხოვრებასთან კავშირი

სხვა მნიშვნელოვანი მიგნებაა თამაშების როლი უნარების განვითარებაში. ავტორები Bottino, Ott და Tavella (2001) აღნიშნავენ, რომ ICT-ის ინტეგრაცია და ინტერაქტიული თამაშების გამოყენება სწავლების პროცესში უზრუნველყოფს მოსწავლეების კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარების განვითარებას. როლური თამაშები საშუალებას აძლევს მოსწავლეებსა და სტუდენტებს, განავითარონ მნიშვნელოვანი უნარები, როგორიცაა პრობლემების გადაჭრა, გუნდური მუშაობა და სტრატეგიული აზროვნება. ეს უნარები კრიტიკულია არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ პროფესიულ ცხოვრებაში წარმატებისთვის.

Jonassen (2008) თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ პრობლემების გადაჭრის სწავლება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც თამაშების მეშვეობით შეიძლება განვითარდეს. თამაშები სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განიცადონ რეალური ცხოვრებისეული სიტუაციებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი ემოციები და შთაბეჭდილებები და გამოსცადონ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში, რაც ეხმარებათ მათ რეალური გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებაში. ეს იდეა ეხმიანება Squire (2011)-ის აზრს, რომელიც აღნიშნავს, რომ ვიდეო თამაშები არა მხოლოდ გასართობი ინსტრუმენტია, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის პროცესში.

3. STEM საგნებში როლური თამაშების როლი

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ STEM საგნებში თამაშებზე დაფუძნებული სწავლების როლს. STEM საგნებში თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება კრიტიკულია, და თამაშები სწორედ ამ საჭიროებას აკმაყოფილებს. Foster (2014)-ის კვლევამ აჩვენა, რომ ციფრული თამაშები STEM საგნებში მნიშვნელოვნად ამაღლებს სტუდენტების აკადემიურ მიღწევებს და ხელს უწყობს მათ ტექნიკური უნარების განვითარებას.

გარდა ამისა, Bottino, Ott და Tavella (2001)-ის კვლევები ადასტურებს, რომ ICT-ის ინტეგრაცია და ინტერაქტიული თამაშები საშუალებას აძლევს STEM საგნების სტუდენტებს უკეთ გაითავისონ თეორიული მასალა და განავითარონ ტექნიკური უნარები. ეს იდეები ხაზს უსვამენ იმას, რომ STEM საგნებში თამაშებზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს ეფექტურ სტრატეგიას სტუდენტების მომზადებისთვის.

4. თამაშების ეფექტი გრძელვადიან პერსპექტივაში

თამაშებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გრძელვადიანი ეფექტი ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც არ შეიძლება უგულებელვყოთ. Crookall (2011)-ის ნაშრომი გვიჩვენებს, რომ დებრიფინგი და სიმულაციების გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიონალებად ჩამოყალიბებას და გრძელვადიანი უნარების განვითარებას. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს არა მხოლოდ მოერგოს მიმდინარე გამოწვევებს, არამედ განავითარონ უნარები, რომლებიც მათ მომავალში გამოადგებათ.

Blumberg (2009) ასევე ხაზს უსვამს სერიოზული თამაშების მნიშვნელობას გრძელვადიანი სწავლების პროცესში. ის აღნიშნავს, რომ თამაშების საშუალებით მიღებული გამოცდილება აძლევს მოსწავლეებს და პროფესიონალებს უნიკალურ შესაძლებლობას, განავითარონ უნარები, რომლებიც კრიტიკულია სხვადასხვა ინდუსტრიაში.

Vygotsky (1978)-ის ნაშრომი ადასტურებს, რომ სოციალური და კულტურული გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის პროცესში. თამაშების მეშვეობით, სტუდენტები უკეთ ესმით და ითვისებენ რეალური სამყაროს სირთულეებს, რაც მათ ეხმარება განავითარონ სოციალური და ინტერდისციპლინარული უნარები.

დასკვნა

როლური და სიტუაციური თამაშები არა მხოლოდ აუმჯობესებს სწავლების პროცესს, არამედ ხელს უწყობს მოსწავლეების კრიტიკული უნარების, მოტივაციის და ჩართულობის ზრდას. ციფრული თამაშების და სიმულაციების გამოყენება სწავლების პროცესში დღესდღეობით არაერთი კვლევით დადასტურებულია, როგორც წარმატებული და ეფექტური მეთოდი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს და პროფესიონალებს გაუმკლავდნენ თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებს, რომლებიც მიიღწევა სწავლა სწავლებისას სირთულეების დაძლევით.

როლური და სიტუაციური თამაშების გავლენა თანამედროვე განათლებაზე

თანამედროვე განათლების სფეროში, ტექნოლოგიების ზრდა და გლობალიზაციის პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებზე. ტრადიციული სწავლების ფორმებს სულ უფრო მეტად ანაცვლებს ინოვაციური, ინტერაქტიული და სწავლების თანამედროვე მეთოდები, რომელთა შორისაც გამორჩეული როლი ენიჭება როლურ და სიტუაციურ თამაშებს. ამ მეთოდებმა დაამტკიცა, რომ ისინი მეტად ეფექტური ინსტრუმენტებია ცოდნის შეძენის, უნარ-ჩვევების განვითარებისა და სტუდენტების მოტივაციის ასამაღლებლად.

ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ამ პროცესში თვალსაჩინოა, არის თამაშების მძლავრი ზეგავლენა მოსწავლეების ჩართულობაზე. ახალგაზრდებს ხშირად უჭირთ ყურადღების შენარჩუნება, განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში, სადაც ციფრული ტექნოლოგიები და სოციალურად დაკავშირებული პლატფორმები მეტად აქტუალურია. როლური და სიტუაციური თამაშები ახერხებენ, რომ სტუდენტებმა ინტერაქტიული მიდგომებით ჩაერთონ სასწავლო პროცესში, რაც იწვევს არა მხოლოდ აკადემიურ ცოდნის გაღრმავებას, არამედ უნარების განვითარებასაც. თამაშები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს,

თავად იყვნენ თავიანთი სწავლის პროცესის მონაწილეები, რაც ზრდის მათ მოტივაციას და ჩართულობას.

თამაშების მნიშვნელობა უნარების განვითარებაში

თანამედროვე განათლების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარება. სკოლებში და უნივერსიტეტებში ხშირად სწავლება შეზღუდულია მხოლოდ თეორიული ცოდნით, რაც უშუალოდ პრაქტიკულ ცოდნაში და უნარებში მცდელობის მიუხედავად ვერ გადაიზრდება. სწორედ ამ სირთულეს უმკლავდება როლური და სიტუაციური თამაშები, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს განავითარონ ისეთი უნარები, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემების გადაჭრა, გუნდური მუშაობა და სტრატეგიული აზროვნება.

სიტუაციური თამაშები, რომელთა ფარგლებში სტუდენტები რეალურ ცხოვრებასთან მიახლოებულ სიმულაციურ გარემოში იღებენ გადაწყვეტილებებს ეხმარება მათ იმაში, რომ განავითარონ საკუთარი გადაწყვეტილების მიღების უნარი. რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების სიმულირება იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლეებმა დაუყოვნებლივ დაინახონ თავიანთი ქმედებების შედეგები და გაიგონ, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მათ გადაწყვეტილებებს კონკრეტულ სიტუაციებზე. ეს უნარები შეუფასებელია არა მხოლოდ აკადემიურ გარემოში, არამედ მომავალში, პროფესიულ ცხოვრებაშიც.

STEM საგნებში ინტერაქტიული თამაშების როლი

STEM საგნები, მოითხოვს არა მხოლოდ თეორიულ ცოდნის ფარგლებში მოქმედებას, არამედ პრაქტიკულ უნარების ათვისებასაც, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ტექნოლოგიურ და სამეცნიერო პრობლემებს ეფექტურად გაუმკლავდნენ. როლური და სიტუაციური თამაშები STEM საგნებში უნიკალურ როლს ასრულებენ, რადგან მათ საშუალებით სტუდენტები სწავლობენ რთული საკითხების მოგვარებას ინტერაქტიული და პრაქტიკული გზებით. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, არა მხოლოდ აითვისონ თეორიული მასალა, არამედ რეალურ გამოწვევებზე მუშაობით განავითარონ ტექნიკური და ანალიტიკური უნარები.

ეს მეთოდები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეკონომიკასა და სამეცნიერო გარემოში, სადაც ინოვაციები და ტექნოლოგიური განვითარება წამყვან როლს თამაშობს. თამაშებზე დაფუძნებული სწავლება STEM საგნებში ეხმარება სტუდენტებს, არა მხოლოდ გააძლიერონ თავიანთი ცოდნა, არამედ მოემზადონ იმ რეალური პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც მათ პროფესიულ ცხოვრებაში შეხვდებათ.

ციფრული ტექნოლოგიებისა და ICT-ის როლი

თანამედროვე განათლებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) როლი შეუფასებელია. ICT-ის გამოყენება სასწავლო პროცესში შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, უფრო მარტივად და ინტერაქტიულად მიიღონ ინფორმაცია. ეს არ გულისხმობს მხოლოდ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას, არამედ სრულად ციფრული განათლების სისტემის დანერგვასაც უწყობს ხელს, რომელიც მოიცავს თამაშების გამოყენებას ცოდნის შეძენის პროცესში.

ამ თამაშების საშუალებით, სტუდენტები სწრაფად და ეფექტურად ითვისებენ მასალას, ხოლო ტექნოლოგიების ინტეგრაცია სწავლების პროცესში ხელს უწყობს არა მხოლოდ ცოდნის გაზიარებას, არამედ ინფორმაციის უფრო ღრმა ანალიზს. ICT-ის გამოყენება ეხმარება როგორც მასწავლებლებს, ასევე სტუდენტებს, რომ სწავლების პროცესი იყოს მაქსიმალურად ეფექტური და ინფორმაციული.

გრძელვადიანი პერსპექტივები და გამოწვევები

როლური და სიტუაციური თამაშები, როგორც სწავლების მეთოდები, გრძელვადიან პერსპექტივაში აჩვენებს მნიშვნელოვან შედეგებს. მათი გამოყენება ხელს უწყობს სტუდენტების უნარების განვითარებას, რაც შემდეგში გამოადგებათ მათ პროფესიულ ცხოვრებაში. ეს უნარები მნიშვნელოვანია თანამედროვე ბაზარზე, სადაც ტექნოლოგიური ინოვაციები და კრეატიულობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ თამაშების გამოყენებისას ყოველთვის ვადევნოთ თვალი შედეგებს და ჩავატაროთ კვლევები იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ, რამდენად ეფექტურად მუშაობენ ეს მეთოდები სხვადასხვა გარემოებებსა და განათლების სფეროში. სწავლების ინტერაქტიული და თამაშზე დაფუძნებული მეთოდების კიდევ უფრო მეტი გავრცელება აუცილებელია იმისთვის, რომ ისინი გახდნენ უნივერსალური და ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის, მიუხედავად მათი აკადემიური ან ტექნიკური ცოდნის დონისა.

როლური და სიტუაციური თამაშები თანამედროვე განათლებაში აძლიერებს არა მხოლოდ აკადემიურ ცოდნას, არამედ იმ პრაქტიკულ უნარებსაც, რომლებიც კრიტიკულია გლობალურ სამყაროში წარმატებისთვის. ამ მეთოდებმა აჩვენა, რომ ისინი მეტად ეფექტურია არა მხოლოდ სტუდენტების მოტივაციის ასამაღლებლად, არამედ მათი უნარ-ჩვევების გაძლიერებისთვისაც. STEM საგნებში ინტერაქტიული სწავლება, ICT-ის გამოყენება და თამაშებზე დაფუძნებული მეთოდები ხელს უწყობს ცოდნის უფრო სწრაფ და ღრმა ათვისებას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს უფრო კვალიფიციური პროფესიონალების ჩამოყალიბებას.

ეს ინოვაციური მიდგომები საშუალებას აძლევს სტუდენტებს, არა მხოლოდ თეორიულად მოემზადონ, არამედ პრაქტიკულად გამოსცადონ თავიანთი ცოდნა რეალურ გამოწვევებში. გრძელვადიან პერსპექტივაში, ინტერაქტიული თამაშები შეიძლება გახდეს სწავლის მთავარი სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ განათლების სისტემის გაუმჯობესებას, არამედ სტუდენტების მომზადებას მომავალი, თუმცა ძალზედ მნიშვნელოვანი გამოწვევებისთვის.

რეკომენდაციები

სხვადასხვა კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ როლური და სიტუაციური თამაშები სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამასთანავე, მათი გამოყენების ეფექტურობის გაზრდისთვის საჭიროა დამატებითი სტრატეგიებისა და მიდგომების დანერგვა. გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და ინტერაქტიული თამაშების გამოყენების ოპტიმიზაციას:

1. **თამაშების ინტეგრაცია სასწავლო პროგრამებში**: სასწავლო პროგრამების შემუშავებისას აუცილებელია თამაშების გამოყენება, რომლებიც მოიცავს რეალურ სამყაროსთან დაკავშირებულ სიტუაციებსა და პრობლემების გადაჭრას. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ თეორიული მასალის უკეთ გაგებას, არამედ სტუდენტების მომზადებას რეალური გამოწვევებისთვის. მნიშვნელოვანია თამაშების ინტეგრაცია არა მხოლოდ სპეციფიკურ საგნებში, არამედ სწავლების ზოგად მიდგომებშიც.

2. **მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მომზადება**: ინტერაქტიული თამაშების წარმატებული დანერგვისთვის, საჭიროა მასწავლებლებსა და ინსტრუქტორებს მიეცეთ სათანადო მომზადების შესაძლებლობა და ასევე მხარდაჭერა ჰქონდეთ ტრენინგების გავლის მხრივაც. მათ უნდა ესმოდეთ თამაშების პედაგოგიური მნიშვნელობა და იცოდნენ, როგორ გამოიყენონ ისინი სწავლების პროცესში, რათა მაქსიმალურად აამაღლონ სტუდენტების მოტივაცია და ჩართულობა.

3. **სტუდენტების ჩართულობის ზრდა და უკუკავშირის უზრუნველყოფა**: მნიშვნელოვანია, რომ თამაშების დროს სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ინტერაქციაში და მყისიერი უკუკავშირის მეშვეობით დახვეწონ მიდგომები. უკუკავშირი თამაშის დროს ასტიმულირებს სწავლის პროცესს და ეხმარება სტუდენტებს, გააცნობიერონ თავიანთი მიღწევები და შეცდომები, რაც ზრდის მოტივაციას კიდევ უფრო მეტი ზრდისთვის.

4. **გრძელვადიანი კვლევები თამაშების ეფექტურობის შესასწავლად**: სასურველია გრძელვადიანი კვლევების ჩატარება იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებს თამაშებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები სტუდენტების გრძელვადიან აკადემიურ წარმატებებზე და უნარების განვითარებაზე. ამ კვლევებმა შეიძლება გამოავლინოს ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები, რომლებიც დაეხმარება მათ თამაშების გამოყენების გაუმჯობესებაში.

5. **კოლაბორაცია ტექნოლოგიურ სექტორთან**: ციფრული თამაშების დიზაინი და განვითარების პროცესში სასურველია განათლების სფეროს თანამშრომლობა ტექნოლოგიურ კომპანიებთან. ეს პარტნიორობა ხელს შეუწყობს ინოვაციური და სასწავლო მიზნებზე მორგებული თამაშების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ეხმიანება სასწავლო პროგრამებს და აკადემიურ მიზნებს, ამ მხრივ საქართველოში უკვე არსებობს, სიტუაციური და როლური, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების ჰაბი გეიმქრაფთერი, რაც ბაზარზე დადებით ცვლილებებს უყრის საფუძველს.

6. **მრავალფეროვანი და პერსონალიზებული თამაშების შექმნა**: აუცილებელია თამაშები იყოს მრავალფეროვანი და პერსონალიზებული, რათა ისინი შეესაბამებოდეს სხვადასხვა ასაკის, ინტერესისა და უნარების მქონე სტუდენტებს. ეს საშუალებას მისცემს ფართო აუდიტორიას, კიდევ უფრო ეფექტურად გამოიყენოს ეს ინსტრუმენტები.

7. **მრავალდარგობრივი მიდგომა**: თამაშების გამოყენება სასურველია მხოლოდ STEM საგნების კონტექსტში არ შემოიფარგლოს. მრავალდარგობრივი მიდგომა, სადაც თამაშები გამოიყენება ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც, ხელს შეუწყობს სწავლის პროცესის გაღრმავებას და გააძლიერებს სტუდენტების შესაძლებლობებს სხვადასხვა სფეროში.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაძლებელი იქნება სწავლების პროცესის კიდევ უფრო ეფექტური და ინოვაციური ფორმებით გაუმჯობესება, რაც გლობალურ განათლების სისტემას ახალი შესაძლებლობებისკენ გაუხსნის გზას.

ბიბლიოგრაფია

1. Blumberg, F. C. (2009). Serious games: What are they, and how do they work? *International Journal of Learning, 16*(12), 29-41.

2. Bottino, R. M., Ott, M., & Tavella, M. (2001). Integrating ICT into primary education: Evaluation of a pilot project. *Education and Information Technologies, 6*(4), 251-268.

3. Crookall, D. (2011). Serious games, debriefing, and simulation/gaming as a discipline. *Simulation & Gaming, 42*(5), 664-683.

4. Dondlinger, M. J. (2007). Educational video game design: A review of the literature. *Journal of Applied Educational Technology, 4*(1), 21-31.

5. Foster, A. N. (2014). Leveraging digital games in education. *International Journal of Gaming and Computer-Mediated Simulations (IJGCMS), 6*(2), 1-10.

6. Garris, R., Ahlers, R., & Driskell, J. E. (2002). Games, motivation, and learning: A research and practice model. *Simulation & Gaming, 33*(4), 441-467. Econpapers Internet Source

7. Gee, J. P. (2013). *Games, learning, and society: Learning and meaning in the digital age*. Cambridge University Press.

8. Jonassen, D. H. (2008). *Learning to solve problems: A handbook for designing problem-solving learning environments*. Routledge.

9. Prensky, M. (2010). *Teaching digital natives: Partnering for real learning*. Corwin Press.

10. Squire, K. (2011). *Video games and learning: Teaching and participatory culture in the digital age*. Teachers College Press.

11. Vygotsky, L. S. (1978). *Mind in society: The development of higher psychological processes*. Harvard University Press.

სიბრძნის ფილოსოფია - შენს მაღალ "მე"-ში
The philosophy of wisdom - your high in "I"
იოანე ზისიმე
ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ.
(განხილვა)

ხათუნა ელიაშვილი
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო
მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
Khatuna Eliashvili
Member of the Union of Writers of Georgia.
International named after Jumber Lezhava
A true member of the Academy of Sciences

ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე !

მოსაუბრეა ქართული ენა! სადაც ი - ო - ა ნ - ე საიდუმლოებებით სავსე კოდია.

ი – ბგერა თესლია.

ო – სუნთქვის ადგილი, საიდანაც სხეული ჟანგბადით ივსება, იკვებება. სიცოცხლის საწყისია აქ.

ეს ცხვირია, ნესტოები.

ან – აბანის საწყისი.

ე – ენის ამოდგმა ხდება "ე" ბგერით.

ანე – თურქულ ენაში დ ე დ ა ა.

ენათა ერთობლივობა არსებულ სამყაროში კოდირებულია საიდუმლო ინფორმაციით და ერთმანეთში კავშირში არიან, არსებობს სიტყვათა რაოდენობა სადაც დიდი მგვანება და ერთნაირი ინფორმაციაა შიგ.

ზ – ო ს ი – მ ე.

ზ – ბგერა ქართულ ენაში უსასრულობას ნიშნავს, ზ ე ც ა ს, ზეციურს გულისხმობს, ზღვას, ზარს!

ო – ს – ი ბგერების უმაღლესი კომბინაცია, სადაც გული და სუნთქვა ერთმანეთს უკავშირდება.

ო – ჟანგბადის მიღების ადგილი, ცხვირი.

სი – ნოტია და გული.

საიდანაც სიცოცხლე ათვლას იწყებს!

მ ე – თვითეული ჩვენთაგანი.

ანუ სრულიად კაცობრიობა და ჩვენში არსებული "მ ე".

ამრიგად ი ო ა ნ ე ზ ო ს ი მ ე არის საკაცობრიო გზავნილი, სიცოცხლის წყარო, ბგერებში შევსებული ენერგია, რასაც სიცოცხლის უსასრულობაში მიჰყავს კაცობრიობა!

მისი გზა თუ კი გათვალისწიებული იქნება და სწორი გაგება, მაშინ სიცოცხლის მბადებელია და უკვდავებაში გადის!

აქ, ამ ჩანაწერში, ბგერათა განლაგება იძლევა ველს, ღვთიურ ენერგიას და ჯამრთელობაში გადაჰყავს სხეული, ვივსებით ი ო ნ ი თ და ღმერთის ნებას ვებმევით.

ი ო ა ნ ე ე ნ ა ო ი!

აქ ლოცვაა!

ყველაფერი ყოფილა ქართულ ენაში ჩადებული.

დრო ფარდობითია!

ანუ გაფართოვებული, თან ფა და დო ნოტებია, ფა – რ – დო – ბითი. ანუ შენვე ხარ მისი შემმქმნელი, შემადგენელი და ის ფარიაო, საფარველი.

არასოდეს არ არის გვიან.

საქართველო!

ქართველი ანუ მმართველია! ველია! რთველია და ელიაა!

ჟანგბადი ველია, ქარია, და სულია!

ჟ – ან – გ – ბადი!

ჟ ა ნ – რია სხეულში,

ა ნ – ანბანი.

ბ ა დ ი – დაბადებაა.

ე.ი. საკუთარ სხეულში უნდა დაბადო ჟანრი, მუსიკალური განწყობა და ისე ახვიდე ზევითო, ამით სიცოცხლის გზა გეძლევა და ზე ასვლას ახდენ ცნობიერებაში!

რადგან თვითეული ასო ბგ – ერაა, ერთანაც არის კავშირში, ერასთანაც, ანუ დროსთან და ივსები ენერგიით.

ანუ ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი ა!

თან მთა არის, თან რულია, მართვის სისტემა, უნდა ატრიალო, სადაც თუ ვერ გაიგე რთულია და თუ გესმის უკვე დართულია, დაქარგულ-მოჩუქურთმებული.

მარადიულია მოძრაობა მარადიული!

სიტყვების ღვთიური გაგებაა მთავარი, ბგერების აღქმა სწორი მიმართულებით, რადგან უარყოფითი ენერგია სამყაროში არ არსებობს.

ღმერთს არ შეუქმნია.

ამას მხოლოდ ადამიანის გონება ქმნიდა და ქმნის აზრის შედეგად, მისი შინაგანი არსი ამ-ჟღავნებს ამას და დამდაბლებას იწვევს.

ამ საკითხზე პასუხისმგებელი თვითონ ადამიანია.

1. დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად. რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.

"და – მარხულ არს", ანუ არსებობს ენა რომელიც შენახულია, დამალულია, დამარხული, როგორც საგანძური და უნდა მოიძებნოს, მოინახოს ანუ ამოიღოთ ეს საგანძური.

წიაღირსეულია!

და ამას "ქართულ ენა – ზე", მის ძალაზე, გადმოგვცემს იოანე ზოსიმე.

მის სიღრმეში ჩაძიებას გულისხმობს, რათა გახსნილი იქნას ანუ ახსნილი და ეს მის მეორედ მოსვლას, დაბადებას გულისხმობს.

"არს"- მის არსებობას გვამცნობს და ჩვენში აღსდგ – ე ნ ა ს.

"სა – წამ – ებ – ლა – დ" სიტყვა განსაზღვრავს არა წამებას არამედ წამიდან დაწყებულ სიამოვნებას, საამებლად საკუთარი სულისა და სხეულისთვის, ღვთის მადლის მიღებას, როგორც წამალი ისე შედის ორგანიზმში სადაც მაღალ სულთან დაკავშირება ხდება და ჯამრთელდები!

"რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა"

თან ილოცება რომ გამხელილი იქნას მისი ღრმა შინაარსი.

ენა, სიტყვით აკეთებს ამას და სამყაროს პროცესებსაც მართავს გარდა სხეულისა, ურთიერთობის დალაგება ხდება, აღმშენებლობაში გადადის და წესრიგდება, როგორც ადამიანი ისევე სამყარო.

სიტყვის პირუკუ დაბრუნებას ახდენს იმწუთშივე.

"რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია"

ზუსტად მასზედაა მორგებული ეს ანდაზა.

ქართულ ენაში, სიტყვაში ღმერთის ძალა იმალება,

გამხელა, გახსნა ხდება იოანე ზოსიმეს ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ".

ეს ძირია, ფესვია, უკვდავებაა რაც ე ნ ა ს აღადგენს და დიდებით შეამკობს.

ე.ი ვინც ამ სიბრძნის ე ნ ა ს ჩასწვდება და ჩაუღრმავდება გამხელილ იქნება ეს საიდუმლო, ღვთის ძალის განვრცობა მოხდება სამყაროში.

"პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთი"

ქართული ენიდან ამოსული და ამომზეურებული ინფორმაცია იშლება აქ და ეფინება ირგვლივ ყველაფერს, სიღრმისეული უნარი აქვს და ღმერთს ეკუთვნის, ჭეშმარიტების მღაღადებელია და ბგერების აღორძინება ხდება,

ა მ ე ნ – აზეა შექმნილი მთელი სულიერება, მას სიცოცხლე შეაქვს დედამიწაზეც და სამყაროშიც, შვიდ სხივზე იშლება და საკუთარი ღირსების შემამკობელია!

საღი აზროვნების უნარია მთავარი.

ეს ზოსიმეს ენაა!

ზ ე ო ენა, მაღალი განზომილების ენა, როგორც ღრმა ცოდნისა და ზეციური კანონის მარადიულობა!

2. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქუან.

და ეს ენა – ჲ – დაფარული ცოდნაა,

იოტა მის დაკეტილობას გულისხმობს და ის საკუთარ სხეულშია დაფარული, დაკეტილობა მისი კი მისივე სიღრმის მანიშნებელია რაც მის ძალაზე მეტყველებს სხეულში.

"მძინ – არე არს"

მის მიძინებაზე, ზოგჯერ მძიმე არეზეც, რადგან სხეული ჩაკეტილი სივრცეა და მასში შეღწევა მხოლოდ მაღალი სულით და გახსნილი გონებით ხდება.

თვითონ სიტყვა მძი – ნ – არე მძივიცაა რომელიც სხეულში სამებასთან კავშირშია და მისით გავდივართ ღვთიურ განზომილებაში, ცნობიერის შევსებით ხდება ეს.

ეს სამება კი საკუთარ თავში მოიაზრება, რაც გონებას უკავშირდება ტვინის სამი ნახევარსფეროთი.

ერთობლიობაში კი სივრცეა, თავის სივრცე.

რაც შემოქმედებით უნარს ზრდის და ჩვენივე "სახარებას" ანუ გახარებას იწვევს.

სა – ხარ – ება!

ხარ – ება! ე.ი. თუ ხარ, ცოცხალიც ხარ და მოხვედი ამ ქვეყანაზე უნდა ებაო და გაიხარებო!

"სახარება" მაღალი ღვთიური არსის განზომილებაა.

ხარ- ი კისერია და იქ ბმულის რაობაზეა საუბარი, თავზე!

სადაც თავი – თავთავია!

"და შინა ამასა ენასა" შიგნით ჩადებული, აზრით შევსებული სიღრმე, მისი მრავალმხრივი ცნობიერება სულიერ ხარისხში გადის.

"ლა- ზარ – ე ჰრქვიან".

ე.ი ლა – ღვიძლია, რომელიც ზარს რეკავს და ჰრ – ქვიან ანუ ქვასავით ძლიერია.

ნოტები როგორც ბგერები ასევე ატარებს ღრმა შინაარსს და სხეულის ნაწილებს შეიცავს, სიტყვებშიც მასთან კავშირს ახდენენ.

დო – მარჯვენა ფეხია.

რე – მარცხენა ხელი.

მი – მარცხენა ფეხი.

ფა – მარჯვენა ხელი.

სოლ – თავი და აქედან მოდის სოლომონ ბრძენი, სიბრძნე არის თავში.

ლა – ღვიძლი.

სადაც ლა- ზარეა, ანუ ზარს რეკავს.

სი – გული.

სი – ონი!

ღვთიური არსი, რაც ჟანგბადით ივსება და სისხლის მიმოქცევას აწესრიგებს სხეულში, სიცოცხლის ცენტრია!

